

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

AKAKI TSERETELI STATE UNIVERSITY

პროფ. ვახტანგ ამაგლობელის სახელობის
ამერიკის შესწავლის ცენტრი
წონ ღოს პასოსის საქართველოს ასოციაცია

PROF. VAKHTANG AMAGLOBELI CENTER FOR
AMERICAN STUDIES
JOHN DOS PASSOS ASSOCIATION OF GEORGIA

ISSN 1512-2379

ჯონ სტაინბეკის დაბადებიდან 110 წლისათვისადმი მიძღვნილი

VI საერთაშორისო კონფერენცია ამერიკისმცოდნეობაში

ენა, ლიტერატურა, კულტურა, ხელოვნება, ქართულ-
ამერიკული ურთიერთობები, პოლიტიკა, ისტორია,
ეკონომიკა, განათლება, საზოგადოება

VI International Conference in American Studies

Dedicated to the 110th Anniversary of John Steinbeck's Birth
Language, Literature, Culture, Arts, Georgian-American
Relations, Politics, History, Economics, Education, Society

ოქტომბერი 2012 October

ქუთაისი
Kutaisi

კრებულში შესულია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2012 წლის 5-6 ოქტომბერს ჩატარებული ამერიკისმცოდნეობის VI საერთაშორისო კონფერენციის მასალები. კრებული გათვალისწინებულია ამერიკული ლიტერატურის, კულტურის, ხელოვნების, ქართულ-ამერიკული ურთიერთობების, პოლიტიკის, ეკონომიკის, ისტორიის, განათლების სისტემისა და საზოგადოების შესწავლით დაინტერესებულ პირთათვის.

დიდ მადლობას გუჯდით აშშ საელჩოს საქართველოში და უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას მხარდაჭერისა და კრებულის გამოსაქვეყნებლად გაწეული ფინანსური დახმარებისათვის.

The Volume includes the proceedings of the VI International Conference in American Studies held at ATSU on October 5-6, 2012.

The volume is intended for the scholars of American studies and generally for the readers interested in American literature, culture, arts, Georgian-American relations, history, economics, society etc.

We express our gratitude towards the US Embassy in Georgia and Akaki Tseteli State University Rector's office for their financial support in holding the conference and publishing the proceedings.

მთავარი რედაქტორი: პროფ. ირაკლი ცხევედიანი (საქართველო)

სარედაქციო კოლეგია: პროფ. დავით გეგეჭკორი (საქართველო), ასოც. პროფ. ია იაშვილი (საქართველო), ემერიტუს პროფ. ნატალია ორლოვსკაია (საქართველო), პროფ. თემურ კობახიძე (საქართველო), პროფ. მანანა გელაშვილი (საქართველო), პროფ. ვასილ კაჭარავა (საქართველო), პროფ. ტაირუს მილერი (აშშ), პროფ. გონსალვეს დე აბრუ მარია ზინა (მადეირა, პორტუგალია), პროფ. ჰანს-პიტერ როტენბერგი (გერმანია), პროფ. ქრისტინ ფონ რაიპერტი (აშშ)

Editor-in-chief: Prof. Irakli Tskhvediani (Georgia)

Editorial Board: Prof. David Gegechkori (Georgia), Assoc. Prof. Ia Iashvili (Georgia), Prof. Emeritus Natalia Orlovskaya (Georgia), Prof. Temur Kobakhidze (Georgia), Prof. Manana Gelashvili (Georgia), Prof. Vasil Kacharava (Georgia), Prof. Tyrus Miller (USA), Prof. Gonsalves De Abru Maria Zina (Madeira, Portugal), Prof. Hans-Peter Rotenberg (Germany), Prof. Christian Von Reichert (USA)



© აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

ქუთაისი, 4600, თამარ მეფის 59. ტელ.: 24 00 21
E-mail: atsugamomcemloba@gmail.com

შ ი ნ ა რ ს ი

რადიკორის წინათქმა.....12

ჯონ სტაინბეკი და საქართველო

ირაკლი ცხვიდანი

ჯონ სტაინბეკი, პიტერ ბრიჯისი და საქართველო.....18

პიტერ ბრიჯისი

ჯონ სტაინბეკის ვიზიტი საქართველოში 1963 წელს.....35

ბრანდ რაილსბაი

ჯონ სტაინბეკის შეხედულებები ბუნებრივ გარემოზე და მათი ევოლუცია.....47

თეზურ ტანაძე, თამარ ორაგველიძე

რობერტ კაპას შემოქმედებაში ასახული ქართული რეალები.....60

ენა, ლიტერატურა, ჟღერა, ხალხური, ხალხობა

ლალა აბლაძე

ამერიკული პრესის გამოყენება მთარგმნელთა
ენობრივი უნარების განვითარებისათვის.....69

ქეთევან ანთაძე

მულტიკულტურალიზმი და ქალთა ფილანტროპია ამერიკაში.....75

ირმა ბაგრატიონი

ჯექსონ პოლოკის ამერიკული აბსტრაქტული ექსპრესიონისტული
ფერწერის ესთეტიკური გააზრებისთვის.....89

სოფიო ბაზაძე, რუსუდან ბერიძე

აღრეული აფრო-ამერიკული პოეზიის მხატვრული თავისებურებანი.....98

მანანა გალაშვილი

დროისა და სივრცის მოდელირება
ფოლკლორის რომანში „ნეშტის შემბილწველი“.....107

თამარ გალაშვილი

ვის ეშინია კომუნიკაციის? (კომუნიკაციის პრობლემა ელჟარდ ოლბის პიესაში
„ვის ეშინია ვირჯინია ვულფის?“).....118

ლილიანა გოგიჩაიშვილი

„სითი ლაითს“, სან ფრანცისკო.....126

ნინო ღონდოლაძე

სამხრეთული კოლორიტის შემქმნელი ერთი შტრიხი ფოლკნერთან.....133

ნატალია იმალაშვილი

სოციალური პრობლემატიკა ჯონ სტაინბეკის რომანებში „მრისხანების მტკვნები“ და „ზამთარი ჩვენი მღელვარებისა“.....140

თამარ ხობავაძე

ავტორისა და მკითხველის როლი პოსტმოდერნისტულ ლიტერატურაში (თომას პინჩონის მოთხრობის „ენტროპია“ მიხედვით).....148

მეჩვალა (ბაია) ხოლუაშვილი

„ამერიკული ოცნების“ საკითხისათვის „ახალ ჟურნალიზმში“.....154

ელენე ხრობანაო

ფ. სკოტ ფიცჯერალდის "ჯაზის საუკუნის ზღაპრები": სტრუქტურულ-სემიოტიკური ანალიზი.....165

ელენე მამარიაშვილი, ბაია გალაშვილი

ამერიკული იდენტობის თავისებურებები.....172

ბაიროს მილარი

„სამყაროს დასასრულის მოახლოების განცდა“: ნეობაროკო და პოსტმოდერნიზმი რობერტ ეშლის სატელევიზიო ოპერებში.....187

ირინა სარუნანოვა

ჯორჯ ბალანჩინი საკუთარი შემოქმედების შესახებ.....201

ნინო სურავა

ამინ არ-რეიჰანის „ხალიდის წიგნი“ - არაბული თუ ამერიკული ლიტერატურა?! კიდევ ერთხელ სირიულ-ამერიკული სკოლის კულტურული იდენტობის შესახებ.....211

ელისო ფანცხავა

ტენესი უილაძის „ტრამვაი, სახელად „სურვილი“: თემატიკა და სიმბოლიკა.....222

მარგან ქათალია

არაბი მწერლები ამერიკის შეერთებულ შტატებში.....230

გვანცა ღვინჯილია

ქანრული ინვარიანტის თავისებურებები
იგორ სტრავენსკის ნაწარმოებში REQUIEM CANTICLES242

იარალ შვიდობი

რომანისტი და მორალი: ჰენრი ჯეიმზის
„ბელტრაფიოს ავტორი“ და „ოსტატის გაკვეთილი“.....255

ნუნო ჩარჩინანი, ნათია ჯიქია

გრამატიკული კომუნიკაციის თავისებურებანი
ამერიკულ და ქართულ პრესაში.....266

თამარ ჯიშვილი

ედგარ პო, ჰოვარდ ფილიპს ლავკრაფტი და რობერტ ბლოკი:
ლიტერატურული „გოთიკის“ ტრანსფორმაციები.....279

მაია ჯოლაძე

ანტიამერიკული დისკურსი იოზეფ როთის რომანში „იობი“.....294

თამარ ხაყინიანი

გაუცხობის თემა შერვუდ ანდერსონის
ნოველაში „აუნთებელი ლამპრები“.....305

გია ჯონხაძე

ელიზაბეთი, ლესტერის გრაფი და ელიოტის ეროტიკული ინტერპრეტაცია
(თომას სტერნზ ელიოტის „ბერწი მიწის“ ერთი ალუზიის თაობაზე).....313

**ქართულ-ამერიკული ურთიერთობები, პოლიტიკა, ისტორია,
ეკონომიკა, განათლება, საზოგადოება**

გივი აბაღოვიანი

ქართული პოლიტიკური დისკურსის ზოგადი ანალიზი.....323

მიხეილ ბარნოვი

აპაჩების ტომის სამხედრო ხელოვნების ძირითადი
მახასიათებლები ეძღვნება ჯერონიმოსა და მის მეომრებს.....331

ღარჯან გულაძე

აბრაჰამ მასლოუს თეორიის მნიშვნელობა განათლებაში342

თამარ გოგოლაძე

ი. გოგებაშვილის პირველი პუბლიცისტური წერილი ამერიკის შესახებ....353

რუსუდან ღაუშვილი

თეიმურაზ ბაგრატიონ-მუხრანელი –
ტოლსტოის ფონდის ხელმძღვანელი ამერიკაში.....359

სიმონ თავართქილაძე

საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის
თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულების რეალობა და
მოსალოდნელი შედეგები.....366

ვასილ ჯაჭარავა

რონალდ რეიგანის სტრატეგიული თავდაცვის ინიციატივის
გამოცხადების პირველი ეფექტი საბჭოთა კავშირისა და შეერთებული
შტატების ურთიერთობებზე.....374

გიორგი ჯიბაშვილი

ვაშინგტონის მესამე კონფერენცია - მოკავშირეთა
დიპლომატიური მანევრები მეორე ფრონტის გახსნის ადგილისა
და დროის შესახებ.....383

ნესტან ჯაბივაძე

1860-იანი წლების ჟურნალ „ცისკრის“ პუბლიკაციები ამერიკის შესახებ....389

ნოზარ გვალაძე, თამარ ტანაძე

ანთროპოლოგიური ბიოგრაფიები: ამერიკული ანთროპოლოგის
სათავეებთან - ლუის ჰენრი მორგანი.....401

რუსუდან მიქაბაძე

მე-20 საუკუნის 60-90-იანი წლების ურბანული ბუნტები აშშ-ში:
მიზეზები და შედეგები.....420

ნაბატარიძე მამანაძე

საქართველო ჯონ აბლაიკის შემოქმედებაში.....430

ავთანდილ ნიკოლაიშვილი

ლადო არველაძე – ამერიკაში მოღვაწე უცნობი ქართველი მწერალი.....436

ოთარ ნიკოლაიშვილი

„საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის
ამერიკული საბჭოს“ ისტორიიდან.....447

რუსუდან ნიშნიანიძე

ახალი მასალები ქართული წარმომავლობის ამერიკელი მოქანდაკისა
და მწერლის – ჯორჯ პაპაშვილის შესახებ.....459

ხახაბარ სურგულაძე

ალექსანდრე ჰამილტონი და რომაული სამყარო.....467

ვასილ ფარაძე

ბილ კლინტონის ადმინისტრაციის პოლიტიკა ჩინეთის მიმართ.....473

ბარიალ ჯიღვარია

აშშ-თურქეთის ურთიერთობების დასაწყისი მეორე
მსოფლიო ომის შემდეგ.....479

გიორგი ჯიღვარია

ერაყის ომი და პრობლემები თურქეთ-ამერიკის ურთიერთობებში486

CONTENTS

Editor's Forward.....	15
IRAKLI TSKHVEDIANI JOHN STEINBECK, PETER BRIDGES AND GEORGIA.....	18
PETER BRIDGES JOHN STEINBECK'S 1963 VISIT TO GEORGIA.....	35
BRIAN RAILSBACK JOHN STEINBECK'S ENVIRONMENTAL EVOLUTION.....	47
TEMUR TUNADZE, TAMAR ORAGVELIDZE PHOTOGRAPHS OF GEORGIA: ROBERT CAPA'S 1947 PHOTO-ESSAY.....	60

LANGUAGE, LITERATURE, CULTURE, ART

LELA ABDUSHELISHVILI USING AMERICAN PRESS TO DEVELOP LANGUAGE SKILLS OF TRANSLATORS.....	69
KETEVAN ANTELAVA MULTICULTURALISM AND FEMALE PHILANTHROPISTS IN AMERICA.....	75
IRMA BAGRATIONI ON AESTHETIC UNDERSTANDING OF JACKSON POLLOCK'S AMERICAN ABSTRACT EXPRESSIONIST PAINTING.....	89
SOPHIA BAZADZE, RUSUDAN BERIDZE SOME PECULIARITIES OF EARLY AFRICAN-AMERICAN POETRY.....	98
MANANA GELASHVILI TIME AND SPACE IN WILLIAM FAULKNER'S NOVEL INTRUDER IN THE DUST.....	107
TAMAR GELASHVILI WHO IS AFRAID OF COMMUNICATION? (THE PROBLEM OF COMMUNICATION IN EDWARD ALBEE'S WHO IS AFRAID OF VIRGINIA WOOLF?).....	118
LILIANA GOGICHAISHVILI CITY LIGHTS, SAN FRANCISCO.....	126

NINO DONDOLADZE AN ELEMENT CREATING THE SOUTHERN ATMOSPHERE IN THE NOVELS BY WILLIAM FAULKNER.....	133
NATALIA IMEDASHVILI SOCIAL PROBLEMS IN JOHN STEINBECK'S NOVELS THE GRAPES OF WRATH AND THE WINTER OF OUR DISCONTENT.....	140
TAMAR KOBESHAVIDZE THE ROLE OF THE AUTHOR AND THE READER IN POSTMODERN FICTION (Thomas Pynchon's Story "The Entropy").....	148
MAKVALA (BAIA) KOGUASHVILI OF THE "AMERICAN DREAM" ISSUE IN "THE NEW JOURNALISM".....	154
LENE KROTENKO TALES OF THE JAZZ AGE BY SCOTT FITZGERALD: STRUCTURAL AND SEMIOTIC ANALYSIS	165
ELENE MEDZMARIASHVILI, MAIA GELASHVILI PECULIARITIES OF AMERICAN IDENTITY.....	172
TYRUS MILLER 'THE APPROACH-OF-THE-END-OF-THE-WORLD FEELING': NEO-BAROQUE AND POSTMODERNISM IN ROBERT ASHLEY'S TELEVISION OPERAS.....	187
IRINA SARUKHANOVA GEORGE BALANCHINE ON HIS CREATIVITY.....	201
NINO SURMAVA AMEEN RIHANI'S "THE BOOK OF KHALID": ARABIC OR AMERICAN LITERATURE?! ONCE AGAIN ABOUT CULTURAL IDENTITY OF THE SYRIAN-AMERICAN LITERARY SCHOOL.....	211
ELISO PANTSKHAVA "A STREETCAR NAMED DESIRE": THEMES AND SYMBOLS.....	222
MURMAN KUTELIA ARAB WRITERS IN THE USA.....	230
GVANTSA GVINJILIA PECULIARITIES OF GENRE INVARIANT IN IGOR STRAVINSKY'S COMPOSITION "REQUIEM CANTICLES".....	242

CARL SCHMIDT THE NOVELIST AND MORALITY: ‘THE AUTHOR OF BELTRAFFIO’ AND ‘THE LESSON OF THE MASTER’ BY HENRY JAMES.....	255
NUNU CHARKVIANI, NATIA JKIA CHARACTERISTICS OF GRAMMATICAL COMMUNICATIONS INMODERNAMERICANANDGEORGIANPRESS.....	266
TAMAR CHEISHVILI E.A. POE, HOWARD PHILIPS LOVERCRAFT AND ROBERT BLOCH : TRANSFORMATIONOFLITERARYGOTHICISM.....	279
MAIA CHOLADZE ANTI-AMERICANDISCOURSEINJOSEPHROTH'SNOVELJOB.....	294
TAMAR KHETSURIANI THE THEME OF ALIENATION IN SHERWOOD ANDERSON’S SHORT STORY "UNLIGHTED LAMPS".....	305
GIA JOKHADZE ELIZABETH, LEICESTER AND THE ELIOT’S EROTIC INTERPRETATION (On one allusion of Eliot’s The Waste Land).....	313
GEORGIAN-AMERICAN RELTIONS, POLITICS, HISTORY, ECONOMICS, EDUCATION ADN SOCIETY	
GIVI AMAGLOBELI GENERALANALYSISOFGEORGIANPOLITICALDISCOURSE.....	323
MIKHEIL BARNOV MAIN FEATURES OF WARFARE TRADITIONS OF THE APACHE TRIBE DEDICATEDTOGERONIMOANDHISWARRIORS.....	331
DAREJAN GELADZE THE IMPORTANCE OF THE THEORY OF ABRAHAM MASLOW INEDUCATION.....	342
TAMAR GOGOLADZE THE FIRST PUBLICIST LETTER BY IAKOB GOGEBASHVILI ABOUTAMERICA.....	353
RUSUDAN DAUSHVILI TEIMURAZ BAGRATION-MUKHRANELI - PRESIDENTOFTHETOLSTOYFOUNDATIONINAMERICA.....	359
SIMON TAVARTKILADZE THE FREE TRADE AGREEMENT BETWEEN USA AND GEORGIA SHOULDBETHEMOSTIMPORTANTGOAL.....	366

VASIL KACHARAVA THE FIRST EFFECT OF RONALD REAGAN'S STRATEGIC DEFENSE INITIATIVE ON US-USSR RELATIONS.....	374
GIORGI KVTASHVILI THIRD WASHINGTON CONFERENCE – ALLIED DIPLOMATIC MANEUVERS ABOUT THE PLACE AND TIME OF OPENING OF THE SECOND FRONT.....	383
NESTAN KUTIVADZE JOURNAL ‘TSISKARI’ PUBLICATIONS OF THE 1860S.....	389
NUGZAR MGELADZE, TEMUR TUNADZE ANTHROPOLOGICAL BIOGRAPHIES: SOURCES OF AMERICAN ANTHROPOLOGY – LOUIS HENRY MORGAN.....	401
RUSUDAN MIKAUTADZE URBAN RIOTS IN THE USA IN THE SECOND HALF OF THE 20 TH CENTURY: REASONS AND RESULTS.....	420
EKATERINE MZHAVANADZE GEORGIA IN JOHN UPDIKE’S WORKS.....	430
AVTANDIL NIKOLEISHVILI LADO ARVELADZE – UNKNOWN GEORGIAN AMERICAN WRITER.....	436
OTAR NIKOLEISHVILI FROM THE HISTORY OF “AMERICAN COUNCIL OF RESTORATION OF GEORGIAN INDEPENDENCE”.....	447
RUSUDAN NISHNIANIDZE NEW MATERIALS ABOUT AMERICAN SCULPTOR AND WRITER WITH GEORGIAN ORIGINS – GEORGE PAPASHVILI.....	459
KAKHABER SURGULADZE ALEXANDER HAMILTON AND THE ROMAN WORLD.....	467
VASIL PERADZE THE POLITICS OF BILL CLINTON ADMINISTRATION TOWARDS CHINA.....	473
TARIEL CHIGVARIA THE COMMENCEMENT OF US – TURKISH RELATIONS AFTER THE WORLD WAR II.....	479
GIORGI CHIGVARIA OBSTACLES IN TURKEY – US RELATIONS IN THE CONTEMPORARY STAGE...	486

რედაქტორის წინათქმა

წარმოდგენილი კრებული მოიცავს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2012 წლის 5-6 ოქტომბერს ამერიკისმცოდნეობის VI საერთაშორისო კონფერენციაზე წაკითხულ მოხსენებებს, რომლებიც თემატურად სამ სექციად განაწილდა: **ჯონ სტაინბეკი და საქართველო; ენა, ლიტერატურა, კულტურა, ხელოვნება; ქართულ-ამერიკული ურთიერთობები, პოლიტიკა, ისტორია, ეკონომიკა, განათლება, საზოგადოება.**

კონფერენცია მიეძღვნა ჯონ სტაინბეკის დაბადების 110 წლისთავს - მოგეხსენებათ, ეს მწერალი და მისი შემოქმედება განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს საქართველოში, არა მარტო იმიტომ, რომ სტაინბეკი ნობელიანტი პროზაიკოსი და მხატვრული სიტყვის მსოფლიოში განთქმული ოსტატია, არამედ იმის გამოც, რომ მან ორჯერ იმოგზაურა საქართველოში - 1947 და 1963 წლებში. ამ ისტორიული მნიშვნელობის მოვლენების ირგვლივ უამრავი წერილი, ესეი, მოგონება თუ სტატია იწერებოდა და იწერება დღესაც. ამიტომაც გადავწყვიტე ცალკე გამომეყოს რუბრიკა **ჯონ სტაინბეკი და საქართველო**, რომელიც იწყება ჩემი წერილით **ჯონ სტაინბეკი, პიტერ ბრიჯისი და საქართველო**. მართალია, **პიტერ ბრიჯისმა** - ყოფილმა ამერიკელმა დიპლომატმა, რომელიც ჯონ სტაინბეკს თან ახლდა საბჭოთა რესპუბლიკებში (და მათ შორის საქართველოში) მოგზაურობისას 1963 წელს - ამჯერად კონფერენციისათვის ჩამოსვლა ვერ მოახერხა, მაგრამ კრებულში მაინც შევიტანე ბატონი ბრიჯისის მიერ ქუთაისის უნივერსიტეტში 2011 წლის ოქტომბერში წაკითხული ლექცია **ჯონ სტაინბეკის ვიზიტი საქართველოში 1963 წელს**. სამაგიეროდ, საქართველოში აშშ საელჩოს ფინანსური თანადგომის წყალობით გვეწვია სტაინბეკის შემოქმედების აღიარებული სპეციალისტი, დასავლეთ კაროლინას უნივერსიტეტის პროფესორი **ბრაიან რეილსბეკი**, რომელმაც რამდენიმე საინტერესო მოხსენება წაკითხა ამერიკელი მწერლის შესახებ. ერთ-ერთი მათგანი - **ჯონ სტაინბეკის**

შეხედულებები ბუნებრივ გარემოზე და მათი ეკოლუცია - შევიდა ზემოხსენებულ რუბრიკაში ისევე, როგორც ბათუმელი მკვლევარების, **თემურ ტუნაძისა და თამარ ორაგველიძის** მოხსენება **რობერტ კაპას შემოქმედებაში ასახული ქართული რეალიები**, სადაც ავტორები მოგვითხრობენ დიდი მწერლისა და სახელგანთქმული სამხედრო ფოტოგრაფის საქართველოში მოგზაურობისას ამ უკანასკნელის მიერ გადაღებული ფოტოების შესახებ.

ტრადიციისამებრ, ამჯერადაც გვესტუმრობდა ჩვენი ამერიკელი მეგობარი, კალიფორნიის სანტა კრუზის უნივერსიტეტის პროფესორი, ამავე უნივერსიტეტის ვიცე-პროვოსტი და მაგისტრატურის დეკანი, **ტაირუს მილერი** (იგი 2006 წლიდან რეგულარულად მონაწილეობს ჩვენს კონფერენციებში), რომლის მოხსენებამაც **"სამყაროს დასასრულის მოახლოების შეგრძნება": ნეობაროკო და პოსტმოდერნიზმი რობერტ ეშლის ოპერებში** მსმენელის დიდი მოწონება დაიმსახურა. რაღა თქმა უნდა, მისი მოხსენებაც შეტანილია წინამდებარე კრებულში.

ამ კონფერენციაზე პირველად გვესტუმრობდა ძველი ნაცნობი, ოქსფორდის უნივერსიტეტის ბალიოლის კოლეჯის პროფესორი, **კარლ შმიდტი**, რომელმაც აუდიტორია მოხიბლა თავისი ორატორული ნიჭითა და მოხსენების თემის სიღრმისეული გააზრებით. დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია მის ესეის **რომანისტი და მორალი: ჰენრი ჯეიმზის „ბელტრაფიოს ავტორი“ და „ოსტატის გაკვეთილი“** გაეცნოს რუბრიკაში **ენა, ლიტერატურა, ხელოვნება, კულტურა**.

ამერიკის სულიერი და მატერიალური კულტურის, მისი ისტორიისა და პოლიტიკის, განათლების სისტემისა და საზოგადოებრივი ყოფის შესახებ უაღრესად საინტერესო მოხსენებები წაიკითხეს ჩვენმა კოლეგებმა თბილისიდან, თელავიდან, გორიდან, ბათუმიდან და, რაღა თქმა უნდა, ქუთაისიდან - კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო საქართველოს თითქმის ყველა უმაღლესი სასწავლებელი, სადაც ამერიკას იკვლევენ და ასწავლიან.

არც კონფერენცია იქნებოდა ესოდენ საინტერესო და მრავალფეროვანი და ალბათ არც ეს კრებული დაიბეჭდებოდა, რომ არა ამერიკის საელჩოსა და უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის მხარდაჭერა, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით მათ. ცალკე აღნიშვნის ღირსია საელჩოს საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახურის ხელმძღვანელი, ქალბატონი **იაროსლავა (ლოლა) პეტროვა**, რომელთანაც ძალიან მჭიდროდ ვთანამშრომლობდით კონფერენციის მომზადების პროცესში.

დაბოლოს, განსაკუთრებული მადლობა უნდა ვუთხრა კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის წევრებს - ქალბატონებს: **ია იაშვილსა და ბაია არსენიძეს, მალვინა დავითულიანსა და მარინა ქუთათელაძეს, ბატონ დავით გეგეჭკორს**, რომელთაც ძალიან დიდი ჯაფა გასწიეს კონფერენციის მადალ დონეზე ორგანიზებისათვის.

ირაკლი ცხვედიანი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის პროფესორი
კრებულის მთავარი რედაქტორი

Editor's Forward

The volume includes selected papers from the VI International Conference in American Studies held at Akaki Tsereteli State University on October 5-6, 2012. The published essays are divided into three sections: ***John Steinbeck and Georgia; Language, Literature, Culture, Arts; Georgian-American relations, Politics, History, Economics, Education and Society.***

The conference was dedicated to the 110th anniversary of John Steinbeck's birth. Steinbeck is an extremely popular figure in Georgia not only because he was a Nobel Prize winning author and an outstanding master of belles lettres, but also due to the fact that he visited Georgia twice during Soviet times - in 1947 and 1963. Numerous essays, articles and memoirs scrutinizing these visits have been published in Georgia. For this reason I decided to add a new section entitled ***John Steinbeck and Georgia*** to this conference volume. It opens with my own essay ***John Steinbeck, Peter Bridges and Georgia.*** Despite the fact that **Mr. Peter Bridges** - former American diplomat who accompanied Steinbeck to Georgia as an interpreter and a guide during his 1963 visit - was unable to come to Georgia for this conference, I included the talk he gave at Kutaisi University on October, 2011 in the present volume - my essay is followed by Mr. Bridges' article ***John Steinbeck's Visit to Georgia in 1963.*** The section also includes ***John Steinbeck's Environmental Evolution*** - an essay by one of the key speakers, Professor **Brian Railsbeck**, a renowned Steinbeck scholar from Western Carolina University (USA) who honored us with his presence. The section also includes an interesting paper co-authored by our colleagues from Batumi **Temur Tunadze and Tamar Oragvelidze** - it deals with Robert Capa's 1947 photo-album of Georgia made during the photographer's travel in Georgia together with John Steinbeck (***Photographs of Georgia: Robert Capa's 1947 Photo-Essay.***

The conference program included keynotes and notable presentations delivered by internationally recognized scholars: our friend and colleague from the University of California in Santa Cruz, Professor

Tyrus Miller on Neo-Baroque and postmodernism in Robert Ashley's TV Operas (*'The Approach-of-the-End-of-the-World' Feeling: Neo-Baroque and Postmodernism in Robert Ashley's Television Operas*); Professor **Carl Schmidt** from Oxford University (Balliol College, UK) on the morality and novelist's craft in Henry James's fiction (*The Novelist and Morality: 'The Author of Beltraffio' and 'The Lesson of the Master' by Henry James*).

Both well-known scholars and up-and-coming younger ones from almost all major Georgian institutions of higher education also participated in the conference.

The conference would not have been so interesting and probably this volume would not have been published either without financial support of the US Embassy in Tbilisi and the administration of Akaki Tsereteli State University. I am deeply grateful to them. Special thanks are extended to the Public Affairs Officer at the US Embassy **Yaroslava (Lola) Petrova** whose unfailing efforts made the conference as fruitful as it was.

And last, but not least, I would like to express my gratitude to the members of conference organizational committee - **David Gegechkori, Ia Iashvili, Baia Arsenidze, Malvina Davituliani** and **Marina Kutateladze** who did their best to make the conference a success.

Irakli Tskhvediani

Professor, Akaki Tsereteli State University
Volume Editor

ჯონ სტაინბეკი და საქართველო

JOHN STEINBECK AND GEORGIA

ირაკლი ცხვედინი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

ჯონ სტაინბეკი, პიბარ ბრიჯისი და საქართველო

ექვზენება ვახტანგ ამადლობელის ხსოვნას

საქართველოში მეტ-ნაკლებად ლამის ყველამ, დიდმა თუ პატარამ, იცის ჩვენს ქვეყანაში ჯონ სტაინბეკის ორი ვიზიტის (1947 და 1963 წლებში) შესახებ¹, თუმცა ბოლო დრომდე არათუ ფართო საზოგადოებისათვის, არამედ თვით ამ საკითხით დაინტერესებულ მკვლევართა ვიწრო წრისთვისაც კი, ფაქტობრივად, არაფერი იყო ცნობილი იმ ამერიკელ დიპლომატზე, რომელიც, როგორც გიდი და თარჯიმანი, თან ახლდა ჯონ სტაინბეკს 1963 წელს საქართველოში მოგზაურობისას და ამ უკანასკნელის გარდაცვალებამდე მჭიდრო მეგობრული ურთიერთობები აკავშირებდა მასთან. მიუხედავად ქართულ ლიტერატურულ ჟურნალ-გაზეთებსა თუ სამეცნიერო კრებულებში ამერიკელი მწერლის მეორე ვიზიტთან დაკავშირებით წლების განმავლობაში გამოქვეყნებული საკმაოდ მრავალრიცხოვანი მოგონებებისა და წერილებისა, არც ამ ისტორიული მოვლენის მომსწრეთ გახსენებათ იგი და არც შემდგომი თაობის მკვლევარებს უხსენებიათ თავიანთ ნაწერებში, რაც გასაკვირი სულაც არ არის - როგორც ჩანს, მთელი ყურადღება მიპყრობილი იყო დიდი მწერლის ფიგურისაკენ, რომელმაც ბუნებრივად დაჩრდილა მისი თანმხლების მოკრძალებული პერსონა. საბედნიეროდ, ამ რამდენიმე წლის წინათ, ჩემმა აწ გარდაცვლილმა მეგობარმა და კოლეგამ, პროფესორმა ვახტანგ ამადლობელმა ხელახლა „აღმოაჩინა“ ეს პიროვნება ქართული საზოგადოებრივი ცნობიერებისათვის.

ეს ამბავი ასე დაიწყო: საბჭოთა კავშირში სტაინბეკის მეორე მოგ-

¹ 1947 წელს სახელგანთქმულ ფოტოგრაფთან, რობერტ კაპასთან ერთად საქართველოში მოგზაურობის შთაბეჭდილებანი ჯონ სტაინბეკმა საკმაოდ ვრცლად აღწერა კაპას მიერვე ილუსტრირებული და 1948 წელს გამოცემული წიგნის *Russian Journal* (რუსული დღიური) მე-7 და მე-8 თავებში (Steinbeck 1999: 144-189).

ზაურობის ანგარიშის თარგმნისას² ვახტანგ ამაღლობელი ტექსტში წააწყდა ვინმე პიტერ ბრიჯისის სახელს - იმ დიპლომატისა, რომელიც ამ ნახევარი საუკუნის წინათ აშშ-ის საელჩოში მუშაობდა მოსკოვში და, როგორც გიდი და თარჯიმანი, ჯონ სტაინბეკს თან ახლდა საბჭოთა რესპუბლიკებში სტუმრობის დროს. მწერალი დადებითად ახასიათებს მის თანმხლებ დიპლომატს და, მეტიც, აღფრთოვანებულად კი ჩანს მისი პიროვნებით: „ჩვენ საელჩოს თარჯიმანი ვთხოვე და პიტერ ბრიჯისი, მეორე მდივანი მოავლინეს - შესანიშნავი ახალგაზრდა კაცი, რომელიც არამარტო თავისუფლად ფლობდა რუსულს, რუსეთის ისტორიისა და ლიტერატურის დიდებული მცოდნეც აღმოჩნდა. დახმარება ორივეში მჭირდებოდა. განუზომელი იყო მისი თანადგომა ... მას ყველგან მოწონებით ხვდებოდნენ და ეპატივებოდნენ" (სტაინბეკი 2010: 14-15).³ ვახტანგ ამაღლობელი ამ პიროვნების შესახებ ინფორმაციის მოძიებას შეუდგა და „სტაინბეკ რივიუს" ერთ-ერთ ნომერში მიაკვლია კიდევ პიტერ ბრიჯისის წერილს, სადაც აღწერილია 1963 წელს საბჭოთა კავშირში სტაინბეკის მოგზაურობის პერიპეტეიები (Bridges 2007: 80-94).⁴ ბატონმა ვახტანგმა, რომლის-

2 კარგა ხნის მივიწყებული ეს ანგარიში ბატონი ვახტანგის თხოვნით არქივში მოიძია და მას გამოუგზავნა სან ზოხეს უნივერსიტეტის (კალიფორნია, აშშ) მართა პირსლი კოქსის სახელობის ჯონ სტაინბეკის კვლევის ცენტრის თანამშრომელმა, ბატონმა სტოზ ტეცმა. ანგარიშის ვახტანგ ამაღლობელისეული ქართული თარგმანი გამოქვეყნდა ჟურნალ *ჩვენ მწერლობაში* (სტაინბეკი 2010: 13-19).

3 ალბათ მკითხველისათვის საინტერესო იქნება პიტერ ბრიჯისის მოკლე ბიოგრაფიული ცნობების გაცნობა: პიტერ ბრიჯისი დაიბადა ნიუ ორლეანში 1932 წელს. 1953 წელს მიიღო ბაკალავრის ხარისხი დარტმუთის კოლეჯში, ხოლო 1955 წელს სლაუერ ენთა მაგისტრის ხარისხი კოლუმბიის უნივერსიტეტში. იგი წლების განმავლობაში მუშაობდა ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტში ვაშინგტონში, ასევე აშშ საელჩოებში პანამაში, მოსკოვში, პრაღაში, რომსა და სომალიში. 1984-1986 წლებში იგი იყო ამერიკის ელჩი სომალიში. 1986 წლიდან ბრიჯისი ტოვებს სახელმწიფო სამსახურს და მუშაობას იწყებს მსხვილი ნავთობკომპანიის („შელი") ჰუსტონის განყოფილებაში საგარეო საქმეთა დეპარტამენტის ხელმძღვანელად, მოგვიანებით კი ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის წარმომადგენლად პრაღაში.

პიტერ ბრიჯისი არის რამდენიმე წიგნის ავტორი, სადაც ასახულია მისი, როგორც დიპლომატის, გამოცდილება, ასევე ამერიკული დიპლომატიის ისტორიის ზოგიერთი საკვანძო მომენტი. მას ასევე გამოქვეყნებული აქვს 70-ზე მეტი სტატია, ესეი და რეცენზია პრესტიჟულ საერთაშორისო ჟურნალებში. იგი, როგორც დამოუკიდებელი ლექტორი, დღემდე კითხულობს ლექციებს ამერიკისა და ევროპის სხვადასხვა უნივერსიტეტში დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა საკითხებზე.

4 სტატიაში უშუალოდ სტაინბეკის საქართველოში სტუმრობის აღწერას მხოლოდ ერთი აბზაცი ეთმობა (Bridges 2007: 86). გარდა ამისა, მისივე აღიარებით, ბატონმა ბრიჯისმა აშშ სახელმწიფო დეპარტამენტს რამდენიმე ანგარიში გაუგზავნა სტაინბეკის საბჭოთა კავშირში

თვისაც ხანგრძლივ და მძიმე ავადმყოფობასაც ვერ ჩაეჭრო მკვლევარის დაუცხრომელი ცნობისწადილი და ახლის ძიების დაუშრეტელი წყურვილი, როგორღაც მოახერხა დაკავშირებოდა ყოფილ ამერიკელ დიპლომატს და საკმაოდ მჭიდრო ურთიერთობა დაემყარებინა მასთან ინტერნეტისა თუ სატელეფონო საუბრების მეოხებით. იგი აპირებდა კიდევ ბატონი ბრიჯისის მოწვევას ქუთაისში ამერიკისმცოდნეობის მე-5 საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად 2010 წლის შემოდგომაზე, მაგრამ მაშინ, გარკვეული მიზეზების გამო, ვიზიტის დაფინანსება ვერ მოხერხდა. სამწუხაროდ, ბატონი ვახტანგი იმავე შემოდგომაზე გარდაიცვალა და, ბუნებრივია, პიტერ ბრიჯისთან კავშირიც ღროებით შეწყდა. მე ბატონი ვახტანგისაგან ვიცოდი მისი არსებობის შესახებ და მეტ-ნაკლებად მათი მიმოწერის შინაარსსაც ვიცნობდი.

იმავე შემოდგომაზე ფულბრაიტის სტიპენდიით აშშ-ში გავემგზავრე კალიფორნიის უნივერსიტეტში (კალიფორნიის უნივერსიტეტი სანტა კრუზში, აშშ) კვლევით პროექტზე სამუშაოდ. წარმოიდგინეთ, რაოდენ დიდი იქნებოდა ჩემი გაკვირვება, როცა სანტა კრუზში ყოფნისას, სალინასში სტიანბეკის ეროვნული ცენტრისა (National Steinbeck Centre) და მისი სახლ-მუხუემის მონახულებიდან მეორე დღეს (ესეც საოცარი დამთხვევა!), პროფესიული ქსელის LinkedIn საშუალებით მივიღე დამეგობრების თხოვნა პიტერ ბრიჯისისაგან - კაცს, რომელიც საქართველოში ნახევარი საუკუნის წინათ იმყოფებოდა ხანმოკლე ვიზიტით, ათწლეულების შემდეგაც, უკვე მოხუცებულს, არათუ ინტერესი არ განელებოდა ამ პატარა ქვეყნისადმი, არამედ იმდენად დიდი სურვილი აღმოაჩნდა საქართველოსთან ცოტა ხნის წინ განახლებული ურთიერთკავშირის შენარჩუნებისა, რომ ბატონი ვახტანგის გარდაცვალების შემდეგ ინტერნეტის საშუალებით დაუწყო ძებნა მის კოლეგებს ქუთაისის უნივერსიტეტიდან.

. . .

ქართული საზოგადოებისა და აკადემიური წრეების ინტერესი ჯონ სტიანბეკის საქართველოში ვიზიტებისადმი არასოდეს განელებულა, თუმცა ამ ბოლო წლებში ეს ინტერესი განსაკუთრებით გაძლიერდა⁵, რასაც ვახტანგ ამალლობელისა (ამალლობელი 2006: 204-213;

ვიზიტის შესახებ და მათ შორის სულ ცოტა ერთი მაინც - საქართველოსა და სომხეთში მოგზაურობის შესახებ. ეს მოხსენებები ინახება აშშ ეროვნულ არქივებში და სავარაუდოდ, ხელმისაწვდომია ამ თემატიკით დაინტერესებული მკვლევარებისათვის.

5 2008 წელს ოლიკო ჟღენტმა დოკუმენტური ფილმიც კი გადაიღო სათაურით: „ჯონ

ამაღლობელი 2007: 2-4; ამაღლობელი 2009: 14-15; Amaglobeli 2008: 56-61; Amaglobeli 2009: 45-53) და როსტომ ჩხეიძის (ჩხეიძე 2008: 389-398) პუბლიკაციებიც მოწმობს. ეს პუბლიცისტური წერილები თუ ესეები საყურადღებოა იმით, რომ მათში საქართველოში სტაინბეკის მეორე მოგზაურობა ახლებურადაა გააზრებული. კერძოდ, მათი ავტორები ამტკიცებენ, რომ სტაინბეკი საქართველოში ორჯერ კერძო ვიზიტით კი არ იმყოფებოდა, არამედ ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციის მიერ დაკისრებული საიდუმლო პოლიტიკური მისიით. როგორც როსტომ ჩხეიძე აღნიშნავს წერილში „ჯონ სტაინბეკის საიდუმლო“:

„და ოლიგო ფენტი 1963 წლის ამ მეზავრობის მიზანს ალღოთ რომ მიაკვლევდა: აქ იმჟამად იგულისხმებოდა ამერიკელთა რაღაც ინტერესი და სტაინბეკს აშკარად რაღაც მისია დაკისრებოდაო, - ვახტანგ ამაღლობელი ქართულ და ამერიკულ მეძუარულ-დოკუმენტურ ცნობებზე დაყრდნობით გაშლიდა და სარწმუნოს გახდიდა ამ მიხვედრას - ვარაუდს დამაჯერებელ ვერსიად გადააქცევდა და ამ მოგზაურობას შეარქმევდა სტაინბეკის საგანგებო მისიას საქართველოში“ (ჩხეიძე 2008: 390).



მარჯვნივდან მარცხნივ: ვახტანგ ჭელიძე, სერგი ჭილაია, ჯონ სტაინბეკი, იოსებ ნონეშვილი, ელენ სტაინბეკი, ბიტერ ბრიჯისი, დაუდგენელი პიროვნება (სავარაუდოდ სუკ-ის აგენტი). ფაილისი. 1963

სტაინბეკი და რუსული დღიური 60 წლის შემდეგ.”

6 ბატონი როსტომი გულისხმობს ჟურნალ ჩვენი მწერლობაში გამოქვეყნებულ დიალოგს ლელა ოჩაურსა და ოლიგო ფენტს შორის („რა იპოვეს ჰამსუნმა და სტაინბეკმა საქართველოში?“), სადაც ეს უკანასკნელი აღნიშნავს: „ალბათ, აქ, იმჟამად ჩადებული იყო ამერიკელების რაღაც ინტერესები და სტაინბეკს, აშკარად რაღაც მისია ჰქონდა დაკისრებული“ (ფენტი 2007: 18-22). აქვე აღნიშნავს, რომ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, სინამდვილეში ანალოგიური მოსაზრება უფრო ადრე, ჯერ კიდევ 2006 წელს გამოთქვა ვახტანგ ამაღლობელმა ესეიში „სტაინბეკის ვიზიტი საქართველოში სსრკ-აშშ ურთიერთობათა კონტექსტში“ (ამაღლობელი 2006: 204-213).

მე დაეძინა, როსტომ ჩხეიძე არა მარტო გაიზიარებს ამ ვარაუდს, არამედ დამატებითი არგუმენტებით მის გამყარებასაც შეეცდება.

მაინც კონკრეტულად რა საგანგებო მისიას გულისხმობდა ვახტანგ ამალლობელი? რა აძლევდათ ამგვარი ვარაუდის საფუძველს მას და როსტომ ჩხეიძეს?

2006 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში „სტაინბეკის ვიზიტი საქართველოში სსრკ-აშშ ურთიერთობების კონტექსტში (საქართველოს სსრ მწერალთა კავშირისა და პოეტ კოლაუ ნადირაძისადმი მიწერილი წერილები)“⁷ ვახტანგ ამალლობელს ეს დასკვნა გამოაქვს სტაინბეკის მიერ საქართველოში გამოგზავნილი ორი წერილის ანალიზის საფუძველზე - ერთია საქართველოს მწერალთა კავშირისათვის 1964 წლის 15 იანვარს გამოგზავნილი წერილი⁸, ხოლო მეორე - ცნობილი ქართველი პოეტის, კოლაუ ნადირაძისადმი მიწერილი ბარათი⁹.

მკვლევარი ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ პირველი მათგანი, სტაინბეკის მიერ სხვა საბჭოური რესპუბლიკების მწერალთა კავშირებისათვის გაგზავნილი წერილებისაგან განსხვავებით, საბჭოთა პერიოდში ტაბუდადებული იყო, არც რესპუბლიკურ პრესაში გამოქვეყნებულა და არც - საკავშიროში. ვახტანგ ამალლობელი ამ გარემოებას იმით ხსნის, რომ, მისი აზრით, ეს წერილი სცდება წმინდა საპროტოკოლო-სამადლობელი წერილის ფორმატს და უაღრესად მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენს ქართულ-ამერიკულ ურთიერთობებში, სადაც „პირველად ქარაგმულად, თუმცა სავსებით ნათლად გამჟღავნდა ამერიკის გეგმები საქართველოსთან მომავალი სტრატეგიული თანამშრომლობის შესახებ“ (ამალლობელი 2006: 208-209).

7 სტატიის ინგლისური თარგმანი დაიბეჭდა „სტაინბეკ რივიუში“ სათაურით "Steinbeck's Visit to Georgia in the Context of USSR-USA Relations" (Amaglobeli 2009: 45-53). საერთოდ, ბოლო წლებში ვახტანგ ამალლობელი აქტიურად მუშაობდა თემაზე „ამერიკელი მწერლები და საბჭოთა საქართველო“, მონოგრაფიასაც ამზადებდა გამოსაცემად, რაც, სამწუხაროდ, ვეღარ მოასწრო.

8 ამ წერილის თამარ ერისთავისეულმა თარგმანმა მხოლოდ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, 1991 წელს იხილა დღის სინათლე (გავაშედიშვილი 1991).

9 ამ ბარათის რუსული თარგმანი თავად ბატონმა ვახტანგმა აღმოაჩინა საქართველოს გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის არქივში. ბარათის ვახტანგ ამალლობელისეული ქართული თარგმანი გამოქვეყნდა ჟურნალში *ჩვენი მწერლობა* (სტაინბეკი 2008: 33-34), ხოლო ინგლისურენოვანი ორიგინალი დაიბეჭდა შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ გამოცემულ ამერიკისმცოდნეობის ჟურნალში (Amaglobeli 2008: 56-61).

ამის დასტურად მკვლევარს მოჰყავს შემდეგი ამონარიდი სტაინბეკის აღნიშნული ბარათიდან: „მე ვიცი ისტორიაც და პრეისტორიაც ამ ორ სამყაროს შორის მდებარე ზღურბლისა - როგორ იზიდავდა იგი ყოველი მხრიდან მგლებს, რომლებიც ანთებული თვალებით დაეძებნენ ჯერ კიდევ დაუპყრობელ მიწებს და ისწრაფვოდნენ გამოეკეტათ კარები, რათა ამ გასასვლელს დაპატრონებოდნენ. ჩანს, ეს მოხდება, - და ჩვენც, ამაზე გულმხურვალედ რაღას ვინატრებდით, - რომ დროისა და ვითარების წყალობით ყველა მგელი გალიაში დაიმწყვდეს და მსოფლიოში ყველა კარი გაიხსნას. ეს ჩემი ლოცვისმაგვარი სურვილია და რომ შემძლებოდა ჩემთვის მისია ამერჩია, სწორედ ამას ავირჩევდი - ხელი შემეწყო მგლების დამწყვდევისა და კარების გახსნისათვის“ (ამაღლობელი 2006: 208-209).

მართლაც, „მგლის“ ალეგორია იმდენად გამჭვირვალეა, რომ გასაგები ხდება საბჭოური ცენზურის მიერ ამ წერილის ტაბუირების მიზეზი. გარდა ამისა, მკვლევარი იმოწმებს ეპიზოდს ვახტანგ ჭელიძის მემუარული ხასიათის წერილიდან „ამერიკა განსაცდელში არ მიგატოვებთ“, სადაც ეს უკანასკნელი იგონებს ქართველ მწერლებთან ერთ-ერთ შეხვედრაზე სტაინბეკის მიერ ნათქვამ სიტყვებს: „ახლა სხვა დროა, სხვა ეპოქაში ვცხოვრობთ, დიდი სახელმწიფოები მფარველობას გაუწევენ მცირერიცხოვან ერებს... ამერიკა განსაცდელში არ მიგატოვებთ... ამის იმედი უნდა გქონდეთ ...“ (ჭელიძე 1996).

ამ არგუმენტების მოშველიებით ვახტანგ ამაღლობელი ცდილობს დაასაბუთოს თავისი მოსაზრება, რომ სტაინბეკის მეორე მოგზაურობას საბჭოთა კავშირში საგანგებო პოლიტიკური დატვირთვა ჰქონდა: „სტაინბეკის მაშინდელი სტუმრობა მნიშვნელოვანი მოვლენა იყო და იგი განხილული უნდა იქნას „ცივი ომის“ მდგომარეობაში მყოფი ქვეყნების - სსრკ-სა და აშშ-ს ურთიერთობების კონტექსტში. სტუმრობის მიზანი მართო კულტურული გაცვლითი პროგრამების ფარგლებში არ უნდა განვიხილოთ, მას პოლიტიკური დატვირთვაც ჰქონდა. ამაზე ისიც მიუთითებს, რომ მწერალი აღნიშნულ ვიზიტს მისი ქვეყნის პრეზიდენტის, ჯონ კენედის თხოვნით ასრულებდა, რასაც თავად ადასტურებს“ (ამაღლობელი 2006: 206).

2007 წელს ჟურნალ *ჩვენ მწერლობაში* გამოქვეყნებულ წერილში „სტაინბეკის საგანგებო მისია საქართველოში“ ვახტანგ ამაღლობელი, ეხმაურება რა ამავე ჟურნალში დაბეჭდილ დიალოგს ლელა

ორიასა და ოლიგო ჟღენტს შორის („რა იპოვეს ჰამსუნმა და სტაინბეკმა საქართველოში?“ (ჟღენტი 2007: 18-22)), კვლავ უბრუნდება ამ თემას და მთლიანად იზიარებს ოლიგო ჟღენტის მიერ საქართველოში სტაინბეკის მეორე მოგზაურობის შესახებ გამოთქმულ მოსაზრებას, რომ ამერიკელი მწერალი რაღაც განსაკუთრებული მისიით იმყოფებოდა ჩვენს ქვეყანაში: „..რამაც უფრო გადამაწყვეტინა გამოხმაურება, არის სტაინბეკის საქართველოსთან ურთიერთობის შესახებ ქ-ნ ოლიგოს მიერ გამოთქმული უაღრესად საინტერესო მოსაზრებანი და ვარაუდები, რომელთაც მთლიანად ვიზიარებ ... დიას, აქ არ შეიძლება არ დავეთანხმოთ ქ-ნ ოლიგოს, რადგან ჩემი ვარაუდითაც სტაინბეკი 1963 წელს, შეიძლება ითქვას, საგანგებო მისიით იყო ჩამოსული საბჭოთა კავშირში, განსაკუთრებით კი საქართველოში“ (ამაღლობელი 2007: 2).

არც ოლიგო ჟღენტი და არც ვახტანგ ამაღლობელი არ აკონკრეტებენ, თუ მაინც რაში მდგომარეობდა ეს „საიდუმლო მისია“, რომლითაც ჯონ კენედიმ თავისი სახელოვანი სეხნია მიავლინა საბჭოთა კავშირში, ან თუნდაც საქართველოსთან სტრატეგიული თანამშრომლობის რა გეგმებს სახავდა ამერიკა. ბატონი ვახტანგი გამოცდილი მკვლევარის სიფრთხილითა და ზომიერებით ეკიდება საკითხს, მხოლოდ მინიშნებებით შემოიფარგლება და ამ მიმართულებით აღარ განავრცობს მსჯელობას, თავს არიდებს საბოლოო დასკვნის გამოტანას (ალბათ, სათანადო დოკუმენტებისა და ფაქტების სიმწირის გამო) და საჭიროდ მიიჩნევს აღნიშნულ საკითხებზე კვლევა-ძიების გაგრძელებას (ამაღლობელი 2006: 211).

სამაგიეროდ, უფრო შორს მიდის ბატონი როსტომ ჩხეიძე, რომელიც ესეიში „ჯონ სტაინბეკის საიდუმლო“, ჟღენტისა და ამაღლობელის მოსაზრებების გათვალისწინებით, თავისებურ ახსნას უძებნის კოლაუ ნადირაძისათვის იდუმალი უცნობის მიერ უცხოეთიდან ირლანდიელი პოეტის, უილიამ ბატლერ იეიტსის დიდტანიანი პოეტური კრებულის გამოგზავნის ფაქტს და მას საქართველოში ჯონ სტაინბეკის მეორე მოგზაურობას უკავშირებს. ესეის ავტორი მიიჩნევს, რომ კრებულის გამოგზავნი მარტო არ მოქმედებდა და მის უკან მთელი გუნდი იდგა: „ერთი პიროვნების საქციელს არა ჰგავდა. აშკარად გუნდი იგულისხმებოდა გამოგზავნის მიღმა, რამხელა გუნდი, ძნელია ეს ამოგვეცნო, მაგრამ უთუოდ ადამიანთა კრებული და არცთუ

მცირერიცხოვანი" (ჩხეიძე 2008: 289-390).¹⁰ ვახტანგ ამალლობელისა და ოლიგო ჟღენტის კვალობაზე, ბატონი როსტომიც ჯონ სტაინბეკის საქართველოში მეორე მოგზაურობის მიზანს ახასიათებს როგორც „საკმაოდ გამოკვეთილსა და ღრმააზროვანს, მსოფლიო პოლიტიკის ნაწილს და არა გაცვლითი პროგრამის, რომლის სახელწოდებასაც უნდა შეენიღბა ამერიკის პრეზიდენტის ჯონ კენედის პირადი დავალება, დიპლომატებს რომ ვერ მიანდობდა და აღმასრულებლად მწერალი ერჩივნა, თანაც რა რანგის მწერალი - რაც მიუწვდომელი დარჩებოდათ დიპლომატებსა და თუ სხვა პოლიტიკოსებს, ჯონ სტაინბეკისათვის უფრო ადვილი მოსახელთებელი უნდა ყოფილიყო" (ჩხეიძე 2008: 390).

მანც რა დავალება მისცა პრეზიდენტმა სტაინბეკს ისეთი, რომლის შესრულებაც დიპლომატებს არ შეეძლოთ და რომელიც გაცვლითი პროგრამის სახელით შენიღბეს? ანდა ვინ იყო ის იდუმალი უცნობი, ვინც კოლაუ ნადირაძეს, რომელმაც არც ინგლისური იცოდა და არც იეიტსის სახელი სმენოდა ოდესმე, ირლანდიელი პოეტის კრებული გამოუგზავნა? ითვალისწინებს რა ვახტანგ ამალლობელის მოსაზრებებსა და ვახტანგ ჭელიძის მოგონებებს, ასევე ამერიკელი მწერლის მიერ საქართველოს სსრ მწერალთა კავშირისა და კოლაუ ნადირაძისადმი გამოგზავნილი წერილების შინაარსს, როსტომ ჩხეიძე ასკვნის, რომ ამ წიგნის გამოგზავნა სწორედ საქართველოში სტაინბეკის მეორე სტუმრობას უკავშირდება და მისი გამოგზავნის მიზანი სტაინბეკის მისიისათვის სათანადო ნიადაგის შემზადება იყო:

„კოლაუ ნადირაძესაც რომ მოსწერდა ბარათს, ვითომდა მხოლოდ მაღლიერებისას, - ამ წერილის არსებობა, მისი აღმოჩენა განა იეიტსის კრებულის გამოგზავნის საიდუმლოებას არ გვიაშკარავებს? კრებული გამოგზავნილია სტაინბეკის სტუმრობამდე.

წინასწარვე მზადდება ის განწყობილება, რაც მწერლის ჩამოსვლამ კიდევ უფრო უნდა გააღვივოს და განამტკიცოს. გზავნილის მინიშნებას მეტი ძალა და მხურვალება შესძინოს" (ჩხეიძე 2008: 391).

¹⁰ როსტომ ჩხეიძის ამ მოსაზრებას სრულიად იზიარებდა ვახტანგ ამალლობელიც. უფრო მეტიც, გამოეხმაურა რა ჩხეიძის ესეის, მან ამ გუნდის „შემადგენლობა" და მიზნებიც კი დააკონკრეტა: „ნამდვილად რომ გუნდი იქნებოდა და თანაც საკმაოდ მრავალრიცხოვანი. ჩემი წარმოდგენით, ეს იქნებოდა ამერიკის პრეზიდენტის ჯონ კენედის მიერ შექმნილი გუნდი, რომელშიც პროფესიონალი პოლიტიკოსები და საუნივერსიტეტო აკადემიური წრეების წარმომადგენლები იყვნენ გაერთიანებულნი, საბჭოთა სისტემის დასუსტება რომ ჰქონდათ ჩაფიქრებული" (ამალლობელი 2009: 14).

იქვე ბატონი როსტომი იმასაც განმარტავს, თუ რატომ შეარჩიეს მაინცდამაინც იეიტსის კრებული და რა განწყობილებები უნდა გაეღვივებინა მას: „რატომ მაინცდამაინც იეიტსი - ირლანდიელი პოეტი და ეროვნული მოღვაწე - და არა რომელიმე ამერიკელი ან ინგლისელი შემოქმედი მასზე არანაკლები? სწორედ მისი ირლანდიელობა და ეროვნული მოღვაწეობაა ის გამჭვირვალე ქარაგმა, რაც გულისხმობს ეროვნული მოძრაობის გაღვივებას საქართველოში მწერალთა თაოსნობით, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვის შენიღბვას ლიტერატურული მოღვაწეობითა თუ თეატრის ეროვნული სულისკვეთების გამძაფრებით - ირლანდიური აღორძინების ეპოქა რა გზასაც დადგომოდა იეიტსის მეთაურობით.

თუ ასეთი რამ არ არსებობდა საქართველოში, დაე ახლა მაინც მოეკიდა ფესვი მათ გულში ამ სწრაფვას, და თუკი ისედაც წრიალებდა იატაკქვეშ, უფრო მომძლავრებულიყო საერთაშორისო თანადგომის იმედით" (ჩხეიძე 2008: 391-392).

როგორც ვხედავთ, ორივე მკვლევარის - ვახტანგ ამაღლობელია და როსტომ ჩხეიძის - აზრით, 1963 წელს სტაინბეკი საბჭოთა კავშირში აშშ ადმინისტრაციის მიერ დაკისრებული საიდუმლო მისიით იყო მოვლინებული, ხოლო იმავე წელს საქართველოში მისი მოგზაურობის მიზანს ქართველ მწერლებში თავისუფლებისა და წინააღმდეგობის სულის გაღვივება წარმოადგენდა, რაც გადაჯაჭვული იყო „საპყრობილის კარის გაღებისა" და „საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის" დიდ პოლიტიკურ განზრახვასთან (ჩხეიძე 2008: 398).

ვიცნობდი რა ზემოთ განხილულ ესეებსა თუ წერილებში გამოთქმულ მოსაზრებებს (უნდა ვაღიარო, ცოტა არ იყოს, თავიდანვე სეკუტიკურად ვიყავი განწყობილი სტაინბეკის „საგანგებო პოლიტიკური მისიისადმი"), ბუნებრივია, გამიჩნდა სურვილი, უშუალოდ მოვლენების თვითმხილველისაგან მომესმინა აზრი ამ თემაზე. მით უმეტეს, ეს თვითმხილველი მაშინ სსრკ-ში აშშ საელჩოს მეორე მდივანი იყო, საბჭოეთის კულტურულ-ინტელექტუალური ატმოსფეროს შესწავლა და სახელმწიფო დეპარტამენტისათვის ანგარიშის წარდგენა ევალებოდა და, წესით და რიგით, საკმაოდ კარგად უნდა ყოფილიყო ინფორმირებული. გარდა ამისა, იგი ამ ვიზიტის შემდეგაც მეგობრობდა სტაინბეკთან ამ უკანასკნელის გარდაცვალებამდე და რამდენჯერმე შეხვდა კიდევ მას ამერიკაში - ხომ შეიძლებოდა, ამ შეხვედრებისას

მოესმინა სტაინბეკისაგან საინტერესო ინფორმაცია ან/და საგულისხმო დეტალებიც გაეგო. ტელეფონით დაუკავშირდი პიტერ ბრიჯისს და ვთხოვე, ინტერვიუ მოეცა ჩემთვის სტაინბეკთან ერთად მისი საქართველოში მოგზაურობის შესახებ, რომელიც, პაატა და როსტომ ჩხეიძეებთან წინასწარი შეთანხმებით, ჟურნალ *ჩვენ მწერლობაში* დაიბეჭდებოდა. სიამოვნებით დამთანხმდა. შევადგინე კითხვები და ელფოსტით გაუგზავნე, მალე პასუხებიც მომივიდა. ჩემი პირველივე კითხვა სწორედ სტაინბეკის საბჭოთა კავშირში მოგზაურობის საიდუმლო პოლიტიკურ მისიას შეეხებოდა - კერძოდ, ვეკითხებოდი, ჰქონდა თუ არა სტაინბეკს აშშ ადმინისტრაციისაგან რაიმე საგანგებო პოლიტიკური მისია დაკისრებული და, თუ ჰქონდა, კონკრეტულად რაში მდგომარეობდა ეს პოლიტიკური მისია, რაზეც ასეთი პასუხი მივიღე: „თქვენი კითხვის პასუხად შემიძლია გითხრათ, რომ სტაინბეკს საგანგებო პოლიტიკური მისია არ ჰქონია დაკისრებული ... და მაინც, ფართო აზრით, შეგვიძლია იხიცი ვამტკიცოთ, რომ მას ასეთი მისია ჰქონდა. კულტურული გაცვლითი პროგრამით საბჭოთა კავშირში გამგზავრება სტაინბეკს მისმა მეგობარმა ლესლი ბრედემ სთხოვა, რომელიც აშშ საინფორმაციო სააგენტოში მუშაობდა (ამჯამად სახელმწიფო დეპარტამენტში შედის). რა თქმა უნდა, არავის უცდია, სტაინბეკისათვის რაიმე ინსტრუქციები მიეცა, მაგრამ სტაინბეკმა იცოდა, რომ საბჭოთა ხელისუფლებას განზრახული ჰქონდა შეეზღუდა კონტაქტები საბჭოთა ინტელექტუალებსა და მათ ამერიკელ კოლეგებს შორის და მას სურდა, ყველაფერი ეღონა ამ კონტაქტების გასაღრმავებლად. ეს მისი პირადი მისია და მიზანი იყო და მსურს ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ის იყო მხოლოდდამხოლოდ კერძო პირი“ (ბრიჯისი 2011: 21).

რესპონდენტს გავაცანი ვახტანგ ამადლობელისა და როსტომ ჩხეიძის მოსაზრებანი სტაინბეკის საგანგებო პოლიტიკური მისიის შესახებ, ასევე ვახტანგ ჭელიძის მოგონება - თითქოს სტაინბეკს ეთქვას, დიდი სახელმწიფოები პატარა ერებს დაიცავენ და ჩვენ გაჭირვებაში არ მიგატოვებთო, და ასეთი კითხვა დაუუსვი: „თუ გახსოვთ, ხომ არ უთქვამს სტაინბეკს ეს სიტყვები ქართველი მწერლებისათვის ან თუნდაც თქვენთან კერძო საუბრებში? თქვენი აზრით, იყო თუ არა იგი საბჭოთა კავშირში მოვლენილი ამ გზავნილის საბჭოთა ინტელექტუალებამდე მისატანად და მათში თავისუფლებისა და საბჭოთა რეჟიმისადმი წინააღმდეგობის სულის გასაღვიძებლად?“ (ბრიჯისი

2011: 21). პასუხი ასეთი იყო: „სანამ თქვენ დამისვამდით ამ შეკითხვას, წარმოდგენაც არ მქონდა, თუ არსებობდა მოსაზრება, რომ სტაინბეკი საბჭოთა კავშირში საიდუმლო პოლიტიკური მისიით იმყოფებოდა. მას ასეთი მისია არ ჰქონია ანდა, იმდენად გასაიდუმლოებული იყო, რომ მე არაფერი ვიცოდი ამის შესახებ - მე კი, გარწმუნებთ, კარგად ინფორმირებული ვიყავი. სტაინბეკი სრულიად დამოუკიდებელი კაცი იყო და მასთან ჩემი შეხვედრებისას საბჭოთა კავშირსა თუ მოგვიანებით ამერიკაში (ჩვენ განვაგრძობდით მეგობრულ ურთიერთობას და სწორედ მან წამახალისა, რომ წერა დამეწყო) მას არასოდეს მიუნიშნებია, რომ იგი საბჭოთა კავშირში საიდუმლო მისიით იმყოფებოდა, თუმცა აქვე დავძენ, რომ სტაინბეკმა ნამდვილად გააღვივა თავისუფლების წყურვილი მწერლებში და თანაც - არა მარტო საბჭოთა კავშირში. წინა წელს, ლიტერატურის დარგში ნობელის პრემიის მიღების ცერემონიაზე, მან განაცხადა, რომ მწერლებს „მაღალი მოვალეობანი და პასუხისმგებლობა აკისრიათ.“ ცხადია, იგი გააძლიერებდა თავისუფლებისაკენ სწრაფვის იმპულსს ქართველ მწერლებში, როგორც მწერლის ერთ-ერთ ძირითად მოვალეობას, მაგრამ მე არა მგონია, რომ მას საბჭოთა ხელისუფლების მიმართ წინააღმდეგობის გაწევა წაექეზებინოს. მას შემდეგ ნახევარი საუკუნეა გასული და ძნელია ყველაფერის ზუსტად გახსენება, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ სტაინბეკი არ წააქეზებდა ქართველ მწერლებს, ღია წინააღმდეგობა გაეწიათ პოლიციური რეჟიმისათვის მაშინ, როცა ამას შეიძლებოდა მათთვის დიდი ვნება მოეტანა, თავად სტაინბეკი კი უსაფრთხოდ დაბრუნდებოდა ამერიკაში“ (ბრიჯისი 2011: 22).

ინტერვიუში ბატონ ბრიჯისის ასევე ვაცნობე სტაინბეკის მიერ საქართველოს და სხვა საბჭოთა რესპუბლიკების მწერალთა კავშირებისათვის გამოგზავნილი წერილების შესახებ და ვთხოვე, მოეწერა, თუ რას ფიქრობდა ზემოხსენებული „მგლის“ მეტაფორის შესახებ. აღმოჩნდა, რომ არც კი სმენოდა ამ წერილის არსებობის შესახებ:

„მე არ ვიცოდი ამ წერილის არსებობის შესახებ, ვინაიდან სტაინბეკს იგი არ უხსენებია ნიუ იორკში ჩემთან შეხვედრისას. მე არ ვიცი, რა ჰქონდა სტაინბეკს მხედველობაში. შემიძლია გითხრა, რომ იმ დროს, ჩვენ, სახელმწიფო დეპარტამენტისა და საელჩოს თანამშრომლები ვერც კი წარმოვიდგენდით, რომ დადგებოდა დრო, როცა საქართველო დამოუკიდებლობას დაიბრუნებდა; არც ის ვიცოდით, თუ რას ფიქრობდნენ ქართველები სინამდვილეში საკუთარი მომავლის

შესახებ. ჩვენ ვიცოდით, რომ რუსებმა ვერ შეძლეს გაენადგურებინათ ნაციონალიზმი და პატრიოტიზმი ვერც საქართველოში და ვერც იმ ქვეყნებში, რომლებიც მანამდე დამოუკიდებლები იყვნენ, ეხლა კი საბჭოთა რეჟიმს ექვემდებარებოდნენ (მაგალითად, სომხეთი და ესტონეთი). მე და ჩემი კოლეგები ვფიქრობდით, რომ ერთ დღესაც აშშ-ს უნდა ეცადა სსრკ-სგან მიეღო თბილისში ამერიკული საკონსულოს გახსნის ნებართვა - ჩვენ იქ გვქონდა საკონსულო საბჭოთა არმიის მიერ 1921 წელს საქართველოს დაპყრობამდე, მაგრამ იმ დროს, როცა მე თავი დავანებე მთავრობაში სამსახურს 1986 წელს, ეს მაინც მხოლოდ ოცნებად რჩებოდა. პირადად მე (სხვებზე ვერაფერს ვიტყვი) ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ საქართველო ასე მალე მოიპოვებდა დამოუკიდებლობას" (ბრიჯისი 2011: 23).

როგორც ვხედავთ, ბატონმა ბრიჯისმა კატეგორიულად უარყო მოსაზრება, რომ სტაინბეკი აშშ ადმინისტრაციის საიდუმლო პოლიტიკურ დავალებას ასრულებდა, თუმცა, მეორე მხრივ, აღნიშნა, რომ მწერლებში (და არა მარტო საბჭოთა მწერლებში) თავისუფლებისათვის სწრაფვის გაღვივებას სტაინბეკი თავის მწერლურ და პიროვნულ მოვალეობად მიიჩნევდა.

ჩვენი „საუბარი“ ამ თემასთან დაკავშირებულ კიდევ ბევრ საკითხს შეეხო, თუმცა ამჯერად, წერილის მიზანდასახულობიდან გამომდინარე, მხოლოდ ინტერვიუს ამ ნაწილით შემოვიფარგლები.¹¹

ინტერვიუს ბოლოს ბატონმა ბრიჯისმა, რომელიც მთების, მთაში ხეტიალისა და ალბინიზმის დიდი მოყვარულია, სინანული გამოთქვა, რომ საქართველოში ხანმოკლე ვიზიტისას ვერ მოახერხა მთების ნახვა: „როცა სტაინბეკებს საქართველოში გამოვეყვი, საბჭოთა კავშირში უკვე წელიწადზე მეტხანს ვიმყოფებოდი, ძირითადად მოსკოვში, თუმცა მე და ჩემი კოლეგები ვმოგზაურობდით, როცა და სადაც შეგვეძლო - საბჭოთა კავშირში მოგზაურობაზე უცხოელთათვის უადრესად მკაცრი შეზღუდვები არსებობდა. რუსეთში სულის შემზუთავი ატმოსფერო იყო. მართალია, ჩვენ, უცხოელ დიპლომატებს იმუნითეტი გვიცავდა, მაგრამ ჩვენც კი არ ვიყავით დაცული სუკ-ის მხრიდან

¹¹ ინტერვიუში ბატონმა ბრიჯისმა სტაინბეკის მოგზაურობის ბევრი საინტერესო გარემოება გაიხსენა, თუმცა ბევრი დეტალი აღარც ახსოვდა - ამ ისტორიული მოვლენიდან ხომ ლამის ნახევარი საუკუნე გასულიყო. დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია ინტერვიუს მილიანად გაეცნოს ჟურნალ *ჩვენი მწერლობის* 22 ივლისის ნომერში (ბრიჯისი 2011: 21-24). გარდა ამისა, სტაინბეკის 1963 წლის მოგზაურობასთან დაკავშირებული ამბები დეტალურადაა გადმოცემული მომდევნო სტატიაში.

შევიწროებისაგან. საქართველოში სრულიად განსხვავებულ, ახალ გარემოში, მომზიბვლელ ქვეყანაში ამოყვავი თავი. დიდი სიამოვნებით დავრჩებოდი მეტხანს და ვნახავდი მეტს, მათ შორის მთებსაც და ყოველთვის სანანებელი დამრჩება, რომ ეს ვერ მოვახერხე" (ბრიჯისი 2011: 24).

საქართველოში დაბრუნებისთანავე შევუდექი ზრუნვას პიტერ ბრიჯისის ჩამოსაყვანად და აი, ეს დღეც დადგა¹² - ბრიჯისის თვითმფრინავი 2011 წლის 8 ოქტომბერს, გამთენიის ხანს დაეშვა თბილისის საერთაშორისო აეროპორტში. ბატონი ბრიჯისი სიმპატიური, უაღრესად დახვეწილი მანერების მქონე მოხუცი აღმოჩნდა. მიუხედავად სოლიდური ასაკისა, საკმაოდ მხნედ და ენერგიულად გამოიყურებოდა. რაღა დაგიძალოთ და, მომდევნო დღეებში ქუთაისისა თუ თბილისის ქუჩებში ერთად ხეტიალისას შემშურდა კიდევ მისი ენერგიულობისა და ახალგაზრდული სიჩაუქისა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ქოშინით ავათავე მთაწმინდის კიბეები და მე უფრო მეტყობოდა დაღლა, ვიდრე 80 წელს მიტანებულ მოხუცს. ერთხელ სადილობისას ლეინის სმაშიც კი აგყვია მე და ჩემს მეგობარს, თუმცა, ბუნებრივია, ბოლოს მაინც დაყარა ფარ-ხმალი - რას მერჩით 80 წლის საბრალო ბერიკაცს, მაინცდამაინც ხელით წასალები უნდა გავხდეო? - „მოისაწყლა“ თავი.

რამდენიმე ენა სცოდნია. რუსული, მიუხედავად იმისა, რომ ლამის ნახევარი საუკუნის მანძილზე არანაირი პრაქტიკა არა ჰქონია, ძალიან კარგად ახსოვდა და გამართულადაც საუბრობდა ამ ენაზე.

პიტერის სტუმრობამ ერთ კვირას გასტანა - იგი 16 ოქტომბერს დაბრუნდა ამერიკაში. ამ ხნის განმავლობაში მან სამი მოხსენება წაიკითხა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში: „ჯონ სტაინბეკის ვიზიტი საქართველოში 1963 წელს" ("John Steinbeck's 1963 Visit to Georgia", 11 ოქტომბერი)¹³; „საქართველო და ამერიკის შე-

12 როგორც ამერიკული გაცვლითი პროგრამის მონაწილემ, სავანტო პროგრამის *Democracy Outreach/Alumni Grants Program* ფარგლებში პიტერ ბრიჯისის ვიზიტის დაფინანსების თხოვნით მივმართე აშშ საელჩოს საქართველოში, რაზეც დასტური მივიღე. აქვე ვსარგებლობ შემთხვევით და მხარდაჭერისათვის დიდ მადლობას ვუხვი საქართველოში აშშ საელჩოს საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას და პირადად განყოფილების ხელმძღვანელს, ბატონ საულ ერნანდესს.

13 დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია ამ მოხსენებას გაეცნოს წინამდებარე კრებულში.

ერთებული შტატები: ადრეული კონტაქტები" ("Georgia and America: Early Contacts", 12 ოქტომბერი)¹⁴; „ამერიკის საგარეო პოლიტიკური ინტერესების განვითარება" ("The Development of American World Interests", 13 ოქტომბერი). გარდა ამისა, თბილისში ყოფნისას სტუმარმა ექსკლუზიური ინტერვიუ მისცა რადიო „თავისუფლებას". ასევე ვგეგმავდით შეხვედრას ჟურნალ *ჩვენი მწერლობის* რედაქციაში, მაგრამ ეს შეხვედრა, ობიექტური მიზეზების გამო, არ შედგა.

რალა თქმა უნდა, შეძლებისდაგვარად მოვატარე ქუთაისისა და მისი შემოგარენის (ბაგრატიის ტაძარი, გელათის მონასტერი, მოწამეთა, სათაფლიისა და ყუმისთავის გამოქვაბულები), ასევე თბილისის ღირსშესანიშნავი ადგილები (აბანოთუბანი, მთაწმინდა, მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონი და სხვ.)¹⁵ და რაც მთავარია - ჩამოსვლიდან მეორე დღესვე, 9 ოქტომბერს წავიყვანე სვანეთში ორდღიანი ვიზიტით.



პიტერ ბრიჯისთან ერთად. ვზად მესტიისაკენ. სვანეთი, 2011 წლის ოქტომბერი.

14 ეს მოხსენება პიტერ ბრიჯისმა 15 ოქტომბერს განმეორებით წაიკითხა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახლმწიფო უნივერსიტეტის ამერიკის შესწავლის ინსტიტუტში. შეხვედრის ორგანიზებისა და მასპინძლობისათვის დიდ მადლობას უუხედი ამ ინსტიტუტის დირექტორს, პროფ. ვასო კაჭარავას. მალევე, ნოემბრის თვეში იგი გამოქვეყნდა ინტერნეტ ჟურნალში *ამერიკელი დიპლომატია (American Diplomacy)* (Bridges 2011). დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია სტატიას გაეცნოს აქ: http://www.unc.edu/depts/diplomat/item/2011/0912/ca/bridges_georgia.html.

15 სამწუხაროდ, ვერ მოვახერხეთ მცხეთის დათვალიერება და სვეტიცხოვლის ჩვენება, რადგანაც მცხეთაში ჩვენი გავლა 14 ოქტომბერს - სვეტიცხოვლობის დღესასწაულს - დაემთხვა, ტაძარს დიდი სამთავრობო დელეგაცია სტუმრობდა და იქამდე მისასვლელი სამანქანო გზები საპატრულო ეკიპაჟებს გადაეკეტა. სტუმარი გაოგნებული დარჩა ამ მართლაცდა ყოვლად წარმოუდგენელი ფაქტით.

სვანეთით მოხიბლული დარჩა - სად არ ვყოფილვარ და ასეთი დიდებული მთები არსად მინახავსო. აღგვიტყვა, რომ სვანეთის მთებს პოპულარიზაციას გაუწევდა ამერიკელ მთასვლელებსა და ექსტრემალური ტურიზმის მოყვარულთა შორის.

ასე აიხდინა პიტერ ბრიჯისმა დიდი ხნის ოცნება და ნახევარი საუკუნის შემდეგ იხილა საქართველოს მთები.

დამოწმებანი:

ამაღლობელი, ვახტანგ. „სტაინბეკის ვიზიტი საქართველოში სსრკ-აშშ ურთიერთობების კონტექსტში (საქართველოს სსრ მწერალთა კავშირისა და პოეტ კოლაუ ნადირაძისადმი მიწერილი წერილები)". *ამერიკული ლიტერატურა და ქართულ-ამერიკული ურთიერთობები*: ამერიკის შესწავლის საკითხებისადმი მიძღვნილი III საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები. ქუთაისი: აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2006.

ამაღლობელი, ვახტანგ. „სტაინბეკის საგანგებო მისია საქართველოში". *ჩვენი მწერლობა*, №16 (42), 3 აგვისტო, 2007 გვ. 2-4

ამაღლობელი, ვახტანგ. „თათბირი ამერიკულად: ჯონ კენედი და ჯონ სტაინბეკი (როსტომ ჩხეიძის ესსე „ჯონ სტაინბეკის საიღუმლო)". *ჩვენი მწერლობა*, №4 (82), 20 თებერვალი, 2009, გვ. 14-15

ბრიჯისი, პიტერ. „ჯონ სტაინბეკის მოგზაურობის მიზანი." (ინტერვიუ - ესაუბრა ირაკლი ცხვედიანი). *ჩვენი მწერლობა*, №15 (145), 22 ივლისი, 2011, გვ. 21-24

გავაშელიშვილი, დარეჯან. „გამოუქვეყნებელი წერილი". *ლიტერატურული საქართველო*, 13 დეკემბერი, 1991

ჟღენტე, ოლიკო. „რა იბოვეს ჰამსუნმა და სტაინბეკმა საქართველოში?" (ინტერვიუ - ესაუბრა ლელა ოჩიაური). *ჩვენი მწერლობა*, №12 (38), 8 ივნისი, 2007, გვ. 18-22

სტაინბეკი, ჯონ. „ბარათი კოლაუ ნადირაძეს"; „სიტყვა წარმოთქმული ნობელის პრემიის მიღებისას 1962 წლის 10 დეკემბერს." ინგლისურიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო ვახტანგ ამაღლობელმა. *ჩვენი მწერლობა*, №3(55), 1 თებერვალი, 2008, გვ.

33-34

სტიანბეკი, ჯონ. „მივლინების ანგარიში“. ინგლისურიდან თარგმნა ვახტანგ ამაღლობელმა. *ჩვენი მწერლობა*, №19 (123), 17 სექტემბერი, 2010 გვ. 13-19.

ჩხეიძე, როსტომ. „ჯონ სტიანბეკის საიდუმლო“. *ამერიკისმცოდნეობის IV საერთაშორისო კონფერენციის მასალები*. ქუთაისი: აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2008

ჭელიძე, ვახტანგ. „ამერიკა განსაცდელში არ მიგატოვებთ ...“ გაზეთი *ლიტერატურული საქართველო*, 14-21 ივნისი, 1996

Amaglobeli, Vakhtang. "Once Again about Steinbeck's Letter to Kolaou Nadiradze." *American Studies Periodical*. Tbilisi: International Black Sea University, 2008

Amaglobeli, Vakhtang. "Steinbeck's Visit to Georgia in the Context of USSR-USA Relations". *Steinbeck Review*, Volume 6, No. 1, Spring 2009

Bridges, Peter. "A Note on John Steinbeck's 1963 Visit to the Soviet Union". *Steinbeck Review*, Volume 4, No. 1, Spring 2007

Bridges, Peter. "Georgia and America: Early Contacts". *American Diplomacy*, November 2011 http://www.unc.edu/depts/diplomat/item/2011/0912/ca/bridges_georgia.html

Steinbeck, John. *A Russian Journal*. Penguin Classics, 1999

IRAKLI TSKHVEDIANI

Professor, Akaki Tsereteli State University

ABSTRACT

JOHN STEINBECK, PETER BRIDGES AND GEORGIA

In Memoriam of Professor Vakhtang Amaglobeli

The essay deals with John Steinbeck's second visit to Georgia in 1963 and describes the memories and recollections of an American writer and former diplomat Peter Bridges who accompanied the great American writer as an in-

terpreter and a guide during his travel in all Soviet Republics. It also recounts 2011 Georgia visit of Mr. Bridges financed through Democracy Outreach/ Alumni Grants Program by the Public Affairs Section of the US Embassy in Tbilisi, Georgia.

During his short (7-day) stay Mr. Bridges gave three talks at Akaki Tsereteli State University in Kutaisi ("John Steinbeck's 1963 Visit to Georgia"; "Georgia and America: Early Contacts" which was later published in an online journal *American Diplomacy*; "The Development of American World Interests") and one at the Institute of American Studies in Tbilisi. He also gave an exclusive interview to Radio *Tavisupleba* ('Freedom').

The visit had both cultural and educational significance. The talks proposed by Mr. Bridges were focused on the topics extremely interesting not only for Georgian academics but for community members from all walks of life (especially topics related to Georgian-American relations). The visit had immense cultural and educational impact on local audiences in Kutaisi and Tbilisi and it definitely contributed to the mutual understanding of two nations as an important ring in the chain of constantly developing Georgian-American relations.

PETER BRIDGES

Ambassador (ret.), Writer and self-employed lecturer (USA)

JOHN STEINBECK'S 1963 VISIT TO GEORGIA

I could never have imagined, when I stepped off an Aeroflot flight in Tbilisi in the autumn of 1963, just behind John and Elaine Steinbeck, that this would be the occasion for me to return to Georgia--a free and independent Republic of Georgia--almost half a century later. I am delighted to be here among you today. I am only sorry that Vakhtang Amaglobeli is not among you.

It is almost two years since the late Professor Amaglobeli first got in touch with me, to send me his article from the Steinbeck Review on John Steinbeck's visit to Georgia in 1963. He also sent me a photograph of seven persons, and he asked if I could identify the people in the photo. Four, I saw, were Georgian writers. Two were John and Elaine Steinbeck. The seventh was me, as I wrote to Professor Amaglobeli; and I sent him the article that I myself had written for the Steinbeck Review, about Steinbeck's visit to Georgia and elsewhere in the then Soviet Union. (When the Steinbecks and I arrived in Tbilisi we had already visited Moscow and Kiev, and we went from Georgia to Armenia and then back to Moscow and to Leningrad.)

Professor Amaglobeli kindly suggested I might take part in the fifth International Conference on American Studies that was to take place at this University in late October 2010. I was sorry that in the end I was unable to do so, and I was distressed to learn that he had died at the beginning of October. I know from Marina Amaglobeli how much he accomplished, despite illness, in his last years. I am happy to know that his memory, and his works, live on beyond him.

One of the more pleasant experiences in my life was my wife's and my friendship with John and Elaine Steinbeck, and I wish it could have lasted longer.

Perhaps before I go on to discuss Steinbeck's visit to Georgia in

1963-his second visit here--I might mention a few salient points about his life and career. In doing so let me say that I realize some of you may know much more about Steinbeck than I do.

Until I met Steinbeck in 1963, I perhaps knew as much--or as little--about him as did the average educated American. I knew that he had been born in California, that his greatest works had been written there, including books that I had read like *Cannery Row*, *The Grapes of Wrath*, and *Of Mice and Men*--and I knew that he was undoubtedly one of our greatest writers. Indeed, he had won the Nobel Prize for literature in 1962, the year before he came on what was his third visit to the USSR and his second to Georgia.

Steinbeck was born into a middle-class family, in 1902, in a beautiful part of California that perhaps resembles parts of Georgia. (I think it does.) By the time he was fifteen years old, one of his biographers tells us, he had decided to become a writer. He was not a very outgoing person when he was young; some people saw in him a kind of arrogance. In fact, even years later, when Steinbeck was fifty-seven, one of his biographers--Thomas Kiernan--met him for the first time and found him disagreeable, vindictive, and intolerant.

But if that was one side of him, there was another side, the only side that I myself ever saw either in Georgia or elsewhere, that was friendly, kind, and helpful.

Like many young Americans, Steinbeck enjoyed manual work, and although he attended the University of California for some time, at other times he worked as a carpenter's helper, as a farm laborer, and as a laborer on a crew that was dredging a canal. When his novella *Mice and Men* appeared in 1937, he told the *New York Times* newspaper that its characters were based on real men with whom he had worked.

Steinbeck was at various times accused of being a Communist and also of being a Fascist. He was neither. He sympathized deeply, however, with the plight of poor working people during our Great Depression, and one of the main protagonists in his novel *In Dubious Battle*, published in 1936, was a member of "the Party," which probably no reader doubted meant the Communist Party. In the summer of 1937

he paid his first visit to the USSR, apparently thinking he might write a book about Soviet Communism. However, he was disturbed by the regimentation and restraints on individual liberty that he saw in Moscow and Leningrad, and he abandoned the idea of a book.

When World II came, Steinbeck wrote a novel that became a play, called *The Moon Is Down*, about a little country, presumably Norway, that was invaded by aggressors. Later he spent time in the Mediterranean as a war correspondent. After the war had ended he was living in New York and had no great plans. The fact was that his greatest works were behind him. He thought his readers might prefer to see him write non-fiction. In 1947, he and the photographer Robert Capa went to the Soviet Union in order to work together on a book on the postwar situation there.

Although it appears that initially the Soviet authorities had not much welcomed their visit, they were taken in hand by VOKS, the *Vsesoyuznoye obshchestvo kul'turnykh svyazei s zagranitse* or, in English, All-Union Society for Cultural Links with Abroad. VOKS took them to Leningrad, Stalingrad, and Kiev, where they were appalled by the devastation that the war had brought.

They then went to Georgia, and the contrast was in several ways tremendous. Steinbeck wrote that "Georgia is the paradise Russians like to think they will go to when they die. The climate is wonderful, the fruit tasty, the wine strong and the people handsome."

In Tbilisi a meeting was arranged for them with members of the Writers' Union, twenty men and three women. The meeting seems to have been, not unsurprisingly, a formal affair, with the writers hewing to the official line. Steinbeck wrote later that what he called "the architect school"--the reference was to Stalin's dictum that writers were the engineers of human souls--"So far...has not produced a great piece of writing."

Steinbeck's and Capa's book, *A Russian Journal*, was published in 1948. So far as I can tell, in the book Steinbeck reported honestly on all that he had seen. However, it appears that VOKS had done as best they could to show Steinbeck and Capa only the positive side of things.

Steinbeck reports in his book that the people he met in the USSR had a hatred of war. He says nothing about repression and the secret police. VOKS had not taken him to see the Lyubyanka or the gulag.

By 1963 John Steinbeck had been married and divorced twice, and was married to his third wife, Elaine. Although John was a native Californian and Elaine a Texan, they had been living in the East for some years. His writing had made him wealthy and he and Elaine moved among rich and influential people. Many critics had turned their backs on Steinbeck, and he was unhappy when some critics wrote that he did not deserve to receive the 1962 Nobel Prize.

Among the influential people whom Steinbeck had met was the President of the United States, John F. Kennedy. He met the President several times in the spring of 1963. At about that time Leslie Brady, a top officer of the United States Information Agency who oversaw U.S. policy on cultural links with the Communist world, urged Steinbeck to make another trip to the Soviet Union under the auspices of our government's cultural-exchange program. Soon President Kennedy, too, asked him to go.

Steinbeck agreed to make the trip, together with his wife. He said, however, that he did not know as much as he should about younger American writers, and so he would ask Edward Albee, the playwright, to come, too. Albee was then 35 years old and his play "Who's Afraid of Virginia Woolf" had just been produced with great success. Albee agreed to come, and the visits of the two men overlapped to some extent.

Although Steinbeck did not feel he could turn down a request made by the President of the United States--and although the poet Robert Frost had traveled to Moscow in 1962 at the age of 88--Steinbeck's health at the age of 61 was not good. He had made his trip to the USSR in 1947 despite having recently broken his kneecap. Now, in June 1963, he suffered a detached retina; but after some weeks the doctors agreed he could travel to Europe that autumn. He and Elaine worked out an itinerary with the State Department. They would spend a month in the Soviet Union and then visit Poland, Hungary, and Czechoslovakia--

altogether a long and taxing trip.

Steinbeck had realized, after his 1947 trip to the USSR, that the Soviets had been careful not to show him anything, or let him meet any people, that might reflect negatively on the Soviet system. He did not want that to happen again. He told the Department of State that he hoped the American embassy in Moscow could assign an officer to travel with him who knew the Russian language and the Soviet cultural scene. As I explained in the article that I published four years ago in the Steinbeck Review, the choice fell on me.

If I may say a few words about myself, the choice fell on me because I was the political officer in our Moscow embassy whose job it was to prepare embassy reports to the Department of State in Washington on Soviet problems with dissent, religion, and national minorities, and on happenings in the Soviet intellectual world. I had begun studying the Russian language when I was a nineteen-year-old undergraduate, and I had spent two years of graduate study at the Russian Institute (now the Harriman Institute) at Columbia University in New York. However, I knew no Georgian and the only Georgian writer I had ever read was Rustaveli--in a Russian translation. Nor had I met personally any Georgian writer, although I had made the acquaintance in Moscow of a number of Soviet Russian writers who were willing to have contact with Americans.

Some of these writers were relics of Stalinism, and I surprised more than one of them by telling him I had read, at Columbia, his Stalinist novels. However, I also managed to make the acquaintance of a few more interesting writers like Vasily Aksyonov, Lev Kopelev and his wife Raisa Orlova, and Yevgeny Yevtushenko.

I was frankly not enthused when I first learned that I was to spend a month touring the USSR with John Steinbeck. His 1948 book about the Soviet Union painted a relatively rosy picture of Russia and I wondered whether he planned to write something of the same sort again--in which case we would have disagreements. But at least his trip would give me my first opportunity to visit Georgia, and perhaps even get into the high mountains.

My wife and I met the Steinbecks at Sheremetevo airport one day in October, spent a very pleasant evening with them, and found that John Steinbeck was in no way deceived about the nature of the Soviet system.

The Soviet authorities may however have been deceived about Steinbeck. As Raisa Orlova, a critic of American literature, had recently confirmed to me, Steinbeck continued to be viewed in Moscow as a “progressive” American writer--although as Professor Amaglobeli wrote in the Steinbeck Review, the Soviets had not been satisfied with Steinbeck’s 1948 book and it was not translated into Russian, and published in Moscow, until 42 years after it appeared in America. (I know from Professor Amaglobeli that the book was published in Georgian in 2005.)

In any case the Soviet authorities hoped to find in Steinbeck an American who opposed the growing American involvement in Vietnam. I found that to the contrary, Steinbeck strongly supported the Kennedy administration’s policy. In Vietnam there had been perhaps a thousand American military advisers when Kennedy took office in January 1961; by the time Steinbeck arrived in Moscow, this number had increased to about 15,000. It would grow to half a million men in the years to come.

On the day after Steinbeck’s arrival in Moscow he met with officials of the Soviet Writers’ Union to discuss his itinerary for the coming month. It was agreed that from Moscow he would travel to Kiev and then to Georgia and Armenia. He would then return to Moscow, visit Leningrad, and return to Moscow again to conclude his visit. This was practically the same as his itinerary in 1947, except that this time he would not visit Stalingrad (which by now had been renamed Volgograd), and he would visit Armenia.

I know that Steinbeck was anxious to visit Georgia again; he had told his wife that she would enjoy her time there. How much he remembered from his 1947 visit, and how much he knew about Georgian literature, I cannot say. It was only recently, when I re-read his 1948 book, that

I noticed that he had been given in Tbilisi a twenty-page history in English of literature in Georgia. However, he did not mention this to me in 1963, and I suspect he had mislaid it long ago.

I do not recall why Armenia was added to the Steinbecks' itinerary, but I believe it was the Soviet Writers' Union rather than Steinbeck who proposed it. Purely at a guess, the Soviets did want any complaints from Armenia that the famous American writer, and by extension his hosts, the Soviet Writers' Union, were ignoring them. When Steinbeck visited Yerevan after visiting Georgia, we were taken to a gala performance at a theater honoring Sayat-Nova and emphasizing his work to bring together Georgians, Armenians, and Azerbaijanis.

When I first met Steinbeck I told him that I was honored to be able to travel with him and I would give him all the help I could, but that I did not want in any way to hamper his contacts with writers in the USSR and I hoped he would have at least some private meetings with writers. He did have a few private meetings at which I was not present, with writers who could speak some English, including Orlova, Kopelev, and Ilya Ehrenburg in Moscow and with Viktor Nekrasov in Kiev.

My presence on Steinbeck's trip turned out to be particularly useful because the Writers' Union in Moscow assigned a guide and interpreter named Frida Lurye to accompany us. Both her knowledge of English and her interpreting skills were excellent. As I wrote in the Steinbeck Review, whether she was a professional intelligence officer I do not know--but I soon found that she was sometimes not interpreting fully something Steinbeck said. As Jackson Benson writes in his biography of Steinbeck, I would then either tell Lurye to finish her translation or else I would tell Steinbeck that she had omitted something, and he would then insist that she put into Russian everything that he had said.

Lurye did not speak Georgian, and when we were in Tbilisi there were, as I recall, times when something Steinbeck said would be translated into Georgian, or something said in Georgian into English. How faithful and complete this translation was, I do not know.

My wife, Mary Jane, and I had both accompanied John and Elaine Steinbeck, and of course Lurye, to Kiev, but my wife was the manager

of the embassy commissary and regretfully had to return from Kiev to her job in Moscow. By this time the Soviet authorities had decided that they did not want me to travel onward with the Steinbecks to Tbilisi and Yerevan. My boss in the embassy, Kenneth Kerst, telephoned me to say that the Foreign Ministry would not permit me to travel beyond Kiev. I told Steinbeck, and he wrote a note that he asked me to telegraph to the appropriate Soviet official. The note said that in refusing me permission to travel to Tbilisi, "...The Soviet Foreign Office apparently overlooked the fact that I too am sent to represent my government and my nation. Since I have no wish to violate Soviet regulations, it is with deep regret that I must advise my friends in the Republic of Georgia that I will be unable to visit them."

I told Steinbeck that this was deeply flattering but I could not let him change his plans because of me. He said that I should do what he asked me to do. I therefore rewrote his message on a telegraph form and sent it to

M.N. Smirnovsky, the head of the USA section in the Foreign Ministry in Moscow. Some hours later Kerst telephoned me again, to say that, surprisingly, the Foreign Ministry had told the embassy that a mistake had been made and I could proceed to Tbilisi and Yerevan. I told Steinbeck, and he agreed that it was a rare occasion when one could make Soviet officialdom back down.

Steinbeck's host in Tbilisi was Irakli Abashidze, who at that time had, I believe, headed the Union of Georgian Writers for the past decade. It is not for me to judge Abashidze's politics. I have read of his work in discovering Georgian cultural relics in the Middle East, and I have read in English translation his essay on Rustaveli in the edition of *The Lord of the Panther Skin* that was published some years ago by the State University of New York Press. Certainly he was a courteous host to John Steinbeck in Georgia.

As Professor Amaglobeli has written, Vakhtang Chelidze also played an important part during Steinbeck's visit. I know that Chelidze translated several works by Steinbeck into Georgian, and that years later both Abashidze and Chelidze wrote about Steinbeck's visit in

Literaturuli Sakartvelo; it might be interesting to read what they said.

Abashidze explained apologetically to Steinbeck that the apartment where he lived was not adequate to host Steinbeck and his wife, and he was therefore borrowing a friend's house to offer a luncheon for the two of them. Frida Lurye and I also attended, and it was a very pleasant luncheon. As Benson writes in his biography, after the obligatory toasts to Khrushchev and Kennedy there were toasts to Queen Tamar and others--including, I believe, Rustaveli. Altogether, as Benson says, the Steinbecks found the atmosphere in Georgia different from that in Russia--more lively and less formal.

On another day, Abashidze and Chelidze took the Steinbecks out of Tbilisi to see Mtskheta and Gori, which John had visited in 1947, and then offered the Steinbecks a luncheon in a villa that, we understood, had once belonged to some Georgian prince. Afterward the party was entertained by a small group of musicians from Tbilisi. From what Professor Amaglobeli writes, it appears that one of these, perhaps the leader of the group, was Alex Adamashvili.

I love mountains, and I had suggested to John Steinbeck that it would be interesting to drive up the Georgian Military Highway. He raised the question with the Writers' Union before we left Moscow, but was told that this would not be possible. Both the Steinbecks and I hoped we could at least see some scenery in traveling from Tbilisi to Yerevan, but we were put on an overnight train and could see nothing. I told Steinbeck that I suspected that this was done because of me--the authorities did not want the imperialist spy to see anything of military importance.

Still worse, when some days later the Steinbecks and I boarded an Aeroflot flight in Yerevan to return to Moscow, we were given seats in the only row in the airplane that did not have windows. John protested to the cabin attendant that he and his wife wanted to see the mountains of the Caucasus, but the attendant, a large Russian lady, said that was impossible. I told the Steinbecks that they would be sorry yet that I was with them. After the plane took off, Elaine took direct action; she moved up to an empty seat by a window farther forward. In a minute, as Benson reports, the cabin attendant "lifted her up bodily and carried her

back to her original seat.” I told Elaine that they must have identified her as a spy, too. She said she did not think that was very funny. I said I didn’t, either.

Let me turn now to the question of what was discussed between John Steinbeck and the Georgian writers. This past spring, I was kindly invited to do an interview about Steinbeck’s visit with the journal *Chveni mtserloba*. One of the questions I was asked was whether Steinbeck came to Georgia in 1963 on a “special political mission....to encourage the spirit of freedom and resistance to the Soviet regime.”

I replied that he did not have such a mission--unless it was so secret that I did not know about it--and I believed that I was well informed. He did hope to encourage the spirit of freedom among writers, and not just in the Soviet Union. The previous year, when he received the Nobel Prize for literature, he had said at the Nobel Prize banquet that the makers of literature had "high duties and responsibilities." Certainly he thought that encouraging freedom in Georgian writing was one of those responsibilities. But, as I told *Chveni mtserloba*, I do not believe he would ever have gone so far as to encourage outward resistance. I do not believe he would have urged writers in Georgia to defy a police regime when they might suffer for doing so--while he went home safely to America.

Professor Amaglobeli writes that Steinbeck had several meetings with the Writers’ Union while he was in Georgia. Frankly, I cannot remember more than one, but he may have one or more private meetings that I did not attend. In any case, during a large meeting at the Writers’ Union the atmosphere, as I understand Vakhtang Chelidze has written, grew somewhat heated. Steinbeck spoke a little more freely than he had in a similar meeting with Russian writers. He told the Georgian writers that in his view, it was not right for a writer to support his government no matter what that government did. One or two of the writers insisted that they did, sometimes, criticize their government, but they could not offer any examples of such criticism. Steinbeck said that in any case he himself was utterly independent. I myself do not recall exactly what Steinbeck said, but Chelidze says that Steinbeck grasped his own head

and said "This territory is my own, it belongs to me."

Just before the Steinbecks left Moscow for Warsaw in November 1963, the Soviets arrested, on false charges of espionage, Professor Frederick Barghoorn of Yale University. Steinbeck asked me if it would make sense for him to see Khrushchev's son-in-law, Aleksei Adzhubei, the editor of *Izvestia*, who had royally entertained the Steinbecks. I said I hoped he would do so, and he did. More importantly, President Kennedy spoke out strongly in Barghoorn's defense, and he was released after a couple of weeks. But the arrest only increased Steinbeck's dislike--I may say hatred--of the Soviet police regime.

The Steinbecks were deeply saddened by the assassination of President Kennedy while they were in Warsaw. They wrote to my wife and me that initially, on hearing the news, "We wanted terribly to go home but that seemed chicken so we decided to finish the assignment as begun." They returned home to New York very tired after a trip that had lasted for two months. As John wrote me, at the beginning of January he and his wife went to Washington to brief Secretary of State Dean Rusk and other officials on their trip.

What Steinbeck did not write me, and did not tell me when I saw him in New York a year later, was that on January 15, 1964 he wrote a letter to the Writers' Union in Tbilisi which I think has not been forgotten in Georgia. He wrote that:

"...I know the history and pre-history of that gate between two worlds and how it drew the wolves from everywhere, looking with steel eyes for greener lands or set to slam the gate and hold the pass.

"It seems, and is to be fervently wished, that...the wolves are caged and the gates are opening all over the world....

"Clinging in our memory...are light and gaiety and kindness, and strength to protect them and these against a background of the sun-brown city and the talking river of the Gateway of the World. Keep it open, I pray you."

It appears that he sent similar letters, that I have never seen, to Kiev and Yerevan. Subsequently Steinbeck wrote to his friend Leslie Brady in the

U.S. Information Agency in Washington that “I must warn you that I havewritten some of the purplest prose you ever heard to the Writers’ Unions of Yerevan, Tbilisi, and Kiev....” Purple or not, the letter he sent to Tbilisi seems to have provided encouragement to Georgian writers. Certainly Steinbeck hoped it might do so. But he died in 1968, at the age of 66, long before Georgia and Georgian writers regained their independence.

Thank you for listening to me. I would be happy to try to answer any questions you may have.

პიტერ ბრიჯისი

დიპლომატი, მწერალი და დამოუკიდებელი ლექტორი

რეზიუმე

ჯონ სტაინბეკის ვიზიტი საქართველოში 1963 წელს

სტატიაში მიმოხილულია ამერიკელი მწერლის, ჯონ სტაინბეკის 1963 წელს საქართველოში სტუმრობის პერიპეტეიები. სტატიის ავტორი თან ახლდა სტაინბეკს საბჭოთა კავშირში მოგზაურობისას როგორც გიდი და თარჯიმანი, ვინაიდან კარგად იცოდა რუსული ენა და მეტ-ნაკლებად იცნობდა მაშინდელი საბჭოეთის კულტურულ-ინტელექტუალურ ატმოსფეროს. პიტერ ბრიჯისი იხსენებს სტაინბეკთან ერთად საქართველოში მოგზაურობის მნიშვნელოვან ფაქტებს, შეხვედრებს ქართველ მწერლებთან, ვიზიტის შემდეგ მომხდარ მოვლენებს.

BRIAN RAILSBACK

Professor , Western Carolina University (USA)

JOHN STEINBECK'S ENVIRONMENTAL EVOLUTION

John Steinbeck wrote his best work from an environmental perspective before the word “ecocriticism” was coined. Alone among writers of his stature in the United States during the 1930s, 40s, 50s, and early 60s, he undertook to inspect, as he put it, “mankind as a species” (Steinbeck 1966: 137). Inspired by Charles Darwin, early creative evolutionists, and Albert Einstein, Steinbeck sought to portray humans as a species among species, tied in to all other creatures and inevitably subject to natural forces. He believed that this holistic understanding revealed our true place in the scheme of things. Steinbeck desired to remain objective, work inductively, and persevere courageously to find what was true. The attempt to break out of humanity’s narrow theological/philosophical perspective and see *Homo sapiens* as a species is a difficult and dangerous ideal. The course for Steinbeck eventually moved beyond biology into physics and the attempt to name the whole in a unified field theory. As he considered humanity’s true place in the natural and physical universe, Steinbeck fully understood our species’ responsibility to be good stewards of the planet and not to poison it or blow it up in a cascade of nuclear weapons. As a result, John Steinbeck became the first mainstream, intentionally ecologically-minded writer in the United States.

Steinbeck’s Biological Perspective and *The Grapes of Wrath*

Steinbeck went directly to Charles Darwin as early as 1923, when the author was largely floundering in his studies at Stanford University. He bypassed the social Darwinists completely and went directly to *On the Origin of Species* (1859), *The Descent of Man* (1892), and the account of *The Voyage of the Beagle* (1839). *Origin of Species* illustrates the kind of thinking that Steinbeck made his ideal: it shows an attempt to find

truth by abandoning pre-conceived notions, making observations first-hand, gathering the facts together, and achieving what Steinbeck called “the inductive leap” to discover a great principle (Steinbeck 1986: 126). At the heart of Steinbeck’s philosophy, articulated most clearly in his 1951 non-fiction narrative (reprinted from 1941’s *Sea of Cortez* book), *The Log from the Sea of Cortez*, is what he considered non-teleological or “is” thinking, as Steinbeck and his marine biologist friend, Edward F. Ricketts, define it: “Non-teleological ideas derive through ‘is’ thinking, associated with natural selection as Darwin seems to have understood it . . . Non-teleological thinking concerns itself primarily not with what should be, or could be, or might be, but rather with what actually ‘is’—attempting at most to answer the already sufficiently difficult questions what or how, instead of why” (Steinbeck 1995: 139). Steinbeck embraced a holistic view of the nature, with humans a part of all interrelations. This concept denies traditionally theological or humanist notions which exalt our species by setting it apart.

A study of Charles Darwin and the art of John Steinbeck must, like any expedition through the novelist’s life work, finally arrive at his masterpiece, *The Grapes of Wrath* (1939). In no other book is Steinbeck’s dramatization of Darwin’s theory more clear; the novel resonates with the naturalist’s ideas. Through Steinbeck’s narrative technique, from the parts (i.e., the characters in the Joad chapters) to the whole (the intercalary chapters), we are presented with a holistic view of the migrant worker’s plight. This epic novel demonstrates the range of Darwin’s theory, including the essential aspects of evolution: the struggle for existence and the process of natural selection. The migrant workers move across the land as a species, uprooted from one niche and forced to gain a foothold in another. Their struggle is intensified by capitalism’s perversion of natural competition, but this only makes the survivors that much tougher. Because of their inability to see the whole picture, the bankers and members of the Farmers Association diminish themselves by their oppressive tactics while the surviving migrant workers become increasingly tougher and more resourceful. Ultimately, seeing Darwin’s ideas in *The Grapes of Wrath* enables us to perceive some hope for the Joads and others like them; here is Steinbeck’s manifesto of progress, based on biological laws rather than political ideology. Despite the dis-

mal scene that concludes the book, we come to a better understanding of what Ma Joad already knows, that the people will keep on coming.

From the first pages of *The Grapes of Wrath*, Steinbeck's biological, holistic view is evident. The novel presents a large picture in which humans are only a small part; in the great natural scheme of sky and land, of rain, wind, and dust, they suffer with the teams of horses and the dying corn--all life forms are helpless in this huge canvas of natural machinations. People are further associated with the natural world by being rendered in animal metaphors, either by their own language or the narrator's. In chapter 8, we meet the Joad family and hear that Ma fears Tom will be like Pretty Boy Floyd ("They shot at him like a varmint ... an' then they run him like a coyote, an' him a-snappin' an' a-snarlin', mean as a lobo"); that Grampa once tortured Granma "as children torture bugs"; that Grampa had hoped the "jailbird" Tom would "come abustin' outa that jail like a bull through a corral fence"; and that somewhere AI is "a-billygoatin' aroun' the country. Tom cattin' hisself to death" (Steinbeck 1976: 82-89).

The narrator's famous image of the land turtle is the most extensive metaphor for the migrant worker. In chapter 3, the tough, wizened turtle navigates the road, pushing ahead with "hands" rather than front claws. Tom picks up the turtle and easily observes, "Nobody can't keep a turtle though ... at last one day they get out and away they go-off somewheres. It's like me." (Steinbeck 1976: 21). When Tom releases it, a cat attacks it to no avail, and the turtle goes in the same direction that the Joads will: southwest. The connection is made even stronger when, in chapter 16, a description of the flight of the Joads and the Wilsons across the Texas Panhandle is juxtaposed with the image of the land turtles which "crawled through the dust" (Steinbeck 1976: 178). Steinbeck's extensive use of personification and anthropomorphism underscores his view of *Homo sapiens* as just another species.

The world Steinbeck portrays in *The Grapes of Wrath* demonstrates what Darwin, Ricketts, and he believed: humans are subject to the laws of ecology. The Joads and Wilsons are part of a movement of migrants, acting as a species turned out of a niche by natural and unnatural forces. The migrants go to a richer niche that would appear to have plenty of room for them, but many of them die, overwhelmed by competition

and repression. The survivors display an astounding ability to adapt. They come to California, a vigorous new species quite terrifying to the natives who, despite the crushing power of a brutal economic system which they control, act from a growing sense of insecurity. "They have weathered the thing," Steinbeck writes of the migrant workers, "and they can weather much more for their blood is strong This new race is here to stay and ... heed must be taken of it" (Steinbeck 1988: 22).

The process of evolution that leads to the creation of "this new race" is patently Darwinian. With drought upon the land and the dissolution of the tenant system, the farmer can no longer live in the region, forcing the migration west. From the first day of the Joads' migration, a process of selection begins; those who can adapt to the new way of life survive. Although a tough man, Grampa proves too rooted in the old land to adapt to the new, and his death, as Casy knows, is inevitable: "Grampadidn' die tonight. He died the minute you took 'im off the place" (Steinbeck 1976: 160). Muley cannot leave either, and his future is doubtful; ironically, Noah, who himself will wander off alone into oblivion, tells Muley, "You gonna die out in the fieldsome day" (Steinbeck 1976: 121). Granma cannot recover from the death of Grampa and loses touch with reality and eventually life. The Wilsons also fail; Ivy lacks the essential mechanical knowledge of cars to succeed, and Sairy is too physically weak to survive.

Because of the migrants' relentless trek, during which they are driven by the harshness of the weather, by poverty, and by cruelty, the ones who arrive in California already are transformed. As intercalary chapter 17 shows, the group has adapted to the new way of life on the road: "They were not farm men anymore, but migrant men" (Steinbeck 1976: 215). The new breed pours into California and "the owners hated them because the owners had heard from their grandfathers how easy it is to steal land from a soft man if you are fierce and hungry and armed" (Steinbeck 1976: 256-57). Ma Joad typifies the strong blood that Steinbeck refers to, for she adapts to each new situation, meeting difficulties with whatever ferocity or compassion is needed, constantly working to keep the family together and push them forward. Toward the end of the novel, Ma gives her famous speech about the people, and certainly

she has come to understand what survival of the fittest means: 'We ain't gonna die out. People is goin' on changin' a little, maybe, but goin' right on ... some die, but the rest is tougher" (Steinbeck 1976: 467-68).

A Darwinian interpretation of *The Grapes of Wrath* reveals the novel's most terrible irony: the owners' perversion of the natural process only hastens their own destruction. The Farmers Association of California sends out handbills to attract a surplus of labor, intensifying the competition for jobs so that the migrant laborers will work for almost nothing. But the owners are unconscious of the other part of the equation, that increased competition only toughens the survivors, as Darwin notes: "In the survival of favoured individuals and races, during the constantly recurrent Struggle for Existence, we see a powerful and ever-acting form of Selection" (*Origins*: 115). The novel's omniscient narrator recalls "the little screaming fact" evident throughout history, of which the owners remain ignorant: "repression works only to strengthen and knit the repressed" (Steinbeck 1976: 262).

The narrator describes the sense of coming change in more ominous tones at the end of chapter 25: "In the eyes of the hungry there is a growing wrath. In the souls of the people the grapes of wrath are filling and growing heavy, growing heavy for the vintage" (Steinbeck 1976: 385). The narrator presents the whole view, which characters like Casy and Tom eventually see but the owners remain blind to it as they continue to create a breed that will be their undoing. "For while California has been successful in its use of migrant labor," Steinbeck writes, "it is gradually building a human structure which will certainly change the State, and may, if handled with the inhumanity and stupidity that have characterized the past, destroy the present system of agricultural economics" (Steinbeck 1988: 25).

The other great irony of the novel is that, through a Darwinian process of adaptation and evolution, the dehumanizing conditions created by the owners only make the migrant workers more human. This process can be seen in nearly every chapter, as migrants share money, food, transportation, work, and ultimately their anger, as they briefly unite in a strike that is defeated by an influx of hungry workers who do not yet see the big picture. But as the suffering continues and more Casys are martyred and more Toms are created, the people will eventually move

forward: "This you may say of man ... man stumbles forward, painfully, mistakenly sometimes. Having stepped forward, he may slip back, but only a half step, never the full step back" (Steinbeck 1976: 164). While the owners, comfortable and rich, are frozen in their "I" mentality, the surviving migrants are dynamic and continue to evolve into their "we" mentality. This process is the essence of Steinbeck's scientific, Darwinian belief in a progression for humankind based on biological principles generally and struggle in particular. This is why, by the time he published *America and Americans* in 1966, he worries most of all that the people of the United States have lost the survival drive.

Steinbeck, Physics, and *Cannery Row*

Begun by his reading of Darwin and other naturalists/biologists, Steinbeck's path to "what 'is'" depends on inductive reasoning - free of pre-conceptions - that will lead one to greater vistas. As we seek to understand the whole, we can only hope to recognize what "is" in an infinitely expanding horizon. For Steinbeck, the quest is not to *understand* the whole but rather to see, to embrace, as much of it as possible. From biology, Steinbeck followed these widening circles into physics: specifically relativity, quantum theory, and the attempt to reconcile the two in an overarching theory, the unified field or what has been called the Ultimate Theory. We find Steinbeck's view of the whole well-informed by the physics of his day, as described in *Sea of Cortez* and playfully dramatized in one of his greatest novels, *Cannery Row* (1945).

John Steinbeck owned or read two books that would have given him the macro (universal or cosmic) and micro (subatomic or quantum) views in physics for the layman of his day: Albert Einstein's *Relativity*, Arthur S. Eddington's *The Nature of the Physical World*, and *Quantum Mechanics*, by Edward Condon and Phillip Morse (DeMott 1984: 28, 36, 37). Steinbeck was attracted to several aspects of physics in the early twentieth century: that Einstein's theory of relativity radically altered Newtonian or Classical physics (much in the same way Darwin's theory of evolution shook up nineteenth century natural science); that measurement of space and time are relative to our position—there are

no absolutes; that physics at the quantum level admits only to describe accurately *what* but not *why*; that at the quantum level there are probabilities but no absolutes—a hint of chaos in the nature of things; that a great paradox exists as quantum theory and relativity do not agree—concepts that explain the subatomic universe do not apply to the cosmic; that therefore to contain *all*, a unified field theory is needed that does not yet exist. In short, physics as Steinbeck might have understood it would have been very exciting to him, and his exuberance for the questions raised shows itself in *Cannery Row*.

Alone among the American writers of his time and stature, John Steinbeck wanted to teach us that the disorder and paradox we perceive in our world is relative - a figment of our own peculiar warp. If we move beyond our own boundaries, as he believed Darwin first encouraged us to do, we might sense an unseen order in things and therefore we may stand before the universe without trembling in fear when we cannot discern an order to our liking. Through his unique perspective, enlightened by the science of his day, Steinbeck made it clear that an order exists *outside of us* - exists even if the greatest scientific or philosophical minds cannot explain it.

While *The Log from the Sea of Cortez* provides a great source for Steinbeck's consideration of physics in a nonfiction work, *Cannery Row* proves the richest dramatization of the author's interpretation of physics in a novel. *Cannery Row* embraces the whole--in style, form, and content--attempting to contain the peculiar problems of "warp," micro and macro worlds, and grand paradoxes. Ultimately, the novel suggests we may find sanity in an apparently chaotic universe by attaining some sense of the unified field and our place in it. *Cannery Row* opens with its consideration of the problems of perception, "warp," and relative positions, subjects covered in *Sea of Cortez*. As in Einsteinian physics, much of our sense of reality depends upon where we are when we observe it. Steinbeck neatly sums up the problem in *Sea of Cortez* in a discussion of sea waves and how they are perceived as breaking at Point Sur: "And so on and on to the shore, and to the point where the last wave, if you think from the sea, and the first if you think from the shore, touches and breaks. And it is important where you are thinking from" (Steinbeck 1941: 31). Of

course, "where you are thinking from" is of great importance in *Cannery Row*, and readers are instructed to consider this as we look at the Row: "Its inhabitants are, as the man once said, 'whores, pimps, gamblers, and sons of bitches,' by which he meant Everybody. Had the man looked through another peephole he might have said, 'Saints and angels and martyrs and holy men,' and he would have meant the same thing" (*Cannery*: 5). So often with Steinbeck there is this balancing of the two peepholes, the small and personal to the great and infinite; parallel to it is the strong desire to relate the views to all or, in his fiction, the truth. His greatest dramatization of this desire is *The Grapes of Wrath*, structured so we see the micro view of the Joads against the macro panorama of migrants, California history, and dispossession portrayed in the intercalary chapters. *Cannery Row*, in a less rigid structure, does the same thing as we follow the story of Mack and the boys' attempt to pull off a party for Doc, against the larger picture of Monterey, California, and its surroundings. The novel careens from a view as small as a gopher's attempt to make a home for itself (Chapter 31) to Doc's journey of several hundred miles to collect marine specimens in La Jolla (Chapters 17 and 18).

A most interesting presentation of the micro and macro view occurs when a little boy, Andy, taunts a mysterious old Chinaman. The man turns, and his eyes spread out until the boy is engulfed by one single eye; the boy sees a fantastic world of "mountains shaped like cows' and dogs' heads and tents and mushrooms" (*Cannery*: 25). The moment is as disorienting for the reader of *Cannery Row*; has the boy been swept into the mind's eye of the Chinaman, into a tiny micro universe? Or has the Chinaman's giant eye grown outward, so the boy perceives a vision of a colossal universe in which he is but a tiny, lonely part? The old man has provided a glimpse of the chaotic universe and for a little boy not ready to look through that peephole it is a terrifying experience.

What readies us for that particular view, for a consideration of the whole? *Cannery Row* suggests, more so than any of Steinbeck's other works, that the key is *embracing* the disorder and especially the paradoxes that life and the universe present to us. Because of

its wide scope, physics must do exactly this: comprehend the bewildering reality of quantum theory and relativity and the fact that the two views – at least in Steinbeck's time – seem impossible to reconcile. The grand paradox is the fact that working explanations for the quantum universe do not work for the cosmic universe, and vice versa. Hence the need for the unified-field theory Steinbeck refers to, which will contain this gigantic contradiction. Steinbeck not only embraces paradoxes, he delights in presenting them. The driving force of *Cannery Row's* plot, humor, and theme is paradox.

The central plot of the novel is itself a paradox: when Mack and the boys plan a party it is a disaster, when they don't plan it the party succeeds. The novel's humor, its satire, and even its tragedy derive from paradox, and most of the characters are defined by paradox. Mack and the boys are content because they do not work for contentment, and those who do are miserable: "What can it profit a man to gain the whole world and to come to his property with a gastric ulcer, a blown prostate, and bifocals?" (*Cannery*: 18). Dora Flood, a madam who runs a "stately whore house," lives in a paradox: "Being against the law, at least in its letter, she must be twice as law abiding as anyone else" (*Cannery*: 19, 20). Hazel asks questions of Doc but never listens to nor cares about the answers. Henri builds boats but is afraid to finish them because that would mean he would have to set them on the water, and Henri hates the water. Frankie is a boy with no one to love until he finds Doc, and falling in love with Doc is his undoing when he breaks into a store to get his father figure a birthday present. Chapter 25 opens with the observation that people on the Row do not believe in superstitions although they certainly act on them, including Doc, who "was a pure scientist and incapable of superstition and yet when he came in late one night and found a line of white flowers across the doorsill he had a bad time of it" (*Cannery*: 147). The paradoxical focuses on something as small as a gopher who builds a perfect home that he cannot live in for lack of a mate, to sweeping statements about the world, such as Doc's observation that "The things we admire in men, kindness

and generosity, openness, honesty, understanding and feeling are the concomitants of failure in our system" and "those traits we detest, sharpness, greed, acquisitiveness, meanness, egotism and self-interest are the traits of success" (*Cannery*: 135).

Doc, as the unconventional hero of *Cannery Row*, is himself a paradox who has learned to take in larger paradoxes and indeed more of the whole than anyone else in the book. He is described as a man whose "face is half Christ and half satyr," a man with a "cool warm mind" who "can kill anything for need but he could not even hurt a feeling for pleasure" (*Cannery*: 29). Doc is a scientist with superstitions, a center of Row society but "a lonely and set-apart man," a man who loves true things but knows that sometimes it is easier to lie — give the expected explanation — for those who cannot understand, a man who makes his livelihood in tide pools but is deathly afraid of even a single drop of water on his head (*Cannery*: 96). Doc also has the ability to take in the widest possible view: "His mind had no horizon--and his sympathy had no warp" (*Cannery*: 30). Doc in *Cannery Row* embodies the paradoxical and the sweep of the unified field. He possesses the ever-expanding mind of a scientist, transcends the micro and macro, the sensual and intellectual. More than any other character in the novel, he comes closest to comprehending all — the convergence of things. Beyond Doc, this convergence of everything, the unified field, manifests itself in *Cannery Row* as sunrise and sunset, and as music. The Chinaman walks in and out of the between time, the small "quiet gray period" at dawn and sunset (*Cannery*: 24). These times of convergence, of peace between the daylight and nighttime boundaries, are the only times the mysterious Chinaman appears. They are periods of "magic" on the Row, when the place "seems to hang suspended out of time in a silvery light" (*Cannery*: 81). For Doc, such moments can be savored at other times, for he literally tunes into the whole, the unified field, through music. Throughout the novel, we know Doc appreciates music of all kinds, including Gregorian chants, fugues, and concertos.

John Steinbeck's Environmental Stance

Steinbeck, an earth-centered writer, tended to observe things more in terms of science than ideology. However, in the 1950s and into the 1960s, Steinbeck moved toward a moralistic consideration of reality. As a result, his environmental standpoint became more overt and political. As early as *Sea of Cortez*, the author commented on our mindless exploitation of natural resources: "We in the United States have done so much to destroy our own resources, our timber, our land, our fishes, that we should be taken as a horrible example . . ." (Steinbeck 1941: 252). The novel, *Sweet Thursday* (1954), begins by discussing the complete destruction of the sardine fishery in California. His great road-trip memoir, *Travels with Charley* (1962), includes several observations of American material waste and environmental degradation, discussing the environmental stress of the West Coast and Seattle, Washington, in particular. In the speech he gave accepting the 1962 Nobel Prize for Literature, he fears the complete destruction of all life by our nuclear weapons. If these pointed observations were missed, he lectures about the perils of ecological ignorance in the last book he published in his lifetime, *America and Americans* (1966). Steinbeck's alarm over the destruction of the environment is clear, as discussed throughout the chapter, "Americans and the Land," in which he wrote:

"our rivers are poisoned by reckless dumping of sewage and toxic industrial wastes, the air of our cities is filthy and dangerous to breathe from the belching of uncontrolled products from combustion of coal, coke, oil, and gasoline. Our towns are girdled with wreckage and the debris of our toys—our automobiles and our packaged pleasures. Through uninhibited spraying against one enemy we have destroyed the natural balances our survival requires. All these evils can and must be overcome if America and Americans are to survive" (Steinbeck 1966: 127).

His ecological voice is certainly strident here, and amazing for a best-selling author and personal friend of President Lyndon Johnson—what other American author of his stature took this position in 1966? How did John Steinbeck come to this place before so many others? His journey began with Charles Darwin. Had it not been for the prin-

ciples Darwin introduced to him— notions of inductive reasoning and holism— Steinbeck’s work likely would have lacked his unique applications of science to the dilemmas of humanity. He would not have been inspired to venture into other areas, like physics, and would have had no reason to venture forth as the United States’ first eco-novelist, the first mainstream literary voice to call a halt to our foolish experiments with the environment. Dying of heart failure on December 20, 1968, Steinbeck just missed the environmental movement in America. He would have been pleased to see people heed environmental warnings he began issuing as early as the 1930s.

Works Cited:

Benson, Jackson J. *The True Adventures of John Steinbeck, Writer*. New York: Viking, 1984.

Condon, Edward, and Phillip Morse. *Quantum Mechanics*. New York: McGraw-Hill, 1929.

Darwin, Charles (1892). *The Autobiography of Charles Darwin and Selected Letters*. Francis Darwin (ed.), New York: Dover Publications, 1958.

– *On the Origin of Species* (1859) and *The Descent of Man* (1871). New York, Modern Library edition - n. d.

– *The Voyage of the Beagle* (1839). New York: Penguin, 1988.

DeMott, Robert. *Steinbeck’s Reading, A Catalogue of Books Owned and Borrowed*. New York: Garland, 1984.

Eddington, Arthur S. *The Nature of the Physical World* (1929). Ann Arbor: University of Michigan Press: 1963.

Einstein, Albert. *Relativity*: New York: Henry Holt: 1920.

Steinbeck, John. *America and Americans*, New York, Viking: 1966.

– *Cannery Row* (1945). New York: Penguin, 1986.

– *In Dubious Battle* (1936). New York: Penguin, 1983.

– *The Grapes of Wrath* (1939). New York: Penguin, 1976.

– *The Harvest Gypsies*. Charles Wollenberg (ed.): Berkeley: Heyday Books, 1988; essays originally published in the “Their Blood is

Strong,” 1936 *San Francisco News* (1936), reprinted under the title, “Their Blood is Strong,” by the Simon J. Lubin Society in 1938.

– *The Log from the Sea of Cortez* (1951). New York, Penguin, 1995.

– “Nobel Prize Speech (1962).” In *America and Americans and Selected Nonfiction* (eds. Susan Shillinglaw and Jackson J. Benson). 172-74. New York: Viking, 2002.

– *Sea of Cortez: A Leisurely Journal of Travel and Research*, New York: Viking, 1941.

– *Sweet Thursday*(1954). New York: Penguin, 1986.

– *Travels with Charley in Search of America*(1962). New York: The Library of America, 2007.

ბრაიან რეილსბეკი

დასავლეთ კაროლინას უნივერსიტეტის (აშშ) პროფესორი

რეზიუმე

ჯონ სტაინბეკის შინაგულუბავი ბუნებრივ გარემოზე და მათი ევოლუცია

სტატიაში განხილულია დიდი ამერიკელი მწერლის, ჯონ სტაინბეკის ეკოლოგიური და ბიოლოგიური/დარვინისტული შეხედულებების ევოლუცია მთელი მისი შემოქმედების მანძილზე. ავტორი წარმოაჩენს მისი ამ შეხედულებების თეორიულ-ფილოსოფიურ წყაროებს და აანალიზებს, თუ როგორ ხდება მათი ტრანსფორმაცია სტაინბეკის მხატვრულ ტექსტებში.

თაურ ბუნაძე

ძმები ნობელების სახელობის ბათუმის
ტექნოლოგიური მუზეუმის დირექტორი

თაარ ორაჭვილიძე

ძმები ნობელების სახელობის ბათუმის
ტექნოლოგიური მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელი

როგორც ხაზას ჟამოქმედააში ასახული ქართული რეალიზმი

ფოტოგრაფიის აღმოჩენამ კაცობრიობის ისტორიაში დასაბამი მისცა სრულიად ახალ ურთიერთობებს წარსულსა და მომავალს შორის. ამ ახალი აღმოჩენის ფსიქოლოგიური გავლენაც საზოგადოებაზე იმაში გამოიხატა, რომ ფოტოს საშუალებით ადამიანმა შესძლო უფრო დიდხანს დარჩენილიყო წარსულთან. ფოტო ეს არის დროში გაყინული ფაქტი თუ მოვლენა, დამახასიათებელი მრავალფეროვანი ინფორმაციით. შესაბამისად ფოტომ შეცვალა ადამიანის დამოკიდებულება დროში მიმდინარე ცვლილებების მიმართ.

თავად ფოტოს გადაღების ხელმისაწვდომობა თავდაპირველად უფრო შეზღუდული იყო. მეცნიერების სხვადასხვა დარგის განვითარების პარალელურად ვითარდებოდა ფოტოგრაფიული ტექნოლოგიებიც და ფოტოსურათი მასიურ ხასიათს ღებულობდა. აღნიშნულის შესაბამისად, ფოტოდან მომდინარე ფსიქოლოგიური ცვლილებების პროცესიც საზოგადოებაში ხანგრძლივი იყო. თანამედროვეობაში ჩვენთვის ძნელად წარმოსადგენია ცხოვრება ფოტოს გარეშე.

იმ სხვა ფსიქოლოგიურ ფაქტორებთან ერთად, რაც ზოგადად ფოტოს ახასიათებს (მაგალითად: ემოცია, განწყობა...), არანაკლებ მნიშვნელოვანია ფოტოს, როგორც დოკუმენტური წყაროს, მნიშვნელობა. დღეისათვის ფოტოდოკუმენტალისტიკა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და საინტერესო სამეცნიერო მიმართულებაა. მართალია, ეს დარგი, ზოგადად, სამეცნიერო ნომენკლატურაში დამხმარე ისტორიული დისციპლინის სტატუსს ატარებს, მაგრამ იმავდროულად მასში დევს დიდი პოტენცია, რომ იგი ჩამოყალიბდეს, როგორც დამოუკიდებელი სამეცნიერო დისციპლინა.

ფოტოს წყაროთმცოდნეობითი მნიშვნელობა, საქართველოს ისტორიის ამა თუ იმ ფაქტისა თუ მოვლენის რეკონსტრუქციის მიზნით, ძალზე დიდია, მით უფრო როცა ეს ფოტო ეხება არც თუ ისე ახლო წარსულს. წინამდებარე თემის შერჩევაც სწორედ აღნიშნულმა გარემოებებმა განაპირობა.

ფოტოგრაფია მოვლენებისა და ფაქტების ვიზუალური ფიქსაციის ერთ-ერთი უნიკალური საშუალებაა, რომელიც არსებობის დაახლოებით ორ საუკუნეს ითვლის. ამ ხნის მანძილზე ბევრი რამ შეიცვალა, როგორც ზოგადად სამეცნიერო-ტექნიკური განვითარების თვალსაზრისით, ასევე საზოგადოების გემოვნებისა და მოთხოვნილებების მხრივაც. შესაბამისად იხვეწება და ვითარდება ფოტოგრაფიაც. იგი თანამედროვეობაში განიხილება, როგორც ხელოვნების ერთ-ერთი საინტერესო და პოპულარული მიმართულება, რომელმაც მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია როგორც თეორიული, ასევე ტექნიკური თუ ტექნოლოგიური განვითარების თვალსაზრისით და რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ადამიანზე, მის ყოველდღიურობაზე. ჩვენ ვცდილობთ ცხოვრების დეტალები ავსახოთ ფოტოზე, ისე როგორც ძველი საზოგადოების მესვეურნი ცდილობდნენ დაეფიქსირებინათ თავიანთი მიღწევები კლდეებსა თუ თიხის ფირფიტებზე.

კაცობრიობის ისტორიაში ძნელად თუ მოიპოვება ცივილიზაცია, რომელსაც არ უცდია დაეფიქსირებინა საკუთარი მიღწევები. თავისთავად, კულტურის ამა თუ იმ ელემენტის მატერიალიზება თავად ნივთის და მისი შემოქმედის ფიქსირებას გულისხმობს. თვით უძველეს საზოგადოებებშიც ადამიანები ცდილობდნენ მათი ვინაობა და საქმიანობა დროში მდგრადი ყოფილიყო. ისტორიულ სიღრმეში განსაკუთრებით და ნაწილობრივ თანამედროვეობაშიც საკუთარი თავის თუ საქმიანობის ფიქსირება და დროში მდგრადობა სოციალური ნიშნით განისაზღვრებოდა. სხვადასხვა ეპოქასა და სხვადასხვა გეოგრაფიულ არეალში საკუთარი თავის წარმოსაჩენად ადამიანები სხვადასხვანაირ საშუალებებს იყენებდნენ. ამ კუთხით ფოტოგრაფია თავისი რეზონანსით შეიძლება შევადაროთ ანბანის შექმნას ან/და ბეჭდვით ხელოვნებას, რამაც ადამიანის მოთხოვნილება მოვლენებისა და ფაქტების ფიქსაციის თვალსაზრისით ზედმიწევნით დააკმაყოფილა და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ჟურნალისტიკის, და არა მარტო ჟურნალისტიკის, განვითარებაში. დღეს თავისუფლად შეიძლება ვისაუბროთ ფოტოგრაფიის, განსაკუთრებით ფოტოჟურნალისტიკის,

სოციალურ ღირებულებებზე, რაც კიდევ უფრო ცხადყოფს აღნიშნული მიღწევების და მათი ავტორების გენიალურობას.

საქართველო, მისი ბუნება, ქართული სტუმარ-მასპინძლობა და საერთოდ ქართველი კაცის ხასიათი და ცხოვრება არაერთხელ მომხდარა უცხოელი ფოტოგრაფების ობიექტივში. საქართველოში ფოტოგრაფიის ისტორია 1842 წლიდან იღებს სათავეს და იგი უკავშირდება დაგეროტიპის ცნობილი ოსტატის ს. ლევიცკის სახელს, მაგრამ ეს ის პერიოდია, როცა საქართველოში შემოსვლას იწყებენ ცნობილი ფოტოგრაფები და მათი საშუალებით ქართული საზოგადოება ეცნობა ჯადოსნური ყუთის შესაძლებლობებს. 1858 წლისათვის თბილისში უკვე ოთხი ფოტოგრაფიული დაწესებულება ფუნქციონირებდა, ხოლო 1863 წლიდან ამოქმედდა კავკასიის არმიის სტამბასთან არსებული ფოტოგრაფიული განყოფილება. აღნიშნული მოვლენების კვალდაკვალ თანდათანობით გროვდება ძვირფასი ფოტოები, რომელთაც თანამედროვე გადასახედიდან განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ჩვენი წარსულის ვიზუალიზაციისა და კულტურული მემკვიდრეობის რეკონსტრუქციის თვალსაზრისით.

ამჯერად ყურადღება გვინდა გავამახვილოთ მე-20 საუკუნის გენიალურ სამხედრო ფოტოგრაფზე, ფოტოჟურნალისტიკის კლასიკოსზე, უმსხვილესი ფოტოსააგენტოს „მაგნუმის“ ერთ-ერთ ფუძემდებელზე – ანდრე ფრიდმანზე, რომელიც თავის თავს ხშირად შეახსენებდა ხოლმე: „თუ შენი სურათები საკმაოდ კარგი არ არის, ეს იმას ნიშნავს, რომ თვითონ არ ხარ საკმაოდ ყურადღებიანი...“. ამ განცხადების შემდეგ გასაკვირი არ უნდა იყოს გერტა ტაროს და ანდრე ფრიდმანის მიერ მოგონილი ფსევდონიმი – „რობერტ კაპა“. მათ მხედველობას არ გამორჩენია, რომ უნგრელ ფოტოგრაფს ამერიკელი „რობერტ კაპა“ აჯობებდა. მართლაც, „უხილავი ამერიკელის“ გაპიარების შედეგად გაზრდილმა ჰონორარმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ფოტოხელოვანთა მატერიალური მდგომარეობა. „კაპა“ რომ ანდრე ფრიდმანი იყო, ეს წლების შემდეგ გამჟღავნდა, მაგრამ რობერტმა ამჯობინა და უკვე სახელმონვეჭილი ამერიკელი ფოტოგრაფის ფსევდონიმი „კაპა“ – დაიტოვა.

ანდრე ფრიდმანი, იგივე რობერტ კაპა, ბუდაპეშტში, ებრაულ ოჯახში, 1913 წლის 22 ოქტომბერს დაიბადა. ის გახლდათ ასევე ცნობილი ფოტოგრაფის კორნელ კაპას უფროსი ძმა. 1931 წელს გადავიდა ბერლინში და ისმენდა ლექციებს პოლიტიკური მეცნიერებე-

ბის უმაღლეს სკოლაში. ფოტოჟურნალისტიკით სწორედ ბერლინში დაინტერესდა. 1932 წელს კოპენჰაგენში პორტრეტების სერია გადაიღო, მათ შორის ლ. ტროცკის, რომელიც მიტინგებზე მის ფოტოგრაფირებას კრძალავდა. რობერტ კაპა მეგობრობდა ჯონ სტაინბექთან და ჰემინგუეისთან. აფორმებდა მათ წიგნებს. „დაცემული რესპუბლიკელი ჯარისკაცის“ ფოტო დღემდე ომის ამსახველ საუკეთესო კადრად ითვლება, რომელიც თითქმის ყველა გამოცემაში დაბეჭდა და მოგვიანებით კაპამ მისი ავტორობა მხოლოდ ფოტოაპარატში შემონახული ფირის საშუალებით დაამტკიცა.

„ფოტოგრაფია ის დოკუმენტია, რომელსაც შეხედავს თვალებისა და გულის მქონე ადამიანი და იგრძნობს, რომ მსოფლიოში ყველაფერი კარგად როდია“, – ამბობდა 40 წლის ასაკში ხუთი ომის მომსწრე ფოტოგრაფი. თავისი სიცოცხლის ბოლო წუთები ღრმად მოხუცებულს, თბილ საწოლში მოგონებებს მიცემულს, ალბათ ვერც წარმოედგინა. იგი ისეთივე მოულოდნელ და საომარ ვითარებას ემსხვერპლა, რომელთა მსგავსების დაარქივებასაც სიცოცხლის მრავალი წელი მიუძღვნა. კაპამ, სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდების ფასად, აღბეჭდა ფირზე ომის ისტორია და თვითონაც ჯარისკაცისგან განსხვავდა სული – ინლოჩინეთის ომის ბოლოს, როცა ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმზე აფეთქდა. კაპა სიცოცხლეშივე იქცა ლეგენდად. 1955 წლიდან ამერიკის პრესკლუბმა დააწესა ყოველწლიური პრემია ფოტოჟურნალისტებისათვის – „რობერტ კაპას ოქროს მედალი“. იგი გაიცემა საუკეთესო ფოტოსთვის, რომელიც გადაღებულია სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდების ფასად. მადრიდთან დაიღუპა კაპას საცოლე გერდა ტარო, რომელიც ტანკმა იმსხვერპლა. ის იყო პირველი სამხედრო ფოტოჟურნალისტი ქალი, ვინც ომში დაიღუპა (კოუბრე 2005: 365).

1947 წელს ჯონ სტაინბექმა, რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შემავალი ქვეყნების მონახულების შემდეგ, ამ მოგზაურობის მხატვრულ-დოკუმენტური ანგარიში დაწერა და საზოგადოებისთვის ნობელიანტი მწერლის კიდევ ერთი ნაშრომი გახდა ხელმისაწვდომი. მისი ილუსტრირებაც რობერტ კაპამ მოახდინა. სტაინბექმა და კაპამ ერთი და იგივე ამბავი ერთნაირად, მაგრამ სხვადასხვა საშუალებით აღწერეს. რაც მწერლის კალამმა აღწერა, კაპამ ის ფირზე დააფიქსირა. ალბათ სწორედ ამიტომ ეძახდა ხელოვანი თავის ფოტოაპარატებს „სტაინბექებს“.

ომების სისასტიკის აღბეჭდვას შეჩვეული ხელოვანი საბჭოთა კავშირში ვიზიტის დროს იტყვის, რომ „ყოველ ჯერზე, როცა ღილაკი უნდა ჩავაჩხაკუნო, ვგრძნობ, რომ არასწორად ვიქცევი.“ რობერტ კაპას მშვიდ გარემოში მუშაობა მოსაწყენად ეჩვენებოდა (Steinbeck 1999: 147-151). გენიალური ფოტოგრაფი ამ შემთხვევაში სასიამოვნოდ ცდებოდა, ალბათ იმ პერიოდისათვის „ვერ წარმოედგინა“, რაოდენ მნიშვნელოვან კადრებს იღებდა.

ჩვენი თემის მიზანი არ არის სტაინბეკისა და კაპას მთელი მოგზაურობის თქვენთვის შეხსენება, შევეცდებით ერთ პატარა მონაკვეთზე გავამახვილოთ ყურადღება.

მამ ასე, გაჩერება საქართველო:

რობერტ კაპა და ჯონ სტაინბეკი რამდენიმე თვის განმავლობაში „რუსული დღიურისათვის“ აკვირდებოდნენ საბჭოთა კავშირის ყოველდღიურ ცხოვრებას და მოგვიანებით იხსენებდნენ, რომ ამ კავშირის შემადგენლობაში შემავალ, მათ მიერ ნახულ ყველა ქვეყანაში მაგიური სიტყვა „საქართველო“ ესმოდათ. ნახეს თბილისი, გორი, ბა-





თუმი და ჯონ სტაინბეკის კალამთან ერთად 81-ჯერ აჩხაკუნდნენ პატარა „სტაინბეკები“, რომლებმაც კალისტრატე ცინცაძის, მარიამობის წირვის, აჭარაში კოლმეურნის ოჯახში სტუმრობისა და ქართული სუფრის ტრადიციების ამსახველი კადრები უკვლავყვეს.

კაპას მიერ გადაღებული ფოტოები მრავალფეროვანია. თემატურად ისინი შეიძლება შემდეგნაირად დავალოთ: რელიგია და საზოგადოება, ქალაქი და საქალაქო ცხოვრება; არქიტექტურა; სტუმარ-მასპინძლობა და ქართული სუფრა; ბაზარი, ჭიდაობის სცენები და გულშემატკივრები; განათლება და კულტურა, საბჭოთა იდეოლოგია და სხვა. კაპამ საქართველოს ისტორიის მცირე ნაწილის, 1947 წლის მოვლენების ილუსტრირება მოახდინა. ალბათ, იმ მოვლენებისა, რომელთა ფოტოგრაფირების საშუალებაც მისცა საბჭოთა ცენზურამ.

მიუხედავად ამისა მისეული კადრები საყურადღებო და საინტერესოა მე-20 საუკუნის 40-იანი წლების საქართველოს დასახასიათებლად. საინტერესოა უცხოელის თვალთ დანახული ქართველები – უბადლო მოცეკვავეები, საუკეთესო მუსიკოსები და მომღვინეები. სტუმრობისას აღინიშნა კიდევ, რომ აქ არ იგრძნობოდა საბჭოთა კავშირი... ასეც უნდა ყოფილიყო, მათ ზომ საქართველო მასპინძლობდა.

რობერტ კაპას „ქართული“ შემოქმედებიდან ამჯერად გამოვყოფდით ორ ფოტოს. მათგან ერთ-ერთია ბათუმის მიმართულებით, სავარაუდოდ ციხისძირის ან მწვანე კონცხის გვირაბში შემაგალი მატარებელი. მასზე სულ რვა ვაგონი ჩანს და აქედან შეიძლება ვაგონის საფეხ-

ურებზე დგანან მგზავრები. ამკარაა, რომ საკმარისზე დიდი ყოფილა მგზავრთა ნაკადი, ფეხზე მდგომ მგზავრთა რაოდენობა იმდენად დიდი ჩანს, რომ ხალხი მატარებლის საფეხურებზეც დგას და ისე მგზავრობს. თავისთავად საინტერესო ფაქტია, რომელიც შეიძლება განვაზოგადოთ ან მივიჩნიოთ, რომ კაპა საინტერესო ფაქტს შეესწრო და შთამომავლობას სამუდამო სამახსოვროდ დაგვიტოვა ბათუმის მიმართულებით მგზავრობის საინტერესო მომენტი. ყოველ შემთხვევაში ფაქტია, რომ იმდროინდელი სარკინიგზო ტრანსპორტით მგზავრობა ამგვარ კუროიზებსაც იცნობდა.

არანაკლებ საინტერესოა ყოფითი სცენები, განსაკუთრებით იმდროინდელი საზოგადოების რელიგიისადმი დამოკიდებულების ამსახველი ფოტოები. ამ შინაარსით რამდენიმე კადრია მნიშვნელოვანი, მათ შორისაა პატრიარქ კალისტრატე ცინცაძის (1932-1952) ღვთისმსახურების ამსახველი რამდენიმე ფოტო. ამ სახის ფოტოებიდან ჩვენი ყურადღება მიიპყრო ერთმა მათგანმა, რომელზეც შაოსანი ქალებია ასახული, თეთრი მანდილით. მათგან ერთ-ერთი ეკლესიის კედელს ეამბორება, ხოლო მეორე, სავარაუდოდ მომტირალი, მოშორებით დგას და პირველს ელოდება. ჩვენი ყურადღება სწორედ ამ მეორე შაოსანმა ქალმა მიიპყრო, რომელსაც თეთრი მანდილი ახურავს (თუმცა, პირველიც ანალოგიურადაა შემოსილი). საქართველოს, მათ შორის გურია-იმერეთის, ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ბოლო დრომდე შემონახულია მიცვალებულისათვის საკუთხის მომზადების, სუფრის გაშლის და მათ მოსახსენიებელ პარაკლისზე დასწრების დროს თავზე თეთრი მანდილის დახურვის ტრადიცია. ვფიქრობთ, მართებული იქნება, თუ კაპას ფოტოს მივიჩნევთ აღნიშნული ტრადიციის ვიზუალურ დადასტურებად.

ამგვარად, რობერტ კაპას ფოტოებში არაერთი კონკრეტული ხასიათის ეთნოგრაფიული ფაქტი თუ, ზოგადად, საინტერესო ყოფითი ეპიზოდი იმალება და ვიზუალურად აცოცხლებს XX საუკუნის 40-იანი წლების ქართულ სინამდვილეს. გამოცდილ ფოტოგრაფს საინტერესო ტიპაჟები ჰყავს დაფიქსირებული ჭიდაობის, ბაზრისა თუ სუფრასთან მოღვინის დროს, რაც კიდევ უფრო მრავალფეროვანსა და საინტერესოს ხდის მის „ქართულ შემოქმედებას“.

დამოწმებანი:

კოუბრე, კენეტ. ფოტოჟურნალისტიკა: პროფესიული მიდგომა. თბილისი: გამომცემლობა „დიოგენე“, 2005.

Steinbeck, John. *A Russian Journal*. New York, 1999.

TEMUR TUNADZE

Batumi Brother Nobel's Technological Museum, Director

TAMAR ORAGVELIDZE

Batumi Brother Nobel's Technological Museum, Researcher

ABSTRACT

PHOTOGRAPHS OF GEORGIA: ROBERT CAPA'S 1947 PHOTO-ESSAY

A famous photographer Robert Capa together with a Nobel Prize Winner John Steinbeck visited Georgia in 1947. His works reflected Georgia of that time, especially views of Tbilisi, Gori and Batumi. According to our information, there are 81 photos. Those photos show different sides of Georgian society of that time, thematically they are varied and very interesting.

The article describes several interesting photos showing everyday traditional reality.

**ენა, ლიტერატურა, კულტურა,
ხელოვნება, თარგმანი**

**Language, Literature, Culture,
Art, Translation**

LELA ABDUSHELISHVLI

Lecturer, Caucasus University

USING AMERICAN PRESS TO DEVELOP LANGUAGE SKILLS OF TRANSLATORS

According to the dictionary, translation is the communication of meaning of a source language text by means of an equivalent target-language text. It is the skill that requires a lot of time and work to be developed and enhanced. Furthermore, respective language background – both vocabulary and grammar is needed to be able to translate properly and professionally.

There are a lot of various ways of enhancing this skill. One of them is mass media, which as a teaching instrument in the classroom has increased considerably in the past years. The Journal of Reading even carries a regular series - "Use the News" - on integrating the reading of newspapers into classroom activities. This initiative encourages the use of newspapers as an educational tool both to complement and supplement traditional classroom texts and resource materials (Newton 1985: 26).

Teachers can use newspapers to teach comprehension and critical thinking and help students develop sensitivity and awareness of the self, the community, the nation, and the world. Besides, newspapers allow students to use the different sections to locate, categorize, and sequence details, and distinguish fact from opinion. Students are able to locate main ideas, form sentences, find facts, practice critical thinking skills, solve math problems, write creatively, and comprehend better.

All of the above-mentioned skills are extremely important and essential for translators as it develops their ability to translate well and deliver information to the receiver in the most effective way.

Translation is the process of transferring the text from one language to another. It is a complex skill and requires several abilities. Consequently, it is necessary to carefully train and let them master this skill as

there is a risk of imprecise or even wrong information to be conveyed.

A successful translation is the one that conveys the explicit and implicit meaning of the source language into the target language as fully and accurately as possible. The translator must be able to read and comprehend the source language and write comprehensibly in the target language. S/he must also be able to choose the equivalent expression in the target language that both fully conveys and best matches the meaning intended in the source language. A weakness in any of these three abilities will negatively influence performance and have a bad impact on the use of the product.

A number of aspects, such as, the time allocated to deliver the product, familiarity with the subject-matter and the socio-cultural elements of either or both source and target languages can significantly influence the quality of the way we translate, i.e. the performance in the process of translation. Moreover, analytical skills and ability to use translation tools and resources (e.g. monolingual dictionaries, consulting with experts, etc.) give the individual the chance to check if the chosen equivalent is appropriate. These are specialized skills that must be acquired and enhanced through training and practice.

The more difficult the translation task, the more complex the text becomes. Therefore, the translator should develop this competence and make sure s/he applies proper skills. Overall, the individual's translation performance level depends on the knowledge of two languages, the ability to apply a translation methodology, familiarity with the cultural context of both languages, knowledge of terminology in specialized fields and the ability to finalize the product within time constraints and according to specifications.

The Skill Level descriptors for Translators (developed by the American ILR - Interagency Language Roundtable) are divided into three bands: **Minimal Performance, Limited Performance and Professional Performance** and language tasks that are often associated with translation, such as getting the gist of and summarizing a text, are not included since such tasks require skills distinct from translation skills. Newspapers serve as an excellent learning resource for enhancing these

skills. They prove to be a valuable tool for teachers who work with translator students. Besides, newspapers help and encourage those students who are not easily motivated, they target specific learning skill and increase motivation. As the culture evolves into a global community, physical boundaries easily blur with the use of media in the classroom. This adds additional element of pleasure to learning with newspapers, which can be used in direct instruction, active learning and student projects.

The most significant benefits of using newspapers in the translation classroom are development of reading comprehension skills and enlarging vocabulary which ranges from global warming to medicine and politics to holiday destinations. This is extremely crucial for this segment in order to be able to provide quality translation. With the use of newspapers students respond to relevant materials from the real world, the variety of topics and themes that appear in newspaper articles promote communication through classroom discussions with the teacher and among other students through group work and peer correction. It promotes learner autonomy, students can discover their own learning styles and become adept at using dictionaries and electronic resources. All of this instills confidence in their own abilities and, most importantly, provides them with skills they can use outside of the classroom. For these reasons, translation is now regarded as an acceptable procedure for the communicative approach to language learning.

Thus, American press proved to be the most effective tool to develop the language skills of translators. To be more specific, daily and weekly chronicles of current events and other materials of interest add the element of interest and animation. Significantly, they are often written in a style too complex for the average American to understand. This promotes confidence boosting among students to understand what's written. In the non-native speaking classes they serve as the valuable language source that helps the students to enlarge their vocabulary and get identify various written styles.

Below are given activities that can be used in the EFL class with the use of newspapers. They are divided according to levels and develop various skills.

Beginning Students

1. Have students look at the pictures and graphics.
 - Tell them to point to specific items.
 - Ask questions with “or”. (e.g. “Are the people sitting or standing?”)
 - Ask “wh” questions. (e.g. "What are they doing?")
2. Dictate or write some of the headlines on the board. Tell students to find the pages that the stories for the headlines are on.
3. The teacher reads a story sentence by sentence. For each sentence, ask students to underline key words or phrases. Go back and ask questions for which the underlined words/phrases are the answers.

Intermediate and Advanced Students

1. Ask students to scan the newspaper and tell you which stories they would like to read in class. (This can be done in pairs or small groups as well as individually).

2. Small group activity: writing and answering questions

- Divide class into small groups and ask each group to choose a different story.
- Give each person in each group a small piece of paper on which to write a question. (Each group should have a different color.)
- Students write their questions and trade them with another group’s questions. They read the story, write the answers to the questions and hand them back.

3. Small group activity: summarizing

Select several stories that you want the students to read and summarize. Divide the class into groups. Each person reads a different story and then tells the others in the group what the story was about.

4. Create a headline

- Cut out stories without their headlines. Ask students to read the stories and write headlines for them. Compare their headlines with the ones that are in the newspaper.

5. Write the caption

Cut out some of the pictures from the newspaper without any captions.

Give students the pictures. Ask them to write their own caption for each picture. Compare with the actual captions.

6. Interview activity

- Students write these two questions and answer them for themselves (after reading the newspaper). “What story did you like?” “Why did you like it?”

- Students ask their classmates the same questions and write their answers. (e.g.: “Rosa liked the story about sports. She liked it because she likes to play soccer.”)

7. Modified jigsaw reading for newspaper stories

Choose a story that can be divided into three or four parts. Or choose three or four different stories. If the students are low level, read the story(ies) to them aloud before starting the activity. Review/discuss key vocabulary words.

Step 1 - Form "home" groups of three or four and number off.

Step 2 - Hand out the questions. Each person in the group gets a different set of questions.

Step 3 - In "expert" groups, students look up the answers to their set of questions, underline the answers in the newspaper or write them. Then they practice giving the answers to each other. Students are not supposed to read the answers when they are teaching their "home" group.

Step 4 - "Experts" return to "home" groups and teach the answers to the questions which they were assigned. Everyone in the group has been given a copy of all of the questions. All members of the group underline the answers in their newspapers.

Step 5 - Teacher creates and asks a new set of comprehension questions about the material.

Works Cited

Newton, Kay. "Newspaper in education: New readers for newspapers." Paper presented at the Meeting of the Western Social Science Association, 1985

ლელა აბდუშელიშვილი

კავკასიის უნივერსიტეტის ლექტორი

რეზიუმე

**ამერიკული პრესის გამოყენება მთარგმნელთა
ენობრივი უნარების განვითარებისათვის**

სტატიის მიზანია მკითხველს გააცნოს ამერიკული პრესის მეშვეობით მთარგმნელთა და თარჯიმანთა უნარ-ჩვევების დახვეწა-განვითარების გზები და მეთოდები. კონკრეტულად, როგორ გამოიტანონ მთავარი აზრი, განავითარონ კრიტიკული აზროვნება, განასხვავონ ფაქტი და მოსაზრება, გადაჭრან პრობლემები და იაზროვნონ შემოქმედებითად.

ქართვან ანთალავა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

ფილანთროპია და ქალთა ფილანთროპია ამერიკაში

შესავალი

ფილანთროპიას ამერიკაში ხანგრძლივი ისტორია და დიდი ტრადიციები აქვს. ალექსის დე ტოკვილი, ფრანგი პოლიტიკური მოაზროვნე და ისტორიკოსი ამის შესახებ წერდა:

"სამოქალაქო ომის დაწყებამდე ათწლეულების განმავლობაში ყველა ასაკისა და მდგომარეობის ამერიკელი ფილანთროპიულ საქმიანობაში იყო ჩართული. ეს ადამიანები ხშირად ისეთ სოციალურ და პოლიტიკურ ფუნქციებს ითავსებდნენ, რომლებიც მათი ორგანიზაციების ძირითად დანიშნულებასსცილდებოდა.

დემოკრატიული ქვეყნის მოქალაქეები დამოუკიდებლობის მიუხედავად, სუსტნი და უმწეონი არიან იმ შემთხვევაში, თუ არ ეზიარნენ ერთუზიასტურ კულტურას და არ ისწავლეს ერთმანეთის უანგაროდ დახმარება". (Alexis de Tocqueville 1981: 403, 405)

ცალკე აღნიშვნის ღირსია ქველმოქმედ ქალთა ღვაწლი ქვეყნის სოციალურ, პოლიტიკურ და კულტურულ განვითარებაში. ისტორიის პროფესორი და ნიუ იორკის ფილანთროპიის კვლევითი ცენტრის დირექტორი, ქეთლინ მაქართიაღნიშნავს, რომ ამერიკელი ქალები ოდითგანვე ხელოვნების ქომაგები იყვნენ და დღესაც ასეთებად რჩებიან. მაშინ როდესაც მამაკაცები ძირითადად პრაქტიკული საკითხებით იყვნენ დაკავებულნი და ფინანსების მოპოვებისა და ქვეყნის რესურსების ათვისების პროცესებში იყვნენ ჩართულნი, ქალები მთელ თავის დროს, ყურადღებას და მეუღლეების შემოსავალს თითქმის მთლიანად უთმობდნენ ხელოვნებას. (McCarthy 1991: XI)

ისტორიის, კულტურისა და სოციალურ მეცნიერებათა მკვლევარები ერთხმად აღიარებენ, რომ ფილანთროპი ქალების მრავალწლიანი და დაბრკოლებებით აღსავსე მოღვაწეობის გარეშე ამერიკა დღევანდელი სახით ვერ ჩამოყალიბდებოდა. გადაჭარბება არ იქნებ თუ ვიტყვით,

რომ ასეთი ტიპის საქმიანობამ ეტაპობრივად შეცვალა ამერიკული ქალაქების სოციალური გეოგრაფია, კლასობრივი და გენდერული პარამეტრები. მოხალისეობრივ პრინციპებზე დამყარებულმა ასოციაციებმა საფუძველი ჩაუყარეს ისეთ ძალას, რომელმაც † შექმნა ამერიკის კულტურა, საფუძველი დაუდო ქვეყნის რეფორმებს და ჩამოაყალიბა ამერიკელის მენტალიტეტი.

მიუხედავად იმისა, რომ ამერიკელი ქალების საქველმოქმედო საქმიანობის როლი საყოველთაოდ არის აღიარებული და ხელოვნების პოპულარიზაციის მათ მიერ წამოწყებული პროცესი სამოქალაქო ომამდელი პერიოდიდან მოყოლებული მთელ ამერიკას მოიცავდა, იგი ჯეროვნად ჯერ კიდევ არა არის შესწავლილი. ამასთან დაკავშირებით ხელოვნების ისტორიკოსი და გენდერული საკითხების მკვლევარი, დაიანა მაქლეოდი წერს:

"ნიუ იორკშიც კი, არასაკმარისი ყურადღება დაეთმო იმ ფაქტს, რომ ქალაქის ძირითადი მუზეუმები: თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი, ამერიკული ხელოვნების უითნის მუზეუმი, გუგენჰაიმის მუზეუმი და ქუფერ-ჰიუიტიის დიზაინის ეროვნული მუზეუმი სწორედ ქალბატონების ძალისხმევას შედეგად დაარსდა". (Macleod 2008: 1)

ხელოვნების ნიმუშთა კოლექციონერება, როგორც საქმიანობა, დღეს სხვადასხვა მეცნიერებების ინტენსიური კვლევის საგანია. ისტორიკოსები, სოციოლოგები, ანტროპოლოგები და ამ ბოლო ხანებში ამერიკისმცოდნეები და გენდერული საკითხების მკვლევარები გამორჩეულ ინტერესს იჩენენ ამ საკითხის მიმართ.

უნდა ითქვას, რომ მათიკვლევების მრავალფეროვანი და განსხვავებული მიზნების მიუხედავად, ყველა თანხმდება რომ ფილანტროპ ქალბატონთა საქმიანობამ უდიდესი როლი შეასრულა ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური განვითარების, მისი საზოგადოების წევრთა მოქალაქეობრივიშეგნებისა და პრინციპების ჩამოყალიბებაში.

ქალთა ფილანტროპიული საქმიანობის ისტორიული საფუძვლები

სამოქალაქო ომამდელ პერიოდში ქალები პრაქტიკულად ვერ ახერხებდნენ სახელოვნებო დაწესებულებების საქმიანობაში მონაწილეობის მიღებას. იგი მამაკაცების პრეროგატივად მიიჩნეოდა, რაც ლოგიკური სოციალური და ეკონომიკური მიზეზებით აიხსნებოდა.

როგორც ცნობილია, იმ დროს ქალი შეზღუდული იყო; მათ შორის ფინანსურადაც. ამდენად, მისი შემოქმედებითი ენერჯია და ნიჭიერება სახლის ფარგლებს ვერ სცდებოდა. ამიტომაც ყველაფერი საკუთარი საცხოვრებლის დეკორირებით დაიწყო და სამოქალაქო ომის შემდგომ პერიოდში დეკორატიული ხელოვნების პოპულარიზაციის ფართომაშტაბიან მოძრაობაში გადაიზარდა. ჩიკაგოს ქალთა კლუბის პრეზიდენტი 1910 წელს ამასთან დაკავშირებით შემდეგ კომენტარს აკეთებს:

"სახლი ჩვენი ცხოვრების ცენტრია. ჩვენ უნდა შევიტანოთ ხელოვნება სახლებში; სახლებიდან ამ სილამაზემ უბანში უნდა გადაინაცვლოს. ერთი უბნიდან კი სხვა უბანში. ამ გზით ჩვენ მთელი ჩვენი ქალაქის ესთეტიზირებას მოვახდენთ". (Boris 1993: 34)

თავის მხრივ ამ მოძრაობამ თავისი საგანმანათლებლო არსით და უდაო საზოგადოებრივი დატვირთვით ქალების შესაძლებლობებს ფართო ასპარეზი გაუხსნა და თუმცა ძველი დიქტომია კვლავაც ძალაში იყო, საქველმოქმედო და სახელოვნებო ვექტორი უკვე სერიოზულ ცვლილებას განიცდიდა. თუ ე.წ. მოოქროვილი საუკუნის (Gilded Age) ქალების წინსვლა ჯერ კიდევ მამაკაცების "ზედამხედველობით" ხდებოდა, პროგრესული ერის (Progressive Era) მანდილოსნები უკვე დამოუკიდებლად მოქმედებდნენ და მხოლოდ საკუთარი მოსაზრებებით ხელმძღვანელობდნენ. 1890-1920 წლებში მიმდინარე პროცესებმა უმაღლესი განათლებისადმი ინტერესის გაზრდა განაპირობა და იგი ქალებისთვის ხელმისაწვდომი გახდა. შედეგად, მივიღეთ ქალის საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსვლა, სუფრაჟისტების გააქტიურება და სამოქალაქო უფლებებისთვის ბრძოლა. ამიტომაც ფილანტროპი ქალები, რომლებიც ასპარეზზე მე-20-ე საუკუნის დასაწყისში გამოვიდნენ წინამორბედებისგან თვისობრივად განსხვავდებოდნენ. ისინი არა მარტო საკუთარი, განსხვავებული ხედვით ქმნიდნენ სახელოვნებო დაწესებულებებს, არამედ მათ მართვასა და განკარგვაშიც აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ. თუ ამ ევოლუციურ პროცესს დავუმატებთ იმას, რომ პროგრესულად და მოქალაქეობრივად მოაზროვნე ქალბატონები თანამოაზრეთა ჯგუფებს ქმნიდნენ, ამან დროთა განმავლობაში სერიოზული ცვლილება შეიტანა საზოგადოებაში.

ქალთა ფილანტროპიის შესწავლა მრავალი განსხვავებული რაკურსით შეიძლება: ქრონოლოგიური, ისტორიული, ხელოვნებათმცოდნეობითი

და საზოგადოებრივი მოძრაობის კუთხით, მაგრამ რადგან თანამედროვე ამერიკულ ისტორიოგრაფიას, თავის მიდგომებში ამ ბოლო დროს მულტიკულტურალიზმის გადმოსახედიდან შეაქვს კორექტივები (რასაც საბოლოოდ ეროვნული ერთიანობისკენ მივყავართ), ჩვენც ქალთა ფილანტროპია მულტიკულტურულ ჭრილში გვსურს გავაშუქოთ.

აშშ-ში პირველი მოსახლეების გაჩენის დღიდან არსებობდა მტკიცე რწმენა, რომ კარგად ორგანიზებულ საზოგადოებას უნდა შესწევდეს უნარი უზრუნველყოს მისი შემადგენელი, ეთნიკურად და კონფესიურად მრავალფეროვანი ჯგუფების თანაცხოვრება და სრულფასოვანი ფუნქციონირება. ამიტომაც, მულტიკულტურალიზმი ამერიკული საზოგადოების განვითარების თანამდევი მოვლენაა.

ამ სტატიის მიზანია, ქალთა საქველმოქმედო საქმიანობა განვიხილოთ, როგორც აშშ-ს მულტიკულტურული მრავალფეროვნების შემადღვალაბებელი და ეროვნული ერთიანობისკენ მიმავალი ერთ-ერთი გზა. ამ მიზნით მოვაქცევთ თქვენი ყურადღების ცენტრში იმ ქალბატონების ცხოვრებას და საქველმოქმედო საქმიანობას, რომელთა მუდმივი ინტერესის საგანი განლდათ აშშ-ს მრავალფეროვანი კულტურული მემკვიდრეობის ერთმანეთისგან ესოდენ განსხვავებული შრის წარმოჩენა, პოპულარიზაცია და მნიშვნელობის ხაზგასმა.

ამ ქალების სოციალური სტატუსისა და საქმიანობის აღწერა, მათი ფსიქოლოგიური და პიროვნული პორტრეტების შექმნა და იდეოლოგიური პრინციპების გაცნობა დაგვანახებს იმ ფაქტს, რომ მათი განსხვავებულობის მიუხედავად, ისინი ერთსა და იმავეს - მულტიკულტურული ამერიკის ერთიანობას ემსახურებოდნენ.

იზაბელა სთიუართ გარდნერი (1840-1924)

შემდგომულ ოჯახში დაბადებულმა იზაბელა სთიუართმა კარგი განათლება მიიღო აშშ-სა და ევროპაში. მისი ოჯახური ცხოვრება საკმაოდ სტანდარტული იყო, თუმცა ვაჟიშვილის გარდაცვალებამ და შემდგომი უშვილობის სამწუხარო პერსპექტივამ იგი ღრმა დეპრესიაში ჩააგდო. მოგვიანებით ცოლ-ქმარმა ევროპასა და ეგზოტიკურ ქვეყნებში მოგზაურობა დაიწყო, რამაც ტრავმირებული ქალისთვის ერთგვარი თერაპიის სახე მიიღო. ზოგიერთი მისი ბიოგრაფი თვლის, რომ იზაბელას ინტერესი ხელოვნების მიმართ სწორედ ამ

მძიმე სტრესის დაძლევის ერთ-ერთი გზა იყო. მისი მეუღლის - ჯექ გარდნერის საზოგადოებრივი სტატუსი, ფინანსური მდგომარეობა და დამყოლი ბუნება ხელს უწყობდა იზაბელა გარდნერის ექსცენტრიულ, ბოჰემურ ცხოვრებას და ზოგჯერ თამამ "გამოხტომებსაც". მისი ქცევა, იმ დროის ქალთა ქცევის სტანდარტს სცდებოდა და იგი ხშირად მამაკაცთა ტერიტორიაზე იჭრებოდა. თუმცა მისი გამორჩეულობა იმაში იყო, რომ ამ ტერიტორიაზე მოხვედრისას, იგი გამოწვევებს თანაბარი პირობებით იღებდა. ასე მოხდა ფილანტროპიით მისი დაინტერესების შენთხვევაშიც.

როგორც 1860-90-იანი წლების მეცენატ ქალებს ახასიათებდათ, იზაბელა გარდნერმა კოლექციის შეგროვება სახლის დეკორირების მიზნით დაიწყო. თავდაპირველად ის ფრანგული სკოლის რამოდენიმე ფერწერულ ტილოს, ქსოვილებს და ხელოვნების სხვა ნიმუშებს შეიცავდა.

1891 წელს, როდესაც მან მამისგან მემკვიდრეობად 1,75 მილიონი დოლარი მიიღო, მისი შესაძლებლობები გაიზარდა და კოლექციამაც შთამბეჭდავი სახე მიიღო: ტიციანი, ვერმეერი, ბოტიჩელი, ჰოლბეინი, რემბრანტი, ტინტორეტო, ჯორჯონე, რუბენსი. ეს არასრულისიაც კი საკმარისია ამ პიროვნების პორტრეტის, მისი საქმიანობის სრული სურათის აღსაქმელად.

თავდაპირველად ეს შედეგები გარდნერების სახლში, ბიქონ ჰილზე იყო განთავსებული და 1896 წლიდან აქ უკვე ეწყობოდა ხანმოკლე გამოფენები. ამავე დროს მომწიფდა ცალკე მუზეუმის შექმნის იდეა. მუზეუმების ნაკლებობით შეწუხებული იზაბელა ერთ-ერთ პირად წერილში წერდა:

"წლების წინ მივედი იმ დასკვნამდე, რომ ჩვენს ქვეყანაში ხელოვნების ერთგვარი დეფიციტი იყო, რადგან სხვა სფეროების განვითარებას მეტი დრო დავუთმეთ. ჩვენი ქვეყანა შედარებით ახალგაზრდაა და ესთეტიური ნივთებისა და ხელოვნების ნიმუშების ხილვის შესაძლებლობა ნაკლებად გვეძლევა. ამიტომ გადავწყვიტე, მათ პოპულარიზაციას მთელი ცხოვრება მივუძღვნა, თუკი, რა თქმა უნდა, შევძლებ." (Macleod 2008: 91)

იდეას გადაწყვეტილების მიღება მოჰყვა და 1899 წელს დაიწყო ფენუეი ქორთის მშენებლობა, რომელიც 1903 წლის

დასაწყისში საზეიმოდ, გარდნერისთვის ჩვეული გაქანებით და თეატრალიზებულობით გაიხსნა.

ქალთა მიერ შექმნილი წინამორბედი მუზეუმებისგან განსხვავებით ფენუეი ქორთი და მისი დამფუძნებელი, თანაბარ პირობებში კონკურენტუნარიანი მოთამაშე აღმოჩნდა მამაკაც ფილანტოფებთან ჭიდილში. იზაბელა გარდნერი ყველაფერს დამოუკიდებლად აკეთებდა და წყვეტდა: კოლექციაში შემავალი შედეგების შესყიდვა დამათი მოპოვების მიზნით გამართული მოლაპარაკებები იქნებოდა ეს, თუ მშენებლობა, ექსპონირება, მუზეუმისმართვა და დაფინანსების სტრუქტურირება.

ფენუეი ქორთში მან ხელოვნების "მოშინაურება" და კერძოსა და საჯაროს საოცარი ერთობის შექმნა მოახერხა. ალბათ სწორედ ამის გამო, ქუჩის მოპირდაპირე მხარეს განლაგებულმა ხელოვნების მუზეუმმა (*The Museum of Fine Arts*) ფენუეი ქორთი ვერა და ვერ დაჩრდილა.

გარდნერის წარმატება და მიღწევა ისიც გახლდათ, რომ მისი ინტერესის ობიექტი, მამაკაცი კოლექციონერების მიერ სრულიად იგნორირებული, ან ნაკლებად განვითარებული სფერო კი არ იყო, (როგორც ეს წინამორბედ მეცენატ ქალებს ჩვეოდათ), არამედ მე-17-18 საუკუნის მაღალმოთხოვნადი ევროპული ფერწერა.

იზაბელა გარდნერი იყო საზოგადოებრივი მოღვაწე, კულტურის ქომბაგი, იმ ტიპის ქალთა წინამორბედი, რომელთაც უარი თქვენს საყოველთაოდ მიღებული ნორმების მორჩილებაზე და რომლებსაც მოგვიანებით ჰენრი ჯეიმსის მიერ დამკვიდრებული კრებითი სახელი, "ახალი თაობის ქალები" (*The New Women*) დაერქვათ. (*Smith –Rosenberg 1985: 176*) მისმა საქმიანობამ ფილანტროპიის მომავალ ტენდენციებს ჩაუყარა საფუძველი და როგორც ქეთლინ მაქართი აღნიშნავს, ასპარეზი გაუხსნა XX საუკუნის დასაწყისის ინდივიდუალისტ ქალებს, რომელთაც ამერიკული ხელოვნებისა და ფილანტროპიის კონტურები შეცვალეს. (*McCarthy 1991: 150*)

ები ოლდრინ როქეფელერი (1874-1948)

დღესდღეობით ეს, შესაძლოა, ძნელი წარმოსადგენიც იყოს, მაგრამ XX საუკუნის დასაწყისში თანამედროვე ხელოვნების

მხარდაჭერას და პროპაგანდას ერთგვარი ამბოხების სახე ჰქონდა, რადგან მოდერნიზმს იმ დროს რადიკალიზმის იერი დაჰკრავდა. ნიუ იორკის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის სტუმარი ძნელად თუ წარმოიდგენს, რომ მისი ექსპონატები ერთ დროს განსჯისა და დავის საგნად იყო ქცეული.

გამოხმაურება, რომელიც 1913 წელს ჩატარებულ არმორი შოუს (*Armory Show*) ავანგარდული მხატვრობის გამოფენას მოჰყვა, ამის ნათელი დასტურია.

"ამერიკელთა ურავლესობას მათი ქვეყნის ფარგლებს გარეთ ხელოვნების სფეროში განვითარებული უჩვეულო მოვლენების შესახებ მხოლოდ ყურმოკვრით თუ სმენოდა; ამიტომ ეს ადამიანები სრულიად მოუმზადებლები აღმოჩნდნენ მათ თვალწინ გადაშლილი პოსტიმპრესიონიზმის, კუბიზმისა და ფოვიზმის ნიმუშების შოკისმომგვრელი ზეგავლენისთვის.

ნიუ-იორკში გამართულ ერთთვიან გამოფენას სამოცდაათ ათასზე მეტი დამთვალიერებელი მოაწყდა. მოვლენა ინტენსიურად შუქდებოდა პრესით, რომელიც მთელს ქვეყანას, პირდაპირ რომ ვთქვათ, აზანზარებდა". (*Brown 1988: 131*)

ნიუ იორკის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის დაფუძნება სამი ქალბატონის - ები როქეფელერის, ლილი ბლისის და მერი ქუინ სალივანის სახელს უკავშირდება. აშშ-ში ავანგარდის, როგორც ჟანრის, გაცნობა, დამკვიდრება და პოპულარიზაცია ასევე ქალების სახელს უკავშირდება. გერთრუდ სტაინის სალონები, მეიბელ დოდჯის არმორი შოუ, კეთრინ დრაიერის შემოქმედება, იდითჰალპერთის გალერეა, ეტა და კლარიბელ კოუნების და აგნეს მეიერის მოღვაწეობა... ეს არასრული სიაა იმ საქმიანობისა, რომელმაც საუკუნის დასაწყისის სახელოვნებო ინტერესების და გემოვნების ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშა.

ხელოვნების მანდილოსანი ქომაგების მხრიდან ავანგარდით ამგვარ დაინტერესებას ქეთლინ მაქარტი ორი ძირითადი მიზეზით ხსნის. პირველი გახლავთ არსებული სიცარიელის შევსების სტრატეგია. საქმე ის არის, რომ მამაკაცი ხელოვნებათმცოდნეებისა და მეცენატების მხრიდან ეს ახალი და უცნობი სფერო სრულიად იგნორირებული იყო, რაც ქალებს მოქმედების თავისუფლებას აძლევდა. მეორე მიზეზი

კი ეკონომიკური ხასიათისა გახლდათ: მოდერნისტული მხატვრობა, ისევე როგორც ქალების ინტერესის ადრინდელი ობიექტები (კერამიკა, ტექსტილი, თვითნასწავლი მხატვრების შემოქმედება) შედარებით ხელმისაწვდომი იყო, იმის გამო, რომ შეძლებულ მამაკაც მეცენატთა კონკურენციის ობიექტს არ წარმოადგენდა (*Kathleen D. McCarty 1991: 179*).

ები როქეფელერის ინტერესი ავანგარდის მიმართ პირადული ინტერესებითაც აიხსნებოდა. მას მეუღლის გავლენისთვის თავის დაღწევა და ხელოვნების მეცენატობის სფეროში დამოუკიდებელი ადგილის დამკვიდრება სურდა.

მისი მეუღლის, ჯონ როკფელერის ინტერესს ჩინური ფაიფური, შუა საუკუნეების ხელოვნება და არქიტექტურა წარმოადგენდა. ამ საქმეში იგი საკმაოდ დიდ თანხებს აბანდებდა. ცნობილია, რომ მეუღლის ავანგარდით გატაცებას მან "ების სისულელები" (*Abby's follies*) უწოდა და დაფინანსებაზე უარი უთხრა. შვილისადმი მიწერილ წერილში ები ფილანტროპიით დაინტერესების უფრო სიღრმისეულ მიზეზებზეც საუბრობს:

"ხელოვნება ჩემთვის ერთ-ერთი უმძლავრესი სასიცოცხლო რესურსია; ის ამდიდრებს სულიერ ცხოვრებას, მოუხმობს ადამიანს გონიერებისაკენ და მეტი თანალმობისაკენ; ხვეწს და აფაქიზებს დაკვირვებისა და აღქმის უნარს". (*Macleod 2008: 156*)

1929 წლის ნოემბერში ამ სამი ქალბატონის პრინციპულობის, ინდივიდუალიზმისა და თუ გნებავთ, სიჯიუტის შედეგად ოთხი ევროპელი მხატვრის 98 ნამუშევრით გაიხსნა თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი (*Museum of Modern Art*). "დამფუძნებელთა მანიფესტში" ნათქვამი იყო, რომ მუზეუმი რეგულარულად მოაწყობდა თანამედროვე ამერიკელი და ევროპელი მხატვრების გამოფენებს და შეიქმნებოდა თანამედროვე ხელოვნების მუდმივმოქმედი მუზეუმი.

თავისი ესთეტიური და კულტურული ღირებულების გარდა (რომელსაც მუზეუმი დღემდე ინარჩუნებს) მის გახსნას სხვა მნიშვნელობაც ჰქონდა. ეს მოვლენა ქალთა მზარდი ინდივიდუალიზაციის მაჩვენებელი იყო. ასევე, იგი პროფესიული და ფილანტროპიული შესაძლებლობების თანაბრად შეთავსების

გამოხატულებას წარმოადგენდა. ამგვარად, ქალთა საქმიანობა მხოლოდ საქველმოქმედო სფეროთი აღარ შემოიფარგლებოდა.

ეს მუზეუმი იმის დასტურიც არის, რომ 1920-იან წლებში, გაფართოებული არჩევანის შესაძლებლობა, მრავალფეროვანი კულტურული ინტერესების დაკმაყოფილებაში გამოვლინდა.

გერთრუდ ბას უორნერი (1863-1951)

მრავალფეროვანი კულტურული ინტერესების დაკმაყოფილების კარგი მაგალითია ორეგონის უნივერსიტეტის ჯორდან შნიცერის ხელოვნების მუზეუმი, რომელიც აზიის ხელოვნებას და ამ კულტურის გავლენით შექმნილ ნიმუშებს აერთიანებს.

ხსენებული დაწესებულების შექმნა გერთრუდ ბას უორნერის სახელს უკავშირდება. ეს გახლდათ ქალი, რომელიც თავის დროს უსწრებდა. მას კარგად ჰქონდა გაცნობიერებული, რომ განსხვავებული კულტურის ხალხთა შორის კონფლიქტი გარდაუვალია, თუ ისინი ერთმანეთის გაგებას არ შეეცდებიან. ხელოვნება კი ამ პრობლემის დაძლევის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა. იგი წერდა:

"აღმოსავლეთში ბევრი მიმოგზაურია და თვალნათლივ მინახავს, როგორ ქცეულა წმინდა სოციალური ხასიათის, უმნიშვნელო გადაცდენები სერიოზულ გაუგებრობებად. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ აღმოსავლეთმა და დასავლეთმა ერთმანეთისაკენ სავალი გზები და შეხების წერტილები უნდა მოძებნონ. აქედან გამომდინარე, გაცნობთ ზოგიერთ ადათს, რომელიც დასავლეთმა მხედველობაში უნდა მიიღოს, თუკი აღმოსავლეთისა და დასავლეთის მშვიდობიანი "შეყრისა" და მეგობრებად დარჩენის პერსპექტივას გარდაუვალ აუცილებლობად მივიჩნევთ". (Metzger Fong 1997: 87)

როგორც ჭეშმარიტი ამერიკელი, იგი შეუდგა იმის კეთებას, რისიც ღრმად სწამდა და შექმნა აზიის ხელოვნების მუზეუმი და კულტურული ცენტრი. უნდა ითქვას, რომ აზიის ხელოვნების კოლექციონირება საბუზუუმო საქმეში გამოცდილი მამაკაცებისთვისაც კი იშვიათობას წარმოადგენდა. სწორედ ამიტომ უნდა შეფასდეს გერთრუდ უორნერის დაინტერესება ორიენტალისტიკით როგორც სითამამე და ერთგვარი რისკიც კი.

მისი ფილანტროპიული საქმიანობა ცარიელ ადგილას არ აღმოცენებულა. შეიძლება ითქვას, რომ აშშ-ს ფილანტროპიის მრავალ-

წლიანი ტრადიციები მის ოჯახშიც იყო აკუმულირებული: მისმა ბებია, რომელიც ქალთა უმაღლესი განათლების დიდი ქომაგი იყო, ჩიკაგოს უნივერსიტეტს საერთო საცხოვრებელი გადასცა საჩუქრად, მისი დედა ბავშვთა საავადმყოფოს დაარსებაში მონაწილეობდა, დედა კი ჩიკაგოს ხელოვნების ინსტიტუტის მმართველთა საბჭოს წევრი იყო. ამ ოჯახურ ტრადიციას, რა თქმა უნდა, უკვალოდ არ ჩაუვლია.

გერთრუდამ საფუძვლიანი განათლება ჯერ ფილადელფიაში, შემდეგ კი პარიზში მიიღო. მას იმ დროის ნორმებისთვის არ უღალატია და საკმაოდ ადრე გათხოვდა, თუმცა ბავშვების გაჩენის შემდეგ განქორწინდა. ოჯახმა არ ისურვა განქორწინებული ქალიშვილის შინ დაბრუნება და 1904 წელს ის ძმასთან შანხაიში გაემგზავრა.

სწორედ აქ დაიწყო მისი დაინტერესება აზიის კულტურით. აქვე მან ხელმეორედ იქორწინა მიურეი უორნერზე. აზიაში ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ 1909 წელს წყვილი იუჯინში (ორეგონი) გადავიდა და სწორედ აქ გააჩაღა თავისი ფილანთროპიული საქმიანობა. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ გერთრუდამ საკმაოდ სოლიდური კოლექცია გადასცა იუჯინის უნივერსიტეტთან არსებულ ჯორდან შნიცერის მუზეუმს, რომლის დამფუძნებელიც თავად გახლდათ და კურატორიც იყო ოცი წლის მანძილზე. მუზეუმის გახსნის და ამუშავების შემდეგ იგი აზიაში მოგზაურობასა და ექსპონატების შეგროვებას განაგრძობდა. მუზეუმის აზიური კოლექციის საგულისხმო ნაწილს წარმოადგენს სლაიდები, რომლებიც გერთრუდ უორენმა მოდ კერნსთან ერთად მოგზაურობისას გადაიღო.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ გერთრუდ უორენის ყურადღების ობიექტი ხელოვნების ნატიფი ნიმუშები არ გახლდათ. ის ძირითადად კონცენტრირებული იყო სოციალურ, ყოველდღიური ცხოვრების ამსახველ ექსპონატებზე, რაც მას კიდევ ერთხელ გამოარჩევდა მამაკაცი კოლექციონერებისაგან.

გერთრუდ უორენი კვლევით საქმიანობასაც ეწეოდა და ამ მხრივაც საინტერესო მემკვიდრეობა დატოვა.

ამ ქალმა ფაქტიურად მთელი ცხოვრება მიუძღვნა აზიის კულტურის საზოგადოებისთვის გაცნობას. სამუზეუმო და კვლევითი საქმიანობის გარდა ის წლების მანძილზე აფინანსებდა აზიელი სტუდენტების სწავლას აშშ-ში, ატარებდა აზიური კულტურისადმი მიძღვნილი ესეების კონკურსებს, რომელთა გამარჯვებულებს მიავლენდა

აზიის სხვადასხვა ქვეყანაში სამოგზაუროდ, ხელს უწყობდა მულტიკულტურული სტუდენტური გარემოს შექმნას და ყოველივე ამით აახლოვებდა ესოდენ განსხვავებულ კულტურულ რეალობებს.

დღეს, ჯორდან შნიცერის ხელოვნების მუზეუმი კვლავაც ფოკუსირებულია აზიის კულტურის გაცნობა-პროპაგანდაზე და სერიოზულ საგანმანათლებლო კერას წარმოადგენს ამ სფეროში, რაც სრულ თანხვედრაშია მისი დამაარსებლის პრინციპებთან.

ელისაბეთ ჰარვუდი, მერიონ მაქნეი, მერი უილრაითი

შტატ ნიუ მექსიკოს ქალაქ ტაოსში განლაგებული ჰარვუდის ხელოვნების მუზეუმის ვებ-გვერდზე მისი მიზნები და ამოცანები ასეა ჩამოყალიბებული:

"ჰარვუდის ხელოვნების მუზეუმი მსოფლიოს ტაოსის ხელოვნებას წარმოუჩენს, ტაოსს კი - მსოფლიო ხელოვნებას.

მეხიკოს უნივერსიტეტში ხსენებული მუზეუმის მისიაა ხელოვნების ნიმუშების შეგროვება, დაცვა და გამოფენა. წეს განსაკუთრებით იმ ნიმუშებს ეხება, რომელთა შთაგონების წყარო და შექმნის ადგილი ჩრდილოეთ ნიუმექსიკო და რომელთაც სწორედ ამ შტატთან აქვთ გარკვეული" (<http://harwoodmuseum.org>).

ეს დევიზი და სულისკვეთება შეიძლება კიდევ ორ, მაქნეის ხელოვნების მუზეუმს (სან ანტონიო, ტექსასი) და უილრაითის ამერიკელ ინდიელთა მუზეუმს (ტაოსი, ნიუ-მექსიკო) მივუსადაგოთ. ისინი ადრე აღწერილი მუზეუმების მსგავსად, კულტურული მრავალფეროვნების დასტურია, რადგან "ტაოსის ხელოვნება" ინდიელი ამერიკელების და ლათინო-ამერიკელების ესოდენ განსხვავებულ და თვითმყოფად კულტურას გულისხმობს.

ელისაბეთ ჰარვუდი მეუღლესთან ერთად პარიზიდან ჩამოსვლის შემდეგ ტაოსში დასახლდა და თავისი სახლი ჯერ ქალაქის საჯარო ბიბლიოთეკას, შემდეგ ლიტერატურულ სალონებს და ბოლოს მუზეუმს დაუთმო. ლათინურ-ამერიკული ხელოვნების როგორც ძველი, ასევე თანამედროვე ნიმუშები და ამ კულტურით შთაგონებულ თამედროვე ხელოვანთა ნამუშევრები ამ მუზეუმის მშვენებაა.

სან ანტონიოს **მაქნეის ხელოვნების მუზეუმი** ასევე მდიდარია ლათინურ-ამერიკული კულტურის და ინდიელ ამერიკელთა შემოქ-

მეღების ნიმუშებით, მაგრამ აქ მისი დამფუძნებლის, მერიონ ქუგლერ მაქნის ინტერესის სხვა ობიექტებიც უხვადაა წარმოდგენილი: შუა საუკუნეები და რენესანსი, XIX და XX საუკუნის ხელოვნება.

მერიქებით უილრაითი მთელი ცხოვრების მანძილზე სხვადასხვა რელიგიებს სწავლობდა. 1921 წელს ინდიელთა ტომის, ნავაჰოს (*Navajo*) რიტუალური სიმღერების შემსრულებელთან და მკურნალთან ჰასტინ კლაჰთან შეხვედრამ, მის ცხოვრებას ახალი აზრი და მიზანი შესძინა.

ნავაჰოს რელიგიური რიტუალების აღწერა და ჩაწერა, მათ მიერ ქვიშაზე შესრულებული სარიტუალო მხატვრობის დაფიქსირება და ხელით დართულ ფარდაგებზე გადატანა - ამ ერთობლივ საქმიანობასლოგიკურად მოყვა ჯერ საცავის, მოგვიანებით კი მუზეუმის დაარსება, რომელიც ინდიელთა ტრადიციული სახლის, *ჰოუგანის* სტილში აგებულ შენობაში განთავსდა.

დღეს ამერიკელ ინდიელთა უილრაითის მუზეუმში მისი დამფუძნებლების მიერ შეგროვებული ექსპონატების გარდა, ამ კულტურით შთაგონებული თანამედროვე ხელოვანთა ნამუშევრებიცაა გამოფენილი, რაც ამ მუზეუმს აქტუალობასა და სიცოცხლისუნარიანობას უნარჩუნებს.

დასკვნა

ქალბატონები, რომელთა პორტრეტებიც აქ შემოგთავაზეთ, სხვადასხვა ეპოქაში მოღვაწეობდნენ და განსხვავებულიოჯახური თუ იდეოლოგიური იდეალებიჰქონდათ. ფილანტროპიაშიმათი ჩართვის მოტივებიცგანსხვავდებოდა და ინტერესის ობიექტიც: მე-17-ე და მე-18-ე საუკუნეების ევროპული ფერწერა, ამერიკული და ევროპული ავანგარდი, აზიის კულტურა, მექსიკური და მკვიდრი ამერიკელების ხელოვნება და ა.შ.

მიუხედავად ამ განსხვავებებისა, მათ გამაერთიანებელი თვისებებიჰქონდათ: ხელოვნების სიყვარული, უშიშარობა და შეუპოვრობა სირთულეების წინაშე, მოქალაქეობრივი შეგნება და პრინციპების ერთგულება და რაც მთავარია, მტკიცე რწმენა იმისა, რომ მათი საქმიანობა საზოგადოებას უკეთესობისკენ შეცვლიდა.

მათ მიერ დაარსებული მუზეუმების ადგილმდებარეობას თუ გადახვედავთ, თვალნათელი გახდება მათ მიერ შექმნილი გეოგრაფიული

და კულტურული ქსელის მასშტაბურობა და მნიშვნელობა. თუ იმასაც დავუმატებთ, რომ მათ გვერდით ასეთივე ერთუზიასტი ქალების არმია ღვას (რომელთაც მემკვიდრეები და გამგრძელებლები დღესაც ჰყავთ), მათი წვლილი ამერიკულ საზოგადოებაში მულტიკულტურალიზმის იდეის ქვეშ გასაერთიანებლად და ამით ჰარმონიული კულტურული გარემოს შესაქმნელად ფასდაუდებელია.

თუმცა საზოგადოებას ამერიკაში გაცნობიერებული აქვს მულტიკულტურალიზმით გამოწვეული პრობლემების სიმწვავე და სირთულე, ამგვარი ქალბატონების არსებობა ხსენებული პრობლემების გადაჭრის იმედს და გარანტიას იძლევა.

ჩვენთვის კი, მათი მრავალფეროვანი გამოცდილების შესწავლა-გაზიარება და პარალელების გავლება შეიძლება ძალიან საგულისხმო იყოს, რადგან განვითარების ამსტადიაზე მყოფი ქვეყნისთვის სათანადო კურსის აღებამ და სწორი ორიენტირების დასახვამ შესაძლოა სასიცოცხლო მნიშვნელობა შეიძინოს.

დამოწმებანი:

Boris, Eileen. *Crossing Boundaries: The History of Twentieth –Century American Craft*. Ed. Janet Kardon. New York: Harry N. Abrams, 1993

Brown, Milton W. *The Story of the Armory Show*. New York: Aberville Press, 1988

Macleod, Dianne Sachko. *Enchanted Lives, Enchanted Objects. American Women Collectors and the Making of Culture, 1800-1940*, Berkeley, Los Angeles, London: University of California Press, 2008

McCarthy, Kethleen D. *Women's Culture. American Philanthropy and Art, 1830-1930*. The University of Chicago Press, 1991

Metzger Fong, Lawrence and Kathleen. *Precious Cargo: The Legacy of Gertrude Bass Warner*. Oregon Museum of Art, 1997

Shand-Tucci, Douglass. *The Art of Scandal. The Life and Times of Isabella Stewart Gardner*. Harper Perennial, 1997

Smith-Rosenberg, Carrol. *Disorderly Conduct: Vision of Gender in Victorian America*. Oxford University Press 1985

Tocqueville, Alexis de. *Democracy in America*. New York: Modern Library, 1981

KETEVAN ANTELAVA

PhD Student, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ABSTRACT

**MULTICULTURALISM AND FEMALE
PHILANTHROPISTS IN AMERICA**

The aim of the article is to review the charitable activities of women as one of the paths leading toward reconciliation of multicultural diversity and national unity. With this aim in mind, we will focus your attention on the lives and charitable activities of the women who were constantly interested in presenting, popularizing, and stressing the importance of distinct layers of the diverse cultural heritage of America. The description of the social status and the activities of these women, the creation of their psychological and personal portraits, and becoming familiar with their ideological principles will reveal the fact that despite their differences, they were in the service of the same thing: the unity of a multicultural America.

The women who are the focus of the article constitute a small part of the host of people who played an invaluable role in the creation of a unified and harmonious cultural environment in the country through their charitable actions in various epochs.

The museums founded by them were created under different circumstances and with different motives. Their fields of interest are also different and very diverse: Fenway Court founded by Isabella Stuart Gardner is oriented toward 17th and 18th century painters; the Museum of Modern Art founded by Abbey Rockefeller was a hub of avant-garde painters and remains as such to this day; the museum of art, which was founded by Gertrude Bass Warner, was a manifestation of interest toward the eastern and Oriental cultures and its operation is a guarantor of tolerance to this day. Museums of art located in the states of New Mexico and Texas also served protection and popularization of the unique cultural heritage of Native Americans, and Mexican Americans.

America was always conscious of the severity and complexity of the issues caused by multiculturalism. The existence of such women, however, provides hope of the resolution of such problems.

As for us Georgians, studying their diverse experiences and drawing parallels can be very helpful, as choosing the right vector can become vitally important for a country on this stage of development.

ირმა ხაზრებიონი

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასისტენტ პროფესორი

ჯამსონ პოლონის ამერიკული აბსტრაქტული ქანკანისონისტული ფერწარის ასტაბიური გაზრებისტის

ბერი ქვეყანა ვერ დაიტრბაბებს იმით, რომ გაზარდა მხატვარი,
რომელმაც შეძლო შეეცვალა თანამედროვეთა ყველა წარმოდგენა იმაზე,
თუ როგორი უნდა იყოს ფერწერა: კაზიმირ მალევიჩი რუსეთში... სალვა-
ლორ დალი ესპანეთში... ჯექსონ პოლოკი ამერიკაში...

/კერკ ვარნალოუ – ნიუ-იორკის თანამედროვე
ხელოვნების მუზეუმის წამყვანი სპეციალისტი/

„ცნობილი ამერიკელი აბსტრაქციონისტის ჯექსონ პოლოკის მხ-
ატვრული ტილო „ნომერი 5“ აუქციონზე გაიყიდა 140 მილიონ
დოლარად და გახდა ყველაზე ძვირადღირებული ნახატი მსოფლიო-
ში,“ – იუწყება 2006 წლის 29 ნოემბრის გაზეთი “The New York
Times” და ასახელებს მონაწილეებს: გამყიდველი – დევიდ ჰეფენი,
ცნობილი კინოპროდიუსერი, თვალსაჩინო კოლექციონერი, მყიდველი
– მექსიკელი ფინანსისტი დევიდ მარტინესი, ხელოვნების ამბიციური
კოლექციონერი, გაყიდვის აქტის ოფიციალურად გამფორმებელი –
ტობიას მეიერი, “Christie’s” სააუქციონო სახლის მთავარი სპეციალ-
ისტი. ასე რომ, ჯექსონ პოლოკი გახდა ყველაზე ძვირად ღირებული
მხატვარი მსოფლიოში და შეენაცვლა მოდერნული ხელოვნების ყვე-
ლაზე ცნობილ მხატვარს გუსტავ კლიმტს "ადელი ბლოხბაუერის
პორტრეტით", რომელშიც გასულ ზაფხულს ცნობილმა მაგნატმა
რონალდ ლაუდერმა გადაიხადა 135 მილიონი დოლარი. ძვირადღი-
რებულ ნახატთა სიაში “Number 5”-ის ასეთი რეკორდული ფასით
გამოჩენა თუმცაღა განსაცვიფრებელია, მაგრამ არა ახსნას მოკლე-
ბული. საქმე ისაა, რომ ამერიკაში აბსტრაქტული ექსპრესიონიზმი
მეტად ძვირფასი და თვალსაჩინო ეროვნული საკუთრებაა, ჯექსონ
პოლოკი ამ მიმართულების ყველაზე ცნობილი, ორიგინალური და

გამორჩეული მთავარი ფიგურაა, "ნომერი 5" კი – მის ხელოვნებაში პირველად და უნიკალური ტექნიკით განხორციელებული ე. წ. "მოქმედი ფერწერის" კლასიკური ნიმუში.

ახლა კი უფრო დაწვრილებით განვიხილოთ, თუ რატომ დაიმსახურა პოლოკისეულმა შემოქმედებებმა მემკვიდრეობამ ასეთი მომხიბვლელი შეფასება. შეიძლება ითქვას, რომ ჯექსონ პოლოკი (1912-1956) სიცოცხლეშივე გახდა XX საუკუნის მოდერნიზმის კლასიკური განხორციელება. იგი დაიბადა ვაიომინგის შტატში, 1930 წლიდან კი მკვიდრდება ნიუ-იორკში და სწავლას იწყებს მხატვარ თომას ჰარტ ბენტონთან, ე. წ. ამერიკული რეგიონალიზმის წარმომადგენელთან, რომელიც რეალისტურ ფერწერას ემხრობოდა. სწორედ მისი გავლენით, 30-იანი წლების შუახანებში გაჩნდა პოლოკის პირველი ფერწერული ტილოები მრუდხაზოვანი ტალღოვანი რიტმებითა და ყოფითი სიუჟეტებით. ამდენად, პოლოკმა, ისევე როგორც, თავის დროზე, "ნიუ-იორკის სკოლის" აბსტრაქტულ ექსპრესიონისტ მხატვართა უმეტესობამ, ფიგურული ფერწერით დაიწყო.

ჩვენთვის საინტერესოა, რომ 1940-იანი წლების დასაწყისის ნამუშევრებში პოლოკი უკვე თანდათან შორდება საგნობრივ ფერწერას, უახლოვდება ევროპულ ავანგარდს და გეზს იღებს აბსტრაქციისკენ. ამას ხელი შეუწყო იმ გარემოებამ, რომ, როგორც ვიცით, მეორე მსოფლიო ომის დროს ნიუ-იორკი გახდა თანამედროვე ხელოვნების ახალი მეტროპოლისი. ამის შესახებ, სხვათა შორის, ჯექსონ პოლოკმა თქვა პირველმა: "არ მესმის, რატომაც არ შეიძლება თანამედროვე ფერწერის პრობლემები ისევე გადაწყდეს აქ, როგორც სადმე სხვაგან".

აღნიშნულ პერიოდში პაბლო პიკასოს "გერნიკამ" და რეტროსპექტივამ "პიკასო. ორმოცი წელი. 1900-1940" პოლოკზე უზარმაზარი გავლენა მოახდინა, ხოლო მაქს ერნსტის სიურეალისტურმა "წვეთოვანმა არტ-ტექნიკამ" იგი მოაჯადოვა, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. მთავარი კი მაინც ის გახდა, რომ 1943 წელს პოლოკმა მაქს ერნსტის მეუღლის პეგი გუგენჰაიმისგან მიიღო დაკვეთა სახლის კედლების მოხატვაზე (და ეს არ ყოფილა შემთხვევითი, რამდენადაც პოლოკი თავის დროზე ნიუ-იორკში უდიდესი მექსიკელი კედლის მხატვრის დავიდ ალფარო სიკეიროსის ექსპერიმენტულ სახელოსნოში სწავლობდა). ეს მიწვევა პოლოკისთვის, იმთავითვე, შემოქმედებითი წარმატებების მომტანად და, საერთოდ, იბლლიანობად

უნდა შეფასდეს, რამდენადაც კითხვა – "როგორ შევიდა აბსტრაქცია ძალაში ამერიკულ სივრცეში?" – ასეთ პასუხს გულისხმობს: "1942 წლის 20 ოქტომბერს ნიუ-იორკის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის დამარსებლის სოლომონ გუგენჰაიმის ძმისწულმა პეგი გუგენჰაიმმა გახსნა "ამ საუკუნის ხელოვნების გალერეა", როგორც "ახალ მხატვრულ იდეათა კვლევითი ლაბორატორია", რომელმაც 40-იანი წლების ნიუ-იორკის არტ-სცენას უბოძა ორიგინალური ავანგარდული სტილი. როგორც მოსალოდნელი იყო, სწორედ "Gallery of Art of This Century" უხსნის გზას პოლოკის შემოქმედებითს კარიერას. 1943 წელს აქ მოეწყო მისი პირველი პერსონალური გამოფენა, რომელზეც ფერწერული "ხვადი მგელი" შეუვაჭრებლად შეიძინა თანამედროვე ხელოვნების მუზეუმმა. აშკარაა, აქ გამოფენილ ნამუშევრებში პოლოკმა მთლიანად უარყო ნებისმიერი კავშირი საგნობრივ სინამდვილესთან, სურდა რა გამოეხატა მხოლოდ თავისი მდგომარეობა. გამოფენას მოჰყვა პირველი სერიოზული პუბლიკაციებიც. ცნობილი ამერიკელი ხელოვნების თეორეტიკოსი და კრიტიკოსი ქლემენტ გრინბერგი შენიშნავს, რომ "უძლიერესია და, შესაძლოა, უდიდესიც ხოანა მიროს შემდეგ გაჩენილ ხელოვანთა თაობაში" (Frank 1983: 204). როგორც ჩანს, "კრიტიციზტმა" იცოდა, თუ როგორ აეხსნა პოლოკის ნამუშევრები, "გალერეისტმა" მოიფიქრა, თუ როგორ გაეყიდა ისინი, "მუზეუმისტი" კი მიხვდა, თუ როგორ შეეყვანა თავად ჯექსონ პოლოკი XX საუკუნის ხელოვნების ისტორიაში. აი, ის სამი მთავარი მომენტი, რომელმაც შექმნა ამერიკული ხელოვნების ავტორიტეტი: გალერეა, პრესა და მუზეუმი.

ცნობილია, რომ 1943 წლიდან 1947 წლამდე, როცა პეგიმ დატოვა ამერიკა და გადასახლდა ვენეციაში, საკუთარი თავი მიუძღვნა პოლოკს, თვლიდა რა მას თავის შვილობილად და ცდილობდა გაეხადა იგი საქვეყნოდ ცნობილი. "პოლოკი იყო ძალიან მძიმე ხასიათის ადამიანი, – წერდა პეგი გუგენჰაიმი თავის მოგონებებში, – ის ძალიან ბევრს სვამდა და ამ დროს იქცეოდა ხოლმე უსიამოვნო ვინმედ, შეიძლება ითქვას, დემონად, რაღაც ემმაკისეულ არსებად... თუმცა არ მაგიწყდებოდა, რომ მას ჰქონდა ანგელოზური მხარეებიც, და ეს ამართლებდა ყველა მის ძალისხმევას..." (კინწურაშვილი 2006: 42)

ცნობილია ისიც, რომ წარმატებულ კარიერაში პოლოკს უანგარო მეგზურობა გაუწვია ასევე მისმა მეუღლემ მხატვარმა ლი კრასნერმა,

რომელიც წლების განმავლობაში ერთგულად ებრძოდა "ჯეკის" არა-ჯანსაღ გამოვლინებებს ქრონიკული ალკოჰოლიზმისა და მშფოთ-ვარე დეპრესიის სახით, და ხელოვანისთვის აგრერიგად აუცილებელ სამუშაო პირობებს უქმნიდა. სწორედ ლის სურვილით დასახლდნენ ისინი სპრინგსში, ამ ადგილისთვის ჩვეულ ორსართულიან ფერმერულ სახლში, რომლის ფარდულშიც პოლოკმა ჩინებული სახელოსნო მოიწყო.

ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ საკუთარი სტილის ძიებაში, 1947 წელს პოლოკთან ჩნდება ახალი შემოქმედებითი ტექნიკა, რომელიც საერთოდ გამორიცხავს ფიგურატიულ ელემენტებს და გულისხმობს "შემოქმედებითი პროცესის არაპირდაპირ ასახვას ტილოზე", რამდენადაც მისი მიზანია "თავად სპონტანური შემოქმედებითი პროცესი, როგორც ერთგვარი პერფორმანსი, რომელიც გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მისი რეზულტატი" (Brown 1979: 104-105). საკუთარ მიზანთან მიახლოების მიზნით, პოლოკი სამუშაო ტილოს ათავსებდა უშუალოდ სახელოსნოს იატაკზე და საღებავს მასზე ფუნჯით ისე აშხეფებდა, ან თუნუქის ქილიდან ისე ღვრიდა, ან დახვრეტილი ვედროდან ისე ასხამდა, რომ ტილოს ზედაპირს არ ეხებოდა; ზოგჯერ ის ძალის გამოყენებით "თხუზნიდა" ტილოს ზედაპირს საღებავებით, რომელთაც ხან ერთმანეთში ურევდა, ხანაც საღებავში წინდაწინ ატანდა ქვიშას, დამსხვრეულ მინას და სხვა, ფერწერისთვის უცხო მასალას; თანაც მინაქრისა და ლითონის შემცველ ალუმინის ინდუსტრიულ საღებავებს და ლაქს იყენებდა, რადგან ისინი უფრო გამომსახველ ფაქტურას იძლეოდა. მუშაობის პროცესში მხატვარი მთლიანად შთაგონებას ეძლეოდა, ზოლო ასეთ "ქვეცნობიერ" მდგომარეობაში შესრულებული პროდუქტი შემდეგ ერთგვარ "გაცნობიერებულ" დამუშავებას განიცდიდა ხან ჯონების და ხანაც კიდევ დანების მეშვეობით... (Чегодаев 1975: 314). ხანდახან დასხურებულ საღებავის გუბებს სმირი აბლაბუდას ქსელის მსგავს შტრიხებად მიმოხაზავდა ტილოზე თოკის სხვადასხვა მიმართულებით ტყორცნის ან მასზე ველოსიპედით სეირნობის შედეგად... ზოგჯერ საღებავებით გაჟღენთილ ტილოს, ბლომად უმატებდა რა შავ ფერს, ვერტიკალურად ჰკიდებდა კედელზე ისე, რომ საღებავს წკაპებად ეღინა სურათზე ქვემოთ... – ასე იქმნებოდა "მოქმედი" ან "შესხურებული" ფერწერა!

ჩვენთვის გასაგები ხდება პოლოკის ფერწერული ტილოების

სპეციფიკა ფერადოვან ხაზთა უამრავი უწყვეტი კვანძით, რომელიც თავისი გასაოცარი გამჭვირვალეობის წყალობით საშუალებას იძლევა შევიხედოთ სურათის უკანა ფონის სივრცეში. თავისი ნამუშევრებისთვის დიდი ზომის ფორმატის შერჩევას პოლოკი იმით ხსნიდა, რომ, მისი აზრით, მოლბერტული ფერწერა მოძველდა, და რომ ფერწერის მომავალი მონუმენტურ ფერწერას უკავშირდება. თავად "Jack the Dripper" (როგორც მას ზედმეტსახელად უწოდებდნენ) ასე აფასებს საკუთარ მანერას: "ჩემი ფერწერა გამოირიცხავს მოლბერტს და დაზღვას, მე მირჩევნია ხატვისთვის ტილო – კედელზე ან იატაკზე... მე უნდა ვგრძნობდე მყარი ზედაპირის წინააღმდეგობას, იატაკზე ეს ყველაზე კარგად გამოდის, ასე საკუთარ თავს შევიგრძნობ სურათთან ახლოს, მის ნაწილად, შემძლია ვიარო მის ირგვლივ, ვიმუშაო ყოველი კუთხიდან და განვხორციელო მასში... მე უარს ვამბობ მხატვრისთვის ჩვეულ ინსტრუმენტებზე... მე მირჩევნია ჯოხები, აქანდაზები, დანები... როცა ფერწერის შიგნით შევდივარ, ვერ ვაცნობიერებ, თუ რას ვაკეთებ... შემეცნება მოდის შემდეგ... მე ვერ ვგრძნობ შიშს მხატვრული სახის ცვლილებისა და ნგრევის წინაშე, რამდენადაც სურათი ცხოვრობს თავისი ცხოვრებით, მე უბრალოდ ვენმარები მას, რომ გამოძხურდეს... როცა მე ვკარგავ კონტაქტს სურათთან, ვლებულობ ტალახს და უწესრიგობას, ხოლო როცა არა – მაშინ ეს სრული ჰარმონიაა, იმის მსუბუქი განცდაა, რომ ივსები და გასცემ..." (Frank 1983: 204).

როგორც ირკვევა, პოლოკი არ ცნობდა არანაირ შემთხვევითობას; მას უფრო, ჩვეულებრივ, სურათის შექმნის კონკრეტული იდეები ამოქმედებდა. ეს უკანასკნელი კი ხორციელდებოდა მისი სხეულის მოძრაობაში, რომელსაც მხატვარი სრულად აკონტროლებდა როგორც ერთ მთლიანობად მოცემულს – საღებავის ნიაღვარსა, გრავიტაციულ ძალასა და იმასთან ერთად, თუ როგორ შეიწოვებოდა საღებავი ტილოში. ეს იყო მართულისა და უმართავის შერწყმა: გადავდების, სროლის დაშხეფების პარალელურად მხატვარი არ წყვეტდა ენერგიულ მოძრაობას, ვიდრე ტილოზე არ იხილავდა იმას, რისი დანახვაც სურდა.

ცნობილი ფაქტია, რომ 1950 წელს ჟურნალ "Art News"-ში გამოქვეყნდა ახალგაზრდა ფოტოგრაფის ჰანს ჰამუტის ფოტომასალები, რომელზეც აღბეჭდილი იყო პოლოკი თავის სტუდიაში ლონგ-აილენდზე მუშაობის პროცესში და რამაც სენსაცია მოახდინა. ეს

ფაქტი უფრო თვალსაჩინო გახდება, როდესაც თავად ჰამუტის კომენტარებს მოვისმენთ: "...საღებავებით დაშხეფილი ტილო ფარავდა მთელს იატაკს, ირგვლივ სრული სიწყნარე სუფევდა... პოლოკი დაჟინებით დასცქეროდა ტილოს... თითქოს უცებ მიხვდაო – სამუშაო არ დამთავრებულა, მოულოდნელად ხელი წამოავლო საღებავით სავსე ქილას და ფუნჯს და დაიწყო სწრაფი გადაადგილებები ტილოს გარშემო და მიმოსვრა საღებავებით... მისი მოძრაობა ხან ხანადიროდ გამოსული მტაცებლისას ჰგავდა, ხანაც საბალეტო ცეკვის მსგავს ნახტომებს ემსგავსებოდა... ჩანდა, მას დაავიწყდა, რომ ლი და მე იქვე ვიმყოფებოდით, აღარც ფოტოობიექტივის საკეტის ტკაცუნის ესმოდა... მთელი ეს დრო ვიღებდი, სანამ იგი გატაცებით მუშაობდა... შესაძლოა გავიდა ნახევარი საათი, მთელი ეს დრო წამითაც არ შეჩერებულა... უცებ მან წარმოთქვა: "აი, ესეც" და ამით დასრულდა..." რაოდენ გულდასაწყვეტიც არ უნდა იყოს თავჯანისმცემლებისთვის, 1951 წლიდან პოლოკმა მასობრივად დაიწყო თავისი ნამუშევრების გამოფენა ისეთ გალერეებში, რომელიც უფრო კომერციულ წარმატებებზე იყო ორიენტირებული. ასეთმა დამოკიდებულებამ მას გაუმძაფრა ალკოჰოლზე მოთხოვნილება, რასაც თავის მხრივ, მოყვა ბობოქარი დებურსია. შედეგად პოლოკის ნახატებიდან გაქრა ფერადოვანი შტრიხები და დარჩა მხოლოდ შავი ფერები და სიმუქე... მხატვარი ტილოებს უბრალოდ ნომრავდა ხოლმე, ყოველგვარი სახელწოდების გარეშე, რამდენადაც სურდა "მაყურებელს ნახატში დაენახა სწორედ ის, რაც თავად წარმოდგინა – შიშველი ფერწერა". როგორც ამბობენ, "ცხოვრების სიმშავე" – ერთი იმ შტამპთაგანია, რომლითაც აღწერენ ხოლმე აბსტრაქტული ექსპრესიონიზმის მამებს. ამ მოძრაობამ შვა პოლოკი, თუ უფრო პოლოკმა შვა ეს მოძრაობა, – საინტერესოდ საკამათოა... გადამწყვეტი აქ მაინც ისაა, რომ ამერიკული აბსტრაქციონიზმის "ჰეროიკულმა" და მეამბოხე სულისკვეთებამ საბოლოოდ პოლოკი ოჯახის, კარიერის და იმედების დანგრევამდე მიიყვანა. იგი 44 წლის ასაკში არაფხიზელი მდგომარეობით ავტოკატასტროფაში ტრაგიკულად დაიღუპა. "ამერიკული საგა" – ასე უწოდა 10 წლის წინ პოლოკის შესახებ თავის წიგნს ერთ-ერთმა ამერიკელმა ხელოვნებათმცოდნემ; "ჯექსონ პოლოკი: სიყვარული და სიკვდილი ლონგ-აილენდზე" – ასე ჰქვია 1999 წელს გადაღებულ დოკუმენტურ ფილმს, "პოლოკი" – ასეთი სახელწოდებით გაკეთდა 2000 წელს ჰოლივუდში პოლოკის ბიოგრაფიის მხატვრული ეკრანიზა-

ცია, რომელიც დრამატიზების სიმძაფრით, შეიძლება ითქვას, ცოტათი თუ ჩამოუვარდება ვან გოგის ცხოვრების აღწერას და რომელშიც მთავარ გმირს ასახიერებს ცნობილი მსახიობი ედ ჰარისი.

ხშირად აღუნიშნავთ, რომ პოლოკისმაგვარი ნახატები შეუძლია შექმნას ყველას, ვინც კი მოისურვებს. ამასთან დაკავშირებით, ჩვენთვის საინტერესოა ხელოვნების თეორეტიკოსის ჰაროლდ როზენბერგის აზრი იმის შესახებ, რომ "პოლოკის არც ერთ მიმდევარს არ გამოუვიდა მისი მანერის იმიტაციის წარმატებული განხორციელება. არშემდგარი იმიტატორების სურათები მატლებიან გორგალს ან მაკარონებიან თეფშს მოგვაგონებს, რაც აშკარად იმაზე მიუთითებს, რომ ვერც ერთმა მისმა ეპიგონმა ვერ შეძლო საღებავთა ღვარების მართვა ისე, როგორც ამას ღიდი ოსტატი აკეთებდა" (Hunter and Jacobus 1973: 172).

და ბოლოს, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, მარტის ერთ სუსხიან ავდრიან ღამეს როგორ ქმნის პოლოკი თავის სახელოსნოში მორიგი სურათის მხატვრულ სიუჟეტს: გამჭოლი ქარით სავსე ფარდულის იატაკს მხატვარი ფაქიზად აფარებს ბოჭკოვანი კარდონის ფორმატს, მერე მას თანაბრად ფარავს ტუბებიდან ფენებად დაღვრილი მუქი ყვითელი და ნაცრისფერი, შავი და ყავისფერი საღებავებით... იღებს წკეპლას და საღებავთა სქელ გუბეში იწყებს მიმოჩინებას და ტბორის დასერვას ღვარჯნილი დახლართული მრუდეებით... ასე იქმნება "ნომერი 5", რომელშიც თითოეულ ჩვენგანს შეუძლია დაინახოს ის, რასაც მოისურვებს!.. – ასეთი შემოქმედებითი ტექნიკის მაცდუნებელმა სიმარტივემ ხელოვნების სამყაროში, იმთავითვე, ცხარე კამათი გამოიწვია: ვინ არის ბოლოსდაბოლოს ამ პრიმიტიული სტილის ავტორი – ნამდვილი გენიოსი თუ ტრადიციული შემოქმედებითი მეთოდების ცინიკური გამოხტომა? – სწორედ ამ დაუსრულებელმა დისკუსიებმა მოუტანეს დიდება ამ ადამიანს, რომელიც "მოქმედი ფერწერის" ["Action Painting"] შემქმნელის სახელით საბოლოოდ დამკვიდრდა ხელოვნების ისტორიაში, ხოლო მისი მანერით დამკვიდრებული დინამიკური და იმპულსური სახვითი ხელოვნებით ამერიკული აბსტრაქტული ექსპრესიონიზმის ავანგარდული მიმართულება სრულიად დამოუკიდებელი ორდინარული მხატვრული სტილით მოვიდა აქტიურ კრეატიულ მოქმედებაში.

დამოწმებანი:

კინწურაშვილი, ქ. XX საუკუნის ხელოვნება. თბილისი, 2006.

Hunter, Sam and Jacobus, John. "Action Painting: The Heroic Generation". S. Hunter and J. Jacobus, *American Art of the 20th Century*. Prentice-Hall, Inc., Harry N. Abrams, Inc., 1973

Frank, Elizabeth. *Jackson Pollock*. New York: Abbeville Press, 1983.

Brown, Milton W. "Abstract Expressionism: The Heroic Generation". M. W. Brown, *American Art*. Prentice-Hall, Inc., 1979.

Чегодаев, А. Д. "Искусство Соединённых Штатов Америки. 1675 – 1975". *Живопись, архитектура, скульптура, графика*. Москва, 1975.

IRMA BAGRATIONI

Assistant Professor, Shota Rustaveli State University

ABSTRACT

ONAESTHETIC UNDERSTANDING OF JACKSON POLLOCK'S AMERICAN ABSTRACT EXPRESSIONIST PAINTING

The present paper is dedicated to the most important details of the most famous and distinguished representative of Abstract Expressionism of american avant-garde art - Jackson Pollock's creative life, to his creation of unique painting technique and interesting newances, to the facts depicting his evaluation of 21st century art auction field's painting heritage.

The paper emphasises, that Jackson Pollock as abstract expressionist's works don't depend on theoretical platform, it is mainly the realization of intuitional search for colour perfection. Colour here is not only the means of soul self expression but also the basic means of expressing aesthetic relation towards the universe. As we know, abstract expressionism is subjectless painting without concrete plots and figures with unlimitedly simplified forms, not suggesting colour to symbolic or allegoric idea. Accordingly, while perceiving Pollock nonfigurative art creature, the most important is selfvalue of aesthetic emotion, the emotion arising by the influence of colour harmony.

The paper points that the main issue of aesthetics – art relation to reality – according to abstract expressionism is decided by itself. Accordingly, Jackson Pollock tries to establish quite new beauty by lines, shapes and colour combinations, pictorial surface and also the beauty of process of creating art works. As a result of such understanding Pollockian painting breaks its traditional aesthetic boundaries and enters pure aestheticism sphere, where the principle of artistic modelling is given in any basis of creative activity.

The paper tells that worldwide publications and critical articles about Pollock's creation appeared even after his first exhibition and since then this number has been continually increasing. Interest toward Pollock didn't diminish even after his death, on the contrary: "American Sagga"- was written about him, documentary film was made – "Jackson Pollock: Love and Death on Long Island", his biography was ecranized in Hollywood. And at the end, the most impressive and surprising fact, a few months ago in Christie's auction house Pollock's painting canvas "Number 5" was sold for 140 million dollars and became the most expensive painting in the world.

SOPHIA BAZADZE

Institute of Public Affairs (GIPA), Assoc. Prof. European School

RUSUDAN BERIDZE

Institute of Public Affairs(GIPA), Assoc. Prof. European School

SOME PECULIARITIES OF EARLY AFRICAN-AMERICAN POETRY

African-American culture, also known as a black culture, in the United States refers to the cultural contributions of African Americans to the culture of the United States, either as part of or distinct from American culture. The distinct identity of African-American culture is rooted in the historical experience of the African-American people, including the Middle Passage. The culture is both distinct and enormously influential to American culture as a whole.

Slavery greatly restricted the ability of Americans of African descent to practice their cultural traditions, many practices, values, and beliefs survived and over time have modified or blended with white culture. There are some facets of African-American culture that were accentuated by the slavery period. The result is a unique and dynamic culture that has had and continues to have a profound impact on mainstream American culture, as well as the culture of the broader world.

African-American literature has been created within the larger realm of post-colonial literature, although scholars distinguish between the two, saying that "African American literature differs from most post-colonial literature in that it is written by members of a minority community who reside within a nation of vast wealth and economic power." (Fabre 1994: 12)

Some scholars resist using Western literary theory to analyze African-American literature. As the Harvard literary scholar Henry Louis Gates, Jr. said, "My desire has been to allow the black tradition to speak for itself about its nature and various functions, rather than to read it, or analyze it, in terms of literary theories borrowed whole from other traditions, appropriated from without." (Gerber 2007: 15) One trope common to African-American literature is claims that signifying "is a trope

in which are subsumed several other rhetorical tropes, including metaphor, metonymy, synecdoche, and irony, and also hyperbole an litotes, and metalepsis.”(Henry 2007: 10) Signification also refers to the way in which African-American “authors read and critique other African American texts in an act of rhetorical self-definition.” (Henry 2007: 10)

African-American oral culture is rich in poetry. This oral poetry also appears in the African-American tradition of Christian sermons, which make use of deliberate repetition, cadence and alliteration. African-American literature — especially written poetry, but also prose—has a strong tradition of incorporating all of these forms of oral poetry. These characteristics do not occur in all works by African-American writers.

African American poetry began in the lyrics attached to field hollers, ring shouts, rudimentary work songs, and songs of familial entertainment in the early colonies of the Americas – in the North , South, and the Caribbean. These musical verses were characterized by insistent call and response patterns, complex African and neo-African polyrhythms, the adaptation of European rhyme as a means of complexifying rhythm, and the transformation and incorporation of European harmonies into distinctive chords, which were forerunners of chords and lyrics that characterize the African American lyrical poetic genres of gospel, blues, jazz, the toast, the chanted sermon, rhythm and blues, soul, rap, and contemporary polyphonic poetry. The polyphonic poetry of such twentieth – century poets as Derek Walcott, E. Kamau Brathwaite, June Jordan, Audre Lorde, Robert Hayden, Ishmael Reed, Countee Cullen, Lorna Goodison, Langston Hughes, Jay Wright, Rita Dove, Ai, and Etheridge Knight all reconstructed African rhythmic complexity with creative and personally distinctive transformations of Euro-American, African American, Caribbean, Latin American, and Asian styles and motifs. The designation *African American*, while an appropriate term for cultural identification, is yet another incomplete summary of a black people more accurately called the African-British-European-Native American-Asian peoples of the Americas. In broad terms, African-American literature can be defined as writings by people of African descent living in the United States. It is highly varied. African-American poetry has generally focused on the role of African

Americans within the larger American society and what it means to be an American. As Princeton University professor Albert J. Raboteau has said, all African-American study "speaks to the deeper meaning of the African-American presence in this nation. This presence has always been a test case of the nation's claims to freedom, democracy, equality, the inclusiveness of all." (Richard 1996: 1) African-American literature explores the issues of freedom and equality long denied to Blacks in the United States, along with further themes such as African-American culture, racism, religion, slavery, a sense of home and more.

The poet Phillis Wheatley published her book Poems on Various Subjects in 1773, three years before American independence. Born in Senegal, Wheatley was captured and sold into slavery at the age of seven. Brought to America, she was owned by a Boston merchant. By the time she was sixteen, she had mastered her new language of English. Her poetry was praised by many of the leading figures of the American Revolution, including George Washington, who thanked her for a poem written in his honor. Some whites found it hard to believe that a Black woman could write such refined poetry. Wheatley had to defend herself in court to prove that she had written her work. Some critics cite Wheatley's successful defense as the first recognition of African-American literature.

Another early African-American author was Jupiter Hammon. He was considered the first published Black writer in America, published his poem "An Evening Thought: Salvation by Christ with Penitential Cries" as a broadside in early 1761. In 1778 he wrote an ode to Phillis Wheatley, in which he discussed their shared humanity and common bonds.

In 1786, Hammon gave his "Address to the Negroes of the State of New York". Writing at the age of 76 after a lifetime of slavery, Hammon said, "If we should ever get to Heaven, we shall find nobody to reproach us for being black, or for being slaves." He also promoted the idea of a gradual emancipation as a way to end slavery. Hammon is thought to have been a slave until his death. In the nineteenth century, his speech was later reprinted by several abolitionist groups.

A genre of African-American poetry that developed in the middle of the 19th century is the slave narrative, accounts written by fugitive/

escapee/ deserter slaves about their lives in the South and, often, after escaping to freedom. They wanted to describe the cruelties of life under slavery, as well as the persistent humanity of the slaves as persons.

Throughout American history, African Americans have been discriminated against and subject to racist attitudes. This experience inspired some Black writers, at least during the early years of African-American literature, to prove they were the equals of European-American authors. As Henry Louis Gates, Jr., has said, "it is fair to describe the subtext of the history of black letters as this urge to refute the claim that because blacks had no written traditions they were bearers of an inferior culture." (Fabre 1994: 219)

By refuting the claims of the dominant culture, African-American poets were also attempting to subvert the literary and power traditions of the United States. Some scholars assert that writing has traditionally been seen as "something defined by the dominant culture as a white male activity." (Eileen 1997: 404) This means that, in American society, literary acceptance has traditionally been intimately tied in with the very power dynamics which perpetrated such evils as racial discrimination. By borrowing from and incorporating the non-written oral traditions and folk life of the African diaspora, African-American literature broke the mystique of connection between literary authority and patriarchal power. According to Joanne Gabbin, a professor, African-American literature exists both inside and outside American literature. "Somehow African American literature has been relegated to a different level, outside American literature, yet it is an integral part," she says. (Earl 1998: 5) She bases her theory in the experience of Black people in the United States. Even though African Americans have long claimed an American identity, during most of United States history they were not accepted as full citizens and were actively discriminated against. As a result, they were part of America while also outside it.

Since African-American poetry is already popular with mainstream audiences, its ability to develop new styles and voices—or to remain "authentic," in the words of some critics—may be a thing of the past.

Many early accounts of contact between Europeans and Africans in the Americas describe the facility with which Africans not only created their own musical instruments to accompany poetry but also mastered

and transformed the uses of European instruments in the development of distinctively African American accompaniment to the oral poetry of black slaves. In one Caribbean account from the early 1660s an Englishman expresses acute astonishment when an African slave, denied the use of a European stringed instrument, makes one of better quality himself, from which he develops music to accompany oral poetry, causing the Englishman to acknowledge that the black man is human, and a genius at that.

Unfortunately, if contemporary descriptions of their lyric poetry by the Africans themselves existed in oral or written form they are now lost to us except in the continued presence of the rhythms themselves in African American culture. In addition, for several reasons the development of polyrhythmic African American poetry is difficult to trace from colonial times to the 1920s, when scholars and others began to keep more complete records of overtly musical poetry.

In spite of the fact that many have been published and recognized as poetry they have often been ignored by white and black critics. Unlike the orally composed poems these written poems are usually not anonymous. In form, these written, self-conscious poems rely upon Euro-American construction, although they often incorporate aspects of African-influenced oral poetry, as in Maurice N. Corbett's *The Harp of Ethiopia* (1914), in which the poet sets aside the regular iambic tetrameter rhythm and uses an irregular jazz rhythm in the section entitled "The Harp Awakening." In other instances African American diction and vocabulary is blended with Euro-American poetic forms, and one poem, *De Cabin* (1915), by Fenton Johnson, uses African American dialect in regular iambic pentameter blank verse.

The late nineteenth century was a poetic battleground in which African American poets demanded equality with whites by demonstrating equality in artistic achievement.

African Americans attempted to prove their facility in aesthetic forms valued by whites, and neither African Americans nor whites insisted that art forms that were only black (e.g. blues, gospel, jazz) could have as high an aesthetic merit. The African American writers Frances Harper and Charles Chesnutt, for example, condemned blues poetry in their novels, although both were stalwart workers for racial equality

and freedom. World War I cracked this ethnocentric world view, so that, starting in the 1920s, African American poets took full freedom in developing distinctive poetry with styles derived from Africa, Africa America, Europe, the Caribbean, North and South America and even Asia.

The earliest known formal written poem by an African American is “Bars Flight” by Lucy Terry (1730-1821) in 1746. The twenty-eight-line poem recounts the fate of seven colonists attacked by Native Americans during a raid on Deerfield, Massachusetts. The poem is in irregular iambic tetrameter verse in which the author relates the particular circumstances of death or escape of her fellow villagers – Samuel Allen, singled out as the most aggressive of the colonists, is kidnapped and carried away by the raiders, John Saddler escape across the water – and the largest number of verses are devoted to the one woman under attack, Eunice Allen.

Eunice Allen see the Indians coming,
And hoped to save herself by running,
And had not her petticoats stopt her,
The awful creatures had not cotched her,
And tommyhawked her on the head,
And left her on the ground for dead;

The implication that Christianity could free African slaves evidently was highly unacceptable to Wheatley’s slave owning audience, and in a broadside printed later that year the offensive statement was changed to read:

Take HIM, ye Africans, he longs for you;
Impartial SAVIOUR is his title due;
If you will chuse to walk in grace’s road,
You shall be sons, and kings, and priests to GOD.

It is quite true that slavery in the nineteenth century was more brutal than that of the previous century, and poets such as Charles Lewis Reason and James Monroe Whitfield were among many who blasted a United States consciousness, morality, and politics that permitted the continued outrage of slavery. Whitfield wrote, in his poem, *America* (from *America and Other Poems*, 1853):

America it is thee,

Thou boasted land of liberty,
It is to thee I raise my song,
Thou land of blood, and crime, and wrong.

Whitfield goes on to delineate the particular crimes of slavery, including the rape of slave women, and he accentuates the irony of African Americans who fought in the Revolutionary War “to forge fresh fetters, heavier chains for their own children.” He wrote a poem in honor of the black hero, Cinque, and honored the British abolition of slavery on August 1, 1838. Ann Plato also commemorates the August 1 event, but much of her remaining works are pious Christian reflection on earthly life and heavenly reward. A notable exception is “The natives of America,” a dialogic poem in which a father describes Native American life to his child. The cause and nobility of the native Americans is lauded and the marauding, usurping Europeans are the villains. Plato lived in Hartford, Connecticut, and her collection of poetry, *Essays, Including Biographies and Miscellaneous Pieces in Prose and poetry* (1841), was published through the help of her church.

In the decade preceding the Civil War the poets Alfred Gibbs Campbell, John Sella Martin, and Frances Ellen Watkins Harper were among those most vigorous in their condemnation of slavery and of the fugitive slave law that made it compulsory for all USA citizens to return fugitive slaves to their owners. Campbell wrote many poems condemning the hypocrisy of Fourth of July celebrations, and was a strong supporter of women’s rights and prohibition. His poem, “To a Young Mother” (*Poems*, 1883), is remarkable for its sensitivity and avoidance of sentimentality; his antislavery poems are stark and uncompromising – “precious indeed/ to Modern Moloch as the agony/ of the fond mother when her child is snatched./Or/ The piercing shriek of the poor hunted slave /Torn piecemeal by his bloodhounds.” (“Warning”); and he reveals an admirable capacity for intellectual openness and religious tolerance in “Cry ‘Infidel.’” “Campbell has full control of language style, and emotional power in his poems, blank verse, rhymed tetrameter couplets, and irregular stanza forms with ease. Perhaps his most effective poems are those of reflection, “Ode to Death,” “On the Deep,” and “Questionings.” In the last poem he poses the supreme unanswerable question.

If thou (as some philosophers would say),

Art thus of God a part disintegrate,
Imprisoned for a time in worthless clay,
But destined still to a deific state,
To reabsorption in the Infinite,
Why thus art fettered in the murky tomb
Of earth's soul-dungeon, where no certain light
From Light's Eternal Source dispels the gloom?

In addition to the African lyric poets of the nineteenth century, the aforementioned and other African American poets wrote epic poetry, an African American poetic genre that has been unidentified, unknown, unrecognized, and unanalyzed before. For this discussion we take epic to mean a long narrative in poetry, describing the origin, nature, or destiny of a people, race, or group, depicting a hero or heroic ideal, and incorporating the cultural ideal. Frances Harper, in her poem, *Moses: A Story of the Nile*, is one of a fellowship of nineteenth century African American epic poets that includes James Ephraim McGirt, Albert Allison Whitman, James Madison Bell, George Marion McClellan, George Hannibal Temple, George Reginal Margetson, Edward Smythe Jones, Fenton Johnson and Maurice N. Corbett.

Maurice N. Corbett's *The Harp of Ethiopia* (1914) is the most sustained epic of this African American nineteenth-century genre. Corbett traces black accomplishment from the ancient Near East and Africa to the present, with several passages detailing the self-defense of African Americans during the Civil War. He ends the poem with prophecies of high achievements in politics and art by African Americans, and the vigor of his closing lines are effectively inspiring.

The immediate political requirements of the Civil War gave African American poets the freedom to write on all human themes, racism and flowers, wars and love, lynchings and childhood.

African-American poetry is within the framework of a larger American literature, but it also is independent. As a result, new styles of storytelling and unique voices have been created in relative isolation. The benefit of this is that these new styles and voices can leave their isolation and help revitalize the larger literary world. Artistic pattern has held true with many aspects of African American culture over the last century, with jazz and hip hop being just two artistic examples that

developed in isolation within the Black community before reaching a larger audience and eventually revitalizing American culture.

Works Cited:

Earl, Stewart. *African American Music*. Prentice Hall International, 1998.

Eileen, Southern. *Music of Negro Americans*. New York: Norton, 1997.

Fabre, Genevieve. *History and Memory in African - American Culture*. Oxford: Oxford University press, 1994.

Gerber, Amy. *African American Culture through Oral Tradition*. George Washington University Press, 2007.

Henry, John. *The Steel Driving Man*. University of Virginia Press, 2007

Richard, Price. *Maroon Societies. Rebel Slave Communities in the Americas*. Anchor books, 1996

სოფიო ბახაძე

საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ასოც. პროფ.

ევროპული სკოლა

ჭუსუძან გეორგი

საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ასოც. პროფ.

ევროპული სკოლა

რეზიუმე

**ადრეული აფრო-ამერიკული პოეტების მხატვრული
თავისებულება**

ადრეული აფრო-ამერიკული პოეტების ლექსები განსაკუთრებით მდიდარია როგორც ფორმის მრავალფეროვნებით, ასევე მხატვრული ხერხების სიმრავლითაც. მათი ლექსების მნიშვნელობას ისიც ზრდის, რომ პირველი ინოვაციები და მხატვრული თავისებურებები სწორედ მათ ლექსებში გამოვლინდა და მიაღწია განვითარების მწვერვალს. მათი პოეზიის პროსოდული სიძველეები მეოცე საუკუნეში პოეტებს განვითარებას და მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ამერიკული პოეზიის განვითარებაზე.

მანანა გულაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი

დროისა და სივრცის მოღაღიარება ფოლქნერის რომანში „ნაშბის შაგბილწველი“

ფოლქნერის „ნაშბის შაგბილწველს“, რომელიც 1948 წელს დაიწერა, მაშინვე კრიტიკოსთა მწვავე შეფასებები მოჰყვა. ფოლქნერი თავად ამბობდა, რომ თავისი მნიშვნელოვანი ნაწარმოები „იგავი“, რომლის შექმნაზეც იგი უკვე რამდენიმე წელი მუშაობდა, ცოტა ხნით გვერდზე გადადო და დეტექტივის დაწერა გადაწყვიტა იმ პერსონაჟის გამოყენებით, რომელიც მის მკითხველებს კარგად ახსოვდათ მოთხრობების კრებულიდან „ჩამოველ, მოსე“. „ნაშბის შაგბილწველი“ ფოლქნერმა არა მხოლოდ ძალიან სწრაფად დაწერა და გამოაქვეყნა, არამედ ამ ნაწარმოების მიხედვით ფილმის გადაღების უფლებაც მაშინვე გაყიდა და ერთ წელიწადში ფილმის პრემიერაც შედგა. ასე რომ ნაწარმოების შექმნის ისტორიაში თითქოს ყველფერი იმაზე მეტყველებს, რომ ფულის შოვნის მიზნით დაწერილ დეტექტივთან გვაქვს საქმე, რომელსაც თვით ავტორიც არ აღიქვამდა სერიოზულად. ნაწარმოების დეტექტიურ სიუჟეტს ისიც ემატება, რომ „ნაშბის შაგბილწველი“ სამხრეთისათვის იმდენად აქტუალურ თემას ეხება, რომ მკვლევართა ნაწილმა მას გამოკვეყნებისთანავე „დეების რომანი“ (‘a novel of ideas’) უწოდა და განაცხადა, რომ თავისი რიტორიკულობით ნაწარმოებმა იმედი და მოლოდინი გაუცრუა ფოლქნერის ერთგულ მკითხველს, რადგან „ამ ნაწარმოებში ფოლქნერი იმ განდევილს გავს, რომელმაც შემთხვევით აიღო ხელში გუშინდელი გაზეთი, ქვეყანაში შექმნილმა მდგომარეობამ გააღიზიანა და თავისი სიმაღლიდან იმისათვის დაეშვა ძირს, რომ მოედანზე საჯარო სიტყვა წარმოეთქვა“ (Hardwick 1951: 246).

„ნაშბის შაგბილწველის“ შინაარსი ერთი შეხედვით მართლაც იბლევა ამგვარი განაცხადის საფუძველს. ღრმა სამხრეთში ფოლქნერის მიერ შეთხზულ იოკნაპატოფას ოლქში გათამაშებული ღრამა, რომელშიც თექვსმეტი წლის ბიჭი ჩარლზ მალისონი თეთრკანიანის მკვლელობისათვის დატყვევებული და ლინჩისათვის განწირუ-

ლი მოხუცი ზანგის ლუკას ბიჩემის უდანაშაულობას დაამტკიცებს, სამხრეთის იმ უმწვავეს პრობლემას შეეხება, რომელიც მონობის გაუქმების შემდეგაც დიდხანს არ კარგავდა აქტუალობას. თუმცა დაკვირვებული მკითხველი აუცილებლად მიხვდება, რომ „ნეშტის შემბილწველი“ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება განვიხილოთ როგორც აქტუალური პრობლემის გაშუქების მიზნით შექმნილი დეტექტივი. ასე რომ იყოს, ნაწარმოები მაშინვე დავიწყებას მიეცემოდა, როგორც კი მასში წამოჭრილი პრობლემა აქტუალობას დაკარგავდა (ცნობილია, რომ ბოლო ლინჩის წესით დასჯა 1930 წლით თარიღდება). ფერადკანიანთა მდგომარეობა ამერიკაში დღეს ნამდვილად აღარ წარმოადგენს პრობლემას, რომელმაც შეიძლება ამერიკელი, და მით უფრო, არამერიკელი მკითხველი დააინტერესოს. ფოლკნერის ნაწარმოებისადმი ინტერესი კი არ განელებულა, რასაც წიგნის არაერთი ახალი გამოცემა და მის შესახებ შექმნილი სამეცნიერო ლიტერატურა მოწმობს.

დეტექტიური სიუჟეტისა და მწვავე პოლიტიკური პრობლემატიკის მიღმა გაცილებით უფრო ღრმადნიშნადი თემა იმალება: ადამიანის, როგორც პიროვნების ღირსებისა და ღირებულების ფასი, სტერეოტიპები და მათი რღვევის აუცილებლობა, და რაც მთავარია, თექვსმეტი წლის ბიჭის სულიერი ზრდა. რადგან ყველაფერი, რაც ნაწარმოებში ხდება, სწორედ უმცროსი ჩარლზ, იგივე ჩიკ მალისონის თვალთახედვით არის მოთხრობილი და ჩიკის, როგორც მაძიებელი გმირის კაცად ჩამოყალიბების ძნელი გზის ასახვას ემსახურება. ფოლკნერი არსებითად თანამედროვე ჰაკლბერი ფინის ისტორიას ყვება, რომელმაც იმ სტერეოტიპებს უნდა დააღწიოს თავი, რომელიც მის გარშემოა გამეფებული. სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ მიუხედავად იმისა, რომ ლუკას ბიჩემი ფოლკნერის ერთ-ერთი ყველაზე შთაბეჭდავი გმირია, ავტორისა და მკითხველის ყურადღება მთლიანად ჩიკზეა კონცენტრირებული, რასაც ფოლკნერის მიერ დიდი ოსტატობით აგებული ნარატივი უზრუნველყოფს. სწორედ იმ მხატვრულ ხერხთა ერთობლიობა, რომელიც ნაწარმოების მხატვრულ ქსოვილს წარმოქმნის, განსაზღვრავს ნაწარმოების ღირებულებას უპირატესად, ვიდრე მასში დასმული პრობლემები. ამ თვალსაზრისით ფოლკნერის ეს გვიანი ნაწარმოები მართლაც საყურადღებოა, რადგან უკიდურესად ჩახლართული დეტექტიური სიუჟეტის მქონე „ნეშტის შემბილწველი“ თავისი პოეტიკით რადიკალურად განსხვავდება დეტექტივის ჟანრისა-

გან და ფოლკნერის ბოლო მოდერნისტული ნაწარმოებია, მოდერნისტული რომანის პოეტიკისათვის დამახასიათებელი ისეთი ნიშნებით, როგორც ცნობიერების ნაკადის ტექნიკის გამოყენებაა, დროისა და სივრცის არარეალისტური მოდელირება, დროის მითოლოგიზირება და სხვ.

ამ სტატიაში სწორედ დროისა და სივრცის მოდელირებაზე შევაჩერებთ ყურადღებას, რადგან ეს პრობლემა ფოლკნერისა და ზოგადად მოდერნისტული რომანის პოეტიკის ერთ-ერთი კარდინალური საკითხია და ერთსა და იმავე დროს ავტორის მსოფლმხედველობასაც გამოხატავს და მხატვრულ მეთოდსაც წარმოადგენს. ანუ დროისა და სივრცის თავისებური გააზრება თავს იჩენს როგორც ნაწარმოების შინაარსის დონეზე (ავტორის, ან პერსონაჟთა ფიქრებსა და გამოხატვებებში), ასევე თვით ნაწარმოების მხატვრულ ქსოვილში (ნარატივის აგება, დროსა და სივრცეში პერსონაჟთა და ხლომილებათა განლაგება და სხვ.).

რომანის რეალური დრო ახლო წარსულია - XX საუკუნის ამერიკის 30-40-იანი წლები. ხოლო მხატვრული დრო უკიდურესად შეკუმშულ ერთ დღეს მოიცავს, რომელშიც მოგონებების სახით შემოდის წარსული.

რომანი ფოლკნერის საყვარელი ხერხით იწყება - აწმყოზე წაფენილი ვრცელი მოგონება (flashback). რომანის ორი მთავარი ხლომილება, როგორც ეს ფოლკნერის ბევრ რომანშია, ნაწარმოების დაწყებამდე მომხდარა. ზამათგან ერთ-ერთი ვინსენტ გაურის მკვლელობაა, რომელიც ლუკასს ბრალდება, ვისი დაპატიმრებითაც იწყება ნაწარმოები. მეორე კი – სანადიროდ წასული ჩიკის ფათერაკი და ლუკასის ჩარევა, რითაც იწყება ჩიკისა და ლუკასის უცნაური ნაცნობობა. ეს უკანასკნელი, შეიძლება ითქვას, ნაწარმოების ცენტრალურ ეპიზოდს წარმოადგენს და გაცილებით უფრო მნიშვნელოვანიც კია, ვიდრე მკვლელობა, რომლის გამოძიება ნაწარმოების სიუჟეტს წარმოქმნის. მკვლელობა მხოლოდ სიუჟეტის განვითარებისათვის აუცილებელი ელემენტია მაშინ, როცა ჩიკის პირველი შეხვედრა ლუკასთან, იმდენად მნიშვნელოვანი მომენტია ბიჭვის განვითარებასა და ჩამოყალიბებაში, იმდენად მნიშვნელოვან როლს ასრულებს გამეფებული სტერეოტიპების რღვევასა და ჩიკის სულიერ ზრდაში, რომ მუდმივად ფიგურირებს მის ფიქრებში და განსაზღვრავს და წარმართავს მის მოქმედებებს.

სწორედ მოგონებების სახით აღდგენილი წარსული, რომელიც ჩიკის ცნობიერების ნაკადის განუყოფელი ნაწილია, წარმოქმნის „ნეშტის შემბილწველის“ ნარატივის ერთ-ერთ გამოკვეთილ თავისებურებას. მოგონებები თხრობის სწორხაზოვნებასა და სიუჟეტის განვითარებას აფერხებს. ფოლკნერი ამ ნაწარმოებშიც, როგორც მის სხვა არაერთ ნაწარმოებში, ტექსტის ქსოვილშივე ცდილობს გამოხატოს მის მიერ უნივერსიტეტის სტუდენტებთან გამოთქმული მოსაზრება, რომ „იყო“ არ არსებობს, დრო მხოლოდ „არის“ და ადამიანის წარსული მისი მემკვიდრეობაა. ("A man's future is inherited in that man . . . there is no such thing as was. That time is; and if there is no such thing as was, then there is no such thing as will be. That time is not a fixed condition, time is in a way the combined intelligences of all men who breathe at that moment" (Gwynn 1995: 139).

„ნეშტის შემბილწველში“ იგივე აზრს გვეჩვენს სტივენსი ახმოვანებს, როდესაც ჩიკს ეუბნება, რომ ხვალინდელი დღე ათასი წლის წინ დაიწყო. ("It's all now you see. Yesterday won't be over until tomorrow and tomorrow began ten thousand years ago." (Faulkner 1948: 112)).

ამრიგად, ადამიანი მომავალს მემკვიდრეობით იღებს, წარსულის სახით. ხოლო ეს წარსული არა მხოლოდ ერთი კონკრეტული ადამიანის, ამ შემთხვევაში ჩიკ მალისონის, წარსულია, არამედ თავის თავში მოიცავს „მშობლიურ მხარეს, თავის კერას - იმ ჭუჭყს, იმ მიწას, რომელმაც მისი ძვლები და მისი წინაპრების ძვლები ასაზრდოვა ექვსი თაობის მანძილზე" ("...and now he seemed to see his whole native land, his home -- the dirt, the earth which had bred his bones and those of his father's for six generations and was still shaping him into not just a man but a specific man, not with just a man's passions and aspirations and belief but the specific passions of hopes and convictions and ways of thinking and acting of a specific kind and even race: and even more: even among a kind and race specific and unique..." (Faulkner 1948: 78)).

ამრიგად, „ნეშტის შემბილწველში“ ერთი კონკრეტული ადამიანის წარსული არა მხოლოდ მისი პირადი გამოცდილებაა, არამედ მისი პირადი გამოცდილების მიღმა არსებული კოლექტიური წარსული, რომელიც მისი ხალხის, მისი ქვეყნის, უფრო ვრცლად კაცობრიობის ისტორიასაც შეიძლება მოიცავდეს. ფოლკნერი ხაზს უსვამს, რომ ადამიანი ტრადიციის უწყვეტი ჯაჭვის ერთ-ერთი რგოლია და რომ

გამოსავალი არა ინდივიდის ღვთაებრიობის რწმენაშია, არამედ მისი, როგორც ადამიანის, განგრძობადობის ღვთაებრიობაში. ("... belief in more than the divinity of individual man but in the divinity of his continuity as Man." (Faulkner 1948: 114)).

ამიტომ ნაწარმოებში ესა თუ ის მოქმედება ერთჯერად აქტად კი არ აღიქმება, არამედ განმეორებად, ციკლურად, რაც ღროის მითოსურ აღქმას ახასიათებს. კოლექტიური ცნობიერება მითოსური არქეტიპებით ოპერირებს და ამიტომ მისთვის ინდივიდი ჩვეულებრივ ნაკლები მნიშვნელობისა და ღირებულებისაა, როგორც, მაგალითად, ეზრა პაუნდის "კანტოებში", ან ტომას ელიოტის "უნაყოფო მიწაში". ფოლკნერისთვის კი მიუხედავად იმისა, რომ ინდივიდი ჯაჭვის ერთ-ერთი რგოლია, სწორედ ინდივიდია საინტერესო. ვფიქრობ, სწორედ ეს საინტერესო შერწყმა ინდივიდუალურისა და მითოსურის, არქეტიპულის, წარმოადგენს ფოლკნერის ნაწარმოებების პოეტიკის ერთ-ერთ საგულისხმო თავისებურებასა და ღირსებას.

მითოსური ღროისათვის დამახასიათებელი ციკლურობით ხასიათდება როგორც ნაწარმოების სიმბოლიკა, ისე ნარატივი. ამიტომ ნაწარმოების სათაურში გამოტანილი ქმედება – ნეშტის დამარხვა/ამოთხრა, რომელიც ნაწარმოების ერთი დღე-ღამის მანძილზე რამდენჯერმე მეორდება, არა მხოლოდ საინტერესო სიმბოლური დატვირთვის მატარებელია, არამედ რომანის პოეტიკის ნაწილიც, რითაც ტექსტის თხრობაც ციკლურად ვითარდება და ტექსტიც ნეშტის შემბილწველებივით ვინ იცის რამდენჯერ უბრუნდება ერთსა და იმავეს. და მხოლოდ ასე მრავალჯერადი გამოჩენა-დაფარვის შედეგად თანდათან ცნაურდება სიმართლე. ამ ნაწარმოებშიც ისევე, როგორც ფოლკნერის ბევრ ნაწარმოებში ფორმა ნიშნადა და რომანის პოეტიკა და მხატვრული ქსოვილი სათხრობთან ორგანულ მთლიანობას წარმოქმნის. ამიტომ ძნელია დავეთანხმო ედმუნდ უილსონის მოსაზრებას, რომელიც შემდეგ არაერთმა კრიტიკოსმა გაიზიარა, რომ ფოლკნერის რომანებს სიმწყობრე აკლია „წინადადების, აბზაცისა და ბოლოს, რომანის, როგორც მთლიანის ღონეზე." ("The weaknesses of Faulkner result... from his not having mastered ... the design of his books as wholes as well as that of his sentences and paragraphs" (Hardwick 1951: 246)).

ვფიქრობ, რომ ფოლკნერის რომანის შემთხვევაში, საქმე გვაქვს არა „სიმწყობრის ნაკლებობასთან", არამედ ტრადიციული რომანისა-

გან განსხვავებულ ფორმასთან. ნარატივის ციკლურობასა და ფრაგმენტულობას გარკვეული მხატვრული ფუნქცია აქვს: წინადადებისა და აბზაცის დონეზე იგი გმირის ცნობიერების ნაკადს გადმოსცემს, რომელიც ფრაგმენტული და მოუწესრიგებელია, ასოციაციებით ოპერირებს და ამიტომ პერიოდულად უბრუნდება იმ მოვლენებს, რაც მისთვის მნიშვნელოვანია. ამასთანავე ყოველი ასეთი მიბრუნება ახალი დეტალებითა ავსებს ამ მოვლენას, რითაც ერთიანი სურათი თანდათან იკვეთება. ხოლო თავებისა და მთელი რომანის დონეზე ნაწარმოები არა სიუჟეტის წრფივ განვითარებას მიყვება, არამედ ციკლურს.

ფორმის ფუნქციურობასა და ნიშნალობაზე მეტყველებს გვერდ სტივენსის გრძელი და გადამეტებულად მჭევრმეტყველური მონოლოგებიც, რომელსაც ხშირად მკვლევარები ნაწარმოების ერთ-ერთ სისუსტედ მიიჩნევენ. სინამდვილეში, საფიქრებელია, რომ ესეც მხატვრული ხერხია და ისეთივე ნიშნაღია, როგორც თითქმის ყველა მხატვრული ხერხი, რომელსაც ფოლკნერი მიმართავს. უნივერსიტეტადამთავრებული და პროგრესული შეხედულებების მქონე გვერდ სტივენსი მხოლოდ და მხოლოდ სიტყვების კაცია, მხოლოდ ლაპარაკობს იდეალებზე, მაშინ, როცა მოზარდი და ხანდაზმული ქალბატონი (ჩიკი და მის ჰაბერშეიმი), რომლებსაც ინტუიტიურად სჯერათ ლუკასის უდანაშაულობის, მოქმედებენ. ეს დიქტომია სიტყვასა და მოქმედებას შორის არაერთხელ არის ხაზგასმული ნაწარმოებში.

ფორმის ფუნქციულობაზე საუბრისას არ შეიძლება არ ვახსენოთ ფოლკნერის პუნქტუაციის უჩვეულობა. ცნობილია, რომ ფოლკნერს არ უყვარს წერტილი და უპირატესობას მძიმეს, წერტილმძიმესა, ტირესა და ორ წერტილს ანიჭებს. პარენტეზისის უხვი გამოყენებაც ერთ წინადადებას ლამის ერთ გვერდად აქცევს. „ნეშტის შეშბილ-წველში“ ყველაზე გრძელი წინადადება 800-მდე სიტყვას შეიცავს. ამ შემთხვევაშიც პუნქტუაციაც გარკვეულ კანონზომიერებას ექვემდებარება. ფოლკნერი გმირის ცნობიერების უწყვეტი ნაკადის გადმოსცემას ცდილობს. ხოლო ამ დინების ილუზიას წერტილი ყველაზე ნაკლებ შეეფერება. (არ შეიძლება არ გავიხსენოთ ჯოისის მიერ პუნქტუაციის ნიშნების გარეშე დაწერილი "ულისეს" ბოლო ეპიზოდი). ფოლკნერის სტილის კომპლექსურობა, მისი ბუნდოვანი და ჩახლართული, პარენტეზისებით დახუნძლული წინადადებები სწორედ იმას ემსაურებოდა, რომ სამივე დროის ერთიანობა მოიცვას და ამით მაქსიმალურად მიახლოებული სისავსით დახატოს ადამიანი, რომელიც, ფოლკნერის

აზრით, მხოლოდ აწმყოში არ არსებობს და ყოველი მისი ფიქრი და მოქმედება ერთობას წარმოადგენს – მისი წარსულისა და პოტენციური მომავლის. ამიტომ გრძელი წინადადება იმის მცდელობაა, რომ მოქმედი პირის არა მხოლოდ აწმყო, არამედ მისი წარსული და პოტენციური მომავალიც მოიცვას.

დროის სხვადასხვა პლასტების ერთ სიბრტყეში თავის მოყრის მხატვრული გადმოცემის ერთ-ერთ საინტერესო და რადიკალურად ნოვატორულ ხერხს დროის გაყინვა-შეჩერება, ანუ გაყინული წამის ტექნიკა წარმოადგენს, რაც დროის რელატიურობის, სუბიექტური დროის ლიტერატურაში გამოხატვის ყველაზე რადიკალურ ფორმაა. უნდა აღინიშნოს, რომ სუბიექტური დროის რელატიურობის ფაქტს ტრადიციული რომანიც იცნობდა. მაგრამ მოდერნისტულ რომანში „გაყინული დროის“ გამოსახატავად ადგილი აქვს დროისა და სივრცის პრინციპულად ახლებურ მოდელირებას. არსებითი განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ ტრადიციული რომანი მხოლოდ აფიქსირებდა დროის აღქმის რელატიურობის ფაქტს (ანუ პერსონაჟს ეჩვენებოდა, რომ დრო გაჩერდა, ან პირიქით სწრაფად გაირბინა, და ამას ან ავტორი გვამცნობდა, ან თვით პერსონაჟი), მაშინ როდესაც მოდერნისტული ნაწარმოები ისწრაფვის ეს მოვლენა ესთეტიკურ ფენომენად აქციოს, ანუ თვით ტექსტმა შექმნას დროის შეჩერების ილუზია, *nunc stans* ნაწარმოების მხატვრული ქსოვილიდან გამომდინარეობდეს.

დროის რელატიურობის ტრადიციული გამოხატვის კარგ მაგალითს „ნეშტის შემბილწველის“ მე-10 თავის დასაწყისი წარმოადგენს, როდესაც ჩიკი ჭამის დროს იმაზე დაფიქრდება, რამდენი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც ბოლოს ჭამა. და მხოლოდ იმის გახსენების შემდეგ, რომ იმ დღით 4 საათზე შერიფთან იყო, ხვდება თვითონაც და მასთან ერთად მკითხველიც, რომ მხოლოდ ერთი დღე გასულა. მაგრამ ეს ერთი დღე მოქმედ პირსაც და მკითხველსაც მარადისობად ეჩვენება.

თუმცა ამავე ნაწარმოებში გვხვდება ის არსებითი სიახლეც, რითაც ფოლკნერის ნოვატორობაზე შეიძლება ვილაპარაკოთ. ეს არის დროის შეჩერება, გაყინვის მხატვრულ ფორმაში გამოხატვის მცდელობა. ავტორი ცდილობს შექმნას ილუზია დროის შენელების და ამით მიაღწიოს იმას, რომ მკითხველიც თანამოზიარე გახდეს იმ სიზმარეული, გაყინული დროის აღქმის, რომელიც მის პერსონაჟს აქვს. ამით

დროის რელატიურობის ფენომენი არა მხოლოდ აღნიშნულია, როგორც მოვლენა, არამედ გარკვეულ მხატვრულ ფუნქციას იძენს. ასეთი თხრობის დროს ობიექტური, ასტრონომიული დროის უმცირესი მონაკვეთი სუბიექტის აღქმაში შეიძლება უზომოდ ტევადად იქცეს; ერთმა წამმა შეიძლება ადამიანის მთელი ცხოვრების გააზრება მოიცავს, უფრო ფართოდ კი კაცობრიობის ისტორიის რაღაც ნაწილიც ამ შემთხვევაში დროის მონაკვეთის დატვირთვა მოგონებებით, ასოციაციებით, ალუზიებით, ადამიანის ცნობიერებაში დროის შეჩერების, უდროობის, ან ყველა დროის თანაარსებობის ილუზიას წარმოქმნის. ცნობიერების ნაკადის ტექნიკა საშუალებას იძლევა დროში თავისუფალი გადაადგილების, რაც სხვადასხვა დროის პლასტების საინტერესო ზედღებას იწვევს. ამგვარი ეფექტი უპირატესად სხვადასხვა დროს განცდილ მსგავს სულიერ მდგომარეობას ან სიტუაციას აკავშირებს ერთმანეთთან, როგორც მაგალითად იმ ეპიზოდში, როდესაც გევინ სტივენსი იმაზე ფიქრობს, თუ როგორ დაარწმუნოს ჩიკის დედა, რომ ბიჭი მასთან ერთად გამოუშვას. ამ ეპიზოდში კონკრეტულ საფიქრალს ჯერ გევინის განზოგადებული ფიქრები მოჰყვება ქალის/დედის თვისებებზე, შემდეგ კი ჩიკის მოგონება, პირველად როგორი ძალისხმევით მოიპოვა მატჩში მონაწილეობისათვის გუნდთან ერთად სხვა ქალაქში წასვლის ნება. დროის ამგვარი თემატიზირება ისევე და ისევე იმ მიზანს ემსახურება, რომ ის მომენტები დააფიქსიროს და ერთმანეთთან დააკავშიროს, რომელიც ჩიკის ზრდისათვის იყო ნიშნადი. სხვა ასეთი დეტალებიც უხვად არის ნაწარმოებში: მამის მიერ ნაჩუქარი ნამდვილი თოფი, ბიძის ნაჩუქარი პონი - ყველაფერი ის, რაც მას „ბავშვობას კიდევ ერთი ნაბიჯით აშორებდა“ (VI თავი).

გარდა ცალკეული მონაკვეთებისა, მთელი ნაწარმოებიც არსებითად შეჩერებული, შენელებული „მითოსური ქრონოტოპით“ ხასიათდება, რომლის ობიექტური ქრონოლოგია მხოლოდ დროის ძალიან მცირე მონაკვეთს მოიცავს, მაგრამ იმდენად არის გაჯერებული მოქმედებებით, ფიქრით, გმირის ცნობიერების ნაკადში შემოსული წარსულის მოგონებით, რომ ზედროულის შთაბეჭდილებას ქმნის.

დროის მითოლოგიზირებას, ბუნებრივია, რომ დროსთან მჭიდროდ ასოცირებული ისეთი მოვლენის ახლებური გააზრება მოჰყვებოდა, როგორიც სივრცეა. თუმცა უნდა ითქვას, რომ ეს უკანასკნელი ბევრად ნაკლები მნიშვნელობისაა. მიზეზი უთუოდ იმაში უნდა ვეძიოთ, რომ დრო როგორც თხრობის საშუალება გაცილებით უფრო

მნიშვნელოვანია ნაწარმოების პოეტიკაში და ამიტომ ნებითა თუ უნებლიედ ყოველ მწერალს უწევდა და უწევს ამ პრობლემის გააზრება უკვე იმით, თუ როგორ განალაგებს ხდომილებებსა და პერსონაჟებს დროსა და სივრცეში. ამიტომ ამ ნაწარმოებშიც რომანის პოეტიკაში არსებით როლს დროის ფაქტორი ასრულებს, თუმცა არ შეიძლება ის ცვლილებებიც არ აღვნიშნოთ, რომელსაც სივრცის მოდელირება განიცდის.

„ნეშტის შემბილწველის“ სივრცე არა მხოლოდ ადგილ-მდებარეობაა, არამედ სიმბოლურ დატვირთვას იძენს. რომანში ორი პოლარულად დაპირისპირებული სივრცეა წარმოდგენილი: ერთი მხრივ, ქალაქის ცენტრის მოედანი, რომელიც ჩაკეტილი სივრცეა და რომელიც ვითომ მოქმედების ეპიცენტრს წარმოადგენს, რადგან აქ არის დაპატიმრებული ლუკასი, რომლის ლინჩის წესით გასამართლება მოკლული ვინსენტ გაურის ახლობლების მიერ ყოველ წუთშია მოსალოდნელი. და მეორე მხრივ, მოქმედების ნამდვილი სივრცე - ჯეფერსონის გარეთ, სადაც ჩიკი, მის ჰაბეშემთან და თავისივე თანატოლ ალექს სანდერთან ერთად მოკლული ვინსენტ გაურის საფლავს თხრიან, რათა სიმართლე დაადგინონ. მოედნის ჩაკეტილი სივრცე უპიროვნო, კოლექტიური ადამიანის მოქმედების არეალია, რომელიც სტერეოტიპებით აზროვნებს: ზანგს ღირსება არ შეიძლება ქონდეს. შემთხვევითი არ არის, რომ ჩიკი მოედანზე მოგროვებულ ადამიანებს, რომლებიც სანახაობის საცქერლად შეყრილან, ერთ სახედ აღიქვამს. ხოლო ლუკასის გამართლების შემდეგ - ერთ კეფად, რადგან ყველამ ერთად ისეთივე სისწრაფით დატოვა მოედანი, როგორც მოვიდა.

სივრცე რომ სულიერი მდგომარეობაა და არა მხოლოდ გეოგრაფიული ტოპოსი, კარგად ჩანს სხვა ეპიზოდშიც, როდესაც ჩიკი მდინარეს გაჰყურებს, რომელიც ჩრდილოეთიდან მოდის.

ამ ნაწარმოებშიც, ისევე, როგორც ფოლკნერის ბევრ რომანში, გვხვდება ქალაქისა და სოფლის ანტითეზა. „ნეშტის შემბილწველის“ კომპარული ჩახლართული სიუჟეტი, მკვლევლობით, ლინჩის მოლოდინით, რამდენჯერმე გათხრილი საფლავით და ბოლოს ერთის ნაცვლად ორი გვაძიებს, ისეთი პრიმიტიული და ბუნებრივი მოქმედების პარალელურად მიმდინარეობს, როგორიც თესვაა. ზანგი მთესველები ჯორშებმული გუთნით, რომელთაც დილაადრიან ჯეფერსონიდან საფლავის გასათხრელად მიმავალი გეგინი და ჩიკი ხედავენ, თავისი ბუკოლიკური ელფერით, თავისი პრიმიტიულობითა და ბუნებასთან

სიახლოვით, საინტერესო კონტრასტს წარმოქმნის იმ „ხმაურითა და მძვინვარებით“ შეპყრობილ სამყაროსთან, რომელიც ჩვეულებრივ სისხლიანი ტრაგედიებით არის სავსე. აღსანიშნავია ისიც, რომ ფოლკნერთან ამგვარი ბუკოლიკური სცენები ჩვეულებრივ პრიმიტიული რიტუალის სახეს იღებს, რომელიც ღროს არ ექვემდებარება და მითოლოგიზირებულია.

ამრიგად, „ნეშტის შემბილწველში“ ფოლკნერი ღიბი ოსტატობით ახერხებს, დეტექტიურ სიუჟეტსა და აქტუალურ პრობლემატიკას ზედროული, საკაცობრიო უღერადობა შესძინოს და ერთი კონკრეტული მოზარდის სულიერი ზრდის ისტორიის თხრობა მაძიებელი პერსონაჟის ერთერთ ხორცშესხმად წარმოგვიდგინოს, რომლის მიმართ ინტერესი არასდროს განელდება.

დამოწმებანი:

Faulkner, W. *Intruder in the Dust*, N.Y.: Random House, Inc., 1948.

Gwynn, F. and Joseph Blotner (eds.). *Faulkner in the University*. University of Virginia Press, 1995.

Hardwick, E. “Faulkner and the South Today”. J. Hoffman and O. W. Vickery (eds.) *Faulkner: Two Decades of Criticism*. Michigan State College Press, 1951.

Wilson, E. “Faulkner’s Reply to Civil Right’s Program.” *New Yorker*, 24, 1948

MANANA GELASHVILI

Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ABSTRACT

TIME AND SPACE IN WILLIAM FAULKNER’S NOVEL *INTRUDER IN THE DUST*

The present article is a study of Faulkner’s novel *Intruder in the Dust*(1948), which in spite of its detective plot, is in fact the author’s last novel bearing such cardinal characteristics of the modernist novel as stream of consciousness technique and specific modelling of time/space relationship.

The narrative of a relationship between an adolescent boy, Chick Mallison, and an elderly, dignified negro, Lucas Beauchamp, is rendered mainly through Chick's stream-of-consciousness, which depicts his spiritual development through understanding the limitations and prejudices of the society. As in many novels by Faulkner, the two most important events of the story take place before the story itself starts and are introduced in the book by a number of flashbacks that falter the development of the plot structure and gives to the narrative a circular development rather than a conventional linear plot structure. In other words the narrative mirrors the process of burial and retrieval which takes place in the novel a number of times.

The article pays particular attention to the analysis of the stylistic devices (flashbacks, cuttings, montage, stream-of-consciousness technique) used by the author to render an arrested motion in time and create an impression of timelessness, or frozen time.

თავარ გულაზვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი

ვის ეზინია ჯომუნიაციის? (ჯომუნიაციის ზროზლუაა ელუარდ ოლზის პიესაში „ვის ეზინია ვირჯინია ვულფის?“)

ტერმინი „აბსურდის თეატრი“ პირველად ლიტერატურის კრიტიკოსმა მარტინ ესლინმა იხმარა, რომელმაც ის სამუელ ბეკეტის, იუჟინ იონესკოს, ჟან გენეტისა და არტურ ადამოვის შემოქმედების დასაკავშირებლად გამოიყენა. თუმცა აბსურდის იდეას პირველად ალბერტ კამიუს ესეში „სიზიფეს მითი“ (*Le Mythe de Sisyphe*) ვხვდებით, სადაც კამიუ გამოთქვამს აზრს იმის შესახებ, რომ აბსურდს იწვევს ადამიანის სურვილი გაარკვიოს და იპოვოს მნიშვნელობა სამყაროში, რომელიც არაფერს არ გთავაზობს. აბსურდისტი მწერლების შემოქმედებისათვის დამახასიათებელია ლოგიკის არარსებობა, დიალოგების უაზრობა, ტრადიციული პერსონაჟებისა და ფაბულის გამოყენებაზე უარის თქმა. აბსურდისტი მწერლების მთავარ იდეას წარმოადგენს იმის ხაზგასმა, რომ ადამიანის არსებობა აბსოლიტურად უაზროა და ჩვენ ყველანი ვარსებობთ სამყაროში, სადაც კომუნიკაცია შეუძლებელია. ალბერტ კამიუ თავის ესეში მიდის დასკვნამდე, რომ ამგვარი მდგომარეობიდან გაქცევა შეუძლებელია, თუმცა ადამიანს გააჩნია იმის უნარი დაუპირისპირდეს ამას. მიუხედავად კამიუს ამ ერთი შეხედვით პოზიტიური განცხადებისა, აბსურდისტი მწერლების შემოქმედება საპირისპიროს გვიჩვენებს, რადგან აბსურდისტული პიესის პერსონაჟებს არანაირი სურვილი არ გააჩნიათ დაუპირისპირდნენ ამ უაზრო არსებობას და არ ცდილობენ კომუნიკაციის მიღწევას.

სტატისის მთავარ ამოცანას წარმოადგენს, განიხილოს კომუნიკაციის პრობლემა ელუარდ ოლზის პიესაში *ვის ეზინია ვირჯინია ვულფის?* მიუხედავად იმისა, რომ ელუარდ ოლზი არ მიიჩნევა აბსურდისტ მწერლად, ზემოხსენებულ პიესაში უდავოდ ვხვდებით აბსურდის დრამის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს, როგორცაა:

1. აბსურდული გარემოება - პიესის დასაწყისიდანვე აშკარაა, რომ საქმე გვაქვს არასდინტარტულ პიესასთან, რადგან ღამის ორ

საათზე მართა და ჯორჯი ელოდებიან სტუმრებს, რომლებსაც საერთოდ არ იცნობენ;

2. აბსურდულიპერსონაჟები - მარტინ ესლინის მიხედვით აბსურდის დრამის პერსონაჟებს ძნელად თუ შეიძლება ადამიანი ეწოდოთ და მათ მოქმედებაში არავითარი ლოგიკა არ არის. პიესის დასაწყისიდანვე გაურკვეველია, თუ რატომ აქვთ მართას და ჯორჯს ასეთი დამოკიდებულება ერთმანეთის მიმართ და რატომ ექცევიან ერთ-ერთს ასე სასტიკად, როდესაც ერთი შეხედვით თითქოს მათ ცხოვრებაში ყველაფერი რიგზეა.

გასაკვირი არ არის ის ფაქტი, რომ აბსურდულ გარემოში არსებული არამოტივირებული პერსონაჟების მთავარ პრობლემას ერთმანეთთან ურთიერთობა და კომუნიკაცია წარმოადგენს. ზემოჩამოთვლილი მახასიათებლების გარდა, აბსურდის დრამის ერთ-ერთ თავისებურებას ენის - როგორც კომუნიკაციის საშუალების - გამოუყენებლობა წარმოადგენს. მართებული იქნება ვთქვათ, რომ ენა შინაარსს მოკლებული გაცვლა-გამოცვლის მექანიზმად იქცა. როგორც იან ჩულიკი აღნიშნავს: „სიტყვები ვერ ახერხებენ ადამიანთა განცდების გადმოცემას, რადგან ზედაპირულნი გახდნენ. აბსურდის თეატრის ერთ-ერთ მიზანსაც სწორედ ის წარმოადგენს, რომ უჩვენოს, რამდენად დაცემულია ენაცა და მისი მნიშვნელობაც, რადგან ის ვერ ახერხებს იყოს სწორი და სანდო კომუნიკაციის საშუალება. აბსურდის დრამა იყენებს კლიშეებს, სლოგანებსა და ტექნიკურ ფარგონს და ცდილობს მოახდინოს ამ ყოველივეს პაროდირება თუ რღვევა. სტერეოტიპული ლაპარაკის წარმოჩენით აბსურდის თეატრი ცდილობს ადამიანები მიახვედროს, რომ შესაძლებელია ყოველდღიურ თავაზიან საუბარს თავი აარიდონ და უფრო ბუნებრივად ისაუბრონ" (Culik 2000).

კომუნიკაციის ნაკლებობაზე და ადამიანთა შორის გაუცხოებაზე მეოცე საუკუნის არაერთი მწერალი გამოხატავდა თავის დამოკიდებულებასა თუ გულის ტკენას. მაგალითად, ამერიკელი მწერალი ფეიტ ბოლდუინი აღნიშნავდა, რომ „ხანდახან უფრო მეტი კომუნიკაციის ნაკლებობა შეიძინევა საუბარში, ვიდრე უბრალო სიჩუმეში." არსებობდნენ მწერლები, რომლებიც ამ პრობლემის დრამატიზირებას ახდენდნენ, ხაზს უსვამდნენ რა იმ ფაქტს, რომ სიტყვებმა დაკარგეს თავისი მნიშვნელობა და აქტუალობა, რომ „სიტყვები მხოლოდღა უსარგებლო ლაქა სიჩუმესა და არარაზე" იგივე სულისკვეთება იგრძნობა ედუარდ ოლბის ნაწარმოებებში, სადაც აშკარად იგრძნობა

დიდი ირლანდიელი დრამატურგის სემუელ ბექეტის გავლენა. თუმცა ეს არ უნდა გაგვიკვირდეს, რადგან პირველ რიგში ალბათ ძნელია წერო გაუცხოებასა და კომუნიკაციის არარსებობაზე და არ იყო ბექეტის გავლენის ქვეშ, და მეორეც, როგორც თავად ოლბი აცხადებდა: „მე არ მსურს ვიცხოვრო ისეთ ქალაქში, სადაც არ იდგმება სემუელ ბექეტის პიესები“, რითაც ადასტურებდა თავის კეთილ განწყობას ბექეტის მიმართ.

იმისათვის, რომ წარმოაჩინოს ენის დევალვაცია, სემუელ ბექეტი იყენებს არატრადიციულ ტექნიკას. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ ერთი შეხედვით მისი პერსონაჟები ერთმანეთს ესაუბრებიან, ამკარაა, რომ მათ შორის დიალოგი არ არსებობს, რადგან დიალოგი სინამდვილეში ორი მონოლოგის ფორმას იღებს. ესტრაგონი და ვლადიმერი საერთოდ არ უსმენენ ერთმანეთს და ორივე თავისი თავით არის გატაცებული. მაგალითად:

ვლადიმერი: ამაზე მილიონი წლის წინ უნდა გვეფიქრა, 90-იანებში.

ესტრაგონი: ოჰ, მოეშვი ამ სისულელის ბოდიალს და მომეხმარე ამ დაწყველილი ნივთის გახდაში (მიუთითებს თავის ფეხსაცმელზე).

ვლადიმერი: ხელი-ხელ ჩაკიდებულები ეიფელის კოშკის თავზე, პირველები. მაშინ პატივსაცემი ადამიანები ვიყავით. ახლა, ახლა ძალიან გვიანია. ისინი არც კი შეგვიშვებენ იქ (ესტრაგონი გაიხდის ფეხსაცმელს). რას აკეთებ? (Beckett, Act I)

ბექეტის პერსონაჟებისაგან განსხვავებით, რომელთა შესახებაც მკითხველმა ბევრი არაფერი იცის და რომლებიც ორი მაწანწალა, მიუსაფარი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებენ, ოლბის პერსონაჟები სრულიად საპირისპირონი არიან: მართა და ჯორჯი იდეალური წყვილის მართა და ჯორჯი ვოშინგტონების სახელს ატარებენ, ისინი კოლეჯში ცხოვრობენ. ჯორჯი პროფესორია, თუმცა ის არ არის ისტორიის განყოფილების უფროსი, რასაც მართა ხშირად წამოაძახებს ხოლმე პიესის განმავლობაში და სწორედ ამიტომ, რომ იგი თავის ქმარს არშემდგარ ადამიანად მიიჩნევს. ამას გარდა მართა ჯორჯზე ექვსი წლით უფროსია და ოჯახში სწორედ ის იღებს გადაწყვეტილებებს, თუმცა ესეც მოჩვენებითია, რადგან მართა მთლიანად მამამისზე და მის გადაწყვეტილებებზეა დამოკიდებული. მართა ვერ ახერხებს იყოს კარგი ქალიშვილი, ცოლი და დედა. მკითხველს მალევე ეწურება იმის იმედი, რომ მართასა და ჯორჯის

ურთიერთობის დალაგება შესაძლებელია, და ხვდება, რომ ისინი ჩვეულებრივ წყვილს არ წარმოადგენენ. თუმცა პიესაში არის მეორე წყვილი, მართასა და ჯორჯის სტუმრები, რომლებიც ღამის ორ საათზე უნდა მოვიდნენ კოლეჯში მათ მოსანახულებლად: ნიკი და ჰანი, ერთმანეთზე უზომოდ შეყვარებული ახალგაზრდა, ბედნიერი წყვილი. მკითხველი დარწმუნებულია, რომ ნიკი და ჰანი მართასა და ჯორჯისაგან აბსოლუტურად განსხვავდებიან, თუმცა მალევე ხვდება, რომ ამგვარი მოლოდინი ამაოა. მათი სტუმრობიდან ვიგებთ, რომ ნიკი ჰანიზე იმიტომ დაქორწინდა, რომ ჰანი ფენმძიმედ იყო და ამას გარდა საკმაოდ შეძლებული ოჯახიდან იყო. ჰანი კი თავის მხრივ ცდილობს აიცილოს ორსულობა, რადგან ეშინია. ჰანი ხშირად ავადმყოფობს და არ შეუძლია რეალობის ადექვატურად აღქმა. იდეალური ქმარი ნიკი კი გამოაჩენს თავის ამორალურ და ცივ მხარეს, როდესაც ცდილობს მართასთან ურთიერთობის დამყარებას. თუმცა საბოლოოდ ვხედავთ, რომ იგი ვერ ახერხებს მართას დაკმაყოფილებას და შესაბამისად, მსგავსად დანარჩენი სამი პერსონაჟისა, ისიც არ არის წარმატებული პიროვნება. აშკარაა, რომ მიუხედავად მკითხველის წინასწარი განწყობისა მათ მიმართ, ისინი სრულებით საპირისპირო აღმოჩნდებიან. შესაბამისად, რამდენად რეალურია მკითხველის აღქმა: ბეკეტის პერსონაჟების - ვლადიმერისა და ესტრაგონის - მაწანწალებად მიჩნევა?

მთავარი, რაც ბეკეტისა და ოლბის პერსონაჟებს მსგავსს ხდის, არის ის ფაქტი, რომ, ბეკეტის პერსონაჟებივით, ოლბის მოქმედი პირობების დიალოგიც მხოლოდ მოჩვენებითია. ისინი თითქოს არც კი წუხან იმის გამო, რომ ვერ ახერხებენ კომუნიკაციას, და თავიანთი მონოლოგებით საკმაოდ კმაყოფილნიც კი არიან. ის, რაც ბეკეტის და შემდეგ ოლბის პერსონაჟებს ავიწყდებათ, არის ის, რომ ორი მონოლოგი ვერანაირად ვერ გახდება დიალოგი.

იმის ხაზგასასმელად, რომ სიტყვები საკმარისი არაა, ელუარდ ოლბი იყენებს დაუმთავრებელ, ფრაგმენტირებულ წინადადებებს, უპასუხოდ ტოვებს კითხვებს, მისი პერსონაჟები ხშირად აწყვეტილებენ ერთმანეთს საუბარს. ალბათ იმის მიზეზი, თუ რატომ არ პასუხობენ ოლბის პერსონაჟები ერთმანეთის კითხვებს, ისაა, რომ ერთმანეთს არ უსმენენ, რადგან თითოეული მათგანი მხოლოდ თავის თავზე ფიქრობს და საკუთარი ბედი აწუხებს. აღნიშვნის ღირსია ის ფაქტიც, რომ ოლბის პიესის მოქმედი პირობები არ ცდილობენ რაციონალურად

დალაგონ თავიანთი საუბარი და თემატიკა მუდმივად იცვლება ყოველ ფრაზასა თუ წინადადებაში, რაც მათი საუბრის აბსურდულობას კიდევ უფრო ამძაფრებს და ხაზს უსვამს.

შესაბამისად, გასაკვირი არაა, რომ მკითხველს უჩნდება შეგრძნება იმისა, რომ პერსონაჟებს არ გააჩნიათ ერთმანეთთან ნორმალურად კომუნიკაციის არც უნარი და არც სურვილი. მართასთვის და ჯორჯისათვის ენა არის საშუალება, რომ ერთმანეთს ზიანი და ტკივილი მიაყენონ. ამას გარდა, ისინი ენის მეშვეობით შეურაცხყოფენ არა მხოლოდ ერთმანეთს, არამედ თავიანთ სტუმრებსაც. იმის მაგივრად რომ საუბარმა რაიმე გამოსავლამდე ან რაიმე აზრამდე მიიყვანოს ისინი, ეს უბრალოდ არის ინსტრუმენტი მათი თამაშებისა და ერთმანეთის დამცირების. პიესაში მრავლად არის პასაჟები, როდესაც პერსონაჟები ერთდროულად საუბრობენ და საერთოდ არ უსმენენ ერთმანეთს:

ჯორჯი: ყოველთვის არის. არა, დარწმუნებული ვარ. არც კი მიფიქრია.... ყოველთვის არის მაკომპენსირებული ფაქტორები.... როგორც ჩემი და მარტას შემთხვევაში.... არა, ზედაპირზე...

ნიკი: ჩვენ ერთად გავიზარდეთ, იცით....

ჯორჯი: მართალია, ერთი შეხედვით საშინელი ურთიერთობაა, ზედაპირულად....

ნიკი: ჩვენ ერთმანეთს ვიცნობთ, ოჰ ღმერთო, არც კი ვიცი, როცა ექვსის ვიყავით, თუ რაღაც....

ჯორჯი: მაგრამ სადღაც იქ, დასაწყისში, სწორედ მაშინ, როდესაც მე პირველად მოვედი ნიუ კართიჯში, მაშინ.... (Albee 1989: 66)

ჯორჯიცა და ნიკიც თავის თავზე საუბრობს და სრულებით არ უსმენენ ერთმანეთს, არც კი აინტერესებთ, რას ამბობს მათი თანამოსაუბრე. თუმცა ამ შემთხვევაში რიგი მკითხველებისა იტყვის, რომ ჯორჯი და ნიკი არც თუ ისე კარგად იცნობდნენ ერთმანეთს და სრულებით არ აინტერესებდათ ერთმანეთის ამბავი თუ ბედი. მაგრამ კომუნიკაციის არარსებობას ვაწყდებით ჯორჯისა და მარტას დიალოგებში. მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის დაწყებული საუბარი ყოველთვის ერთმანეთის შეურაცხყოფითა და ჩხუბით მთავრდება, აშკარაა, რომ ამ ორ პერსონაჟს ძალიან უყვარს ერთმანეთი და რომ ერთმანეთის გარეშე მათი არსებობა წარმოუდგენელია. მაგალითად:

ჯორჯი: მონსტრო!

მარტა: ღორო!

ჯორჯი: ხოჯო!

მარტა: ძაღლო!

ჯორჯი: კახპა! (Albee 1989: 65)

მთელი პიესის განმავლობაში ოლბი გვახსენებს, რომ, რასაც პერსონაჟები ამბობენ, მხოლოდ ლანძღვისა თუ ბილწისიტყვაობის გამო კი არ არის საინტერესო მკითველისათვის, არამედ იმიტომაც, რომ არასდროს არ ვართ დარწმუნებული იმაში, თუ რამდენად შეესაბამება სიმართლეს ჯორჯისა თუ მართას ნათქვამი. ჯორჯი ამ ფაქტს მეორე მოქმედებაში ადასტურებს კიდევ:

ნიკი: თქვენ ცოლს არასდროს უხსენებია თავისი დედინაცვალი.

ჯორჯი: შეიძლება, ეს არ არის მართალი.

ნიკი(უფართოვდება თვალები): იქნება და სიმართლეა.

ჯორჯი: შეიძლება.... შეიძლება არც არის (Albee 1989: 68).

პიესის ერთ-ერთი ცენტრალური პრობლემა, რომელიც კომუნიკაციის არარსებობას უკავშირდება, ილუზიისა და სიმართლის ერთმანეთში არევაა. პერსონაჟების ისეკეიპიზმი გამოვლინდ, ილუზორულ სამყაროში ნათელი გამოვლინებაა მათი გაუცხოების. ი ოლბის პიესაში ჯორჯსა და მართას ისე სჯერათთავისი ილუზიების, რომ მკითხველსზოგჯერ უჭირს გაერკვეს იმაში, თუ სად გადის ამ ორს შორის ზღვარი. როგორც ჯორჯი ეუბნება ნიკს:

ჯორჯი (ნიკს): სიმართლე და ილუზია. ვინ იცის განსხვავება? ეკ. ეკ? (Albee 1989: 119).

ჯორჯს და მართას ჰყავთ წარმოსახვითი ბავშვი, რომელიც ეხმარება მათ ოჯახის შენარჩუნებაში. წეს არის ის ილუზია, ფანტაზია, რომელიც მათ ერთმანეთთან აკავშირებთ. ჯორჯისა და მართას მსგავსად ჰანიც ფუნქციონობს იგონებს, რათა ნიკისა და თავისი ურთიერთობა როგორღაც შეინარჩუნოს. ორივე ფაქტი ამ პერსონაჟთა სულიერ მარტობაზეც მიუთითებს და ამასთანავე იმასაც შეგვახსენებს, თუ რაოდენ დაშორდა აბსუდისტებისათვის ენა, მეტყველება რეალობას. ოლბის პერსონაჟების მეტყველება კომუნიკაციას კი არ ემსახურება, არამედ რეალობიდან გაქცევისა და გამონაგონში თავის შეფარების მცდელობას წარმოადგენს.

ამრიგად, ელუარდ ოლბიმ პიესაში ვის ეშინია ვირჯინია ვულფის? დიდი მსატკრული ოსტატობით გამოხატა მეოცე საუკუნის ერთ-ერთი უმწვავესი პრობლემა: ადამიანის ეგზისტენციური გაუცხოების, რომელიც უპირველეს ყოვლის ადამიანთა შორის კომუნიკაციის ნაკლებობას, ან სრულ შეუძლებლობას შეიცავს.

დამოწმებანი:

Beckett, Samuel. *Waiting for Godot*. Online: http://samuel-beckett.net/Waiting_for_Godot_Part1.html

Albee, Edward. *Who's Afraid of Virginia Woolf*. London: Penguin Books, 1989.

Culik, Jan. *The Theatre of the Absurd, The West and the East*. 2000. Online: <http://www.arts.gla.ac.uk/Slavonic/Absurd.htm>

TAMAR GELASHVILI

Lecturer, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ABSTRACT

WHO IS AFRAID OF COMMUNICATION? (THE PROBLEM OF COMMUNICATION IN EDWARD ALBEE'S *WHO IS AFRAID OF VIRGINIA WOOLF*?)

The article deals with the central problem of Edward Albee's absurdist play *Who is afraid of Virginia Woolf*, namely - the inability of communication. One of the key aspects of Absurd is the inability to communicate. Absurdist believe that language cannot convey the human situation. They claim that language is empty and that communication is meaningless. That is why in absurdist plays the dialogues often seems to be just a meaningless babble. We come across the same problem in Edward Albee's *Who's Afraid of Virginia Woolf?*, where the reader actually sees that characters are not capable of communicating. Martha and George merely use language as a means of hurting and humiliating both each other and their guests. The conversations bring no solution, language does not serve the purpose of conveying meaning, it is just a tool for them for their games and insults.

Throughout the play we see that characters fail to communicate with each other and they trade verbal cruelties until the last scene, when they finally achieve some sense of mutual understanding. It could be argued that Absurd psychological violence as a form of communication and disappointment in communication originates from the disillusionment that the Second World War brought and can be seen in many other works.

ლიდიანა გოგიჩაიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

„სითი ლაითს“, სან ფრანცისკო

მე-20 საუკუნის 50-იან წლებში სან ფრანცისკოს წიგნის მაღაზია და გამომცემლობა "სითი ლაითს" ბიტნიკებისთვის თავშეყრის ყველაზე საყვარელ ადგილად იქცა. აქვე გამოიცა და გაიყიდა მათი ცნობილი ნაწარმოებების პირველი ეგზემპლარები. ზოგიერთი მათგანის გამოცემა-გაყიდვის გამო მაღაზია-გამომცემლობას იმჟამინდელ ამერიკულ კანონმდებლობასთანაც ჰქონდა პრობლემები.

1953 წელს ლორენს ფერლინგეტის მიერ დაარსებული "სითი ლაითსი" დღეს სან-ფრანცისკოს საკულტო მაღაზია და ისტორიული მნიშვნელობის მქონე დაწესებულებაა. ის დღესაც განაგრძობს ფუნქციონირებას და ლიტერატურის მოყვარულთათვის კვლავ საოცნებო ადგილად რჩება, თუმცა მისი ისტორია სან-ფრანცისკოსგან შორს, 1920-იანი წლების პარიზში დაიწყო.

1919 წელი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი თარიღი აღმოჩნდა ამერიკის ლიტერატურის ისტორიაში. ამ წელს ახალგაზრდა ამერიკელმა ქალბატონმა ნენსი ვუდბრიჯ ბინმა, იგივე სილვია ბინმა საფრანგეთში, პარიზში გახსნა წიგნის მაღაზია "შექსპირი და კომპანია". ეს გახლდათ ინგლისურენოვანი ლიტერატურის პირველი მაღაზია მრავალენოვან პარიზში, სადაც ფრანგული ენის ცოდნის გარეშე ნამდვილად გაგიჭირდებოდათ თავის დამკვიდრება.

"შექსპირი და კომპანიის" უნიკალურობა მდგომარეობდა იმაში, რომ ის იყო არა უბრალოდ ინგლისურენოვანი წიგნის მაღაზია, არამედ ერთ-ერთი პირველი ლიტერატურული კაფე, რომლის ყველაზე ხშირი სტუმრები მოგვიანებით "დაკარგულ თაობად" ცნობილი ამერიკელი ექსპატრიატები იყვნენ. ჯერ ნაკლებად ცნობილი, დამწყები მწერლები - ჰემინგუეი, ფიცჯერალდი, ჯოისი, ელიოტი, პაუნდი გაოცებულნი იყვნენ სილვია ბინის სტუმართმოყვარეობით და იმ ფაქტით, რომ ყოვლად უსასყიდლოდ შეეძლოთ საათობით მსხდარიყვნენ ჭიქა ჩაიზე და ეკითხათ მათთვის სასურველი ლიტერატურა.

ნენსი ვუდბრიჯ ბინი მალე იქცა ექსპატრიატების ყველაზე ახლო

მეგობრად და მფარველად. ის არ უშინდებოდა არანარ სირთულეს და ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ მხარში ამოდგომოდა იმ ლიტერატურულ ტალანტებს, რომლებიც მან ერთი შეხედვით ჩვეულებრივ ყმწვილებში ამოიცნო. ქალმა უდიდესი სამსახური გაუწია ჯეიმზ ჯოისს და 1922 წელს პირველმა გამოაქვეყნა მისი "ულისე".

"შექსპირმა და კომპანიამ" წარმატებულად იარსება II მსოფლიო ომამდე, 1939 წელს კი საფრანგეთში გერმანელების შემოსვლის შემდეგ, სილვია ბიჩი იძულებული გახდა დაეხურა მალაზია და დროებით შეეწყვიტა აქტიური კულტურულ-ლიტერატურული მოღვაწეობა. საგულისხმოა, რომ სწორედ ამ ფაქტის შემდეგ გახდა მალაზია მეტად პოპულარული და მიიპყრო როგორც ფრანგული, ასევე ამერიკული ჟურნალ-გაზეთების ყურადღება.

მიუხედავად ყველაფრისა, "შექსპირი და კომპანიის" ისტორია ასე უბრალოდ არ დასრულებულა. იმ ემოციებმა, რომლებითაც ექსპატრიატები იყვნენ დატვირთულნი, შემდეგ თაობებშიც იჩინა თავი და მალაზიამ 1951 წლიდან ჯორჯ უიტმენის ხელმძღვანელობით განაგრძო ფუნქციონირება. თავიდან მას ეწოდა "LE MISTRAL", მოგვიანებით კი, სილვია ბიჩის თანხმობის შემდეგ, დაერქვა - "შექსპირი და კომპანია". ეს იყო სხვა მალაზია, შეცვლილი მისამართით, თუმცა მნახველთა უმეტესობას დღემდე ჰგონია, რომ ისინი სტუმრობენ იმ დიდ "შექსპირსა და კომპანიას", სადაც იქმნებოდა ფიცჯერალდის, ჯოისის თუ ელიოტის ნაწარმოებები.

ლიტერატურული თვალსაზრისით აქტიურ პარიზს არც შეერთებული შტატები, კერძოდ კი კალიფორნია ჩამორჩებოდა და მაშინ, როცა უიტმენი ახალგაზრდა ბიტნიკების გამასპინძლებით იყო დაკავებული, სან ფრანცისკოში საფუძველი ეყრებოდა "შექსპირი და კომპანიის" დობილი მალაზიის "სითი ლაითსის" ჩამოყალიბებას.

1950-ანი წლების სან ფრანცისკო იყო ის ძირითადი მაგნიტი, რომელიც იზიდავდა ომის შემდგომ კონსერვატიულ საზოგადოებაში ცხოვრებით დაღლილ ახალგაზრდებს. ეს გახლდათ ახალი შესაძლებლობების, თამამი იდეების და თავისუფალი არჩევანის ქალაქი, ალბათ სწორედ ამ მიზეზების გამო ბიტნიკების თაობის ბირთვმა ნიუ იროკიდან სან ფრანცისკოსკენ აიღო გეზი, სადაც ლორენს ფერლინგეტისა და პიტერ დი მარტინის წყალობით დაიწყო სრულიად

ახალი, ენერგიით, თავგადასავლებითა და სიცოცხლით სავსე ცხოვრება. ამერიკელი პოეტი და მალაზია "სითი ლაითსის" ერთ-ერთი დამაარსებელი ლორენს ფერლინგეტი დაიბადა პორტუგალიელი ებრაელების ოჯახში, იონკერში, ნიუ იორკში 1919 წლის 24 მარტს. დაამთავრა მაუნთ ჰერმონის სკოლა, მოგვიანებით კი ჩრდილოეთ კაროლინის უნივერსიტეტში ჩაირიცხა. ომის შემდეგ მაგისტრის ხარისხი მიიღო კოლუმბიის უნივერსიტეტში, დოქტორისა კი - სორბონში. პარიზში ცხოვრებისას ის შეხვდა და დაუახლოვდა ჯორჯ უიტმენს, რომელიც მალე მის თანამოაზრედ და კარგ მეგობრად იქცა.

საფრანგეთიდან ამერიკაში დაბრუნების შემდეგ, ფერლინგეტიმ პიტერ დი მარტინთან ერთად დააარსა წიგნის მალაზია, რომელიც ამავედროულად გამომცემლობაც გახლდათ და რომელსაც ჩარლი ჩაპლინის ცნობილი ფილმის ასოციაციით "სითი ლაითსი" ეწოდა.

არაერთ ჭკვიანურ გათვლასთან ერთად, მარტინმა საკმაოდ გონივრულად აირჩია მალაზიის მდებარეობაც. "სითი ლაითსის" უკანა მხარე ესაზღვრება "ჩაინა თაუნს", აღმოსავლეთით კი მალაზია კოლუმბიის მოედანს გადაყურებს. XIX საუკუნეში კოლუმბიის მოედანს მონტგომერის მოედანი ეწოდებოდა და ჩრდილოეთ სანაპიროს ერთ-ერთ მთავარ ქუჩას წარმოადგენდა. 1906 წელს ქალაქის ეს ნაწილი თითქმის მთლიანად გაანადგურა საშინელმა მიწისძვრამ და ხანძარმა. "სითი ლაითსის" შენობა მალევე აღადგინეს და იქ იტალიური წიგნის მალაზია "კავალი & კო" გახსნეს. მოგვიანებით იტალიური წიგნები ამერიუკლმა "სითი ლაითსმა" ჩაანაცვლა და წლების განმავლობაში შენობის სამივე სართული დაიკავა.

ნიუ იორკელი მარტინი, როგორც სახელმწიფო კოლეჯის სოციოლოგიის ლექტორი, სან ფრანცისკოში, 1940 წელს ჩავიდა. ლიტერატურით დაინტერესებულ პიტერს წლების განმავლობაში სხვა ინტერესებიც გაუჩნდა და 1952 წელს გამომცემლობა "სითი ლაითსი" დააარსა. აქ გამოიცემოდა პოლიტიკური, სოციალური ნაშრომები, არაერთი თარგმანი და თანამედროვე მწერლების ნაწარმოებები. მათ შორის იყო ლორენს ფერლინგეტიც.

გამომცემლობის სწრაფი წარმატების მიზეზი ის იყო, რომ მარ-

ტინმა დაიწყო ქალაქში პირველი რბილყდიანი, ჯიბის წიგნების გამოცემა-გაყიდვა ანუ, ფაქტობრივად, იგი იქცა ჯიბის წიგნების მალაზიის პირველ მფლობელად. ერთ დღეს "სითი ლაითსის" შესასვლელთან მყოფ მარტინს მიუახლოვდა მალალი, ცისფერთვალება, სასიამოვნო გარეგნობის მქონე მამაკაცი და თავი ლორენს ფერლინგეტად გააცნო. "Oh, you are the one who sent me "Jacques pre-vet" translation", უპასუხა მომღიმარმა პიტერმა და თავისი კეთილგნწყობით, რომელიც ფერლინგეტის მიმართ გამოიჩინა, საფუძველი ჩაუყარა მომავალ თანამშრომლობას.

ახლადწამოწყებულ ბიზნესში თითოეულმა მათგანმა ჩაღო 500-500 დოლარი, თუმცა ვერც ლორენსი და ვერც პიტერი ალბათ ვერასდროს წარმოიდგენდნენ, რომ დღიურად 50 დოლარზე მეტ მოგებას ნახავდნენ. მათდა გასაკვირად, საქმე ნელ-ნელა წინ მიიწეოდა.

მიუხედავად ყველაფრისა, ფერლინგეტისა და მარტინის თანამშრომლობა დიდხანს მაინც არ გაგრძელებულა და გაურკვეველი მიზეზის გამო, პიტერმა ნიუ იორკში დაბრუნება გადაწყვიტა. მისი წილი 1955 წელს 1000 დოლარად შეიძინა ლორენსმა და დაიწყო მხოლოდ საკუთარ იდეებზე დაყრდნობით მუშაობა. მან გადაწყვიტა გამოეშვა პოეზიის მცირე კრებულები და პირველად 500 ეგზემპლარად გამოსცა საკუთარი ლექსების კრებული "გარდასული სამყაროს სურათები". ამას მოყვა რამდენიმე თარგმანი, გინსბერგის "ყმუილი", კერუაკის ლექსები და სხვა.

"სითი ლაითსის" ერთ-ერთი ყველაზე თამამი ნაბიჯი, რომელსაც საზოგადოების მხრიდან დიდი გამოხმაურება მოჰყვა, უკავშირდება ალენ გინსბერგის პოემას "ყმუილს", რომელიც 1956 წელს გამოქვეყნდა. იგი მიიჩნეოს ზღვარგადასული სექსუალური უზნეობის სიმბოლოდ. ნაწარმოებში გაცოცხლებული შემოღობილი სახეები, გადაგვარებული, ქოტური, გახრწნილი გარემო და თვითმკვლელი ადამიანები, გაერთიანებულნი ერთ "ყმუილში" საზოგადოებისთვის მეტისმეტი აღმოჩნდა. სიმართლე რომ ითქვას, გინსბერგი თავადაც ელოდა მის თანამედროვეთა ამგვარ რეაქციას და ნაწარმოების გამოქვეყნებაზე არც კი ფიქრობდა. საბედნიეროდ, საჭირო დროს და საჭირო ადგილზე მის გვერდით აღმოჩნდა ლორენს ფერლინგეტი, მოისმინა ავტორის

მიერ წაკითხული ყმუილი და სასწრაფოდ მიწერა: „I greet you at the begining of a great career, when do I get the manuscript?“

1956 წელმა მშვიდობით ჩაიარა, მაგრამ ყველაფერი შეიცვალა 1957 წლის პირველ ივნისს, როდესაც პოლიციამ დააკავა გამომცემლობის მენეჯერი შიგოში მურაო და მოგვიანებით მასთან ერთად ლორენს ფერლინგეტიც. თანამედროვე სამართალი ამტკიცებდა, რომ "ყმუილი", როგორც უხამსი და ახალგაზრდობის გამრყენელი ნაწარმოები, აუცილებლად უნდა აკრძალულიყო, მისი გამომცემლები კი სასწრაფოდ უნდა დასჯილიყვნენ. ასე აღმოჩნდა ფერლინგეტი სასამართლოს წინაშე, რომელმაც სან ფრანცისკოს რენესანსის უდიდესი ყურადღება მიიპყრო. საბოლოოდ 1957 წლის სამ ოქტომბერს მოსამართლე კლეიტონ ჰორონმა ნაწარმოები ლეგალურად ცნო და მისი გამოქყვენება დაუშვა. ამ ფაქტის შემდეგ არაერთმა აკრძალულმა წიგნმა იხილა დღის სინათლე. მაგალითად, გამოიცა "ლენი ჩეტერლის საყვარელი" და სხვა "უხამსი" ნაწარმოებები.

სასამართლოს მოულოდნელმა გადაწყვეტილებამ და საზოგადოების უდიდესმა ინტერესმა "ყმუილი" მალე აკრძალული წიგნების ბესტსელერად აქცია და ავტორსაც აღიარება მოუტანა.

ღროთა განმავლობაში "სითი ლაითსის" ღირსშესანიშნაობად იქცა არა მხოლოდ ის ლიტერატურა, რომელიც ამ მაღაზია - გამომცემლობაშია მოთავსებული, არამედ თავად შენობის ინტერიერი, რომელთანაც არაერთი მნიშვნელოვანი ფაქტია დაკავშირებული. ასე მაგალითად, საინტერესოა, თუ როგორ აღმოაჩინა ფერლინგეტიმ სარდაფი, სადაც პირველად დაიბეჭდა გინსბერგის "ყმუილი".

ერთ დღეს, საწყობში ყოფნისას, ის ხელით მიყვრდნო კედელს, რომელიც აღმოჩნდა ძალიან თხელი ფანერი და მიყრდნობის შედეგად გადავარდა. მოულოდნელად გამოჩნდა სარდაფი, რომელსაც მეზობელი ელექტროტექნიკოსი ჩინელები საწყობად იყენებდნენ და სადაც შენახული იყო დიდი საახალწლო დრაკონი. ამ ამბის შემდეგ ფერლინგეტიმ დაწერა ლექსი „დიდი ჩინური დრაკონი“. ლორენსმა იმავე სარდაფის კედლებზე იპოვნა რელიგიური წარწერები. ასე მაგალითად: „მე და მამაჩემი ერთადერთნი ვართ“, „მე ვარ კარი“, „გახსოვდეთ ლოტის ცოლი“ და სხვა... ფერლინგეტი მოელაპარაკა საკუჭნაოს მფლობელს, შეიძინა ის, ჩინური დრაკონი გაიტანა, წარწერები უცვ-

ლელად დატოვა და საბოლოოდ სარდაფი გამომცემლობად აქცია.

მაღაზიის კიდევ ერთ მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს პატარა ოთახი "Ray the barber", რომელშიც შემონახულია ფერლინგეტის მიერ გაკეთებული წარწერები : "a kind of library, where books are sold", "free the press from its corporate owners", "have a sit and read a book" და სხვა... აქვეა "სითი ლაითსის" ლოგო და ძალიან საინტერესო სლოგანი, რომელიც ფერლინგეტიმ დანტენს "ღვთაებრივი კომედიის" მაგალითზე პაროდიულად შეარჩია: "Abandon all hope, all who enter here". - "Abandon all despair, all who enter here".

მეორე სართულზე ლიტერატურის მოყვარულებს "პოეზიის ოთახი" მასპინძლობს, სადაც ინახება პოეზიის უდიდესი კოლექცია. აქ ცალკე სექციებადაა დაყოფილი ბიტ თაობის ლიტერატურა, სითი ლაითსის პოეტები, პოეზიის კრიტიკა და სხვა ნაშრომები. ამ სართულის დანარჩენი ნაწილი რედაქციას უჭირავს, რომელიც წელიწადის განმავლობაში ძალიან დიდი რაოდენობის ლიტერატურას გამოსცემს.

2003 წელს მაღაზიამ აღნიშნა 50 წლის იუბილე, სადაც ფერლინგეტიმ, პოეტსა და გამომცემელ გერი შნაიდერთან ერთად, სიტყვით გამოსვლისას მოკლედ გაიხსენა მაღაზიის წარსული. ქვემოთ მოვიყვან რამდენიმე ციტატას მათი მოგონებებიდან, რომელიც ალბათ უკეთ გვაგრძნობინებს იმ ატმოსფეროს, რომელიც დღემდე ტრიალებს სან ფრანცისკოსა და მის ერთ-ერთ ღირსშესანიშნავ კულტურულ ცენტრ "სითი ლაითსში". ნახევარი საუკუნის შემდეგ "სითი ლაითსი" ინარჩუნებს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი წიგნის მაღაზიისა და გამომცემლობის ტიტულს და ლიტერატურის მოყვარულთათვის კვალავ თავშეყრის ერთ-ერთ ყველაზე საყვარელ ადგილად რჩება.

LILIANA GOGICHAISHVILI

Tbilisi Ivane Javakhishvili State University

ABSTRACT

CITY LIGHTS, SAN FRANCISCO

In the 50s of the past century San Francisco became an important cultural and literary center, where the representatives of the Beat generation gathered together. At the time, City Lights Bookstore and publishing house, established by Lawrence Ferlinghetti and Peter D. Martin, as the nation's first all-paperback bookstore in 1953 on Columbus Avenue, became the favorite venue for the 'beats', as they called themselves. Their early and perhaps most famous works were published and sold there. Cheap paperback editions of quality writings were the unique selling product at City Lights, and they made contemporary poetry and prose more accessible to general public. Both the publishing house and the store run by Lawrence Ferlinghetti faced a legal problem after publishing Allen Ginsberg's banned poem "Howl", although, such kind of difficulties made "city lights" more popular and people, from all over the world started to visit one of the most famous and pleasant cultural places of United states.

The store and publishing house has a long and rich history indeed, it still functions in San Francisco, being the city's most famous literary landmark and one of the most attractive historical venues for the lovers of literature.

ნიწო დონდოლჲაჲ

შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის უფროსი მასწავლებელი

სამხრეთული ჯოლორიბის ზემოხედილი ერთი ზბრიხი ფოლქნერთან

როგორც ცნობილია, უილიამ ფოლქნერისთვის ადამიანი მთელი მისი წარსულის ჯამია და ეს წარსული მოიცავს არა მხოლოდ საკუთარ, არამედ გვარის წარსულსაც. ფოლქნერის რომანებში გმირის ცნობიერების ნაკადი შერწყმულია სამხრეთის სამყაროსთან, მისითაა განპირობებული და გაჟღენთილი და კონკრეტული ფაქტის ამწუთიერ აღქმას ხშირად მთელი სამხრეთული სამყაროს, როგორც აწმყოს, ასევე წარსულის განცდა ახლავს თან. მწერლის მიერ გმირის სუბიექტურ ხედვით წარმოდგენილი სამხრეთის სამყარო და ამ სამყაროს რეალური ყოფა და ტკივილი იმდენად ცოცხლად და ხელშესახებადაა დახატული, რომ მკითხველთან სამხრეთი, იოკნაპატოფა, ჩნდება მთელი თავისი ტემპერამენტით, ფერებით, სურნელით.

ფოლქნერის ზოგიერთ ნაწარმოებში იოკნაპატოფას, სამხრეთის სამყაროს სურათის დასახატავად და იქაური კოლორიტის შესაქმნელად გამოყენებულ სხვადასხვა საშუალებებს შორის მნიშვნელოვანია მწერლის მიერ განსაკუთრებით სურნელოვანი, აყვავებული მცენარის ხსენება. ეს მცენარეებია გლიცინია (wistaria) და თაფლისმაწოვარა (honeysuckle). ისინი განსაკუთრებით ხშირადაა ნახსენები ორ რომანში: „ხმაური და მრისხანება“ და „აბესალომ, აბესალომ!“. ამ ნაწარმოებებს სამხრეთის ერთ მთლიან სამყაროდ აერთიანებს არა მხოლოდ სახელწოდება „იოკნაპატოფა“ და სამხრეთის პრობლემატიკა, არამედ საერთო გმირი (მაგალითად, კვენტინ კომპსონი), და მცენარეებიც კი, რომლებიც არაერთხელ მეორდება ნაწარმოებებში და მთლიან სამხრეთულ ატმოსფეროს ქმნის.

➤ გლიცინია, ისევე როგორც თაფლისმაწოვარა, მწერლის პირველივე რომანში „ჯარისკაცის გასამრჯელო“ ჩნდება და ამ რომანის გარემოს მახასიათებელი ხდება. ნაწარმოებში თაფლისმაწოვარა მხ-

ოლოდ ნახსენებია, გლიცინია კი რამდენჯერმე მეორდება. † მოგვყავს ნაწვევები რომანიდან „ჯარისკაცის გასამრჯელო“:

“... leaned upon a gate of iron grill-work breaking a levee of green and embryonically starred honeysuckle, watching April bury in hyacinth bed.” (Faulkner 1982: 47)

“Upon a lattice wistaria would soon burn in slow inverted lilac flame, and following it they came lastly upon a single rose bush.” (Faulkner 1982: 51)

“She and the baleful speechless Emmy preceding him sat arm in arm in a porch swing while afternoon sought interstices in soon-to-be lilac wisteria: afternoon flowed and ebbed upon them as they swung ...” (Faulkner 1982: 76)

“The sun flamed slowly across the wistaria, seeking interstices.” (Faulkner 1982: 152)

“The sun lengthened the shadow of the wistaria-covered wall, immersing the grouped chairs in cool shadow.” (Faulkner 1982: 153)

“At last the reddened edge of the disc was sliced like a cheese by the wistaria-covered lattice wall and the neutral buds were a pale agitation against the dead afternoon.” (Faulkner 1982: 238)

ზემოთ მოყვანილი წინადადებები რომანში სხვადასხვა ადგილასაა მიმოფანტული და სამხრეთულ სამყაროს ელფერს ქმნის (თუმცა ამ რომანში მოქმედების ადგილს ჯერ კიდევ არ ქვია იოკნაპატოფა და არც კვენტინ კომპსონია მთავარი გმირი). საგულისხმოა, რომ გლიცინია „ჯარისკაცის გასამრჯელოში“, ისევე როგორც ფოლკნერის სხვა რომანებში, ხშირად ნახსენებია და უკავშირდება მზეს, შუადღეს, მკვდარ შუადღეს. ეს სამხრეთულ გარემოსაც უსვამს ხაზს და ზოგჯერ გმირის სუბიექტური პოზიციის მანიშნებელიცაა.

თუ გლიცინია რამდენჯერმე გამოჩნდება რომანში „ჯარისკაცის გასამრჯელო“, რომანი „აბესალომ, აბესალომ!“, შეიძლება ითქვას, რომ მთლიანად ამ მცენარის სურნელითაა გაჟღენთილი. გმირის სუბიექტურ პრიზმაში გარდატეხილი გლიცინია ნახსენებია „აბესალომ, აბესალომ!“-ის პირველივე აბზაცში და ნაწარმოების ბოლომდე არაერთხელ მოაქვს მკითხველამდე სამხრეთის სამყაროს სურნელი და ხშირად მკითხველის ალუზიის როლსაც ასრულებს.

პირველად გლიცინია, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გამოჩნდება „აბესალომ, აბესალომ!“-ის დასაწყისშივე პოზიციებით დატვირთულ წინადადებაში, როცა სექტემბრის ერთ შუადღეს როზა კოლდფილდი კვენტინ კომპსონს მოუთხრობს სატაპენის ისტორიის შესახებ და როცა გმირი დაინახავს, რომ “There was a wistaria vine blooming for the second time that summer on a wooden trellis before one window . . .” (Faulkner 1982: 31). აქ გლიცინია, რომელიც მეორედ ყვავის, დროის ორი პლასტისა და გმირის სუბიექტური პოზიციის მანიშნებელი ხდება. “There was . . .” -- ფრაზა ხაზს უსვამს, რომ ვინც ფიქრობს ახლა გლიცინიის შესახებ, იგი პირველად ხედავს მას. “. . . wistaria vine blooming for the second time that summer . . .” კი საიდანღაც მოსული ცოდნაა, ვიღაცის მიერ დანახული და შეიცავს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ გლიცინიას იმ ზაფხულს ერთხელ უკვე უყვავილებია, რაც ეწინააღმდეგება ფრაზას “there was”. ამგვარად ფრაზა ხდება მწერლის მსოფლმხედველობრივი მომენტის გამომხატველი. უფრო კონკრეტულად, ამ ფრაზით გამოიხატება მწერლის შეხედულება, რომ ადამიანის წარსული (ამ შემთხვევაში დრო, როცა გლიცინიას უყვავილებია) მისთვის აწმყოდ რჩება.

ამის შემდეგ რომანში გმირის ცნობიერებაში არეკლილი გლიცინია არაერთხელაა ნახსენები და მის გამოჩენას მკითხველის ცნობიერებაში შემოყავს სექტემბრის გლიცინიის სურნელით გაჟღენთილი დღე ნაწარმოების დასაწყისიდან, როცა კვენტინი უსმენდა მის როზას მონათხრობს. ამგვარად, თავდაპირველად ნაწარმოებში გამოჩნდება გმირის ცნობიერებაში გარდატეხილი გლიცინია, რომლითაც მწერლის დროის კონცეფცია, რომ ადამიანის წარსული მის აწმყოს განაპირობებს და მის შემადგენელ ნაწილად რჩება, გამოიხატება ფრაზაში. შემდეგ, რომანის სხვა ნაწილებში, ხდება რა მკითხველის ალუზია, გმირის მიერ განცდილ გლიცინიას კვლავ დამატებითი დროითი პლასტი შემოყავს წინადადებაში, რაც ისევ მწერლის დროის კონცეფციას უკავშირდება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მოაგონებს რა მკითხველს სექტემბრის გლიცინიის სურნელით გაჟღენთილ დღეს, ეს ალუზია მკითხველისათვის სამხრეთული კოლორიტის მომტანიცაა და სუპერსემანტიკურ დონეზე მწერლის მსოფლმხედველობითი მომენტის შემახსენებელიც. ხშირი განმეორებითა და მრავალფუნქციური

გამოყენებით გმირის მიერ განცდილი გლიცინია განსაკუთრებულ, მკითხველზე ძლიერი ზეგავლენის მომხდენ სამხრეთულ გარემოს ქმნის ნაწარმოებში.

ასევე განსაკუთრებული დანიშნულების მატარებლად მიგვაჩნია ისეთი სამხრეთული სურნელოვანი მცენარის ხსენებაც, როგორცაა “honeysuckle”, რომელსაც თაფლის სურნელი მოაქვს. როგორც გლიცინიის, ასევე თაფლისმაწოვარას ხსენება ქმნის კონტინუუმს არა მარტო გმირის, არამედ მკითხველის ცნობიერებაშიც და ერთგვარ „მეხსიერების ქამრის“ ფუნქციას ასრულებს. როგორც ცნობილია, ერთ-ერთი აფრიკული ტომის ზნე-ჩვეულებებში ადამიანები ატარებენ მრავალჯიბიან ქამარს მოვლენების მოსაგონებლად. თითოეულ მნიშვნელოვან მოვლენას უკავშირდება სურნელოვანი მცენარის ბუდე. ქამარი მზადდება იმისთვის, რომ საჭიროების შემთხვევაში მცენარის სურნელმა წარსული გაცოცხლოს ყველა თავისი დეტალით ადამიანის ცნობიერებაში. მსგავსად ამ ქამრის მცენარეებისა, თაფლისმაწოვარა და გლიცინიაც წიგნში აღწერილ მოვლენებს აცოცხლებენ როგორც გმირის, ასევე მკითხველის ცნობიერებაში.

გლიცინია და თაფლისმაწოვარა თავისი მოტკბო სუნით ფოლკნერისული იოენაპატოვას სამყაროს განუყოფელი ნაწილი ხდება. თუ „აბესალომ, აბესალომ!“-ში გლიცინიაა განსაკუთრებული მნიშვნელობის მცენარე, „ხმაურსა და მრისხანებაში“ ძირითადად თაფლისმაწოვარას სურნელითაა გაჯერებული როგორც გარემო, ასევე გმირის, კვენტინ კომპსონის შინაგანი სამყაროც. რამდენიმე მაგალითი რომანიდან „ხმაური და მრისხანება“:

“her knees her face looking at the sky the smell of honeysuckle upon her face and throat” (Faulkner 1982: 146)

“. . .where that damn honeysuckle trying not to think the swing the cedars” . . . (Faulkner 1982: 147)

“. . .I could smell the honeysuckle on the water gap the air seemed to drizzle with honeysuckle

and with the rasping of crickets a substance you could feel on the flesh . . .” (Faulkner 1982: 148)

“. . .then she talked about him clasping her wet knees her face tilted back in the grey light the smell of honeysuckle . . .” (Faulkner 1982: 149)

“ . . . I had to pant to get any air at all out of that thick grey honeysuckle” (Faulkner 1982: 150)

“ . . . the willows in the dark and waves of honeysuckle coming up the air my arm and shoulder were twisted under me . . . “ (Faulkner 1982: 151)

“ . . . damn that honeysuckle I wish it would stop . . . “ (Faulkner 1982: 152)

“ . . . the honeysuckle drizzled and drizzled . . . ” (Faulkner 1982: 153)

“ . . . damn that honeysuckle . . . ” (Faulkner 1982: 153)

“ . . . that were hard to turn and the honeysuckle come here . . . ” (Faulkner 1982: 154)

“ . . . I began to smell honeysuckle again . . . ” (Faulkner 1982: 154)

“ . . . I could see the water the colour of grey honeysuckle . . . ” (Faulkner 1982: 154)

“ . . . I couldn't smell the honeysuckle I couldnt smell it then . . . ” (Faulkner 1982: 155)

“ . . . and honeysuckle beginning to come from the garden fence . . . ” (Faulkner 1982: 156)

როგორც ამ წინადადებების ნაწყვეტებიდან ჩანს, რომანში, კერძოდ, კვენტინ კომპსონის მიერ მოთხრობილ ნაწილში, ზოგჯერ თითქმის ყოველ გვერდზე ერთხელ ან შეიძლება ორჯერაც კი ნახსენებია გმირის მიერ აღქმული თაფლისმაწოვარა და ამგვარი ინტენსიური ხსენების გამო იოკნაპატოფას სამყარო ისე ხელშესახებადაა დახატული ნაწარმოებში, რომ სამხრეთის სურნელი მკითხველამდეც მოდის. “honeysuckle”-ს არა მხოლოდ იოკნაპატოფას სამყაროს სურნელი მოაქვს მძაფრი შეგრძნებით მკითხველამდე, არამედ გმირის განცდაც. რომანის ერთ-ერთი გმირის, კვენტინ კომპსონის სიტყვებია, რომ ყველაზე სევდიანი იყო თაფლისმაწოვარას სუნი: “Honeysuckle was the saddest odor of all, I think. I remember lots of them. Wistaria was one.” (Faulkner 1995: 168). გარე სამყარო, სურნელოვანი მცენარე არსებობს არა თავისთავად, არამედ გმირის სამყაროში, მის განც-

დასთან ერთად. ამგვარად იქმნება სამხრეთის სამყაროს რეალური და ცოცხალი სურათი.

შეიძლება ითქვას, რომ ფოლკნერის ზოგიერთ რომანში გმირის მიერ აღქმული თაფლისმაწოვარას და გლიცინიის სურნელი ქმნის კონტინუუმს როგორც გმირის, ასევე მკითხველის ცნობიერებაში. ერთის მხრივ, გლიცინია და თაფლისმაწოვარა გვევლინებიან ტექსტუალურ ალუზიებად, მეორე მხრივ კი, თავისი შინაარსით, მოვლენის სემანტიკით, ქმნიან სამხრეთულ მთლიან ემოციურ ატმოსფეროს, აქვთ „მეხსიერების ქამრის“ ფუნქცია და ფოლკნერის რომანებში სხვა ელემენტებთან ერთად გამომხატველი ზღებიან იდეის, რომ ადამიანი, გარემო, ბუნება, ერთ ორგანულ მთელს წარმოადგენს.

დამოწმებანი:

Faulkner, William. *Absalom, Absalom!* Moscow: Progress Publishers, 1982.

Faulkner, William. *Soldier's Pay*. Penguin Books, 1982

Faulkner, William. *The Sound and the Fury*. London: Vintage. 1995.

NINO DONDOLADZE

Senior Teacher, Shota Rustaveli State University

ABSTRACT

AN ELEMENT CREATING THE SOUTHERN ATMOSPHERE IN THE NOVELS BY WILLIAM FAULKNER

In the consciousness of William Faulkner's characters the American South is depicted so vividly that the reader not only sees the southern everyday mode of life but also feels all its temperament, colours, scent. In the article one of the elements creating the southern atmosphere in Faulkner's epic, in particular, mentioning of some especially fragrant plants in blossom, is discussed. The

plants appearing in some works of the southern cycle by William Faulkner are mostly a wistaria and a honeysuckle.

A wistaria vine appears several times in the very first novel "Soldier's Pay" by Faulkner. As to the novel "Absalom, Absalom!", it is all soaked with the scent of the plant. In "Absalom, Absalom!" the wistaria not only creates the southern atmosphere but also becomes the channel for expressing the writer's world outlook.

If in "Absalom, Absalom!" the wistaria vine appears to be the plant of special importance, in "The Sound and the Fury" the whole community smells of the honeysuckle. Being used repeatedly in a peculiar way, the honeysuckle brings the strong scent of the South to the reader and conveys the character's emotion.

The smell of the wistaria and the honeysuckle expressed through the character's subjective perception creates continuum not only in the character's consciousness but also in the reader's mind in some novels by William Faulkner. With their meaning and semantics of the event these plants create the emotional atmosphere of the South and become one of the means of expressing the idea that the character, the community, the nature create an inseparable organic entity.

ნაბალთია იმედოვნით

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

სოციალური პრობლემატიკა ჯონ სტაინბეკის რომანებში „მრისხანების მბავნები“ და „ზამთარი ჩენი მღელვარების“

ჯონ სტაინბეკის რომანი „ზამთარი ჩენი მღელვარებისა“ თავისი იდეური და ესთეტიკური ღირსებებით ამ გამოჩენილი ამერიკელი მწერლის მხოლოდ ერთ ნაწარმოებს თუ ჩამოუვარდება - „მრისხანების მტევნებს“. არადა, ამ ორ წიგნს ორ ათეულ წელზე მეტი აშორებს ერთმანეთისაგან და ამ დროის მანძილზე საკმაოდ ნაყოფიერ მწერალს არაერთი ნაწარმოები აქვს შექმნილი, მათ შორის - საკმაოდ დიდი მოცულობის თხზულებებიც.

მეც, პირველ რიგში, სწორედ სტაინბეკის ამ ორ საუკეთესო ნაწარმოებზე შევჩერდები.

ჯერ კიდევ „მრისხანების მტევნებამდე“ სტაინბეკმა არაერთი საინტერესო ნაწარმოები შექმნა („სამოთხის საძოვრები“, „წაბლა პონი“, „ტორტილა ფლეტის კვარტალი“, „თავებსა და ადამიანებზე“ და სხვ.), მაგრამ საყოველთაო აღიარება მან 1939 წ. „მრისხანების მტევნების“ გამოქვეყნების შემდეგ მოიპოვა.

ამ შედეგზე მუშაობის დასრულებამდე ცოტა ხნით ადრე გამოვიდა სტაინბეკის მცირე მოცულობის წიგნი სახელწოდებით „მათ სისხლში ძალა“ (1939). იგი შეიცავდა ბევრ დოკუმენტურ მონაცემს კალიფორნიაში ქვეყნის სხვა შტატებიდან სამუშაოს საძებნელად ჩამოსულ მოჯამავირეთა ტრაგიკული ბედის შესახებ. ამ ადამიანებს, ნათქვამია წიგნში „მათ სისხლში ძალა“, მხოლოდ ერთი რამ ადარდებს - რადაც არ უნდა დაუჯდეთ, მათ უნდა იშოვონ სამუშაო, რათა როგორმე ოჯახი არჩინონ. ჭუჭყიანი მატრაცები, რომლებიც გამობმულია კალიფორნიაში ჩამოსული მუშების მანქანებზე, მათი კოცონზე გაშავებული ქვაბები, მათი დაუბანელი სხეულები - ეს ყოველივე არ იწვევდა კალიფორნიული პლანტაციების მფლობელთა კეთილ დამოკიდებულებას.

ნაწარმოებში, რომელსაც უნდა მოემზადებინა მკითხველი „მრისხანების მტევნების“ გამოჩენისათვის, სტაინბეკი გვიზიარებს იმას, რაც საკუთარი თვალთ უნახავს. სულ ცოტა ხნის წინ ეს მოჯამაგირები დამოუკიდებელი ფერმერები იყვნენ, თავისი მიწის ნაკვეთი ჰქონდათ, საცხოვრებელი, ახლა კი კარვებში ან მუყაოს ყუთებისაგან აგებულ „სახლებში“ იყინებდნენ. იმ ოჯახებშიც კი, რომლებსაც უზრუნველყოფილი ოჯახების რეპუტაცია აქვს, ქალები თეთრეულს საპნის გარეშე ბინძურ წყალში რეცხავენ. ყველას სახეზე სრული შიმშილის პერსპექტივის შიში ამჩნევია.

თუმცა მწერალი მოგვითხრობს არა მხოლოდ იმის შესახებ, რაც თვითონ უნახავს. მას სოციოლოგიურ და ეკონომიკურ გამოკვლევათა მონაცემებიც მოჰყავს. მსხვილ პლანტატორთა გარეთიანებები მცირე ფერმერებს კარნახობენ, თუ როგორი პოლიტიკა უნდა აწარმოონ მოხეტიალე მუშათა მიმართ. მოჯამაგირებს საქონელზე უარესად ექცევიან. ასეთი ვითარება არ იქნებოდა, კალიფორნიაში რომ არ იყოს გაბატონებული „ტერორიზმის სისტემა, რომელსაც ფაშისტური ქვეყნებიც კი არ მიმართავენ ყოველთვის“.

მაგრამ სტაინბეკს მაინც სწამს ხალხის ძლიერების. ამიტომ აქვს მის წიგნს სახელწოდება „მათ სისხლში ძალა“. მასში აღბეჭდილია საშინელი სიძარტლე მშრომელი ამერიკელის რეალური ყოფის შესახებ კალიფორნიაში. ეს წიგნი მწერლისათვის იქცა ერთგვარ ფიცად, რომელიც ყველას გასაგონად ითქვა: რა მტანჯველიც არ უნდა იყოს „მრისხანების მტევნებში“ წარმოჩენილი ყოფა, რა საშინელებაც არ უნდა იყოს ის, რაც ჯოულებს ჭირთ, ყველაფერი, რაც რომანშია აღწერილი, სრულიად შეესაბამება სინამდვილეს.

თუმცა „მრისხანების მტევნები“ არა მარტო ტანჯვისა და გაჭირვების სარკეა, რომელიც წილად ხვდა მშობლიური ველებიდან გამოღვენილ ფერმერთა ოჯახებს. სტაინბეკის საუკეთესო ნაწარმოებში არის ისეთი რამ, რამაც პუბლიცისტურ წიგნში, რომელიც წინ უძღოდა რომანს, ვერ ჰპოვა დოკუმენტური დასაბუთება, თუმცა, საბოლოო ჯამში, სწორედ ეს განსაზღვრავს, ჩემი აზრით, „მრისხანების მტევნების“ სიდიადეს. ჩემი აზრით, რომანში მთავარია ავტორის მიერ კოლექტივიზმის იდეალის ის ემოციური აღქმა, რომელსაც ყველა მკითხველი როდი შეიგრძნობს. იმასაც დავძენ, რომ მეცნიერული

სოციალიზმის პრინციპები სტაინბეკისათვის უცხო იყო. ასეთ იდეალს 30-იანი წლების აშშ-ში - მებრძოლი ინდივიდუალიზმის ბურჯში -უამრავი თავიანთსმცემელი გამოუჩნდა. ინტუიცია შემოქმედისა, რომელიც ახლო იყო უბრალო ამერიკელებისათვის, დაეხმარა სტეინბეკს წინასწარ ამოეცნო ბევრი რამ. მან ისე მკვეთრად, მწვავედ აღიქვა თავისი ხალხის ცხოვრების თავისებურებები 30-იან წლებში, რომ შეძლო მისთვის ჯერ არნახული ძალით აღებეჭდა ამ წლების სურათი. „მრისხანების მტევნების“ უპირატესობა სტეინბეკის ყველა მანამდელ წიგნთან შედარებით უდავოა. მწერალი ადრეც ცდილობდა ზოგჯერ დადებითად დაეხატა ამერიკელები, რომლებიც მოკლებულნი იყვნენ მომხვეჭელობასა, „წაგლეჯის“ სურვილს. მას სურდა ეჩვენებინა, რომ მხოლოდ მომხვეჭელობისაგან განთავისუფლება ანიჭებს აღამიანს ბედნიერებას.

სტაინბეკის არსებით პიროვნულ თვისებას წარმოადგენდა მისი ჭეშმარიტად გასაოცარი იდეური არამდგრადობა. ალბათ ვერ დავასახელებთ სხვა მნიშვნელოვან ამერიკელ პროზაიკოსს, რომლის შემოქმედებამ ასე მცირე დროში განიცადა ისეთი ტრანსფორმაცია, როგორიც განიცადა „მრისხანების მტევნების“ ავტორმა 30-იანი და 40-იანი წლების მიჯნაზე. ახლა კი ამ რომანის გამოსვლის შემდეგ ავტორი აღმოჩნდა ღრმა იდეური დაბნეულობის მდგომარეობაში, სულიერ პროსტრაციაში. ამერიკის ცხოვრების მნიშვნელოვანმა მოვლენებმა, რომლებიდანაც გამომდინარეობდა მწერალი, როცა „მრისხანების მტევნებს“ ქმნიდა, უეცრად თითქოს დაკარგეს მისთვის თავიანთი რეალობა. ევროპაში დაწყებული მეორე მსოფლიო ომის პირობებში გიგანტურმა უმუშევრობამ, რომელმაც ბევრად განსაზღვრა აშშ-ში ხალხთა ბედი მთელი ომამდელი ათწლეულის მანძილზე, იმთავითვე დაკარგა თავისი მნიშვნელობა, იგი აღარ ასრულებდა ისეთ როლს. ყოველ შემთხვევაში, სტაინბეკს ასე მოეჩვენა.

ევროპის ქვეყნები, რომლებიც ომმა მოიცვა, სურსათის გაჭირვებას განიცდიდნენ; ამან გამოიწვია ის, რომ მალე კალიფორნიის პლანტაციებზე აღარ ყოფნიდათ სეზონური მუშახელი. ცხადია, ამას არ მოუსპია წინააღმდეგობა ჯოულების სამყაროსა და ექსპლუატატორთა სამყაროს შორის.

1940 წლის გაზაფხულზე დაიწყო სტაინბეკის მოგზაურობა მექსიკაში თავის მეგობარ, ბიოლოგ რიკეტთან ერთად. დასავლეთ ევროპაში გაჩაღებული ომი სულ უფრო მეტად იწვევდა შემფოთებას, და წიგნში “კორტესის ზღვა”, რომელიც ამ მოგზაურობის შედეგად დაიბადა, „მრისხანების მტევნების“ ავტორი არ მალავს თავის სურვილს, დაშორდეს ჭეშმარიტ ცხოვრებას. მწერლის ცნობიერებას სულ უფრო ხშირად მოიცავენ ფიქრები „არატელეოლოგიური აზროვნების“ მართებულობის შესახებ, რომელიც გაურბის პასუხს კითხვაზე „რატომ?“ და რომელიც შემოიფარგლება „რა?“-ს და „როგორ?“-ს კონსტატაციით. სტაინბეკი, ცხადია, არ იქცა სხვა ადამიანად. იგი მოიხსენიებს ზოგიერთ შეხვედრას უბრალო მექსიკელებთან, ძველებურად თბილი გრძნობებით საუბრობს მათი ჰუმანურობის შესახებ და უპირისპირებს მათ „ცივილიზირებული“ ამერიკელების მესაკუთრულ მისწრაფებას. მიუხედავად ამისა, ის სულ უფრო გაიტაცა ადამიანის, როგორც წმინდა ბიოლოგიური არსების, გაგებაში. საზოგადოებაში, სადაც მხოლოდ ცხოველური სამყაროსათვის დამახასიათებელი კანონები ბატონობს, არ არსებობს მტყუან-მართალი. „საკითხს ვინმეს დამნაშავეობის შესახებ აზრი ეკარგება, - ასე მსჯელობს ახლა მწერალი, - ჩვენ ვერ ვილაპარაკებთ მიზეზობრიობის შესახებ, რადგან ყველაფერი უბრალოდ ისეთია, როგორიც არის...“ (Fontenrose 1963: 91). როგორ განსხვავდება ეს „მრისხანების მტევნების“ ტონალობისაგან! მაგალითები, რომლებიც სტაინბეკზე დაყრდნობით მოჰყავს ამერიკელ ლიტერატურათმცოდნეს ფონტენროუზს „არატელეოლოგიური აზროვნების“ არსის ასახსნელად, ავლენენ ძირეულ განსხვავებას ჯოუდების შესახებ შექმნილი წიგნის არსსა და ყოფიერების იმ კონცეფციას შორის, რომელიც ახლობელი გახდა მწერლისათვის რომანის დასრულებიდან ცოტა ხნის შემდეგ.

თუმცა ვფიქრობ, რომ ფონტენროუზი ცდება, როდესაც გვარწმუნებს, რომ “კორტესის ზღვა”-ში ასახული იდეები, მართალია, სწორედ ამ წიგნში იყო პირველად სრულად გადმოცემული, მაგრამ იმავდროულად საფუძვლად ედო სტაინბეკის მიერ 30-იან წლებში დაწერილ ყველა რომანს.” (Fontenrose 1963: 92) სინამდვილეში, ძნელი არ არის მივადევნოთ თვალი იმას, თუ როგორ მძაფრდებოდა 30-იანი წლების ბოლოსათვის მწერლის მისწრაფება იმ აზრებისაკენ,

რომლებმაც თავის კულმინაციას მიაღწიეს რომანში „მრისხანების მტევნები“. მაგრამ კრიტიკოსი მართალია იმაში, რომ რომანში “კორტესის ზღვა” იგრძნობა სოციალური დარვინიზმის გავლენა. ამ მხრივ შეგვიძლია გავიხსენოთ სტაინბეკის მოსაზრებები იმის თაობაზე, რომ ომები დამახასიათებელია ადამიანის ბუნებისათვის, და რომ კოლექტივისტური იდეალები საზიანოა, მავნებელია ადამიანისათვის.

შემდგომში სტაინბეკი რჩებოდა მოაზროვნედ და შემოქმედად, რომელიც არც თუ იშვიათად ერთი უკიდურესობიდან მეორეში ვარდებოდა. ცხადია, მისი გიგანტური შემოქმედებითი ნიჭი მთლიანად არ გამქრალა. „მრისხანების მტევნების“ შემდეგაც იგი ზოგჯერ ქმნიდა წიგნებს, რომლებიც სინამდვილეში წვდომის სიღრმით მაღალ შეფასებას იმსახურებენ. მაგრამ ცხოვრების ბოლო ათწლეულებში სტაინბეკი ხშირად იმყოფებოდა სრული შემოქმედებითი უძრაობის მდგომარეობაში ან საშინელი ტანჯვით მუშაობდა ნაწარმოებებზე, რომლებსაც ვერ მივიჩნევთ წარმატებულად.

სტაინბეკის მიერ გამოქვეყნებული ბოლო რომანი „ზამთარი ჩვენი მღელვარებისა“ იქცა ახალ სიტყვად მწერლის შემოქმედებაში.

რომანში აისახა მწერლის პირქუში წარმოდგენები იმ ზნეობრივ ატმოსფეროზე, რომელში არსებობაც უწევდა ბევრ მის თანამემამულეს. ბევრი ამერიკელი კრიტიკოსი სათანადოდ ვერ აფასებდა ამ წიგნის განმაზოგადებელ აზრს. სტაინბეკმა გამოთქვა რწმენა, რომ მის რომანში „მოთხრობილია იმის შესახებ, თუ რა ხდება დღესდღეობით თითქმის მთელ ამერიკაში“ (სტეინბეკ 1962: 5).

ზოგიერთი ამერიკელი კრიტიკოსი რომანის განხილვისას ხშირად უმართებულად შემოიფარგლება მსჯელობით წიგნის მთავარი გმირისა და მისი ბავშვების მორალური დეგრადაციის შესახებ.

რომანი იწყება იმის აღწერით, თუ როგორ გააღვიძა მისი გმირი ოქროსფერმა აპრილის დილამ, ხოლო მთავრდება ბურუსიანი სურათით: „ჩემი შუქი (ცეცხლი) ჩაქრა. არაფერია ქვეყანაზე იმაზე უფრო ბნელი, ვიდრე დამწვარი პატრუქი“ (სტეინბეკ 1962: 298).

ყველაფერი ნათელი, რაზეც მოთხრობილია პირველ თავებში, ბოლოს ჩაიძირა „მღელვარე ზამთრის“ ატმოსფეროში. თუმცა წიგნის ბოლო გვერდზე გამოთქმულია იმედი, რომ არ მოხდება ისე, რომ კიდევ ერთი სინათლე ჩაქრეს. სტაინბეკი არ მიეკუთვნებოდა იმ მწერალთა

რიგს, რომლებიც მთლიანად ჩაფლული იყო „მკვდარ ჭავლში“ (მისივე მხატვრულ სახეს რომ დავესესხოთ). მაგრამ იგი არ ცდილობდა უარყოფითი მოვლენები, რომლებსაც ამერიკული სინამდვილე მოეცვა, რაღაც უმნიშვნელო პატარა ლაქად წარმოეჩინა. საქმე მარტო ის ზომ არ არის, რომ მთავარი გმირი - იტენ ჰოული, რომელიც პატივსაცემი ოჯახიდანაა გამოსული, - მიდის დანაშაულებრივ ქმედებებზე, რომ მისი შვილები მზად არიან ჩაიდინონ ნებისმიერი თაღლითობა და თავს იმართლებენ იმით, რომ „ყველა ასე იქცევა“. ზოგს გაუშართლებს და ზოგს არა (Стейнбек 1962: 295), რომ იტენის მშვენიერი და თითქოს ნაზი ცოლი სინამდვილეში კაჟივითაა. საქმე იმაშია, რომ მანკიერია მწერლის მიერ დახატული ერთი შეხედვით იდეალური პატარა სამყაროს ბანკირიც და ქალაქის სხვა „მესვეურნიც“.

მოვლენებში, რომლებიც თითქოს მხოლოდ იტენს და მის ოჯახს ეხება, გადმოცემულია რაღაც, რაც დამახასიათებელია მთლიანად ბურჟუაზიული საზოგადოებისათვის. ჩვენს წინაშეა „ძველი (ბებერი) კეთილი ამერიკა“, ქვეყანა, რომელიც, ერთი შეხედვით, გამოირჩევა მყარი სულიერი ტრადიციებით და უდავო გარეგნული მომხიბვლელობით. და სწორედ იმ მხარეებს ოკეანის მიღმა ქვეყნისა, რომლებიც უნდა განასახიერებდნენ მისი ცხოვრების საუკეთესო ნაწილს, სტაინბეკი თანმიმდევრულად გვიჩვენებს შიგნიდან, დაფარული მხარიდან. მწერალმა შექმნა სატირული ნაწარმოები, რომელშიც იგრძნობა ფერების გამუქება, სწრაფვა გროტესკისაკენ. მაგრამ რომანის მნიშვნელოვანი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მისი ბევრი სახე ძალიან კარგად, ზედმიწევნითაა დამუშავებული ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, რომ ჰოული არ არის ბანალური თაღლითი. მისთვის გარკვეული დადებითი თვისებებიცაა დამახასიათებელი. ამის გამო წიგნში წარმოიქმნება ზოგჯერ რაღაც ესთეტიკური წინააღმდეგობრიობის მსგავსი რამ. მაგრამ სინამდვილეში რომანის შინაარსი თანდათან სულ უფრო მდიდრდება. თავს იჩენს სტაინბეკისთვის დამახასიათებელი მისწრაფება ლირიული ხასიათის მოტივებისაკენ.

იტენ ჰოული, ოდესღაც მდიდარი, მაგრამ გაღარიბებული ოჯახის შთამომავალი, რომელიც იძულებულია დაკავებული იყოს არც თუ სარფიანი საქმით, იტანჯება იმით, რომ ვერ აკმაყოფილებს ახლობლების მატერიალურ მოთხოვნებს. და უკვე ამის გამო იგი საკ-

მაოდ პასიურია. ჩვენს წინაშეა მოაზროვნე და საბოლოო ჯამში წესიერი ადამიანი. ვერ ვიტყვით, რომ მისთვის ძვირფასი არაა მაღალი მორალური პრინციპები და ნორმები. მაგრამ თანდათან გეზულობს რა, რომ საეჭვოა მშობლიური ქალაქის ყველაზე მდიდარ მცხოვრებთა ზნობრივი სახე, გმირი ყოყმანით, განცდებით, მაინც გადაწყვეტს გამდიდრდეს ეშმაკურად შემუშავებული უპატიოსნო ქმედების გზით.

უნდა აღინიშნოს, რომ სიცოცხლის უკანასკნელ წლებში სტაინბეკმა ვერ დაძლია მისთვის დამახასიათებელი იდეური წინააღმდეგობები. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მისი შემოქმედების სიდიადე (მან კი, პირველ რიგში, გამოხატულება ჰპოვა რომანებში „მრისხანების მტევნები“ და „ზამთარი ჩვენი მღელვარებისა“) ჭეშმარიტი და მარადიული სიდიადეა. წიგნი „ზამთარი ჩვენი მღელვარებისა“ იქცა სტეინბეკის ერთგვარ სულიერ ანდერძად, რომელიც მან დაუტოვა ამერიკელ ხალხს.

დამოწმებანი:

Fontenrose, J. *John Steinbeck*. New York: Barnes and Noble, 1963.

Стейнбек, Джон. *Зима тревоги нашей*. М.: Издательство иностранной литературы, 1962.

NATALIA IMEDASHVILI

Associate Professor, Akaki Tsereteli State University

ABSTRACT

SOCIAL PROBLEMS IN JOHN STEINBECK'S NOVELS *THE GRAPES OF WRATH* AND *THE WINTER OF OUR DISCONTENT*

The article deals with social aspect of John Steinbeck's masterpieces *Grapes of Wrath* and *The Winter of Our Discontent*.

In *The Grapes of Wrath* (1939), the migrants thought that the American Dream was such a simple concept: go west, get a job, and become rich. However, they did not realize that an ideal life was nearly impossible and it cor-

rupted the minds of those in search of it. John Steinbeck emphasized the unattainable nature of the American Dream of economic stability in *The Grapes of Wrath* through the Joads' cross-country migration, their constant and unpredictable changes in employment, and their eventual failure to find success in California.

The Winter of Our Discontent (1961) is a book about an ordinary family in contemporary America.

Winter weaves together some of the most important influences on Steinbeck: Malory's Arthur, The Bible, Shakespeare, history, mythology, and even the modern literature of T.S. Eliot's *The Waste Land*. It was the novel that once again positioned Steinbeck as a social critic. Like *The Grapes of Wrath*, *Winter* is another richly textured work set in the present day; in this case, 1960 America.

Though bleak, *The Winter of Our Discontent* leaves the reader with a symbol of hope. The American moral terrain is not quite a wasteland, but Steinbeck wants to warn his readers that a superficial life, one which placed a higher value on material success than personal integrity, would surely lead to a degenerate culture. The novel is best read as a fable or cautionary tale, with its characters and events symbolic of the timeless problems of temptation, greed, and the desire for personal advancement.

TAMAR KOBESHAVIDZE

Associate Professor, AkakiTsereteli State University

**THE ROLE OF THE AUTHOR AND THE READER IN
POSTMODERN FICTION
(Thomas Pynchon's Story "The Entropy")**

Contemporary novelists suspect that they do not know anything. This situation also applies to the reader. While not demanding that he should know anything, postmodern texts also warn him against concluding that he will know anything afterwards. Postmodern texts, thus, are trying to restore a certain "primal charm" in both writing and reading, encouraging the reader to enjoy the pleasure of spontaneous reading without the influence of prefabricated truths and liberated from the pressure of having to "gain knowledge".

Frank Kermode (British literary critic known for his work *The Sense of an Ending: Studies in the Theory of Fiction*), explains: "To read a novel expecting the satisfactions of closure and the receipt of a message is what most people find enough to do; they are easier with this method because it resembles the one that works for ordinary acts of communication. In this way the gap is closed between what is sent and what is received, which is why it seems to many people perverse to deny the author possession of an authentic and normative sense of what he has said" (Kermode 1980: 85). Frank Kermode attacks the old theory of communication which for two thousand years was known under the name of rhetoric, a theory which was speaker-writer oriented. In such traditional fiction, the receiver (the reader) is in a position to get the information proposed by the sender. He feels superior to the characters, and stands on the side of the narrator and author. The story follows a logical course, ends in a satisfactory denouement and the linguistic model for the such story is a well-structured sentence.

Real Author - TEXT – Ideal Reader (Couturier 1989: 89)

In modern fiction, especially since Flaubert, the old theory of communication does not apply any more, the old principles of rhetoric break down. The reader interacts with multiplicity of characters, speakers, thinkers to forget the author. He seems to stand at the receiving end of the line and decipher sighs addressed to him by the author, but he is never sure if he deciphers them properly. Speaking of postmodernism, we often appeal to the authority of Nabokov. Thomas Pynchon was a one-time student of Nabokov. These two great novelists share a common interest in science (physics in the case of Pynchon, lepidopterology in that of Nabokov). Once Nabokov observed that “his best audience is the person he sees in his shaving mirror every morning” (Nabokov 1974: 18). So the reader senses that the author expects an ideal reader whom he can never match. In his attempt to become the ideal reader, the actual reader unconsciously invents an ideal author who looks very much like him. The new theory of the reader-author communication can therefore be represented like this:

Real Reader – TEXT – Ideal Author (Couturier 1989: 89)

As we see on the diagram, the author and the reader play a strange game of mirrors. The former writes for an ideal reader who looks very much like “the person he sees in his shaving mirror every morning”. The latter tries to be this ideal reader but instead projects the reflected image of himself, the ideal author. The reader invents the author in his own image as he reads and tries to make sense of the text. There is only the metaphor of communication. That’s why the problems in teaching postmodern texts are contradictory. Most students have to read them because we ask them to do it and most students have frustrating experience. How do the students attempt to make sense when the text seems not to make sense? The text-reader relationship is considered does not a paradigm for the problem of making sense. The interpretation finally remains the product of the interaction between those text and the reader. On the one hand, there is the failure to make sense, on the other hand, Clifford Geertz, the most influential cultural anthropologist of nowadays, believes that making sense is a fundamental activity that is

necessary for survival, each culture “attempts to provide orientation for an organism which cannot live in a world it is unable to understand” (Geertz 1973: 140).

How do we read Pynchon's story “The Entropy” which almost became iconic? Years later Pynchon expresses dislike for his story, in his “Introduction to Slow Learner”, asserting that the work seems to have stemmed from the desire to “commit on paper a variety of abuses, such as overwriting”. He claims that the work is an example of a young writer’s mistake of forcing a theme onto the characters rather than having the former develop through the latter, his concentration on the concept led him to “shortchange the humans in the story”.

Indeed the story has no proper beginning, no proper development, no ending. It is also difficult to distinguish the narrator from the protagonists or from the author.

In the first part of the story “Entropy” Meatball Mulligan had a noisy party at his apartment in Washington, D.C. in early February of 1957. His guests are a colorful bunch, including Sandor Rojas, an “ex-Hungarian freedom fighter”, and the avant-garde Duke di Angelis, Saul, a neighbor, who comes in through the window after an argument with his wife concerning communication theory. The party during a course of the story turns into a chaotic mess: more guests arrive with more booze, drunken Navy men get there by mistake in search of the whorehouse, a woman almost drowns herself in the shower and the fridge needs repair. Meatball decides to take action rather than hide silently in the closet, and hereally succeeds in minimizing the chaos of the party through the establishment of order, however temporary and fleeting.

Meanwhile, upstairs in the apartment above Mulligan’s lives a man named Callisto in a hermetically sealed hothouse with a half-alien woman named Aubade. Callisto clutches a dying bird to his chest while expounding on the nature of Thermodynamics and its theoretical extension beyond the limits of physics into the realms of society and culture as well. Often Aubade checks the temperature outside, which has remained at a constant 37 deg. Fahrenheit for a number of days despite the drastic change in the weather. The story ends with the death of the bird

Callisto has attempted to sustain through the transfer of heat from his own body to the sick animal. Aubade, finally comprehending Callisto's thoughts, punches out the windows of their apartment/self-contained ecosystem and sits with Callisto to wait "the moment of equilibrium" between their world and the world outside (Pynchon 1985:2593).

By the end of the story the reader begins to feel overloaded – too much coincidence, too much happening. Students(readers) also find Pynchon's writing difficult, style too complex with a lot of foreign words and phrases, allusions to science, historical events, popular songs, classical music and art. To deal the problem students have to list all the events and coincidences, discuss the elements of popular culture: radio, television, music, advertising, technology. as well as relate all the events to the vague sense to construct the plot,to understand the decentred story. Finally the conclusion is– too much going on for us to grasp, to understand what's important, we can't grasp connection or meaning. But it's clear that Pynchon emphasizes our inevitable movements toward entropy that seems to be the fate of life and culture in the western, technological world.

A term "entropy" is used in several scientific fields to describe a state of chaos toward which all things inevitably degrade" (Pynchon 1985: 2586). In communication theory, entropy is reached when communication ceases because of excessive flow of information overwhelms the ability to understand. This process is shown in the first part of the story. In theoretical physics, entropy is reached when all matter has degraded to the same temperature and no heat energy is available for conversion to mechanical work. In the story the temperature has been the same for some days and Callisto has been waiting for "heat death". Finally, in social theory, entropy is the state of chaos into which any society inevitably declines. So the story is about the impossibility of making sense in our modern society,where there is no connection and no meaning, our society inevitably declines to the state of chaos and the writer, running out of control, transmit his ultimate paranoid nightmare to the reader. Meanwhile Pynchon is not wholly absorbed by such a hopeless view

of life -Meatball tries to prevent total chaos, Callisto tries to protect a small bird. Thomas Pynchon seems to have retired in his ivory and seems to scorn the world.

The situation of the postmodern reader is not so different from that of the characters in postmodern literature. As it has been mentioned above making sense is a fundamental human need necessary for survival. It serves the purpose of providing orientation and making our surroundings comprehensible. The postmodern reader like the characters in postmodern fiction can no longer find orientation and feel manipulated and lost in an incomprehensible world. Pynchon's story can be read only in this way. Like "Entropy's" characters the readers appear finite, dependent, and vulnerable human beings in a historical situation that they sometimes cannot penetrate.

Works Cited:

Couturier, Maurice. "Do I Know You?" *Making Sense*. Hans Galinski (ed.), *American Studies. A Monograph Series*. Vol.68. Munchen: Wilhelm Fink Verlag, 1989.

Geertz, Clifford. *The Interpretation of Cultures*. New York, 1973.

Kermode, Frank. "Secrets and Narrative Sequence". *Critical Inquiry*. 7. No.1. Autumn 1980.

Nabokov, Vladimir. *Strong Opinion*. London: Weidenfeld and Nicolson, 1974.

Pynchon, Thomas. "Entropy". George McMichael (ed.). *Concise Anthology of American Literature*. Third Edition. New York: Macmillan Publishing Company, 1985.

თამარ კობუაშვიდი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

ავტორისა და მკითხველის როლი პოსტმოდერნისტულ ლიტერატურაში (თომას პინჩონის მოთხრობის “ენტროპია” მიხედვით)

პოსტმოდერნისტულ ტექსტში მკითხველი ურთიერთქმედებს უამრავ პერსონაჟთან და მოხრობელთან იმისათვის, რომ დაივიწყოს ავტორი. მკითხველი თითქოსდა მონაწილეობს შემოქმედებით პროცესში, მიჰყვება თხრობას, ცდილობს ახსნას ყველა საიდუმლო, გამოიცნოს მრავალი გამოცანა და რთული სიმბოლიკა, რათა ჩასწვდეს ავტორის ჩანაფიქრს. მაგრამ უძრავლესობა თანამედროვე ავტორებისა აცხადებს, რომ არაფერი იცის. შესაბამისად ეს მკითხველზედაც ვრცელდება. მკითხველი ვერასოდეს იქნება ბოლომდე დარწმუნებული, რომ იგი სწორედ გაიაზრებს ავტორის მიერ მხატვრულად მოწოდებულ ინფორმაციას. პოსტმოდერნისტული ტექსტი ცდილობს წერისა და კითხვის პროცესს დაუბრუნოს "საწყისი ხიბლი", რაც ხელს უწყობს მკითხველს ისიამოვნოს სპონტანური კითხვით და არ ეძიოს წინასწარ შეთითხნილი, დაგეგმილი ჭეშმარიტება, ათავისუფლებს მას "ცოდნის მოპოვებისგან".

თომას პინჩონის მოთხრობა "ენტროპია" ეხება პიროვნების დეზინტეგრაციის საკითხს ჩვენს თანამედროვე, მასშედიანზე და მომხმარებელზე ორიენტირებულ საზოგადოებაში, რომლიდანაც შეუძლებელია გამოიტანო რაიმე აზრი. თხრობის პროცესში თანდათან იზრდება ქაოსის შეგრძნება. ადამიანის ცხოვრებაში ფარული, იდუმალი ჩანაფიქრების ძიებამ შესაძლოა იგი ნამდვილ პარანოიამდე მიიყვანოს, რაც თავისთავად ქმნის მისი არსებობის პარანოიულ მოდელს.

პოსტმოდერნისტი მკითხველის მდგომარეობა ძლიერ წააგავს პოსტმოდერნისტული ტექსტის პერსონაჟის მდგომარეობას. მკითხველი როგორც პერსონაჟი ვერ პოულობს ვერანაირ ახსნას და თავს დაკარგულად და მარიონეტად გრძნობს. აზრის ძიებისას ის აღმოაჩენს, რომ მხოლოდ დაუცველი, სხვის მიერ მართვადი არსებაა იმ ისტორიულ გარემოში, რომელსაც ის ვერასოდეს ჩასწვდება.

მეფავალა (ბანია) ჯოლუაზვილი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

„ამერიკული ოცნების“ საბითონათვის „ახალ ჟურნალიზმში“

"ამერიკულმა ოცნებამ", რომელიც ამერიკული მენტალობის, კულტურის, ისტორიის, სოციალური და პოლიტიკური ცხოვრების ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილია, მითმა, რომელმაც ღრმად გაიდგა ფესვები მასობრივ ცნობიერებაში, წინასწარ განსაზღვრა ამერიკელების მიერ სამყაროს აღქმა. საგულისხმოა, რომ დღესაც "ამერიკული ოცნების" ფენომენით დაინტერესება არათუ მცირდება, არამედ იზრდება.

"ამერიკულმა ოცნებამ" მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ამერიკული სახელმწიფოს და ერის ჩამოყალიბებაში, გადამწყვეტი ზეგავლენა მოახდინა ამერიკულ ნაციონალურ ხასიათზე, განსაზღვრა ამერიკის ურთიერთმიმართება გარე სამყაროსთან.

აშშ-ს განვითარების უკვე ადრეულ ეტაპებზე ამერიკის რელიგიური და პოლიტიკური მოღვაწეები, კრიტიკოსები და მწერლები მიმართავდნენ "ამერიკულ ოცნებას". პირველად ის ფორმულირებას პოვებს ქადაგების კანონიკურ და პუბლიცისტურ ტექსტებში, პამფლეტებსა თუ დღიურებში. შემდგომში ლიტერატურის განვითარებასთან ერთად "ამერიკული ოცნება" თავის გამოხატულებას პოულობს ამერიკული ნაციის მხატვრულ ცნობიერებაში. ამერიკული ლიტერატურის განვითარების მთელ გზაზე ჩნდება ისეთი ნაწარმოებები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია "ამერიკული ოცნების" თემასთან. მათ შორისაა მხატვრულ-დოკუმენტური ლიტერატურაც, რომელიც XX საუკუნის მეორე ნახევარში მხატვრული ლიტერატურის პარალელურად ვითარდებოდა ამერიკაში.

კრიტიკოსთა შეხედულებების გათვალისწინებით ბევრი მწერალი ამერიკულ ლიტერატურაში ჟურნალისტიკიდან მოვიდა. მათ შორის: უოლტ უიტმენი, მარკ ტუენი, ჯონ სტაინბეკი, ბრეტ ჰარტი, სტივენ კრეინი... ამ მოვლენამ თავისებური კვალი დატოვა ამერიკის ლიტე-

რატურაზე, რომლის ძირითად მახასიათებლად შეიძლება ჩაითვალოს დიდი ინტერესი ფაქტისადმი, დოკუმენტისადმი.

XX საუკუნის ლიტერატურული სიტუაცია ალბათ ყველაზე უკეთ უკეთებს ილუსტრირებას ამერიკული ლიტერატურის ეროვნულ სპეციფიკას. XX საუკუნის ამერიკულ ლიტერატურაში გამოიკვეთა ორი ტენდენცია: 1. მხატვრული ლიტერატურა ისწრაფვის პუბლიცისტიკისაკენ. 2. ჟურნალისტიკა ისაკუთრებს ბელეტრისტიკის სხვადასხვა ხერხებს (ესეიზაცია).

ამ ორმა მნიშვნელოვანმა ტენდენციამ 1960-70-იან წლებში წარმოშვა სპეციფიკური მოვლენა "ახალი ჟურნალიზმი". ამ მოვლენის მიმდევრები თავის მიზნად ისახავდნენ დაუყოვნებლივ გაეკეთებინათ რეაგირება მიმდინარე პროცესებზე, რომელთა აღწერისას იყენებდნენ ბელეტრისტიკის ხერხებს. ამერიკისთვის ეს გახლდათ ეკონომიკური, პოლიტიკური და სულიერი კრიზისის პერიოდი: ომი ვიეტნამში, სტუდენტური და ანტირასისტული მოძრაობები, უოტერგეიტის სკანდალი, უმუშევრობის და დანაშაულის ზრდა.

რამდენიმე სიტყვა თავად ტერმინის შესახებ. ჟურნალისტიკის თეორეტიკოსები ასეთ ნაწარმოებებს მიაკუთვნებენ მხატვრულ-პუბლიცისტიკურ ჟანრებს, რომლებიც ანალიტიკური და საინფორმაციო ჟანრების გვერდით არსებობენ. ასეთი ნაწარმოებების განმასხვავებელ განსაკუთრებულობას წარმოადგენს ის, რომ მათ პუბლიცისტურობასთან ერთად ახასიათებთ მხატვრულობა: ტექსტის ემოციური დატვირთვა, რეალობის ავტორისეული განზოგადება. მათთვის ლიტერატურის თეორეტიკოსები იყენებდნენ ისეთ განსაზღვრებებს როგორცაა: "მხატვრული დოკუმენტალური ლიტერატურა", "მხატვრული დოკუმენტალისტიკა" და სხვა (Harstoc 2000: 191; Hellman 1978: 8).

XX საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისიდან დიდი ყურადღება ეთმობა დისკუსიებს "ახალი ჟურნალიზმის" შესახებ. ზოგიერთ შემთხვევაში ტერმინი "ახალი ჟურნალიზმი" გამოიყენება მხატვრული დოკუმენტალისტიკის მთელი ფენომენის განსაზღვრისათვის, თუმცა მიგვაჩნია, რომ "ახალი ჟურნალიზმი" ეს მხოლოდ ერთ-ერთი ეტაპია ამერიკის მხატვრულ-დოკუმენტალური ლიტერატურის განვითარების გზაზე, რომელსაც ადვილი ჰქონდა 60-70-იან წლებში. მკვლევარები მისი წარმოშობის მრავალ მიზეზს ასახელებენ. ყველაზე უფრო

გავრცელებული მოსაზრება გახლავთ ის, რომ მისი წარმოშობა განპირობებული იყო თავად დროით: "როცა მოვლენები კატასტროფული სისწრაფით ვითარდებოდა"... როცა "ახალი ჟურნალიზმი" წარმოიშვა, "როგორც პასუხი მნიშვნელოვან სოციალურ და კულტურულ ცვლილებებზე" (Harstock 2000: 192).

ასეთ პირობებში ვერც ტრადიციული ბელეტრისტიკა და ვერც მოძველებული ჟურნალისტიკა ვერ უძკლავდებოდა არსებული რეალობის გამოხატვის ამოცანას. ტრადიციული ჟურნალისტიკის სისუსტე განაპირობებდა "ახალი ჟურნალიზმის" აყვავებას, რომელიც თვალმისაცემი განსაკუთრებით 1960-იან წლებში გახდა. ასეთივე სიტუაცია ჩამოყალიბდა ლიტერატურაშიც. ტომ ვულფი თავის ანთოლოგიაში "ახალი ჟურნალიზმი" კიდევ ერთ მიზეზს ასახელებს, რომ 40-50-იან წლებში ამერიკელ მწერლებს გაუჩნდათ "ამერიკული ოცნება" დაეწერათ რომანი (Вульф 2008: 18).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, "ახალმა ჟურნალიზმმა" მიიღო უკიდურესად არაერთმნიშვნელოვანი და მრავალფეროვანი შეფასებები. კრიტიკოსები აღნიშნავდნენ, რომ კაპოტემ და ვულფმა რეპორტაჟი ლიტერატურის რანგში აიყვანეს. ახალი ჟანრი მიმართავდა ისეთ ტექნიკას, რაც აქამდე მხოლოდ მხატვრული პროზის არსენალს შეადგენდა: დამაბულობა, სიმბოლიკა, ირონია, პაროდია, წარმოსახვის უნარი.

"ახალი ჟურნალიზმი" წარმოადგენს თავისუფალ პროზას, რომელიც მხატვრული ლიტერატურის ყოველგვარ რესურსს იყენებს. ესაა ერთგვარი "დე ფაქტო" ლიტერატურა" (სეიმურ კრიმის ტერმინია), ჟურნალიზმისა და ლიტერატურის სინთეზი.

როგორც ლიტერატურულ ჟანრს, "ახალ ჟურნალიზმს" გარკვეული ტექნიკური მახასიათებლები გააჩნია. ძირითადად გამოარჩევენ სამ ძირითად ნიშან-თვისებას: დრამატული სალიტერატურო ტექნიკა, ინტენსიური რეპორტაჟი და საყოველთაოდ აღიარებული სუბიექტურობის დაცვა. სწორედ ეს უკანასკნელი განარჩევს "ახალი ჟურნალიზმის" ნიმუშებს ტრადიციული ჟურნალისტიკისაგან, რომელიც ობიექტურობას ესწრაფვის. სუბიექტური მიდგომა ამ შემთხვევაში ავტორის პირადი პოზიციის, იდეების და ჩართულობის შემოტანას ახდენს თხრობაში. ისინი მოუწოდებდნენ უკუვედლოთ სიუჟეტი

და შეეცვალათ ფაქტების მონტაჟით. ლიტერატურული ნაწარმოების გმირები უნდა ყოფილიყვნენ რეალური ადამიანები და არა ავტორის მიერ გამოგონილი სახეები. ისეთი ჟანრები როგორც იყო რომანი, მოთხრობა, ნოველა უიძღვოდ მოძველდნენ, ამიტომ ისინი უნდა ჩაენაცვლებინა ნარკვევს, საგაზეთო ფელეტონს. თითქოს დაინტერესება რომანისადმი დიდი ხნის წინ დაიკარგა. არსებობდა მეტად რადიკალური მოსაზრებებიც, თითქოს თანამედროვე ლიტერატურაში არსებობა შეწყვიტა რომანმა და მის ადგილს იკავებენ ბიოგრაფიები, მემუარები, ჟურნალისტური ნარკვევები.

განსაკუთრებულმა ინტერესმა დოკუმენტალისტიკისადმი პუბლიცისტიკის და ლიტერატურის თეორეტიკოსების მხრიდან 60-80-იან წლებში იჩინა თავი. ტარდებოდა კონფერენციები, იწერებოდა სამეცნიერო შრომები, მონოგრაფიები, სადაც მეცნიერები თავის მიზნად ისახავდნენ აეხსნათ მხატვრულ-დოკუმენტური ლიტერატურის ფენომენი. განსაკუთრებული სიმწვავეთ ამ საკითხების განხილვა ხდებოდა რუსულ სამეცნიერო კვლევებში (Кройчик 2000: 125-168; Стеценко 1973: 398).

დასავლურ მეცნიერებაში კი განარჩევენ ორპოლუსიან სისტემას - fiction და nonfiction, რომლის მიხედვით ლიტერატურა მიეკუთვნება fiction-ს და პუბლიცისტიკა და სხვა დოკუმენტალური ჟანრები - nonfiction-ს. თუმცა "ახალი ჟურნალიზმის" ძირითად ხერხებად ტ. ვულფი ასახელებს: თხრობის განვითარებას ცალკეული სცენების სახით, გმირთა წარმოდგენას დრამატულ სიტუაციებში, მთელი რიგი დიალოგების მოტანას, დეტალებს, მანერებს, შესტებს, რომლებიც დამახასიათებელია განსაზღვრული ადამიანებისათვის და სუბკულტურებისათვის ისე, როგორც ეს ტრადიციულ ლიტერატურაში ხდება. თუმცა ყველა ახალი ჟურნალისტი და კრიტიკოსი არ ეთანხმება ამ ჩამონათვალს.

XX საუკუნის „ახალი ჟურნალიზმის“ ღირსშესანიშნავი ფიგურები არიან ნორმან მეილერი, ტომ ვულფი, ჰანტერ ტომპსონი და ტრუმენ კაპოტე. ტ. კაპოტემ შექმნა "დოკუმენტალური რომანი" და ამ ფორმას უწოდა - onfiction novel". ნ. მეილერმა განაგრძო კაპოტეს ტრადიცია და შექმნა დოკუმენტალური რომანის სახესხვაობა - "რომანი როგორც ისტორია და ისტორია, როგორც რომანი" ("History as

a novel, novel as a history.") ნ. მეილერი თავისი, ფრიად ორიგინალური სამწერლობო ტექნიკით ნამდვილად სცილდება ახალი ჟურნალიზმის ჩარჩოებს.

ჰ. ტომპსონმა შექმნა მთელი მიმართულება "გონზო¹ ჟურნალისტიკისა", რომლის დომინირებულ პრინციპად გვევლინება მიზანდასახული, აქცენტირებული სუბიექტურობა. ტერმინი შემოიტანა ბ. კარდოსომ ჰ. ტომპსონის ერთ-ერთი სტატიის დახასიათებისას. გონზო ჟურნალისტიკა ჟურნალისტიკაა წესების გარეშე. ასეთ ნაწარმოებში არ არის სავალდებულო სტრუქტურა, არ არსებობს სიუჟეტური საზღვრები. ჰ. ტომპსონი თავისი წერის მანერის შესახებ აღნიშნავდა, რომ გონზო ჟურნალისტიკისთვის აუცილებელია ტალანტი, ცოცხალი რეპორტაჟის სპონტანურობა, მხატვრის ან ფოტოგრაფის თვალი. ტომპსონის ყველა ნაშრომი ისეთივე ბელეტრისტულია, როგორც ჟურნალისტური.

მიუხედავად იმისა, რომ „ახალი ჟურნალიზმი“, ერთის მხრივ, და „ამერიკული ოცნება“, მეორეს მხრივ, ყოველთვის აინტერესებდათ მკვლევარებს, დღემდე არ არსებობს კომპლექსური შრომები იმის შესახებ, თუ როგორ აისახება "ამერიკული ოცნების" ფენომენი მხატვრულ დოკუმენტალისტიკაში და რაოდენ ძლიერია მისი ზეგავლენა. თუმცა შეიძლება დავასახელოთ B. Lounsberry-ის *The Art of Fact: Contemporary Artists of Nonfiction* (1990), სადაც ავტორი აღნიშნული პრობლემების გადაჭრას ცდილობს.

ასე რომ ჯერ კიდევ არ არის გამოკვლეული, თუ როგორ აისახება "ამერიკული ოცნება" ნ. მეილერის, ტ. ვულფის, ტ. კაპოტეს, ჰ. ტომპსონის დოკუმენტალურ შემოქმედებაში. ამისთვის აუცილებელია: 1. განისაზღვროს და თვალი მივადევნოთ "ამერიკული ოცნების" კონცეფციის ევოლუციას; 2. გაანალიზდეს ურთიერთმიმართების განსაკუთრებულობა "ამერიკული ოცნებასა" და პოლიტიკას შორის ნ.მეილერის, ტ. კაპოტეს, ჰ. ტომპსონის და ტ. ვულფის მხატვრულ-დოკუმენტალურ პროზაში; 3. გამოიყოს "ამერიკული ოცნების"

1 „გონზო“-ს მრავალი განმარტება არსებობს. ბოსტონის ირლანდიელ ბინადართა სლენგით იგი ნიშნავს ადამიანს, რომელსაც შეუძლია დაათროს მაგიდასთან მჯდომი ყველა ადამიანი, ასევე იგი პორნოფილმების გადაღების ტექნიკაა, როცა ოპერატორი ერთ-ერთი მსახიობთაგანია. ამასთანავე სიტყვა "გონზო" გამოიყენება სულელის, უცნაურის და აბსურდულის მნიშვნელობით.

დოკუმენტური გამოხატვის და მისი მხატვრული გარდასახვის თავისებურებანი ნ. მელიერის, ტ. ვულფის, ჰ. ტომპსონის, ტ. კაპოტეს ნაწარმოებებში, რომლებიც ეძღვნება XX საუკუნის II ნახევრის ამერიკის სოციალური და კულტურული ცხოვრების ნიშანდობლივ მოვლენებს და მათ ზეგავლენას ამერიკულ საზოგადოებაზე. ასე მაგალითად: „ამერიკული ოცნების“ თანამედროვე მდგომარეობის კრიტიკა (ნ. მელიერი); „ამერიკული ოცნების სიკვდილი“ (ჰ. ტომპსონი); „ამერიკული ოცნების“ ნეგატიური ზეგავლენის ხაზგასმა ეროვნულ ხასიათზე (ტ. კაპოტე) და ა. შ.

„ამერიკული ოცნება“ ამერიკული ლიტერატურის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე გვევლინება მაგისტრალურ თემად, რომელიც ყველაზე გამოკვეთილ გამოხატულებას პოულობს მე-20 საუკუნის მეორე ნახევრის ამერიკის მხატვრულ-დოკუმენტალურ ლიტერატურაში. ეს უპირველეს ყოვლისა აიხსნება 60-იანი წლების ამერიკის ისტორიული რეალობით. მწერალმა დოკუმენტალისტებმა იგრძნეს „ამერიკული ოცნების“ გააზრებისა და გადაფასების საჭიროება, რომელმაც ზეგავლენა მოახდინა ქვეყნის ეროვნულ ისტორიასა და დღევანდელობაზე. მეორეს მხრივ, ეს დაკავშირებულია „ფაქტის ლიტერატურის“ ისეთ თავისებურებასთან, როგორც არის „ჰუმბლიცისტურობა“. თუ მხატვრულ ნაწარმოებებში „ამერიკული ოცნების“ ავტორისეული აღქმა თვალსაჩინო ხდება მხოლოდ მხატვრული სახეების ანალიზის პროცესში და ამიტომ მისი გაანალიზება დამოკიდებულია მკითხველის და კრიტიკოსის სუბიექტურ აღქმაზე, მხატვრულ-დოკუმენტალურ ნაწარმოებებში ავტორები პირდაპირ გამოხატავენ თავიანთ დამოკიდებულებას „ამერიკული ოცნებისადმი“. დოკუმენტალური საფუძვლებისა და მისი მხატვრული განხორციელების შერწყმა ნ. მელიერს, ტ. ვულფს, ტ. კაპოტეს, ჰ. ტომპსონს აძლევს საშუალებას თავიანთ ნაწარმოებებში დახატონ მე-20 საუკუნის მე-2 ნახევრის ამერიკა, წარმოგვიდგინონ თანამედროვეობის მოვლენები (საპრეზიდენტო კამპანია, კოსმოსის ათვისება, საუკუნის დანაშაულები...), როგორც მათი თეორიის მტკიცებულება „ამერიკული ოცნების“ როლის და მისი ზეგავლენის შესახებ ამერიკულ საზოგადოებაზე.

„ამერიკული ოცნება“ ამერიკული ცხოვრების უმნიშვნელოვანესი, ამერიკული მენტალობის და რაღაც ხარისხში ამერიკული იდეოლო-

გის მნიშვნელოვანი ელემენტი. "ამერიკული ოცნება" ვითარდებოდა ამერიკის ისტორიის განვითარების მთელ გზაზე. მის შემადგენლობაში შედიოდა ახალ-ახალი კონცეფციები. ასე რომ დღესდღეობით "ამერიკული ოცნება" ეს არის დიდი რაოდენობის კომპონენტების შენადნობი, რომელთა შორის შეიძლება დავასახელოთ ამერიკის მისიონერობა, ამერიკის ღმრთისაგან რჩეულობა, ამერიკელი, როგორც ახალი ადამი. ფრონტირის კონცეფცია, ადამიანისა, რომელმაც თავისი თავი თვითონვე ჩამოაყალიბა.

ეს ყველაფერი მეტნაკლებად ასახვას პოულობს ჩამოთვლილი ავტორების მხატვრულ დოკუმენტალურ წიგნებში. ამერიკული ოცნების პრობლემისადმი მიმართვა თავისებურად ადასტურებს ტექსტების პუბლიცისტურობას, თუმცა დოკუმენტალისტები რეალურ ფაქტზე დაყრდნობით და რეალური ადამიანების წარმოდგენით იყენებენ მხატვრული ტიპიზაციის მაღალ ხარისხს (განსაკუთრებით ეს დამახასიათებელია ტ. კაპოტეს შემოქმედებისათვის), ასევე სტილიზაციას, რაც უდაოდ მოწმობს მათი ნაწარმოებების მხატვრულობას. ნ. მეილერის და ჰ. ტომპსონის უსაყვარლეს ჟანრს ერთის მხრივ წარმოადგენს პოლიტიკური რეპორტაჟი, თუმცა ნ. მეილერი ართულებს ამ ფორმას და პოლიტიკოსების მხატვრულ აღწერას და წინასაარჩევნო ყრილობებს წარმოგვიდგენს ფართო ისტორიულ კონტექსტში. ჰ. ტომპსონი კომპოზიციური და სტილისტური ხერხების გამოყენებით ცდილობს, რომ მისი წიგნი იკითხებოდეს არა როგორც უბრალოდ რეპორტაჟი უბრალოდ არჩევნებზე, არამედ წიგნი "ამერიკული ოცნების" სიკვდილზე. ნ.მეილერი და ჰ.ტომპსონი მიდიან იმ დასკვნამდე, რომ "ამერიკულ ოცნებას" ძალიან ცოტა აქვს საერთო მის პირველსაწყის შინაარსთან. „ოცნება“ მასობრივ ცნობიერებაზე პროპაგანდისა და ზეგავლენის საშუალება ხდება.

ნ. მეილერი, ტ. ვულფი, ჰ. ტომპსონი ხშირად მიმართავენ კულტებს (ჯონ და რობერტ კენედის, მერლინ მონროს, მუჰამედ ალის...), რათა დაამსხვრიონ მითი მათ შესახებ, რომელმაც ფესვები გაიდგა მასობრივ ცნობიერებაში. ავტორების მიერ არჩეული მხატვრულ-დოკუმენტალური ფორმა აძლევს დოკუმენტალისტებს საშუალებას ფაქტების საფუძველზე გააანალიზონ ის მექანიზმები, რომლებიც აიძულებენ რეალური ადამიანები აღიქვან, როგორც სტერეოტიპები. თუმცა მაშინ

როცა ისინი ცდილობენ გაექცნენ მითს, თვითონვე მიდიან საკუთარ მითოლოგიზირებულ წარმოდგენამდე ამერიკის "ეროვნულ გმირებზე" იმ მიზნით, რომ წარმოგვიდგინონ "ამერიკული ოცნება მისი პირველსაწყისი ვერსიით.

საბოლოოდ თვალსაჩინო ხდება, რომ ნ. მეილერის, ტ. კაპოტეს, ტ. ვულფის და ჰ. ტომპსონის მხატვრული დოკუმენტალისტიკა რეალურად წარმოადგენს "ჰიბრიდულ" ფორმას. ოთხივე ავტორის დოკუმენტალური შემოქმედების შეპირისპირება გვაძლევს საშუალებას დავრწმუნდეთ იმაში, რომ მე-20 საუკუნის მე-2 ნახევარში შეინიშნება ლიტერატურისა და ჟურნალისტიკის დაახლოება. ნ.მეილერი და ტ.კაპოტე ახალ ჟურნალიზმში მოდიან ბელეტრისტიკიდან, მაშინ როცა ტ.ვულფი და ჰ.ტომპსონი ლიტერატურაში ჟურნალისტიკიდან.

ნ.მეილერი ანალიზებს ნიქსონის წინასაარჩევნო გამოსვლებს და პრეზიდენტობის სხვა კანდიდატებსაც განიხილავს „ამერიკული ოცნების“ შესახებ მითის კონტექსტში. ასე მაგალითად: ამერიკის მშვენიერი მომავალი, ამერიკა როგორც სამოთხის ბაღი, სადაც ამომრჩევლებს მიეცათ შანსი იცხოვრონ. ჰ.ტომპსონის და ნ.მეილერის ნაწარმოებებში ამერიკული ოცნების განხორციელებად გვევლინებიან ძმები კენედები. ნ.მეილერი ჯონ კენედის ახასიათებს, როგორც "ეგზისტენციალურ გმირს", რომელსაც შეუძლია განაახლოს ამერიკა, როგორც დემოკრატიისა და სამართლიანობის ქვეყანა. ჰ.ტომპსონი წერს რობერტ კენედიზე, როგორც ადამიანზე, რომელსაც აქვს შესაძლებლობა დაუბრუნოს ამერიკას რწმენა თავის თავისადმი. ამიტომაც ძმები კენედების დაღუპვა ორივე ავტორისათვის წარმოადგენს "ამერიკულ ტრაგედიას". წიგნებში, რომლებიც მიძღვნილია კოსმოსის ათვისებაზე, ნ. მეილერი და ტ. ვულფი ამერიკელი ასტრონავტების გაფრენას კოსმოსში განიხილავენ, როგორც სიმბოლურ მოვლენას.

ტ.ვულფი ქმნის ასტრონავტების გაფრენის სურათს და იყენებს "ცნობიერების ნაკადის" ტექნიკას, რომელიც ხშირად წყდება ავტორისეული რემარკებით და განმარტებებით. მწერალი კოსმოსის ათვისებას განიხილავს, როგორც ფრონტიერის კონცეფციის რეალიზაციას, რომელიც "ამერიკული ოცნების" ერთი-ერთი უმთავრესი შემადგენელი ნაწილია. წიგნებში, რომლებიც ეძღვნება საუკუნის დანაშაულობებს, ნ. მეილერი და ტ. კაპოტე იყენებენ ფაქტობრივ მასალას მკვლევარ-

ბების შესახებ, რათა შექმნან ახალი მხატვრული დოკუმენტალური ფორმა - დოკუმენტალური რომანი. ისინი მიმართავენ მკვლევლობების თემას, რადგან ეს ერთი მხრივ იწვევს მკითხველის ინტერესს და მეორეს მხრივ გვევლინება ამერიკისთვის ტიპიურ მოვლენად. რეალურ მკვლევლობაში, რომელიც კანზასში მოხდა, კაპოტე "ამერიკულ ტრაგედიას" ხედავს. ავტორის ნოვატორობად შეიძლება ჩაითვალოს, რომ იგი გამოხატავს მკვლევსაც და მსხვერპლსაც, როგორც ერთი და იგივე ამერიკული ფენომენის ორ მხარეს. მოკლული ფერმერის ოჯახი არის მიღწეული "ამერიკული ოცნების" განსახიერება, ხოლო დამნაშავენი „ამერიკული ოცნების“ - მატერიალური კეთილდღეობისა და წარმატების სწრაფად მიღწევის მსხვერპლნი.

ტ.კაპოტე მის მიერ შესწავლილ მოვლენებში ხედავს მთელი ამერიკის სიმბოლურ განსახიერებას. შემთხვევითი არ არის, რომ ის ინტერპრეტირებას უკეთებს ადგილს, სადაც მოხდა მკვლევობა, და უწოდებს "მთელი ამერიკის ცენტრს".

პიროვნული კულტების დახასიათებისას ნ. მეილერი ქმნის მერლინ მონროს და მუჰამედ ალის "ლიტერატურულ ჰიპოტეზებს", იმ მიზნით, რომ დაინახოს მათი ნამდვილი სახეები. თუმცა თვითონვე ქმნის ახალ მითებს, რაც ეროვნული ამერიკული ცნობიერების განსაკუთრებულობას უკეთებს დემონსტრირებას. იგივე მიზნით ჰ.ტომპსონი ცდილობს მოძებნოს ამერიკული ოცნების განხორციელების შესაძლებლობა. ავტორი განიხილავს მითებს, რომლებიც ჯოჯოხეთის ანგელოზების შესახებ შეიქმნა. წიგნი „ჯოჯოხეთის ანგელოზები“ წარმოადგენს ჟურნალისტური გამოძიების მაგალითს, თუმცა ავტორი არამარტო აღწერს სუბკულტურის წარმომადგენლებს და მათი ცხოვრების სტილს, არამედ საკუთარ დამოკიდებულებას. წიგნის დასაწყისში ჰ. ტომპსონი ცდილობს დაამსხვრიოს ჯოჯოხეთის ანგელოზებზე, როგორც დამნაშავეთა ბანდაზე, ოფიციალური მითი. განიხილავს მათ როგორც ეროვნულ ტიპს, რომლის ფესვებიც ღრმად მიდიან "ამერიკულ ოცნებაში". თუმცა თავად განიცდის „ამერიკული ოცნებისადმი“ იმედგაცრუებას და მისი სიკვდილის შესაძლებლობას აღიარებს.

და ბოლოს, მიუხედავად იმისა, რომ ყველა ზემოთჩამოთვლილი მწერალი უარყოფითად და კრიტიკულად არის განწყობილი ამერი-

კის თანამედროვე ყოფისადმი, მაინც ოპტიმისტურად უყურებენ მის მომავალს, არ უარყოფენ ამერიკული ცნობიერებისათვის და რეალობისათვის „ამერიკული ოცნების“ მნიშვნელობას. ისინი თავიანთ მხატვრულ-დოკუმენტალურ წიგნებში მიმართავენ თანამედროვეობის მოვლენებს და კულტებს იმ მიზნით, რომ მისცენ „ამერიკულ ოცნებას“ ახალი შინაარსი ან შექმნან საკუთარი ვარიანტი.

საგულისხმოა, რომ მიუხედავად უცხოურ ენებზე არსებული სამეცნიერო ლიტერატურისა, ზემოთჩამოთვლილი ავტორები არ არიან შესწავლილნი სათანადოდ და თარგმნილნი ქართულ ენაზე, რაც ჯეროვან ყურადღებას იმსახურებს ქართველ მკვლევართა მხრიდან.

დამოწმებანი:

Hallowell, J. *Fact and Fiction. The New Journalism and Nonfiction Novel*. 1977.

Harstock, J. *History of American Literary Journalism. The emergence of a Modern Narrative form*. University of Massachusetts Press, 2000.

Hellman, J. *Fables of fact: The New Journalism as New Fiction*. Urbana:University of illinois Press,1978.

Lounsberry, B. *The Art of Fact: Contemporary Artists of Nonfiction*. Greenwood Press, 1990.

Вульф, Т. *Новая журналистика и антология новой журналистики*. Под ред. Т. Вульфа и Э. У. Джонсона. С-ПБ: Амфора, 2008.

Кройчик, Л. И. *Система журналистских жанров*. СПб: Знание, 2000.

Стеценко, Е. А. *Документальная проза. Основные тенденции развития современной литературы США*. М.: Наука, 1973.

MAKVALA (BAIA) KOGUASHVILI

Associate Professor, Akaki Tsereteli State University

ABSTRACT OF THE “AMERICAN DREAM” ISSUE IN “THE NEW JOURNALISM”

The interest towards “The American Dream” phenomenon which is fundamental part of the American culture, history, social, political and American mentality has been increasing.

”American Dream” appears to be the main theme in various stages of development of American literature, also finds explicit expression in fiction-documentary literature of the 2nd half of the 20th century literature, and in particular, in The New Journalism.

The article analyses the reasons of the “New Journalism’s” origins, main trends of its development, reflect peculiarities of the American Dream in fiction documentary prose of “New Journalism’s” prominent representatives T. Wolfe, T. Capote, H. Thompson and N. Mailer are in the list. Nonfiction prose of the 2nd half of the 20-th century is dedicated to the most important events of this period.

ELENE KROTENKO

Assistant Professor, Georgian Business Academy

TALES OF THE JAZZ AGE BY SCOTT FITZGERALD: STRUCTURAL AND SEMIOTIC ANALYSIS

F. Scott Fitzgerald himself undervalued his novellas and considered them to be short-lived things written just to make a living. There still has been a preconceived idea among the critics. The writer was trying to find the new ways of expressing, the new style and modern tendencies fusion was also developed in the genre that influenced the American prose (Grabo 1901: 57). We overview jazz elements that the writer refers to in his literary creation “Tales of the Jazz Age”. F Scott Fitzgerald was not the first one who used modes, methods and themes of the piece of music. The effect of partial similarity of a literary creation with music is caused by some methods and structural peculiarities that are common for both music and literary work. It should be mentioned that they are perceived as musical ones. F. Scott Fitzgerald identified the Lost Generation period with the Jazz Age and named the collection of novellas as “Tales of the Jazz Age”, so the researchers consider him to be the mouthpiece of the pulse of his age. In the article we make an attempt to define the extent of the writer’s innovation of using the methods, modes of cinematograph that was being formed at that time and did not have theoretical proof. F. Scott Fitzgerald himself later in his letters mentioned the art integration in many fields.

Defining jazz the writer said that at first it referred to the dance type and then music. The researchers have not interested in the meta text of the novellas yet. In the research paper range it is not possible to observe all aspects in detail.

The subject matter of the article is to show the methods and modes related to other art types. We are making an attempt to overview thematic, compositional, structural and semiotic mode of jazz improvisation

as well as meta text analysis, the identification of jazz versatility as a specific art of music and genre and the way it was reflected in “Tales of the Jazz Age” by F. Scott Fitzgerald. We are trying to overview and re-evaluate. the musical language of jazz in terms of esthetic and cultural processes at the beginning of the 20th century in America. Jazz inflexion, slang, jargon entered the musical voice sphere and became popular among the youngsters in spite of the fact that society had contradictory attitude towards jazz that became the integral part of mass culture. Slang intonation later was considered to be the way of free creative .self-expression. It was close not only to F. Scott Fitzgerald `s word experiments but also to other prose-writers. Music theorists (P. Burn, P. Pritt, H. Panassie) studied the phenomenon of jazz intonation and showed its role in establishing the mass culture. Research of the methods and technique of creating the novellas has shown that F. Scott Fitzgerald was familiarized with jazz improvisation. He referred to “tales” and suggested improvisation and realm of fantasy. Jazz music itself is improvisation, but any kind of improvisation is built up on the certain theme. So the main idea of the writer was to create the dream world and not to come off. The ability to improvise means to embody the context in the way acceptable for the reader, and the keynote should also be kept. It should be mentioned that music and literary improvisation differ. The author refers to one of the useful forms – he plays with the word, the reader, the structure in the way the jazz lead singer does. Structural and composition analyses of F. Scott Fitzgerald`s novellas “Tales of the Jazz Age” have shown jazz influence. It addition, we would like to add that the novellas can be studied at the preparatory level of a greater prose form as well as separate literary creations of the master himself. One of the parts of our work is dedicated to meta textual structural and semiotic analyses of the novellas “Tales of the Jazz Age” where we use jazz architectonic. Music hermeneutics studies the interpretation of pieces of music. At the beginning of 20th century it appeared as a separate field of study. At that time the problem of defining some countertypes between musical language elements and musical symbols such as cosmologic, theological, psychological and so on.

There was made an attempt to decode the context of a piece of music. That practice was familiar to G. Srein and her group who experimented with words. Jazz slang gradually formed mass language. Social and cultural processes were reflected in the language

F. Scott Fitzgerald used jazz elements describing the characters in the novellas and formed the cultural background of the epoch. (Lincoier 1979: 67) The author applied to the jazz techniques while constructing the form. Post war period was characterized by particular word expressions, so new forms and methods were significant to express them. F. Scott Fitzgerald appeared to be an innovator of the poetics. That was the period of integration and innovations in various art fields. (Winn 1981: 3) In novellas we observe the influence of cinematograph and contemporary painting. It is interesting to mention that after the World War I painting was called gestural. That can be explained by the fact that a lot of classic writers of European Avant-garde moved to America and influenced American art at the beginning of the 20th century. Abstract art represented the free way of interpretation. It was in harmony with semantic language games and musical compositions. It is a well-known fact that F. Scott Fitzgerald was interested in the cinema art and later started to cooperate with Hollywood Studio. In his early novellas the author used the cinema art techniques. The most notable is the montage that is the characteristic feature of silent film when the film is accompanied by off-screen music. In "Tales of the Jazz Age" we observe the musical background clearly . F. Scott Fitzgerald adopted the shape-generating and rhythmic functions of montage and used them in the genre of a novella The technique of Hollywood was drawn to dynamism. The style was characterized by that technique. It should be mentioned that the range of problems concerning French and American novellas was not touched upon. In the 1930s L. Kuleshov described the techniques of American cinema art: "American way of montage makes it possible to "perform" destruction and defeat of the old world and the old bourgeois morale". In his futuristic papers the theorist of the cinema art underlined the use of parody and musical background.

In this synthesis a new literary structure was formed. In the 1930s it

was called “free explosion” where we overview the fusion of elements belonging to different types of art. These kinds of techniques expressed the writer’s interest and were reflected in his prose. F. Scott Fitzgerald’s approach can also be explained by his nature. He admitted that in his literary creation he made a focus on emotion. He made an attempt to recognize the problem from inside and outside. His narrative was defined as “double vision” in the 1950s. Jazz improvisation imposed upon increased level of emotion specific way of communication. In terms of theme the novellas are diverse. They are not united by one character as in other cycle of novellas. The author combined eleven novellas written in 1920- 1922 in one cycle. It is interesting to mention that the writer’s approach to the novellas is not clear for the reader. The key word combining the novellas is “jazz”. That is not musical background of “the Jazz Age”, that’s the way of composition of a musical play which was transferred to the literary work. For F. Scott Fitzgerald the creative method of jazz architectonics is very own. Expressivity is the special way of sound formation, the free kind of improvisation, playing with the reader and a special sound formation and unique literary language. Jazz is based on improvisation that is constructed upon one theme. In the cycle of novellas the writer appealed to fantasy, a tale assumes the similar compositional techniques. Whatever is the fantasy, the author developed its theme. For F. Scott Fitzgerald that was the theme of “being lost” in its numerous manifestation. Peculiarity of jazz music perception is connected with the increased way of communicativeness, the audience reaction, emotion, sensomotorarea of an auditor’s psyche.

In terms of theme jazz composition imposed to the psychological state of the writer. At the beginning of the 20th century in America jazz music was opposed to commercial consumer culture. (Allen 1952: 76) Nonconformity of American jazz was tied with social and racial persecution. Jazz improvisation was based on an experiment as well as new style conceptions. The creative goals of jazz culture as well as “ the Lost Generation” literature manifested the intention to oppose to bourgeois entertaining culture. F. Scott Fitzgerald’s attitude to “the Jazz

Age” is overviewed in terms of two functions. They are musical modes of composition and epoch characteristics. In this way of fusion a new literary structure was formed where the elements of different art types were integrated.

In the early 1920s the researchers were not interested in the author's linguistic innovation. At that time they weren't interested in the language innovation. Much attention was paid to structural linguistics, the social and psychological factors were completely ignored in the language function. F. Scott Fitzgerald wrote about psychology of language and its innovations. The writer formed the style of “the stream of consciousness” in the period of creating “Tales of the Jazz Age”. It should be mentioned that there is not a single theoretical and methodological basis within the linguistic and cultural frame of the text. Conceptualization of jazz intonation in terms of text linguistic is perceived as dialectic transformation of the language of music. Linguistic experiments of the Lost Generation writers were based on the semantic activation of the dialects. The use of the dialects of the native people was considered to be standard. Jazz language made it possible to differentiate between the dialect lexis and language capacity. F. Scott Fitzgerald was the first novelists who created the new mass culture dialect that is the fusion of verbal and musical slang.

We make an attempt to observe the jazz literary work as text that has different meanings encoded by means of language. Similar to jazz music where improvisation is inevitable and is never monosemantic, according to F. Scott Fitzgerald, text also expresses a variety of meanings and its perception depends on the writer's personality and the reader's esthetic experience. The language of jazz music like the language of the jazz novellas arises within the culture context, literary tradition and the rules of esthetic system. Jazz language deals with linguistic discourse. Jazz improvisation is characterized by idioms, informal and stereotypic insertions.

F. Scott Fitzgerald and the Lost Generation writers originated a new literary language with its linguistic experiments. Realistic literary text belongs to several literary systems. Within the jazz text there are non-system (jazz free) elements. In “Tales of the Jazz Age” the writer used

the technique so-called “super sign” where we observe repetition of sounds, syllables and letter combinations that take place and create the meaningful word within the particular text. The particular word can be repeated in the text in different ways: in some parts of the text or by means of separate letters. Jazz conception includes the listener who grasps musical stream elements identifying them with the meaningful units of jazz language. The meaningful units have been defined as some kind of language invariant that exists before the text has been created. Text linguistics has formulated the violation of text coherence. In modernistic prose we observe syntax violation, discrete structure and discontinuity that are characteristic features of jazz.

After writing “Tales of the Jazz Age” F. Scott Fitzgerald stated that he was trying to create a new form in terms of its structure and intention, so called ‘the world model’ that was being looked for by J. Joyce, G. Stein and that had not been found by J. Conrad. The writer himself did not pay so much attention to his experiments but the choice of the title shows that the writer was in search of “jazz mode” of the age that started at that period. Speech discourse intonation of the jazz novellas has not been the research topic yet. At the same time meta text jazz discourse was the writer’s attempt to use jazz language.

Works Cited

Allen, F. L. *Only Yesterday. The Big Change. America Transforms Itself.* New York, 1952.

Fitzgerald, F. S. *Complete Text of the Notebooks of F. Scott Fitzgerald.* Edited by A. B. Rudnev, 2003-2013 <http://fitzgerald.narod.ru/>

Grabo, C. H. *The Art of the Short Story.* New York, 1901.

Lincoier, Collier. *The Making of Jazz.* New York, 1979.

Winn, J. *“Unsuspected Eloquence”: A History of the Relations between Poetry and Music.* New Haven, 1981.

ელენე კოტინაძე

საქართველოს ბიზნესის აკადემიის ასისტენტი პროფესორი

რეზიუმე

ფ. სკოტ ფიცჯერალდის „ჯაზის საუბუნის ზღაპრები“: სტრუქტურულ-სემიოტიკური ანალიზი

ამერიკული ნოველა წარმოადგენს ამერიკული ლიტერატურის ერთ-ერთ კომპონენტს, რომელიც გამოხატავს ადგილობრივი მოსახლეობისათვის დამახასიათებელ თვისებებს და აგრეთვე ამერიკელი ემიგრანტების სტილს და მეთოდებს. ამერიკული ნოველა ქმნის ახალ ფენომენს, რომელიც სხვადასხვა ეთნიკური და რელიგიური მეთოდების დეკოდირებას ახდენს. ამერიკული ნოველა განსხვავდება ევროპულისაგან. ის ორიენტირებულია მასზე და მას სტილის მრავალფეროვნება გააჩნია. სტატიაში ჩვენ მიმოვიხილავთ ჯაზის ელემენტებს, რომლებსაც მიმართავს მწერალი თავის ნაწარმოებში „ჯაზის საუკუნის ზღაპრები“. ფ. სკოტ ფიცჯერალდს პირველს არ გამოუყენებია მუსიკალური ნაწარმოების თემატიკა, მეთოდები თუ სხვადასხვა ხერხები. ლიტერატურული ნაწარმოების ნაწილობრივი მსგავსება ნაწარმოებთან გამოწვეულია სტრუქტურული თავისებურებებით, რომელიც საერთოა ორივესათვის. მწერალი უკავშირებს დაკარგული თაობის პერიოდს ჯაზის საუკუნეს. მკვლევარები უწოდებენ მას „ეპოქის სულის გამომხატველს“. სტატიაში ჩვენ განვიხილავთ მწერლის ინოვაციას მეთოდებისა და კინემატოგრაფიის ხერხების გამოყენებაში. ფ.სკოტ ფიცჯერალდმა პირველმა შექმნა დიალექტი, რომელიც იყო ვერბალური და მუსიკალური სლენგის შერწყმა.

ელენე მაქარიაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

მანია გელაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტი

ამერიკული იდენტობის თავისებურებები

ამერიკული იდენტობის კვლევა უაღრესად რთულია, ვინაიდან თვით იდენტობის ცნების განმარტებაც ადვილი არ არის. ის მრავლისმომცველი და ბუნდოვანიც კი არის, ვინაიდან ცნობიერების პროექტია, რომლის მეშვეობით ინდივიდი ან ინდივიდთა ჯგუფი საკუთარ იდენტიფიცირებას ახდენს და თავს რომელიმე გაერთიანებას მიაკუთვნებს.

მიხედვით ჩვენ ვსაზღვრავთ, თუ ვინ ვართ და ვინ გვინდა, რომ ვიყოთ. თუმცა, დროთა განმავლობაში, ინდივიდმა შეიძლება იდენტობა შეიცვალოს. მართალია, ის ვერ შეიცვლის წინაპრებს, სქესსა და ასაკს, მაგრამ სხვა კომპონენტების შეცვლა თავისუფლად შეუძლია.

ყოველი ერის იდენტობა განსხვავებულია და რაღაც გამორჩეული მახასიათებლები აქვს. თუმცა თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამერიკელთა იდენტობა ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული და განსხვავებულია. მასზე საუბრისას პირველად გვაგონდება ორი რამ: ის, რომ ამერიკა არის იმიგრანტების ქვეყანა, და ის, რომ ამ სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობისა და რელიგიური კუთვნილების ხალხების გამაერთიანებელია პოლიტიკური პრინციპების ერთობლიობა, რომელსაც **ამერიკულ კრედოს** უწოდებენ (Myrdal 1944: 8). ამავე დროს ამერიკული იდენტობის ეს ორი მთავარი კომპონენტი – იმიგრანტები და კრედო – ცალკეც და ერთობლიობაში ვერ შეგვიქმნის სრულ წარმოდგენას ამერიკულ საზოგადოებაზე, რომელიც XVII-XVIII საუკუნეებში ბრიტანეთის კუნძულებიდან მოსულმა ახალმოსახლეებმა შექმნეს. ამიტომაც, თავდაპირველად, ამერიკული იდენტობა რასის, ეთნიკურობის, კულტურისა და რელიგიის მიხედვით განისაზღვრებო-

და. XIX საუკუნის ბოლოს კი, უამრავი იმიგრანტის ასიმილირების შედეგად, ეთნიკურობის კომპონენტი გაქრა, ხოლო 1965 წლის იმიგრაციის აქტის მიღების შემდეგ რასობრივი კომპონენტიც მოიშალა. ასე რომ 1970-იანი წლებისათვის დარჩა მხოლოდ ანგლო-პროტესტანტული კულტურა, რომელმაც სამ საუკუნეს გაუძლო. აქედან გამომდინარე, ზოგიერთი მეცნიერი თვლის, რომ ინგლისური პროტესტანტიზმი, როგორც ინგლისურ-საქსონური ეთნიკური ჯგუფის ეთიკა, ამერიკული იდენტობის მთავარი განმსაზღვრელი იყო და იქნება (Huntington 2004: 60). მსგავსი შეხედულება ზოგიერთი მკვლევრის კრიტიკას იწვევს და მას ქსენოფობიურად მიიჩნევს (Kesler 2005; Menand 2004).

მაინც რა ნიშნები აერთიანებს და რა განასხვავებს ამერიკელებს დანარჩენი ხალხებისაგან? დროთა განმავლობაში ეს ნიშნები იცვლებოდა და მოცემული სტატიის მიზანი სწორედ მათი გარკვევაა. ამისათვის კი უნდა ვუპასუხოთ კითხვას: ვინ არიან ამერიკელები? თითქოსდა ამერიკელებმა დიდი ხანია მას პასუხი გასცეს, როდესაც თავიანთი ოცნება განახორციელეს, ყველა ხალხისა და ქვეყნისთვის „მასობრივი კულტურა“ შექმნეს და კაცობრიობას ლიდერად მოეწოდინნენ. მიუხედავად ამისა, ამ კითხვას არა მარტო ამერიკელები, არამედ სხვებიც დღემდე სვამენ და ის პოლემიკის საგნად რჩება.

როგორ წარმოიშვა ამერიკული იდენტობა და რა თავისებურებები და მომავალი აქვს მას? „ის, თუ როგორ აღიქვამენ ამერიკელები თავიანთ იდენტობას, განსაზღვრავს მათ დამოკიდებულებას საკუთარი ქვეყნისადმი. თუ როგორ ხედავენ ისინი მას დანარჩენ მსოფლიოსთან მიმართებაში: კოსმოპოლიტურს, იმპერიულს თუ ნაციონალისტურს“, – წერს ცნობილი ამერიკელი მკვლევარი სემუელ ჰანტინგტონი. (Huntington 2004: xvii). ამერიკის პირველმოსახლეებსა და შემდეგ მოსულ იმიგრანტებს შორის დიდი განსხვავებაა. ერთი შეხედვით, პირველმოსახლეებიც იმიგრანტები იყვნენ, მაგრამ როდესაც ისინი ამერიკაში ჩავიდნენ, ეს იყო *tabula rasa* (თუ არ ჩავთვლით ინდიელებს, რომელთა ამოხოცვა ან დასავლეთისაკენ განდევნა არანაირ პრობლემას არ წარმოადგენდა), რომლებსაც უნდა შეექმნათ საზოგადოება თავიანთი ღირებულებებისა და კულტურის მიხედვით, ხო-

ლო უკვე შემდეგ მოსული იმიგრანტები არსებული საზოგადოების წევრები უნდა გამხდარიყვნენ, რაც ხშირად ე.წ. კულტურულ შოკს იწვევდა.

შეერთებული შტატების შექმნიდან ერთი საუკუნის განმავლობაში ამერიკა, სამართლიანად, ბრიტანეთის გაგრძელებად ითვლებოდა. მართლაც, XIX საუკუნეში ამერიკელები და ინგლისელები ფაქტობრივად ერთი ერი იყო. მათ ჰქონდათ საერთო ენა, ეთნიკურობა, რასა, კულტურა და რელიგია. როდესაც ამერიკელებსა და ინგლისელებს შორის უთანხმოება დაიწყო, სწორედ მაშინ წამოიწია წინ ამერიკულმა კრედიტმა, რადგან ამერიკელებს სჭირდებოდათ რაღაც, რითაც ისინი ინგლისელებისაგან განსხვავებულები იქნებოდნენ და ამით ნაწილობრივ გაამართლებდნენ თავიანთ სურვილს გამოყოფოდნენ დიდ ბრიტანეთს. ამასთან ერთად, ამერიკის იდეა ბრიტანეთიდან მოდის. მანამ, სანამ ამერიკელები თვითონ გააცნობიერებდნენ, რომ ისინი ცალკე ერს წარმოადგენდნენ, ბრიტანელები ამერიკის ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხს ამერიკელებად მოიხსენიებდნენ.

1740 წლამდე ტერმინი "ამერიკა" აღნიშნავდა ტერიტორიას და არა საზოგადოებას. რევოლუციამ ბრიტანელი კოლონისტები ამერიკელებად აქცია. თუმცა, საბოლოოდ ამერიკული იდენტობისა და ცნობიერების ჩამოყალიბება სამოქალაქო ომმა განაპირობა. თუ სამოქალაქო ომამდე ამბობდნენ *The USA are*, სამოქალაქო ომის შემდეგ უკვე ამბობდნენ *The USA is*.

ტერმინი "ამერიკული კრედიტ" კი პოპულარული გახდა 1944 წლიდან, მას შემდეგ, რაც გამოვიდა გუნარ მირდალის წიგნი „ამერიკული დილემა: ზანგების პრობლემა და თანამედროვე დემოკრატია“ (Myrdal 1944). ის წერს, რომ, მართალია, ამერიკელებს ჰეტეროგენული რასა, რელიგია, ეთნიკურობა, ეკონომიკური და სოციალური ფესვები აქვთ, მაგრამ მათ საერთო სოციალური ეთოსი და პოლიტიკური კრედიტ აქვთ (Myrdal 1944: 614). ყველაფერს, რაც მათ აერთიანებთ, მან ამერიკული კრედიტ უწოდა.

ამერიკული კრედიტს ყველა ძირითადი იდეა პროტესტანტიზმიდან მოდის. ესენია: ყველა ადამიანის თანასწორობა, თავისუფლება, სამართალი და შესაძლებლობა; სიცოცხლე, თავისუფლება და ბედნიერებისაკენ სწრაფვა; სიტყვის თავისუფლება, შეკრების უფლება,

კანონმდებლობით შეზღუდული მთავრობა, ხალხის უზენაესობა, ადგილობრივი მმართველობა უპირატესია ეროვნულ მმართველობაზე; უმრავლესობის წესი და პრინციპი. რაც ნაკლებია მთავრობა, მით უკეთესია; ინდივიდუალიზმი და თანასწორი შესაძლებლობები.

ამგვარად, ამერიკული კრედოს მთავარი დებულებებია: თავისუფლება, თანასწორობა, დემოკრატია, ინდივიდუალიზმი, ადამიანის უფლებები, კანონის უზენაესობა, კერძო საკუთრება. ნებისმიერი უცხოელი დამკვირვებელი, ტოკვილიდან დაწყებული, სწორედ ამ პრინციპებს უსვამს ხაზს და ამერიკულ ერს ამ ნიშნებით ახასიათებს.

თავად ამერიკელები თვლიან, რომ ისინი უნიკალური ერია, რადგან მათ არა ეთნიკური ან ეთნო-კულტურული იდენტობა აქვთ, როგორც სხვა დანარჩენ ერებს, არამედ *სამოქალაქო ეროვნული იდენტობა*. დამოუკიდებლობის დეკლარაციაში წერია: „ჩვენ ვიზიარებთ ამ ჭეშმარიტებებს“ და "ჩვენში" ამერიკელები იგულისხმებიან. აქედან გამომდინარე, თვით დეკლარაციაშიც კი წერია, რომ ყველა, ვინც იქ გაწერილ ჭეშმარიტებებს იზიარებს, ამერიკელია.

ამერიკელთა იდენტობა სხვა ერების იდენტობისაგან იმითაც განსხვავდება, რომ ის არ უკავშირდება ერთ რომელიმე ადგილს. ყველასათვის მნიშვნელოვანია დედასამშობლო, ის ადგილები, სადაც მათი წინაპრები ცხოვრობდნენ და სადაც თავად დაიბადნენ და გაიზარდნენ, რასაც ვერ ვიტყვით ამერიკელებზე. მათთვის სამშობლო არის პოლიტიკური იდეებისა და ინსტიტუტების ერთობლიობა და არა მიწა.

რაც შეეხება რასასა და ეთნიკურობას, ამერიკელებისათვის ეს ყოველთვის მტკივნეული თემა იყო. არტურ შლეზინგერის სიტყვებით, ამერიკელი ერი ყოველთვის რასისტული იყო (Schlesinger 1998:18). თავიდანვე ამერიკელი ერი თეთრკანიანთა ერი იყო, რომელიც მკაცრად გამოეყოფოდა ინდიელებს, შავკანიანებს, აზიელებსა და მექსიკელებს. რასებს შორის უთანასწორობა XIX საუკუნის შუა ხანებში მეცნიერულ ფაქტად იყო აღიარებული.

თუ 1830-იან წლებში ტოკვილი ამერიკელებს როგორც ანგლო-ამერიკელებს მოიხსენიებს (Toqville 2001), 100 წლის შემდეგ ეს უკვე შეუძლებელი იყო, რადგან იყვნენ არა მარტო ინგლისელი, არამედ ირლანდიელი, იტალიელი, გერმანელი, ებრაელი, პოლონელი და სხვა ამერიკელები. ამერიკელები აღარ იყვნენ მარტო WASP (*White, Anglo-*

Saxon, Protestant), არამედ ისინი ბევრად უფრო მრავალფეროვანი ვერ გახდა. თუმცა სამასი წლის განმავლობაში მათ შეინარჩუნეს პირველმოსახლეთა ანგლო-პროტესტანტული კულტურა, როგორც ამერიკული იდენტობის მთავარი განმსაზღვრელი ელემენტი.

უკვე შემდგომში ჩასული იმიგრანტები, რომლებიც თეთრი ანგლო-ამერიკელი პროტესტანტები არ იყვნენ, სწორედ ამ კულტურის მიღებით ხდებოდნენ ამერიკელები.

პროტესტანტულმა რელიგიამ განაპირობა ის, რომ ამერიკელები ჩამოყალიბდნენ ერთ-ერთ ყველაზე ინდივიდუალისტურ ვერად. მათ სწამთ, რომ ინდივიდუალური პასუხისმგებლობა არის წარმატების გარანტი და მათთვის ძალიან მნიშვნელოვანია ცნება „a self-made man”. ადამიანის წარმატება დამოკიდებულია მხოლოდ მის პირად ნიჭსა და ხასიათზე. სწორედ ამაში მდგომარეობს ამერიკული ოცნების არსიც.

პროტესტანტიზმში ძალზედ მნიშვნელოვანია შრომის ეთიკა. თავიდანვე ამერიკელთა რელიგია იყო შრომის რელიგია. სამსახური არის თვითდაჯერებულობისა და დამოუკიდებლობის წყარო. „Be industrial and free”, – წერს ბენჯამინ ფრანკლინი.

ჯერ კიდევ 1830-იან წლებში ფილიპ შაფი წერდა, რომ ამერიკელთათვის ლოცვა და მუშაობა ერთმანეთთან იყო დაკავშირებული, ხოლო სიზარმაცე ცოდვად ითვლებოდა (Schaff 1830: 29). ამავე პერიოდის მოღვაწე ფრანგი მიშელ შევალიე წერდა, რომ ამერიკული საზოგადოების წესები და ჩვეულებები საქმიანი საზოგადოებისას ჰგავს. ამერიკელი ბავშვი იზრდება იმ აზრით, რომ მას უნდა ჰქონდეს რაიმე პროფესია და თუ იქნება აქტიური და ჭკვიანი, აუცილებლად კარგ მომავალს შეიქმნის.

1990 წლის გამოკითხვით, ამერიკელთა 80%-მა აღნიშნა, რომ იმისათვის, რომ იყო ამერიკელი, აუცილებელია გაიზიარო შრომის ეთიკა, რაც არც თუ ისე მარტივია, რადგან ადამიანებს მთელი მსოფლიოდან უჭირთ შეგუება იმ მართლაც გიჟურ სამუშაო რიტმთან, რაც მიღებულია ამერიკაში (Huntington 2004: 72). ერთ-ერთი პოლონელი იმიგრანტის სიტყვებით, ამერიკელები უფრო მეტ ოფლს ღვრიან ერთი დღის განმავლობაში, ვიდრე პოლონელები მთელი კვირის მანძილზე (Huntington 2004: 74).

მიუხედავად იმისა, რომ ამერიკაში მკაცრადაა გამოყოფილი ეკლესია და სახელმწიფო და კონსტიტუცია არ შეიცავს რელიგიურ შეზღუდვებს, ამერიკელი ერი ძალიან მორწმუნეა. 1999 წელს გამოკითხულთა 86%-მა აღნიშნა, რომ სწამდა ღმერთი, 8%-ს – უნივერსალური სული, 5%-ს არც ერთი არ წამს და მხოლოდ 10%-ია ათეისტი (Huntington 2004: 86).

დადგენილია, რომ რაც უფრო განვითარებულია სახელმწიფო ეკონომიკურად, მით უფრო ნაკლებრელიგიურია მოსახლეობა. † ამერიკა ამ მხრივ გამონაკლისია. ამერიკელთა რელიგია არ არის ერთი კონკრეტული რელიგია. ესაა სამოქალაქო რელიგია, რომელიც ოთხი ძირითადი ელემენტისაგან შედგება:

1. ამერიკული სახელმწიფო სისტემა ემყარება რელიგიას. ღმერთის გარეშე არ იქნებოდა არც ამერიკული სახელმწიფო და არც ამერიკული ცხოვრების წესი (ეიზენჰაუერი); ამერიკელები არიან ღვთის რჩეულები;

2. რელიგიური სიმბოლოების, რიტორიკის, რიტუალებისა და ცერემონიების სიჭარბე;

3. ეროვნული ცერემონიებიც კი რელიგიური ხასიათისაა;

4. შეიძლება ითქვას, რომ სამოქალაქო რელიგია არის რელიგიისა და პოლიტიკის ნაზავი (Huntington 2004:104-105).

სემუელ ჰანტინგტონის აზრით, 1960–70-იანი წლებიდან მოყოლებული ამერიკული იდენტობა დიდი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა. ხდებოდა იმიგრანტთა დიდი ნაკადების შემოდინება, რომლებიც ინარჩუნებდნენ ორმაგ ეროვნებას, ორმაგ მოქალაქეობას და მჭიდრო კავშირი ჰქონდათ თავიანთ ქვეყანასთან (Huntington 2004: 225).

მართალია, 11 სექტემბერს ეროვნული იდენტობა აღდგა და მან სუბეროვნული და ტრანსეროვნული იდენტობები გადაფარა, თუმცა ეს ტენდენცია მხოლოდ ორ წელს გაგრძელდა და შემდეგ ისევ შესუსტდა.

XX საუკუნიდან უკვე დაიწყო მსჯელობა, თუ როგორ უნდა მომხდარიყო იმიგრანტთა ასიმილაცია და რა მოეთხოვებოდათ მათ. დაისვა შეკითხვა— იგულისხმებოდა თუ არა ასიმილაციაში ანგლო-პროტესტანტული კულტურის გაზიარება?

ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში დიდ ყურადღებას უთმობდნენ იმიგ-

რანტთა ასიმილაციას. აშშ-ის მოქალაქეები საჭიროდ თვლიდნენ ამერიკელებად ექციათ მათ მიწაზე ჩასული ხალხი. ამისათვის აარსებდნენ სკოლებს, სადაც იმიგრანტებს ინგლისურს და ამერიკულ ღირებულებებს ასწავლიდნენ. ამ სკოლების დამაარსებლები ხშირად მსხვილი კორპორაციები იყო, რომლებსაც მუშახელი სჭირდებოდათ. ამერიკის თითქმის ყველა პრეზიდენტი ამ მოვლენას დადებითად აფასებდა. იყო უამრავი ორგანიზაცია, რომელიც მიზნად ისახავდა იმიგრანტთა ამერიკანიზაციას. მართალია, მოგვიანებით ამერიკანიზაციის მოძრაობას პროტესტი მოჰყვა. ამბობდნენ, რომ იმიგრანტებს ამერიკულ კულტურას თავს ახვევდნენ და მის გაზიარებას აიძულებდნენ. თუმცა უდავოა, რომ ამერიკანიზაციას დადებითი მხარეც ჰქონდა. სწორედ მისი მიღწევა იყო ის, რომ იმიგრანტთა შვილები თავს ამერიკელებად გრძნობდნენ და ომებში იბრძოდნენ.

XX საუკუნეში იმიგრანტთა ასიმილაციაზე ასე აღარ ზრუნავდნენ და თანდათან ნაციონალიზმის დაღმასვლა დაიწყო, რაც 1960-იანი წლებიდან თვალსაჩინო გახდა. ამის მიზეზებია: მულტიკულტურალიზმისა და მრავალფეროვნების პოპულარიზაცია; რასობრივი, ეთნიკური, გენდერული და სხვა სუბეროვნული იდენტობების წინ წამოწევა; იმიგრანტები ინარჩუნებენ ორმაგ იდენტობასა და მოქალაქეობას; ქესპანიზაცია და ამერიკის ორენოვან და ორკულტურულ საზოგადოებად გარდაქმნის ტენდენციები; ამერიკული ელიტის ზოგიერთი მნიშვნელოვანი სეგმენტის დენაციონალიზაცია და უფსკრული მათ კოსმოპოლიტურ და ტრანსკულტურულ ხედვასა და ამერიკელი ერის პატრიოტულ და ეროვნულ ღირებულებებს შორის.

სემუელ ჰანტინგტონი თავის წიგნში „ვინ ვართ ჩვენ?“ წერს, რომ, მართალია, ამერიკა ყოველთვის იყო იმიგრანტთა ქვეყანა, მაგრამ ის იყო ასიმილირებულ იმიგრანტთა ქვეყანა. ის, რაც ახლა ხდება, ძალიან არასწორია და დიდი ალბათობაა იმისა, რომ ამერიკა ანგლო-პროტესტანტული ქვეყნიდან ანგლო-ესპანურ ქვეყნად გადაიქცეს. ის თვლის, რომ ასიმილაცია განსაკუთრებით პრობლემატურია მექსიკელებისა და ზოგადად ლათინური ამერიკიდან ჩასული იმიგრანტებისათვის (Huntington 2004: 225-260).

მექსიკელი იმიგრანტები, სხვა იმიგრანტებისაგან განსხვავებით, არ ასიმილირდებიან ამერიკულ საზოგადოებასთან. ამის გამომწვევი რამ-

დენიშე ფაქტორი არსებობს.

პირველი ფაქტორია ის, რომ ამერიკა და მექსიკა ახლო მეზობლები არიან. მსოფლიოში არ არსებობს პრეცედენტი, რომ პირველი და მესამე სამყაროს ქვეყნებს ერთი საზღვარი ჰქონდეთ. მექსიკელ იმიგრანტებს არ უწევთ ოკეანის გადალახვა. ისინი მხოლოდ შედარებით ნაკლებად დაცულ 2 ათასი მილი სიგრძის საზღვარს ლახავენ. რა თქმა უნდა, ასეთი სიახლოვის გამო იმიგრანტთა რიცხვიც დიდია. 1970-იან წლებში 640 000 მექსიკელი იმიგრანტი ჩავიდა აშშ-ში, 1980 – 1 656 000, 1990 – 2 249 000, იმის გათვალისწინებით, რომ ეს ოფიციალურად ჩასული იმიგრანტების მონაცემებია (Huntington 2004: 226). 2000-დან 2002 წლამდე ესპანელთა რაოდენობა 10%-ით გაიზარდა და გაუსწრო შაკკანიანთა რაოდენობას. დადგენილია, რომ თუ ასე გაგრძელდა, 2040 წლისათვის ამერიკის მოსახლეობის 25% ესპანელი იქნება (Huntington 2004: 227). ესპანურენოვანი იმიგრაცია იმითაც არის უპრეცედენტო, რომ მათგან ნახევარზე მეტი ინგლისურად არ ლაპარაკობს. ლათინოამერიკელი იმიგრანტები იმითად განსხვავდებიან სხვებისგან, რომ ძირითადად ერთად სახლდებიან, მაგალითად, მექსიკელები სამხრეთ კალიფორნიაში, კუბელები მაიაში, დომინიკელები და პუერტო რიკოელები ნიუ იორკში. სხვადასხვა დიდ ქალაქში ისინი ჯგუფებად ცხოვრობენ. ლათინოამერიკელთა ყველაზე დიდი რაოდენობა მაინც სამხრეთ-დასავლეთშია, განსაკუთრებით კალიფორნიაში. 2000 წელს მექსიკელ იმიგრანტთა ნახევარი კალიფორნიაში ცხოვრობდა და ორი მესამედი სამხრეთში. რა თქმა უნდა, როდესაც იმიგრანტები ერთად ცხოვრობენ, მათი ამერიკელებთან ნაწილობრივი ასიმილაცია უფრო ნელა ხდება, სრული ასიმილაცია კი საერთოდ შეუძლებელია.

მთავარი, რაც მექსიკელ იმიგრანტებს ყველა სხვა იმიგრანტებისაგან განასხვავებს, არის ისტორია. ისინი ერთადერთი ხალხია, რომლებსაც პრეტენზია აქვთ ამერიკულ ტერიტორიებზე და ამერიკაში ჩასვლისას თავს საკუთარ მიწაზე, სახლში თვლიან და არა სხვა ქვეყანაში. ტექსასი, ნიუ მექსიკო, არიზონა, კალიფორნია, ნევადა და იუტა ტექსასის დამოუკიდებლობის 1846-1848 წლების ომამდე და მექსიკა-ამერიკის 1835-1836 წლების ომამდე მექსიკის ნაწილი იყო. ეს აშშ-ის მიერ დაპყრობილი მიწებია. ამიტომაც, სხვა იმიგრანტე-

ბისაგან განსხვავებით, მექსიკელები ძირითადად სახლდებიან იმ ტერიტორიაზე, რომელიც ოდესღაც მათი საკუთრება იყო. ასიმილაციის შესუსტებას ესეც იწვევს.

ესპანურენოვან ბავშვებს ძალიან უჭირთ ინგლისურის სწავლა. სკოლაში ესპანურად სწავლობენ, სახლში მშობლებს ესპანურად ელაპარაკებიან, ექიმებმა და გამყიდველებმა ესპანური იციან და მათაც გააგებინებენ სათქმელს. ამიტომ ორენოვანმა განათლებამ გაართულა ესპანელი ბავშვების ინტეგრაცია ამერიკულ საზოგადოებაში. სხვა იმიგრანტებისთვის ეს უფრო მარტივია. ესპანელი ბავშვები კი მხოლოდ მაშინ გრძნობენ ინგლისურის ცოდნის საჭიროებას, როდესაც უკვე ზრდასრულებს უწევთ მუშაობა და ენის არასაკმარისი ცოდნის გამო სხვებს კონკურენციას ვერ უწევენ.

ესპანური ენის ცოდნა მნიშვნელოვანი ზღვება არაესპანურენოვანი მოსახლეობისთვისაც. დიდი კორპორაციები ესპანელ მყიდველთა სეგმენტის დაკავებას ცდილობენ, რისთვისაც ესპანურის მცოდნე მუშაკები ესაჭიროებათ. ასევე სჭირდებათ ორივე ენაზე მოლაპარაკე მასწავლებლები, რადგან ბევრ სკოლაში ორივე ენა ისწავლება. შეიძლება მომავალში სახელმწიფო საბუთებიც ესპანურად დაიბეჭდოს. ამიტომ ჰანთინგტონი თვლის, რომ ესპანიზაცია ამერიკის იდენტობას საფრთხეს უქმნის.

ესპანური იმიგრაციის რიცხვის ზრდასთან ერთად, მისი გავლენაც იზრდება. გამოჩნდა ესპანიზაციის უამრავი მომხრე, ძირითადად, ელიტის წარმომადგენლები. ისინი თვლიან, რომ შეერთებული შტატები ორენოვანი და ორი კულტურის მქონე ქვეყანა უნდა გახდეს.

1917 წელს თეოდორ რუზველტმა თქვა, რომ ამერიკას უნდა ჰქონდეს ერთი დროშა და ერთი ენა (Roosevelt 1907). 2001 წელს პრეზიდენტმა კლინტონმა იმედი გამოთქვა, რომ ის იყო უკანასკნელი პრეზიდენტი, რომელიც ესპანურად არ ლაპარაკობდა (Clinton 2000). 2003 წელს პრეზიდენტმა ბუშმა ესპანური დღესასწაულის აღნიშვნისას ხალხს რადიოთი ორივე ენაზე მიმართა. ეს ყოველივე კი დაავიროვინა ობამას ორივე ენაზე წარმოთქმულმა საინაუგურაციო სიტყვამ. თუ ეს ტენდენცია გაგრძელდა, რამდენიმე ათეულ წელიწადში სრულიად განსხვავებულ ამერიკის შეერთებულ შტატებს ვიხილავთ.

მართალია, ჰანტინგტონი თვლის, რომ ამერიკელთა მრავალფეროვნება საფრთხეს შეუქმნის ამერიკულ იდენტობას, სრულიად სხვაგვარი წარმოდგენა აქვს ალან ვულფს. ის ამბობს, რომ, მართალია, ბევრი ფიქრობს, რომ ამერიკას დაშლა ემუქრება, მაგრამ ამერიკელთა ტრადიციებსა და ღირებულებებში უფრო მეტია მათი გამაერთიანებელი, ვიდრე გამთიშველი (Wolfe 1998: 123). ამერიკელებს კარგად ახსოვთ XIX საუკუნეში მომხდარი უთანხმოებების შედეგი – სამოქალაქო ომი და XX საუკუნეში მომხდარი რელიგიური უთანხმოებები. ამიტომაც დღეს, რაც არ უნდა მწვავედ იდგას პოლიტიკური, რელიგიური თუ სოციალური უთანხმოებები, ამერიკელები ყველაფერს იღონებენ, რომ თავიდან აიცილონ და არ გაამწვაკონ ისინი. მიუხედავად მათი მრავალფეროვნებისა, ამერიკელებს აერთიანებთ ის, რომ ისინი ერთი ქვეყნის მოქალაქეები არიან.

უამრავი მეცნიერი ეთანხმება იმ მოსაზრებას, რომ ამერიკა დანაწევრებული ქვეყანაა, მათ შორის, ისტორიკოსი გერტრუდ ჰიმელფარბიც, რომელმაც დაწერა წიგნი „ერთი ერი, ორი კულტურა“ (Himmelfarb 1999). მასში იგი ამტკიცებს, რომ კულტურული განსხვავება, რომელიც ყველაზე მწვავედ 1960-იან წლებში დაფიქსირდა, დღესაც არსებობს და ამერიკაში ორი კულტურა არსებობს. ერთი ხაზს უსვამს ინდივიდუალური თავისუფლების და თვითგამოხატვის თავისუფლების ფასეულობას და ხშირად გამოდის ტრადიციული ჩარჩოებიდან.

მეორე კულტურა კი ხაზს უსვამს ძალაუფლების ღირებულებას, პატივს სცემს წესებსა და ტრადიციებს და სურს იმ დროის დაბრუნება, როდესაც მშობლები მეტად აკონტროლებდნენ შვილებს, მეტი ადამიანი ამყობდა თავისი ქვეყნით და უფრო რელიგიური იყვნენ (Himmelfarb 1999). თავად ხიმელფარბი კონსერვატორი იყო და მეორე კულტურას იზიარებდა.

ალან ვულფი კი თავის წიგნში *One Nation, After All* ამტკიცებდა, რომ პოლიტიკური აქტივისტები კულტურათა ომს აწარმოებენ, მაგრამ მიუხედავად ამისა, საერთო ღირებულებებს იზიარებენ. შეიძლება ისინი არ ეთანხმებოდნენ ერთმანეთს დღევანდელი აქტუალური პრობლემების გადაჭრის გზებთან დაკავშირებით, მაგრამ 1960-იან წლებთან შედარებით ისინი უფრო ერთსულოვნები არიან. ისინი აფასებენ ინდივიდუალურ თავისუფლებას, რომელიც მოიპოვეს. ამავე

დროს, იმასაც ფიქრობენ, რომ ინდივიდუალიზმის გადაჭარბებული დაფასებით კარგავენ ტრადიციებისა და ძალაუფლების პატივისცემას. მთავარი ისაა, რომ ამერიკელებს სურთ, რომ მათი პოლიტიკოსები შეთანხმებულად მოქმედებდნენ და საერთო გადაწყვეტილებებს იღებდნენ (Wolfe 1998).

ახალი საუკუნის დაწყებასთან ერთად ამერიკული იდენტობაც ახალ ფაზაში გადავიდა. მასზე დიდი გავლენა მოახდინა საგარეო თავდასხმის საფრთხემ და ამერიკელთა რელიგიისაკენ მიბრუნებამ.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ აშშ გახდა მსოფლიოში ერთადერთი ზესახელმწიფო. თუმცა 11 სექტემბრის შეტევამ აჩვენა, რომ მას ახლა უფრო დიდი საფრთხე ემუქრებოდა, ვიდრე ოდესმე. XX საუკუნეში წარმოებული ყველა ომი ამერიკის საზღვრებს გარეთ, ოკეანის გადაღმა იყო, ამიტომ ამერიკელები თავს უსაფრთხოდ გრძნობდნენ. 11 სექტემბერმა კი ეს შეცვალა. მართალია, 11 სექტემბრის შემდეგ პრეზიდენტმა ბუშმა თქვა, რომ ისინი უარს ამბობდნენ ეცხოვრათ შიშში, მაგრამ ეს ახალი სამყარო სწორედ რომ სამში გახდა და ამერიკელები იძულებულნი გახდნენ ეს ელიარებინათ და შიშით ეცხოვრათ. მათ უნდა ებრძოლათ, რათა საკუთარ მიწაზე თავისუფლად და მშვიდად ეცხოვრათ.

ამ საფრთხის გაჩენამ დიდი ცვლილებები შეიტანა ამერიკულ იდენტობაში. თუ 11 სექტემბრამდე ამერიკელების დიდი ნაწილი სამშობლოდ მიიჩნევდა იმ ქვეყანას, საიდანაც მათი მშობლები ან წინაპრები იყვნენ, ახლა უკვე ამბობს, რომ მათი სამშობლოა ამერიკა და მთავრობის მთავარ დანიშნულებად ამერიკის უსაფრთხოების უზრუნველყოფას თვლის. ეროვნული იდენტობა, სხვა იდენტობებთან შედარებით, ისევ უპირატესი გახდა.

ამის შედეგად, XX საუკუნის დასასრულს ამერიკული იდენტობის მთავარი წყარო ამერიკული კრედი გახდა. ეს იმით არის გამოწვეული, რომ იდენტობის სხვა წყაროები, როგორებიცაა რასა, ეთნიკურობა და ანგლო-პროტესტანტული კულტურა დიდი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა. კრედი კი ერთადერთია, რაც არანაირ ეჭვსა და წინააღმდეგობას არ იწვევს. ამიტომაც ისტორიულად ოთხი ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტიდან მხოლოდ ერთი, კრედი დარჩა ხელშეუხებელი.

მაგრამ მართო კრელო ანუ პოლიტიკური იდეოლოგია ვერ იქნება ერის იდენტობის განმსაზღვრელი, რადგან ადამიანები სწორად იცვლიან თავიანთ პოლიტიკურ იდეოლოგიას. კრელოს მთავარი პრინციპები – თავისუფლება, თანასწორობა, დემოკრატია, სამოქალაქო უფლებები, კანონის უზენაესობა – ეს ის მარკერებია, რომელთა მაშველობითაც საზოგადოების მართვა ხდება. თუმცა ეს პრინციპები შეიძლება სხვა ხალხებმაც გაიზიარონ და, აქედან გამომდინარე, ეს ვერ გამოარჩევს ამერიკელებს დანარჩენი ერებისაგან და, შესაბამისად, ვერ იქნება იდენტობის ერთადერთი განმსაზღვრელი. ადამიანი, რომელიც ამერიკულ კრელოს მიიღებს, ვერ გახდება ამერიკელი, თუ ის არ ჩავა ამერიკაში, არ გაიზიარებს ანგლო-პროტესტანტულ კულტურას, ამერიკის ისტორიას, წეს-ჩვეულებებს და თუ თავის თავს არ გააიგივებს ამერიკასთან. შეიძლება ერს ჰქონდეს კრელო, მაგრამ მისი სული განისაზღვრება მისი ისტორიით, ტრადიციებით, კულტურით, გმირებითა და მოღალატეებით, გამარჯვებებითა და დამარცხებებით, საერთო მეხსიერებით.

კრელო ჩამოყალიბდა ანგლო-ამერიკული კულტურის წიაღში და თუ ამერიკელი ხალხი უარს იტყვის ამ კულტურაზე, მაშინ კრელოც დაკარგავს აქტუალობას. ჰანტინგტონის აზრით, მულტიკულტურული ამერიკა დროთა განმავლობაში გახდება მულტიკრედული. სხვადასხვა კულტურის მქონე ხალხი მხარს დაუჭერს სხვადასხვა პოლიტიკურ ღირებულებებსა და პრინციპებს, რომლებიც მათ კულტურასთან თანხმობაში იქნება.

II სექტემბერი არის XX საუკუნის დასრულების სიმბოლო, რის შემდეგაც საფუძველი ჩაეყარა ახალ ერას, რომელშიც ამერიკელები თავიანთ თავს კულტურისა და რელიგიის მიხედვით განსაზღვრავენ. შეერთებული შტატების რეალური და პოტენციური მტრები ახლა რელიგიური მიზნებით მოქმედი შეიარაღებული მუსლიმები არიან. ასეთ ვითარებაში იდენტობის რელიგიურმა კომპონენტმა დიდი მნიშვნელობა შეიძინა.

ვფიქრობთ, ამერიკას დაშლა არ ემუქრება, რადგან მრავალფეროვნების მიუხედავად, ამერიკის კულტურა იმდენად ძლიერია, რომ ყველა სფეროზე ახდენს გავლენას, რელიგიაზეც კი. მეცნიერები, რომლებიც ამერიკაში არსებული რელიგიების ტექსტებსა და ხალხის

მოთხოვნილებებს იკვლევდნენ, იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ რელიგიათა სხვადასხვაობის მიუხედავად, რელიგიური პრაქტიკა ამერიკაში მსგავსია.

ამერიკელებისათვის რელიგია არ არის რაღაც ტრადიციის ბრმა მიყოლა, არამედ აძლევს მათ მუდმივი ცვალებადობის, ნოვატორობის, დინამიურობის შესაძლებლობას და რთულ სამყაროსთან ადაპტაციაში ეხმარება. ნებისმიერი ამერიკელისათვის რელიგიის აზრი არის ერთი და იგივე. ამიტომ რელიგია მათი გამაერთიანებელი უფრო მეტად არის, ვიდრე გამთიშველი. მათთვის არ არის აუცილებელი შეთანხმდნენ, რა არის ღმერთი და რას აკეთებს ის. მთავარია, რომ აღამიანმა ადეკვატურად გამოიყენოს ესა თუ ის რელიგია. ყოველივე ამას ახალმოსული იმიგრანტები ადვილად ითვისებენ, რისი დასტურიცაა კათოლიკეებისა და ებრაელების მიერ თავიანთი რელიგიის ამერიკული ვერსიის შემუშავება. დღესდღეობით იგივეს ცდილობენ მუსლიმები და ინდუისტები.

გარდა ამისა, ამერიკაში ყველა იმიგრანტი საკუთარი ნება-სურვილით ჩადის და ადრე თუ გვიან მათი ასიმილაცია მოხდება, რადგან ეს თავსმოხვეული კი არა, ბუნებრივი პროცესია. მეორე და მესამე თაობა ხომ ყოველ მიზეზგარეშე შეითვისებს ამერიკულ კულტურასა და ღირებულებებს და 100%-იანი ამერიკელი გახდება.

დამოწმებანი:

Declaration of Independence, 1776.

Himmelfarb, Gertrude. *One Nation, two Cultures*, New York: Knopf, 1999.

Huntington, Samuel P. *Who Are We? America's Great Debate*, Simon&Schaster UK Ltd., 2004.

Kesler, Charles. *The Crisis of American National Identity*, Claremont Institute, 5 December, 2005.

Lipset, Seymour Martin. *The First New Nation*, W.W.Norton&Company, New York, London, 1980.

Menand, Louis. *Patriot games: the new nativism of Samuel P. Hun-*
184

tington, The New Yorker, 17 May, 2004.

Myrdal, Gunnar. *An American Dilemma: The Negro Problem and Modern Democracy*, New

York: Harper & Bros, 1944.

Pachter, Marc. *American Identity, USA: Society & Values*, 2005.

Roosevelt, Theodore. *Theodore Roosevelt on Immigrants and being an American*, 1907.

Schaff, Philip. *America*, New York: C. Scribner, 1855.

Schlesinger, Arthur M. *The Disuniting of America*, New York: Norton, 1998.

Toqville, Alexis de. *Democracy in America*, Ed. and abridged by Richard D. Heffner, Signet

Classic, Penguin Books, N. Y., 2001.

Wolfe, Alan. *One Nation, After All*. Viking, 1998.

ELENE MEDZMARIASHVILI

Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

MAIA GELASHVILI

MA Student, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ABSTRACT

PECULIARITIES OF AMERICAN IDENTITY

The authors of the article address the following questions: how American identity was created; what peculiarities and prospects does it have? What is the American Creed? What common characteristics do Americans share with other peoples and what distinguishes them? The authors argue that the components of American identity have been changing over time and the article's aim is to identify them. The Authors state that two main components of American identity - immigrants and the Creed - do not describe American society any longer. Initially, Americans defined themselves in terms of race, ethnicity, culture and religion; though at the end of the 19th century due to assimilation of a huge

number of immigrants the component of ethnicity lost its importance; after the Immigration Act of 1965 race component was eliminated as well. Therefore, authors emphasize the following peculiarities of American identity:

- Anglo-Protestant culture has been central to American identity since the last decades of the 20th century;
- Americans have no ethnic or ethno-cultural identity as other nations, but “civic” national identity;
- American identity is different from other nations’ identities as it is not connected to one particular location. Homeland for Americans is a set of political principles and institutions, and not a piece of land;
- Protestant religion originated American nation’s distinguished individualism, work ethic;

Authors do not share Huntington’s fears that American diversity threaten American identity; and think that there are much more unifying elements in American traditions and values than separating ones.

In the 21st century American identity has entered a new phase. It has been greatly influenced by foreign attack threats, which turned Americans into even more religious people. Thus, the American Creed has become the main source of American identity again.

TYRUS MILLER

Professor University of California at Santa Cruz

**'THE APPROACH-OF-THE-END-OF-THE-WORLD
FEELING': NEO-BAROQUE AND
POSTMODERNISM IN ROBERT ASHLEY'S
TELEVISION OPERAS**

In his series of television operas following his 1978 work Perfect Lives, Robert Ashley explored the cultural and geographical landscapes of North America through an individualized appropriation and reinscription of the world-view and accompanying aesthetic of the baroque. This essay consider Ashley's work in light of recent media theory utilizing the notion of the Neo-baroque and goes on to discuss Ashley's particular use of allegory and eschatology in his operas, concerns that reveal his creative connections with the conceptual cosmos of the Baroque.

I. Neo-Baroque and Meta-Baroque In her recent book *Neo-Baroque Aesthetics and Contemporary Entertainment*, Angela Ndalianis considers the current corporate entertainment media landscape in relation to the aesthetics of the classical Baroque. In the serial spin-offs of characters and narratives in multiple media, the polycentric proliferation of branches of single “works,” the use of advanced special effect techniques and technologies to dazzle viewers, and the movement of narratives along overlapping planes of reference and allusion, Ndalianis discovers a distinct new phase of the baroque characteristic of the contemporary age. The “neo-baroque” aesthetics she describes are closely related to the economic and institutional organization of present-day media production, in particular, the dense horizontal connectedness of media industries and other commodified domains of popular leisure experience (Ndalianis 2004).

Ndalianis's notion of the neo-baroque implies that industrially produced works of popular culture may exhibit some of the same structural

and semiotic logic typical of avant-garde works of art. Popular culture, she suggests, has already incorporated and outstripped the innovations of the avant-garde, manifesting in even more developed and effective forms supposedly “avant-garde” dynamics of formal inventiveness and productivity. The so-called “television operas” of Robert Ashley—“so-called,” because he managed to produce only a small fraction of the material in television versions—would seem to constitute a ripe example for such a dialectical undercutting of the avant-garde’s cultural capital. Between 1978 and 1994, composer, performer, and video artist Robert Ashley composed a series of operas—including *Perfect Lives* (1978-80), *Atalanta (Acts of God)* (1982-87), *Improvement (Don Leaves Linda)* (1985), *el/Aficionado* (1987), *Now Eleanor’s Idea* (1993), and *Foreign Experiences* (1994), which are linked in a proliferating, labyrinthine set of narrative interconnections that, together, unfold an ever-more complex set of allegorical references. These fit the formal criteria of Ndalians’s neo-baroque, not only because they make explicit use of baroque musical, literary, and imagistic elements—from allusions to Giordano Bruno and Handel’s pastoral opera *Atalanta*, to Calderón’s “la vida es sueño” theme—“remediating” them in a contemporary electronic music and video idiom; but also because they exhibit within a postmodernist avant-garde performance work many of the “neo-baroque” polycentric, serial, and allegorical elements that Ndalians and other commentators like Mario Perniola, who speaks of the neo-baroque as “the Egyptian moment” in postmodern society and art (1995), also discern within popular media culture.

Moreover, Ashley exhibits his interest in establishing correspondences between the classical baroque and the contemporary neo-baroque popular cultural landscape particularly in his choice of visual imagery. Thus, for example, just as Stephen Calloway documented in his *Baroque Baroque: The Culture of Excess* a propensity towards baroque stylization in a wide range of 20th-century fashion and design (1994), so too Ashley has underscored this connection. Thus, on the cover of the recording of his opera *Improvement (Don Leaves Linda)*, his protagonist Linda appears in a Spanish-style Roberto Cavalli outfit, set against a

fake Southwestern landscape, which recalls the baroque ornamentation and foregrounded artifice used by other *haute couture* designers such as Karl Lagerfeld, Vivienne Westwood, and Christian Lacroix. So too, in *Now Eleanor's Idea*, Ashley utilizes the popular baroque aesthetic of low rider car panel and glass paintings as a source of both thematic and narrative material for the opera. And in his video version of an excerpt of *Atalanta (Acts of God)*, which is allegorically a meditation on architecture, one sequence especially emphasizes, through a graphic language of baroque geometry, the visual analogies between historical architecture and industrial designs.

Yet in some crucial respects, Ashley's reinscription of the Baroque is richer and more complex than that which Ndalianis develops on the basis of current culture industry products. For like Latin American and Caribbean writers such as Alejo Carpentier, Severo Sarduy, and José Lezama Lima who developed the neo-baroque concept in the 1950s and '60s (see e.g. Carpentier 2001, Sarduy 1995, Lezama Lima 2000), Ashley's remediation of the Baroque is explicitly intended to characterize a "New World" experience and aesthetic. Ashley's operas conjure up allegorical underpinnings of otherwise banal, contemporary American incidents, characters, and settings, such as the Midwest (*Perfect Lives*), the South (*Atalanta*, in which there is a whole reflection on the Tennessee Valley Authority dam projects of the New Deal era), the Southwest (*Now Eleanor's Idea*, which involves a television report on the low rider community in Chimayó, New Mexico), and California (*Foreign Experiences*, in which the character Don moves to California to teach at a small college and sinks into isolation, madness, and dental disease). Each of these stories explores, at a variety of levels of meaning, typical destinies associated with the larger New World history of conquest, territorial expansion, and ethnic encounters, the same history that established the American regime of hybrid, deterritorialized signs from which Ashley's invention draws its materials. Moreover, unlike Ndalianis's neo-baroque, which describes an existing mode of the American-centered global culture industry, Ashley's use of baroque aesthetics is a more localizing, critical counterpoint to the culture industry.

This can be seen especially in his bitter remarks about his failure to produce the opera *Now Eleanor's Idea* for television as he had intended and as he had promised members of the Chimayó low rider community who assisted him in developing his material: I want to apologize to my many friends in the Low Rider community. I came to you with the idea that this opera was to be made for television. I told you that because I believed I could make it happen. In this I failed. There is only the sound of the opera. And the damage of my failure (and the failure of American television) is more than just the loss of your trust. The opera is designed for television. It is intended to be seen as well as heard. The libretto describes specific images made to be seen. . . . Maybe this will happen someday; the score is not to be changed. Or maybe it will never happen, and the Low Rider will disappear into the mythology of the Hispanic heritage (Ashley n.d., last accessed April 13, 2009).

Hence, in both respects, Ashley retains a connection to the critical edge of the Latin American and Caribbean articulations of the neo-baroque, which were strongly indebted to the modernist and avant-garde legacy, hybridized with and refreshed by indigenous cultural modes, which thus also continue to stand in a critical “New World” relation to the Western culture industry.

II. Allegory

From the work of Walter Benjamin in the 1920s on German baroque drama through later theories of such diverse thinkers as Theodor Adorno, Jacques Lacan, Hans-Georg Gadamer, Frank Kermode, Angus Fletcher, and Paul de Man, the mid 20th century saw a devaluation of the critical fiction of the romantic symbol and a corollary elevation of allegory to a sort of master trope for meaning-eliciting or meaning-positing processes in general, both in language and in nonlinguistic media as well (see e.g. Benjamin 1998, Adorno 1997, Lacan 2006, Gadamer 2004, Kermode 1957, Fletcher 1964, De Man 1983). In his notes and statements about the operas and in structural features of the works, such as titling, Ashley has signaled a parallel, meta-baroque artistic concern with the conditions of possibility and validity of allegory, which brings his protagonists to the edge of visionary insight or paranoid delirium.

(By the term “meta-baroque,” as applied to Ashley’s work, I mean an artistic orientation that does not merely appropriate stylistic or thematic devices from baroque art, literature, or music, but a reflection on historical, ideological, theological, and semiotic nature of the baroque, and on its relation to our contemporary cultural horizon.) A quick perusal of Ashley’s titling of his works and his accompanying texts reveals the degree to which the television operas are explicitly allegorical, with their manifest contents correlated to hidden levels of meaning. To take one of the most striking examples, in Ashley’s opera *Improvement (Don Leaves Linda)*, a husband (Don) abandons his wife (Linda) in a Southwestern vista point bathroom and flies off without her; both Don and Linda begin a wandering itinerary with various new partners that leaves them spiritually transformed. We discover in the notes to the recording that Ashley has provided an elaborate key that establishes its thematic parameters and the allegorical references of its various elements:

THE ALLEGORY

Linda The Jews

Don Spanishness

Now Eleanor America Junior, Jr.

The descendants of Jews and non-Jews (i.e. us)

Mr. George Payne Giordano Bruno

Mr. Payne’s mother The Roman Catholic Church

Tap dancing The Art of Memory

(Ashley 1992) — and so on through a list of 28 characters, objects, or other details of the opera.

A further dimension of allegory that Ashley mobilizes is in the music, with his use of what he calls vocal “characterization,” the keying of certain ranges of pitch and timbre to the characters of the opera, within which, in another redux of baroque musical practice, the performers have substantial leeway to improvisationally realize their parts. Ashley explains: Most important to explain, for me, is the technique of the vocal characterization. In almost every solo or ensemble part, the singer is given a “character defining” pitch (that is, a pitch somewhere

in the singer's range that, understandably, forces a certain "character" to emerge.) Around this pitch the singer can (is asked to) invent vocal inflections (pitch changes, vocal techniques, etc.) that express the intent or meaning of the text. . . . [T]he singer is entirely free to invent the vocal character. This invention can be spontaneous or prepared in advance and in any degree of detail. So, with rare exceptions, there are no written melodies in the operas, and there is a preponderance of empirical decisions found in practice and in rehearsal, collaboration (with and without tears) and spontaneous invention. In short, everybody has invented his or her part (Ashley n.d., last accessed April 13, 2009).

Ashley says that he thinks about his music in a "dramatic" sense. He does not, however, mean this just in the limited sense that he writes works for performance, and there are many ways that his performances are spare and "undramatic" in a traditional sense. Rather, just as allegorized mythologies could allow theological and philosophical concepts to be played out in terms of actions and relations of beings—in Gnostic or kabalistic cosmologies, for example—so too Ashley treats philosophical and spiritual contents through a dramatization of music, word, and image complexes as mytho-musicological characters and stories.

Besides these allegorical structural features, Ashley's operas also *foreground* the mechanism of allegoresis working within the operas, with plots that reflect upon the allegorizing mental operations of his characters as well as general features of image and language that lead to the implication of hidden dimensions of meaning. Thus, a typical remark of Ashley on his compositional thinking is the following remark on his opera *Perfect Lives*, from a lecture at Mills College in 1989: "I started out writing without naming anybody. I was just describing imagery. I realized very soon that if you describe a whole bunch of different images like snapshots, it becomes sort of arbitrary. If you attach those things to a name, even though the name is doing many different things, people connect it in some way" (Ashley 1991: 186). As a corollary to his reflections on how allegories get generated, Ashley also considers how such allegoresis comes to an end, what decisions or mere contingencies halt the potentially infinite generation of new allegorical con-

nections, and what are the existential implications when allegoresis is terminated or fails to find any end. Both the ultimate disappointment of failing to go all the way through a crisis of meaning towards a mystical breakthrough, and the ultimate breakdown of the self into mad fragments and schizoid shards of self-interpreting language to infinity, hover indefinitely around this borderline of terminable and interminable allegoresis. Throughout these operas, Ashley's characters cross this line or stop short of it or lose track of it altogether, thus drawing our attention to the existence of a border that is invisible but complementary with whatever identity "we," as Americans, might be said to construct both individually and collectively.

Ashley's quadrilogy of operas, "Now Eleanor's Idea," exemplifies the allegorical logic and structural principles of much of his work following *Perfect Lives* at the end of the 1970s. The interpretative frameworks of the "Now Eleanor" cycle are, according to Ashley, provided by the four "major religions" of America: Judaism, "corporate mysticism," Spanish Catholicism, and Pentacostal Evangelism, respectively (Ashley n.d., last accessed April 13, 2009). The "Now Eleanor's Idea" sequence thus explores the meaning- and life-organizing systems of religious practice and how they interacted with the American geographical and cultural space. If, however, the operas' individual narratives each allegorically refer to one of the major monotheistic religions, the *names* themselves of the allegorically referenced religions taken together become textual signifiers for their own hidden, composite allegorical meaning, which according to Ashley is the abstract concept of "genealogy" or "How to find out who you are." Ashley has also noted that he drew the operas' conceptual and verbal materials from four basic sources: Francis Yates's writings on Kabbalah and 16th-century hermeticism, writings by and about Carlos Castaneda, *Low Rider* magazine, and business papers such as *The Wall Street Journal* and *Fortune* magazine (Ashley n.d., last accessed April 13, 2009). Within each of the interpretative frameworks established by the four religions of America and in the idioms provided by these vocabulary sources, each of the four operas presents a character who sets out on a quest, passing through a

spiritual crisis, to achieve deeper insight into and transformation of his or her identity. Yet just the use of the same title “Now Eleanor’s Idea” for the whole cycle and for one opera within the cycle, so too the four individual allegories are subordinated to a synthetic “idea.”

As Ashley goes on to explain in the notes for the individual opera entitled *Now Eleanor’s Idea* — Now Eleanor’s idea is that in the modern form of Judaism, Protestantism, Business and Catholicism — the religions of America — all the important things have become as one and the differences have disappeared. This seems wrong. So, when the opportunity presents itself she will be responsible to see if there is a purer form (Ashley 2007).

Moreover, “Now Eleanor”’s own name is, in fact, no more a metonymic sign of her capacity to allegorically represent her own identity as a self-reflexive thought process, as an ongoing process of dissolving personality into ideation and judgment. As Ashley explains: “She noticed, finally, that whenever she thought of herself it was with a tone of caution, if not scolding, as in ‘Now, Eleanor. . .’ So, as a matter of self-respect she dropped the comma and the three dots” (Ashley 2007). “Now Eleanor’s Idea” is, in a sense, the idea of Idea: a sign of the always available, but always problematic capacity of the human mind to proffer names for hidden meanings and experiences and, in turn, to interpretatively correlate meanings and feelings with names whose significance are uncertain or underdetermined.

III. Eschatology

Along with its engagement with allegorical narratives and interpretation, Ashley’s meta-baroque aesthetic also remediates baroque concerns with secular and sacred history and with what Walter Benjamin, in relation to the German baroque drama of the 17th century, called the “total disappearance of eschatology” (Benjamin 1998: 81) All four of the operas in the “Now Eleanor’s Idea” sequence are pervaded by what is characterized in the opera entitled *Now Eleanor’s Idea* with “the-approach-of-the-end-of-the-world-feeling.” However, three of the four would appear to emphasize the retreat or dissolution of a religiously motivated eschatology into features of the modern American lifestyle

and psychology, which is, as it were, the spiritual correlative of the transplantation of Judaism, Catholicism, and Protestantism, the “Three Great Families” as the (individual) opera *Now Eleanor’s Idea* puts it, to the American soil. Thus, in *Improvement (Don Leaves Linda)*, in which the allegory is concerned with the expulsion of the Jews from Spain and — following Francis Yates — the influence of kabbalah on the rise of secular and scientific thought in 17th-century Europe, there is only a precipitate of eschatological foreboding expressed in one of the four songs, “North,” “East,” “South,” “West,” that end the opera. In the song entitled “South (Campo dei Fiori),” which the key tells us allegorically signifies “History,” Ashley draws the line of modern history as a register of persecution, intolerance, and mass violence, spanning from the burning of Giordano Bruno by the Inquisition in the Campo dei Fiori to National Socialism and the atom bombs of Nagasaki and Hiroshima:

Almost unimaginable. Twenty-eight
million, two hundred seventy-eight thousand,
four hundred sixty-six (calculated
simply!) all facing the same way,
arms raised, allow their image to be snapped.
To represent an idea? You can’t
believe they could hold still.

BUT THEY DO.

I try to tell them. I hear others
try to tell the that it’s a big mistake.
It’s unspeakable. A flash of light. Twenty-eight
million, two hundred seventy-eight thousand,
four hundred sixty-six (because it
happened once?) could perish in a flash of light.
They deny that they admit the possibility.

BUT THEY DO.

WHAT COMES NEXT IS

WHAT WAS FIRST, OR SO THEY SAY.

AS FAR BACK AS WE CAN GO.

(AT LEAST ON THIS SYSTEM.)

*NOTICE THAT WE SPEAK OF IT WITH AWE.
AS IF THERE WERE PERFECTION ONCE.
THAT'S NICE. AND AS IF THERE IS RENEWAL.
THAT'S NICE, TOO* (Ashley 1992).

The speaker is the classic baroque melancholic, who examines the shards of the past while helpless to change them; under his hapless gaze, they turn to allegories. Here, the scenes of mass politics and mass death prompt the speaker's anguished question to human beings, alienated from themselves and functioning as signifying elements supposedly embodying in their collectivity a global meaning of history: "To represent an idea?" The eschatological horizon to which the realized allegories of 20th-century mass ideological politics point are, however, as the last lines of the song suggest, perhaps only a regression and termination, expressing a Freudian death-drive to return to a lower state of organization, rather than redeeming the sacrifices and sufferings of history.

This tendency of eschatology to turn to entropy when the European religious world-views flow into the American geography also characterizes the conclusions of *el/Aficionado* and *Foreign Experiences*. *el/Aficionado* concludes with a cessation of happening, but in an end time that is more the interminable waiting of Samuel Beckett than the time of expectation of Saint Paul or his most fanatical 17th-century successors:

The outcome was not clear.

The line went dead, as I have told you.

The waiter appeared almost immediately.

He brought the bill for the food that I had ordered, which was untouched, except for what appearances required.

I don't know how long the scene had lasted.

It was dark outside now. The lights in the café had come on.

And the light was on in the apartment,

as it must have been on from the beginning, in readiness, but unnoticeable in the twilight.

Finally, my attention softened.

I paid the waiter and forgot why I had come.
His indifference canceled the urgency of the past.
I have nothing more to report to you.

I learned long ago that there is never any news (Ashley 1994).

Foreign Experiences, too, is a narrative dead-end, the nihilistic end-time of a place called California. As Ashley explains in the program for the opera:

There is a peculiar, eerie, indescribable loneliness in all of California. It permeates everything. Maybe it's just the water. Maybe there are other places of the same sort in other places on Earth. But California could be special, the place where the early European-American settlers, upon arriving — if they got there, realized they would never get back. California is the end of the earth. That feeling is passed on from generation to generation without anyone recognizing that it is part of them. And it is passed on to the most recent arrivals. Even today in the precious palaces of Malibu, in the vast developments between Los Angeles and San Diego, in the spreading domestic comfort of the San Francisco Bay area it's there. It poisons our movies and TV shows. It generates the most violent and interesting mystery novels. Even now jet travel doesn't cure it. It comes down on you hard when you get off the plane and step outside the terminal. It drives some people mad.

Don Jr. has come to California with his family — Linda and Jr. Jr. — and his friend “N,” to take a job at a small college. They have moved from the Midwest of fractured identities to the world of no identities (Ashley 2006).

It is in the opera *Now Eleanor's Idea*, however, that Ashley gives the most positive treatment of the eschatological theme. The whole introductory section of the opera, which adumbrates the overall arch of the work from the premonition of the end to a redemptive vision-song of the “Seventh Age” that reunites the various religious answers to the eschatological question, also sets up the character Now Eleanor who will embody this redemptive trajectory from sense to song and vision. I will conclude by quoting the opening “paragraph” of the opera that sets her up for this allegorical task, which she will realize by becoming a tele-

vision reporter, going to New Mexico to realize an assignment about the Low Rider community, learning Spanish with miraculous speed and ease, becoming a source of popular wisdom as a call-in host of the show “Now Eleanor’s Idea,” and in the end realizing that “she has been chosen to sing a special song” to the Low Rider community — “the song of the Three Great Tribes” describing their wanderings through “the Seven Ages” (Ashley 2007). This spiritual calling, however, begins in the presentiment of the eschatological horizon, “the Approach of the End of the World Feeling”:

Now Eleanor rarely allows herself to talk.
She is at the nadir of the cycle
That all humans share.
The nadir, Unlike its opposite, has been described.
We can name it, speaking clumsily,
The “Approach of the End of the World Feeling.”
It happens in men every fourteen years.
It happens in women every ten years.
Who knows why this difference should be so great?
On a larger scale it happens to whole
Peoples. We don’t know the time of that scale.
When as individuals or as a culture
We see it and know it’s happening in others,
Most often we ascribe the cause to
A religion different from our own.
So, we can dismiss the anguish that comes
With the feeling. We can laugh it off.
When the feeling comes in our own language,
Our religion, that’s a different fish.
For instance, now, here, where we are,
We are obsessed with the question of
The Approach of the End of the World Feeling.
The question is expressed in language,
And the language is appropriated
Into other modes of thinking, e.g.
Politics, philosophy, et cetera.

All other manifestations of the feeling
Are thought of as pure superstition.
This introduction, brief, will help explain
Now Eleanor to us. She is not. . .
Nuts, or a scientist, but she has
The Approach of the End of the World Feeling (Ashley 2007).

Works Cited

Adorno, Theodor. 1997 [1970]. *Aesthetic Theory*. Trans. Robert Hullot-Kentor. Eds. Gretel Adorno and Rolf Tiedemann. Minneapolis: University of Minnesota Press.

Ashley, Robert.. n.d. Note for *Now Eleanor's Idea*. <http://www.lovely.com/albumnotes/notes1009.html>

———. 1991. *Perfect Lives*. New York: Burning Books.———. 1992. Libretto for *Improvement (Don Leaves Linda)*. Electra Nonesuch 79289-2.———. 1994. Libretto for *el/Aficionado*. Lovely Music LCD 1004.———. 2006. CD note for *Foreign Experiences*. Lovely Music LCD 1008.———., 2007. CD note for *Now Eleanor's Idea*. Lovely Music LCD 1009. Benjamin, Walter. 1998 [1963]. *The Origin of German Tragic Drama*. Trans. John Osborne. London: Verso Press.

Calloway, S. 1994. *Baroque Baroque: The Culture of Excess*. London: Phaidon.

Carpentier, Alejo. 2001 [1953]. *The Lost Steps*. Trans. Harriet de Onis. Minneapolis: University of Minnesota Press.

De Man, Paul. 1983. "The Rhetoric of Temporality." In *Blindness and Insight: Essays in the Rhetoric of Contemporary Criticism*. Minneapolis: University of Minnesota Press. 187-228.

Fletcher, Angus. 1964. *Allegory: The Theory of a Symbolic Mode*. Ithaca, New York: Cornell University Press.

Gadamer, Hans-Georg. 2004 [1960]. *Truth and Method*. Trans. Joel Weinsheimer and Donald G. Marshall. London: Continuum.

Kermode, Frank. 1957. *Romantic Image*. London: Routledge.

Lacan, Jacques. 2006. *Ecrits*. Trans. Bruce Fink. New York: W.W. Norton and Company.

Lezama Lima, José. 2000 [1968]. *Paradise*. Trans. Gregory Rabassa. Normal, Illinois: Dalkey Archive Press.

Ndalianis, A. 2004. *Neo-Baroque Aesthetics and Contemporary Entertainment*. Cambridge: MIT Press.

Perniola, M. 1995. *Enigmas: The Egyptian Moment in Society and Art*. Woodall, C. (trans.). London and New York: Verso.

Sarduy, Severo. 1995 [1972, 1978]. *Cobra and Maitreya: Two Novels*. Trans. Suzanne Jill Levine. Normal, Illinois: Dalkey Archive Press.

ტაიძუს მიღწერი

კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორი (სანტა კრუზი, აშშ)

რეზიუმე

**„სამყაროს დასასრულის მოახლოების განცდა“:
ნეობაროკო და პოსტმოდერნიზმი რობერტ ეშლის
სატელევიზიო ოპერებში**

სტატიაში განხილულია ნეობაროკოს და პოსტმოდერნიზმის ელემენტები რობერტ ეშლის შემოქმედებაში. თავის სატელევიზიო ოპერების სერიაში რობერტ ეშლი იკვლევს ჩრდილოეთ ამერიკის კულტურულ და გეოგრაფიულ პეიზაჟებს ბაროკოს მსოფლმხედველობისა და ესთეტიკის ინდივიდუალური მოდიფიკაციის საშუალებით. სტატიის ავტორი ეშლის შემოქმედებას აანალიზებს მედიის თანამედროვე თეორიის ჭრილში და მიმართავს რა ნეობაროკოს ცნებას, განიხილავს ალეგორიისა და ესქატოლოგიის გამოყენების თავისებურებებს მის ოპერებში, წარმოაჩენს მის შემოქმედებით კავშირებს ბაროკოს კონცეპტუალურ სამყაროსთან.

ირინა სარუნაშვილი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ჯორჯ ბალანჩინი საერთაშორისო შემოქმედების შესახებ

ჯორჯ ბალანჩინის ნოვატორული მნიშვნელობა XX საუკუნის ქორეოგრაფიის განვითარებაში უდავოა. ბალანჩინი, პიკასოსა და სტრავინსკის მსგავსად, განსაკუთრებით ამერიკულ მხატვრულ ცნობიერებაში, XX საუკუნის ხელოვნების საკულტო ფიგურებს მიეკუთვნება. მან გადამწყვეტი გავლენა მოახდინა XX საუკუნის ქორეოგრაფიის განვითარებაზე იმით, რომ კი არ უარყო კლასიკური ტრადიციები, არამედ თამამად განაახლა ისინი, რისთვისაც მან "X საუკუნის პეტიპას" ტიტულით დაიმკვიდრა ადგილი.

1934 წელს ბალანჩინმა შექმნა ნიუ-იორკში ამერიკული ბალეტის სკოლა და სკოლის საფუძველზე დასი "ამერიკან ბალლე". დასს, რომელსაც სახელის რამდენიმე შეცვლის შედეგად 1948 წლიდან დაერქვა "ნიუ-იორკ სითი ბალლე", ბალანჩინი ცხოვრების ბოლომდე ხელმძღვანელობდა და ამ წლების მანძილზე ბალანჩინმა 150 ქორეოგრაფიული დადგმა განახორციელა. 1960 წლისათვის უდავო გახდა, რომ ამერიკას, ბალანჩინის წყალობით, ჰყავს ეროვნული კლასიკური საბალეტო დასი და აქვს მთელ მსოფლიოში ცნობილი რეპერტუარი, ხოლო ამერიკული ბალეტის სკოლაში შეიქმნა შესრულების ამერიკული სტილი. ბალანჩინი კლასიკური საბალეტო სკოლის შესახებ ამბობდა: «Сейчас уже забыли, что классический балет – это совсем не русское искусство, а французское и итальянское... Посмотрите, как танцовщики одеты – это всё вышло из Франции и Италии. И лексикон наш французский. Правда, что русские замечательно этому делу выучились, потому что император давал на балет огромные деньги и выписывал из Европы лучших учителей...». ("ახლა უკვე დავიწყებულია, რომ კლასიკური ბალეტი არა რუსული ხელოვნებაა, არამედ ფრანგული და იტალიური... ნახეთ მოცეკვავეების ჩაცმულობა - ეს ყველაფერი საფრანგეთიდან და იტალიიდანაა გამოსული. და ლექსიკონიც ჩვენი ფრანგულია. მართალია, რუსებმა ეს საქმე შესანიშნავად შეისწავ-

ლეს, რადგან იმპერატორი ბალეტისათვის უამრავ თანხას გამოჰყოფდა და ევროპიდან საუკეთესო მასწავლებლებს იწერდა...” (Волков 2001: 54).¹

ბალანჩინი, რომელმაც რუსული საიმპერატორო ბალეტის კლასიკური სკოლა შეისისხლხორცა, საბალეტო ცეკვის ამერიკული სკოლა და სრულიად ახალი ტიპის საბალეტო სპექტაკლის ესთეტიკა შექმნა. ეს ახალი კონცეფცია იყო მუსიკალური კონცეფცია, რომელიც თავისთავად ჯაზურია. ეს ჯაზური კონცეფცია არა მხოლოდ გერმანიის, არამედ ბახის და ბიზეს მუსიკაზე დადგმულ ბალეტებსაც უკავშირდება. ეს ჯაზურობა შეპარულია, არა ზედაპირული, მაგრამ ის, როგორც რიტმული საწყისი, გამჭოლია ყველა მისი ბალეტის და ბალანჩინში შეიძლება ტიპიურ ამერიკულობად იქნეს მიჩნეული. ბალანჩინმა საკუთარი ხედვა ამ კონცეფციისა ასე გამოხატა: «... сидишь и думаешь: как бы сделать, чтобы движение шло вместе с музыкальной линией, а не за делениями такта. Если в музыке сильная доля, вовсе не нужно, чтобы и в танце был акцент. Смотришь в музыке размер – три четверти, но ведь в нотах это может оказаться и шестью восьмыми. А в свою очередь, шесть восьмых – это не просто ровных шесть долей: там акцент может быть на чётную долю, а может быть – на нечётную. Вот и получается, что когда я делаю па-де-де на музыку Чайковского, не о па-де-де думаю, а о музыке, о Чайковском». ("...ზიხარ და ფიქრობ: როგორ გავაკეთო, რომ მოძრაობა მუსიკალურ ხაზს მიჰყვებოდეს და არა ტაქტებად დაყოფას. თუ მუსიკაში ძლიერი დროა, სულ არ არის საჭირო, რომ ცეკვაშიც იყოს აქცენტი. უყურებ მუსიკაში ზომაა - სამი მეოთხედი, მაგრამ ნოტებში ეს შესაძლებელია ექვსი მერვედი აღმოჩნდეს. და თავის მხრივ, ექვსი მერვედი - ეს არ არის თანაბარი ექვსი ნაწილი: იქ აქცენტი შეიძლება იყოს ლუწ ნაწილზე და შეიძლება იყოს - კენტზე. ამიტომაც გამოდის, რომ როდესაც მე ჩაიკოვსკის მუსიკაზე პა-დე-დეს ვაკეთებ, არა პა-დე-დეზე, არამედ მუსიკაზე, ჩაიკოვსკიზე ვფიქრობ") (Волков 2001: 49).

ბალანჩინის "ჯაზურობა" აიხსნება მუსიკის რიტმების ფეთქებადი ენერჯის ქორეოგრაფიული "გაგონებით", მუსიკის მოსმენით მოძრაობაში "გარღვევებით", მუსიკალური ფაქტურის აქცენტებისა და დინა-

¹ სტატიაში დამოწმებული ყველა ციტატის ქართული თარგმანი ეკუთვნის ავტორს.

მიკის უეცარი შეცვლით. მაგრამ ეს არ უნდა წარმოვიდგინოთ როგორც პრიმიტიული კავშირი მუსიკისა და ცეკვის, არამედ როგორც ქორეოგრაფიული გარდასახვა. ბალანჩინი თვლიდა, რომ მუსიკასა და ქორეოგრაფიას შორის უნდა გაჩნდეს თავისებური კონტრაპუნქტული შეფარდება. საჭიროა რიტმიფორმულების პლასტიკური ტრანსკრიპცია, მათი გარდასახვა ცეკვაში. ერთხელ დასმულ კითხვაზე თუ რა განსხვავებაა კლასიკურ ბალეტსა და ექსპრესიულ ცეკვას შორის, ბალანჩინის პასუხი ასეთი იყო: «Я знаю только хороший и плохой танец. Всё же остальное – только вопрос стиля и техники. Вы можете выразить замысел, танцую босыми ногами или на пуантах. Главное – чтобы у вас было что сказать» ("მე ვიცი მხოლოდ კარგი და ცუდი ცეკვა. ყველაფერი დანარჩენი კი - სტილისა და ტექნიკის საკითხია. თქვენ შეგიძლიათ გამოხატოთ ჩანაფიქრი შიშველი ფეხებით ან პუნტებზე. მთავარია, რომ თქვენ სათქმელი გქონდეთ") (Баланчин 1985: 11). ბალანჩინთან იმპულსი მუსიკაა. მუშაობის დაწყებას ყოველ ახალ ბალეტზე ის ასე აღწერს: «Я узнаю музыку, выбираю её, вслушиваюсь в неё. Вот так и получается – я слушаю, слушаю, и тогда у меня появляется общее представление о том, чего я хочу. Например, чем начать и чем кончить – всё это мне подсказывает музыка. Сколько исполнителей, какие костюмы и т. д. Только музыка организует время». ("მე ვგებულობ მუსიკას, ვარჩევ მას, ვუსმენ. აი ასე გამოდის - მე ვუსმენ, ვუსმენ და მაშინ მიჩდება ზოგადი წარმოდგენა იმაზე, რაც მინდა. მაგალითად რით დავიწყო და რით დავამთავრო - ამას ყველაფერს მუსიკა მკარნახობს. რამდენი შემსრულებელი, როგორი კოსტუმები და ა. შ. მხოლოდ მუსიკა ახდენს დროის ორგანიზებას") (Баланчин 1985: 261).

რუსული წარმოშობის ამერიკელი მუსიკისმცოდნე და კულტუროლოგი სოლომონ ვოლკოვი, რომელმაც 1981 წლიდან დაიწყო ბალანჩინის საუბრების ჩაწერა და გამოაქვეყნა ეს საუბრები, ამბობს: «По-моему, лучше всех значение фигуры Баланчина сформулировал человек, который был его близким другом и, кстати, автором нескольких музыкальных идей для его балетов (именно он предложил использовать Двойной скрипичный концерт Баха для создания Concerto Вогоссо), – Натан Мильштейн, великий скрипач, ученик Леопольда Ауэра. Так вот, Мильштейн сказал замечательно: Баланчин спас балет для XXI века. Он сделал его релевантным для будущего. И

смог это сделать потому (тут кроется замечательный парадокс), что считал музыку более значимой, чем балет». ("ჩემი აზრით, ყველაზე კარგად ბალანჩინის მნიშვნელობა ჩამოაყალიბა ადამიანმა, რომელიც მისი ახლო მეგობარი იყო და მისი რამდენიმე ბალეტის იდეების ავტორიც (მან შეთავაზა ბახის ორმაგი სავიოლინო კონცერტის გამოყენება ბალეტისათვის "Concerto Barocco"). ეს ნატან მილშტეინია, დიადი მევიოლინე, ლეოპოლდ აუერის მოსწავლე, რომელმაც შესანიშნავად თქვა: ბალანჩინმა ბალეტი XXI საუკუნისათვის გადაარჩინა. მან ის მომავლისათვის რელიგვანტური გახადა. და შეძლო ამის გაკეთება იმიტომ (აქ იმალება შესანიშნავი პარადოქსი), რომ მუსიკას უფრო მნიშვნელოვნად თვლის, ვიდრე ბალეტს") (Волков 2001:16). ბალანჩინის ესთეტიკის გასაღები იმის გაგებაშია, თუ როგორ შეეხამება მოძრაობა მუსიკას. მუსიკისა და მოძრაობის სინთეზის თვალსაზრისით განსაკუთრებულია ბალანჩინის და სტრავენსკის თანამშრომლობა. ემიგრაციაში ბალანჩინს ხვდა წილად ბედნიერება ახლო მეგობრობისა მეორე დიად რუსს დევნილთან - იგორ სტრავენსკისთან, რომლისაც ბალანჩინმა ისევე ირწმუნა, როგორც ადრე ლეგენდარულმა მარიუს ჰეტიპამ პეტრე ჩაიკოვსკისა. დაწყებული 1920 წლიდან მთელი ცხოვრების მანძილზე ოცდაათამდე დადგმა განახორციელა ბალანჩინმა სტრავენსკის მუსიკაზე ("აპოლონ მუსაგეტი", "ბანქოს თამაში", "ფერეას ამბორი", "ორფეოსი", "ფასკუნჯი", "აგონი", "კაპრიჩიო", რომელიც სახელწოდებით "ლალი" შევიდა ბალეტში «Драгоценности» და სხვ.) ბალანჩინმა და სტრავენსკიმ სხვადასხვა მიზეზით დატოვეს რუსეთი და მათი მეგობრობა არა მხოლოდ ემიგრაციამ განაპირობა. მათ პეტერბურგული კულტურის ფენომენი აერთიანებს. პეტერბურგმა ორივეს ესთეტიკური და ეთიკური ფენომენალური წრთობა მისცა და ორივე ბოლომდე ამ დიადი ქალაქის ერთგული დარჩა. ბალანჩინის პეტერბურგისა და პეტერბურგული კულტურის ჩანახატი ასეთია: «...там всегда заботились о пропорциях. Был специальный императорский указ, что высота домов не должна превышать ширину улиц ... среди зданий Петербурга вы не найдёте немецких по стилю. Они все элегантны, лёгкие – это стили итальянский или австрийский. ... Этот стиль называется «петербургский ампи́р – элегантны́й, простои́й, изысканны́й. Без претензии, но величественный. Вот что такое Петербург... Петербург, как музыка Моцарта. Петербург – европейский город, который возник в России чудом. И Пушкин – чудо русской литера-

туры: он русский европеец. Чайковский тоже был русский европеец – поэтому он так любил Пушкина; на его сюжеты Чайковский написал три свои лучшие оперы – «Мазепа», «Евгений Онегин» и «Пиковая дама». И, конечно, ещё один пример русского европейца – Игорь Фёдорович Стравинский». ("...იქ ყოველთვის პროპორცი-ებზე ზრუნავდნენ. იყო იმპერატორის სპეციალური განკარგულება, რომ სახლების სიმაღლე არ უნდა აღემატებოდეს ქუჩის სიგანეს ... პეტერბურგის ნაგებობებს შორის თქვენ ვერ ნახავთ გერმანულ სტილს. ისინი ყველა ელევანტურია, მსუბუქი - ეს სტილი იტალიურია ან ავსტრიული. ...ამ სტილს "პეტერბურგულ ამპირს" უწოდებენ - ელევანტური,სადა, ნატიფი. უპრეტენზიო, მაგრამ დიდებული. აი რა არის პეტერბურგი...პეტერბურგი როგორც მოცარტის მუსიკაა. პეტერბურგი ევროპული ქალაქია, რომელიც რუსეთში სასწაულებრივად წარმოიშვა. პუშკინიც რუსული ლიტერატურის საოცრებაა: ის რუსი ევროპელია. ჩაიკოვსკიც რუსი ევროპელი იყო - ამიტომ მას ასე უყვარდა პუშკინი; მის სიუჟეტებზე ჩაიკოვსკიმ სამი საუკეთესო ოპერა დაწერა - "მაზეპა", "ვენი ონეგინი" და "პიკის ქალი". და, რა თქმა უნდა, რუსი ევროპელის კიდევ ერთი მაგალითია – იგორ თევდორეს ძე სტრავინსკი") (Волков 2001:13). საკუთარ თავს კი ბალანჩინი ასე ახასიათებდა: «по крови грузин, по культуре –скорее русский, а по национальности петербуржец. Быть петербуржцем – это не то же самое, что быть русским, таким русаком. Петербург всегда был европейский город, космополитический». ("სისხლით ქართველი, კულტურით – უფრო რუსი, ეროვნებით კი პეტერბურგელი. იყო პეტერბურგელი – ეს არ არის იგივე, რომ იყო რუსი. პეტერბურგი ყოველთვის ევროპული ქალაქი იყო, კოსმოპოლიტური") (Волков 2001: 19). ბალანჩინი მეტყველებდა რუსულად ზუსტად და ნატიფი სისადავით მაგრამ ახასიათებდა აქცენტი როგორც ადამიანს, რომელმაც ოცი წლისა დატოვა რუსეთი და მის შემდეგს, როგორც მინიმუმ, შეჩვეულს სამ ენაზე ელაპარაკა.

ბალანჩინს და სტრავინსკის აერთიანებდა დაუნდობელი დამოკიდებულება როგორც საკუთარი თავის, ასევე საკუთარი შრომისადმი და ამის შედეგია ოსტატობისადმი მათი ქედისმოხრა. ორივეს ჰქონდათ უფლება მიღწეულით ეამაყათ და საკუთარი მწვერვალების მიღწევებიდან დილექტანტიზმი ამოეფრქვათ. კვლავ ვოლკოვს მოვიშველიებ: «Я не балетоман, я поклонник Баланчина. И его балеты готов смотреть беско-

ჰქმნის ბალეტს, მისთვის მნიშვნელოვანია იცოდეს არა სიუჟეტი, არამედ მუსიკის რამდენი ტაქტია საჭირო მისგან ამა თუ იმ სცენისათვის”) (Волков 2001: 53). ბალეტის შექმნის ესთეტიკას ბალანჩინი ჩაიკოვსკისა და პეტიპას თანამშრომლობის ანალიზიდანაც ახდენს: «В “Спящей красавице” масса музыки, целые полотна. Чайковский, может быть, и не хотел её писать, но Петипа от него требовал. Он писал Чайковскому, скажем: нужна музыка коды – живая, девяносто шесть тактов. Или: пение птицы – двадцать четыре такта. Или требовал от Чайковского “общее оживление от восьми до шестнадцати тактов” или вариации какие-нибудь. И вот Чайковский добавлял, вписывал, выкидывал ... Петипа был умный человек – он первый из балетных людей понял, что Пётр Ильич Чайковский был гений» (“მძინარე მზეთუნახავში” უამრავი მუსიკაა, მთელი ტილოებია. შესაძლებელია, ჩაიკოვსკის არც უნდოდა მისი დაწერა, მაგრამ პეტიპა მისგან მოითხოვდა. ვთქვათ, ის წერდა ჩაიკოვსკის: საჭიროა კოდის მუსიკა "ცოცხალი, ოთხმოცდათექვსმეტი ტაქტი. ან: ფრინველის გალობა - ოცდაოთხი ტაქტი. ან ითხოვდა ჩაიკოვსკისაგან 'ზოგად გამოცოცხლებას რვიდან თექვსმეტ ტაქტამდე' ან რაიმე ვარიაციებს. და ჩაიკოვსკიც უმატებდა, ჩაწერდა, შლიდა ... პეტიპა ჭკვიანი ადამიანი იყო - მან პირველმა ბალეტომანებიდან მიხვდა, რომ პეტრე ილიას ძე ჩაიკოვსკი გენიოსი იყო”) (Волков 2001: 56, 57).

ბალანჩინის "XX საუკუნის პეტიპა" იმიტომ უწოდეს, რომ მან ბალეტს საუკუნის დასაწყისში დაკარგული ჰარმონიის და იდეალური სილამაზის განცდა დაუბრუნა, რაც ხელოვნებაში სრულყოფილების მარადიული იდეალების ახლებური გაგება იყო და მომავალში ნეოკლასიკის საფუძველი გახდა. მაგრამ ბალანჩინი არ იყო კლასიკის რესტავრატორი. ის რეფორმატორია, რომელსაც ეპოქის პულსზე ხელი ეჭვია და მან XX საუკუნის საბალეტო ხელოვნების უნივერსალური კანონი შექმნა. კლასიკური მემკვიდრეობის გათანამედროვება, თუნდაც ის მის კუმირს უკავშირდებოდეს, ბალანჩინის ესთეტიკის კიდევ ერთი მძლავრი ნიშან-თვისებაა და ბალანჩინი ამას ასე ხედავს: “Спящая красавица“ вышла у Петипа гениально. Но конечно, если я поставлю ‘Спящую красавицу’, это не будет просто повторение того, что придумал Петипа. У меня будет немножко другой подход, свои идеи. Я посмотрю, что из танцев Петипа годится для наших дней, а что нет. И вероятно, нужно будет сделать разные добавления, сокращения, исправления. Балет

– это не музей, где картина может висеть сто или двести лет. Даже картина нуждается в том, чтобы время от времени её почистить. Если она потрескается – её реставрируют, но в каждом музее есть залы, где люди не задерживаются, только заглянут: “А-а, тут скучно, пойдём дальше“. Балет так выжить не может. Если людям в балете скучно, они перестают покупать билеты. И театр тогда просто исчезнет». (“მძინარე მზეთუნახავი“ პეტიპას გენიალურად გამოუვიდა. მაგრამ, რა თქმა უნდა, თუ მე დავდგამ “მძინარე მზეთუნახავს“, ეს არ იქნება იმის განმეორება, რაც პეტიპამ მოიფიქრა. მე მექნება ცოტა სხვა მიდგომა, საკუთარი იდეები. მე შევხედავ, პეტიპას ცეკვებიდან რა ვარგა ჩვენი დროისთვის და რა არა. და, სავარაუდოთ, უნდა გაკეთდეს სხვადასხვა დამატებები, შემცირებები, შესწორებები. ბალეტი არ არის მუზეუმი, სადაც სურათი შეიძლება ასი ან ორასი წელი ეკიდოს. სურათსაც კი ესაჭიროება დროდადრო განახლება. თუ დაიბზარება - ახლენენ რესტავრაციას, მაგრამ ყველა მუზეუმში არის დარბაზები, სადაც ხალხი არ ჩერდება, მხოლოდ შეიხედავს: “ა-ა, აქ მოსაწყენია, გავაგრძელოთ გზა“. ბალეტი ასე ვერ გადარჩება. თუ ხალხს ბალეტში მოეწყინება, ისინი აღარ იყიდიან ბილეთებს. და თეატრი მაშინ უბრალოდ გაქრება (Волков 2001: 57)“.

ბალანჩინი იზიარებდა არა მხოლოდ ახალ ესთეტიკას, არამედ ახალ ეთიკასაც იმით, რომ ხელოვნებას ანიჭებდა ჰელონისტურ, გასართობ ფუნქციას; განერიდებოდა რომანტიკულ პათოსს; ამტკიცებდა მაღალი ხელობის კულტს. ის იყო ახალი ფორმაციის კლასიკოსი - რჩებოდა ჭეშმარიტი მაღალი ხელოვნების ერთგული, მაგრამ არ უარყოფდა ბაზრის მოთხოვნებს; იყო რეალისტი და არა ცინიკოსი; ღვთაებრივი ნიჭით დაჭილდობილი "გამართობი". ცხოვრებაში სულაც არ იყო გამორჩეული. ბალეტზე საუბრისას საოცრად ერიდებოდა პათოსს. კითხვას, თუ როგორ ჰქმნის, პასუხობდა: "Творит Господь Бог. Я шеф-повар, приготавливающий блюда, приятные публике». ("ჰქმნის უფალი. მე შეფ-მზარეული ვარ, რომელიც პუბლიკისათვის სასიამოვნო კერძებს ამზადებს") (Волков 2001: 70).

დაბოლოება:

Баланчин, Дж. «Танцевальный элемент в музыке Стравинского». *И.Ф. Стравинский. Статьи. Воспоминания*. Сост. Г. Алфеевская, И. Вершинина. М.: Советский композитор, 1985.

Волков, С. *Страсти по Чайковскому: Разговоры с Джорджем Баланчиным*. М.: Независимая газета, 2001.

Друскин, М. *Игорь Стравинский*. Л.: Советский композитор, 1973.

IRINA SARUKHANOVA

Associate Professor, Akaki Tsereteli State University

ABSTRACT

GEORGE BALANCHINE ON HIS CREATIVIY

George Balanchine pioneering importance in the development of choreography of XX century is indisputable. Balanchine, like Picasso and Stravinsky, especially in American literary consciousness, belongs to cult figures of XX art. He made a decisive influence on the development of choreography of XX century by the way that he didn't deny classical traditions, but freely renewed them, and for this action he took place with the title "Petipa of XX century". Based on classical schools Balanchine with discovering new possibilities in the system, could develop and enrich it. In 1993 American Maecenas Lincoln Kirstein offered Balanchine to move to USA and establish ballet company there. In America of that time there were no any traditions of art as classical ballet was only establishing foothold there. The great service of Balanchine was establishment of permanent ballet company which had own repertoire and dancers of the company were students of his ballet school. Since then George Balanchine and second great Russian emigrant Igor Stravinsky became friends. Their semi-centennial friendship created new, American tradition of classical dance by which American ballet epoch and its influence on the development of this art in the worldwide is started. "Petipa of XX century" revived classical choreography and this "neoclassic" became completely compatible to Stravinsky's neoclassical ideals and in masterpieces - "Apollon musagete" and "Orpheus". Their co-authorship resulted inculcation of new ballet esthetics.

This is the abstract ballet expressionist style and it started with ballet “Agon”. Balanchine who became intimately linked with Russian imperial ballet classical school, created American school of ballet and esthetics of new type ballet performance. This new esthetics was music conception which consists of jazz. Balanchine “jazz” is explained with choreographic “hearing” of explosive energy of music rhythms, music accents and sudden change of dynamics. In the article, on the basis of Balanchine own opinions, there is presented esthetics of his creative work.

ენო სურათა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

ამინ არ-რეიჯანის „ხალიდის ნიგნი“ - არაბული თუ ამერიკული ლიტერატურა? | ილია ერთხელ სირიულ-ამერიკული სკოლის ხალხური ილენობის შესახებ

გლობალიზაციისა და მზარდი მიგრაციების ფონზე ქრისტიანული დასავლეთისა და მუსლიმური აღმოსავლეთის შეხვედრის თემამ, საერთო ენის გამონახვისა და მათ შორის დიალოგის შესაძლებლობამ განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში წამოიწია წინ. აღმოსავლურ-დასავლურ პრობლემატიკასთან დაკავშირებით შემუშავდა მრავალი ტერმინი, ცნება თუ თეორია, შეიქმნა მნიშვნელოვანი ლიტერატურული კორპუსი, რომელსაც ინტერკულტურული ლიტერატურა ეწოდა.

მე-20 საუკუნეში მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა და საზოგადოებრივმა ცვლილებებმა, სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენელთა მასობრივმა მიგრაციამ, პოლიტიკურმა გადასახლებამ და რეპატრიაციამ წამოჭრა კულტურათა თანაცხოვრების, ურთიერთობისა და ინტეგრაციის პრობლემა, რამაც თავისი ასახვა ჰპოვა ინტერკულტურულ ლიტერატურაში და ამ ლიტერატურის თემატიკაში, განსაზღვრა მრავალი მწერლის შემოქმედებითი გზა. იმატა მწერალთა რაოდენობამ, რომლებიც ღრობით ან მუდმივად ცხოვრობენ საზღვარგარეთ და ქმნიან ინტერკულტურულ ლიტერატურას უმთავრესად იმ ქვეყნის ენაზე, სადაც ისინი ცხოვრობენ (მუჯირი 2009: 90). ეს პროცესი ღრმად აღიბეჭდა არაბულ მწერლობაშიც. XIX ს-ის ბოლოსა და XX ს-ში „ნაჰდას“ (აღორძინების) პერიოდში დაწყებულმა საგანმანათლებლო მოძრაობამ ევკატესა თუ სირია-ლიბანში და ევროპა-ამერიკის ქვეყნებში არაბთა ემიგრაციამ მრავალი ინტელექტუალი, მწერალი თუ საზოგადო მოღვაწე აზიარა დასავლურ ცივილიზაციას. სხვა საზოგადოებასთან და

კულტურასთან შეხვედრამ საფუძვლიანად განაახლა არაბული მწერლობა და წვლილი შეიტანა მის მოდერნიზირებაში. უცხო ქვეყანაში მიღებული გამოცდილება სპეციფიკურად შემოდის მწერლის შემოქმედებაში, თემათა და მოტივთა არჩევაში. საკუთარ ლიტერატურულ ტრადიციასთან წარმოქმნილ დისტანციასა და უცხო ნაციონალური ლიტერატურის გაცნობა-დაახლოებას მწერალი მიჰყავს ახალ მოდერნისტულ, პოსტმოდერნისტულ და პოსტკოლონიურ სტილამდე და ხშირ შემთხვევაში ეს ფაქტორები აამაღლებს მის შემოქმედებით პოტენციალს. ის ფაქტი, რომ მწერალი, ერთის მხრივ, უცხო გარემოში და, მეორეს მხრივ, უცხო ლიტერატურულ ტრადიციაში იჭრება, განსაკუთრებით, თუ ეს უკანასკნელი დასავლურია, და ამის საფუძველზე უცხო სტილს, მოტივებს, თემებს ეცნობა და თავის შემოქმედებაში შემოაქვს ისინი, მოითხოვს ამ გარემოებისათვის შესაფერის მეთოდურ საფუძველს. აქ გამოგვადგება ჰიბრიდულობის ცნება, რომელიც პოსტკოლონიურ კვლევათა გამოჩენილმა წარმომადგენელმა, ჩიკავოს უნივერსიტეტის ინდური ლიტერატურის მკვლევარმა ჰომი ბჰაბჰამ შეიშუშავა. ბჰაბჰა გოეთესა და საიდის მსგავსად ახალი მსოფლიო ლიტერატურის კონცეფციას ემხრობა. ასეთი პერსპექტივით მწერლობა იქცევა ჰიბრიდულ ლიტერატურულ ადგილად, რომელიც უცხოთა და საკუთარს მოლაპარაკებათა უწყვეტ პროცესში რთავს და მესამე სივრცეს ქმნის. მისი აზრით, ავტორი, რომელიც თავის ნაწარმოებებს არამშობლიურ ენაზე წერს, არც საკუთარი კულტურის ნამდვილი წარმომადგენელია და არც სხვა კულტურასთან მთლიანად ასიმილირებული ინდივიდი. მას გააჩნია მხოლოდ ჰიბრიდული იდენტურობა (Bhabha 2001). გაცხოველებული დისკუსია გაჩაღდა პოსტკოლონიური სკოლის თეორიებსა და იდენტობასთან დაკავშირებულ საკითხებზე XX ს-ის 90-იანი წლებიდან მოყოლებული, თუმცა ამ სკოლის ჩამოყალიბებამდე და "ინტერკულტურულის" გაგების სხვადასხვა კონცეპტის წარმოშობამდე გაცილებით ადრე, თითქმის ერთი საუკუნის წინ სწორედ ბიკულტურალიზმისა და ჰიბრიდულობის იდეას ქადაგებდა სირიულ-ამერიკული სკოლის ცნობილი წარმომადგენელი ამინ არ-რეიჰანი. დიდ მოაზროვნეს და ფილოსოფოსს, ახალ წინასწარმეტყველად მონათლულ ამინ არ-რეიჰანის აღმოსავლეთ-და-

სავლეთის სულიერი სინთეზის იდეა საკუთარი შემოქმედებითი გზის დასაწყისშივე აფიქრებს. "ჩემი სული ლიბანშია, გული პარიზში, ნიუ-იორკში კი ამჟამად სხეულია მხოლოდ ჩემი" – დიდი მწერლის ამ სიტყვებს სირიულ-ამერიკული ლიტერატურული სკოლის ბევრი წარმომადგენელი გაიმეორებდა (გარდავაძე 2007: 109). დაახლოებით ამ სიტყვებს ეხმიანება ცნობილი ჟურნალისტის, მწერლისა და ესეისტის ამინ მაალუფის ამონარიდი წიგნიდან "დამღუპველი იდენტობები": "მას შემდეგ, რაც 1976 წელს ლიბანი დავტოვე და საფრანგეთში დავმკვიდრდი... არაერთგზის მკითხეს: თავს "უძალ ფრანგად" ვგრძნობდი თუ "უძალ ლიბანელად". მეც უცვლელად ვპასუხობდი: "ერთადაც და მეორედაც... ის, რომ მე ვარ მე და არა სხვა, განპირობებულია ჩემი ორი ქვეყნის, ორი თუ სამი ენის, რამდენიმე განსხვავებულ კულტურათა მიჯნაზე ყოფნით. სწორედ ეს ვითარება განსაზღვრავს ჩემს იდენტობას. განა უფრო გულწრფელი ვიქნებოდი მაშინ, თუ ჩემსავე ერთ ნაწილს გავიმეტებდი მოსაკვეთად ?!" (მაალუფი 2007: 13). ცხადია, კულტურული იდენტობის თემას აქტიურად ის ავტორები ეხებიან, რომელთაც თავიანთი ცხოვრებისეული გამოცდილება და ბიოგრაფიული მომენტები აძლევთ ამ ტიპის ცოდნას და ხშირად მათი ლიტერატურული ნაშრომების პროტაგონისტად, შეგნებულად თუ გაუცნობიერებლად, სწორედ თავადვე მოიაზრებიან ხოლმე. ორი სამყაროს – აღმოსავლეთისა და დასავლეთის – შეხვედრის შედეგად წარმოქმნილი კულტურული იდენტობის პრობლემის გადატანა ლიტერატურულ სიბრტყეზე არაბულ მწერლობაში სირიულ-ამერიკული სკოლიდან იღებს სათავეს მე-20 საუკუნის დასაწყისში და დღემდე არ კარგავს აქტუალობას. როგორც მიმდინარეობის სახელწოდებიდან ჩანს, ეს სკოლა ორი კულტურის მატარებელ მწერალთა ჯგუფს აერთიანებდა, მისი წარმომადგენლების აბსოლიტური უმრავლესობა სირია-ლიბანიდან გამოსული მაცხოვრებლები იყვნენ, დიდია მათი დამსახურება არაბული ლიტერატურის განვითარების საქმეში. ემიგრანტებმა განავითარეს არაბული მწერლობისთვის მანამდე უცნობი ფორმები და ჟანრები. მათ მიერ შექმნილ პროდუქციას "Mahjar Literature" (ემიგრანტული ლიტერატურა) ეწოდა (Meisami 1998: 492). ამერიკის კონტინენტზე საცხოვრებლად გადასულმა სირიელმა და ლიბანელმა ლიტერატორებმა აქტიური კულტურული საქმიანო-

ბა გააჩაღეს, გამოსცემდნენ ჟურნალ-გაზეთებს როგორც არაბულ, ისე ინგლისურ ენებზე, ჩამოაყალიბეს ლიტერატურული საზოგადოება "არ-რაბიტა ალ-კალამია" (1920), რომელშიც გაერთიანებულნი იყვნენ ისეთი ცნობილი მწერლები, როგორებიც არიან ჯებრან ხალილ ჯებრანი, მიხაილ ნუაიმე და სხვები. დასავლურ ცივილიზაციასთან ნაზიარები არაბი ინტელექტუალები დიდ ადგილს უთმობდნენ დასავლეთისა და აღმოსავლეთის ურთიერთდამოკიდებულების პრობლემის კვლევას, მატერიალურ და სულიერ სამყაროებს შორის არსებული ბარიერების დაძლევის მცდელობას. ამ უკანასკნელს ანის ან-ნუსუ-ლი არაბული აღორძინების გამოძევევ ერთ-ერთ მიზეზად მიიჩნევს (ქუთელია 2009: 18). არაბ ინტელექტუალთა მოწინავე ნაწილი ისწრაფოდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის მიღწევათა გონივრული სინთეზისკენ. ამინ არ-რეიჰანიც ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, რომლის მთელ შემოქმედებას ლაიტმოტივად გასდევს ამ ორი სამყაროს შერწყმის იდეა. ის თავის ლიტერატურულ დისკურსში ქმნის აღმოსავლეთის სულიერებისა და დასავლეთის მატერიალიზმზე აგებულ მესამე ჰიბრიდულ სივრცეს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აქვე მოვიხმობთ რამდენიმე ამონარიდს რეიჰანის შემოქმედებიდან:

პოემიდან „მე-აღმოსავლეთი“

„მე - აღმოსავლეთი

შენთან, ჭაბუკო დასავლეთო, მოძმედ მოვედი...

მე მაქვს ის, რაც შენ შეძრწუნებულ სულს დაგიაძებს, გულს გაიმთელებს

ურბანიზმის სნეულებათგან..." (თარგმანი გ. ლობჟანიძის, "საბა", გვ. 83)

სტატიიდან “ბრუკლინის ხიდზე”:

ავტორი მიმართავს თავისუფლების ქანდაკებას:

"ო, თავისუფლებაგ, როდის იქცევ პირს აღმოსავლეთისკენ? როდის შეერევა შენი სინათლე ამ გასხვიოსნებულ მთვარეს და იბრუნებს დე-დამიწის გარშემო, რათა გაანათოს ყოველი დაჩაგრული ერის სიბნელე. დადგება მომავალში დღე, როცა თავისუფლების ქანდაკება აღიმართება პირამიდების გვერდით? შენი ტოლი გაჩნდება ხმელთაშუა ზღვაში? ო, თავისუფლებაგ! შესაძლებელია შენი დები დაიბადნონ

დარდანელის სრუტეში, ინდოეთის ზღვასა და ტონკინის ყურეში?"

ამავე სტატიაში რეიჰანი მიმართავს ნიუ-იორკიდან აღმოსავლეთში მიმავალ დატვირთულ გემებს: "წაიღეთ აღმოსავლეთში აქტიური დასავლეთი და უკან მოიტანეთ პასიური აღმოსავლეთი! წაიღეთ ინდოეთში ამერიკის პრაქტიკული სიბრძნის დასტა და უკან მოიტანეთ ინდური ფილოსოფიის ერთი ტომარა მარცვლები. ეგვიპტესა და სირიაში ჩამოტვირთეთ საინჟინრო მეცნიერების ნაყოფი და დაუბრუნდით ამ მიწას არაბულ ღირსებათა სიჭარბით".

1912 წელს ბეირუთში წაკითხული ლექციიდან:

"თუკი აღმოსავლეთი და დასავლეთი ერთმანეთისგან ისწავლის იმას, რაც კარგი და მისაღებია მათ რელიგიაში, ადათ-წესებში, ხელოვნებასა და სამართალში, იმას, რაც ჯანსაღი და ჭეშმარიტია მათ კულტურებში, შეაერთებს მათ და გააერთიანებს, ეჭვგარეშეა, რომ ეს იქნება ერთადერთი წამალი ჩვენი ეპოქის რელიგიური, სოციალური და პოლიტიკური სნეულებებისა და ჩვენ დავენახავთ, რომ დასავლეთი ღმერთს დაუბრუნდება, აღმოსავლეთი კი ცოტა დაშორდება" (El-Enani 2006: 157-58).

თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამინ არ-რეიჰანი სამი კულტურის პირმშოა – ამერიკულის, ევროპულის და არაბულის. მეტიც, არაბულ კულტურამდე ის ევროპულ-ამერიკულიდან მივიდა და საკუთარ თავს მისია დააკისრა - აღმოსავლეთში დასავლეთის ცოდნა შეეტანა და დასავლეთში □- აღმოსავლეთის ფილოსოფია და პოეზია (გარდავაძე 2007: 109).

ამინ არ-რეიჰანი დაიბადა ლიბანში 1876 წლის 24 ნოემბერს, 12 წლის ასაკში ის უკვე ამერიკაში გადასახლდა, იქვე მიიღო დასავლური განათლება და წერაც ინგლისურად დაიწყო. ის აქტიურად ეცნობოდა როგორც ევროპულ, ასევე ამერიკულ ლიტერატურას, 1897 წელს რეიჰანი კოლუმბიის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ჩაირიცხა, მაგრამ ერთი წლის შემდეგ ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო სწავლა მიატოვა და ლიბანში დაბრუნდა. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ რეიჰანი მშობლიური ენის, კულტურის და ლიტერატურის შესწავლით იყო დაკავებული. 1903 წელს მან ინგლისურ ენაზე თარგმნა და ნიუ-იორკში გამოსცა შუა საუკუნეების პოეტ-ფილოსოფოსისა და დიდი მოაზროვნის აბუ-ლ-ალა ალ-მა'არის

პოეზია, ამ დროიდან მოყოლებული რეიჰანი აქტიურ ლიტერატურულ მოღვაწეობას იწყებს. 1905 წელს ის კვლავ სამშობლოში ბრუნდება და 6 წელი განმარტოებით ცხოვრობს ლიბანის მთებში, წერს არაბულად სტატიებს, ესეებს, ნოველებს, პიესებს. 1910 წელს გამოსცა "არ-რეიჰანიათი", წიგნი, რომელმაც რეიჰანი წარმოაჩინა როგორც დიდი მოაზროვნე და ფილოსოფოსი, ეგვიპტურმა მედიამ მას "ფურეიკის ფილოსოფოსი" უწოდა. ეს ფაქტი არაბულ სამყაროში იმთავითვე უმნიშვნელოვანეს ლიტერატურულ მოვლენად იქცა. სწორედ ლიბანის მთებში განმარტოების ჟამს დაიწერა რეიჰანის "ხალიდის წიგნი", რომელიც ავტორმა ნიუ-იორკში დაბრუნების შემდეგ 1911 წელს გამოსცა. (www.ameenrihani.org). "ხალიდის წიგნი" ითვლება პირველ არაბულ (არაბი ავტორის მიერ შექმნილ) რომანად, რომელიც ინგლისურ ენაზე დაიწერა, სწორედ მისით იწყება არაბულ-ამერიკული ლიტერატურის ისტორია. "ხალიდის წიგნმა" გარკვეული გავლენა იქონია ჯებრანის "წინასწარმეტყველსა" და ნუ'აიმეს "მირდადის წიგნზე". ლიტერატურის კრიტიკოსები ვერ თანხმდებიან ბოლომდე „ხალიდის წიგნის“ ჟანრობრივ დეფინიციაზე. "ხალიდის წიგნს" ზოგიერთი კრიტიკოსი არც განიხილავს მხატვრულ ნაწარმოებად, სხვები კი მას უწოდებენ დიდაქტიკურ, ფილოსოფიურ, სასიყვარული, ავტობიოგრაფიულ, განვითარების (Bildungsroman) რომანს; აკადემიკოსი გიორგი წერეთელი რომან-პოემად მოიხსენიებს "ხალიდის წიგნს" (წერეთელი 1945: 75), თავად ავტორი კი ერთ-ერთ ინტერვიუში ფილოსოფიურ ნარატივს უწოდებს მას (Al Maleh 2011: 134).

"ხალიდის წიგნის" კითხვისას აშკარად იგრძნობა ის გავლენა, რომელიც მწერალზე მოახდინა ამერიკულმა ტრანსცენდენტალიზმმა თუ აღმოსავლურმა სუფიზმმა, სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად მიუთითებენ რეიჰანიზე კარლეილის, ემერსონის, თოროს გავლენის შესახებ. სწორედ აქედან გამომდინარეობს "ხალიდის წიგნში" ინტერტექსტუალურ მიმართებათა სიმრავლე. გიორგი წერეთელი სამართლიანად აღნიშნავდა: **“ამინ არ-რეიჰანი ორი მსოფლიოს მიერ წარმოშობილი ნაყოფია, აღმოსავლეთისა და დასავლეთისა. იგი ხარბად ითვისებდა ორივე სამყაროს კულტურულ, შემოქმედებითი მოღვაწეობის პროდუქტებს და ცდილობდა მათ გაერთიანებას თავის არსებაში. ერთი მხრივ, აბუ-ლ-ალა ალ-მა'არრი, მუთანაბი და**

იბნ საჰლი, მეორე მხრივ, ვოლტერი, გოეთე, ბალზაკი, კარლეილი, კიტსი, უოტ უიტმანი და სხვანი. სხვადასხვა სამყაროს ეს სხვადასხვა სიდიდეები როგორღაც თავსდება ერთად ამინ არ-რეიჰანის პიროვნებაში" (წერეთელი 1945: 77). აღმოსავლეთისა და დასავლეთის ასეთმა ცვალებადობამ მწერალს, ისევე როგორც მისი რომანის მთავარ გმირს - ხალიდს ბევრი რამის ერთმანეთთან შედარების და სხვა თვალთ დანახვის შესაძლებლობა მისცა. "ხალიდის წიგნი" სამი ნაწილისგან შედგება, თითოეული მათგანი შეესაბამება ხალიდის ცხოვრების სხვადასხვა ეტაპს. წიგნის პირველ და მეორე ნაწილში მოთხრობილია ხალიდისა და მისი მეგობრის, შაქიბის გამგზავრება ბაალბექიდან ამერიკაში, ხუთწლიანი ცხოვრება ნიუ-იორკში, ახალ ეთნიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ გარემოში ადაპტირება. ეს რთული გზა ნაწარმოებში შედარებულია Via Dolorosa-სთან. ხალიდი სულიერად იტანჯება, ახალ მატერიალისტურ სამყაროში ის ბოლომდე ვერ ინტეგრირდება და ბოჰემურ ცხოვრებაში გადაეშვება. ერთის მხრივ, ის ამერიკაში ხედავს კეთილდღეობას და პროგრესს, მეორეს მხრივ კი - სულიერ სიცარიელეს, რომლის შევსებას ინტელექტუალური განვითარებით ცდილობს. ხალიდი აქტიურად ერთვება ამერიკის პოლიტიკურ ცხოვრებაში, ბოლოს ის ციხეში აღმოჩნდება, საიდანაც მეგობრის დახმარებით თავს იხსნის და ბრუნდება სამშობლოში. წიგნის მესამე ნაწილში ხალიდი გვევლინება როგორც მესია, მაჰდი, რომელიც ხანგრძლივი არყოფნის შემდეგ ბრუნდება, რათა გადაარჩინოს ქვეყანა. მაჰდის მოლოდინი ახალ არაბულ ლიტერატურაში ბევრ კორიფესთან გვხვდება, ეს ტრადიციული კულტურებისთვის დამახასიათებელი ნიშანი უნდა იყოს. ხალიდი სამშობლოში დაბრუნების შემდეგ იგივე გზას გადის, რაც ამერიკაში გაიარა: სულიერი განმარტოება, პოლიტიკური აქტიურობა და დევნა. მამა ათეიზმში დასდებს ბრალს, მარონიტი სასულიერო პირები აღშფოთდებიან ხალიდის მიერ თომას კარლეილის ბუკლეტის თარგმნისა და გავრცელების გამო. ხალიდს სურს დაქორწინდეს ბიძაშვილ ნაჯმაზე, რასაც სასულიერო პირები ეწინააღმდეგებიან. კონფლიქტი მწვავედება და ხალიდს ეკლესიიდან მოკვეთენ, ნაჯმას კი სხვა კაცზე დაქორწინებენ. ხალიდი ტყეში განმარტოვდება და ცხოვრობს, როგორც განდევნილი.

გარკვეული დროის შემდეგ ის კვლავ უბრუნდება საზოგადოებას და იწყებს პოლიტიკურ აქტივობას, ხმამაღლა ქადაგებს აღმოსავლური და დასავლური სამყაროების სინთეზის იდეას:

“ო, დასავლეთის ძლიერო ერებო, მომეცით ცხოვრების მატერიალური კომფორტი და ჩემო აღმოსავლეთო, მომეცი ნება, ვისარგებლო შენი სულიერი მემკვიდრეობით. მომეცი შენი ხელი, ამერიკავ და შენც, აზია! შენ ხარ მიწა საწყისისა, სადაც სინათლე და სული პირველად აღმოცენდა, არ უარყო ის ძღვენი, რომელსაც დასავლეთის ხალხი მოგართმევს და შენ, სიძლიერისა და წესრიგის მიწავ, სადაც მეცნიერება და თავისუფლება უზენაესია, არ განაგლო აისის გულუხვობა” (Rihani 1911: 171).

ხალიდის მიზანია "ევროპისა და ამერიკის სიძლიერეს დაამყნოს აღმოსავლეთის სიმშვიდე, დასავლეთის მატერიალიზმს - აღმოსავლეთის სულიერება...." და ეს იქნება "განთიადი ახალი ცხოვრებისა... მე ავაგებ სულის საკურთხეველს მატერიალიზმის ტაძარში და მატერიალიზმისას - სულისაში. მე ვარ მოქალაქე ორი სამყაროსი და ერთგული ორი სამეფოსი"(რეიჰანი 1911: 165-66).

ხალიდი სულიერი რევოლუციის აუცილებლობაზე საუბრობს. მას უკვე ყველგან იცნობენ, როგორც უცნაური იდეებით შეპყრობილ ადამიანს, რომელიც აცხადებს, რომ ეკუთვნის აღმოსავლეთს და დასავლეთს, ქრისტიანობას და ისლამს და სურს, ამგვარ მოდელს მიჰყვეს ხალხიც: "აღმოსავლეთი და დასავლეთი, მამრი და მდედრი ერთი სულისა, ორი დიადი ნაკადული, რომელიც აცოცხლებს, აძლიერებს, წმენდს ადამიანის სულსა და სხეულს - ორივეს ვუძღერ, ვადიდებ და ვუძღვნი ჩემს სიცოცხლეს, მათ გამო ვიშრომებ, დავიტანჯები და მოგკვდები. ყველაზე განვითარებული ქმნილება არის არც ევროპელი და არც აღმოსავლელი, არამედ ის, ვინც იღებს საუკეთესო თვისებებს ორივესგან - ევროპელი გენიოსისა და აზიელი წინასწარმეტყველისგან" (Rihani 1911: 171).

დამასკოში ომაიანთა მეჩეთში წარმოთქმული ხალიდის სიტყვა წარმოადგენს ნაწარმოების კულმინაციას, ის მოუწოდებს მსმენელებს, გაათავისუფლონ ისლამი ცრურწმენებისგან, რომელიც ასუსტებს მის სიბრძნეს. ხალიდის გამოსვლა ხალხის აღშფოთებას იწვევს... შაქიბის

წყალობით, რომელმაც მეგობარი მეჩეთიდან გააქცია, ხალიდი მხოლოდ მცირე ჭრილობით ხალხის აგრესიულ ბრბოს. თუმცა ეს ფაქტი რწმენას არ უკარგავს ხალიდს, ის ისევ ოცნებობს "აღმოსავლეთის" გამოღვიძებაზე.

ბოლოს ხალიდი პოლიტიკური დევნილი ხდება. ის სახლდება უდაბნოში და ცხოვრობს კარავში ტუბერკულოზით დააბადებულ ნაჯმასთან ნაჯმს (ქმარი ქვეყნიდან გაქცეულა), მის შვილთან, შაქიტთან და ამერიკელ მეგობარ ქალთან ერთად, რომელიც ბოლოს მიატოვებს ხალიდს, ნაჯმასა და მისი შვილის სიკვდილის შემდეგ ხალიდი უდაბნოში უჩინარდება.¹ ნაწარმოების ბოლოს გამოკვეთილი ხალიდის მკრთალი სასიყვარულო ურთიერთობა ამერიკელ ქალთან სიმბოლურად შეიძლება აღნიშნავდეს აღმოსავლეთისა და დასავლეთის ერთიანობის იდეის ჩაშლას. რეიჰანი ორი სრულიად განსხვავებული რელიგიის და კულტურის, აღმოსავლეთისა და დასავლეთის სიყვარულის გზით შეყრის თემას კიდევ უფრო ცხადად ავითარებს მოგვიანებით გამოცემულ მოთხრობაში "ჰარემის კედლებს მიღმა". ეს ნაწარმოები ავტორმა ინგლისურ ენაზე დაწერა 1917 წელს; მოთხრობა ამავე წელს ითარგმნა არაბულად აბდულ მასიჰ ჰადდადის მიერ და გამოიცა ნიუ-იორკში. საფიქრებელია, რომ სასიყვარულო ურთიერთობის მეტაფორა, რომელიც XX ს-ის არაბულ ლიტერატურაში ერთგვარ ნორმად იქცა აღმოსავლეთ-დასავლეთის თემატიკაზე შექმნილ რომანებში, სწორედ რეიჰანის შემოქმედებიდან და აღნიშნული ნაწარმოებიდან იღებს სათავეს, თუმცა ეს ფაქტი, ალბათ, მოთხრობის ნაკლებად პოპულარიზაციის გამო, სამეცნიერო კრიტიკას ხშირად ყურადღების მიღმა რჩება.

"ხალიდის წიგნის" დასასრული, ისევე როგორც ზემოხსენებული მოთხრობის გაორებული ფინალი² ისეთ შთაბეჭდილებას გვიტოვებს,

1 სიყვარულის მოდელი, რომელიც საზოგადოებისთვის მიუღებელია, იწვევს მის ტრაგიკულ დასასრულს - მიჯნური, რომელიც ასოციალური ხდება, ერიყება საზოგადოებას და გაიჭრება უდაბნოში, უდაბურ ადგილას. საბოლოოდ, მას კლავს ეს გრძნობა. სიყვარულის ეს კონცეფცია არაბულ ლიტერატურაში ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში ჩნდება (უზრითი დახალისი სახით) და მოგვიანო სპარსულ და თურქულ ლიტერატურაში სუფიურ შეფერილობას იძენს.

2 1935 წლის გამოცემაში ამინ არ-რეიჰანიმ მოთხრობის ფინალი შეცვალა მთავარი გმირის სასიკვდილო ფინალის ნაცვლად ჯიჰანი, მოთხრობის მთავარი გმირი ქალი, შეცვლილი გვარსახელით სტამბოლის გარეუბანში ზრდის ვაჟს - აღმოსავლეთ-დასავლეთის წარუმატებელი სიყვარულის ნაყოფს, როგორც იმედს უკეთესი მომავლისა.

რომ აღმოსავლეთ-დასავლეთის ერთმანეთთან დაახლოების გზები თავად ავტორისთვისაც, ცოტა არ იყოს, ბუნდოვანია. კონფლიქტის ერთმნიშვნელოვან გადაწყვეტას იგი ვერ სთავაზობს მკითხველს.

ამრიგად, არ-რეიჰანის "ხალიდის წიგნი" ინტერკულტურული ლიტერატურის შესანიშნავი ქმნილებაა, მწერლური ოსტატობით შექმნილი ფილოსოფიური ნააზრევი. ის არის ჰიბრიდი, ნაყოფი რამდენიმე კულტურის, ლიტერატურული ჟანრის შერწყმისა. "ხალიდის წიგნის" გამოსვლიდან ერთი საუკუნე გავიდა და ის დღემდე ინტერესით იკითხება, რადგან მასში დასმული აღმოსავლეთ-დასავლეთის პრობლემატიკა დღემდე აქტუალობას არ კარგავს.

დამოწმებანი:

გარდავაძე, დ. "აღმოსავლეთის და დასავლეთის შეხვედრა ახალ არაბულ მწერლობაში (ამინ არ-რეიჰანის "ჰარემის კედლებს მიღმა", იაჰია ჰაკკის "უმე ჰაშიმის კანდელი)". ი. რატიანი (რედ.), ლიტერატურულ-თეორიული ჟურნალი სჯჯანი, №8. თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2007.

მაალუფი, ამინ. დამღეუპველი იდენტობები. თარგმანი ფრანგულიდან - დოდო ლაბუჩიძე-ხოფერია. თბილისი: გამომცემლობა "იმპრესი", 2007.

მუჯირი, ს. "ინტერკულტურული ჰერმენევტიკა და თანამედროვე გერმანულენოვანი ლიტერატურა." ი. რატიანი (რედ.), ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები (II საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები). თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2009.

ქუთელია, მ. არაბული რომანტიზმი. თბილისი: გამომცემლობა "მწიგნობარი", 2009.

წერეთელი, გ. "ემინ რეიჰანი". მნათობი №6, 1945.

Al Maleh, Layla. "The Literature Parentage of The Book of Khalid: A Genealogical Study". Paul Jahshan (ed.), *100 Years of Selected Writings on Ameen Rihani's The Book of Khalid*. Platform International Washington, D.C, 2011.

Bhabha, Homi K. *The location of Culture*. London/New York: Routledge, 2001.

El-Enani, Rasheed . *Arab Representations of the Occident, East-West Encounters in Arabic Fiction*. London/New York: Routledge, 2006

Meisami, Julie Scott and Paul Starkey (eds.). *Encyclopedia of Arabic Literature*, vol. 2, London/New York: Routledge, 1998.

Rihani, A. *The book of Khalid*. New York: Doad, Mead and Company, 1911.

NINO SURMAVA

PhD Student, Ivane Javakhishvili Tbilisi StateUniversity

ABSTRACT

AMEEN RIHANI'S "THE BOOK OF KHALID": ARABIC OR AMERICAN LITERATURE?! ONCE AGAIN ABOUT CULTURAL IDENTITY OF THE SYRIAN-AMERICAN LITERARY SCHOOL

Issue of cultural identity represents one of the most important subjects of the modern Arabic literature. And this is natural for people, who were under foreigners' dominion for many years. Interestingly enough is the fact that in works of art such themes usually are chosen by the writers, who acquire such type of knowledge through their own experience and due to their biographic moments and frequently they, either consciously or unconsciously, used to identify themselves with protagonists of their literary works. Such literary works mostly are about the problems of mutual perception of the East and the West.

The article deals with the problem of cultural identity of the Syria-American Literary School. It examines Ameen Rihani's "The book of Khalid"- first Arabic Novel written in English- as a hybrid , product of more than one culture and one literary genre, it remains Rihani's chief work written in English, the offspring of both-Arabic and American Literature.

ELISO PANTSKHAVA

Teacher, Akaki Tsereteli State University

“A STREETCAR NAMED DESIRE”: THEMES AND SYMBOLS

“A Streetcar Named Desire”, one of the most outstanding samples of XX c. American Drama is a play of emotions. According to Lewis, “Williams' characters are unhappy and vulnerable people, escaping from harsh reality into the world of fantasy”. (Lewis 1962: 98) Jones calls Williams "a poet of decay", a herald of "New South", where the former aristocrat cherish the ideals of beauty and refinement. "A Streetcar" unfolds the world of broken dreams, poetic visions, animal sexuality and perversion. Though Harold Clerman defies the scope of Williams' creativity so that representing his plays as a mere private drama of the week, frustrated and pervasive. Moreover, he traces social elements behind the psychological conflicts. Gassner regards a psychological and not a social aspect to be the driving force of Williams' drama, highlighting the authors' aspiration towards intensive symbolism, theatrical effects. He describes Williams as an “aesthete, charmed by the raw material of life“. (Gassner 1955:85)

Williams creates a play, where social factors, psychological collapse and erotic conflicts motivate the characters to seek shelter in the world of fantasy. There is clash of everything and everyone, a clash between old and new, civilization and brutality, fragile old-fashioned values and modern aggressive industry. Blanche, a key character of the play, is a descendant of an aristocratic Southern family. She is disgusted by the world of Stanley Kowalski and is doomed for failure and despair in this crude environment. It is noteworthy that Williams himself is free from a "complex of Southerner" – he doesn't mourn about the lost glory of South, neither does he idealize the world of plantations, but the descendants of these world are the people, who possess delicacy of senses, spiritual

refinement and fading beauty. Blanche not only finds Stanley's world repulsive, she is lost in there. There is no place for her in modern times – decay and slow death - that's the fate of the Southern aristocracy. Delicacy of her feelings makes Blanche an unwelcomed guest in a home of "an ordinary man". Blanche and Stanley turn into the symbols of "the South" and "the commoner". Stanley is a perfect animal who despises and neglects ideals of beauty and humanism. Clerman points out that people like Stanley create a fertile soil for the development of fascism, if we regard the latter as a state of being, not as a political trend. The clash of these two antagonistic characters reveals the main themes of the play, such as illusions vs. reality desire vs. death, old vs. new.

A primary theme of the play is illusion versus reality. Every action and every word at Blanche's mouth is based on illusion. The only positive time of her life was when she was young and "happily" married. Blanche is determined to recreate this time, her youth. Not only does Blanche shroud the people around her in illusion, she attempts to shroud her own memories and her mind, but illusion is hard to keep up and Blanche is at the end of her strength. When her strength wears out, there is no safe place for her: not their out in the world, not in her mind. When reality comes crashing down on her, Blanche has no choice but to go insane.

As her opposite, Stanley sticks to reality. He has neither imagination, no use for living in an illusion. He has no patience for Blanche's desire to live in a make-believe world. As Blanche uses illusion to survive, Stanley uses brutal force - his words, moves, actions are decisive and forceful. Stanley does anything he can to unravel the illusion Blanche presents. By the end of the play both Stella and Mitch have to choose between Blanche and Stanley - they are given the opportunity to side with either illusion or reality. Both choose reality, or more correctly, what they think reality is.

Another leading theme is desire vs. death. The audience and the readers are given an early clue to this theme when Blanche in scene I describes the directions she was given to reach her sister's house: "They told me to take a streetcar named Desire, and then transfer to one called

Cemeteries and ride six blocks and get off at Elysian Fields". (Williams 1998: 9).

The path that Blanche has taken to get to Stella and Stanley's represents a downward spiral of her life: desire leads to death and the after-life. It's the same downfall that befell her husband: his desire led to his suicide. Blanche's journey to Elysian Fields, represents many deaths: it's her own degradation from refined southern lady to broke and mentally ill, it's her demise from a huge plantation to a cot in a one-bedroom lower class apartment, everything leads to a symbolic death for Blanche. Living the truth is death for her.

Blanche has been surrounded by death and desire for years. Her first husband shot himself, her home was lost through the "desires" of her ancestors, family members have "been on parade" to the graveyard. She lost her job because of an affair with a student and she doesn't deny rumors of entertaining men at a cheap hotel.

Anyway, Blanche is not the only character who lives face to face with Desire and Death. Stanley has a cavalier attitude towards death. He believes in his own ability to make things happen, to keep himself alive, like he did in Salerno battle.

It's definitely clear that Stanley functions on desire. Everything about him suggests that sexual fulfillment is the centre of his life. The playwright emphasizes this in the stage direction that accompanies Stanley's first appearance: "Animal joy in his being is implicit in all his movements and attitudes". (Williams 1998: 5).

The moment when Stanley utters a primal scream on the porch after hiltling Stella is intensely charged with passion. An the most interesting thing about this moment is how clearly Stella is attracted to Stanley's behavior and attitude. She is not put off by his desire, and in turn has desires of her own. This is what Blanche finds most shocking: "What you are talking about is brutal desire - Just Desire!" (Williams 1998: 20).

While Stella seems, to have the same level of desire as Blanche, she has no apparent association with death, Moreover, she's expecting a baby that means she will actually bring life into the world as the outcome of her desire.

The next theme is old versus new, whether that's Old America versus New America, old south versus new south, the dying aristocrat versus the rising industrial working class, or pastoral sensitive past versus harsh straightforward brutal present, Blanche is all about the past in this opposition. We learn about her own past- the fake version and then the real one, Stanley has no past. We know he was a soldier, but that's all. He lives in present and with present. In this clash Blanche not only has to battle Stanley, she has to battle her own self. She tries to recreate and suppress her past, to create a new version of herself in the present when she dates Mitch, but her past takes its revenge. Living in present provides Stanley with vital strength, whereas Blanche's power of enchanting men, her look, charms belong to the past.

Symbolism abounds in the play. It's a mistake to think of these characters, and for that matter the play, too realistically. Williams has enhanced every syllable, every name, every action with meaning. One of the key issues in Williams' creative work is a symbolic language of the author. Stage effects acquire a particular significance. Everything - light illumination, decoration and music helps us to penetrate within spiritual, psychological and inner world of characters. "The plastic theatre" of Williams is not confined to visual structures. Its sensuous symbols also embrace sound patterns: words, music, and aural effects. Lets just discuss some samples of such imagery.

Let's begin with colors. "When people are soft they've got to put on soft colors, the colors of butterfly wings, and put a paper lantern over the light" - says Blanche. For her white is a dominant symbol, Blanche's name means "white" in French, when she makes her first appearance in the play Williams specifically mentions that she wears a white suite, pearl earrings, white gloves which makes her look like a moth. White brings direct association with purity, that's how Blanche wants people to think about her, that's what she really is, despite all the immorality of her past life.

In scene nine she is dressed in a scarlet satin robe. The color red symbolizes love, passion and fertility on the positive side, but also fire

and blood on the negative one. As Becker mentions, "it is the first time that her outer appearance actually matches her intentions. She is meeting Mitch in this scene and her dress certainly shows the seductress in her.

Stanley's tendency concerning colors is the exact opposite of Blanche's. He and his friend mainly wear blue or green. The color blue representing strength and authority, the color of masculinity, which clearly matches Stanley's character.

The symbol of light is one of the key images of the play. Blanche makes a big deal out of never being seen in direct light. She uses a paper lantern like a shield to block out the strong light of the naked bulb in the Kowalski apartment. The obvious conclusion is that she's getting older and doesn't want anyone to see it. Mitch says: "I don't think I ever seen you in the light... What it means is I've never had a real good look at you". (Williams 1998: 45). Anyway, there is more to this - Blanche is ashamed of her past, desperately trying to hide it from Mitch. It is possible that she's manifesting this desire to hide in a physical way.

There is another layer of meaning as well. While talking about her former husband Allan, Blanche describes falling in love as though "you suddenly turned a blinding light on something that had always been half in shadow, that's how it struck the world for me" After his suicide "the searchlight which had been turned on the world was turned off again and never for one moment since has there been any light that's stronger than this-kitchen-candle". Love illuminated the world for her, with her husband's death the world sank in darkness again. Here comes the symbol of a paper lantern - shielding the harsh light isn't just about blocking Blanche from the plain view of the world - it's also about blocking the world from Blanche's eyes. She doesn't want to deal with reality. Blanche also uses light imagery to describe the benefits of poetry, music and art - in contrast to what she considers to be Stanley's primitive nature. She tells Stella, "There has been some progress since then! Such things as art - as poetry and music - such kinds on new light have come into the world since then! In this dark march... don't-don't hang back with the brutes!" (Williams 1998: 20). And the last aspect of light imagery is associated with Stanley - he describes the sex with Stella as "having

them colored lights going", so whereas light is a form of love for Blanche, it's innuendo for sex for Stanley - Blanche's light is white, whereas Stanley imagines light colored.

Music plays an important role in "A streetcar", as it appears in almost every scene and stresses the atmosphere in a very distinct way. There are two main types of music used in the stage directions: the blue piano and the Varsouvianka polka. The blue piano stands for depression, loneliness and Blanche's longing for companionship and love, but also her hope, as the scene with the paper-boy shows. In a final scene, when the luxurious sobbing, the sensual murmur fade away under the swelling music of the blue piano and the muted trumpet, the blue piano, accompanying the card game symbolizes Stanley's victory over Blanche. The Polka appears when Blanche is being confronted with her past and the truth, or when she talks about Allan, as exactly this polka had been played when the later committed suicide. The polka represents death and immanent disaster. Williams also makes use of animalistic images in the play. He often describes certain characters as being animal-like. Blanche is frequently associated with a moth. According to Lipffert the butterfly was the most well-known symbol for the Resurrection and as Thompson claims, for antiquity the butterfly was a representative for the soul. Therefore, Blanche's journey can be regarded as the journey of her soul. In contrast to Blanche, Stanley displays brutal and wild behavior - "He acts like an animal, has an animal's habits! Eats like one, moves like one, talks like one! There is something ape-like about him". (Williams 1998: 19). Indeed, "Stanley shares the characteristic features of an ape-mobility, intelligence, deceit, the drive to imitate, quarrelsome stinginess and lasciviousness". (Griffin 1995:104) The latter especially matches Stanley's character, as it can be detected in his love for wild sex, and his raping Blanche. Comparing Stanley with an ape Williams builds up a link to the jungle, which his habitat really is.

Williams makes excessive use of symbols in this play. He introduces most of them in the first scene, obviously, to create a certain atmosphere and to give the reader a deeper insight into the characters from the beginning.

Summing up, "A Streetcar Named Desire" is an intricate web of complex themes, contradictory natures and multiple symbols. Williams infuses Blanche and Stanley with the symbols of opposing class, differing attitudes towards sex and love, then steps back as the power struggle between them ensues. There are no clear cut lines of good vs evil though, no character is either completely good or bad, as the main characters, especially Blanche, are themselves internally torn by conflicting and contradictory desires and needs. As such, the play has no clear victor, every one loses something. In a larger sense, Blanche and Stanley, individual characters as well as symbols for opposing classes, historical periods and ways of life, struggle and find a new balance of power, not because of ideological rights and wrongs, but as a matter of historical inevitability.

Works Cited

- Gassner, I. *The Theatre of Our Times*. NY: Crown Publishers, 1955.
Griffin, A. *Understanding Tennessee Williams*. Columbia: University of South Carolina Press, 1995.
Lewis, A. *The Contemporary Theatre*. NY: Crown Publishers, 1962.
Williams, T. *A Streetcar Named Desire*. New York: Signet Classics, 1998.

ელისო ზანცხავა

მასწავლებელი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის

რეზიუმე

ტენესი უილამსი „ტრამვაი, სახელად „სურვილი“:
თემატიკა და სიმბოლიკა

ტენესი უილამსის „ტრამვაი, სახელად სურვილი“ XX საუკუნის დრამის თვალსაჩინო ნიმუშია. იგი ასახავს კონფლიქტს ძველსა და ახალ სამყაროს შორის, მყიფე ძველმოდური ფასეულობებისა და აგ-

რესიული თანამედროვე ყოფის შეჯახებას. ბლანში, არისტოკრატიული სამხრეთელი, დალუპვისთვისაა განწირული სტენლი კოვალსკის სამყაროში და თავშესაფარს ფანტაზიის სფეროში ეძებს. ნაწარმოების წამყვან თემადაც სწორედ წარმოსახვისა და რეალობის დაპირისპირება გვევლინება. ბლანშისაგან განსხვავებით, სტენლი რეალობის პირშია - თუ ბლანში ფანტაზიას მიმართავს, რათა გადარჩეს, სტენლისათვის უხეში ფიზიკური ძალმომრეობა ქცეულა თვითდამკვიდრების იარაღად. შემდეგი ძირითადი თემა სურვილსა და სიკვდილის შეპირისპირება გახლდათ, რომელიც ნაწარმოების პირველივე სცენაში გამოიკვეთება - გზა, რომელიც ბლანშმა სტელასა და სტენლის სახლამდე განვლო, ილუსტრაციაა იმისა, რომ სურვილს სიკვდილამდე მივყავართ. ბლანშისათვის სურვილიც და სიკვდილის თემაც ნაცნობი და მშობლიურია (ქმრის თვითმკვლელობა, ფუქსავატი ნათესავების მიერ გაფლანგული ქონება, გარდაცვლილი ახლობლები, თავად ბლანშის აღვირახსნილი ცხოვრება).

სტენლი სიკვდილს არ უფრთხის, განსხვავებით ბლანშისაგან, ხოლო სურვილი მისი მთავარი მამოძრავებელი ძალაა, მისი ცხოველური ბუნების გამოხატულება. მესამე ძირითად თემად ძველი და ახალი ამერიკის შეპირისპირება გვევლინება, რომლის სიმბოლოსაც ბლანში და სტენლი წარმოადგენენ.

პიესაში ჭარბად ვხვდებით სიმბოლიკას: ფერები, განათება, დეკორაციები, მუსიკა - სასცენო ეფექტთა მთელი ეს ერთობლიობა გვეხმარება, ჩავწვდეთ მთავარ პერსონაჟთა სულიერ და ფსიქოლოგიურ სამყაროს. უილიამსის „პლასტიკური თეატრი“ მხოლოდ ვიზუალურ ეფექტებს არ სჯერდება. სიმბოლურია პერსონაჟთა სახელებიც - ბლანშის შემთხვევაში ეს ფერთა სიმბოლიკას ეხება. შეუქჩრდილთა თამაში პიესის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია მუსიკალური თემებიდან პიესაში გამოიყოფა ორი ძირითადი თემა: "the blue piano" და "the Varsouvianka polka", რომლებიც გმირთა კონკრეტული მდგომარეობის კამერტონს წარმოადგენს. ასევე ხშირია ანიმალისტური სიმბოლიკა სტენლისთან მიმართებაში.

მურმან ქეთელი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

გ. წერეთლის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის მკვლევარი

არაბი მწარლავი ამერიკის შავრთავალ შტაბავში

XIX საუკუნის დასასრულიდან სირია-ლიბანიდან მასიური ხასიათი მიიღო მოსახლეობის ფართო მასების ემიგრაციამ ამერიკის კონტინენტზე, განსაკუთრებით კი აშშ-ში. მანამდე კი, XIX ს-ის 80-იანი წლებიდან ძირითადად საზოგადოების პროგრესულად განწყობილი ადამიანები საცხოვრებლად და სამოღვაწეოდ გადადიოდნენ ეკვიპტეში თურქთა სულთნის აბდ ალ-ჰამიდ II დიქტატორული რეჟიმის გამო. აშშ არაბთა უმრავლესობას ესახებოდა ალთქმულ ქვეყანად, სადაც შეიძლებოდა თავისუფალი ცხოვრება, ქონების დაგროვება, შემდეგ კი სამშობლოში დაბრუნება.

ამ მასობრივ ემიგრაციას, რა თქმა უნდა, ჰქონდა თავისი გამომწვევი მიზეზები. დავიწყოთ ცოტათი შორიდან.

არაბული სამყაროსთვის XIII-XVIII სს. ცნობილია დაცემის ხანად როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიკურად და კულტურულად. XVI ს-დან ეს დაცემა კიდევ უფრო გაძლიერდა, რადგან არაბული ქვეყნების უმეტესობა, მაროკოსა და არაბთა ნახევარკუნძულის შიდა ნაწილის გარდა, დაიპყრეს თურქებმა და შევიდა ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში, რომელთა ბატონობა აქ თითქმის პირველი მსოფლიო ომის დამთავრებამდე გაგრძელდა. შემდეგ დგება 1798 წელი, როცა ეკვიპტეზე ილაშქრებს ნაპოლეონ ბონოპარტე. თითქოს ანლა აღმოაჩინესო არაბული აღმოსავლეთი, იწყება დასავლეთის მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნების სულ უფრო მზარდი დაინტერესება არაბული ქვეყნებით. დასავლეთის ქვეყნებმა ნედლეულის წყაროების და გასაღების ბაზრების ძიებაში თანდათან წაართვეს თურქ-ოსმალებს რიგი არაბული ქვეყნებისა და გადააქციეს ისინი თავიანთ კოლონიებად ან ნახევარკოლონიებად. მაგალითად, ეკვიპტეში XIX ს-ის II ნახევარში გაბატონებული მდგომარეობა ინგლისელებმა დაიკავეს, ხოლო სირიასა და ლიბანში, მიუხედავად იმისა, რომ ტერიტორიული

სიახლოვის გამო თურქთა გავლენა და ბატონობა ძლიერი იყო, დასავლეთის ქვეყნებმა, განსაკუთრებით კი ჯერ ფრანგებმა და ინგლისელებმა, ხოლო მოგვიანებით აშშ-მ მოახერხეს ფენის მოკიდება და თავიანთი გავლენის გაძლიერება.

XIX ს-ის II ნახევარში არაბულ ქვეყნებში ევროპელთა გამოჩენის შედეგად დაიწყო სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარება. ამასთანავე ადგილობრივ კუსტარულ პროდუქციას არ შეეძლო კონკურენცია გაეწია ევროპული ქარხნული იაფი პროდუქციისთვის, რასაც ქალაქად მოყვა მოსახლეობის, უპირატესად, ხელოსნების მდგომარეობის გაუარესება, ხოლო სოფლად ნატურალური გლეხური მეურნეობის დაშლა და კაპიტალისტური ურთიერთობის ცალკეული ელემენტების ჩასახვა, პარალელურად სოფლის მეურნეობის დაცემა და გლეხთა დაბალი ფენების გაღატაკება. მოსახლეობის ეს ნაწილი ცდილობს გაჭირვებას თავი დააღწიოს, მისიონერებისგან ბევრი ესმის ევროპისა და ამერიკის შესახებ, სადაც ადამიანები თითქოს ეკონომიკურად უზრუნველყოფილნი არიან. ამას ემატება იმპერიაში შემავალი ხალხებისთვის (განსაკუთრებით თურქეთთან უშუალოდ მოსაზღვრე ქვეყნებისთვის) სულთან აბდ ალ-ჰამიდ II მმართველობის (1876-1909) დესპოტური რეჟიმი, როცა მძევნვარებდა ცენზურა, იდეენებოდა ყოველივე პროგრესული, შეფენრდა აღმავლობის პროცესში მყოფი საგანმანათლებლო მოძრაობა და მრავალი სხვა.

ასე რომ სირია-ლიბანში მისიონერთა აქტიურმა საქმიანობამ, დასავლეთის ქვეყნების მზარდმა გავლენებმა, მოსახლეობის ფართო მასების მძიმე ყოფითმა პირობებმა, სულთან აბდ ალ-ჰამიდის დროს შექმნილმა მძიმე, დესპოტურმა პირობებმა განაპირობა მოსახლეობის პროგრესული ნაწილის გადასვლა ეგვიპტეში, მოგვიანებით კი მოსახლეობის სხვადასხვა ფენების მასიური ემიგრაცია ამერიკის კონტინენტის სხვადასხვა ქვეყნებში, განსაკუთრებით ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც იქმნება დიდი არაბული დასახლებები.

ემიგრანტთა მოწინავე, განათლებულმა ნაწილმა აქტიური კულტურული საქმიანობა გააჩადა, განსაკუთრებით ლიტერატურის დარგში. ისინი გამოსცემდნენ ჟურნალ-გაზეთებს როგორც არაბულ, ისე ინგლისურ ენებზე. ამ გამოცემებმა ნიადაგი მოუმზადა ლიტერატურული საზოგადოებების ჩამოყალიბებას. ესენია „არ-რაბიტა ალ-კალამია“

(1920 წ.) - აშშ-ში (ნიუ-იორკი), „ალ-უსბა ალ-ანდალუსია“ (1931 წ.) - ბრაზილიაში და „არ-რაბიტა ალ-ადაბია“ (1939 წ.) - არგენტინაში. ამ საზოგადოებებში თავმოყრილი იყო ემიგრანტთა საუკეთესო ნაწილი. დასახელებულ საზოგადოებებს შორის განსაკუთრებით გამორჩეული ადგილი ეკავა ნიუ-იორკში ჯებრან ხალილ ჯებრანის ინიციატივით 1920 წელს დაარსებულ „არ-რაბიტა ალ-კალამიას“, რომელსაც ჰქონდა მაღალ პროფესიულ დონეზე შედგენილი მრავალმხრივი, პროგრესული პროგრამა და წესდება. მისი წევრები იყვნენ ისეთი ცნობილი მწერლები და პოეტები, როგორებიც იყვნენ ჯებრან ჯებრანი, მიხაილ ნუაიმე, ნასიბ არიდა, ილია აბუ მადი, აბდ ალ-მასიჰ ჰადადი და სხვები. საზოგადოება გამოსცემდა გაზეთს „ას-საიჰი“, რომელსაც, თავის მხრივ, ჰქონდა ყოველწლიური ილუსტრირებული დამატება „ალ-საიჰი ალ-მუჰთაზ“. საზოგადოების უმთავრეს მიზანს შეადგენდა როგორც თავისი წევრების, ისე სხვა არაბი მწერლების (განურჩევლად საცხოვრებელი ადგილისა) ნაწარმოებების, აგრეთვე უცხოური ლიტერატურის მნიშვნელოვანი ძეგლების თარგმანების გამოცემა.

თქმულს დავუმატებდით, რომ აშშ-ში დიდხანს წარმატებით მოღვაწეობდა გამორჩენილი ლიბანელი ქრისტიანი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ამინ რეიჰანი, რომელიც არ იყო ზემოთ ჩამოთვლილი არცერთი ლიტერატურული საზოგადოების წევრი.

აქვე დავძენთ, რომ არაბულ ემიგრანტულ ლიტერატურას და მის წარმომადგენლებს თანამედროვე სამეცნიერო და ლიტერატურული წრეები ხშირად უწოდებენ „სირიულ-ამერიკულ სკოლას“, რადგანაც ემიგრანტების აბსოლუტური უმრავლესობა იყო სირიიდან და ლიბანიდან გამოსული მაცხოვრებლები. არაბი მკვლევარი ჯურჯი ტუმმა წერს: „ეს არნახული მოვლენაა მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში, რომელმაც არ იცის მაგალითი იმისა, რომ ლიტერატურული სკოლა შექმნილიყოს ათასობით მილით დაშორებულ ქვეყანაში და მოეხდინა ისეთი გავლენა მშობლიურ ლიტერატურაზე, როგორიც მოახდინა ემიგრანტულმა ლიტერატურამ. ამასთანავე იგი წარმოადგენდა სულით არაბულს და ენით არაბულს.“ (طه 1964: 108). რუსი არაბისტი ი.ტიმოფეევი წერს: „... საგანმაახლებლო მოძრაობის შემდეგი მნიშვნელოვანი ეტაპი იყო „სირიულ-ამერიკული სკოლა“. ამ სკოლის

პოეტებს არ ჰქონდათ მიღებული ტრადიციული განათლება, ნაკლებად განიცდიდნენ კლასიკური არაბული ლიტერატურის გავლენას და უფრო იზრებოდნენ დასავლური პოეზიისკენ. ისინი მკვეთრად გამოვიდნენ შინაარსთან შედარებით ფორმისთვის უპირატესობის მიცემის წინააღმდეგ. მათ ლექსებში ბევრად მეტი ადგილი დაიკავა ცოცხალმა ადამიანმა თავისი აზრებითა და განცდებით ... მათ მთლიანად უარყვეს ბეთის (არაბული სალექსო სტრიქონი - მ. ქ.) ავტონომიური პრინციპი და დაიწვეს ლექსების აგება როგორც ერთიანი მთლიანისა ... - (ქუთელია 2009: 27).

ემიგრანტი მწერლების შემოქმედებაში მთავარი ადგილი ეკავა მოთხრობას, ნოველას, ესეის. მიხაილ ნუაიმე, ფაქტობრივად, პირველი მწერალი იყო, რომელმაც შექმნა ნოველები საყოფაცხოვრებო თემებზე. ემიგრანტებმა წინ წამოსწიეს საკუთარი „მე“, გაამდიდრეს თავიანთი ნაწარმოებები აზრითა და ემოციებით, თავიანთი ლირიკული განწყობილების გადმოსაცემად დასავლეთის ლიტერატურიდან გადმოიღეს და არაბულ ლიტერატურაში დანერგეს აქამდე მისთვის სავსებით უცნობი ჟანრი - ლექსი პროზად. განსაკუთრებით პოპულარულია ის რეიჰანთან და ჯებრანთან. ჯებრანი და აბუ მადი არაბულ ლიტერატურაში რომანტიზმის უდიდესი წარმომადგენლებია, ხოლო ნუაიმემ, ნასიბ არიბამ, აბდ ალ-მასიჰ ჰადადმა დიდად შეუწყვეს ხელი არაბული რეალისტური ლიტერატურის ფორმირებას. ამასთანავე ნუაიმე ითვლება ლიტერატურული კრიტიკის ეროვნული სკოლის ფუძემდებლად. ემიგრანტმა მწერლებმა და პოეტებმა დიდი გავლენა მოახდინეს როგორც თანამედროვე, ისე მომდევნო თაობის არაბ მწერლებზე.

ემიგრანტმა მწერლებმა და პოეტებმა ლიტერატურა ჩააყენეს ხალხის სამსახურში. ისინი მთელი სიმწვავეთ აყენებდნენ საჭირობოროტო საკითხებს, ცდილობდნენ მათ გადაწყვეტას, იბრძოდნენ სამშობლოს დამოუკიდებლობისთვის და არაბთა ერთიანობისთვის. მაგალითად, ამინ რეიჰანმა სამშობლოში დაბრუნების შემდეგ საგანგებოდ მოიარა სხვადასხვა არაბული სამეფოები და საემიროები, მთელი არაბული სამყარო და სიტყვითა და საქმით ქადაგებდა არაბი ხალხის ერთიანობას, რაც კიდევაც აისახა მის სამოგზაურო ჟანრის შესანიშნავ ნაწარმოებებში. არაბთა დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი შემოქმედ-

ნი გამოდიოდნენ კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ, ილაშქრებდნენ ქვეყნის ჩამორჩენილობის, ადამიანთა ჩაგვრის, საზოგადოების მანკიერი მხარეების წინააღმდეგ, ცდილობდნენ ამ ქვეყნად პიროვნების თავისუფლების დამკვიდრებას, წინ წამოსწიეს არაბი ქალის თავისუფლების საკითხი, თავიანთ ნაწარმოებებში ფართოდ გაუღეს კარი უბრალო, რიგით ადამიანებს. პრობლემების გადასაჭრელად ისინი ქადაგებდნენ პროგრესულ, ჰუმანურ იდეებს. ისინი იბრძოდნენ ისეთი იდეალური საზოგადოების შესაქმნელად, სადაც იქნებოდა სამართლიანობა, ძმობა, თანასწორობა და სიყვარული (მაგ. რეიჰანის „დიდი ქალაქი“, ჯებრანის „დაფარული ქვეყანა“). სიახლეს წარმოადგენდა მათი დამოკიდებულება ლიტერატურასთან და ხელოვნებასთან. ამის შესახებ არაბი ჰარის ტაჰ არ-რაჰი წერს: „ემიგრანტი პოეტები და მწერლები, არ იყვნენ რა მომხრეები მიმდინარეობისა „ხელოვნება ხელოვნებისთვის“, ან კიდევ „ლიტერატურა ლიტერატურისთვის“, აყენებდნენ ლოზუნგს „ლიტერატურა ცხოვრებისათვის“. მიუხედავად ტერიტორიული სიშორისა, ისინი იზიარებდნენ აღმოსავლელი არაბი ძმების ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ სიძნელებებს“ (I-Rami 1954: 51).

მართალია, ბევრმა არაბმა ემიგრანტმა მწერალმა და პოეტმა მთელი თავისი ცხოვრება, ან კიდევ დიდი ნაწილი გაატარა ამერიკაში, მაგრამ მათ შემოქმედებაში შედარებით ნაკლებად აისახა ამერიკული ყოფის სურათები. მათი შემოქმედების მამოძრავებელი ძალა იყო სამშობლო და მისადმი სიყვარული, არაბი ხალხი და მათი ბედ-იღბლის ჩვენება. თუმცა მათ არ შეეძლოთ სრულად გვერდი აეგლოთ თავიანთი მეორე სამშობლოსთვის და მათი კალამი მცირედით, მაგრამ მაინც ეხებოდა ახალ სამყაროს, ხედავდნენ მის დადებით და უარყოფით მხარეებს, თვალს არ ხუჭავდნენ მის ავ-კარგზე, ავლენდნენ არაბთათვის მისადებ და მიუღებელ ფორმებს.

სამაგალითოდ გავიხსენოთ ზოგი მათგანი. ამინ რეიჰანი თავდაპირველად მხოლოდ ინგლისურ ენაზე წერდა, ჯებრანი, პირიქით, თავისი ცხოვრების ბოლო პერიოდში შეუდგა ნაწარმოებების წერას ინგლისურად და დიდი წარმატებითაც, რამაც, თავის მხრივ, დიდი სახელი მოუტანა ამერიკასა და ევროპაში (მაგ. „მოციქული“). ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მათი ინგლისურ ენაზე დაწერილი ნაწარმოე-

ბების თემატიკა ძირითადადში არაბული სამყაროთი იკვებებოდა. მაგრამ იმასაც უნდა გავუსვათ ხაზი, რომ ბევრ მათგანს აშშ-ში ჩამოსვლის პირველ წლებში დასავლური და ამერიკული ცხოვრების წესი მისაბამ და გადმოსაღებ ფორმად ესახებოდათ. აკად. გ. წერეთელი წერს: „ახალს სამშობლოში ახალგაზრდა ემინი, გაოცებული და მოხიბლული ამერიკელი ხალხის ენერგიით, სიტყვისა და აზრის თავისუფლების სიყვარულით, ცდილობს შეიძინოს ცოდნა და ახლოს გაიცნოს ამ ალტკმული ქვეყნის სულიერი და გონებრივი საგანძური.“ და ცოტათი ქვემოთ აგრძელებს: „... ალტკმული პირველ ხანებში ყოველგვარი ამერიკულით და ევროპულით, იგი მალე ამჩნევს საშინელ სიყალბეს, რომელიც თანამედროვე დასავლურ ცივილიზაციას უდევს საფუძვლად, და დაუნდობლად ამხელს ცხოვრების წინააღმდეგობებს „თავისუფლების ქვეყანაში“ („ასეთ დღეს ჰიენაც საყვარელია“) (წერეთელი 1946: 74-75). მაგრამ ისიც ფაქტია, როგორც გ. წერეთელი აღნიშნავს „... ემინ რეიჰანი მაინც ორი მსოფლიოს მიერ წარმოშობილი ნაყოფია, აღმოსავლეთისა და დასავლეთისა. იგი ხარბად ითვისებდა ორივე სამყაროს კულტურულ-შემოქმედებითი მოღვაწეობის პროდუქტებს და ცდილობდა მათს გაერთიანებას თავის არსებაში“ (წერეთელი 1946: 76). ფაქტობრივად, დაახლოებით იგივე ითქმის სხვა დიდ ემიგრანტ მწერლებსა და პოეტებსზე, იქნება ეს ჯებრანი, ნუაიმე, აბუ მადი თუ მოგვიანებით, XX ს-ის 40-იან წლებში აშშ-ში საცხოვრებლად გადასული დიდი ეგვიპტელი რომანტიკოსი პოეტი აბუ შადი. რეიჰანმა, ჯებრანმა და სხვამ დიდი წვლილი შეიტანეს დასავლეთისა და აღმოსავლეთის დაახლოებაში. ამ ორი სამყაროს ღრმა ცოდნის შედეგი იყო ის, რომ რეიჰანმა და ჯებრანმა დაგვიხატეს მომავლის საზოგადოების სურათები, რომელთა მიხედვით იგი უნდა ყოფილიყო სამართლიანობის საზოგადოება, სადაც გამეფებული იქნებოდა ცოდნა, თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა, სადაც გონებრივი და სულიერი ძალები გამარჯვებული იქნებოდა მატერიალურ ძალებზე, სადაც საომარი იარაღები გადაკეთებული იქნებოდა გუთნებად, ნამგლებად, საერთოდ, შრომის იარაღებად. ეს იქნებოდა მაღალზნობრივი სახელმწიფო სამართლიანობისა, უსაფრთხოებისა, მშვიდობისა, „სადაც ხელისუფლება იქნებოდა „ხალხის მსახური“. რეიჰანიმ ასეთი ქვეყნის მოდელად მიიჩნია რაღაც საშუალო რუსეთის ბოლშევიკურ მარქსიზ-

მსა და დემოკრატიული ამერიკის სოციალიზმს შორის (Левин 1965: 42). რეიჰანიმ გაილაშქრა რ. კიპლინგის დებულების („დასავლეთი დასავლეთია, აღმოსავლეთი - აღმოსავლეთი, ამიტომ ისინი ერთმანეთს ვერასოდეს შეხვდებიან“) წინააღმდეგ. ყოველივე ამის გამო ხშირად მას უწოდებდნენ დასავლეთის ცივილიზაციის მომღერალს აღმოსავლეთში და აღმოსავლეთის კულტურის პროპაგანდისტს დასავლეთში. ჯებრანი, ნუაიმე და სხვები, უმეტესი არაბი განმანათლებლის მსგავსად, მხარს უჭერდნენ დასავლური და აღმოსავლური ცივილიზაციის დადებითი მხარეების სინთეზს.

მიუხედავად ზემოთ თქმულისა, არაბული საზოგადოების განათლებული ნაწილისთვის უცხო არ იყო ემიგრანტი მწერლებისადმი უარყოფითი დამოკიდებულების გამოხატვა. განსაკუთრებით ის კრიტიკოსები გამოირჩეოდნენ, რომლებიც უარყოფითად იყვნენ განწყობილი დასავლური კულტურისადმი და შესაბამისად ვერ მალავდნენ თავიანთ განწყობას დასავლურ კულტურაზე აღზრდილი არაბი მოღვაწეების მიმართ. საილუსტრაციოდ საკმარისია რადვან ამ-შახალი და მისი სტატია, გამოქვეყნებული ჟურნალ „ატ-ტარიკში“. ავტორი ეხება ახალი არაბული ლიტერატურის პრობლემებს და განმარტებულების (ამ შემთხვევაში, რომანტიკოსების) შესახებ წერს: - ... მეორე მიმდინარეობა (რომანტიზმი - მ.ქ.) მოვიდა საზღვარგარეთიდან. იგი დაფუძნებული იყო დამპალ თეორიაზე, გამოხატავდა ყოველივე მტრულს არაბულისადმი, ეროვნულისადმი, ჰუმანურისადმი. ეს მიმდინარეობა შემოვიდა არაბულ აღმოსავლეთში უცხოელი ოკუპანტების ჯარებთან ერთად... მათ განათლება მიღებული ჰქონდათ უცხოეთში ... ისინი მოწყვეტილნი იყვნენ ეროვნულსა და ხალხს ... ეს მწერლები ისწრაფოდნენ გაენადგურებინათ არაბი ხალხის ტრადიციები, წეს-ჩვეულებები, ენა, ისტორია, ერთი სიტყვით, ეროვნული ყოფის ყველა ღირებულება... მოითხოვდნენ დაგვევიწყებინა არაბთა ისტორია და კულტურა, გაგვევიწყია კავშირი მასთან და ჩავხუტებოდით დასავლეთს ...- (ქუთელია 2009: 220). პრესის ფურცლებზე ხშირად იბეჭდებოდა არაობიექტური სტატიები. 1956 წ. ლიბანის გაზეთი „მონადირე“ („ას-საიდი“) წერდა, რომ ჯებრანს არ უყვარდა არაბული ლიტერატურა და ამის გამო დაიწყო წერა და გამოქვეყნება ინგლისურად. ამას იმიტომ აკეთებდა, თითქოს ამერიკელი გამომცემ-

ლები მეტს უხდიდნენ. სიძარათლეს თუ ვიტყვით, ჯებრანის ფიქრები მუდამ სამშობლოს და არაბებს დასტრიალებდა, მისი თემები მათით საზრდოობდა, ხოლო ინგლისურ ენაზე დაწერილი ნაწარმოებები, რომლებმაც დიდი სახელი მოუტანა მთელს არაბულ სამყაროში და მის ფარგლებს გარეთ, ზოგადსაკაცობრიო ქრისტიანული პრობლემებით იყო გაჯერებული.

ასეთი დამოკიდებულება სრულებითაც არ ყოფილა ახალი. ამან თავი იჩინა იმ დროიდან, რაც ევროპელები გამოჩნდნენ არაბულ აღმოსავლეთში და სწრაფად იწყო ზრდა მათმა გავლენებმა. საერთოდ, არაბთა, განსაკუთრებით მუსლიმთა დამოკიდებულება დასავლეთისადმი არასდროს ყოფილა ერთსახოვანი. მართალია, დასავლეთმა დიდი ბიძგი მისცა არაბული ყოფის, კულტურის გამოცოცხლებას და აღმავლობას, ახალი ლიტერატურული მიმდინარეობების გაჩენას, ახალი ლიტერატურული ჟანრების ჩამოყალიბება-განვითარებას და ა.შ., მაგრამ ყოველივე ეს მარტივად არ ხდებოდა. არაბული საზოგადოების პროგრესულად მოაზროვნე ნაწილს დიდი წინააღმდეგობების გადალახვა უხდებოდა როგორც საკუთარ თავში, ისე საზოგადოებაში გაბატონებული შეხედულებების გამო. პარალელურად, არაბული, განსაკუთრებით, მუსლიმური საზოგადოება მოუშზადებელი იყო სერიოზული გარდაქმნებისთვის. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ დასავლური ყოფის წესი აბსოლუტურად განსხვავებული იყო არაბულისგან. გარდა ამისა ადგილობრივი ხალხის ყოველდღიურ ცხოვრებაში, ასევე კულტურის ყველა სფეროში ადგილი ჰქონდა გაუაზრებელ, ზედაპირულ მიდგომას, გადმოღებას და მიბაძვას ყოველი დასავლურისადმი, რაც, თავის მხრივ, დიდ აგრესიას იწვევდა მოსახლეობის ყველა ფენაში, შობდა და აძლიერებდა მოსახლეობის უკურეაქციას ყოველივე ახლისადმი, სწრაფვას რაღაც არ დაჯდომოდათ შეენარჩუნებინათ თავიანთი სახე, ადათ-წესები, ცხოვრების წესი, მუსლიმური მსოფლმხედველობა. ლიტერატურაში იგი გამოჩნდა სწრაფვაში, როგორმე აელორძინებინათ, ახალი სიცოცხლე მიეცათ ძველი ლიტერატურული ფორმებისთვის, თემებისთვის და ა. შ. ასეთ უარყოფით მომენტებს წარმატებით იყენებდნენ კონსერვატიული ძალები პროგრესის მომხრეების (განმახლებლების) წინააღმდეგ ბრძოლაში. ეს უშეღავათო დაპირისპირება საბოლოოდ დასრულდა

არაბული ყოფის აღმავლობით. თუმცა ბრძოლა მათ შორის განვითარების არც ერთ ეტაპზე არ შეწყვეტილა. პოლიტიკაში ამის ნათელი გამოხატულება იყო ის ფაქტი, რომ XIX ს-ის II ნახევარში და XX დასაწყისში საზოგადოების ერთი ნაწილი მხარს უჭერდა პანისლამიზმს, რომელიც ქადაგებდა მუსლიმური სამყაროს გაერთიანებას თურქ-ოსმალების ირგვლივ, რათა წინ აღდგომოდნენ დასავლელ კოლონიზატორებს და დაეცვათ მუსლიმთა ინტერესები. ნაწილი ემხრობოდა არაბული სახალიფოს შექმნას, ხოლო ყველაზე პროგრესულები მხარს უჭერდნენ ამა თუ იმ არაბული ქვეყნის სრულ დამოუკიდებლობას. დიდი განმანათლებელი და მუსლიმური რეფორმაციის ერთ-ერთი ფუძემდებელი ჯამალ ად-დინ ალ-აფღანი ამბობდა: „დასავლეთი უპირისპირდება აღმოსავლეთს. ჯვაროსნულ ლაშქრობათა სული ჯერ კიდევ აღელვებს გულებს“ (Левин 1972: 109). საერთოდ პროგრესულად მოაზროვნეთა უმეტესობა მხარს უჭერდა დასავლეთისგან გადმოვლთ დადებითი, უაერყოთ ყველაფერი, რაც ეწინააღმდეგებოდა აღმოსავლეთის ქვეყნების ინტერესებს და უცხო იყო აღმოსავლური ზნეობისთვის.

დავუბრუნდეთ არაბ ემიგრანტებს.

ემიგრანტი მწერლები და პოეტები დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ არაბულ ქვეყნებში. ასევე დიდი იყო მათი შემოქმედების გავლენა როგორც თანამედროვე, ისე მომდევნო თაობის არაბ მწერლებზე. არაბი და უცხოელი მკვლევარები აღიარებდნენ „სირიულ-ამერიკული სკოლის“ დიდ როლს არაბული ლიტერატურის განვითარებაში. აღიარება მათ არ აკლდათ როგორც არაბულ სამყაროში, ისე ამერიკასა და ევროპაში. ჯებრანს დიდ პატივს სცემდნენ ამერიკის განათლებულ წრეებში. მისი სახელი მოხსენიებულია რიგ ამერიკულ ენციკლოპედიურ ლექსიკონებში ცნობილ ამერიკელ მწერლებთან ერთად. მის შემოქმედებას მაღალი შეფასება მისცეს უცხოელმა მეცნიერებმა, ოგუსტ როდენმა კი მას, როგორც მხატვარს, აღმოსავლეთის ბლეიკი უწოდა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ქ. ბოსტონში 1977 წელს 18-25 სექტემბერი გამოუცხადებიათ ჯებრანის კვირეულად, რომლის დროსაც გამართულა სხვადასხვა საფესტივალო და კულტურული ღონისძიებები. ქალაქის ერთ-ერთი პარკისთვის მიუნიჭებიათ ჯებრანის სახელი და გაუხსნიათ ბრინჯაოს მემორიალური დაფა

(შეკვადი 1988: 27-28). მაღლიერმა თანამემამულეებმა მის საფლავის ქვას გაუკეთეს წარწერა: „აქ განისვენებს ჩვენი მოციქული ჯებრანი“.

დასასრულს ვიტყვით, რომ „სირიულ-ამერიკული სკოლის“ დიდი აღიარება განაპირობა იმ ფაქტმა, რომ მისი წარმომადგენლები ღრმად იყვნენ განსწავლულნი მშობლიურ არაბულ და დასავლურ ლიტერატურებში. მიხაილ ნუაიმეს განათლება მიღებული ჰქონდა ნაზარეთის (ლიბანი) რუს მისიონერთა სკოლაში და ქ. პოლტავის სემინარიაში. ის ჩეხოვის დიდ გავლენას განიცდიდა (მალიან კარგად ფლობდა რუსულ ენას). ამინ რეიჰანი ამერიკელი უოლტ უიტმენის მიმდევრად თვლიდა თავს, ბრწყინვალედ ფლობდა ინგლისურ ენას და სამშობლოში დაბრუნებამდე ძირითადად ინგლისურად წერდა. ჯებრანის ადრეულ ნაწარმოებებში აშკარაა ჟან-ჟაკ რუსოს, ხოლო მოგვიანებით ფრ. ნიცშეს გავლენა. ეგვიპტელი რომანტიკოსი პოეტი აბუ შადი (რა თქმა უნდა, ის არ იყო „სირიულ-ამერიკული სკოლის“ წარმომადგენელი), რომელმაც სიცოცხლის ბოლო წლები (1946-1955) აშშ-ში გაატარა, მისი, როგორც პიროვნებისა და მოაზროვნე პოეტად ჩამოყალიბებაში უდიდესი გავლენა იქონია ინგლისურმა ლიტერატურამ და კულტურამ. თვითონვე აღნიშნავდა, რომ მას განსაკუთრებით იტაცებდა შელის, ვორდსუორდის, კითსის, დიკენსის, შოუს შემოქმედება. ის აქტიური პროპაგანდისტი იყო ინგლისური და, საერთოდ, დასავლური კულტურისა (მან უმაღლესი განათლება ინგლისში მიიღო და დიდხანს მუშაობდა ლონდონის სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებებში). სამშობლოში დაბრუნებულმა აქტიურად გააგრძელა ლიტერატურული, საზოგადოებრივი და სამეცნიერო (მედიცინაში) საქმიანობა.

დამოწმებანი:

- ქუთელია, მურმანი. არაბული რომანტიზმი. თბილისი, 2009.
- წერეთელი, გიორგი. „ემინ რეიჰანი“. მნათობი. №6. თბილისი: 1946.
- Shehadi, W. *Gibran Khalil Gibran*. Beirut, 1988.
- Левин, З. И. *Развитие основных течений общественно-политической мысли в Сирии и Египте*. Москва, 1972.
- Левин, З. И. *Философ из Фурейки*. Москва, 1965.

الراوى حارث طه "الثورة الفكرية فى الادب المهجر" الادب 1954 504

طعمة جورج "المغتربون العرب فى امركا الشمالية" دمشق 1964 ص 108

MURMAN KUTELIA

Researcher, Ilia State University, G.Tsereteli Institute Of Oriental Studies

ABSTRACT

ARAB WRITERS IN THE USA

1. In the 1880s people with progressive ideas from Syria and Lebanon moved to Egypt. Large scale immigration to the United States began in the late 19th century. Different reasons for the immigration were : poor living conditins ; dictatorial regime of Abd Al-Hamid II in Turkish Empire ,western missioneries played a certain role as well.

2. Educated immigrants got involved in cultural life, They released newspapers and magazines, literary societies were set up : Ar-Rabita al-Kalamia in the USA, Al-Usba al-Andalusa in Brazil and Ar-Rabita al-Adabia in Argentina. Ar-Rabita al-Kalamia played special role in the development of Arab literature.

Amin Reihan , who was not enrolled in any of the societies mentioned above, lived in America for a long period. Arab literature was often called Syrian-Lebanese School, since most of them were from Syria and Lebanon.

3. Story, short story, essay, poetry played decisive role in the works of immigrants. Reihan and Gebran brought in a new jenre-prose poetry in literature. Gebran and Abu Madi are prominent representatives of Arab Romantism. Nuaime, Nasib Arida and others are credited with pioneering Realism in literature. Immigrant authors struggled for the independence of their country, against exploitation and nondevelopment of Arab countries and all the drawbacks of the society. The immigrant writers tried to establish personal freedom in the country and highlight Arab women's rights. They portrayed ideal society and etc. American lifestyle is not depicted in the works of immigrant authors , though they are not thoroughly ignored.

4. Reihan, Gebran and others supported reasonable mixture of positive features of Western and Eastern civilizations.

5. The immigrant writers had a deep knowledge of Arab and Western literature. They were influenced by Western thinkers such as : Nuaim-Chekhov, Reihan-Uitman and Emerson, Gebran-Russo and Nietzsche. Auguste Roden called Gebran, as a painter, “Western Blake”. Western and Eastern researchers consider Reihan to be a Western culture propagandist in the East and an Eastern culture propagandist in the West.

გვანცა ღვინჯილია

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის
სახელმწიფო კონსერვატორიის ასისტენტ-პროფესორი

ქანრული ინჰარიანის თაჰისეჰურეჰეჰი იგორ სტრაჰინსკის ნაწარმოეჰი REQUIEM CANTICLES

იგორ სტრაჰინსკის ამერიკული პერიოდის შემოქმედება უმთავრესად სასულიერო შინაარსის ნაწარმოეჰების და ჟანრების ორბიტაშია მოქცეული. ჰოლივუდში დასრულებული Requiem Canticles კი ერთგვარად განაზოგადებს ამ სფეროში მის მოღვაწეობას. პრინსტონის უნივერსიტეტის დაკვეთით დაწერილი ნაწარმოეჰი დასრულდა 1966 წელს ჰოლივუდში, პრემიერა გაიმართა იმავე წელს ნიუ ჯერსის შტატში სტრაჰინსკის და რობერტ კრაფტის ღირიჰორობით (კარტერის თეატრი). ამ მუსიკით გაფორმდა მარტინ ლუთერ კინგის ხსოვნისადმი მიძღვნილი ჯორჯ ბალანჩინის ბალეტი.

პრემიერიდან 5 წლის შემდეგ რეკვიემი კომპოზიტორის დაკრძალვაზე აჟღერდა, საორკესტრო ვარიანტი მიედღვნა ლექტორს, მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს ელენ ბიუქენენ სიგერს.

სტრაჰინსკის მიზანმიმართული ინტერესი სასულიერო შინაარსის ჟანრებისადმი უკავშირდება ქრისტიანული ჭეშმარიტების ძიების გზაზე დადგომას და ამ რელიგიის ფუნდამენტური ღირებულებების სიღრმისეულ გათავისებებს. თავად ხშირად მიუთითებდა ხოლმე საკრალური რიტუალური ფორმების აღდგენის აუცილებლობაზე ხელოვნებაში. შემთხვევითი არ არის, რომ იგი რელიგიური შინაარსის და რიტუალური არსის მქონე მრავალი ნაწარმოეჰების ავტორია. ამერიკულ პერიოდში სასულიერო თემატიკით გატაცებას, ანუ შემოქმედებითი ინტერესების სფეროში ამგვარ მეტამორფოზას სტრაჰინსკი შემდეგნაირად ხსნის: „მე ახლა ვერ განვაზოგადებ იმ მოვლენებს, რომლებმაც ბოლო 30 წლის განმავლობაში მიმიყვანა რწმენასთან; არ მიმსჯელია, არ ჩავლრძავებივარ მიზეზებს, თუმც კი აღფრთოვანებული ვარ ღვთისმეტყველებაზე სტრუქტურირებული ფიქრით, ეს

რელიგიისთვის იმაზე მეტს არ ნიშნავს, რაც კონტრაპუნქტული ვარჯიში მუსიკისთვის. მე არ მწამს მიზეზ-შედეგობრივი კავშირების და რელიგიურ საკითხებში რაიმე ფორმის ექსტრაპოლაციის, მხოლოდ იმას დავსძენ, რომ ჩემს ფაქტობრივ გარდასახვამდე ეს განწყობილებები მოამწიფა სახარების და სხვა რელიგიური წიგნების კითხვამ. ამერიკაში მოღვაწეობის დროს რელიგიური პრობლემატიკის წინ წამოწევამ შეცვალა კომპოზიტორის ჟანრული ინტერესებიც; თეატრალური, სიმფონიური, კამერული თხზულებების ავტორი სრულიად ლოგიკურად მიიზიდა საგუნდო მუსიკის სტიქიამ. ქრისტიანული საეკლესიო მუსიკა ხომ პირველ რიგში საგუნდო მუსიკის ისტორიაა. კომპოზიტორის სასულიერო შინაარსის ნაწარმოებებს შორის განსაკუთრებულად ჭარბობს გარდაცვლილთა ხსოვნისადმი მიძღვნილი მემორიალური თხზულებები, მათ შორის გამოვყოფთ რიმსკი-კორსაკოვის, ნატალია კუსევიცკის, დილან ტომასის, მეცენატ მაქს ეგონ ფიურნსენბერგის, მხატვარ რაულ დიუფისადმი, ჯეზუალდო დი ვენოსას, ოლდოს ხაკსლის, ტომას ელიოტის, მევიოლინე ალფრედ ონუსადმი, ჯონ კენედისადმი მიძღვნილ თხზულებებს.

შემთხვევითი არ არის, რომ XX საუკუნის ხელოვანები, მათ შორის სტრავენსკი, აქტიურად ინტერესდებიან სასულიერო პრობლემატიკითა და ჟანრებით. საკმარისია გავიხსენოთ ხინდემიტის მესა, შიმანოვსკის Stabatmater, პულენკის სასულიერო კანტატები, პენდერეცკის ვნებები და კანტატები, ბრიტენის ლიტურგიული მუსიკა. რელიგიურ თემაზე კონცენტრირება მეოცე საუკუნის ხელოვანში ევროპული ცივილიზაციის დასასრულის შეგრძნების არაცნობიერი შიშით არის გამოწვეული. ეპოქალურ კატაკლიზმებში მოღვაწე სტრავენსკიმაც რელიგიურ სფეროში მიაგნო XX საუკუნეში გააქტიურებული თვითგადარჩენის და მარადიული ღირებულებების შენარჩუნების კოდს, თავისებურ თავდაცვით მექანიზმს.

სტატიის კვლევის ობიექტად არჩეულია ძალზე ორიგინალური რეკვიემი, რომელსაც კომპოზიტორი საეტაპო ნაწარმოებად თვლიდა. იგი განაზოგადებს სტრავენსკის ამერიკული სტილის ნიშნებსაც და ამერიკული კულტურის მრავალფეროვნებით, დემოკრატიულობით, საკუთრივ ამერიკული ყოფის ქრონოტოპით ინტენსიფიცირებულ მხატვრულ მოვლენებსაც. კვლევის საგანს კი წარმოადგენს ამ ჟან-

რის კანონიკის გამოვლენის თავისებურებები, კერძოდ, ტრადიციასთან შემკვიდრებითი კავშირი და ორიგინალური ნოვაციები, რამაც იგი ჟანრის ინვარიანტად აქცია. საინტერესოა, თუ რაში მდგომარეობს სტრავინსკის რეკვიემის ინვარიანტულობა. კომპოზიტორმა შექმნა სრულიად უნიკალური ჟანრული მოდელი, რომლის არატრადიციულობა სათაურითაც არის ხაზგასმული. აქვე ხაზგასმით უნდა მივუთითოდ, რომ რეკვიემი დაწერილია რიტუალის საკრამენტული არსის და პროცესუალური მხარის სრული გაცნობიერებით. როდესაც სასულიერო ნაწარმოები ღვთის ჭეშმარიტებების სრული გაცნობიერებით იწერება, ხელოვანი ნებისმიერ ეპოქაში ახერხებს კანონიკის დაცვას კონკრეტული მუსიკალურ-ენობრივი სისტემის პირობებში.

სტრავინსკიმ ქრისტიანული რიტუალის იდუმალება სწორედ შემოქმედებითი სიმწიფის პერიოდში შეიმეცნა, თუმცა მანამდე მისი ყურადღების ცენტრში წარმართული რიტუალი იყო მოქცეული. ამ უკანასკნელის ფორმით წარმოდგენილი იმპულსური სტიქიური ძალების დემონსტრირება კომპოზიტორის შემოქმედების ორგანული ნაწილია, რეკვიემში კი საქმე გვაქვს ქრისტიანული სამგლოვიარო რიტუალის სიმბოლიკასთან. სტრავინსკის თხზულებაში სახეზეა სასულიერო ნაწარმოების უმთავრესი თავისებურება – თვითშემეცნების სიღრმე, რაც მიიღწევა არა საკუთარი თავის შეცნობით, არამედ საკუთარი თავის ღმერთთან ურთიერთობის სიღრმის შეცნობით. სტრავინსკისთვის ეს ინტელექტუალიზებული პროცესია, რომლის ლოგიკური შედეგი ფინალში გამოვლენილი კათარსისია. თუკი რეკვიემის პირველ და ბოლო ნომრებს ეტაპების სახით გავიაზრებთ, დავინახავთ კომპოზიტორის მიერ დანახულ ქრისტიანის გასავლელ გზას. სტრავინსკი პირველ ნაწილში გადმოცემული ონთოლოგიური დროიდან ფინალში ესქატოლოგიურ დროში გვაბრუნებს. ნაწარმოების კონსტრუქციული საფუძველი და სემანტიკური არსი სიკვდილ-სიცოცხლის მონაცვლეობის ციკლურობაზე დამყარებული წრიულობის იდეაა. მან გვაჩვენა ცხოვრების იმ მომენტიდან დაწყებული დრამა, როდესაც XX საუკუნის ადამიანი აცნობიერებს სამყაროში თავის მდგომარეობას (I ნაწილი), აღიარებს გამოუვალობის ტრაგიზმს (ინტერლუდია) და აღსარების შემდეგ (*lacrimosa*) კვლავ მიმართავს უფალს ხსნისთვის (*Liberame*).

თუკი ქერუბინიმ, როსინიმ და ვერდიმ რეკვიემი განაახლეს საოპერო ნიშნებით, გაბრიელიმ ინსტრუმენტული ანსამბლით, ბერლიოზმა, დვორჟაკმა და ბრუქნერმა სიმფონიზაციით, პუჩინიმ, ფორემ სიმღერადობით, სტრავენსკის რეკვიემში ვაფიქსირებთ სხვადასხვა ეპოქის ჟანრული მოდელების სინთეზს. ისინი კომპოზიტორის შემოქმედების რამდენიმე ესთეტიკურ-სტილური ხაზის განზოგადებადაც შესაძლოა აღვიქვათ. ეს ჟანრული მოდელები მოიცავს კათოლიკური მესის, მართლმადიდებლური ფსალმოდის, რუსული ზარის, ბაროკოს ინსტრუმენტული ჟანრების – ტოკატას და პრელუდიის ნიშნებს. ძველი ეპოქის ჟანრული მოდელებით ოპერირება და მათი იდეალიზაცია კომპოზიტორის მხატვრული პოზიციაა.

რეკვიემის ინვარიანტულობა მდგომარეობს იმაში, რომ ენობრივი სისტემატ მრავალპლანიანია, მასში შერწყმულია ძველი მკაცრი სტილის პოლიფონიური ტექნიკა და სერიული სისტემა მკაცრი დოგმების დაცვის გარეშე.

ინვარიანტულობა მდგომარეობს იმაშიც, რომ ქრისტიანული ეკუმენიზმი ამ ნაწარმოებში გამოხატულია კათოლიკურ რიტუალში სლავური ელემენტის ჩართვით. დასავლეთ ევროპის პრაქტიკაში ეკუმენიზმი კათოლიკური და პროტესტანტული ტენდენციების სინთეზით ვლინდებოდა ხოლმე.

განვიხილოთ საკუთრივ ტრადიციულის და ნოვატორულის თანაარსეობის საკითხი ამ ჟანრულ ინვარიანტში, სადაც ჟანრის კანონიკის გარკვეული მომენტების შენარჩუნებასთან ერთად მისი განახლების ტენდენცია მკაფიოდაა გამოხატული.

პირველი რიგის საკითხად შევეხოთ ტრადიციის შენარჩუნების საკითხს.

რეკვიემში დაცულია საეკლესიო მუსიკისთვის დამახასიათებელი სახეობრივი დინდივიდუალიზაცია, მელოდიური მონახაზის, მიმართულების, ცალკეული ინტერვალების, რიტმული ფორმულების, ტემბრის სიმბოლიკით დატვირთვის ტრადიცია; თავისებურადაა აღბეჭდილი ციფრული სიმბოლიკაც.

კანონიკის თანახმად, სასულიერო ნაწარმოების, მათ შორის რეკვიემის თითოეულ ნაწილში ერთი ემოციური პლასტი უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი, რაც მრევლს კანონიკური ტექსტის შესაბამის გან-

წყობაში ჩაძირვას უიოლებდა. სტრავენსკის რეკვიემის თითოეული ნაწილიც ერთ ემოციურ ატმოსფეროს ამკვიდრებს.

კანონიკის თანახმად, ქრისტიანული ქორალის სიმბოლიკა მდგომარეობდა დასასრულისა და დასაწყისის ნიველირებაში, რითაც იგი კოსმიური მუსიკის ფრაგმენტად და ღვთიური სამყაროს ბგერით ემანაციად უნდა ქცეულიყო. ეს პრინციპი ღრმად აღიბეჭდა სასულიერო ჟანრების სემანტიკაში; პირველი და ბოლო ნაწილები სრულებით არ გულისხმობდა დასაწყისს ან დასასრულს, რადგან ნაწარმოები მარადიულ ქრისტიანულ ჭეშმარიტებებს გადმოსცემდა. მხატვრულ აზროვნებაში მარადისობის სიმბოლური გამოსახვის მცდელობამ სასულიერო ჟანრის მრავალცენტრული კომპოზიცია ჩამოაყალიბა. საგულისხმოა, რომ სტრავენსკი ცხოვრებას არა ვექტორულ, არამედ სპირალურ პროცესად აღიქვამდა და ამ ნაწარმოების კონსტრუქციული საფუძველიც სწორედ წრიულობაა. მკვლევარ მოხვავს აზრით „ცხოვრების ორომტრიალზე და მისი მოვლენების განმეორებადობაზე, სიკვდილის გარდაუვალობასა და მარადიული ყოფის პროცესულობაზე ფიქრმა შთააგონა ავტორი ნაწარმოებისთვის კონსტრუქციულ საფუძვლად წრის იდეა დაედო“ (Moxova 1985: 242). ეს ვლინდება ზოგადად დრამატურგიის და ცალკეული მიკროელემენტების დონეზეც. მკვლევარის აზრით, სტრავენსკიმ წრიულობის იდეის რეალიზაციისას სერიული ტექნიკაც გამოიყენა, რაც ამ ჟანრულ ინვარიანტს განსაკუთრებულობას ანიჭებს. „ჟანრული მოდელის სემანტიკის არსი - ყოფიერების წრიული ჩაკეტილობა და პროცესების უცვლელი გამეორება, რომელიც კონსტრუქციული სიმბოლიკითაა გადმოცემული, საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ ავტორის მიერ რიტუალური ჟანრის ერთ-ერთი უძველესი ტრადიციის ორიგინალურ გარდატეხაზე“ (Moxova 1985: 245).

საინტერესოდ არის გადაწყვეტილი ციფრული სიმბოლიკის საკითხი. კანონიკის თანახმად, ნებისმიერი სასულიერო შინაარსის ნაწარმოები გამსჭვალული იყო ციფრული სიმბოლიკით, რაც თავის მხრივ ბიბლიური ტრადიციის გაგრძელება იყო. რეკვიემის პოსტლუდია შედგება 12 აკორდისგან შემდგარი სამი ბლოკისგან, რითაც

კიდევ ერთხელ ფიქსირდება შეკრული წრის იდეა. ამ შემთხვევაში 12 აღქმულია 12 საათად, შესაბამისად მინიშნებაა დღის დასასრულ-

სა და ღამის დაწყებაზე, სიმბოლიურად სასიცოცხლო ციკლის დასასრულზე. სამჯერ გამოვრებული ფინალური აკორდი კი შესაძლოა სამებაზე მინიშნებაა.

ტრადიციის დაცვა იგრძნობა ცალკეული სიტყვებისამი მიდგომაში. კანონიკის თანახმად, დეინდივიდუალიზაციის მისაღწევად სიტყვებს შლიდნენ მარცვლებად, მათი მიგრაცია ხმებში სწორედ სეგმენტაციის პროცესს ემყარებოდა. სტრავინსკის აქცენტიც მარცვლებზე, ტექსტის პირველად ელემენტებზე გადადის.

კანონიკის დაცვად აღიქმება საკვანძო და სიმბოლური მნიშვნელობის სიტყვების გამოვრება. მაგ., მნიშვნელოვანი აღმოჩნდა სიტყვა *Libera me* (გადამარჩინე მარადიულ სიკვდილს), რომელსაც გარდა კონკრეტული აზრობრივი მნიშვნელობისა გააჩნია ფონური და რიტუალური ფუნქციაც. აქვე აღვნიშნავთ, რომ გამოყოფილი სიტყვების მიხედვით შესაძლოა ვიმსჯელოთ ადვენტისტური ტენდენციის არსებობაზე ნაწარმოებში, რაც არ არის შემთხვევითი XX საუკუნის ხელოვანის ნაწარმოებში.

lacrimosa-ში სიტყვის „მოსამართლე“-ს (*Judicandus*) გამოვრებით სტრავინსკი ხაზს უსვამს ქრისტიანის პასუხისმგებლობას (*Judicandus homo reus* – „აღამიანი წარსდგება სამსჯავროზე“).

კანონიკის დაცვად აღიქმება რომელიმე სახასიათო მოტივით ან ინტერვალთ ნაწილის დაწყება. თუკი ქორალი ინტონაციურად სასულიერო ნაწარმოების ნაწილებს აერთიანებდა, კანონიკურ რეკვიემში ნაწილი იწყებოდა გარკვეული სახასიათო ინტონაციით ან ინტერვალთ. ეს უკანასკნელი კონსტრუქციული ელემენტის სახით მსჭვალავდა ნაწილს და მის ჟანრულ სახესაც საზღვრავდა. სტრავინსკის რეკვიემშიც ინტონაცია და ინტერვალთ დრამატურგიული პროცესის მნიშვნელოვანი კონსტრუქციული მიკროელემენტია. ამგვარი ფუნქციით დატვირთა მან ინტერვალთები □ სეკუნდა, კვინტა, სეპტიმა.

რეკვიემის კანონიკიდან გადახვევას წარმოადგენდა კათოლიკური ტრადიციების გათვალისწინებით დაწერილ რეკვიემში რუსული ზარის ფენომენის ჩართვა (*Мохова* 1985: 238). ზარების ხმოვანების იმიტაცია, რომელიც ერთგვარ ტრადიციად იქცა რუსულ მუსიკაში (მუსორგსკის შემოქმედება, რახმანინოვის „ზარები“), ინტერლუდიაში და პოსტლუდიაში გვხვდება, თუმცა „რუსულობა“ უფრო სიღრმისე-

ულ შრეებში ვლინდება და ნაწარმოების ესთეტიკურ არსს განსაზღვრავს. რუსული კულტურის პლასტების წარმოჩენის გამიზნულობა ნაკლებადაა სავარაუდო, რადგან რუსულმა პლასტმა ნაწარმოების ძირითადი იდეის წარმოჩენა ვერ იტვირთა. რეკვიემში იგრძნობა უბრალოდ გენეტიკური მგრძნობიარობა ეროვნული სასულურო მუსიკის უცილობელი კომპონენტისადმი. მხედველობაშია №2 და №8 ნაწილები, სადაც „რუსულობა“ (Мохова 1985: 237) კათოლიკური ტექსტის და მართლმადიდებლური ფსალმოდირი სიმღერის თანარსებობაში ვლინდება. რუსულ კოლორიტს ამკვიდრებს ვერტიკალის კვარტა-კვინტური წყობა, საგუნდო ფსალმოდირება, რაც აღიქმება ერთი მხრივ მართლმადიდებლური ჟანრის თავისებურ მოდელირებად, მეორე მხრივ ამ ნაწილების არატრადიციულ ინტერპრეტაციად. საგულისხმოა, რომ ასეთი საინტერესო ინტერპრეტაციით სტრავენსკიმ წინა პლანზე წამოსწია ჟანრის კანონიკაში ჭვრეტითი სახეობრივი სფეროს შემცველი ნაწილების მნიშვნელოვნება.

კანონიკურად დაცულია შემდეგი სახეობრივი სემანტიკა: Dies irae-ს პასაჟები, მშფოთვარე ინტონაციებით დამთრგუნველი ატმოსფეროს შექმნის ტრადიცია, Tuba mirum-ში შენარჩუნებულია მთავარანგელოზის მიერ ღვთის სამსჯავროზე მორწმუნეთა საყვირით მოხმობის სიმბოლური გამოსახვა, სეკუნდური სვლებით ცრემლის მოტივის გადმოცემა Lacrimosa-ში, ქორალურობა Libera me-ში, სამგლოვიარო ზარი ფინალში (Друскин 1979: 191).

საგულისხმოა, რომ ნებისმიერი ეპოქის ხელოვანს შეუძლია ქრისტიანული ჭეშმარიტებების დამაჯერებლად აჟღერება კონკრეტული ეპოქის თანამედროვე ენობრივი სისტემით, თუკი კანონიკა დაცულია.

სტრავენსკის რეკვიემში კანონიკის დაცვასთან ერთად მრავალი ნოვაციაა (რის გამოც მას ინვარიანტად განვიხილავთ), რომელიც ასევე დამოუკიდებელი კვლევის საგანს წარმოადგენს.

სიახლე მდგომარეობდა იმაში, რომ შერწყმულია ფლამანდური პოლიფონიის პლასტი და სერიული ტექნიკა მკაცრი დოგმატიკის გარეშე. მათ შორის არსებულმა გარკვეულმა მსგავსებამ, რაც დინდივიდუალიზებული მუსიკალური მასალისადმი რაციონალურ და კონსტრუქციულ მიდგომაში მდგომარეობს, ისინი ურთიერთშეთავსებადი გახადა. ცხადია, არსებობს სხვაობაც. კერძოდ, რაციონალური

გათვლის მიუხედავად, პოლიფონისტების ტექნიკა ეფუძნება დიატონიკას, კილოურ სისტემას, მასალის თავისუფალი ამოზრდის პრინციპს, საგუნდო ხმოვანების პოტენციალს, სერიული მუსიკის პლასტიკი უარყოფს კილოურ სისტემას, ემყარება სერიის მკაცრი ოსტინატურობის პრინციპს და საორკესტრო ხმოვანების პოტენციალს. ერთი მხრივ, რელიგიური პრობლემატიკისადმი ინტერესმა, მეორე მხრივ, შიდა სტილურმა ცვლილებამ მიიყვანა სტრავინსკი ამ ძველი პლასტის განახლებისაკენ (Задарецкий 1980: 217). კომპოზიტორმა მკაფიოდ დაგვანახა ეპოქათა დიალოგის შესაძლებლობა, როგორც ენობრივ-ინტონაციურ, ისე იდეურ ღონეზეც. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ დროთი დისტანციით დაშორებულ ეპოქებს შესაძლოა ჰქონდეთ მსგავსი ღირებულებების გამოხატვის მოთხოვნილება – მხედველობა-შია ქრისტიანული იდეების ჭეშმარიტება და მარადიულობა.

პრინციპული სიახლე მდგომარეობს ლათინური ენის ტემბრად, ხოლო ლათინური ტექსტის ბგერით მასალად აღქმაში. „რა ბედნიერებაა დაწერო მუსიკა პირობით ენაზე, რომელიც თავისი მაღალი წყობის ერთგულია, ამ დროს აღარ გრძნობ საკუთარ თავზე წინადადების და სიტყვის ძალაუფლებას მათი პირდაპირი მნიშვნელობით“ (Мохова 1985: 232). კანონიკური ტექსტი გვაწვდის ვერბალურ ინფორმაციას და ასრულებს რიტუალურ მისიასაც; სიმბოლურ-განზოგადებული მნიშვნელობის ცალკეული საკვანძო სიტყვების გამეორება იძენს რიტუალური შელოცვის ფუნქციას, რაც ხელს უწყობს მუსიკის დინამიზაციას, მუსიკალური ქსოვილის დამუხტვას შინაგანი ენერგეტიკით. მიუხედავად ქრისტიანული რიტუალისა, აქ იგრძნობა წარმართული რიტუალის წარმოჩენის სტრავინსკისეული გამოცდილება. სახეზეა კანონიკური ტექსტის ახლებური ინტერპრეტაცია, რაზეც თავად მიუთითებდა კომპოზიტორი. მაგ., გუნდში *Libera me*, რომელიც კანონიკურად გასხვიოსნებულ ფინალს წარმოადგენს, ტექსტი დაბუნდოვანებულია. მთავარია არა მისი შინაარსი, არამედ ფონემა. იგი სიმშვიდის ატმოსფეროს არ ამკვიდრებს, გუნდის ერთი ნაწილის პარტიამში ტექსტის ქორალური, ხოლო მეორე ნაწილის პარტიამში ფსალმოდური რეჩიტაცია ტექსტურ ოსტინატოს ქმნის, სწორედ ტექსტების პოლიფონური დაშრევება აბუნდოვანებს აზრს და შესაბამისად ზრდის მაგიურ ძალის შეგრძნებას.

სიახლეა კანონიკური ტექსტის გამოყენების თავისებურება; კომპოზიციური შეგნებულად ამბობს უარს ორდინარიუმის ტექსტზე ანუ რიტუალის ყველაზე სტაბილურ მონაკვეთებზე. გრადუალური მონაკვეთებიდან კი აღებულია ის ტექსტი, რომლის მუსიკალური ინტერპრეტაცია ეფუძნებოდა ხოლმე ყოველ ჯერზე კომპოზიციური მხატვრულ ამოცანას და არა კანონიკას. არჩეული მონაკვეთებით ვლინდება დამოკიდებულება ტექსტისადმი, როგორც უმნიშვნელოვანესი შინაარსობრივი კომპონენტისადმი. ცალკეული ფრაზების სახით რეკვიემში პერიოდულად ჩართულ ტექსტში კომპოზიციური სემანტიკურად მისთვის მნიშვნელოვან სიტყვებს იმეორებს, რათა მსმენელის კონცენტრირება მათზე მოახდინოს. ტექსტის თითოეული კომპონენტის ინფორმაციულობის მაღალი დონისა და მრავალმნიშვნელოვნების გამო, სიმბოლოების ერთ გადმოცემული ინფორმაცია დიდ ადგილს არ მოითხოვს, რამაც ნაწარმოების აფორისტიკულობა განსაზღვრა. დებულებების თეზისური მოდელირების ტენდენცია სტრავინსკისეული კონცეფციაა.

რეკვიემის უპრეცედენტოდ მცირე ხანგრძლივობა კიდევ ერთი ნოვატიაა. რეკვიემის სემანტიკის შემაღგენელი კომპონენტი მისი ხანგრძლივი ჟღერადობა იყო, ეს მასშტაბურობა მრევლს საკმარის დროს აძლევდა სამგლოვიარო ატმოსფეროში ჩასაძირად. სტრავინსკის რეკვიემში ტექსტის თეზისური მოდელირების პირობებში ამ უკანასკნელის გაცნობიერების დრო არ რჩება, ეს პროცესი მსმენელში უნდა გაგრძელდეს. რეკვიემის მცირე მასშტაბი უკავშირდება ჟანრების კამერიზაციის ტენდენციას, რომელიც დაფიქსირდა აჩქარებული ქრონოტოპის მქონე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საუკუნეში. სემანტიკურად დადგენილი ტრადიციული სამგლოვიარო ნელი სვლის ნაცვლად პირველი ნაწილი წარმოგვიდგენს აჩქარებულ სამგლოვიარო პროცესიას, რითაც ხაზი ესმება ღმერთთან მისასვლელი გზების გამაღებულ ძიებას. მშფოთვარე ინტონაციებით გადმოცემულია მარადიული სიმშვიდის მოპოვების ილუზორულობა, რომლის მიუხედავად ადამიანში მაინც ძლიერია დაუოკებელი სწრაფვა თავი დააღწიოს ეპოქალურ კატაკლიზმებს.

საგულისხმოა, რომ ტრადიციულად, რეკვიემის კანონიკაში მთავარია ვოკალურ-ლინეარული აზროვნება, სტრავინსკიმ კი წინ წამოსწია

ინსტრუმენტული საწყისი. ნაწარმოების სიმფონიზებული დრამატურ-გით კომპოზიტორი ეპოქალურ დიალოგში შედის ჯოვანი გაბრიელისთან, რომლის სახელსაც უკავშირდება რეკვიემის ინსტრუმენტებით გაძლიერება (საგუნდო ხმოვანების უპირატესობის პირობებში).

„მე დავეგემე რეკვიემი ინსტრუმენტულ ნაწარმოებად,“ – წერდა სტრავენსკი ნაწარმოების ბალანჩინის ბალეტის საპრემიერო ბუკლეტში. რეკვიემმა სწორედ ინსტრუმენტული საწყისის უპირატესობის გამო მიიპყრო ჯორჯ ბალანჩინის და ჯერომ რობინსის ყურადღება, რომლებმაც მის მუსიკაზე ბალეტები შექმნეს (Strimple 2002: 311). საორკესტრო პარტიის უპირატესობა არ აკნინებს სიტყვის მნიშვნელოვნებას, მაგრამ დრამატურგის კარკასს სწორედ ის წარმოქმნის. კანონიკურ რეკვიემში კი არა საორკესტრო, არამედ გრანდიოზული საგუნდო პორტალები გვხვდება ხოლმე. სტრავენსკის რეკვიემში ყურადღებას იპყრობს ინსტრუმენტული ფორმების სახასიათო ნიშნებიც; მხედველობაშია იმპროვიზაციულობით პრელუდირების ნიშნების, რიტმულ მხარეში კი ტოკატურობის გამოვლენა. რეკვიემის სამი ინსტრუმენტული ნაწილის სათაური პრელუდირების მნიშვნელოვნებას უსვამს ხაზს (პრელუდია, ინტერლუდია, პოსტლუდია). ტოკატა როგორც ჟანრი არაა გამოყენებული, მაგრამ ტოკატურობით ნაწარმოების რამდენიმე, მათ შორის საგუნდო ნაწილია გამსჭვალული (*Exaudi, Rex tremendae, Libera me*). საინტერესოა თუ რატომ აღმოჩნდა ტოკატურობა სახისშემქმნელი მნიშვნელობის ფაქტორი სტრავენსკისთვის?

კომპოზიტორმა ტოკატურობით ერთის მხრივ დაძაბული ეპოქის მაჯისცემა, მეორეს მხრივ კი რეკვიემის სახეობრივი სფერო (სამსჯავროს სცენები) წარმოაჩინა.

ინსტრუმენტული საწყისის გაძლიერებამ ძალზე შეცვალა I ნაწილის ტრადიციული სემანტიკა. ნელი სამგლოვიარო რიტუალის ადგილს იკავებს ცეცხლოვანი, მშფოთვარე ხმოვანებები, XX საუკუნის კატაკლიზმებს რომ ეხმიანება. ამგვარი შესავლით შესაძლოა გამოხატულია სულიერების ტოტალური ნგრევისგან თავის დაღწევის სურვილი და ღმერთთან მისასვლელი გზების გამაღებელი ძიება. აჩქარებული სამგლოვიარო პროცესია ილუზორულს ხდის მარადიული სიმშვიდისთვის აღვლენილ ლოცვას, რაც კანონიკური რეკვიემის I ნაწილის ქვაკუთხედი. ამგვარ ინტერპრეტაციას განამტკიცებს ფინა-

ლიც, რომლის საორკესტრო პარტია საოცარი გამჭვირვალეობით გამოირჩევა, რათა სიმბოლურად გარემომცველი სამყაროს ჩამოცილება-სა და რეალური კათარსისის მიღწევაზე მიუთითოს. ნათელი ეფინება ქრისტიანის ცხოვრების სტრავინსკისეულ კონცეფციას – XX საუკუნის ისტორიული დრამით დათრგუნული ადამიანი სიკვდილის გზით აღწევს კათარსისს. ინსტრუმენტული მონაკვეთების ინფორმაციულობა, პროცესულობა, დინამიურობა გვაგონებს ცნობიერების ნაკადს, რომლის დროსაც არაცნობიერიდან ყველაზე მძაფრი შეგრძნებები ამოტივტივდებიან. მეტად უცხო და არატრადიციულია ინსტრუმენტების მიმართება ნაწარმოების სახეობრივ მხარესთან. პირველი ნაწილის მშფოთვარებით სავსე ნაკადი სიმებიანთა ხმამაღალი ხმოვანებით იწყება, ფინალში კი სტატიკის ატმოსფეროს დასარტყამები ამკვიდრებენ. ინსტრუმენტული ტემპრების მოშველიება მათი სპეციფიკისთვის საპირისპირო ემოციური განწყობის გადმოსაცემად სრულიად უჩვეულო პრეცედენტია კანონიკური რეკვიემის პრაქტიკაში.

რეკვიემმა, რომელსაც სტრავინსკი საკუთარ შემოქმედებაში საეტაპო მნიშვნელობას ანიჭებდა, ჟანრის განახლების პერსპექტივა მრავალი კუთხით გახსნა. მცირე მასშტაბების მიუხედავად, მასში კონდენსირებულადაა წარმოჩენილი ჟანრის მდიდარი ისტორიული მეხსიერება. ქრისტიანის მარადიული ღირებულებების გადმოცემისას კანონიკის არსებითი მხარეების შენარჩუნებასთან ერთად სახეზეა კანონიკის გარკვეული მომენტების გადააზრება XX საუკუნის მუსიკალურ-ენობრივი სისტემით.

დამოწმებანი:

Strimple, Nick. *Choral Music in the Twentieth Century*. Oregon: Amadeus Press Portland, 2002.

Друскин, Михаил. *Игорь Стравинский*. Ленинград: Советский композитор, 1979.

Задарецкий, Всеволод. *Полифоническое мышление Стравинского*. Москва: Музыка, 1980.

Мохова, Н. *О последнем крупном сочинении Стравинского*. Москва: Советский композитор, 1985.

GVANTSA GVINJILIA

Assistant Professor, Vano Sarajshvili Tbilisi State
Conservatoire

ABSTRACT

**PECULIARITIES OF GENRE INVARIANT IN
IGOR STRAVINSKY'S COMPOSITION "REQUIEM CANTICLES"**

The American period of Igor Stravinsky's creative work is mostly put in the orbit of compositions and genres of ecclesiastic nature. Requiem Canticles accomplished in Hollywood definitely generalizes his activity in this sphere. Stravinsky's purposeful interest in the genres of ecclesiastic nature is connected with entering on the path of searching the Christian truth and in-depth comprehension of fundamental values of this religion. It was just this field, where Igor Stravinsky, who was working in the epochal cataclysms of the XX century, discovered the code of self-survival and preservation of everlasting values, a certain defensive mechanism. Besides the internal stylish evolution, the requiem, which was selected as the subject matter, gives an artistic generalization of artistic developments intensified with the wideness and democracy of American culture, as well as with the chronotype of American life. The subject of the study is the peculiarities of revealing the canonicity of requiem's genre, as well as determining the hereditary links with the tradition and innovation. Although instead of a traditional requiem the composition represents a certain invariant of the genre (that is emphasized by its title), it was written with full comprehension of the sacramental essence of the ritual. So, the major peculiarity of ecclesiastic composition is quite obvious – the depth of self-knowledge that can be achieved not through cognizing oneself, but through cognizing the depth of relationship with the God. For Stravinsky the outcome of this intellectual self-knowledge is catharsis that was clearly reflected in the dramaturgy of the composition. From the ontological time the composer returns us in the final to the eschatological time; the constructive basis of the composition is an idea of circularity. The dualistic process of genre renovation is quite obvious, that means the devotion to traditions and preservation of certain moments of canonicity as well as renovation of the genre. We can observe there a certain di-

alogue of genre models of various epochs and different cultures. In particular, it contains genre signs of the traditions of Catholic Mass, Orthodox Psalmody, Russian Bell and Barocco instrumental forms. From technological point of view, it gives a synthesis of old polyphonic music and serial system without observance of strict dogmas that made them organically mutually compatible. The composer's ecumenism is revealed through the combination of Slav and European traditions that is extremely characteristic for the genial artists working in ecclesiastic genres. A typical de-individualization characteristic for the genre, as well as symbolization of melodic outline, direction, separate intervals, rhythmic formulas, and timbre are also observed. Digital symbols are also reflected in the requiem. Obviously, Stravinsky's symbolic thinking cannot be explained only by religious motives and along with ecclesiastic canons the composition reflects the essence enciphered in the author's symbols. One can perceive as an innovation an unprecedentedly small duration of the requiem that has been achieved by high level of information provided by all musical components. Canonically dominating vocal-linear thinking is replaced by symphonized dramaturgy; only a small part is used from the canonical text; instead of semantically established traditional funeral procession the first part depicts a hasty funeral procession with troublesome intonations, thus emphasizing the search of the ways leading to the God. Troublesome intonations demonstrate human aspirations to get rid of epochal cataclysms and illusions of gaining eternal calmness.

The requiem, to which Stravinsky attached special importance, has much contributed to the development and renovation of this genre.

CARL SCHMIDT

Professor ,Oxford University, Balliol College (UK)

**THE NOVELIST AND MORALITY: ‘THE AUTHOR
OF *BELTRAFFIO*’ AND ‘THE LESSON OF THE
MASTER’ BY HENRY JAMES**

I

HENRY JAMES fulfilled his earliest ambition – ‘to be literary’ – by devoting his whole life to the art of literature. The ‘literary life’ that forms the subject of some of his most fascinating tales depended on reading, on discussion with fellow writers, on travel and on the ceaseless social intercourse that kept his keen observation and prodigious memory unceasingly at work. As he expressed it in ‘The Middle Years’ (1893):

Equally innocent and infinite are the pleasures of observation and the resources engendered by the trick of analysing life (James 1967: 121).

For James the man, the self-sustaining power of artistic creation took the place of the passionate human engagements that were his frequent subject. James wrote many substantial tales on the literary theme during the 1890s (six of the best known are ‘The Private Life’ and ‘The Middle Years’ (both 1893), ‘The Death of the Lion’ and ‘The Coxon Fund’ (both 1894), ‘The Figure in the Carpet’ (1896), and ‘John Delavoy’ (1898). They deal with such issues as the connection between an author’s private and public persona, the hidden unifying idea running through all of a writer’s work, the fate of an author’s literary remains, and whether readers of fiction can be educated to appreciate original genius. These stories reflect seriously on the vocation and destiny of the writer in modern society and the strange fact that the reading public often seems more interested in an author’s life than in his work. But in the two major tales of the previous decade that I discuss here James explored a more challenging question:

that of the relationship between the moral impact of a writer's work and the writer's own moral character as a man.

Although Henry James understood the English literary context well, he had long been out of touch with the literary scene in America and never wrote about it. His celebrated novelist Henry St George in 'The Lesson of the Master' (1888) and St George's young disciple Paul Overt are both English. In 'The Author of *Beltraffio*' (1885) Mark Ambient is also English, but his unnamed admirer, the story's narrator, is an American, and James makes much of his capacity for pointed American directness about English character and manners. After a remarkable exchange in which Beatrice Ambient, the great novelist's wife, has informed him that she doesn't care for her husband's books, and he has assured her that she is 'not ignorant, not stupid', he comments:

Mrs Ambient had evidently the enviable English quality of being able to be mute without unrest (James 1967: 176).

Despite the heavily underlined irony, his subsequent reservations about having been 'both familiar and patronising' to his hostess remind the reader that the narrator himself is being 'placed', to use James's own phrase. This is something we should always remember when reading any story told in the first person, though it seems to be forgotten by Gorley Putt in his largely negative critique of the tale as an 'awkward mixture of creative observation ...and an inappropriate aesthetic theory' (Putt 1968: 191). This narrator is not an American 'ignorant' or 'stupid' about old Europe (Putt 1968: 176); for it is 'the spirit of the Renaissance' as manifested in Ambient's novels that has inspired him in his own travels through 'that classic land' (James 1967: 165).

Mark Ambient's antagonistic relationship with his wife was suggested to James by what he had heard about John Addington Symonds (1840-93), the author of *Renaissance in Italy* (1875-86) and pamphlets arguing for homosexual law reform (1883, 1891). Symonds was not a novelist, any more than Ambient is a homosexual; but James never drew his characters direct from the life and what is obviously important for the reader is that his fictional writer *is* a creator of fictional narratives. There are two reasons for this: one is the problematic relationship

that fiction bears to historical truth and the other is the influence on moral behaviour that a novel can sometimes have. James sees this influence as wider and more direct than that of the critical and historical works, such as those published in the 1870s by Symonds and Walter Pater (*The Renaissance*, 1873) which inspired the literary and artistic movement of 'Aestheticism' that provides the tale's immediate background.

The novelist's sister Miss Gwendolen Ambient is a representation, distorted to the point of caricature, of the female aesthete of the time. Nonetheless, James has her display an accurate instinct for what her hostile sister-in-law Beatrice is up to when she insists on calling the doctor to treat the Ambients' sick child Dolcino, as the narrator acknowledges with his usual sharpness:

I make haste to say that her quick sensibility, which visibly went out to the child, argues that in spite of her affectations she might have been of some human use (James 1967: 205)

Once again the young American performs a needed rôle in the action while being 'placed', for it's more obvious to us than to him how greatly Miss Ambient's 'quick sensibility' outbalances her 'affectations' and that, had it been heeded, the unfortunate child's life would have been saved. Mark Ambient's beautiful upper-class wife, for her part, strikes the narrator both as the embodiment of Philistinism and as 'the very angel of the pink of propriety' (James 1967: 201). But even allowing for his bias, Beatrice indeed exemplifies the sterner aspect of Victorian religion, censoriously moral yet self-deceiving, profiting from Ambient's success while refusing to look at what he has written. Her belief that if their son reads his father's novels he will be morally corrupted prompts her shocking (to many readers, incredible) refusal to administer the medicines that the sick child requires. His needless death throws her into what the narrator calls 'frantic grief', whereupon he and Gwendolen, who know the truth, agree to conceal from the novelist what has really happened, so that he can put the tragedy down to the mother's 'extravagance of jealous devotion' (James 1967: 221) and not blame her for an act little short of murder. Ambient's ignorance enables him to share

the responsibility for Dolcino's death, for as he tells the narrator he has always had a premonition concerning 'their dealings with their son' that between them they'd 'probably kill him' (James 1967: 179). It is left open to the reader whether Ambient *deserves* to share it.

'The Author of *Beltraffio*' might perhaps be categorised as a (somewhat implausibly exaggerated) tale of antithetical moral positions, if Ambient's personal behaviour corresponded to the supposed immoral tendencies of his fiction. But far from being corrupt and dissolute, he is a faithful husband and a solicitous father, so it will strike most readers as monstrous that Mrs Ambient should let Dolcino die rather than risk being corrupted by his father's books (and supposedly his father's character as reflected in those books). Ambient himself reports to the narrator a conversation with his wife about whether their son should read his work, in which the novelist had replied, At the age of twenty, yes, but not before. But to her objection, supposing he read them at fifteen? his response, that young people shouldn't read good novels, carries little weight; for even if a novel may not corrupt the adult, it doesn't follow that it won't corrupt the young. Ambient's more serious objection to Beatrice's view of what a novel is as 'so hollow, so dishonest, so lying' that 'it makes [his] ears burn' is also not a good argument. But we cannot ignore his insistence that Beatrice is *afraid* of beauty and 'holds that we shouldn't cultivate or enjoy it without extraordinary precautions and reserves' (James 1967: 200, 199); for this makes his attack on her Philistinism *essentially* an attack on her Puritanism.

What Beatrice objects to in her husband's novel is, we are left in no doubt, its treatment of sex; and though the particular cause of offence is never spelled out, the narrator observes both that these writings express 'but *half* his thought' and that some critics 'regret that having gone so far he didn't go *further*' (James 1967: 186; my emphasis). Presumably James means that whatever Ambient might have written – had he not feared scandal – would have been radically at odds with the moral standards of the age. It might have involved, for instance, presenting homosexual love as acceptable, or treating heterosexual love in the direct manner that was then excluded from serious English fiction.

Now it seems that even if Ambient's novel *Beltraffio* could be vaguely categorised as an 'erotic' work, the narrator regards it as a superlatively beautiful piece of literature. The problem for Mrs Ambient, however, is that its literary beauty does not excuse its refusal to condemn the immoral sexual behaviour it depicts; and since this raises for the reader the question of what Ambient's novel *Beltraffio* is actually about and *why* Beatrice fears it and any future work by its author, his dogmatic assertion that she is simply 'afraid of beauty' won't easily hold up.

Inevitably James can give no adequate idea about Ambient's masterpiece *except* through its effect on its readers. It has had more 'detractors' than 'admirers' and about it 'the newspapers were always even abnormally vulgar', implying a Philistine opposition to the book's 'esthetic war-cry' on behalf of 'the gospel of art' (James 1967: 194, 195, 163) and an indifference to its qualities of form and style. It seems fair to presume that the name 'Beltraffio', given its resemblance to 'Boltraffio', a disciple of Leonardo da Vinci, denotes a person (the book's protagonist) and that the novel is meant to propound its 'gospel of art' through a fictional story set in Renaissance Italy depicting a character who completely disjoins the pursuit of beauty from the pursuit of virtue. This attitude is one that Walter Pater had described in 1873, when he wrote of Leonardo's Uffizi *Medusa* ('Leonardo da Vinci', 1869):

What may be called the fascination of corruption penetrates in every touch its exquisitely finished beauty (Pater 1924: 109).

This is not the beauty of holiness but more like the vitiated beauty of Charles Baudelaire's *Les Fleurs du Mal* (1857), which Pater knew, and on which James published an essay in 1876 which expresses a very similar idea to Pater's:

[Baudelaire] went in search of corruption, and the ill-conditioned jade proved a thankless muse. The thinking reader... finds the beauty perverted by the ugliness (James 1981: 31).

The 'exquisitely finished' beauty of Ambient's controversial novel *Beltraffio* was presumably of this fascinatingly 'corrupt' and 'perverted' kind. But we need not insist on identifying too closely 'the spirit of the Renaissance' to which James's American narrator refers with

the foundational text of the English Decadence, Pater's *Renaissance*. For the more widely known Early Victorian work of Robert Browning 'My Last Duchess' (1842) exposes with shocking frankness the same disjunction between morality and aesthetics that has alarmed Beatrice Ambient, when Browning's Duke points out the beauties of his late wife's portrait while leaving the listener in no doubt that he has done away with her.

Now James is not seriously suggesting, of course, that Beatrice Ambient fears her husband might murder *her* if she fails to please him; in fact, the chief irony is that the only person who commits an immoral *act* in the course of the narrative is Mrs Ambient. But she does fear that Mark Ambient will 'kill' *their son*, in the sense of contaminating his mind with the corrupt values of the characters in his writings. However, what I think turns our sympathies against Mrs Ambient is that she remains ignorant of these writings on principle. We thus inevitably feel apprehensive when the narrator suggests that Beatrice should read her husband's new work, which its author believes is the best thing he has done; and our apprehension is justified when Gwendolen Ambient describes the effect of her reading to the dismayed narrator:

'The book gave her a horror; she determined to rescue him – to prevent him from ever being touched' (James 1967: 220).

Here 'touched' has a metaphorical sense, and yet Gwendolen's words are bound to recall the scene in the garden when Beatrice held on to Dolcino and refused to relinquish him to her husband, that is, to let Mark Ambient touch him (James 1967: 169). As for Ambient, it seems all too clear what his stated aim that his new work should 'give the impression of life itself' and be 'a golden vessel filled with the purest distillation of the actual' (James 1967: 195-6) actually means: and we can be sure that the book's direct depiction of sexual experience rather than its beautiful form or refined style 'decides' Beatrice, in Gwendolen's terrible words, to 'sacrifice' Dolcino in a tragically literal sense (James 1967: 220).

It must be said, in conclusion, that the aftermath of the extraordinary events at Ambient's country house hardly leaves the reader in an unam-

biguous state of mind about the relation between the three factors James here explores – an author’s personal morality, the moral structure of his novel and its effect on his readers. We are indeed told that the effect of Dolcino’s loss is to bring about Beatrice Ambient’s own decline and death, though not before she has read Ambient’s new book and ‘even dipped into the black “Beltraffio”’ (James 1967: 222). But James’s disturbing story leaves us feeling distinctly that literature which deals frankly and boldly with sexuality is, like sexuality itself, dangerous, as are fire or electricity: Venus is a power to be reckoned with, not a toy to be played with.

II

‘The Lesson of the Master’ is both a more complex and a more entertaining tale that deals with a less complicated and less disturbing subject. Here the issue is not the impact of a writer’s work on his readers and the people around him but the part his work may play in his getting what he wants at the expense of other people. Unlike ‘The Author of *Beltraffio*’ the story is told in James’s usual third-person mode, with the young novelist Paul Overt becoming the willing but only half-conscious ‘narrative tool’ of the older and more experienced Henry St. George, a master of ‘plot’ not only in fiction but in life. Where Mark Ambient is misguided, Henry St George, who seems to Paul an unfortunate victim of circumstance, is disingenuous, in the way he sets himself to obtain the beautiful Marian Fancourt, whom Paul hopes to marry once he has finished his book. Since the middle-aged but attractive St George is already married, his early ‘courting’ of Miss Fancourt asks to be interpreted as mere ‘social’ flirtatiousness; but when he advises Overt against marrying *at all* if he wishes to achieve anything really significant, James raises an issue that, unlike the problem in ‘The Author of *Beltraffio*’, had deep personal relevance for himself.

Now, what makes Henry St George’s case on the face of it so plausible in Overt’s eyes is that, as a married novelist, he is under pressure to produce second-class work in order to keep Mrs St George in the manner to which she has grown accustomed. Hence he offers his warning lesson to the younger man:

‘Look at me well, take my lesson to heart – for it *is* a lesson...Don’t become in your old age what I have in mine – the depressing, the deplorable illustration of the worship of false gods.’ (James 1947: 133).

The ‘false gods’ in question being ‘the idols of the market’, St George insists that what has forced him to be concerned with these idols is the needs of his wife and children – ‘money and luxury and “the world.”’ But he never so much as hints that these are things he wanted for *himself*. When Paul visits him at his London house their second important conversation takes place in the writer’s study, ‘a large high room... without windows, but with a wide skylight at the top’ (James 1947: 150), a room that St George likens to a prison where he is compelled to compose book after book:

‘Isn’t it a good big cage for going round and round? My wife invented it and she locks me up here every morning’ (James 1947: 151).

Paul, however, sees the room as a place where external constraint, far from being unfavourable to creativity, fosters and nourishes it:

The outer world, the world of accident and ugliness, was so successfully excluded, and within the rich protecting square, beneath the patronising sky, the dream-figures, the summoned company, could hold their particular revel (James 1947: 152).

Now, without the *dual valency* of this symbol of the writer’s dedicated life, the story’s rich ambiguity would surely be much impoverished. For isn’t the Master’s ‘lesson’ one that James himself had taken to heart, shielding *his* talent from the pressure to work for wealth and social success by remaining completely free from the burdens of a wife and family? And insofar as Paul Overt responds to St George’s admonition, he does what James himself had done – he labours on his work with ‘the rigour of privation’ in order to make it ‘supremely good’ (James 1947: 166). To ensure this, he secludes himself in Europe for two years before returning to London to resume his interrupted relationship with Marian Fancourt. But feeling the urge to communicate with her, three months into his self-imposed exile Paul writes to explain his sudden departure to Marian, and when she informs him of Mrs St George’s death, he at once writes to Henry St George to express his sympathies. But what

now astonishes and disconcerts him is that the Master in *his* reply speaks now of his late wife not as his 'gaoler' but as someone who did him 'the highest service she could have rendered' (James 1947: 165) – that of enabling him to pursue his art.

I would make two main points here. Firstly, what St George says to Overt is not a mere 'contradiction' or 'retractation' but rather the *completion* of something the Master refrained from saying in their crucial first conversation – namely that money, luxury and 'the world' were also things that he wanted *for himself*. That concealment, to be sure, amounts to disingenuousness; but the Master's letter of reply offers Paul an opportunity that to some degree cancels out his culpability. For if what St George is now saying is true, then it offers a very different 'lesson' from his original lesson, in its accepting that marriage, far from being inimical to a writer's creativity and artistic integrity, might actually support and sustain these things. Paul Overt, in other words, is being given a real chance – it is only three months since he left England – to return to his promising courtship of Marian Fancourt, who sincerely admires his work (while Paul is, in her father's eye, an appropriate suitor for his daughter). Secondly, it is at this crucial moment that Paul makes a conscious decision *not* to do so; and because his book (as he sees it) demands his undivided attention if he is to bring it to perfection, he places devotion to the Muse before his devotion to Marian, and keeps away for a full two years. This, not surprisingly, proves disastrous, because it disposes Marian to believe that he did not really care for her (we may remember here Henry James's reported remark when someone complained that a mutual friend loved his fiancée too much, 'If a man does not love a woman too much, he does not love her enough'). The result of Paul's action (or inaction) is to open the way, after a decent interval following Mrs St George's death, for the Master, whom Marian has also long admired as a writer, to resume *his* courtship (now not flirtatiously but seriously) and finally to win her consent.

When he discovers to his utter dismay what has happened, Paul asks himself whether St George's advice to him not to marry was a subtle plan worked out beforehand; and he concludes that he has been duped

by the Master, telling himself that he had ‘renounced’ Marian yet left the ‘door’ to her affections ‘closed but not locked’ (James 1947: 169). However, if a door can be opened, it can be opened by more than one person: is Paul guilty of mere naiveté in the things of ‘the world’ or does he get what he deserves because he is in effect given what he chooses? Paul’s decision to complete his book before wooing Marian is a free choice, and what the Master offers his disciple is the freedom to fashion his own destiny; but *after* Paul has chosen, St. George not unreasonably feels free to fashion *his*. Of course the Master had wilfully misrepresented the effect of his own marital situation on his quality as an artist; but he cannot *force* Paul to do something he doesn’t wish to do, and St George gives the younger man time to get in first, since he cannot begin his own suit of Marian until his rival has left the field and he can decently enter it. Almost as important as Paul’s free choice is the free choice of Marian herself to marry the middle-aged St George rather than wait for young Paul in the hope that he might, as we say, ‘get serious’.

The final ‘lesson of the master’ that Paul Overt learns is the painful one taught by experience of life in that ‘outer world of accident and ugliness’ from which he shuts himself by placing art before love. Pondering his choice, the detached reader may also wonder whether the single-minded devotion to art that St George points him to actually *helps* him write a literary work far finer than he might otherwise have produced? Paul understandably feels bruised; but when the book for which he has sacrificed personal happiness appears, we are told that ‘Mr and Mrs St George found it really magnificent’ (James 1947: 175). The irony is exquisite; but then, aren’t the married pair, after all, Paul Overt’s most devoted readers? And can one really say that Paul has been mercilessly duped when he soon learns that St George has given up writing, now that (with the help of Miss Fancourt’s ‘moderate fortune’) he need no longer serve the idols of the marketplace?

‘The Lesson of the Master’ is Jamesian comedy at its most inventive and resourceful; but much of its power derives from what the author has put of himself into both Henry St George, the Master who compromised

with the world, and into Paul Overt, the pupil who, like Henry James (though at a more painful cost) *never* did.

Works Cited

- James, Henry. *Selected Tales*. London: Richards Press, 1947.
----- *Selected Stories*, ed. G. Hopkins. London: Oxford U. P., 1967.
----- *Selected Literary Criticism*, ed. M. Shapira. Cambridge U. P., 1983.
Pater, Walter. *The Renaissance: Studies in Art and Poetry*. London: Macmillan, 1924.
Putt, S. Gorley. *The Fiction of Henry James*. Harmondsworth: Penguin Books, 1968.

პარლ უმიჯტი

ოქსფორდის უნივერსიტეტი, ბალიოლის კოლეჯის პროფესორი (დღეობრივ ბრიტანეთში)

რეზიუმე

რომანისტი და მორალი: ჰენრი ჯეიმზის „ბელტრაფიოს ავტორი“ და „ოსტატის გაკვეთილი“

სტატის ავტორი განიხილავს ხელოვნებისა და მორალის ურთიერთმიმართების საკითხს გამოჩენილი ამერიკელი მწერლის, ჰენრი ჯეიმზის ნაწარმოებებში „ბელტრაფიოს ავტორი“ და „ოსტატის გაკვეთილი“. კერძოდ, იგი ახილავს ავტორის პიროვნული მორალის, რომანის მორალური სტრუქტურისა და მკითხველზე მისი ზეგავლენის საკითხებს („ბელტრაფიოს ავტორი“). სტატის მეორე ნაწილში განხილულია „ოსტატის გაკვეთილის“ ძირითადი პრობლემატიკა.

ნუნუ ჩარჩვიანი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასისტენტ პროფესორი

ნათია ჯიქია

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

გრაზაბიანული ჯოგანიაციის თავისებურება ამერიკულ და ქართულ პრესაში

გაზეთი, როგორც მასობრივი ინფორმაციის ერთ-ერთი სახეობა, რომლის მეშვეობითაც ინფორმაციის გადაცემა უმთავრესად ბეჭდვითი სიტყვის საშუალებით, ტექსტური მასალებით, აგრეთვე სხვადასხვა გამოსახულებით ხდება, წარმოადგენს კომუნიკაციის სპეციფიკურ ტიპს. გაზეთი კომუნიკაციის ერთობ საინტერესო და ორიგინალურ ფორმას წარმოადგენს, სადაც კომუნიკანტების – ადრესანტსა და ადრესატს – შორის არ არის უშუალო კავშირი, იგი ფაქტობრივად დისტანტური ტიპისაა, მაგრამ გაზეთშიც ისე, როგორც მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებში – რადიო, ტელევიზია – ეს უკუკავშირი ფარულ ხასიათს ატარებს, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ხდება ადრესატის სოციოლინგვისტურ ფაქტორთა გათვალისწინება, სწორედ ამიტომაც გვაქვს გაზეთის სხვადასხვა ტიპი, რომელიც საზოგადოების სხვადასხვა ფენის ინტერესებს ემსახურება.

ნებისმიერი გაზეთის ენის სპეციფიკას გარკვეულწილად განსაზღვრავენ ის ფუნქციები, რომლებსაც გაზეთი კომუნიკაციის პროცესში ასრულებს. პრესის ენის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელი ინფორმაციის სიზუსტე და სიცხადეა. ამ ნიშნით ის სამეცნიერო ლიტერატურის ენას უახლოვდება. პრესაში, როგორც სარკეში, ისე აირეკლება ენის განვითარების რთული და მრავალფეროვანი პროცესი. მასმედიის და განსაკუთრებით კი პრესის ენა ძალზედ მოძრავი და ცვალებადია და ცდილობს დაემსგავსოს ზეპირმეტყველების ენას; შესაბამისად, ცვალებადია მისი გამომხატველი ენობრივი ფორმები.

სამწერლობო სტილებს შორის ყველაზე უახლესი საგაზეთო სტილია. იგი შესაძლებელია მივიჩნიოთ არა მხოლოდ ლინგვისტურ, არამედ

კულტურულ ფენომენად და განვიხილოთ ლინგვოკულტურულ ჭრილში. ლინგვოკულტურული მიდგომა კი ვარაუდობს კომუნიკაციის არა მარტო საკუთრივ ენობრივი მხარის, არამედ კომუნიკაციური ასპექტების ანალიზსაც, გვეხმარება გამოვლენასა და კვლევაში, ასევე იმ ფაქტორების შესწავლაში, რომლებიც ურთიერთობის ეროვნულ-კულტურულ სპეციფიკას განაპირობებენ.

თანამედროვე ამერიკულ და ქართულ გაზეთებში გამოქვეყნებული სხვადასხვა ჟანრის პუბლიკაციებში ინფორმაციის გადმოსაცემად გამოყენებული ზოგიერთი რთული გრამატიკული ფორმის შედარებამ კიდევ უფრო თვალსაჩინო გახადა გრამატიკის კომუნიკაციური ფუნქცია. როგორც ქართულში, ასევე ამერიკულ ინგლისურში ინფორმაციის გადაცემს – ადრესანტს – და მიმღებს – ადრესატს – შორის კომუნიკაციის დამყარებისას უნდა იქნეს გათვალისწინებული გრამატიკულ მოვლენათა მეტყველებაში ფუნქციობის სპეციფიკა. ფუნქციური მიდგომისას უნდა შეფასდეს ენობრივი მოვლენების ის მხარეები, რომლებიც საშუალებას იძლევა ეს მოვლენები გამოყენებულ იქნას რეალური კომუნიკაციის დროს.

„ფუნქციობის პოზიციიდან გრამატიკა არ შეიძლება შემოიფარგლოს ცალკეული მოვლენის ტრადიციულად გრამატიკულ კატეგორიებად დანაწილებით, რადგან გრამატიკულ მოვლენათა ფუნქციობის ბოლო ეტაპი სწორი გამონათქვამის აგების (კომუნიკაციის) უზრუნველყოფაა, ამიტომ აუცილებელია მხედველობაში იქნას მიღებული სხვადასხვა გრამატიკულ მოვლენათა ის კავშირები, რომელთაც შეუძლიათ შეასრულონ მსგავსი კომუნიკაციური დავალება“ (მეგრელიშვილი 2009: 134).

როგორც ცნობილია, გრამატიკა არ არის მოძღვრება სისტემაზე. არ არსებობს გრამატიკა ენაში რეალიზებისადმი უშუალო მიმართების გარეშე. რეალიზების უნარის ზრდა შესაძლებელია მხოლოდ კომუნიკაციურ კავშირებში. საკომუნიკაციო სიტუაციების ხსენებას მივყავართ სოციო-ლინგვისტურ და ფუნქციურ-სტილისტურ ფაქტორებთან, კომუნიკაციური კავშირების როლზე მითითებას კი – ენისა და სინამდვილის ფუნდამენტურ დამოკიდებულებასთან. ენის კომუნიკაციური ფუნქციაა, ავსახოთ სამყარო ჩვენი შექმნების დონის შესაბამისად, ენის დახმარებით, საზოგადოებაში პრაქტიკულად გაუვგოთ ერთმანეთს. კომუნიკაციურმა გრამა-

ტიკამ უნდა გაითვალისწინოს ენის თავისებურებანი და უნდა ამოდიოდეს ენობრივ საშუალებათა მნიშვნელობებიდან.

ამდენად, უდავოდ საინტერესოა ვიცოდეთ, რა კომუნიკაციურ დონეზე ხერხდება ქართული და ამერიკული გაზეთების ტექსტებში ისეთი რთული გრამატიკული ფორმების გამოყენება, როგორიცაა პერფექტული (სრული) და განგრძობითი (პროგრესული) დროები.

ზმნა და მისი დროითი ფორმა მთავარი ღერძია ერთი პიროვნების მიერ აზრის გადმოცემისა და მეორეს მიერ მისი აღქმის კუთხით.

„ლინგვისტური დრო, როგორც ზოგადი სახის ფენომენი, წარმოდგენილია სამგანზომილებიანი სტრუქტურული მთლიანობით; მის შემადგენლობაში შედის გრამატიკული (მორფოლოგიური, სინტაქსური), ლექსიკური და კონტექსტუალური დროები (Moskalskaia 1971), თუმცა ყოველი კონკრეტული დონე დროის სახეობასა და რაგვარობას კი არ განსაზღვრავს, არამედ ახდენს შესატყვისი დონის ზოგადი სემანტიკის რეალიზაციის ცალკეული ლექსიკური, გრამატიკული თუ კონცეპტუალური ერთეულების მეშვეობით. ენაში დროის ფორმების არსებობა, რაც ერთი მოქმედების წინამავლობის გადმოცემას გულისხმობს მეორესთან შეფარდებით, კიდევ უფრო ართულებს შესადარებელ ენებში ზმნის დროის რთულ ფორმებს შორის მსგავსება-განსხვავების დადგენას.

„ინგლისურ ენაში წარსული დროის საორიენტაციო ღერძის ვექტორული ნულის მიმართ წინამავლობის გადმოსაცემად მოიპოვება ფორმები: წარსული პერფექტი და წარსული პერფექტ-განგრძობითი, რაც შეეხება არაწინამავლობას, ენას მის გადმოსაცემად სპეციალური ფორმები არ გააჩნია. ამ ფუნქციას ძირითადად მარტივი წარსული განუსაზღვრელი და წარსული განგრძობითი ასრულებს“ (მეგრელიშვილი 2012: 121).

ისეთ ენებს, რომელთა ტემპორალური სისტემა ექვემდებარება აბსოლუტურ და ფარდობით, ანუ რელატიურ დროის ფორმებად დანაწევრებას, ეკუთვნის ინგლისური ენა, ე.ი. ინგლისურში ერთ შემხთევაში მიმართებები მყარდება უშუალო მეტყველების მომენტთან (განგრძობითი დროები), მეორეში სხვა რომელიმე მოქმედების მიმდინარეობის დროსთან (პერფექტის დროები). მართალია, ქართულ ენაშიც ვხვდებით დროის როგორც აბსოლუტურ, ასევე რელატიურ ფორმებს (I თურმეობითი და II თურმეობითი), მაგრამ ინგლისური ენა დროის ფორმების მეტი მრავალფეროვნებით ხასიათდება. მაგალითად, „პერფექტს შეუძლია გამოხატოს

მიმართება როგორც მეტყველების მომენტთან, ასევე მეორე მოქმედების ჩატარების დროსთან. არც ერთ სხვა დროის ფორმას არ ახასიათებს ორი, როგორც აბსოლუტური, ისე ფარდობითი მოქმედების მნიშვნელობის რეალურიზაციის ფუნქცია“ (ბოლქვაძე 2005: 45).

პერფექტულ ფორმათა ფუნქციობის სირთულე მრავალი მეცნიერის კვლევის საგანი გამხდარა. ამ ფორმათა მნიშვნელობა სხვადასხვაგვარად არის ინტერპრეტირებული. ბ. ილიში ამ ფორმების შემდეგ ძირითად ფაქტორებს ასახელებს: 1) ზმნის ლექსიკური მნიშვნელობა 2) ფორმის დროითი კატეგორია 3) სინტაქსური კონტექსტი და 4) სიტუაცია, რომელშიც ესა თუ ის პერფექტული ფორმა გამოიყენება. ყველა შემთხვევაში პერფექტულ ფორმებში ნათლად გამოიკვეთება თანმიმდევრობა, რეზულტატურობა, ლოგიკურობა; მასში ზუსტდება მოქმედების, ზღვრადობის და სიტუაციის მომენტი. (Ilyish 1971: 94).

საინტერესოა, აისახება თუ არა თანამედროვე ამერიკული პრესის ენაში ინგლისური ენის პერფექტული დროებისათვის დამახასიათებელი აღნიშნული თვისებები. ამ მიზნით ჩავატარეთ დაკვირვება როგორც ამერიკულ, ასევე ქართულ პრესაზე.

თუკი ინტერნეტის მასალებს დავეყრდნობით, ამერიკის შეერთებულ შტატებში ზეპირ და წერით მეტყველებაში პერფექტული დროის გამოყენების არეალი სხვადასხვა დროს სხვადასხვაა. როდესაც პირველი ბრიტანელები ამერიკაში დასახლდნენ, განსხვავება არ იყო გამოკვეთილი მარტივ წარსულსა (SP) და აწმყო სრული (PP) დროს შორის ბრიტანულ და ამერიკულ ინგლისურში. განსხვავებას მხოლოდ კოლონიურ ჩამორჩენილობად თვლიდნენ. ელსანესი თავის გამოკვლევებში ადასტურებს PP-ის (აწმყო სრული) დროის გამოყენების ზრდას, მაგრამ აღნიშნავს იმასაც, რომ დროთა განმავლობაში ეცემა ზრდის ტემპი მე-18 საუკუნის მეორე ნახევრიდან და შემდეგ მე-20 საუკუნის II ნახევრიდან. რაც შეეხება თანამედროვე სიტუაციას, თვალშისაცემია ამერიკულ ინგლისურში SP (მარტივი წარსული დროის) გამოყენება PP (აწმყო სრულის) ნაცვლად. ეს განსაკუთრებით იგრძნობა ზეპირმეტყველებაში, თუმცა აქვე მოყვანილი მაგალითები ამერიკული პრესიდან ადასტურებს იმას, რომ ამერიკელები წერით მეტყველებაშიც არჩევენ SP (მარტივ წარსულ) დროზე აკეთებენ და ხშირია ფაქტები, სადაც PP-სათვის დამახასიათებელ ზმნიზედებს ვხვდებით SP-სთან. ე.ი. since, just და yet-ს იყენებენ SP-სთან

და Yesterday ან last week PP-თან. ამჟამად ამერიკულ ინგლისურში შეკითხვა Did you eat? ბრიტანულ ინგლისურთან შედარებით Have you eaten? შეიძლება ჩავთვალოთ მხოლოდ ტრანსლინგვისტური გრამატიკული სხვაობის ერთ-ერთ ნიშნად. ზოგჯერ ბრიტანულ ინგლისურშიც ვხვდებით ანალოგიურ შემთხვევებს და ადგილობრივი მცხოვრები შემდეგი წინადადების გაგონებისას “And Roberts has played for us last season” ფიქრობს, რომ მოქმედმა შეცდომა დაუშვა, მაგრამ ეს ასე არ არის.

პერფექტული დროის გამოყენების ზემოთ აღნიშნული პერიოდების არსებობა სწორედ ამ გრამატიკული დროისათვის დამახასიათებელი ორბუნებოვნებიდან მომდინარეობს. მოქმედების წინამავლობა ინგლისურ ენაში, როგორც წესი, ახლანდელი პერფექტით გამოიყენება, მაგრამ იგივე შინაარსი შეიძლება გადმოიცეს წარსული მარტივი დროის ფორმითაც,

ნებისმიერი ტიპის ამერიკული გაზეთის ფურცლებზე ვხვდებით ტრადიციული გრამატიკული დროის ფორმებს - წარსული, ახლანდელი, მომავალი, როგორც მარტივს, ისე განგრძობითს და პერფექტს, მაგრამ აქვე მარტივი წარსული დროის გამოყენება ახლანდელი პერფექტის და ახლანდელი განგრძობითის ნაცვლად არ არის უჩვეულო მოვლენა კომუნიკაციის დამყარებისას ამერიკულ პუბლიკაციებში, მასში გარკვეული წვლილი შეაქვს სრული დროებისათვის დამახასიათებელ ზმნიზედებს. მაგალითად:

1) The agency recently proposed updates to clarify that the rule extended to mobile devices (*New York Times*, 22 August, B7).

2) The general services was just signed, so now were more than half-way rented (*New York Times*, 22 August, B7).

არის შემთხვევები, როდესაც ორივე ზემოაღნიშნული ზმნიზედა ერთდროულადაც გვხვდება.

1) We just recently signed with the Port Authority that the Dursts will be operating a broadcast facility on top of the world Trade Center, similar to what we have at four times square, which will serve as a back up (*New York Times*, 22 August, B7).

ზოგჯერ თვით კონტექსტი მიგვიითითებს შესატყვის დროს, ე.ი. ზმნიზედები საერთოდ არ ჩანს.

მაგ. 1. "My fundamental complaint is only this: Why did you invite us? Mr. Sims said: "Why did you take our deposit?" (*Business Day*, Wednesday, August 22, 2012, B1).

დროის გარეშობა "this week", "this month" და ა.შ. კიდევ უფრო თვალნათლივ ავლენს მოქმედების სრულობას.

მაგ. 1) His office acknowledged this week that Mr. Cantor delivered a rebuke to members of the delegation at the time over their behaviour last year (*New York Times*, 22 August, A4).

2) The California State Bar told the court this month that Garcia and others like him should be allowed to be licensed but awaiting guidance from the Supreme Court. (*The USA Today*, Monday, July 2, 2012, 3A).

წინამავლობა და მასთან მიმართება გადმოიცემა აგრეთვე ახლანდელი პერფექტ-განგრძობითის ფორმით. ახლანდელი პერფექტ-განგრძობითი ახლანდელი პერფექტიდან მხოლოდ ერთი ნიშნით – მოქმედების ხანგრძლივობით – განსხვავდება.

მაგ. 1) For montns, heart specialists have been scrambling to figure out how to treat an estimated 128, 000 patient worldwide who have the Rata implant (*Business Day*, August 22, 2012, B2).

თუმცა ახლანდელ პერფექტ-განგრძობითისათვის დამახასიათებელი დროის გარეშობას ვხვდებით ახლანდელ პერფექტთან.

მაგ. 1) For months Mr. Romney has struggled the stay focused on the economy... (*The New York Times*, Wednesday, August 21, 2012).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სშირია PP-ის გამოყენება SP-ის ნაცვლად თანამედროვე ამერიკულ პრესაში (რასაც ინგლისურ პრესაშიც ვხვდებით), თუმცა, მეორე მხრივ, ადვილი შესაძმნევია PP-ის ხმარების ზრდის ტემპი აშშ-ის გაზეთებში. ამ ფაქტს თანამედროვეობის ტექნიკურ ცვლილებას უკავშირებენ. უფრო სწორად თუ განვმარტავთ, წინა საუკუნეში ახალი ამბების რეპორტაჟები ისეთ მოვლენებს ასახავდნენ, რომლებიც დროს საკმაოდ ჩამორჩებოდნენ მაშინ, როდესაც ამჟამად უდიდესი შესაძლებლობა გაჩნდა ახალი ამბები მაშინვე გაშუქდეს, ე. ი. პერფექტის დროის გამოყენების საჭიროება დიდია.

რაც შეეხება არაწინამავლობას, ენას მის გადმოსაცემად არ მოეპოვება სპეციალური ფორმები. ამ ფუნქციას ასრულებს როგორც მარტივი, ასე-

ვე რთული დროც, ჩვენს მიერ განსახილველიდან მარტივი და წარსული განგრძობითი.

ქვემოთმოცემულ მაგალითში ცხადად ვგრძობთ განგრძობითი დროის საჭიროებას, თუმცა იგივე შინაარსი წარსული მარტივითაა გადმოცემული.

მაგ. 1) As they chased down balls, they didn't stride so much as they shuffled. (*Business Day*, Wednesday, August 22, 2012, B11).

მოქმედების მრავალგზისობა-ერთგზისობის მნიშვნელობა, რომლის რეალიზაციაში კონტექსტის სხვადასხვა ელემენტები ღებულობენ მონაწილეობას, ძირითადად არაგანგრძობითი ასპექტური ფორმით გადმოიცემა. თუმცა ზოგჯერ განგრძობითი ასპექტითაც გამოიხატება. ამ შემთხვევაში ჩვენ გვეძლევა გრამატიკული ფორმის ისეთი ვარიანტული მნიშვნელობა, რომელიც მრავალგზისობის სხვადასხვა მაჩვენებლიდან (always, often never) ფორმის ურთიერთმოქმედების შედეგია. ამერიკულ გაზეთებში ვხვდებით:

მაგ. 1) “Guess what? I'm never doing this again” (*USA Today*, Monday, July 2, 2012).

2) “When not coaching, Moriarty was often teaching” (*Business Day*, Wednesday, August 22, B15) .

ამერიკულ პუბლიკაციებში ამერიკული ინგლისურისათვის დამახასიათებელი კიდევ რამდენიმე შემთხვევას ვხვდებით: ზმნები, რომლებიც ტრადიციულად ბრიტანულ ინგლისურში მარტივ დროებშია, ამერიკულ ტექსტებში რთულ განგრძობით დროში გვევლინება.

მაგ. 1) “It does nothing to move beyond correlations to figure out what is actually causing the mental health’ . (*USA Today*, Monday, July 2, 2012).

(უფრო ბუნებრივი იქნებოდა what causes the mental health), სხვაგან ვერ ვიპოვით ზმნას “find” (განგრძობით) დროში თუ არა ამერიკულ გაზეთებში, ამ ფორმამ გარკვეული სტილისტური დატვირთვა მიიღო.

მაგ. Despite the difficulties some cities are findiry a way. იგივე შეიძლება ითქვას ზმნაზე “look”

მაგ. 1) She wasn't looking good at all because her love died - (*USA Today*, Monday, July 2, 2012, B 11).

იგივე წინადადებას ჩვენ ალბათ ასე ვიტყვით:

She doesn't look good at all because her love died,

რადგან ზმნა “look” მარტივი ფორმით გადმოსცემს მნიშვნელობას „გამოიყურება“ (*USA Today*, Monday, July 2, 2012).

ბრიტანული ინგლისური ენის მიხედვით ზმნა “marry” მარტივ წარსულში გვხვდება დამხმარე ზმნასთან “get”, მითუმეტეს, თუ მოცემულია კონკრეტული დრო და ადგილი. ამერიკულ ინგლისურში კი:

მაგ. 1) Hilaria Thomas and Alec Balduin were married Saturday at St. Pzatricks old Cathedral in new York city. (*USA Today*, Monday, July 2, 2012).

დროთა თანმიმდევრობის გადმოცემაც თავისებური ფორმით ხორციელდება.

მაგ. Akin insisted that he will forge on in his campaign to defeat Democratic incumbent caire Mc Caskill (D-Mo) (*New York Past*, Wednesday, August 22, 2012, p. 6), (უნდა ყოფილიყო Would forge).

მაგ. Shoraker said the police found blood im the couple's bedroom, the stairway and throughout the house (*USA Today*, Monday, July 2, 2012, B14).

მოცემულ მაგალითში მარტივი წარსული დროის ფორმას “found” წარსული პერფექტის სემანტიკური დატვირთვა აქვს. დროით თანმიმდევრობის წესის დაცვით აქ უნდა გვქონოდა “had found”, მითუმეტეს, რომ მკაფიოდ ჩანს ერთჯერადი მოქმედება და არა სისტემატური.

შემდეგ მაგალითში:

მაგ. 1) "In this day and age, artist development is about how do you turn 10 facebook likes into 100, into 1,00”, - said Scott Seviour Epic's senior vice president for marketing (*The New York Times*, Wednesday, August 22, 2012, A3)

შეიძლება გვქონოდა შემდეგი არაკითხვითი ფორმა:

... how you turn ...

ან how to turn....

სტატის მიზანია, როგორც ზემოთაც ვახსენეთ, აღნიშნული გრამატიკული ფორმების გადმოცემის გზების დაფიქსირება ქართულ ენაში, კერძოდ, ქართულ პრესაში, იმდენად, რამდენადაც ქართულ ენასაც ახასიათებს მოქმედების დროის რელატიურობა, ძნელი არ უნდა იყოს ახ-

ლანდელი და წარსული სრული დროებით აზრის გადმოცემა ქართულად. თუმცა წინააღმდეგობას ვაწყდებით იმით, რომ ინგლისურ ენაში, კერძოდ, ამერიკულ ინგლისურში აღნიშნულ დროს აქვს როგორც აბსოლუტური, ასევე რელატიური ფორმები. იგი ქართულ პრესაში გადმოიცემა როგორც სინთეზური, ასევე ანალიზური (აღწერითი) ფორმებით.

მაგ. 1) თუმცა არ უნდა დაავიწყდეთ, რომ იმავე გამოკითხვებით, ამომრჩეველთა 40%-ს ჯერ არ გადაუწყვეტია, ვის მოსცემს ხმას (კვირის პალიტრა, 10-16 სექტ., 2012, გვ. 5).

(I თურმეობითი - უარყოფითი (haven't decided).

2) აფსაზეთში ევროპული ინვესტორების სტუმრობასთან დაკავშირებით გაა ანჩიბადისგან სმენია (რეზონანსი, 14 სექტ., 2012, გვ. 3. I თურმეობითი - დად.).

3) ჩვენ მივადწიეთ შეთანხმებას გერმანულ მხარესთან (კვირის პალიტრა, 10-16 სექტ., 2012, გვ. 13) - წყვეტილი.

4) „ევროკავშირის არაერთხელ დაუფიქსირებია არა მარტო საკუთარი მზაობა, არამედ არაერთხელ მოუწოდებია საქართველოს ხელისუფლებისათვის ამოქმედებულიყო ლოზუნგი „ჩართულობა აღიარების გარეშე“ (რეზონანსი, 13 სექტემბერი, 2012, გვ. 3).

(I თურმეობითი - მრავალგზისობის ეფექტით).

5) რაც შეეხება ხალხმრავლობას - „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ყველა ადმინისტრაციული რესურსის მობილიზაცია მოახდინა (კვირის პალიტრა, 10-16 სექტ., 2012, გვ. 3).

(წყვეტილი - შედგენილი ზმნური შემასმენელი).

6) როგორც ამბობენ, ხელისუფლებას დაპატიმრებული ჰყავს ვითომ გაქცეული ბოვეიკები (კვირის პალიტრა, 10-16 სექტემბერი, 2012, გვ. 6).

(შედგენილი შემასმენელი - have arrested).

7) ამ ჯგუფის ტრანსპორტირებაში ჩართული იყო ანტიტერორისტული ცენტრის თანამშრომელი ვინმე სანდრო ამირიძე (კვირის პალიტრა, 10-16 სექტემბერი, 2012, გვ. 10).

(შედგენილი შემასმენელი - had been involved).

8) ამ მხრივ ძალიან სერიოზული ნაბიჯები გვაქვს გადადგმული (კვირის პალიტრა, 10-16 სექტემბერი, 2012, გვ. 13).

(შედგენილი შემასმენელი - have taken steps)

მოქმედების პროგრესულობის გამოხატვით ამერიკული ინგლისური ხასიათდება მრავალფეროვნებით:

1) On the verge of his 5-th birthday on Tuesday, it seems the bad news keeps coming for Tom Cruin (keep+ing) (*USA Today*, Monday, July 2, 2012, 3D).

2) Still, hollywood continues to bet on the star (continue+inf). (*USA Today*, Monday, July 2, 2012).

3) “I think we were struggling over the last couple of years doing one event at this level”

(Past Cont - ნაცვლად აწმყო სრული განგრძობითისა) have been struggling. აწმყო სრული განგრძობითის ტოლფარდი ქართულში უმეტესად ნამყოა.

მაგ. ბოლო ორი კვირის განმავლობაში საწვაკი საქართველოსათვის საცალო ბაზარიც გაძვირდა (*კვირის პალიტრა*, 1-6 სექტემბერი, 2012, გვ. 13).

ასევეა, მაგალითად: „გემი გასული წლის მაისიდან სოხუმის პორტში იღდა“ (*კვირის პალიტრა*, 2-8 აპრილი, 2012, გვ. 2).

როგორც ვნახეთ, ამერიკულ ინგლისურში მოქმედების ერთდროულობა და წინამავლობა არა მარტო განგრძობითი და პერფექტული დროებით გადმოიცემა, არამედ დროის სხვა მარტივი ფორმებითაც. ე.ი. ვხვდებით შემთხვევებს, როცა ერთი და იგივე ნიშანი ორი ან რამდენიმე ფორმით გადმოიცემა, თუმცა ეს ფორმები სხვა რომელიმე მადიფერენცირებული ნიშნით უპირისპირდებიან ერთმანეთს. მაგალითად, მოქმედების ლოკალიზება-არალოკალიზება, მრავალგზისობა-ერთგზისობის ნიშნებს აქვთ ვარიანტული, სპეციფიკური ხასიათი.

ქართული პრესის თავისებურება იმაში გამოიხატება, რომ ერთდროულობა და წინამავლობა შეიძლება გამოიხატოს როგორც სინთეზური, ასევე ანალიზური ფორმებით. რეზულტატურობას, რომელიც სრული დროებისთვისაა დამახასიათებელი ამერიკულ ინგლისურში, ქართული ენა ფორმათა მრავალფეროვნებით გადმოგვცემს. გარდა თურმეობითისა, ვხვდებით შედგენილ შემასმენელს, სადაც დამხმარე ზმნები „ქონება“ და „ყოფნა“ მოქმედების სრულობას აფიქსირებს.

თუკი ამერიკული ინგლისური ამჟამად რთული გრამატიკული ფორმის PP-ის ნაცვლად იყენებს წარსულ მარტივ დროს და ზმნიზედების დახ-

მარებით გამოხატავს მის ორბუნებიანობას, ქართული ენა (მიუხედავად იმისა რომ იგი სინთეზურია) ირჩევს, წინამავლობა და სრულობა ანალიზური ფორმებით გამოხატოს დამხმარე ზმნების დართვით. შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ ენა ცოცხალი მექანიზმია, რომელიც ვითარდება დროის სხვადასხვა პერიოდში. როგორც ვნახეთ, ენა ხასიათდება გრამატიკული კომუნიკაციის გარკვეული თავისებურებებით როგორც ამერიკულში, ასევე ქართულში.

ასე რომ „კომუნიკაციური გრამატიკა მოიცავს ენის მთელ სპექტრს და შემოიფარგლება ე. წ. გრამატიკული მნიშვნელობების (მიმართებათა მნიშვნელობების) მრავალფეროვნებით“ (ამაშუკელი 1988: 13). ენათა (ჩვენს შემთხვევაში ქართულსა და ამერიკულ ინგლისურში) მნიშვნელობებისა და მნიშვნელობათა რელატიურობის რეალიზება არ ხდება ერთადერთი საშუალებებით. თანამედროვე ამერიკული ინგლისურით გადმოცემული პუბლიკაციები ხასიათდება შედარებით მარტივი ენობრივი ფორმებით, სადაც ხორციელდება კომუნიკაციური გრამატიკის ფუნქციობის რეალიზაცია.

ეს კი პრესის ენას ეხმარება უკეთ გამოხატოს როგორც რესპონდენტის, ასევე კორესპონდენტის აზრი, გაუადვილოს საზოგადოებას აღიქვას რეალური სინამდვილე.

დამოწმებანი

ამაშუკელი, ნ. "გვჭირდება თუ არა კომუნიკაციური გრამატიკა?" უცხოური ენები სკოლაში, 2, 1988.

ბოლქვაძე, მ. "დროის ცნება ლინგვისტურ მეცნიერებაში". საენათმეცნიერო ძიებანი, XX. თბილისი: ქართული ენა, 2005.

მეგრელიშვილი, მ. "გრამატიკულ მოვლენათა მეტყველებაში ფუნქციობის თავისებურება". პუბლიკაციურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი, ტ. X. ქუთაისი, 2009.

მეგრელიშვილი, მ. ინგლისური და ქართული ენების შეპირისპირებითი ლინგვისტიკა. ქუთაისი: აწსუ-ს გამომცემლობა, 2012.

Moskalskaia, O. *Grammatik der deutschen Gegenwartssprache*. M., 1971.

NUNU CHARKVIANI

Assistant Professor, Akaki Tsereteli State University

NATIA JIKIA

Associate Professor, Akaki Tsereteli State University

ABSTRACT

CHARACTERISTICS OF GRAMMATICAL COMMUNICATIONS IN MODERN AMERICAN AND GEORGIAN PRESS

The article deals with the communicational functions of grammar in publication of American and Georgian Press.

Modern Linguistics gives priority to the dynamic aspect of language and as a result a communicative approach to language has become the subject of the scientific research. A communicative approach is revealed not only in oral American speech but in written language. A specific character of communicative grammar is reflected in relations of grammatical tenses on the text level - the only perfect way of the scientific study of the language dynamic aspect. Some grammatical tenses can perform similar communicative tasks in publications of two nations. Using one tense for another helps the correspondent to express his idea reasonably and encourages the reader to acquire reality of life adequately.

The tendency of using simple tenses instead of complex ones is noticeable in American oral English but similar events are fixed in newspaper language as well.

Observation on different types of American newspaper publications indicates that the SP (Simple Past) is generally used more frequently in American English than in British. It is accompanied by adverbs of current relevance and perform the task of PP (Present Perfect).

The information obtained through internet describes the modern situation of using PP nowadays in American Press. It shows a slight increase of PP. It is explained by the fact that in the past news reports were usually centred on events which were quite distant in time while today even news reported in print tends to be located in the much more recent past. Present Perfect con-

tinuous tense is often replaced by PP that is shown with time adverbials in PPC context. So American Press language chooses simple forms of tenses for pragmatic communicative functions. Contrastive analysis of modern American and Georgian newspapers reveal some differences in peculiarities of tense realization.

Though the Georgian language is considered to be synthetic it shows quite different characteristics in its Press language.

Using some time adverbials, lexical actualisers and a variety of contextual means – the Georgian language manages to deliver time priority and simultaneity. Synthetic and analytical forms are used to convey the context of complex tenses.

In conclusion, the category of time correlations of present - day American and Georgian Press languages - The languages of two genetically unrelated and typologically dissimilar languages is realized through the linguistic means characteristic for these source languages.

თავარ ჭიშვილი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი

ელგარ ჰო, ჰოვარდ ფილიპს ლაჰარაფტი და რობერტ ბლოკი: ლიტერატურული „გოთიკის“ ტრანსფორმაცია

ამერიკელ პოეტსა და „საშინელებათა“ მოთხრობების ავტორს – ჰოვარდ ფილიპს ლაჰარაფტს (1890-1937), რომელიც სიკვდილის შემდეგ „საშინელებათა“ ჟანრის საკულტო ფიგურად იქცა, ლიტერატურის ისტორიკოსები და კრიტიკოსები ედგარ პოს ჭეშმარიტ გამგრძელებლად და მეძვიდრედ მიიჩნევენ. მას ხშირად მოიხსენიებენ როგორც „XX საუკუნის პოს“, „პოს მეძვიდრეს XX საუკუნეში“, „გოთური“ პროზის უდიდეს ოსტატს პოს შემდეგ“. ეს შეფასებები ხაზს უსვამს არა მარტო იმ ფაქტს, რომ ლაჰარაფტი XX საუკუნის ამერიკული „გოთური“ პროზის მნიშვნელოვანი წარმომადგენელია, არამედ უწინარეს ყოვლისა მიანიშნებს, თუ რაოდენ დიდი ზეგავლენა იქონია პოს მხატვრულმა ვიზიონებმა თუ წერის ტექნიკამ, შემოქმედებითმა მეთოდმა ლაჰარაფტის პროზაზე.

შემოქმედების ადრეულ ეტაპზე ლაჰარაფტი „საშინელების“ ჟანრის პროზის არაერთი ოსტატის (ამბროს ბირსი, მეიკენი, ბლეკუდი და სხვა) ზეგავლენას განიცდიდა. იგი ცდილობდა მათი შემოქმედებიდან საუკეთესო ელემენტები აეღო და მათი შერწყმით უნიკალური სტილი შეექმნა, თუმცა მას შემდეგ, რაც ბავშვობაში ბაბუამისის მდიდარ ბიბლიოთეკაში ედგარ პოს ნაწარმოებებს წააწყდა, ამერიკელი რომანტიკოსის შემოქმედება ლაჰარაფტის ლიტერატურული შთაგონების ძირითად წყაროდ იქცა. ამდენად, ბუნებრივია, რომ ზოგადად ამ ზეგავლენის ხასიათს თუ მის რომელიმე ცალკეულ ასპექტს არაერთი მკვლევარი სწავლობს. ე. პოსა და ჰ. ლაჰარაფტის შემოქმედების შედარებითი შესწავლისადმი მიძღვნილ ნაშრომებში რამდენიმე ძირითადი ტენდენცია/მიმართულება იკვეთება:

1. ნაშრომები, სადაც ყურადღება გამახვილებულია გარეგნულ, ზედაპირულ თანხვედრა-მსგავსებაზე ამ ორი მწერლის ნაწარმოებებში

(შავი კატები, პირქუში გარემო, მისტიკური, ზებუნებრივი ელემენტები და ა.შ.) (Sutherland 1978). ამგვარი მიდგომის საწინააღმდეგო არგუმენტად გამოდგება ის ფაქტი, რომ ეს ელემენტები შეიძლება „გოთური“ პროზის ნებისმიერ წარმომადგენელთან ვიპოვოთ, რაც არ იძლევა ამ ორი მწერლის შემოქმედებითი ნათესაობის კონკრეტული შინაარსის, სპეციფიკის გარკვევის საშუალებას; გარდა ამისა, ასეთი მიდგომა გამორიცხავს მათი მხატვრული მეთოდის სიღრმისეული შედარებითი კვლევის შესაძლებლობას;

2. მკვლევართა ნაწილი მიიჩნევს, რომ პოსა და ლაკრაფტის პროზას შორის არ არსებობს რეალური მსგავსება გარდა იმ პერსონაჟებისა და თემებისა, რომლებიც საერთოა ამ ჟანრის პრაქტიკულად ყველა ნაწარმოებისათვის (Hoffmann 1980). მე ვერ გავიზიარებ ამ პოზიციას, ვინაიდან ლაკრაფტმა (ისევე როგორც „საშინელებისა“ და ფანტასტიკის ჟანრის პროზის ყველა პოსშემდგომმა წარმომადგენელმა) უდავოდ განიცადა მისი წინამორბედის ზეგავლენა. ამ თვალსაზრისით სწორ პოზიციაზე დგას ჯ. კლეიპოლი, რომელიც ამტკიცებს, რომ „საშინელების“ ჟანრის ისეთმა ნოველებმა, როგორცაა „*The Fall of the House of Usher*“ და „*Tell-Tale Heart*“ გადამწყვეტი როლი ითამაშეს „საშინელების“ ჟანრის პროზის ჩამოყალიბებაში (Claypole 2003: 449).

ასევე ძნელია არ დაეთანხმო ჯ. მარკს, რომლის მიხედვით, ე. პო ზეგავლენას ახდენს „საშინელებათა“ პროზის ყველა მნიშვნელოვან წარმომადგენელზე ლაკრაფტიდან სტივენ კინგამდე (Mark: 3).

გარდა ამისა, თავად ლაკრაფტიც ესეიში „*Supernatural Horror in Literature*“ აღიარებს პოს ზეგავლენას საერთოდ „საშინელების“ ლიტერატურაზე და კერძოდ მის შემოქმედებაზე, მას „მთელი თანამედროვე დიაბოლური პროზის ღვთაებასა და სათავეს“ უწოდებს და აღფრთოვანებას გამოთქვამს ამერიკელი რომანტიკოსით, ერთი სიტყვით, თავს მის თაყვანისმცემლად წარმოგვიდგენს (Lovecraft 2000: 134). მწერალი პოს იცავს კრიტიკოსთა უსამართლო თავდასხმებისაგან და ხაზს უსვამს პოს ზოგიერთი ნოველის მხატვრული ფორმის სრულყოფილებას (Lovecraft 2000: 145).

3. მკვლევართა მესამე ჯგუფი ორი მწერლის შედარებითი ანალიზისათვის „ნაყოფიერ სფეროდ“ მათი პიროვნული თვისებებისა და

ბიოგრაფიის, გარემოს შესწავლას მიიჩნევს. ასე მაგალითად, რობერტ ბლოჰი (ავტორი რომანისა „ფსიქო“ (1959), რომლის მიხედვითაც 1960 წელს ფილმი გადაიღო ალფრედ ჰიჩკოკმა), ნაშრომში „პო და ლავკრაფტი“ ჩამოთვლის იმ ფაქტორებს, რომელთაც ამ ორი მწერლის შემოქმედებითი ნათესაობა განსაზღვრეს:

ა) პოც და ლავკრაფტიც ნიუ ინგლენდში დაიბადნენ; ორივე მწერალს მამა ადრეულ ასაკში გარდაეცვალა;

ბ) ორივენი მთელი სიცოცხლის მანძილზე გატაცებული იყვნენ პოეზიით და კლასიკური განათლების ელემენტებით;

გ) ორივე მწერლის სამწერლობო სტილს ახასიათებს არქაიზმების გამოყენება;

დ) ორივე მწერალი პიროვნული ექსცენტრულობით გამოირჩეოდა და ამ ექსცენტრულობის „ცნობიერ კულტივირებას“ ახდენდა;

ე) პოც და ლავკრაფტიც არსებითად „აღმოსავლელები“ („Easterners“) იყვნენ. მათი მსოფლმხედველობა დიდწილად პროვინციული, უფრო მეტიც, შეზღუდულიც კი იყო. ბლოჰი ამით ხსნის იმ ფაქტს, რომ არც ერთი მათგანი მოგზაურობისას შორს დასავლეთისაკენ არ წასულა (Bloch 1973: 158).

ვ) ერთიცა და მეორეც უნდობლად ეკიდებოდა „უცხოელებს“; ორივე ინარჩუნებდა ღრმა აღფრთოვანებას ინგლისელებით. ეს დამოკიდებულება ნათლად ჩანს მათ ნაწარმოებებში, რომლებიც „ამერიკული ცხოვრების ძირითადი ნაკადისაგან“ მოწყვეტილი, მისგან დაშორებული ელემენტებისაგან შედგება; პოს შემოქმედებიდან მკითხველი ვერაფერს შეიტყობს 1830-1850 წლების ამერიკის ისტორიული მოვლენების შესახებ – აქ ვერც დასავლეთისაკენ დიდ მოძრაობას შეხვდებით და ვერც „ოქროს ციებცხელებას“, აქ არც მონობის საკითხის ირგვლივ მიმდინარე ბრძოლებისა და დაპირისპირების გამოძახილი ისმის და არც – მექსიკის ომის ექო. ვერც ლავკრაფტის მოთხრობების პერსონაჟებს შორის ნახავს მკითხველი ტიპიურად ამერიკულ პროტაგონისტებს. მათში მინიშნებულიც კი არ არის „ხმაურიანი 20-იანი წლების“ მანერები თუ 30-იანი წლების „დიდი დეპრესია“. ლავკრაფტი თითქმის მთლიანად უგულვებელყოფს I მსოფლიო ომის შემდგომ „ჯაზის ეპოქას“. ძნელი დასაჯერებელიც კი არის ის ფაქტი, რომ ლავკრაფტი ჰემინგუეის თანამედროვეა;

ზ) უფრო მნიშვნელოვანი, რაც ამ ორ მწერალს აერთიანებს, ბლოჰის მიხედვით, არის მათი დაინტერესება მეცნიერებით; ეს ფაქტი, მკვლევარის აზრით, აქარწყლებს იმ ბრალდებას, რომ არც ერთი მათგანი სრულიად არ იცნობდა რეალურ სამყაროს და მათი დამოკიდებულებაც თანამედროვეობისადმი არარეალისტური იყო (Bloch 1973: 160). ორივე მწერალი ყურადღებით აკვირდებოდა მათი თანამედროვე მეცნიერებისა თუ ფსევდო-მეცნიერების განვითარების პროცესს;

თ) ორივე მწერალი კარგად იცნობდა თავისი ეპოქის მხატვრულ ლიტერატურას. პოს განსწავლულობა კარგად ჩანს მის კრიტიკულ ნაწერებში, ლავკრაფტის წერილები კი მოწმობს, რომ მისთვის უცხო არაა პრუსტი, ჯოისი, შპენგლერი და ფროიდი. საქმე ის არის, რომ როგორც პომ, ასევე ლავკრაფტმა განზრახ თქვეს უარი მათ თანადროულ სტილსა და თამატიკაზე და საკუთარი, ინდივიდუალური ფანტაზიის სამყარო შექმნეს. ბლოჰი მიიჩნევს, რომ ყველაზე მეტად სწორედ ამით ჰგვანან ისინი ერთმანეთს და ჩვენ, მათ მკითხველებსაც, ყველაზე მეტად სწორედ ამით გაგვიმართლა, ვინაიდან საშუალება მოგვეცა მათ ინდივიდუალურ, განუმეორებელ სამყაროში „შეგვეჭვრიტა“.

ბოლოს ბლოჰი ასკვნის, რომ პოსა და ლავკრაფტის ერთმანეთთან შედარება შეიძლება როგორც „ფანტაზიის ორი ამერიკელი გენიოსისა“, მაგრამ ორივენი შეუდარებლად აღემატებიან ამ ჟანრის ყველა სხვა მწერალს (Bloch 1973: 160).

ბლოჰის მიერ პოსა და ლავკრაფტის ბიოგრაფიებს, მათ პიროვნულ თვისებებსა თუ შემოქმედებას შორის გავლებული პარალელები ყოველთვის არ არის დამაჯერებელი და ზოგჯერ მოკლებულია სათანადო არგუმენტირებას; მაგალითად, გადაჭარბებული ჩანს ბლოხის მიერ პოსა და ლავკრაფტის მსოფლმხედველობის პროვინციული ხასიათით იმ ფაქტის ახსნა, რომ არც ერთი მწერალი მოგზაურობისას დასავლეთისაკენ შორს არ წასულა. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ, მართალია, პოს მსოფლმხედველობა, გარკვეული აზრით, უკავშირდება მის წარმომავლობას ნიუ ინგლენდიდან, მაგრამ იგი სულაც არ ატარებს პროვინციულ ხასიათს, როგორც ეს ბლოხს ჰგონია. პირიქით, მსოფლმხედველობრივადაც და პოეტიკის თვალსაზრისითაც პო უფრო ახლოს დგას ევროპულ აზროვნებასთან, საუკუნის

დასასრულის ევროპული დეკადანსის ესთეტიკასთან. ამის დასტურად გამოდგება თუნდაც ის ფაქტი, რომ პოს შემოქმედებითმა ესთეტიკამ განსაკუთრებული გავლენა სწორედ ევროპელ პოეტებსა და მოაზროვნეებზე იქონია. გარდა ამისა, სადავოა ბლოკის ის მოსაზრებაც, რომ პო თავისი მსოფლმხედველობით „ამოსავლელი“ იყო. მაგალითად, რიჩარდ გრეი ნაშრომში *“I am a Virginian: Edgar Allan Poe and the South”* საკმაოდ დამაჯერებლად აჩვენებს, რომ პო სამხრეთის ლიტერატურის დამცველია და მისი „სამხრეთელობა“ სხვა მომენტებშიც ვლინდება (Gray 1986). თუ ამ კუთხით პარალელის გავლება პოსა და ლავკრაფტს შორის მაინცდამაინც აუცილებელია, მაშინ ალბათ უფრო საგულისხმოა ის ფაქტი, რომ არისტოკრატიული ტონი და მანერა, ოჯახური ურთიერთობების ინტენსიური გამოყენება პოს ნაწარმოებებში სამხრეთულ არისტოკრატიულ ტრადიციებს უკავშირდება; ლავკრაფტიც ნიუ ინგლენდის კონსერვატორულ-არისტოკრატიულ წრეში აღიზარდა; როგორც ჩანს, აქედან მომდინარეობს ამ ორი მწერლის მსოფლმხედველობის საერთო მომენტი – თანამედროვე ცივილიზაციის სიძულვილი, კონსერვატიულობა, პროგრესისადმი სკეპტიკური დამოკიდებულება.

საბოლოო ანგარიშით, ბლოკის შედარებითი ანალიზი არ არის კონცეპტუალური ხასიათის და ხშირად პოსა და ლავკრაფტის სტილის შეპირისპირებისას იგი ყურადღებას გარეგნული, ზედაპირული სტილური ელემენტების თანხვედრაზე ამახვილებს (ვთქვათ, როგორიცაა არქაიზმების გამოყენება) და არა ამ მწერლების მხატვრული მეთოდის სიღრმისეულ, ტიპოლოგიურად მონათესავე ნიშნებზე. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ედუარდ ინგებრესტენის გამოკვლევა *“Maps of Heaven, Maps of Hell”*, სადაც ავტორი ამტკიცებს, რომ ლავკრაფტმა პოსგან ისწავლა პირველ პირში თხრობის პერსპექტივის გამოყენება შიშისმომგვრელი, პირქუში ატმოსფეროს შესაქმნელად (Ingebresten 1996: 130-132). მართლაც, ლავკრაფტი თავის ადრეულ ნაწარმოებებში ხშირად იყენებს პირველ პირში მთხრობელს, რომელიც, როგორც წესი, ან მეცნიერია, ან სწავლული მკვლევარი.

ბარტონ ლევი არმანის ნაშრომი *“The Roots of Horror in the Fiction of H. P. Lovecraft”* (Armand 1977) იკვლევს „საშინელების“ ფსიქოლოგიურ და მეტაფიზიკურ წყაროებს ლიტერატურაში. როგორც ავტორი

აღნიშნავს, წიგნის მიზანია მკითხველს შესთავაზოს ლავკრაფტის ნოველის *“The Rats in the Wall”* ტექსტუალური ანალიზი (ე. წ. close reading), თუმცა არმანი ხშირად სცდება ამ კონკრეტული ტექსტის ფარგლებს და უხვად იყენებს მასალას სხვა მწერლების შემოქმედებიდანაც; ოღონდ არა იმდენად წყაროებისა და გავლენების დასადგენად, რამდენადაც სხვადასხვა მწერლის შემოქმედებაში მსგავსი სიმბოლური დინამიკის საჩვენებლად და დისკუსიის უნივერსალურ პლანში გადასატანად.

არმანის აზრით, სიმბოლიკის ბუნდოვანებით, ენობრივი თამაშებითა თუ ალუზიებით ლავკრაფტი გამოხატავს ადამიანის ფსიქიკის იმ სფეროს, რომელიც ბნელითაა მოცული. პოსა და ლავკრაფტის მსოფლმხედველობისა და ესთეტიკის შედარებითი ანალიზისას მკვლევარი მართებულად აღნიშნავს, რომ „გოთური“ ელემენტები/„გოთიკა“ (Gothicism) ორივე მწერალთან მხოლოდ ლიტერატურული კონვენციაა, რომლის მიღმაც სულ სხვა შრეები და სფეროები იფარება; აქვე არმანი იკვლევს შიშის სუბლიმირებულ „საშინელებად“ ტრანსფორმაციის მექანიზმს ამ ორი მწერლის შემოქმედებაში. ასევე არ შეიძლება არ დაეთანხმო არმანის იმ მოსაზრებას, რომ პოსა და ლავკრაფტის ურთიერთმიმართების საკითხი არ დაიყვანება ჟანრისა და გავლენის პრობლემაზე; ამ თვალსაზრისით არანაკლებ მნიშვნელოვანია მათი ტემპერამენტების მსგავსება და ასევე ის ფაქტიც, რომ ორივე მწერალი ერთსა და იმავე ფსიქოლოგიურ და ფილოსოფიურ სფეროს იკვლევს.

არმანის მიხედვით, ორივე მწერალს აერთიანებს „გაორება“ /„ორგემაგობა“ (doubleness). კერძოდ, ლავკრაფტი, პოს შემკვიდრე XX საუკუნეში, ამჟღავნებს „ესთეტიკურ შიზოფრენიას“, ქადაგებს რა კლასიციზმს, პრაქტიკულად კი რომანტიზმს მისდევს; თაყვანს სცემს ბუნების კანონს დღისით და არღვევს (სიზმრის, ოცნების საშუალებით) მის დროით და სივრცით კოორდინატებს ღამით (Armand 1977: 23).

მკვლევარი არ აანალიზებს პოსა და ლავკრაფტის ამგვარი „ესთეტიკური გაორების“ მიზეზებს; არადა, აქ უმთავრესი აღბათ ის არის, რომ ამ მწერლების „ცნობიერი გონების“ მიდრეკილება თავ-

დაცვისაკენ არაცნობიერს დამორგუნველად გაუცხოებულსა და შიშისმომგვრელს ხდიდა.

პოსა და ლავკრაფტის შემოქმედების ანალიზი იუნგის თეორიების შუქზე ნათლად წარმოაჩენს მათი მხატვრული სამყაროს კონცეპტუალურ-ტიპოლოგიურ მსგავსებას: ადამიანის ფსიქიკის უცნობი, ბნელი სფეროების (იუნგის ტერმინოლოგიით, არაცნობიერის, კოლექტიურ არაცნობიერში მოცემული უნივერსალური და მარადიული საწყისების – არქეტიპების) გამოსახატავად ორივე მწერალი სიმბოლურ სივრცეს მიმართავს, რომელიც მეტაფორულად გაიგივებულია მითოლოგიურ ქვესკნელთან, ბნელი ძალების საუფლოსთან. ასეთია, მაგალითად, გამოქვაბული ლავკრაფტის ნოველაში *“The Rats in the Walls”*:

“...we turned to that apparently boundless depth of midnight cavern where no ray of light from the cliff could penetrate. We shall never know what sightless Stygian worlds yawn beyond the little distance we went... those grinning caverns of earth's centre where Nyarlathotep, the mad faceless god, howls blindly in the darkness to the piping accompaniment of two amorphous idiot flute players” (Lovecraft 1967: 57).

ანალოგიურ – ფსიქიკის ბნელით მოცული შრეების სიმბოლიზირების – ფუნქციას ასრულებს პოს ნოველებში შემოფარგლული, დახშული, ხშირად მიწისქვეშა სივრცე. როგორც მართებულად აღნიშნავს დ. ჰ. ლორენსი, პოსთან მოქმედება მუდამ სარდაფებსა და ბნელ აკლდამებში რომ მიმდინარეობს, ეს მხოლოდ სიმბოლოა იმისა, რაც ცნობიერების ქვეშ ხდება. იქ, ქვეცნობიერში, ცოცხლად დამარხვის ველური სწრაფვა ბატონობს (ლორენსი 2004: 107). ასეთია ციხე-დარბაზის შემოფარგლული სივრცე ნოველაში *“The Masque of the Red Death”* („წითელი სიკვდილის ნილაბი“): *“...the deep seclusion of the castellated abbey (Poe 2003: 322)*, ანდა კატაკომბები *“The Cask of Amontillado”*-ში („ამონტილადოს კასრი“): *“Damp ground of the catacombs” (Poe 2003: 333)*; სარდაფი ნოველაში *“The Black Cat”* („შავი კატა“): *“One day she accompanied me, upon some household errand, into the cellar of the old building... I determined to wall it up in the cellar” (Poe 2003: 317-318)*; აშერების სახლის მიწისქვეშა დერეფანი ნოველაში *“The Fall of the House of Usher”* („აშერთა სახლის დაცემა“): *“...vault or tunnel with low walls... exceeding depth*

below the surface of the earth" (Poe 2003: 255). მკვლევარები ხშირად აღნიშნავენ შაებნელი, კლასტროფობიური ატმოსფეროს შესახებ პოს ნოველებში და ხაზს უსვამენ პოს „არქიტექტურის" სიმბოლურ ან ალეგორიულ ხასიათს. ასე მაგალითად, რიჩარდ ვილბური ამერთა სახლს აიგივებს მითოლოგიურ მოჯადოებულ სასახლესთან და მას მთავარი პერსონაჟის გონებრივ მდგომარეობას ამსგავსებს, ეს მსგავსება კი, ვილბურის აზრით, შესაძლო გასაღებია „პოს არქიტექტურის" ზოგადი მნიშვნელობის ამოსაცნობად (Wilbur 1967: 107). ვილბური „არქიტექტურული ალეგორიის" შესახებ მსჯელობს პოს მეორე ნოველასთან – „წითელი სიკვდილის ნიღაბი" – დაკავშირებითაც. მკვლევარი ვრცლად ანალიზებს პოს „არქიტექტურულ სახეებს" (architectural imagery) ნაშრომში *“The House of Poe”*. ვილბურის მიხედვით, პო ხშირად იყენებს „არქიტექტურული ჩაკეტილობის" (architectural enclosure) მოტივებს, რათა სიმბოლურად გამოხატოს პერსონაჟის გაქცევა რაციონალური კანონებით მართული სამყაროდან წარმოსახვით, ვიზიონერულ ან საკუთარ შინაგან სამყაროში. ზოგიერთი მკვლევარი პარალელს ავლებს პოს ნოველების „არქიტექტურასა" და ბნელი სამარხის არქიტექტურას შორის (Murphy 1997). ჩემი აზრით, სწორედ აქ იკვეთება პოსა და ლავკრაფტის შემოქმედებითი ნატურების მთავარი პარადოქსი: ერთი მათგანი არაა მოქცეული საკუთარი არაცნობიერის ტყვეობაში, თუ შეიძლება ასე ითქვას, არც არცერთი არ წარმოადგენს საკუთარი რთული ფსიქიკის მსხვერპლს; ორივე მათგანი დაკვირვებული ანალიტიკოსია და ორივეს შესწევს დისტანცირების უნარი – პოსაც და ლავკრაფტსაც ხელეწიფებათ „ცივი" ესთეტიკური დისტანციიდან გააკონტროლონ საკუთარი არაცნობიერიდან წამოსული იმპულსებიც და თავად წერის პროცესიც. ამდენად, ორივე მწერალთან მხატვრული სივრცის სიმბოლიზირება და მეტაფორიზაცია პერსონაჟის ქვეცნობიერი იმპულსებისა თუ ინსტინქტური ლტოლვების გამოსახატად გამოყენებული ცნობიერი ხერხია.

დაბოლოს, ადამიანის ფსიქიკის ბნელი ხვეულების კვლევა თუ „ესთეტიკური დისტანცირების" უნარი აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი წინაპირობაა მაღალი ხარისხის მხატვრული ნაწარმოების

შესაქმნელად: პოს შემოქმედება როგორც ფორმის დახვეწილობისა და სრულყოფილების, ასევე ფსიქოლოგიური სიღრმის თვალსაზრისითაც ალემატება ლავკრაფტის პროზას.

XXX

ლავკრაფტის საშუალებით ედგარ ალან პოს ზეგავლენა მთელ თანამედროვე „გოთურ“ პროზაზე ვრცელდება. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს რობერტ ბლოკის შემოქმედება. მართალია, XX საუკუნის „გოთურ“ პროზაზე პოს ზეგავლენის შესახებ მსჯელობისას ლიტერატურულ კრიტიკაში ყურადღებას ძირითადად სტივენ კინგზე ამახვილებენ, მაგრამ ბლოკი, კინგისაგან განსხვავებით, მხოლოდ „ბესთსელერების“ ავტორი კი არ არის, არამედ ე. წ. “Dark Mainstream” – ის, „ზებუნებრივი საშინელების“ (Supernatural horror) ან „ფსიქოლოგიური საშინელების“ ლიტერატურული ჟანრის ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენელია. შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ ბლოკის რომანი „ფსიქო“ (1959) ლამის გამოქვეყნებისთანავე, 1960 წელს გადაიღეს ფილმად. რა თქმა უნდა, ამ ტიპის ლიტერატურა საზოგადოდ ხელსაყრელი მასალაა „მასობრივი“ კინემატოგრაფისათვის, მაგრამ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს არა კომერციულ, გასართობ ფილმთან, არამედ – კინოშედეგთან. ფილმის რეჟისორმა, „საშინელების“ ჟანრის საქვეყნოდ ცნობილმა კინოოსტატმა ალფრედ ჰიჩკოკმა ბლოკის რომანში დაინახა ის ფსიქოლოგიური სიღრმეები, რომლებიც ეკრანზე ლიტერატურული მხატვრული სახეების „ოიდიპოსის კომპლექსით“ შეპყრობილ პერსონაჟებად გარდასახვის საშუალებას იძლეოდა.

ბლოკმა სახელი გაითქვა როგორც კრიმინალურ - „სასპენსიური“ ჟანრის მწერალმა. მისი ნაწარმოებები, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს ფსიქოპათების ოსტატურად დახატული პორტრეტებით. ბლოკი „საშინელების“ ჟანრით ადრეული ბავშვობიდანვე დაინტერესდა მას შემდეგ, რაც პირველად ნახა „საშინელების“ ფილმი „ოპერის ფანტომი“ (“*The Phantom of the Opera*”). მისი საყვარელი საკითხავი ჟურნალი იყო *Weird Tales*. თვითონაც ნოველების წერა სკოლის ასაკიდანვე დაიწყო. მის ადრეულ ნოველებში აშკარაა ედგარ პოსა და ჰ. ფ. ლავკრაფტის ზეგავლენის კვალი. ედგარ პოს ნაწარმოებებს ბლოკი უკვე 8 წლის ასაკიდან კითხულობდა,

ლაკრაფტის პროზას კი მოგვიანებით, 1927 წელს გაეცნო ჟურნალ *Weird Tales*-ში დაბეჭდილი მოთხრობით *Pickman's Model*. ამ მოთხრობამ ისეთი შთაბეჭდილება იქონია ბლოკზე, რომ მან წერილი მისწერა ლაკრაფტს და ამგვარად დაიწყო მათი წერილობითი მეგობრობა, რომელიც თითქმის მთელი ათწლეული გაგრძელდა. სწორედ ლაკრაფტმა წააქეხა ბლოკი, როგორც ეს უკანასკნელი თვითონვე წერდა მოგვიანებით, დაეწყო საკუთარი მოთხრობების წერა:

“Quite early in our correspondence HPL suggested that I might be interested in trying my own hand at writing with an eye to publication.”

ამის შემდეგ ბლოკი თავის მოთხრობებს ყოველთვის ლაკრაფტს უგზავნიდა შესასწორებლად. ბლოკის თქმით, ლაკრაფტი აქებდა ხოლმე მის ქმნილებებს და მხოლოდ იშვიათად აკრიტიკებდა მათ:

“He merely praised what I did and if he made any criticisms, they were always couched as suggestions and largely were about factual matters.”

ლაკრაფტის გავლენა განსაკუთრებით თვალსაჩინოა ბლოკის ადრეულ, 1935-1938 წლებში დაწერილ ნოველებში. მიუხედავად ლაკრაფტის ასეთი ზეგავლენისა, ბლოკის სტილი განუმეორებელია და ორიგინალური. ლაკრაფტის გარდაცვალების შემდეგ (1937) ბლოკის პროზაში ჩნდება შურისძიების (*The Mandarins Canaries*), დემონურით შეპყრობილობის (*Fiddlers Fee*) და შავი მაგიის (*Return to the Sabbath*) თემები. 1939 წელს გამოქვეყნებულმა კომიკურმა ნოველამ *Cloak* ბლოკს ამბროს ბირსის შემდეგ ყველაზე ნიჭიერი მწერლის რეპუტაცია მოუტანა.

ბლოკის, ისევე როგორც ლაკრაფტის, ძირითადი ჟანრი იყო „ფსიქოლოგიური საშინელება“. მის კალამს, გარდა „საშინელების“ ჟანრის ნოველებისა, ეკუთვნის ფსიქოლოგიურ-„სასაპენსიური“ ჟანრის რომანები. 50-60-იანი წლების ბლოკის რომანებში მოცემულია საშინელებისა და „დანაშაულის“ ჟანრების სინთეზი. ბლოკის შემოქმედების მწვერვალს წარმოადგენს ტრილოგია „ფსიქო“ (*Psycho*, 1959; *Psycho II*, 1982; *Psycho House*, 1990). „საშინელების“ და „მისტერიის“ ჟანრის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის ბლოკი არაერთი ლიტერატურული პრემიით დააჯილდოვეს. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ედგარ ალან პოს სახელობის

ჯილდო (Edgar Award from the Mystery Writers of America, 1960). ამ ჯილდოს მინიჭება ბლოკისათვის აბსოლუტურად კანონზომიერი იყო: ედგარ პო, ლავკრაფტთან ერთად, ბლოკის ლიტერატურული შთაგონების მთავარი წყარო იყო. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ბლოკიც და ლავკრაფტიც დავალებული არიან მათი XIX საუკუნის წინამორბედისაგან როგორც პოეტიკის, ასევე მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისითაც, თუმცა ამ მწერლების შემოქმედებითი ტემპერამენტიდან და ინდივიდუალობიდან გამომდინარე, პოს ზეგავლენა მათ შემოქმედებაზე არ არის აბსოლუტურად ერთგვაროვანი და, საერთო მომენტებთან ერთად, ამ თვალსაზრისით განსხვავებებიც იკვეთება. ორივე მწერალმა პოსაგან იმემკვიდრა განსაკუთრებული ინტერესი პიროვნების შინაგანი სამყაროს რღვევის, პირველყოფილი, ადამიანის არაცნობიერში დაბუდებული მეტაფიზიკური შიშისადმი, პარანორმალური ფსიქიკისადმი. ბლოკის სიტყვები – “It is the world outside the asylum that has become psychotic” – პოს მსოფლალქმასაც შეესატყვისება და ლავკრაფტის მხატვრულ ვიზიონებსაც. პოს შეხედულებებს ენათესავება ასევე ბლოკის კონცეფცია, რომ სიზმარი გავლენას ახდენს სინამდვილეზე. ორივე მწერალმა პოსაგან ისესხა „პარანორმალურისა“ და „ნორმალურის“, „ჩვეულებრივისა“ და „უჩვეულოს“ კომბინირების ტექნიკა. ჩემი დაკვირვებით, ლავკრაფტი უფრო ახლოს დგას პოსთან იმ თვალსაზრისით, რომ მას, ისევე როგორც მის წინამორბედს, უპირატესად აინტერესებს ფსიქიკის უნივერსალური საწყისები, კოლექტიური არაცნობიერი, მარადიული არქეტიპები, ბლოკის ნაწარმოებებში კი, პირიქით, „საშინელება“/შიში ყოველთვის უნიკალური, ინდივიდუალური და განუმეორებელია. ლავკრაფტის პროზისაგან განსხვავებით, ბლოკთან არ გვხვდება შემზარავი ურჩხულები, რაც აიოლებს მათ ვიზუალიზაციას. ბლოკის „საშინელება“ ყოველთვის პიროვნული/პერსონალური საშინელებაა, რომელიც მხოლოდ ცალკეულ პიროვნებას უკავშირდება და არასდროს არ იძენს უნივერსალურ მასშტაბებს, არ ხდება საყოველთაო და ყოვლისმომცველი. ამავე დროს, თუ ლავკრაფტის ქმნილებებს გამსჭვალავს სასოწარკვეთილებისა და უიმედობის განწყობილება, ღრმა, გამოუვალი პესიმიზმი, მისი პერსონაჟები კი კრთიან და გოდებენ სამყაროს საშინელ საიდუმლოებათა, უსასრულო, შეუცნობელი, ამოუხსნელი

კოსმოსის წინაშე უმწეოდ დარჩენილნი, ბლოკის რომანები და ნოველები არ არის ესოდენ პირქუში და „ბნელი“ – ისინი, ლავკრაფტის სტილში დაწერილი ნაწარმოებებიც კი და მით უმეტეს, 1939 წლიდან შექმნილი ტექსტებიც ყოველთვის შეიცავს ერთგვარ „სიცილს“, დაცინვის, თავის შექცევის, გართობის, იუმორის ელემენტს. თავმესაქცევი და „გართობის“ ელემენტის შემცველია ბლოკის ნოველების სიუჟეტიც. მკითხველმა იცის, რაც მოხდება, რას უნდა მოელოდეს იგი, თუმცა ვერასოდეს ხვდება წინასწარ უცნაურ სიუჟეტურ გადახვევებსა და მოვლენათა არასწორხაზოვანი განვითარების, მოულოდნელი კულმინაციების ლოგიკას. როგორც უკვე აღინიშნა, ბლოკის პირველი კომიკური ნოველა იყო *Cloak*; ამ დროიდან მოყოლებული „კომიკური“ ელემენტი მისი ნაწარმოებების განუყოფელ ნაწილად იქცა. თვითონ მწერალი ამ საკითხთან დაკავშირებით აღნიშნავდა, კომედია და საშინელება ერთი მედლის ორი მხარეაო.

„კომიკურის“, იუმორისტულისა და „საშინელის“, „პირქუშის“ ასეთი სინთეზი ბლოკმა ედგარ პოსაგან იმეძკვიდრა, რომელიც მთლიანობის/ერთიანობის მისაღწევად ასევე ხშირად მიმართავს „გოთურის“, გროტესკისა და ირონიის, იუმორის შერწყმას, „გოთურ“ ელემენტებს ხშირად იყენებს მათი პაროდირების მიზნით.

რობერტ ბლოკი პოს შემდეგ „საშინელების“ ჟანრის ყველაზე დიდ წარმომადგენლად ლავკრაფტს მიიჩნევს და ლამის პოს გაუტოლოს იგი, თუმცა თავად ბლოკის მხატვრული პერცეფცია უფრო ფართოა, „ფსიქოლოგიზმი“ კი ინდივიდუალიზირებული და ნიუანსირებული. ძნელია არ დაეთანხმო თანამედროვე ამერიკული „საშინელების“ პროზის კიდევ ერთ ცნობილ წარმომადგენელს, სტივენ კინგს, რომელიც *სიკვდილის ცეკვაში* (*Dance Macabre*, 1981) სამართლიანად აღნიშნავს:

“... the novels that Robert Bloch wrote in the 1950s had much influence on the course of American Fiction...” (King 1981: 18). („იმ რომანებმა, რომლებიც ბლოკმა 1950-იან წლებში დაწერა, დიდი ზეგავლენა იქონია ამერიკული პროზის განვითარებაზე ...“).

რობერტ ბლოკს არაერთგზის აღუნიშნავს, რომ იგი წერით საკუთარი სისუსტეების – სიზარმაცის, თავის თავში ჩაკეტილობის,

შიშის/კომოფობიის კომპენსირებას ცდილობდა:

“The things I've written and done are just strong overcompensations for weaknesses. I am lazy, introverted, insecure, and self centred. I fight these weaknesses by going to the other extreme”” an: “I'm scared of people. So I deal indirectly with them through Fiction or seperated by footlights. I compensate for my laziness by a disciplined work schedule. I fight my introversion by speaking before groups” („ყოველივე, რაც დამიწერია და ჩამიდენია, ჩემი სისუსტეების მძლავრი კომპენსაციაა. მე ზარმაცი ვარ, ინტროვერტი, საკუთარ თავში ჩაკეტილი. მე ამ სისუსტეებს მეორე უკიდურესობისაკენ ლტოლვით ვებრძვი“; „მე მეშინია ადამიანების. ასე რომ მათთან ურთიერთობას ვამყარებ ირიბად პროზის საშუალებით. ჩემი სიზარმაცის კომპენსირებას ვახდენ მკაცრი სამუშაო რეჟიმით, ჩემს ინტროვერტულობას ვებრძვი საჯარო გამოსვლებით“).

ეს სიტყვები, გარკვეული მოდიფიკაციით, შეიძლება ითქვას ლავკრაფტისა და მისი შემოქმედების შესახებაც. ცხადია, ედგარ პოს ემოციური ბუნება, შინაგანი სამყარო თუ ავადმყოფური თვისებები (მიდრეკილება ალკოჰოლიზმისაკენ; მასაც, ისევე როგორც ლავკრაფტს, არ ასვენებდა დამეული კომმარები, მტანჯველი სიზმრები) გამოძახილს პოულობს მის ნაწერებში, მაგრამ პოსათვის მთავარი საკუთარი სისუსტეების კომპენსირება თუ სასტიკი რეალობისაგან გაქცევა, „თავმისაღრეკი“ ადგილის პოვნა კი არ იყო, არამედ ფორმის სრულყოფილება, მთლიანობის ეფექტის დაცვა, მხატვრული სისტემის, სტრუქტურის ელემენტების ურთიერთმიმართების გეომეტრიული გაანგარიშება. ამ – ფორმის სრულყოფილებისა და რთული, კომლექსური, შინაგანად მოწესრიგებული მხატვრული მთლიანობის შექმნის – თვალსაზრისით ბლოპიცა და ლავკრაფტიც გაცილებით ჩამოუვარდებიან თავიანთ გენიალურ წინამორბედს.

დამოწმებანი:

ლორენსი, დ. ჰ. „ედგარ ალან პო“. *ესეები კლასიკური ამერიკული ლიტერატურის შესახებ*. ინგლისურიდან თარგმნა თამარ

კოტრიკაძემ. თბილისი, 2004

Armand, B. *The Roots of Horror in the Fiction of H. P. Lovecraft*. Elizabethtown. NY: Dragon Press, 1977

Bloch, Robert. "Poe and Lovecraft". *Ambrosia* #2, August, 1973

Claypole, J. "*Afterword*". *E. A. Poe, Tales of Mystery and Imagination*. NY: Collector's Library, 2003

Gray, R. *I am a Virginian: E. A. Poe and the South*. Southern Methodist University, 1986.

Hoffman, S. *Poe in the 20th Century*. North Dartmouth: Southeastern Massachusetts University Press, 1980

Ingebresten, E. *Maps of Heaven, Maps of Hell*. Armonk: M.E. Sharpe, 1996

King, S. *Dance Macabre*. NY, 1981

Lovecraft, H. P. *Supernatural Horror in Literature*. NY: Hippocampus Press, 2000

Lovecraft, H. P. *The Rats in the Walls*. NY, 1967

Mark, J. *The Literary Importance of Poe*. <http://members.aol./MarkJE/poe.html>

Murphy, P. *Notion of Darkness in E. A. Poe's Writings*. NY, 1997

Poe, E. A. *Tales of Mystery and Imagination*. NY: Collector's Library. Barnes and Noble Books, 2003

Sutherland, J. "At the Edge: Problematic Fictions of Poe, James and Hawthorne". In: *DA I*, 39, 1978

Wilbur, R. "*The House of Poe*". *Poe: A Collection of Critical Essays*. NY: Englewood Cliffs, 1967.

TAMAR CHEISHVILI

Assistant Professor, Akaki Tsereteli State University

ABSTRACT

**E.A. POE, HOWARD PHILIPS LOVECRAFT
AND ROBERT BLOCH :
TRANSFORMATION OF LITERARY GOTHICISM**

The aim of the present essay is to explore Edgar Poe's influence on H. P. Lovecraft and Robert Bloch.

Lovecraft and Bloch wrote horror in the best tradition of literary 'Gothicism'. Some critics, on the one hand, repeat the usual recital of similarities to be found within their work (black cats, revenants, or similar surface resemblances); others, on another, assert that no real resemblance exists aside from superficial employment of stock characters and themes common to virtually all stories in genre. To me, it is beyond doubt that Lovecraft and Bloch, like every writer of fantasy and horror fiction subsequent to Poe, were necessarily influenced by the work of their predecessor. Actually, Lovecraft's homage to Poe in his essay "Supernatural Horror in Literature" indicates to the degree of appreciation and admiration which leaves no doubt as to the profound impression made upon him by the earlier master.

The relations between the three writers are not merely those of genre and influence but of similar temperaments exploring the same psychological and philosophical terrain. Their shared doubleness implies aesthetic schizophrenia, professing classicism and practicing romanticism, worshipping natural law by day and breaking (through the vehicle of dream) its coordinates of time and space by night. The reason for this splitting is the very rigidity and defensiveness of the three writers' conscious minds that made the unconscious appear overpoweringly alien and terrifying. Even granting this, however, Poe, Lovecraft and Bloch are more than victims of their own psyches; each is his most perceptive analyst, though Poe is a more gifted scribe; more than that, Poe is incomparably superior to all the writers who follow in his wake.

მაია ჯოლაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

ანტიამერიკული დისკურსი იოზეფ როთის რომანში „იოზი“

ამერიკის თემას იოზეფ როთის შემოქმედებაში საინტერესო ადგილი უჭირავს. იგი ერთდროულად ხსნის და დაღუპვის, რეალური და ფიქტიური მითოსივრცეა. მიხედავად იმისა, რომ როთი არასდროს ყოფილა ამერიკაში, მწერლის კალამი საოცარი სიზუსტით და დაწვრილებით ასახავს არნახული სივრცის როგორც გეოგრაფიულ-ტოპოგრაფიულ, ასევე სულიერ განწყობილებას.

ამერიკამ XX საუკუნის დასაწყისიდან არამერიკელთათვის დაიმკვიდრა ბედნიერი და უზრუნველი ცხოვრების, ახალი სამშობლოს სიმბოლოს ფუნქცია. სავარაუდოდ, ამ უკანასკნელი მიზეზის გამო იგი იყო საინტერესო რუსეთ-პოლონეთის საზღვარზე მდებარე ქალაქ ბროდში დაბადებული იოზეფ როთისათვის (1894-1939), რადგანაც მისთვის მთელი ცხოვრების მანძილზე განსაკუთრებული სიმწვავეთ იღვამშობლიური სივრცის არქონის პრობლემა. მისი ბიოგრაფები (Bronsen 1993: 34; Hackert 1996: 65) საუბრობენ ერთგვარი თანდაყოლილი უქონლობის შესახებ, რომელიც ვერაფრით აღმოფხვრა მწერალმა მრავალი ცდის მიუხედავად: ბავშვობაშივე არ ჰქონდა მშობლიური ქალაქი და მოქალაქეობა, რადგანაც იგი 1919-1921 წლების რუსეთ-პოლონეთის ომის დროს საერთოდ აღიგავა პირისაგან მიწისა; აღარ არსებული ტერიტორია ახლად ჩამოსახლებულმა შვაბებმა აითვისეს და ბროდელი როთი კვაზიგერმანელი შვაბი გახდა; მას არ ჰქონდა ოჯახი, რადგან მამამ სხვა ქალის გამო მიატოვა იგი. მწერალს არსად ჰქონდა სახლი, მთელი ცხოვრება ნაქირავებში, მიმალვაში, ღვენაში, ბოლოს ემიგრაციაში ცხოვრობდა სხვადასხვა ქვეყანასა და ქალაქში; არ ჰქონდა ფული, ჰქონდა ბევრი ვალი და მთელი ცხოვრება სხვადასხვა მიზეზით ლოთობდა.

იოზეფ როთს მოჭარბებულად ჰქონდა წერის ნიჭი, რითაც ცდილობდა, გაენეიტრალებინა საკუთარი მრავალი არქონება და ტკივილების

საქვეყნოდ გამომზეურებით შეემსუბუქებინა ისინი. ამერიკისადმი მწერლის დამოკიდებულების გასაგებად საინტერესოა არა მხოლოდ კონკრეტულად ამ პრობლემისადმი მიძღვნილი ნაწარმოებების განხილვა, არამედ უმჯობესია, დისკურსის ერთ-ერთი განმარტების მსგავსად, იგი განვიხილოთ, როგორც თემატურად, კულტურულად ან კიდევ რაიმე ნიშნით ურთიერთდაკავშირებული ტექსტების ერთობლიობა. მართებულად აღნიშნავს კ. კაციტაძე, რომ დისკურსი ტექსტში მოცემული ინფორმაციის მოწესრიგების პრინციპი, თავისებური "პროგრამა", რომლის მიხედვითაც ინფორმაციის დამუშავება ხდება (კაციტაძე 1998: 55). ამდენად, როთის ამერიკისადმი დამოკიდებულების გასაგებად საინტერესოა, ზოგადად, მისი მწერლად ჩამოყალიბების პროცესისთვის თვალის მიდევნება.

იოზეფ როთის პირველი პუბლიკაცია ავსტრიის ილუსტრირებულ გაზეთში (*Österreichs Illustrierte Zeitung*) 1915 წლით თარიღდება. დამწყები შემოქმედი აშკარად განიცდიდა ექსპრესიონიზმისა და რილკეს გავლენებს. იგი რეპორტიორად რომ არ გამოდგებოდა, მალე გახდა ცხადი. თუმცა გაზეთისთვის ძალიან მომგებიანი იყო ვინმე იოზეფ როთის ლირიული ფელეტონები. ისინი გამოირჩეოდნენ მელანქოლიური სტილითა და, იმავდროულად, ბასრი პირდაპირობით. მიზნის მისაღწევად ავტორი არ ერიდებოდა არანაირ უხერხულ თემას, თანაც წერდა ძალიან ემოციურად, თითქოს გონი არ იყო ჩართული მის თხრობაში. განსაკუთრებით დამაბნეველი იყო მკითხველისათვის სადა, თავისუფალი წერის მანერა, ყველასთვის გასაგები სინტაქსი, თითქმის ბავშვური გულწრფელობა და, ამავედროულად, შოკისმომგვრელი თემატური სიღრმე და სიმძიმე. მიუხედავად განსხვავებულობისა, ბევრი რამ აქვთ როთსა და კაფკას საერთო.

1922-1924 წლებში ჟურნალისტურ მოღვაწეობასთან უმჭიდროვეს კავშირში იწერება როთის პირველი რომანები: *ობობას ქსელი*, *სასტუმრო საგოი*, *აჯანყება* (*Das Spinnennetz, Hotel Savoy, Die Rebellion*). 1923 წელი მნიშვნელოვანი თარიღია მწერლის ცხოვრებაში, რადგანაც იგი სამსახურს იწყებს გერმანიის ყველაზე პატივსაცემ „ფრანკფურტის გაზეთში“ ბერლინის კორესპონდენტად. 1925 წელი მისი ჟურნალისტური კარიერის პიკია, როცა იგი პარიზში ჩადის და ფრანკფურტის გაზეთისთვის ფრანგული სტატიების სერიას იწყებს.

1926 წელს ფრანკფურტის გაზეთის პარიზის განყოფილება დაიხურა. როტოს სანაცვლოდ იტალია შესთავაზეს, მაგრამ იქ მზარდი ფაშიზმის გამო მან უარი თქვა. ახალი შეთავაზებებიდან ამერიკას, იტალიას, ესპანეთსა და მოსკოვს შორის მწერალმა არჩევანი მოსკოვზე გააკეთა, მან საბჭოთა რუსეთის დედაქალაქი მიიჩნია პარიზის ერთადერთ შესაძლო ჩამნაცვლებლად. ვიდრე გაემგზავრებოდა, როტომა თითქმის დაასრულა თავისი საუკეთესო ესე *ებრაელების ხეტიალი (Juden auf Wanderschaft)*, ოღონდაც მისი მნიშვნელოვანი ნაწილი *ებრაელთა მდგომარეობა საბჭოთა რუსეთში (Die Lage der Juden in Sowjetrußland)* მოგვიანებით დაიწერა რუსეთში. ამასთანავე როტოს ფინანსური და ოჯახური მდგომარეობა დღითიდღე მძიმდებოდა, ყელამდე ვალებში იყო გალოთების პირას მდგარი მწერალი, რასაც ცოლის სულიერი ავადმყოფობის გაძლიერება დაემატა.

1930 წელს გამოვიდა იოზეფ როტოს საუკეთესო რომანი *იობი. ერთი უბრალო კაცის ისტორია*, რომელზეც კრიტიკა საკუთარ აღფრთოვანებას ვერ მალავდა. მკითხველის თვალწინ იყო არა ე. წ. „საგაზეთო“, არამედ სრულყოფილი რომანი, ჭეშმარიტი ლიტერატურა, რომელსაც ადარებდნენ რა აღრეულ ტექსტებს, წერდნენ: „ისინი გვზიბლავდნენ, მაგრამ არ გვაკმაყოფილებდნენ, ისინი გვაოცებდნენ, თუმცა სიყვარულს არ იწვევდნენ ჩვენში“ (Bronsen 1974: 388). უძლიერეს კორესპონდენტ როტოს კარგად იცნობდა მკითხველი, მაგრამ რომანისტი, ფაქტობრივად, ახლა იშვა მათ თვალწინ. "იობი" მის ყველაზე წარმატებულ წიგნად აღიარეს. კრიტიკამ აღფრთოვანებით მიიღო ნაწარმოები, თუმცა მისი გაკრიტიკებაც არ ღავიწყებია: რომანის ფინალი აშკარად სუსტი იყო და მთელი მეორე ნაწილი ბევრად ნაკლებად შეფასდა, ვიდრე პირველი. მწერალს არც უარუყვია შენიშვნები და თავად აღნიშნა, რომ რომანის მეორე ნაწილს თითქმის მუდმივად ნასვამ მდგომარეობაში წერდა. დევიდ ბრონზენი როტოს ბიოგრაფიაში წერს: "Einem Freund, der bei vieler ehrlicher Anerkennung darauf hinwies, daß der Inhalt des Romans *Hiob* sich nicht mit dem Titel decke, da der biblische Dulder um seinen Gott gerungen und ihn wiedergefunden, ihn eigentlich nie verloren habe, antwortete er kurz und ein wenig verbittert, so als spräche er von sich selbst: *Mein Hiob findet ihn nicht!*" (Bronsen 1974: 389). („ერთმა მეგობარმა გულწრ-

ფელი აღიარების შემდეგ მიუთითა, რომ რომანის სათაური [როთთან] ვერ ფარავს ტექსტის შინაარსს, რადგანაც ბიბლიური იობი ღმერთს კვლავ პოულობს, ფაქტობრივად, არც არასდროს დაუკარგავს იგი. ამ შენიშვნას მწერალმა უპასუხა ოდნავ გამწარებულად, თითქოს საკუთარ თავზე ლაპარაკობსო: ჩემი იობი ღმერთს ვერ პოულობს"). რომანი არ ეხება ღმერთის რწმენა-ურწმენობას, იგი უფრო მეტად დაეჭვებას გამოხატავს ადამიანის შესაძლებლობებისა და ძალებისადმი, შეცვალოს საკუთარი ბედი. 1930 წლამდე როთის საინტერესო, რთული, წინააღმდეგობრივი მოვლენებით აღსავსე და მრავალფეროვანი შთაბეჭდილებებით დატვირთული ცხოვრება თითქოს აუცილებელი წინაპირობა იყო, რომ იობი შექმნილიყო.

ესაა მუდმივად მაძიებელი, მუდმივად დაეჭვებული, მუდმივად ფიქრით დამძიმებული, ერთგული, უჩუმრად მოიმედე ერთი უბრალო მასწავლებლის ამბავი, რომელსაც ყველა იმედი გაუცრუვდა, რომელმაც თავისი უპირველესი მოვალეობა საკუთარი შვილების მიმართ ვერ შეასრულა და ეგონა კი, რომ სხვის შვილებს ზრდიდა სწორად. ზინგერი მეზობლის ბავშვებს ბიბლიის კითხვას ასწავლის. ტექსტის პირველსავე გვერდზე რამდენიმეჯერ ვკითხულობთ, რომ მენდელი შეუმჩნეველი, სხვებისაგან არაფრით გამორჩეული, უბრალო, ღარიბი და პატარა ადამიანია. ახლადდაბადებული მეოთხე შვილი მენუხიმი ჯანმრთელი და სრულყოფილი რომ არ იყო, მეცამეტე თვეში აღმოაჩინეს ოჯახის წევრებმა: კუტი ბავშვი მხოლოდ დაბობლავდა და უცნაურ ხმებს გამოსცემდა. სხვებისაგან განსხვავებით, მენდელი მშვიდად უცქერდა შვილის არგანვითარებას, თითქოს არ გაურბისო ღმერთის სასჯელს. ქმრისგან განსხვავებით, დებორა გამუდმებით ექიმბაშებს და მკითხავებს მიმართავდა, რათა რაიმე მანუგეშებელი მოესმინა. მან ცხრა მთა გადაიარა, რათა რაბინამდე მიეღწია და მისგან ის სიტყვები გაეგონა, რაც მთელი ნაწარმოების ღერძს წარმოადგენს: „მენდელის ვაჟი მენუხიმი გამოჯანმრთელდება, მისი მსგავსი ბევრი არ იქნება ისრაელში. მას ტკივილი ბრძენად აქცევს, სიმაზინჯე – კეთილშობილად, სიმწარე – სიტყვატკბილად და ავადმყოფობა – ძლიერად. მისი თვალები შორს და ღრმად განჭვრეტენ, ყურნი მისნი სავსე ხმებს შეისმენენ, ბაგე მისი მღუმარე იქნება, მაგრამ როცა გაიხსნება, კეთილის მაუწყებელი იქნება მუდამ. ნურაფრის შიში ნუ გექნება, შინ

წადი არასოდეს მიატოვო შენი ვაჟიშვილი, მაშინაც კი, როცა დიდ ტვირთად გექცევა იგი. არასოდეს მოიცილო გვერდიდან, იგი უშენოდ ისევე ვერ გაძლებს, როგორც ჯანმრთელი ბავშვი. ახლა წადი!□¹ (Roth 2002: 20)

უსასრულოდ გაიწელა სასწაულის მოლოდინის წლები და დაღლილმა დებორამ ლამის დაიჯერა, რომ ეს ყოველივე დაესიზმრა. როდესაც უფროსი ვაჟები სრულწლოვანნი გახდნენ და ჯარში უნდა წასულიყვნენ, რაც აღმოსავლელი ებრაელებისთვის დაღუპვის ტოლფასი იყო, დებორამ ლოცვის ობიექტი შეცვალა, იგი ახლა სასაფლაოზე დადიოდა და უფროსი ვაჟების ავადმყოფობას სთხოვდა ღმერთს. უფროსი ვაჟი იონა, ცხოვრების ებრაული წესისთვის კატეგორიულად შეუსაბამოდ, თავად გაიპარა ჯარში და, სავარაუდოდ, პირველ მსოფლიო ომში დაიღუპა. მელიასავით ეშმაკმა და ჭკვიანმა შემერიამ დედის დახმარებით მოახერხა ღებურტირად გაქცეულიყო ამერიკაში, რაც მისი კეთილდღეობის საწინდარი გახდა: მან მუდმივ სიღარიბესაც დააღწია თავი და მთლიანად ახალ ტყავში შეძერა: სახელი გამოიცვალა, ამერიკელი შეირთო ცოლად, არაებრაულ ნიუ-იორკში მოიკიდა ფეხი, გახსნა სავაჭრო სახლი, მდიდართა უბანში დასახლდა და იმდენ ქონებას მოუყარა თავი, რომ ოჯახიც წაიყვანა ღარიბი ცუხნოვიდან. კუტი მენუხიმი აღმოჩნდა ის ტვირთი, რაც კეთილდღეობისაკენ ზინგერების სწრაფვას აფერხებდა. დებორამ დაუფიქრებლად მიატოვა ე.წ. „კალათის ბავშვი“ მეზობლების იმედად და მკლავებგაშლილი გაიქცა ტკბილ ცხოვრებასთან შესახვედრად შორეულ ამერიკაში. მესამე შვილი, ულამაზესი მირიამი, ყველაზე ადრე იწყებს მამა-პაპის ადათის რღვევას და ზღვარგადასული ვნების დაკმაყოფილების სურვილით იგი ადრეულ ასაკში იწყებს კაზაკ მამაკაცებთან სიარულს. მენდელ ზინგერს გული იმაზე წყდება მხოლოდ, რომ მისი ერთადერთი ქალიშვილი ებრაელ კაცებს არ ირჩევს. ამერიკაში გადასახლების შემდგომ მირიამი ცდილობს ახალ ცხოვრებასთან ასიმილაციას, თუმცა შემერიას პირველ მსოფლიო ომში დაღუპვით თავზარდაცემული დედის გარდაცვალებისთანავე იგი შეიშლება და მას განადგურებული, დარდისგან დაპატარავებული მენდელი საგ-

¹ ტექსტის ქართული კარგმანი აქ და შემდგომ ეკუთვნის ავტორს [მ. ჭ.].

იყუბი ტოვებს. რომანის მეორე ნაწილის ეპიცენტრს წარმოადგენს ცოლის ცხედართან მარტო დარჩენილი ზინგერის მონოლოგი, სადაც სულისშემძვრელი სისადავით, ბიბლიის მარტივი ენით, ლექსიკითა და სინტაქსით გადმოცემულია ფესვებსმოგლეჯილი ადამიანის ტრაგედია, რომელიც თითქოს უსუსური ბაბუაწვეერასავით დაფარფატებს ჰაერში და არ იცის, რა მოელის: "ნახე, დებორა, მეზობლები მოდიან, რომ მანუგემონ, თუმცა, დიდი მონდომების მიუხედავად, არ შეუძლიათ ჩემი მდგომარეობის შემსუბუქება... მე ვჭამ, ვსვამ, ვლოცულობ და ვსუნთქავ. მაგრამ სისხლი მიჩერდება, ხელები მიდუნდება, გული მაქვს ცარიელი. მე აღარ ვარ მენდელ ზინგერი, მე მხოლოდ ანარეკლი ვარ მენდელ ზინგერისა. ჩვენ ამერიკამ მოგვკლა. ამერიკა სამშობლოა, მაგრამ მომაკვლინებელი სამშობლოა იგი. რაც ჩვენთან დღე იყო, აქ ღამეა. რაც ჩვენთან სიცოცხლე იყო, აქ სიკვდილია. ჩვენს ვაჟს, რომელსაც ჩვენთან შემერია ერქვა, აქ სემაღ იცნობდნენ. შენ ამერიკაში დაიმარხები, დებორა, და მეც, მენდელ ზინგერსაც, ამერიკაში დამმარხავენ" (Roth 2002: 154).

კიდევ უფრო უმძიმდება გული საკუთარ მცდარ ნაბიჯზე დაფიქრებულ მოხუც ზინგერს, როცა თავის ერთ ღროს უღამაზეს ასულს უცქერს, რომელიც დეგენერატული ფსიქოზის დიაგნოზით უნუგემოდ წევს საავადმყოფოში. ექიმი ვერავითარ იმედს ვერ აძლევს მამას და ურჩევს, ილოცოს. ბავშვური გულუბრყვილობით იხსენებს მენდელი სემის სიტყვებს, რომელიც ოჯახის ცუნხოვიდან წასაყვანად არგუმენტად იშველიებდა ამერიკაში გასაოცრად განვითარებული მედიცინის არსებობას. აკი ვერაფერი შეძლო ამერიკელმა ექიმმაც კი, თურმე ისიც ჩვეულებრივი ადამიანი ყოფილა! თუკი აქამდე ოდნავ მაინც ეეჭვებოდა, უკვე იოტისოდენა გამართლებასაც ვერ პოულობდა მასწავლებელი, რატომ მიატოვა მშობლიური ცუნხოვი, ღარიბი სახლი, მეზობლები, გარემო, ავადმყოფი შვილი, სამშობლო... ირგვლივ მიმოიხედა და არაფერი აღარ შერჩა: დებორა მოკვდა, სემი ომში დაიღუპა, მირიამი გაგიჟდა და იონა დაიკარგა. ოჯახის არცერთი წვერი აღარ ჰყავდა, მაგრამ თითქოს ეს არ იყო ყველაზე დიდი უბედურება. მენდელ ზინგერმა გულის ტკივილამდე იგრძნო სამშობლოს დაკარგვა. ზშირად ფიქრობდა მენდელი და გოცებული ასკვნიდა, რომ მსოფლიოში უჭკვიანესი კაცი ყოფილა მეზობელი

გლეხი ზამეშკინი, რომელიც ებრაელების მისამართით ამბობდა ხოლ-
 მე: "რას დაეხეტებით გამუდმებით აქეთ-იქეთ, ეშმაკი არ გასვენებთ".
 სწორედ რომ ეშმაკმა მოიყვანა ოჯახი ამერიკაში, სადაც ზინგერი
 გასაცოდავებულ მარტონხელა ბერიკაცად იქცა. ეშმაკი შეუჩნდა უიმე-
 დო მონუცს, როცა გაგიჟებულმა გადაწყვიტა სახლში თავი დაეწვა.
 ცეცხლის აღმა წაახალისა მისი სიგიჟე და ღმერთის საგინებელ
 სიმღერას მოჰყვა: "აღარ, აღარ, აღარ არის მენდელ ზინგერი. მას
 აღარ ჰყავს ვაჟი, მას აღარ ჰყავს ქალი, მას აღარ ჰყავს ცოლი, მას
 არ აქვს სამშობლო, მას არ აქვს ფული... რატომ არ სჯვის იგი მეხ-
 ორცე ლემელს?... მხოლოდ მენდელს რატომ სჯის იგი? მენდელთანა-
 ნაა სიკვდილი, მენდელთანაა სიგიჟე, მენდელთანაა შიმშილი. ღვთის
 ყველა ნიჭი მენდელთანაა. აღარ, აღარ, აღარაა მენდელ ზინგერი...
 თქვენ იტყვი, თავისი ქალიშვილივით გაგიჟდაო მენდელი. მაგრამ
 გარწმუნებთ, მე არ გავგიჟებულვარ. მე აღრე ვიყავი გიჟი. სამოც
 წელზე მეტი ხნის განმავლობაში ვიყავი გიჟი... მინდა უფრო მეტი
 დავწვა, ვიდრე მხოლოდ სახლია, ვიდრე ადამიანია... მინდა ღმერთი
 დავწვა" (Roth 2002: 162). თუმცა მაინც ვერ გაბედა დაეწვა თორა
 და მთელი ატრიბუტიკა, რასაც 50 წელი ემსახურა, რაც სისხლში
 ჰქონდა გამჯდარი. მენდელი გრძნობდა, რომ მხოლოდ ვერბალურად
 უარყოფდა ღმერთის უხილავ ძალას, ფარულად მაინც გამოსჭვივის
 მოლოდინი და იმედი. რომანის ფინალურ ნაწილში პირველად ჩნდება
 ტექსტის სათაური, როდესაც გაბოროტებულ-გასაცოდავებულ მოხ-
 უცს მეზობლები იობის ბიბლიურ ამბავს შეასვენებენ. ძლიერი და
 მდიდარი იობის გამოცდა ურთულესი იყო, იქნებ მენდელიც იობივით
 უნდა გამოსცადოს ღმერთმა. ამერიკაა მენდელის გამოცდა, ამერიკაა
 ეშმაკის განსაცდელი, ამერიკაა ზინგერების უბედურების სათავე, სამ-
 შობლოს უარყოფელის ბედი. სამაგიეროდ, სწორედ ამერიკაში გახდა
 ცუხნოვში უჩინო, ჩუმი, შეუმჩნეველი და უპრეტენზიო მასწავლებელი
 ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ებრაელი ნიუ-იორკში, უკვე ყვე-
 ლამ იცოდა მისი ტრაგიკული ისტორია.

მართებულად შენიშნავდა კრიტიკა, რომ რომანის მეორე ნაწილი
 და, განსაკუთრებით, ფინალი საკმაოდ სუსტი იყო. თითქოს მწერალმა
 ამბის სიმძიმისგან გათავისუფლება მოინდომაო და მოულოდნელი ფი-
 ნალი დააჩქარა: ნიუ-იორკში გასტროლზე ჩამოდის ცნობილი მუსიკო-

სი რუსეთიდან. ერთ მშვენიერ დღეს ეს პოპულარული მუსიკოსი მოაკითხავს მენდელს, იგი მისი აწ გამოჯანმრთელებული ვირტუოზი მუსიკოსი მენუხიმი აღმოჩნდება, რომელსაც მეზობლებმა უმკურნალებს. მან თავად მოიძებნა ოჯახი და მიაგნო განადგურებულ მამას. რომანის უკანასკნელი წინადადება გვამცნობს, რომ მენდელ ზინგერმა ფეშენებელური სასტუმროს ოთახში რბილ საწოლზე ძლივს დაიძინა მძიმე ბედნიერებითა და დაუჯერებელი საოცრებით დაღლილმა.

იოპში ამერიკის თემა ყოველთვის შემერიას სახელს უკავშირდება. შემერია-სემის პროტოტიპი 1927 წელს გამოქვეყნებული როთის პოპულარული ესეს *ებრაელების ხეტიალი (Juden auf Wanderschaft)* ერთ-ერთი უპიროვნო პერსონაჟი უნდა ყოფილიყო. მწერალი ესეში დეტალურად საუბრობს აღმოსავლელ ებრაელთა განსაკუთრებით შეჭირვებულ ყოფაზე, მათ უფლებობაზე, გარემოსთან ურთიერთობისას უვიციობით გამოწვეულ შიშებზე. როთი აღწერს ებრაელების ყოფას პოლონეთში, პარიზში, ვენაში, ბერლინში, საბჭოთა რუსეთში და საუბრობს ებრაელთა განსაკუთრებულ ინტერესზე, ეცხოვრათ ამერიკაში: "მიუხედავად იმისა, რომ ამერიკული საკონსულოები იმდენ საბუთს ითხოვდნენ, რამდენსაც არავენ, ბევრი აღმოსავლელი ებრაელი სწორედ ამერიკაში გარბის.

ამერიკა სიმორცხეა. ამერიკა ნიშნავს თავისუფლებას. ამერიკაში აუცილებლად იქნება თუნდაც ერთი ნათესავი" (Roth 2010: 207) – ვკითხულობთ ესეში, სადაც მწერალი აღწერს ტიპურ სქემას, რითაც გაქცეულები მოქმედებდნენ. თითქოს მოჩვენებითი მსუბუქი ტონით დაწერილი ე.წ. აღსარება მკითხველისთვის გასაღები უნდა ყოფილიყო, რატომ არ იჩენდა არანაირ ინტერესს როთი ამერიკისადმი და რატომ არ ხიბლავდა მას გავრცელებული აზრი, რომ შტატებში ყველასათვის სანატრელი თავისუფლებაა. ესეში ავტორი მისთვის დამახასიათებელი სარკაზმით წერს ებრაელთა ამერიკანიზაციის ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზზე – ეს იყო ჯარში გაწვევის შიში. რუსეთსა და ავსტრიაში, როგორც წესი, ებრაელები ჯარში არ მიჰყავდათ იმიტომ, რომ ისინი მოქალაქეებზე დაბალი სტატუსის მქონედ ითვლებოდნენ: „ებრაელები სიხარულით ისმენდნენ ლანძღვას, იტანდნენ დამცირებას და უხაროდათ სამხედრო სამსახურის აკრძალვა, მაგრამ როდესაც მათ პატივი დადეს და ბრძოლისა და ომში დაღუპვის

უფლება მისცეს, ისინი საოცრად დამწუხრდნენ... ვისაც ფული ჰქონდა [და გამბედაობაც], ამერიკაში მიდიოდნენ. იცოდნენ რა, რომ უკან ვერასოდეს დაბრუნდებოდნენ. უარს ამბობდნენ ყველაფერზე. ძალიან უჭირდათ ოჯახების დატოვება, თუმცა ემსუბუქებოდათ სამშობლოს დათმობა.

"ისინი მიდიოდნენ ამერიკაში" (Roth 2010: 209).

ამ დამამცირებელი გარემოებების აღწერით ცხადია, როთისთვის ამერიკა არაა ებრაელების ბედნიერების ადგილი, იგი მათი მარადიული ხეტიალის მხოლოდ დროებითი თავშესაფარი შეიძლება იყოს. ესეში გამწვავებულადაა ნაჩვენები ამერიკაში ებრაელთა მუდმივი დამცირების სცენები: ებრაელი ამერიკაში იცვლის სახელს, იძულებულია ისწავლოს ინგლისური, იმის მიუხედავად, რომ ებრაულ კვარტლებში იდიშიც საკმარისია, სხვადასხვა მაქინაციებით ცდილობს საბუთები მოიწესრიგოს, იცმევეს ამერიკულად, რათა თვალშისაცემი არ იყოს ირგვლივ მყოფთათვის. თავისუფლების ქანდაკება არც ისე სტუმართმოყვრულად ეგება მეთხე კლასის გემის ერთიციდა კაიუტებში გასაცოდავებულად გამომწყვდეულ ებრაელებს, რომლებიც ცხოვრებაში ერთადერთხელ გრძნობენ თავიანთი რასის უპირატესობას ამერიკელთა თვალში მათზე კიდევ უფრო დამცირებულ ზანგებთან შედარებით.

როთის რომანის პერსონაჟმა შემერამ ყველა ეს განსაცდელი განვლო და დაუჯერებელ წარმატებას მიაღწია და ოჯახიც წაიყვანა, როგორც მოგვიანებით აღმოჩნდა, სასაკლაოზე.

პიროვნული შეჭირვებებისა და გართულებული ჯანმრთელობის პერიოდში შექმნილი როთის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული რომანი სინამდვილეში იყო თემატურად და კულტურულად ურთიერთდაკავშირებული ტექსტების ერთობლიობა, ამერიკაზე წარმოდგენებისა და ებრაელთა ბედისათვის მისი მნიშვნელობის სუბლიმირებული გამოხატულება, რომლის მკვეთრი ანტიამერიკული ხასიათით თითქოს ავტორი დაინტერესებულ პირებს პასუხობდა, თუ რატომ არ ესწრაფვოდა თავად ზღაპრულ ელდორადოს.

დამოწმებანი:

კაციტაძე, კახა. „დისკურსი მითოსში, ეპოსში, ისტორიულ ტექსტებში“. *ახალი პარადიგმები*. თბილისი, 1998/1.

Bronsen, David. *Joseph Roth. Eine Biographie*. Köln: Kiepenhauer & Witsch, 1993.

Hackert, Fritz. „Joseph Roth.“ *Deutsche Dichter des 20. Jahrhunderts*. Steinecke Hartmut(Hrsg.). Berlin: Erich Schmidt Verlag, 1996.

Roth, Joseph. *Hiob. Roman eines einfachen Mannes*. Köln: Kiepenhauer & Witsch, 2002.

Roth, Joseph. „Juden auf Wanderschaft.“ *Ich zeichne das Gesicht der Zeit*. Essays-Reportagen-Feuilletons. Herausgeben und kommentiert von Helmuth Nürnberger. Göttingen: Wallstein Verlag, 2010.

MAIA CHOLADZE

Associate Professor, Akaki Tsereteli State University

ABSTRACT

ANTI-AMERICANDISCOURSEINJOSEPHROTH'SNOVELJOB

America plays an ambivalent role in Joseph Roth's writings: the writer represents it as a place of survival and destruction simultaneously for the Jews constantly seeking a homeland. It is also worthy of note that Roth himself never took a chance to go to the United States and live a comfortable life there; nether did he go into exile in the United States during the World War II.

Nevertheless, in his brilliant novel *Job* Roth recreates geographical-topographic details as well as spiritual mood of the space unknown to him with amazing accuracy. In the second part of the novel the author sets action in America but despite the detailed description of the plot events, it is obvious that the writer treats US as a mythical, non-existent, inaccessible place. It is a kind of testing place for countriless people, the people without their own homeland. Despite the intensive use of biblical allusins, the novel is not about the belief/unbelief in god; rather, it is full of spepticism to human opportunities and mankind's capacity to change its own fate. Like biblical Job, God tests unpretentious and humble Zinger Mendel who later realizes that he was happy when he lived with his wife and four kids in the poor town of Zuchnow where

he could barely make both ends meet. Disappointed by America, Mendel starts daydreaming of calm provincial life back in a small German town. He discovers that people die in America too; there are the unemployed and the poor in America as well.

The salvation appears out of nowhere in the final: Mendel's junior son, weak, underdeveloped and diseased Menuchim, abandoned by his parents, recovered, became a world-renowned musician and found his family himself. Zinger Mendel returns to Zuchnow.

Joseph Roth's *Job*, culturally and thematically interrelated set of texts about America, clearly showed the author's anti-American attitudes.

TAMAR KHETSURIANI

PhD Student, Ilia State University

THE THEME OF ALIENATION IN SHERWOOD ANDERSON'S SHORT STORY "UNLIGHTED LAMPS"

Sherwood Anderson's name is closely connected with the creation of American psychological short story. His short stories and novels have earned him a unique position among the writers who have created American literary heritage. Anderson's role in American literature is defined by his synthetic style: he developed the traditions of American classical literature and, at the same time, dealt with the problems brought into life by historical changes that led the way to the new stage of social development. The writer paid a great attention to the description of psycho-emotional sides of reality. Anderson's unique talent found its best expression in his short stories. In his best-known work, *Winesburg, Ohio* (1919), which was one of Steinbeck's favorite books, he explores the loneliness and frustration of small-town lives. His later collection, *The Triumph of the Egg* (1921), is considered to contain some of his most compassionate and penetrating writing. We will present the analysis of 'Unlighted Lamps', a short story that is included in this collection, and observe some interesting moments in Sherwood Anderson's and James Joyce's artistic prose.

In 1921 Sherwood Anderson visited Paris where he met Gertrude Stein, James Joyce and got acquainted with the ideas of modernism. He was greatly impressed and influenced by that fact and due to it some of his last stories - 'Unlighted Lamps' among them - are richer and subtler than the early ones.

The theme of 'Unlighted Lamps' turned out to be quite effective at the beginning of the twentieth century. Anderson's outlook and his own interpretation of the cliché concerning the theme of existing alienation among people are well shown in this story.

Collection of stories 'The Triumph of the Egg' was published in 1921. The volume has a subtitle: 'A Book of Impressions from American Life in Tales and Poems.' Two of the stories 'Unlighted Lamps' and 'The Door of the Trap' are taken from the 'Mary Cochran' manuscript.

The dramatic relationship between a father and a daughter is shown in the short story 'Unlighted Lamps.' The action develops through the interchanging narration of the main heroes' emotional experiences. Two or three episodic characters are also introduced. Their functions are so skillfully presented that they harmonize with the main heroes and develop their psychological portraits but at the same time they themselves are vivid characters who keep their independent role marked in a special way through their own fate. Their intersection with the protagonists is absolutely real for they equally preserve both: convincingness and logic.

The very first sentence contrasts sharply with the impressionistic style so characteristic of Anderson's artistic technique: 'Mary Cochran went out of the rooms where she lived with her father, Doctor Lester Cochran, at seven o'clock on a Sunday evening.' (Anderson 1981:138). The author tries to give mostrealistic, and even more - documentary cogency to his narration: 'It was June of the year nineteen hundred and eight and Mary was eighteen years old.' (Anderson 1981: 138) The year, mentioned here, reminded us the date, which - from the point of theory of literature - is rather significant, particularly, June 16, 1904: the day, that Joyce chose for fixing the artistic universe and his compatriots' lives in his 'Ulysses'. Not only the calendar closeness of the date dictated us to draw a parallel between these two artists, but it was also dictated by the characterization of Joyce's literary heritage given in New World Companion for English and American Literature: 'The whole of Joyce's work could be titled "Dubliners"... his works, taken together, form a graduated and interrelated whole [...] Whatever the style, all the stories are based on Joyce's idea of "epiphany..." (Pollard 1976: 375). The first commentary stands very close to the characterization of Anderson's *Winesburg, Ohio* as a closely integrated collection of

stories, and as for the evaluation of Joyce's style, it should be pointed out that it can be equally used with reference to Anderson's style as well. 'If Joyce called the revelation of inner significance 'epiphany,' Anderson spoke of significant 'moments.' These two books -*Dubliners* and *Winesburg, Ohio*- are also the first examples in English of modern short story cycles' (Curry 1980: 240). Furthermore, if Joyce's book depicts the lives of ordinary men and women who inhabit one of Europe's capitals, Anderson depicts the lives of ordinary people of a small Midwestern town in the United States.

Anderson reasonably chose the documentary style as the best and effective way for the dramatization of a short story theme, and the idea that the drama is going to be of an impressionistic character and will be focused on the emotional perception of the theme – that idea is felt in the title 'Unlighted Lamps', or 'the light that was not destined for burning.'

The next sentence has quite different motive: 'She (Mary-T. Kh.) had told her father she was going to church but did not intend doing anything of the kind' (Anderson 1981: 138). This sentence characterizes the protagonist, Mary, and contains some other sub themes.

The theme of lie is multilayered:

1. Mary lies to her father that she is going to church;
2. Mary dares and chooses church as the object of her lie; this can be treated as sacrilegious behavior for we deal with the case that is associated with the Puritan sense of culture, tradition and way of living;
3. misleading the father - that can be rendered as the abolition of family relationship;
4. And finally, the direct explanation of Mary's unfulfilled promise - '...but did not intend doing anything of the kind.'(Anderson 1981: 138) - can be explained as deliberately planned lie.

The first paragraph of the short story ends with the indication of the heroine's private drama and loneliness and reminds us Anderson's other stories: the same confused hero, the same hesitation; and one more detail that is characteristic of Anderson's heroes: focus on their private

drama is so subjective that it excludes any kind of help or trust existing beyond the individual character. After this introductory part we are going to approach the main theme of the short story and enter its plot.

The main character, Mary Cochran, Doctor Lester Cochran's daughter, was shaken by her father's announcement of his serious heart disease. Mary was upset by the fact that her father might die suddenly. She was frightened to think by herself of her future. Mary remembers the previous day when her father told her that sad news. This passage is followed by the scene that describes the town life. This description is so vivid that speaks about Anderson's exceptional outlook and distinguished artistry. Two main lines are given in the story: 'Mary and surroundings' and 'Mary and father.' Anderson uses the 'parallel description' in order to dramatize the reality and to highlight Mary's loneliness. Through it Anderson tries to substantiate psychological motive of Mary's loneliness, and shows that their future and fate - both hers and her father's concern only these two people.

'Mary and surroundings' is one of the defining lines of the short story. Here is disclosed the mystery concerning the unhappy married life of Mary's father and mother who left her husband and daughter long ago and went to another town. It affected the attitudes of the town-folk towards her, and made Mary's life a lonely one. It should be mentioned that the general attitude towards Mary was not ordinary, some neighbors were friendly and cared for Mary, others gave vent to gossip about her mother and kept saying about Mary: 'She'll turn out bad. Like mother, like daughter' (Anderson 1981: 144). She took it close to her heart and suffered emotionally. It confined her to a solitary life without any relationship with the neighborhood.

The continuation of the line 'Mary and surroundings' signals the episode where Mary's thoughts coincide with the scene when a young gentleman helps his sweetheart to get out of the car. Mary often dreamed of love affair. However, her rather rude and nasty behavior towards Duke Yetter, the young man who wanted to be on friendly terms with Mary, seems to be defined by her hereditary factor and by the attitude of society: 'Like mother, like daughter' (Anderson 1981: 144). Here, it is quite

clearly shown how heredity and society influence the main character.

The line, 'Mary and father', is introduced by two sentences – the first one, when the father tells Mary about his illness, and the second- Dr. Cochran tells 'his daughter of his approaching death in a cold, quiet voice' (Anderson 1981: 139).

The description of the father's portrait would not be complete if we do not point out some important features: though Dr. Cochran didn't have much communication with the people of the area and he always maintained a distance from the people, as a doctor, he was devoted to his profession and also to the people of the town. But his marriage wasn't a happy one and it affected him much. To Mary it seemed that everything concerning her father must be 'cold and quiet.' In her whole life there hadn't been anything 'warm and close' for her as her father was 'a cold man.' Though, Dr. Cochran's character was being considered as cold and quiet, he was a loving father, and he was anxious to put his arm around his daughter's shoulder and talk to her about his illness but never having shown any feelings in his relation with her he 'could not sufficiently release some tight thing in himself' (Anderson 1981: 140). The doctor's character carries a tinge of kindness to the poor folk, his refusal to take money from the poor laborer and treating workers in a kind manner, were his good traits.

The title 'Unlighted Lamps' symbolizes the darkness prevailing in the lives of the main characters but the final episode shows how Mary discovers the hidden personality of her father due to the laborer who kindly speaks about Dr. Cochran. After that moment she changes her attitude towards her father. A great new love for her father sweeps over her and in fancy she feels his arms about her. 'That single moment of aliveness – that epiphany, as Joyce would have called it, that sudden reaching out of two characters through the walls of inarticulateness and misunderstanding – is the effect that Anderson is trying to create for his readers...' (Cowley 1960: 7). But at that very moment of revelation when Mary is eager to make an effort on her part and express her tenderness and love towards her father, Dr. Cochran dies of a sudden

heart attack. Though the words were left unsaid, still a light had shone from the depths illuminating everything and leaving - as we consider - its reflection in Mary's heart: between his fingers Dr. Cochran 'held a forgotten cigarette the light from which danced up and down in the darkness' (Anderson 1981: 155).

What caused the existing alienation? We think that the existing alienation and the gap created in the relationship between the daughter and her father can be viewed as a typical representative of historical and national tradition – the way we associate that with the concept of a 'type' and a 'character' – that corresponds to the idea of the puritan tradition and the mode of life. The restoration of Nathaniel Hawthorne's tradition and themes is felt in the text but it should be ascertained - how can the restoration of these elements be explained? Is it the belief in traditional or psychological rightfulness, or maybe it is a kind of 'formal curtesy' in our strife to unify national literary epochs? But certainly, this remark is rather a metaphor and an instance of wishful thinking than a theoretically presumable moment.

And finally, we can say that Sherwood Anderson tried to describe the reality of the lives of ordinary people in a convincing way. **Clarity and clearness** were frequently repeated words by Sherwood Anderson. His striving to show an event and an idea with maximum reality was the main characteristic feature of his expressionist art.

Works Cited

Anderson, Sherwood. *Selected Short Stories*. Moscow: Progress Publishers, 1981.

Cowley, Malcolm. "Introduction" *Winesburg, Ohio*, by Sherwood Anderson. New York: Viking, 1960.

Curry, Martha. 'Sherwood Anderson and James Joyce' *American Literature*, Vol.52, 1980. www.jstor.org/stable/2924814

Pollard, Arthur (Ed.). *New World Companion for English and American Literature*. New York: Popular Library, 1976.

თამარ ხეცურიანი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

რეზიუმე

ბავშვობის თემა შერვლ ანდერსონის ნოველაში „აუნთებელი ღამაგრები“

შერვლ ანდერსონის სახელი მჭიდროდაა დაკავშირებული ამერიკული ფსიქოლოგიური ხასიათის ნოველის შექმნასთან. ანდერსონის როლი და დამსახურება განპირობებულია მისი მანერის მეტად მომგებიანი სინთეზით, რადგან ამერიკული კლასიკური ლიტერატურის ტრადიციების განვითარებასთან ერთად ის იმავდროულად ითვისებდა იმ პრობლემატიკას, რომელიც ისტორიულმა ცვლილებებმა შემოიტანეს ცხოვრებაში სოციალური განვითარების ახალ ეტაპზე გადასვლისას. მწერალი მახვილს აკეთებდა სინამდვილის ფსიქოლოგიურ-ემოციურ მხარეებზე. მისი თემები უკავშირდება იმ თვისობრივად განსხვავებულ მოვლენებს, რაც მოჰყვა ახალი საუკუნის დადგომას და რაც არ იყო ტიპური ამერიკული ლიტერატურის წინანდელი ეტაპებისათვის.

ანდერსონს აღიარება მოუტანა „უაინსბურგ, ოჰაიომი“ (1919), ნოველათა კრებულმა, რომელიც არღვევდა ამერიკული ნოველისტიკის უკვე ჩამოყალიბებულ ტრადიციას და ყურადღება მიიპყრო უჩვეულო ფორმითა და შინაარსით. მისი სტილი და მანერა კიდევ უფრო გაცხადდა და განმტკიცდა მომდევნო, ოდნავ უფრო გვიან გამოცემულ კრებულში „კვერცხის ზეიმი“ ("The Triumph of the Egg"), რომლის ერთ-ერთი დასამახსოვრებელი და შთამბეჭდავი ნოველა „აუნთებელი ღამაგრები“ ("Unlighted Lamps") წარმოადგენს ჩვენი ანალიზის მიზანსა და საფუძველს.

შეიძლება ითქვას, რომ ამ ნოველის ესთეტიკა, რომელიც უფრო დახვეწილი ჩანს შედარებით უფრო ადრინდელ პროზასთან, გარკვეულწილად იმ გავლენის შედეგია, რაც მან განიცადა მოდერნიზმის იდეებთან ზიარებისას პარიზში მოგზაურობის შემდეგ და ისეთ მეტ-

რებთან შეხვედრის შედეგად, როგორც იყვნენ გერტრუდ სტაინი და ჯეიმს ჯოისი.

„აუნთებელი ლამპრების“ თემა აღმოჩნდა ძალზე მოღერი XX ს-ის დასაწყისისთვის, როდესაც ფროიდის მოძღვრებამ მიიქცია საზოგადოების იმდენად დიდი ინტერესი, რომ წამყვან მოაზროვნეებთან და მწერლებთან ერთად მას გამოეხმაურა მეორეხარისხოვან მწერლებთან დიდი ტალღა. ასეთ ფონზე მით უფრო ეფექტური გამოდგა ამ ნოველის მხატვრული სახე, რომელშიც აშკარად ჩანს საკუთრივ ანდერსონისეული ხედვა და მისეული ინტერპრეტაცია - იმ ერთგვარი კლიშეს თუ ნორმატივის, რადაც იქცა მამა-შვილის ურთიერთობის დრამის განხილვა, და, ზოგადად, ურთიერთგაუცხოების თემა. ჩატარებულ ანალიზში აქცენტს ვაკეთებთ მოცემული დრამის გამომწვევი მიზეზების დადგენაზე, რომელთაგან ერთ-ერთ ფაქტორად გამოგვყავს ლიტერატურული ტრადიციის ისტორიული საფუძველი და ასპექტი, კერძოდ პურიტანული კულტურის და ყოფითი შეგნების ორგანულობა და ფსიქოლოგიური "მდგრადობა" ამერიკელთა ბუნებასა და ხასიათში; ანალიზის ერთ-ერთ ელემენტს წარმოადგენს აგრეთვე რამდენიმე საგულისხმო მომენტი, რომელიც თვალსაჩინო ხდება ერთგვარი პარალელის შედეგად შერვულ ანდერსონის შემოქმედებასა და ჯეიმს ჯოისის მხატვრულ პროზას შორის.

მია ჯონსი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

ელისაბეთი, ლესტერის გრაფი და ელიოტის ეროტიული ინტერპრეტაცია (თომას სტარზ ელიოტის „ბარნი მიდის“ ერთი ალუზიის თაობაზე)

ისე არაფერს გაუკვირებია ლიტერატურული სამყარო და ცნობისმოყვარე მკითხველი, როგორც 1922 წელს „ბერწი მიწის“ გამოქვეყნებას. აკვირებს ახლაც, რადგან პოემის ათასგვარად ინტერპრეტირების პროცესი ჯერაც არ დასრულებულა.

ამჯერად თქვენს ყურადღებას მივაპყრობთ პოემის მესამე თავს („ცეცხლოვანი ქადაგება“) და მის ერთ მოკლე პასაჟს ლესტერსა და ელიზაბეთზე. ეს ის შემთხვევაა, როცა პოეტური იმპერსონალიზმის გათვალსაზრისებებისათვის ელიოტი სარგებლობს არა ამა თუ იმ თავწყართოთი, არამედ სამეცნიერო თუ მხატვრული ნაზრევით, რომლებიც ამ პირველწყაროებზე გამოუთქვამთ და რომლებიც მას, როგორც ავტორს, აინტერესებს და მოსწონს. კომენტატორთა აზრით, ზემოთ ნახსენები და ჯერჯერობით გაიდუმალებული პასაჟი ელიზაბეთ დედოფლისა და ლესტერის გრაფის სატრფიალო ისტორიის ალუზიაა. ეს ამბავი კარგად უნდა იყოს ცნობილი, თუმცა ეს რწმენა თავისთავად საგულისხმებელი სულაც არ არის, მით უფრო – ალუზიათა ასახსნელად.

ამიტომ გავიხსენოთ, რომ ელიზაბეთი ინგლისის დედოფალი ელიზაბეთ I-ია (1533-1603) – ტიუდორთა დინასტიის წარმომადგენელი, 1558 წლიდან ინგლისისა და ირლანდიის დედოფალი, მეფე ჰენრი VIII-ის ასული, რომლის ზეობასაც ზოგჯერ „ოქროს ხანად“ მოიხსენიებენ და იმხანად კულტურის აყვავებაზე მიუთითებენ.

ლესტერი (Leicester) საგრაფო იყო, რომლის მმართველებს ლესტერის გრაფებად მოიხსენიებდნენ, ელიზაბეთის თანამედროვე ლესტერის გრაფს კი – რობერტ დადლიდ (Robert Dudley) (1532-1588) (*Encyclopaedia* 2012; უფრო ვრცლად იხ.: Strong and Dorsten 1964).

ამ პასაჟის ორიგინალური ვერსია ასეთია:

Elizabeth and Leicester

Beating oars

The stern was formed

A gilded shell

Red and gold

The brisk swell

Rippled both shores

Southwest wind

Carried down stream

The peal of bells

White towers

ეს კი მისი პროზაული და მეტ-ნაკლებად, სიტყვა-სიტყვითი თარგ-მანია (ვითვალისწინებთ რუსულ და ფრანგულ გამოცემებს და ამ ადგილის თარგმნის ანუ გაგების ტრადიციას):

"ელიზაბეთი და ლესტერი ნიჩბებს უსვამენ (ურტყამენ), კიჩომ ფორმა მისცა მოვარაყებულ ნიჟარას, წითელსა და ოქროსფერს, (ჩამოაყალიბა ან გარდაქმნა იგი), მამხნევებელმა, მჩქეფარე ჭავლმა დაფარა ორივე ნაპირი. სამხრეთ-დასავლეთის ქარმა ქვევით წაიღო ნაკადი, ზართა რეკვა და თეთრი კოშკები".

ამგვარი თარგმანი ირიბად მიგვითითებს, რომ ელიოტი, მართალია, წყვეტილად, გრამატიკული ნორმების დარღვევით, *licentia poetica*-ს გამოყენებით... მაგრამ მაინც გადმოსცემს იმ ფრაგმენტებს, რომელთა მეშვეობითაც ნარატივის ნაშთების აღდგენა ძალგვიძს: ელიზაბეთი და ლესტერი ნავით სეირნობენ.

მაგრამ, როგორც იტყვიან, მოსვენება დაგვიკარგა (და ეს მდგომარეობა ყველა შემოქმედისათვის ნაცნობია) ამ პასაჟმა და იქ გამოყენებულ გამოთქმათა ამბივალენტობამ. ესეც რომ არა, სრულიად ცხადია, რომ ელიოტმა (თუ ეზრა პაუნდმა, ამ პოემის რედაქტორმა, რომელმაც, ცნობილია, რომ საგანგებოდ „განსხიპა" ელიოტის ადრინდელი ნაღვაწი და განზრახ გააბუნდოვანა აზრი) სტროფები უჩვეულოდ განალაგა, პოლისემიური სიტყვები გამოიყენა, ყველა პწკარი ასომთავრულით დაიწყო (თანაც, ვერ შეედავები, რადგან საქმე ლექსთან გვაქვს), სასვენი ნიშნები უგულვებელყო, სიტყვა შეიძლება ზმნადაც იგულისხმოდ და სახელზმნადაც, მოკლედ, ისე გააფართოვა გრამატიკა, რომ აქ მხოლოდ მისი მკრთალი აჩრდილია დარჩა.

გრაფიკულად, ამ პასაჟის თითო პწკარში, რომლებიც ერთმანეთს მისდევს, ხან ორი სიტყვაა, ზოგჯერ „და“ (and) კავშირით რომ გამოიყოფა, ხანაც - სამი.

ვცადოთ მთელი პასაჟის დესტრუქტურირება.

თუ ჩვენი ინტენცია იმგვარი იქნება, რომ ეს პასაჟი საგანგებო-დაა ფრაგმენტირებული და საგანგებოდაა გრაფიკულად ამგვარად გამოსახული, რათა შეიქმნას ახალი ემპირიული და ლიტერატურული რეალობისათვის ნიშანდობლივი წყვეტის, დაუკავშირებლობის, დესტრუქციისა და დისონანსის განცდა, თვალში შეგვეჩხიროს მოდერნიზმის ესთეტიკა, მაშინ მივიღებთ დამოუკიდებელ ერთეულებს "სტრიქონებს, ასეთივე სუვერენული მნიშვნელობით:

Elizabeth and Leicester – ზემოთ ნახსენები ინტენციით, ერთგვარი სიმბოლოებია, რომლებსაც უკავშირდება ყველაფერი, რაც ამ პასაჟშია, მაგრამ ისინი, როგორც იტყვიან, ამას არ იმჩნევენ!

შემდეგი სტრიქონია – **Beating oars.**

თუ ეს დამოუკიდებელი სტრიქონია, და არა მხოლოდ დენოტატებს, არამედ კონოტატებსაც მოვიმარჯვებთ, ამგვარ თარგმანს მივიღებთ:

სიტყვა **Beating**, ზემოთ მოტანილი მნიშვნელობის „ურტყამენ“ გარდა, „გულისცემის“, „ფრთების შემოკვრის“ კონოტაციასაც ითავსებს, ხოლო **oar**, ფიგურალურად, ნიშნავს „მოპოვებული წარმატების შემდეგ განცხრომისათვის თავის მიცემას“, ანუ ვნების ამოფრქვევას, სექსუალურ განცდებს და, შესაძლოა, ქმედებებსაც.

ამგვარად, **Beating oars** – პოეტურად შეიძლება „ფრთაშესხმულ ვნებებად“ ითარგმნოს.

შემდეგი სტრიქონია – **The stern was formed.**

მართალია, სიტყვა **stern**-ის მხოლოდ მეორე მნიშვნელობაა „კიჩო“ (საწყლოსნო ტრანსპორტის ზურგი, უკანა მხარე), მაგრამ რადგან მოქმედება თუ რაღაც ამის მსგავსი, როგორც კომენტატორები მიგვითითებენ, ნავში ხდება, **stern** ყოველთვის და ყველგან „კიჩოდ“ ითარგმნება; არადა, **stern**-ის პირველი მნიშვნელობების წყებაა: „მკაცრი, სასტიკი, უწყალო“ და „უდრეკი“.

სიტყვა **form** „ჩამოყალიბებას, ფორმის მიცემას“, „გარდაქმნას“ და „მწყობრში ჩადგომას“ ნიშნავს.

ამგვარად, **The stern was formed** შეიძლება ასეც გავიგოთ: ის, რაც, ზოგადად, უდრეკია, გარდაიქმნა, გამწყობრდა, ჟარგონით რომ ვთქვათ, „ფორმაში ჩადგა“.

A gilded shell

Red and gold - ხაზგასმული უწყინარობით განაგრძობს პოეტი. shell ნიჟარაა, ნაჭურჭი, ხანდახან - გემის კორპუსიც („ბერწი მიწის" ყველა ჩვენთვის ცნობილ უცხოენოვან ვერსიაში „ნიჟარად" ითარგმნება);

gilded - „მოვარაყებულს, მოოქრულს" ნიშნავს; red and gold - უნდა ითარგმნოს, როგორც „წითელი და ოქროსფერი". ტრადიციული განმარტებით, წითელი სისხლს მიემართება, ოქროსფერი კი სამეფო პერსონათა ფერია. ელიზაბეთი ორივეს განასახიერებს - ქალიცაა და დედოფალიც. აქ მთარგმნელს დიდი შრომა არ უწევს:

ეს ორი სტრიქონი შეიძლება ითარგმნოს, როგორც „მოსირმული, მოვარაყებული, მოოქროვილი ნიჟარა". მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ნიჟარის ლათინური სახელწოდება concha ესპანურ სლენგზე პირდაპირ „ვაგინას" ნიშნავს, ხოლო სიმბოლური გააზრება ანტიკური დროიდანვე, ლინგვისტურთან ერთად, გარეგნულ მსგავსებასაც ემყარებოდა და ყოველთვის ასოცირდებოდა საშვილოსნოსა და ქალის სასქესო ორგანოსთან; ნიჟარა სიმბოლურად განასახიერებდა ვულვას, სამყაროს წიაღს, სიცოცხლის წყაროს, ჩასახვასა და ნაყოფიერებას. სექსუალური სიმბოლიკა ნიჟარას სიყვარულის ქალღმერთის ატრიბუტადაც აქცევს: პომპეის ფრესკებზე, ბოტიჩელისა და ტიციანის ტილოებზე ვენერა ნიჟარიდან ამოდის.

The brisk swell, - განაგრძობს ელიოტი.

brisk - არის „ცოცხალი, მხნე, მარჯვე, ცქვიტი, მამხნევებელ-გამახალისებელი" და ამავე დროს „შხეფების მსროლელიც".

ხოლო swell გახლავთ „ამონაზნეჟი," „მაღლობი", „შესივება", „ჭავლი", ამავე დროს - სლენგზე - ფრანტი, კონტაობის მოყვარული, მდიდარი და მოხდენილი ელიტარი.

რა მივიღეთ?

ძალზე ეროტიკულ ახსნათა ვარიაციები: შხეფების მსროლელი ამონაზნეჟი, შემადღება, სიცოცხლის მომნიჭებელი ჭავლი, მამხნევებელ-გამახალისებელი ფრანტი და ა.შ.

Rippled both shores ნიშნავს „ჭავლით დაფარულ ორსავე ნაპირს" ან, მეორე მნიშვნელობით, „ორივე საბჯენს, ორივე ბიჯგს", ჩვენი მინიშნებით - ორ ქვედა კიდურს.

შემდეგი ოთხი სტრიქონი ჩვენი ინტენციისათვის არაფრის მომცემია, მაგრამ თუ მათ დამოუკიდებელ ერთეულებად, დასრულებულ აზრებად ვთარგმნით, უნდა გავითვალისწინოთ, რომ „სამხრეთ-დასავ-

ლის ქარი" (Southwest wind), „ზარების გრვეინვა" (The peal of bells) და „თეთრი კოშკები" (White towers) კი ჩვეულებრივ ითარგმნება, მაგრამ Carried down stream, გარდა ქრესტომათიული - „დაბლა წაღებული ნაკადისა", შესაძლოა, „მარადგანახლებად ნაკადსაც" გულისხმობდეს (როცა ერთი ნაკადის დასასრული მეორის დასაწყისია; აქვე შეიძლება გაგვახსენდეს ანტიკური ფილოსოფიის ცნობილი დებულება ერთ მდინარეში ორჯერ შესვლის შეუძლებლობის თაობაზეც (ჰერაკლიტე). თუ ზედმეტ სკრუპულოზურობად არ ჩამოგვერთმევა, ვიტყვით, რომ ზარების რეკვისა და თეთრი კოშკებისთვის „ბერწი მიწის" კომენტატორები ცალცალკე ახსნას იმეტებენ:

თუ ზარის რეკვა ადამიანს შეახსენებს დასაზღვრულ ყოფაზე, წუთისოფელზე, კოშკი (კოშკურა) ურბანისტული, კულტურული წესრიგისა და ძალაუფლების სიმბოლოა; ტაროს კარტში, რომლის ფიგურებსაც „ათამაშებს" ელიოტი „ბერწ მიწაში", კოშკი ნეგატიური, დესტრუქციული ძალების სამყოფელსაც უკავშირდება.

ახლა დავუბრუნდეთ ჩვენს განსახილველ ფრაგმენტს.

ჩვენი ვარაუდით, ელიოტის ეს პასაჟი აშკარად სქესობრივი აქტის სუბლიმირებაა, თავისი ვაგინალურ-ფალოსური სიმბოლოებით, ერექციითა და ეაკულაციით. ჩვენს ინტენციას ამყარებს პოემის არქიტექტონიკაც. მესამე თავში, ამ პასაჟის წინ, ვიდრე სულ სხვა ალუზია იჩენდეს თავს და პოეტი მდინარეს, ბარჟასა და კუნძულს „შემოგვაპარებდეს", ნაამბობია, თუ რა იწინასწარმეტყველა ელიოტის პოემაში ანტიკური დროის ბრძენმა, ტირესიამ, რომელსაც მდებრობაც განეცადა და მამრობაც: ამ ბერწ სამყაროში, რომელსაც ცივილიზებული, მაგრამ სულგამარცხული, უსიყვარულო მემანქანე ანუ მბეჭდავი ქალი და ტეტია კლერკი განასახიერებენ, სქესობრივი აქტისას ორივე აქტორი მოვალეობის მოხდის მიზნით, ასე ვთქვათ, მექანიკურად ირჯება; და ეს აქტიც, რა თქმა უნდა, უნაყოფოა.

ამას მოსდევს ელიზაბეთისა და ლესტერის ეპიზოდი, რომელიც, ჩვენი აზრით, ასევე სექსუალურ აქტს ასახავს.

და მას შემდეგაც, კიდევ ერთი, ამავე ხასიათის პასაჟია: ჩნდება პოემის რომელიღაც ანონიმი გმირი, მთქმელი, რომელიც მსხვერპლიცაა: ლონდონის გარეუბან ჰაიბერში დაბადებულა, ხოლო დასავლეთ ლონდონში მდებარე სანაპირო რაიონებში - რიჩმონდსა და ქიუში - ქალწულობა დაუკარგავს.

სხვათა შორის, ელიოტის სტროფები ჰგავს დანტეს ჯოჯოხეთის ერთ-ერთი მონანიე სულის ვედრებას:

„მეც გამიგონე, გევედრები, გახლავარ პია, სიენამ მომცა მე სიც-ოცხლე, მომკლა მარემამ...“ (გამსახურდია 1985: 315-319).

ამ ფორმულას (დავიბადე... გარდავიცვალე) ადრე ეპიტაფიებში იყენებდნენ. მაგალითად, სვეტონიუსი ასე წერს ვერგილიუსის პირით: „*Mantua me genuit, Calabri rapuere*“ (მანტუამ მშობა, კალაბრიმ ამომ-თხარა). ელიოტთანაა: [Highbury bore me. Richmond and Kew Undid me](#) (ჰაიბერიმ მშვა. რიჩმონდმა და ქიუმ გამაფუჭეს, დამცეს...).

ელიოტი ამ ფრაზას ცდუნების კონოტაციას უმატებს.

დავუბრუნდეთ ელიზაბეთსა და ლესტერს.

მათ ნავში ყოფნას მხოლოდ „კიჩო“ და „სანაპირო“ თუ ადასტუ-რებს, და კიდევ ერთი წყარო, რომელთანაც ელიოტი „გვეგზავნის“:

პოემისათვის დართულ კომენტარებში მითითებულია ჯეიმს ენტონი ფროუდი და მისი წიგნის „ინგლისის ისტორია, ვულზის ჩამოგდებიდან ელიზაბეთის სიკვდილამდე“, XII ტომი.

ახლა ვნახოთ, რა წერია ფროუდის წიგნში ელიზაბეთსა და ლესტერზე.

ჩვენ ხელთ გვაქვს ფრაგმენტი ამ სქელტანიანი ნაშრომიდან, კერძოდ კი, ალვარეზ დე კუადრას წერილი ესპანეთის მეფე ფილიპე II-სადმი (1527-1598). ალვარეზს, აკუილას ეპისკოპოსს, მეფე დიპლომატიურ მოლაპარაკებებს ანდობდა. ის აქეზებდა ლესტერს, დედოფალი ქორწინებაზე დაეთანხმებინა.

„დედოფალმა მიმიპატიჟა ლორდ რობერტის მიერ გამართულ წმ. იოანეს დღისადმი მიძღვნილ წვეულებაზე.“

შუადღისას ჩვენ ბარჟაზე ვისხედით და ვუცქერდით, როგორ დე-ლავდა მდინარე. ის კიჩოზე იჯდა ლორდ რობერტსა და ჩემთან ერთად, როცა მათ სისულელეების როშვა დაიწყეს და ისე შეტოპეს, ლორდმა რობერტმა ბოლოს თქვა, ეპისკოპოსიც აქ არის, მიზეზს ვერ ვხედავ, რატომ არ უნდა ვიქორწინოთ, თუ დედოფლის ნებაც იქნებაო. მან (ქალმა) მკითხა, ეგებ ბოლომდე ვერ ჩასწვდი ინ-გლისურსო. ვაცადე, სანამ ამაზე ილლაბუცებდნენ და შემდეგ ორივეს სერიოზულად ვუთხარი: თუ მე დამიჯერებდნენ, ჯერ იმათი ტირანი-ისაგან უნდა გათავისუფლებულიყვნენ, რომლებიც ასე თრგუნავდნენ მათაც და მათ სამეფოსაც; უნდა აღედგინათ რელიგია (კათოლიკური ეკლესიის გავლენა - გ. ჯ.) და სანიმუშო წესრიგი. შემდეგ კი შეე-

ძლთ ექორწინათ, როცა კი მოისურვებდნენ – როგორც მოძღვარმა, მათი შეერთების მზადყოფნაც გამოვთქვი“ (Froude 1865-1873: 356-357).

როგორც ვნახეთ, აქ არის ნავი (ბარჟა), მასში მსხდომი ელიზაბეთი და ლესტერი, და მათი სიყვარულიც დასტურდება. ელიოტმა სწორედ ეს წყარო გამოიყენა თავისი პოემისათვის და წყვილის განმარტობას აშკარად ეროტიკული ხასიათი მისცა. თუმც, ელიზაბეთს „ქალწულად“ მოიხსენიებდნენ, რობერტი არასოდეს გამხდარა მისი მეუღლე და მათ შორის სექსუალურ ურთიერთობასაც გამორიცხავდნენ. ეს, ცხადია, ელიოტს ხელს ვერ შეუშლიდა, წყვილის ტრფიალი ისე დაეხატა, როგორც სურდა; თუმც ეს სასიყვარულო აქტიც უნაყოფოდ დასრულდა.

ჩვენ, მართალია, ვცადეთ, ცხადგვეყო ელიოტის პასაჟის იდუმალება და, ჩვენი ფიქრით, იგი სწორედ ამას გულისხმობდა, მაგრამ მთარგმნელს არა აქვს უფლება ინტერპრეტაციის თარგმნისა, რამდენად სარწმუნოც უნდა იყოს იგი.

ჩვენ „ოქროს შუალედის“ მომხრენი ვართ: ვცადეთ, არ დაგვეკარგა ის პოეტური ინსტრუმენტარია, რომელიც პოეტმა გამოიყენა თავისი ენიგმატიზმის გამოსახატავად, დავიცავით ფორმა, მივამსგავსეთ მეტრი და რიტმი, ელიოტის მსგავსად გავრითმეთ სტრიქონები, თუმც, შეძლებისდაგვარად, არც კონოტაციების გათვალისწინებაზე გვითქვამს უარი.

გავიხსენოთ ორიგინალი:

[Elizabeth and Leicester](#)

Beating oars

The stern was formed

A gilded shell

Red and gold

The brisk swell

Rippled both shores

Southwest wind

Carried down stream

The peal of bells

White towers

ასეთია ამ პასაჟის ჩვენეული ვერსია:

ელიზაბეთ და ლესტერ
ნიჩბით მღვრეული ვნება
კიჩო - უდრეკი პალო
ნიჟარა - მოსირმული
ოქროსფერ-მოწითალო
ჭავლი - შხეფებად სხმული
ფრქვეული ორსავ ნაპირს
სამხრეთ-დასავლის ქარი
სრბოლა ნაკადთა მკვეთრი
მგრვეინავი ზარი
კოშკები თეთრი

ამგვარად, ელიოტის შემოქმედებითი იმპერსონალურობის თეორიის, ალუზიების თავწყაროთა და, რაც მთავარია, საკუთრივ პოემის ინტენციის გათვალისწინებით, იმის დადასტურება ვცადეთ, რომ ჩვენი ინტერპრეტაცია ელიოტის კონცეფციას თანხვედრა და თარგმნისას მისი გამოყენება ერთ-ერთი ხერხია პოემის საზრისის მოსახელთებლად.

დამოწმებანი:

გამსახურდია, კ. თხზულებათა ათგომეული, ტომი X, თბ., 1985.

Froude, James Anthony. History of England from Fall of Wolsey to the Death of Elizabeth. 12 vols. New York: Scribner, 1865-1873.

The Columbia Electronic Encyclopaedia (6th ed.). Columbia University Press, 2012. <http://www.infoplease.com/encyclopedia/people/leicester-robert-dudley-earl-of.html#ixzz1CzLIGSB9>

Strong, R. C. and Van Dorsten, J. A. *Leicester's Triumph*. Publications of the Sir Thomas Browne Institute, Leiden, Special Series 2, 1964.

GIA JOKHADZE

Professor, Ilia State University (Tbilisi)

ABSTRACT

**ELIZABETH, LEICESTER AND THE ELIOT'S EROTIC
INTERPRETATION
(ON ONE ALLUSION OF ELIOT'S *THE WASTE LAND*)**

Not only is *The Waste Land* Eliot's greatest work, but it may be, along with Joyce's *Ulysses*, the greatest work of all modernist literature. Eliot's poem, like the anthropological texts that inspired it, draws on a vast range of sources. Eliot provided copious footnotes with the publication of *The Waste Land* in book form; these are an excellent source for tracking down the origins of a reference.

Most of the characters of the poem are all living in physical and mental wastelands, it seems as if the cruelest wasteland is experienced from one woman who endures the sexual wasteland in her life, due to the impression that her sexuality yields absolutely no bliss for any kind of hope for regeneration. This is Elisabeth (1533-1603) - the last Tudor monarch, her relationship to Leicester and the very little passage about it.

Eliot contrasts the love of Elizabeth and Leicester with lovers of the present day (represented by the Thames daughters). The love of the past was enduring and real, while the love of the modern world is transitory and phony.

We tried to restore a narrative remained between lines, learned the ambivalence and polysemanticism of the used words and found the source which helped us as illusion to establish our intention: James Anthony Froude, *History of England from Fall of Wolsey to the death of Elizabeth*. Eliot poetically represents a scene of sexual relations between Elizabeth and Robert Doodley which it is said was fictive and unproductive also. This is the Eliot's manner to reveal the general line of his conception: The modern world is „neither living nor dead”.

Eliot invites us to watch humanity tragically transform the beautiful, sacred, distinguishing, creative ceremony of love-making into a clattering, mindless, loveless machine, churning out loss of innocence, exploitation, and murder.

**ქართულ-ამერიკული ურთიერთობები,
პოლიტიკა, ისტორია, ეკონომიკა,
განათლება, საზოგადოება**

**Georgian-American Relations, Politics,
History, Economics, Education, Society**

გივი ანალოგი

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მკვლევარ-ასისტენტი

ქართული პოლიტიკური დისკურსის ზოგადი ანალიზი

ნაშრომის მიზანია ქართული პოლიტიკური დისკურსის ზოგადი ანალიზი, არსებული დისკურსების მიმოხილვა და მათი შესაბამისი იდეოლოგიური საფუძვლების გამოვლენა. იქედან გამომდინარე, რომ ქართული პოლიტიკური დისკურსის მისადაგებას დასავლურ დისკურსულ სტანდარტებთან გააჩნია დიდი მნიშვნელობა ქართული საზოგადოებისთვის ზოგადად, მნიშვნელობას იძენს აგრეთვე თანამედროვე ქართული პოლიტიკური დისკურსის და შესაბამისად – ქართული პოლიტიკური აზროვნების შესწავლა სოციოლინგვისტიკის თვალსაზრისით. ჩვენი მიზანი იქნება არსებული პოლიტიკური იდეოლოგიების განხილვა და მათი ლინგვისტურ გამოვლინებათა განსაზღვრა პოლიტიკური დისკურსის ფარგლებში.

მოცემული ნაშრომის ფარგლებში ქართული პოლიტიკური დისკურსის ანალიზი ზოგადად მოიცავს პერიოდს დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე. საბჭოთა მემკვიდრეობის ეტაპობრივად შესუსტებისა და, შესაბამისად, წაშლის შემდგომ მნიშვნელობა შეიძინა ახალ, დასავლურ-დემოკრატიულ დისკურსულ სტანდარტებზე გადასვლამ. სწორედ ამიტომ აუცილებელია მოცემულ პერიოდამდე არსებული მსოფლმხედველობრივი ტრენდების მიმოხილვა და არსებული თუ ფორმირების პროცესში მყოფი დისკურსის დახასიათება, როგორც ამ მსოფლმხედველობრივ-იდეოლოგიურ შეხედულებათა ლინგვისტური გამოვლინებისა.

ქართული (პოლიტიკური) დისკურსის ძირითადი მახასიათებლები, რივი მკვლევარების მიხედვით (ყოველ შემთხვევაში – დღემდე) ხასიათდებოდა შავ-თეთრი მენტალობით. მოვლენათა შავ-თეთრი განზომილებაში წარმოჩენა წარმოადგენს არა მარტო ყოველდღიურ

აღქმას, არამედ აგრეთვე არის ერთ-ერთი უმთავრესი მახასიათებელი ფორმალური დისკურსისა. მაგალითად, მოვიყვანთ ფილოსოფოს ზაზა ფირალიშვილის მოსაზრებას, რომელიც ასახავს 90-იანი წლების ქართულ პოლიტიკურ ცნობიერებას ზოგადად. ავტორის მიხედვით, 90-იანი წლების ქართული საზოგადოების ცნობიერების დამახასიათებელი თავისებურება იყო პოლიტიკური კულტურის დაბალი დონე, რაც გამოიხატა პოლიტიკური პროცესებისა და პოლიტიკური პირების მითოლოგიზირებით და პრიმიტიული დუალიზმით.

ავტორის აზრით, მითოლოგიზირებული პოლიტიკა რელიგიური ტერმინოლოგიითა და კატეგორიებით იწყებს მეტყველებას. „ასეთ ინდივიდებს მხოლოდ ორგანოზომილებიანი სამყარო ესაჭიროება. მისი სამყარო მხოლოდ მტრებით ან მოყვასებით უნდა იყოს დასახლებული. მოვლენათა სხვაგვარი ხედვა მისთვის არ არსებობს. (ფირალიშვილი 1991: 74). მოყვანილი მოსაზრება თავისუფლად შეიძლება მივუსადაგოთ დღევანდელ ვითარებას ქართულ პოლიტიკურ სივრცესა და, შესაბამისად, პოლიტიკურ დისკურსს ზოგადად, სადაც (აწ უკვე ყოფილ) დომინანტ დისკურსსა და ოპოზიციურ დისკურსებს შორის სწორედ ზემოხსენებულ ორგანოზომილებიან სიბრტყეში მიდიოდა დაპირისპირება.

ქართული პოლიტიკური დისკურსის შემდეგი თვალშისაცემი თავისებურებაა პერსონათა შორის ერთმანეთის წინააღმდეგ მიმართული არგუმენტაცია - AD HOMINEM (არგუმენტაცია მიმართულია არა იდეებისადმი და იდეების დონეზე, არამედ პიროვნებებისადმი და მათ წინააღმდეგ; როგორც წესი, იგი ატარებს პირადი შეურაცხყოფის ხასიათს): თავისი მიზნის მისაღწევად კომპანიონები ისეთ აკრძალულ ილეთს იყენებენ, როგორც მოურიდებლობა, პერსონალიებისადმი უპატივცემულო დამოკიდებულება და ყველაფრის გაბიაბრუებაა. როცა ვინმეს წამდაუწუმ შეურაცხყოფენ და უპატივცემულოდ ექცევიან, უმრავლესობის თვალში მას სახელი უტყდება (ჯონსაძე 2006).

დისკურსის ანალიზის ფარგლებში მნიშვნელოვანია ის ფიგურატული ენა, რომელსაც მიმართავენ პოლიტიკოსები მსჯელობისას ზოგადად. ფიგურატული ენა მნიშვნელოვანწილად შედგება მეტაფორებისა და ევფემიზმებისაგან. ქართული ენა იძლევა ფიგურატული მეტყველების მრავალ მაგალითს (ძირითადად განვიხილავთ მეტა-

ფორებს). გარდა ამისა, ქართული პოლიტიკური აზროვნება (მენტალური ტიპი) მეტწილად წარმოადგენდა (განსაკუთრებით 90-ანი წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პერიოდი) მეტაფორულ აზროვნებას. დამოუკიდებლობის პირველ წლებში ქართული პოლიტიკური დისკურსი სახეს იყო მეტაფორებითა და ფიგურატიული ენით ზოგადად. საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი აზროვნებდა მეტაფორულად და მისი მსოფლმხედველობა იმყოფებოდა განვითარების ეთნო-მითოლოგიურ საფეხურზე. მოყვანილ მოსაზრებას შემდეგი დამოწმებაც ამყარებს: ქართული აზროვნებისთვის, საზოგადოდ, დამახასიათებელია მეტაფორული ხატების შექმნა (ბერეკაშვილი 2010). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მეტაფორული აზროვნება წარმოადგენს ადამიანური აღქმის ჩვეულებრივ მახასიათებელს: „ცნებითი სისტემა, რომლის საშუალებითაც ხდება აღქმის, აზროვნების და ადამიანის მოქმედების სტრუქტურირება, თავისი არსით, მეტაფორულია. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ აზროვნებასა და ენაში გამოვლენისას მეტაფორა „ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაშია გამჯდარი, ადამიანის მოქმედებისა და ქცევის ჩათვლით“ (დარასელია 2012).

მაგალითად, მოვიყვანოთ ქართული მეტაფორის ერთ-ერთი ყველაზე ნათელი მაგალითი, რომელმაც კონვენციონალური მეტაფორის სახე მიიღო – “ივერია გაბრწყინდება”; საინტერესოა, თუ რა იყო ასეთი სახის მეტაფორების აქტუალიზების მიზეზი თანამედროვე ქართულ ცნობიერებაში და დისკურსში შესაბამისად, როგორც ამ ცნობიერების გამოვლინებისა. ზაზა ფირალიშვილის მოსაზრებით ამის მიზეზი განათლების იდეის ცენტრში ეთნოგენეტიკური ნარატივების მოძალებამ გამოიწვია: ისტორიული და ფილოლოგიური ცოდნა ზოგადად განათლების სინონიმად იქცა. თავად განათლებამ კი, ამგვარი ცალგანზომილებიანობის გამო, ერთგვარი ტრაიბალური ინიციაციის ელფერი მიიღო. იგი, პირველ რიგში, ნიშნავდა პერსონის ინკორპორაციას კულტურის გახვევებულ ფორმებში. ცალკე საუბრის თემაა, თუ რა საბედისწერო შედეგი იქონია ამან ჩვენს ბედზე დამოუკიდებლობის მოპოვების პირველი წლების განმავლობაში. პოლიტიკური და საზოგადოებრივი ქცევის არქეტიპები მთლიანად ისტორიულ-ფილოლოგიური იმპერატივებით აღმოჩნდა კონსტრუირებული. განათლების სისტემას ბრმად მინდობილი ტიპური მო-

წაფე მოკლებული აღმოჩნდა იმ ლინგვისტიკას, რომელიც მას ამ უტოპიური ინტელექტუალური გარემოს ფარგლებს გარეთ საკომუნიკაციო სივრცის მონაწილედ გახდიდა. იგი ნაკლებად სიტუაციური, ქმედითი და ადექვატური იყო. არადა, არაადექვატური და, შესაბამისად, აფუნქციური პერსონა უბედურებაა საკუთარი თავისთვისაც და გარემომცველებისთვისაც (ფირალიშვილი 2006).

თამარ ბერეკაშვილის მოსაზრებით მეტაფორას რამდენიმე მნიშვნელობა აქვს – შემეცნებითი, ესთეტიკური და სხვა, მაგრამ პოლიტიკურ კონტექსტში ძალზე მნიშვნელოვანია მისი მანიპულირების უნარი, რომელსაც ის იძენს დომინირებად დისკურსში. ამგვარად, პოლიტიკურ სფეროში მეტაფორა გვევლინება როგორც წარმოდგენების ფორმირების საშუალება. მას შეფასებითი ფუნქციაც აქვს.

მკვლევარი განიხილავს ერთ-ერთ პოლიტიკურ მეტაფორას – “ვარდების რევოლუცია“, თუმცადა, იქვე აღნიშნავს, რომ არსებობს უფრო ძლიერი მეტაფორა, რომელიც „ვარდების რევოლუციის“ მომდევნო პერიოდს მიეკუთვნება: „ვარდების რევოლუცია თავად მეტაფორაა, მაგრამ მან შექმნა ახალი პოლიტიკური მეტაფორა – პარადიგმა – „მატარებელი“. „მატარებელი“ ნომინანტური მეტაფორაა. რევოლუცია თავისთავად მოითხოვდა მთელი დისკურსის შეცვლას და, პირველ რიგში, ისეთი ხატისა, როგორიცაა „ობოლი ერისხატი“. საინტერესოა, რომ ამ ხატის შეცვლა უკვე წინა წლებში იგრძნობოდა. გავიხსენოთ „უცნობის“ „ვაგონი მიჰქრის“, თუმცა ეს ვაგონი მექანიკურად მიჰქროდა. ამ ვაგონში ნებისთ თუ უნებლიედ ყველა იჯდა. რევოლუციამ შეცვალა მეტაფორა – მატარებელი. ახლა ეს მატარებელი, რომელიც ნათელი და ბედნიერი მომავლისკენ მიექანება, არ არის ყველა ადამიანის მატარებელი. მასში უნდა მოსწრო ჩაჯდომა. და მართო მოსწრებაც არ არის საკმარისი, მასში მოსახვედრად განსაზღვრული მხედველობაა საჭირო, გარკვეული ადამიანების, როგორც ამ მატარებლის ლოკომოტივის, მხარდაჭერა აუცილებელი. ამასთან, თუ ოდნავ მაინც შეგეცვალა ხედვა და მატარებლის სწორ მიმართულებაში ეჭვი შეიტანე, ნებისმიერ მომენტში შეიძლება ჩამოვსვან.

იგივე ავტორი სვამს კითხვას: რამდენად არის შესაძლებელი, რომ მეტაფორამ შეცვალოს პოლიტიკა? და კიდევ, ხომ არ ხდება ისე, რომ ცვლილებები მეტაფორაში და პოლიტიკური ცვლილებები წარმოადგენს

რაღაც სხვა, „უფრო ღრმა“ მიზეზის შედეგს? მაგალითად, ეკონომიკური პროგრესის ან სოციალური სტრატეგიკაციისას? მეტაფორა დამახასიათებელია პოლიტიკური სფეროსთვის არა მარტო როგორც პრინციპული მიმართების ან რაღაც ქმედებების მხატვრული გაფორმება, არამედ ხშირია მეტაფორულად პოლიტიკოსების დახასიათებაც, მაგალითად, დაღლილი ვირი ან წურბელა. ემპირიული კავშირი მეტაფორის ცვლილებასა და პოლიტიკურ ცვლილებებს შორის თითქოსდა არ მიანიშნებს, თუ რომელია ამ ორ ცვლილებას შორის კაუზალური, მაგრამ ზოგიერთი მეცნიერი (რ. დ. ანდერსონი) მიიჩნევს, რომ მეტაფორული ცვლილება წინ უსწრებს პოლიტიკურ ცვლილებებს (ბერეკაშვილი 2010).

ზემოთ მოყვანილი მაგალითების საფუძველზე და მათ კონტექსტში შეიძლება განხილულ იქნას ახალი მეტაფორა ქართულ პოლიტიკაში - „ქართული ოცნება“. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მოცემული მეტაფორა აღმოჩნდა საკმაოდ ძლიერი პოლიტიკური პრეფერენციების ფორმირებაში საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილში. ამასთანავე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მეტაფორა აშკარა მსგავსებას ავლენს ამერიკულ მეტაფორასთან მიმართებაში - „American Dream“.

საინტერესოა აგრეთვე ისიც, რომ რიგი მკვლევარის მიხედვით „გარკვეული სახის მენტალური სიმახინჯეები ასახვას პოეზებს ყოველდღიურ ლექსიკაში“.

მკვლევარ გოგი ჩაგელიშვილის მოსაზრებით, „ენა რეალობის აღქმის ფორმირებას განაპირობებს, ისევე როგორც რეალობა განაპირობებს ენის ფორმირებას. ამდენად ენაში ცალსახად აისახება მენტალობის სპეციფიკა. ბუნებრივია, რომ ჩვენი ენა/ლექსიკა თვალნათლივ წარმოდგენას გვაძლევს ჩვენს მენტალურ დეფექტებზე. პირველ რიგში მასზე, რომ ჩვენი მენტალობა არ არის აღმშენებლური ბუნების. ქართულში უხვად – ზომაზე გაცილებით მეტად – ისეთი სიტყვები გაჩნდნენ, რომლებიც არააღმშენებლობითი (როგორც წესი, დამანგრეველი) საქმიანობის ნებისმიერ ვარიაციასა და შტრიხს გამოხატავენ. თუნდაც ავიღოთ სიტყვა „ჩალიჩი“ თავისი ვარიაციებით (ჩალიჩობს, აჩალიჩდა, წაიჩალიჩა, გააჩალიჩა, მოჩალიჩე). ეს იმდენად ცოცხალი, ორგანული და ბუნებრივი სიტყვა გახდა ქართულ (შეიძლება არალიტერატურულ, მაგრამ რეალურ/ყოფით) ლექსიკაში, როგორც სიტყვა „თოვლი“ თავისი ვარიაციებით არის ესკიმოსების

ლექსიკაში.

მრავლისმეტყველნი არიან ასევე ფართო ხმარებაში მყოფი, ცალსახად დესტრუქციული მოქმედების აღმნიშვნელ ტერმინებად ქცეული სიტყვები: გადაგდება, მოტეხვა, მოსრიალეა, გაწეწვა... ან კიდევ მოქმედების ტიპი, რომელიც გამოიხატება სიტყვებით: შემოჭმა, შემოხარჯვა, შემოლახვა... ამ უკანასკნელთ ლინგვისტურად შეიძლება დიდი ღირებულებაც ქონდეთ – თითოეული მათგანი ძალიან ტევადია, ლაკონურად და სრულად გამოხატავს ჩვენთვის ჩვეული მოქმედებების ჩვენებური შეფასებების სიმახინჯეს.

ცხადია თუ რამდენად არააღმშენებლურია ზემომოყვანილი კატეგორიებით აზროვნება. ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის ყველაზე აქტიური ნაწილი კი ამ კატეგორიებით აზროვნებს“ (ჩაგელიშვილი 2006).

ზემოთ ჩვენ ვახსენეთ, რომ ქართული პოლიტიკური აზროვნება ძირითადად წარმოადგენს შავ-თეთრი მენტალობის რეფლექსიას, რასაც ადასტურებენ კიდევ რიგი ავტორებისა საკუთარი მოსაზრებებით. კერძოდ, ლაშა ჭანტურიძის მიხედვით “საქართველოს პოლიტიკურ კულტურას ზოგადად ახასიათებს უკიდურესად პოლარიზებული პოლიტიკური მჭევრმეტყველება, კერძოდ, აზროვნება და დისკუსია მიმდინარეობს აბსოლუტების მოშველიებით, ყველაფერი ან არაფერი, ან ჩვენსკენ ხართ ან ჩვენს წინააღმდეგ და მისი“. აქვე ავტორს მაგალითის სახით მოყვანილი აქვს მმართველი პარტიის მიერ მოწინააღმდეგის – რუსეთის – აგენტად შერაცხვა, რაც საბჭოთა პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩვეულებრივი მოვლენა იყო (ჭანტურიძე 2012).

კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი თავისებურება ქართული პოლიტიკური დისკურსისა არის წინსვლა / უკუსვლის მეტაფორა, რომელშიც პოლიტიკური პროცესი წარმოჩენილია როგორც გზა, შესაბამისად ერთი ძალა მიდის წინ (ან მიდიოდა), მეორე კი უკან, წარსულისაკენ. ამასთანავე, როგორც წესი, მომავალთან ასოცირდება მმართველი ძალა, წარსულს კი ოპონენტი პოლიტიკური ძალა წარმოადგენს.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე საინტერესოა, თუ როგორ განვითარდება ქართული პოლიტიკური დისკურსი მომავალში. სავარაუდოდ, „ვარდების რევოლუციის“ პერიოდის პოლიტიკური მეტაფორები დაკარგავენ აქტუალობას და მეტაფორული აზროვნება ფოკუსირდება ახალ მეტაფორაზე – „ქართული ოცნება“. როგორც ზემოთ აღი-

ნიშნა, ქართული პოლიტიკური აზროვნება ძირითადად მეტაფორულია, თუმცაღა სავარაუდოა, რომ იგი შედარებით პრაგმატულ ხასიათს შეიძენს დისკურსულ-ნარატიული მრავალფეროვნების შედეგად.

დამოწმებანი:

ბერეკაშვილი, თამარ. “ზოგიერთი თანამედროვე პოლიტიკური მეტაფორის შესახებ“. სემიოტიკა VIII. თბილისი: სემიოტიკის კვლევის ცენტრი, 2010. <http://semioticsjournal.wordpress.com/2010/08/04/%E1%83%97%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0-%E1%83%91%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%99%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%96%E1%83%99%E1%83%92%E1%83%98%E1%83%94/>

დარასელია, მაია. „დისკურსის პრაგმატული კოჰერენტულობის ფორმირების შესახებ“, 2012. <http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/5/42>

ფირალიშვილი, ზაზა. მცირე ერი და ისტორიული პერსპექტივა. თბილისი, 1991.

ფირალიშვილი, ზაზა. “ნაციონალიზმი და განათლება“. ევროპული ძიებანი (სტატიების კრებული), 2006. http://jurnalisti1.ucoz.com/_ld/0/5.pdf

ჩაგელიშვილი, გოგი. “კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე წარმოდინდების" (მოსაზრებები ქართული საზოგადოების მენტალური პრობლემების შესახებ)", 2006. [ჰტტპ://ტაკტაკა.წორდპრესს.გომ/2006/03/11/114209917183669333/](http://ტაკტაკა.წორდპრესს.გომ/2006/03/11/114209917183669333/)

ჭანტურიძე, ლ. „კლასობრივი ბრძოლის მეტაფორა ქართულ პოლიტიკურ სიტყვაში“, 2012.

[HTTP://STATEINTEREST.WORDPRESS.COM/2012/08/23/%E1%83%99%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%95%E1%83%98%E1%83%91%E1%83%A0%E1%83%AB%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A4/](http://STATEINTEREST.WORDPRESS.COM/2012/08/23/%E1%83%99%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%95%E1%83%98%E1%83%91%E1%83%A0%E1%83%AB%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A4/)

ჯონხაძე, ავთო. “კომპანიონები“, 2006.

<http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/5/42>

GIVI AMAGLOBELI

Assistant Researcher, International Black Sea University

ABSTRACT

GENERAL ANALYSIS OF GEORGIAN POLITICAL DISCOURSE

The aim of the given work is analyzing current trends in Georgian political discourse in general terms, examining the existing discourses and showing their ideological basis. As it is crucial for Georgian political discourse to reach Western discursive standards, studying types of Georgian political thinking from the point of view of sociolinguistics is of an importance as well. We will try to define existing political ideologies and their linguistic manifestations within the context of political discourse(s).

მიხეილ ბარნოვი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

აპაჩების ტომის სამხედრო ხელოვნების ძირითადი მახასიათებლები აქვანავა ჯარონიშოსა და მის მომრავს

პრეზიდენტ უილის გრანტის ადმინისტრაციის პერიოდში (1869-1877) ძველ დასავლეთში აშშ-ინდიელთა ომების ეპოქა პრაქტიკულად მთლიანად დასრულდა. ყველაზე ძლიერმა საბრძოლო პოტენციალის მქონე ტომებმაც შეწყვიტეს წინააღმდეგობა. მთავრობამ დაიწყო ამ ტომების ეტაპობრივი დასახლება რეზერვაციებში, ხოლო ინდიელთა ისტორიული სამოსახლო არეალი საბოლოოდ გაიხსნა კოლონიზაციისთვის. იმიერიდან აღმოსავლეთიდან მომავალ ემიგრანტებს შეეძლოთ სრულიად უსაფრთხოდ დაეკავებინათ ტერიტორიები დაკოტაში, მონტანაში, ტენესასა თუ კოლორადოში. დაიწყო ძველი დასავლეთის შეუქცევადი დასასრული. აწ უკვე ყოფილ ინდიელთა ტერიტორიებზე ჩნდებოდა ამერიკული დასახლებები. სატელეგრაფო და სარკინიგზო ხაზების მშენებლობამ კი საბოლოოდ გარდაქმნა ტრანსმისისიპის სივრცე. პრეზიდენტმა გრანტმა რეალურად დაასრულა ინდიელებთან ომების ეპოქა აშშ-ში, მაგრამ მიუხედავად ამისა მაინც რჩებოდა ტრადიციონალისტურად¹ განწყობილი ინდიელების სამხედრო წინააღმდეგობის კერა – ნიუ-მექსიკო-არიზონაში. 1881-1886 წლებში ჩირიკაპუა აპაჩები და მათი ლეგენდარული სამხედრო ლიდერი ჯე-რონიშო კვლავ განაგრძობდნენ უიმედო ომს ფედერალური ძალების წინააღმდეგ. ეს ისტორიული მომენტი იყო, რადგან, ვიდრე აპაჩები ომობდნენ, ცოცხლობდა თავისუფალი ინდიელების თვითმყოფადი კულტურა და იმავდროულად ეს იყო ბოლო მიჯნა, რომელიც ინ-

¹ უკანასკნელი ფრონტირის პერიოდში (1865-1890) აშშ-ს დასავლეთში სხვადასხვა ტომის ბელადთა ნაწილმა არ ისურვა მთავრობასთან ხელშეკრულებებზე ხელის მოწერა და რეზერვაციებში გადასახლება. ბელადებმა გადაწყვიტეს სამხედრო გზით დაეცვათ საკუთარი თვითმყოფადი კულტურა და საცხოვრებელი არეალი. ამ პოზიციაზე მყოფი ბელადები ისტორიაში ტრადიციონალისტი ბელადების სახელით არიან ცნობილნი.

არჩუნებდა ძველი დასავლეთის წარმავალ ეპოქას. აპაჩების ომი ეს იყო ძველი დასავლეთის რეალური დასასრული (Paxson 1910: 1-33, 156-174, 192-211, 324-340).

XIX საუკუნის განმავლობაში ინდიელებთან ომების ეპოქაში აშშ-ს არმიას არა ერთ ძლიერ ტომთან უბრძოლია, მაგრამ არც ერთ მათგანთან არ ყოფილა ბრძოლა ისე რთული, როგორც ეს იყო აპაჩებთან. აშშ-აპაჩების ომი (1849-1886 წწ.) ყველაზე დიდხანს მიმდინარეობდა და ისე გაჭიანურდა, რომ დასასრულიც აღარ უჩანდა. XIX საუკუნის მეორე ნახევარში თანამედროვე შტატების: არიზონასა და ნიუ-მექსიკოს ტერიტორიაზე მომთაბარე აპაჩებმა აუღებელ ციტადელად აქციეს მშობლიური კანიონები, უდაბნოები და მთის მასივები (Rielly 2011: 216-247).

1865 წელს სამოქალაქო ომის დასრულების შემდგომ ხელისუფლებას მიეცა შესაძლებლობა მთელი ყურადღება გადაეტანა დასავლეთის თვალუწვდენელი და ხელუხლებელი ტერიტორიების ათვისების საქმეზე. 1865-1890 წლებში ძველი დასავლეთის გარდაქმნის ერთ-ერთი ყველაზე მთავარი განმაპირობებელი იყო ინდიელ ტომთა სამოსახლო ტერიტორიების კატასტროფული შემცირება და მათი თვითმყოფადი ცხოვრების დასასრული. დასავლეთის კოლონიზაციამ გამოიწვია სერიოზული კონფლიქტები მთავრობასა და ადგილობრივ ინდიელებს შორის. ეს მოვლენა აშშ-ს ისტორიაში "ინდიელთა ომების" სახელით შევიდა (Hughes 2001: 7-19).

1870-იანი წლების მიწურულისკენ დასავლეთის ათვისებისა და ტრანსფორმაციის დასკვნითი ეტაპი დაიწყო, რომელიც კიდევ 20 წელიწადს გაგრძელდა და საბოლოოდ 1890 წელს დასრულდა. 1870-იანი წლები ნიშანდობლივი იყო იმით, რომ სწორედ ამ დეკადაში ძირითადად დასრულდა ინდიელთა ომების ეპოქა. ხელისუფლებას დანებდნენ ისეთი ძლიერი და სახელგანთქმული ტრადიციონალისტი ინდიელი ბელადები, როგორებიც იყვნენ: რომან ნოუზი (შაიენები) – 1868, სატანტა (კაიოვები) – 1871, კაპიტანი ჯეკი (მოლოკები) – 1873, ქუანა პარკერი (კომანჩები) – 1875, რედ ქლაუდი (ოგლალა სიუ) – 1876, ქრეიზი ჰორსი (ოგლალა სიუ) – 1877, ჯოზეფი (ნეზ პერსე) – 1877, სითინგ ბული (ჰუნკაპაა სიუ) – 1881. 1880 წლისთვის აშშ-ს ფედერალურმა სამხედრო ძალებმა წარმატებით ჩაახშეს

ინდიელ ტომთა წინააღმდეგობის ძირითადი კერები პრაქტიკულად მთელ დასავლეთში. ეს ყოველივე, ჩვენი აზრით, იყო მიმანიშნებელი იმისა, რომ ხელისუფლებამ საბოლოოდ მოახერხა დასავლეთის "გახსნა" კოლონიზაციისთვის. ინდიელთა რეზერვაციებში გადაყვანის შედეგად მოიხსნა მთავარი ბარიერი, რომელიც ხელს უშლიდა დასავლეთის ინტეგრაციას აღმოსვლეთის შტატებთან. თავისუფლად და თვითმყოფადი ცხოვრებით მოსახლე ინდიელების არარსებობის პირობებში დასავლეთის განაშენიანების სრულიად ახალი პერსპექტივა იხსნებოდა (Hughes 2001: 7-90).

ამგვარად, ინდიელთა ომების ეპოქის ძირითადი ნაწილის დასასრული 1880 წლისთვის იყო მიმანიშნებელი იმისა, რომ აშშ-ს ძველი დასავლეთის ტრანსფორმაციის გზაზე კიდევ ერთი სერიოზული ნაბიჯი იქნა გადადგმული. ამასობაში კი სამხრეთ-დასავლეთში ომი აპაჩებთან გაუთავებლად გრძელდებოდა. დასავლეთის მთელ რიგ ტერიტორიებზე არმიისა და ფრონტირის წარმატების ფონზე აპაჩებმა საოცარი წინააღმდეგობა გაუწიეს ხელისუფლებას. აპაჩები იყვნენ თვითმყოფადი კულტურით მცხოვრები უკანასკნელი თავისუფალი ინდიელები. მხარეთაშორის კონფლიქტი ჯერ კიდევ 1849 წლიდან დაიწყო, მაგრამ ამ ომის ყველაზე დრამატული და მწვავე ეტაპი მიმდინარეობდა 1860-70-იან წლებში. აშშ-აპაჩების უკანასკნელი ომი გახდა აშშ-ს ინდიელთა ომების ეპოქის ბოლო ომი.² იგი მიმდინარეობდა 1880-იან წლებში და უკავშირდება აპაჩების ლეგენდარული სამხედრო ლიდერის – ჯერონიმოს – სახელს (Rielly 2011: 216-247).

ინდიელთა ომების გეოგრაფიას თუ გადავხედავთ, 1880-იან წლებში ბრძოლების აბსოლუტური უმრავლესობა სწორედ ნიუ-მექსიკო-არი-

2 ამერიკულ ისტორიოგრაფიაში გავრცელებული მოსაზრების თანახმად 1890 წელს, სამხრ. დაკოტაში, პინ რიჯის სიუს ტომის რეზერვაციის ტერიტორიაზე, მღ. ვუნდილ ნიისთან, ფდერალური არმიის მიერ სიუს ტომის ინდიელთა ბანაკის განადგურება და ინდიელთა მასიური ამოხოცვა შეფასებულია, როგორც ინდიელთა ომების უკანასკნელი ბრძოლა. ჩვენ კატეგორიულად არ ვეთანხმებით ამ მოსაზრებას და მიგვაჩნია, რომ ინდიელთა ომების ეპოქა დასრულდა 1886 წელს აპაჩების სამხედრო ლიდერის – ჯერონიმოს – დანებებით. რაც შეეხება 1890 წლის ტრაგედიას, ეს იყო არმიის მიერ ინდიელთა მშვიდობიან ბანაკზე განზორციელებული ყოვლადამაშფოთებელი თავდასხმა, რომელმაც უამრავი უიარაღო ქალის, ბავშვის, მოხუცისა და ახალგაზრდა მამაკაცის სიცოცხლე იმსხვერპლა. არმიის ეს ქმედება, ჩვენი აზრით, ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. ინდიელთათვის ეს უდიდესი ტრაგედია – ვუნდილ ნიის ინციდენტი – არც ერთ შემთხვევაში არ ყოფილა ორმხრივი ბრძოლა, კლასიკური გაგებით ორმხრივი სამხედრო შეტაკება და მისი მიკუთვნება ინდიელთა ომების ეპოქისთვის არ არის მართებული.

ზონას ტერიტორიაზე მიმდინარეობდა (Michno 2003: 328-369).

ერთიან აშშ-აპაჩების ომში ჩვენ შეგვიძლია გამოვყოთ ოთხი ძირითადი ომი: 1. მანგას კოლორადასის ომი, 2. კოჩისის ომი, 3. ვიქტორიოს ომი, 4. ჯერონიმოს ომი (Hughes 2001: 72-80).

ჩვენ შეგვიძლია მრავალი კუთხით განვიხილოთ აპაჩების ომის საკითხები. თუმცა ამჯერად ყურადღება გვინდა შევაჩეროთ ამ ტომის საბრძოლო ხელოვნებაზე, აპაჩების მეომრულ ტრადიციებზე, რომელთაც უდიდესი დატვირთვა მიენიჭათ უკანასკნელი ფრონტიერის პერიოდში. აპაჩები ყოველთვის მეომრული სულისკვთების ეთნოსი იყო და მათთვის ბრძოლა ნებისმიერ დროს წინა პლანზე იყო, მაგრამ უკვე XIX საუკუნის მეორე ნახევარში მეომრულმა ტრადიციებმა განსაკუთრებული დატვირთვა შეიძინეს. აპაჩების შთამბეჭდავი ფიზიკური გამძლეობა, მათი მეომრული სულისკვთება და ტრადიციები, რომლებსაც ჩვენ ქვემოთ შევეხებით, გახდა საფუძველი იმისა, რომ აშშ-ს ისტორიაში მათ ერთ-ერთი ყველაზე მებრძოლი და ომებში შეუპოვარი ინდიელების რეპუტაცია აქვთ.

შესაძლებელია ითქვას, რომ გარკვეულწილად აპაჩებში სხვა ტომებზე უფრო მეტადაც კი იყო წინა პლანზე წამოწეული საბრძოლო ხელოვნება. აპაჩი ბევრი მიზეზის გამო შეიძლება დადგომოდა ბრძოლის ბილიკს და ხელში იარაღი აეღო: ნადირობის, ვაჭრობის, ტერიტორიული საკითხის გამო, მოკლული თანატომელის ან ბელადის გამო შურისძიებისთვის. მათი საყოველთაოდ ცნობილი სახელი "აპაჩები" მომდინარეობს ზუნის ინდიელთა ენიდან (Apache) და ნიშნავს "მტერს". რაც შეეხება აპაჩების თვითსახელწოდებას, ანუ ეთნონიმს, ისინი საკუთარ თავს სხვადასხვანაირად უწოდებდნენ – N'de, Dini, Tinde ან Inde, თითოეული ეს სიტყვა მომდინარეობს ტერმინიდან tinneh, რაც აპაჩების ენზე "ხალხს" ნიშნავს (Melody 2006: 1-18).

ამგვარად, აპაჩები აშშ-ს ისტორიაში შევიდნენ, როგორც განსაკუთრებული მეომრული სულისკვთების მქონე ინდიელები, რომლებიც აშშ-ს დასავლეთის ყველა სხვა ტომზე დიდხანს უწევდნენ შეიარაღებულ წინააღმდეგობას ფედერალურ სამხედრო ძალებს. მიუხედავად ასეთი მეომრული რეპუტაციისა, აპაჩები ასევე ცნობილი არიან თავიანთი დიდსულოვნებითა და ერთგულებით მეგობრობაში (Melody 2006: 1-18).

აპაჩების ტომში ბრძოლა მამაკაცებისთვის ყველაზე ღირსეულ საქმიანობად მიაჩნდათ. აპაჩი დაბადებიდანვე მეომრად მოიაზრებოდა და მთელი მისი შემდგომი ცხოვრება ბრძოლის ბილიკზე გამოჩენილი სიმამაცისა და მოხერხებულობის ირგვლივ ვითარდებოდა. აპაჩის ცხოვრებაში მრავალი ღირსშესანიშნავი მოვლენა სწორედ ბრძოლასა და მეომრობას უკავშირდებოდა. აპაჩის მეომრად ჩამოყალიბება იწყებოდა აღრეული ასაკიდანვე და ეს პროცესი მთელი ცხოვრება გრძელდებოდა. ყოველ ახალ ბრძოლაში აპაჩი სრულყოფდა თავის საბრძოლო უნარებსა და თვისებებს. აპაჩი მეომარი ყოველთვის მზად იყო ბრძოლის ბილიკზე გასულიყო და პირდაპირ შეხვედროდა მტერს. ნებისმიერი აპაჩისთვის სრულყოფილ და ღირსეულ მეომრად გახდომა გულისხმობდა რამდენიმე აუცილებელი თვისების გამოუმუშავებას: სიმამაცე, ძალა, ნებისყოფა, სიუხვე და სიბრძნე. მთავარი და ამოსავალი მანც იყო სიმამაცე. ომი და ბრძოლები აპაჩი მეომრის ცხოვრების განუყოფელი ნაწილი იყო. ნებისმიერ ბრძოლაში, იქნებოდა ეს სხვა ტომის მეომრები, თეთრკანიანები, გარეული ცხოველები, აპაჩს აფასებდნენ იმით, თუ რამდენად დიდი სიმამაცე და გამბედაობა გამოიჩინა მან. აპაჩების ტომში მეომრისთვის უფრო ღირსეულ საქციელად ითვლებოდა ბრძოლის ველზე დაღუპვა, ვიდრე ხანშიშესული ყოფილი მეომრის სტატუსის ქონა. იმისათვის რომ უფრო ნათელი წარმოდგენა შეგვექმნას აპაჩი მეომრის ფენომენზე, უნდა დავსვათ ასეთი შეკითხვა: რას ნიშნავდა ყოფილიყავი აპაჩი მეომარი? პასუხი ცალსახა იყო: უნდა აღემატებოდე მტერს ყველგან და ყველაფერში. უფრო კონკრეტულად კი აპაჩი მეომრის ფენომენი გულისხმობდა მტერზე ფიზიკურ, სულიერ და ინტელექტუალურ აღმატებულებას (Костян 2011). აპაჩების სამხედრო ხელოვნება მრავალი კუთხით შეიძლება იქნეს განხილული. ძალიან საინტერესო იყო მათ მიერ საბრძოლო იარაღების გამოყენების ტექნიკა, ტაქტიკა, ბრძოლისა თუ ომის წარმოების კონცეფცია, ტრადიციული რელიგიის გავლენა მეომრებზე. მეომრული ტრადიციები აპაჩი ინდიელების ცხოვრების ყველა სფეროზე აისახებოდა. ომი ტომის ცხოვრების განუყოფელი ნაწილი იყო. ნებისმიერი აპაჩი დაბადებიდანვე იმთავითვე მეომრად მოიაზრებოდა. აპაჩის გზა მეომრის სტატუსისკენ გრძელი და რთული იყო. მეომრის აღზრდის პროცესი რამდენიმე საფეხურისგან შედგებოდა.

საბრძოლო ხელოვნებას აპაჩები 5 წლის ასაკიდან ეუფლებოდნენ. 5-დან 10 წლამდე ბიჭებს აცნობდნენ ძირითად საბრძოლო იარაღებს. 10 წლის ასაკიდან კი მას ასწავლიდნენ ამა თუ იმ იარაღის გამოყენებას, მის დამოუკიდებლად დამზადებასა და შეკეთებას. სწავლების ეს საფეხური გულისხმობდა მომავალი მეომრისთვის ბრძოლაში საჭირო პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებას. მნიშვნელოვანი დრო ეთმობოდა ცხენთან ურთიერთობასა და ჯირითის შესწავლას. აპაჩები ბავშვებს საბრძოლო ხელოვნებასთან ერთად ინტეგრირებულად ასწავლიდნენ ნადირობასაც. ნებისმიერი აპაჩი მეომარი კარგი მონადირეც უნდა ყოფილიყო. სწავლების დასარულს ყველა აპაჩს გამოცდა ელოდა წინ. 10-12 წლის მომავალ მეომარს ბანაკისგან დაახლოებით 30-40 კმ-ის მოშორებით მართოს ტოვებდნენ. აპაჩ ბავშვს ველურ და უკაცრიელ ბუნებაში უნდა გაეკვლია გზა ბანაკისაკენ, მოეძია დასალევი წყალი, დამოუკიდებლად ენადირა. ეს გამოცდა გრძელდებოდა არაუმეტეს ერთი კვირა. სანატრელ მეომრის სტატუსს კი აპაჩი 15-16 წლის ასაკიდან ღებულობდა. ეს მისი ცხოვრების ყველაზე ღირსშესანიშნავ მოვლენად ითვლებოდა. პირველ საბრძოლო ნათლობაში წაყვანილი აპაჩი ძირითად შემთხვევებში ასაკითა და გამოცდილებით უფროს მეომრებს ემსახურებოდა. აპაჩებთან ომებში ნამყოფი ამერიკელი სამხედროები ყვებოდნენ, რომ მათთან შეტაკებისას განსაკუთრებული აგრესიულობით გამოირჩეოდნენ 16-20 წლის აპაჩები. ეს შესაძლოა ავხსნათ იმით, რომ ახალგაზრდა აპაჩებისთვის თითოეული ბრძოლა იყო შანსი გამოეკლინათ მეომრული ოსტატობა, სიმამაცე, რაც გაზრდიდა მათს სტატუსს გამოცდილ მებრძოლთა შორის და ზოგადად ტომში (Костян 2011). ბავშვობიდანვე აპაჩი სწავლობდა შუბის ტყორცნას, შურდულის, ტომაპუკის, დანის, ფარის გამოყენებას. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა მშვილდ-ისრის სწრაფად გამოყენების შესწავლას. აპაჩების ომის ამერიკელი ვეტერანები იხსენებდნენ, რომ აპაჩს 20 წამის განმავლობაში შეეძლო ახლო დისტანციაზე მაღალი სიზუსტით 15-20 ისრის გასროლა. გამოცდილი მეომარის მაჩვენებელი უფრო შთამბეჭდავიც კი იყო. აპაჩების მშვილდი ჰიკორის მსუბუქი ხისგან მზადდებოდა, მისი სიგრძე იყო 1, 04 მ, სიმის დაჭიმვის დიაპაზონი 56 მმ, გამჭოლი ძალა 12,7კგ, ისრის ფრენის სიშორე 110 მ. აპაჩების ისრებისა და

შუბების პირები ძვლისგან იყო დამზადებული. აშშ-ს არმიაში მხოლოდ ნახევრადავტომატური შაშხანის (ერთი დატენვით 15 გასროლის შესაძლებლობა) გამოჩენამ მოუტანა სამხედროებს უპირატესობა მშვილდოსან აპაჩებთან დაპირისპირებისას. რაც შეეხება ტომაჰაუკს, მისი გასროლა შუბზე უფრო შორ მანძილზე იყო შესაძლებელი. ბრძოლისას აპაჩ მეომარს ერთი ტომაჰაუკი და ერთი შუბი ჰქონდა. წერთის ან მეორის მტრისათვის ტყორცნის შემთხვევაში მათი უკან დაბრუნების ალბათობა ნაკლები იყო. ამიტომ აპაჩი მეომარი ყოველთვის ინახავდა შუბსაც და ტომაჰაუკსაც ხელჩართული ბრძოლისთვის. აპაჩებში ცეცხლსასროლი იარაღის გავრცელების შემდეგ მეომრები უკვე ბრძოლის დასაწყისშიც კი ისროდნენ ხოლმე შუბსაც და ტომაჰაუკს. ცეცხლსასროლი იარაღებიდან აპაჩებში გავრცელებული იყო "Springfield"-ის თოფები და ასევე Winchester-ები. ცეცხლსასროლი იარაღის მფლობელს ტომში განსაკუთრებული პატივისცემით ეპყრობოდნენ. აპაჩების საბრძოლო ხელოვნების ტაქნიკური თავისებურებებიც ძალიან საინტერესო საკითხია. ტომის დამრტყმელ ძალას წარმოადგენდნენ მშვილდოსანი მხედრები. გაშლილ ლანდშაფტებში მეომრები სწრაფ, გახსნილ შეტევაზე გადადიოდნენ და მშვილდ-ისრებისა თუ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით მასირებულ შეტევას ახორციელებდნენ. აპაჩები უკიდურესი აუცილებლობის გარეშე ერიდებოდნენ ხელჩართული ბრძოლის გამართვას და ძირითად აქცენტს სროლის ინტენსიურობასა და სიზუსტეზე აკეთებდნენ (Костян 2011).

ინდიელთა ომების ეპოქაში აპაჩებმა სახელი გაითქვეს პარტიზანული ბრძოლის მეთოდებით. აშშ-ს არმიელებთან დაპირისპირებისას ისინი პრაქტიკულად არ მიმართავდნენ ღია შეტევებს. მეომრები კანიონებში ან ტყიან ტერიტორიებზე შეიტყუებდნენ ხოლმე სამხედროებს. ხეებსა თუ კლდეებს ამოფარებულები პრაქტიკულად უჩინარი აპაჩები ისრებისა და ტყვიების წვიმას უშენდნენ ჯარისკაცებს.

პირველი ერთობლივი შეტევის შემდეგ ჩასაფრებული აპაჩები დისლოკაციის ადგილს ტოვებდნენ და იმავე ბუნებრივ საფარში ახლებურ პოზიციებს იკავებდნენ. ასე რომ ამერიკელებისთვის პრაქტიკულად შეუძლებელი იყო დაედგინათ, საიდან მოდიოდა საფრთხე. აპაჩი ნებისმიერი კანიონისა თუ ლოდის უკან შეიძლებოდა ყოფილიყო ჩასა-

ფრებული. ამასთან ყურადღებას იპყრობდა აპაჩი მეომრის ოსტატური ჯირითი. ცხენები სწრაფად რეაგირებდნენ მათი პატრონი ინდიელების სპეციალურ ხმოვან სიგნალებზე. ცხენები ისე იწვრთნებოდნენ, რომ მტრის ღვენიას აპაჩს არ უხდებოდა გაჭენებული ცხენის მართვა და იგი მთლიანად მშვილდ-ისრისა თუ თოფის დამიზნების სიზუსტეზე იყო გადართული (Костях 2011).

ცალკე აღნიშვნის ღირსია მეომრების საბრძოლო ილეთი ე.წ. "არწივის ფრენა". 6-8 მეტრის სიმაღლიდან აპაჩ მეომარს ვირტუოზული ნახტომით ცხენიდან უნდა გადმოეგლო მოწინააღმდეგე. ამ ილეთმა განსაკუთრებით სერიოზული პრობლემები შეუქმნა კანიონებისა და მთის კალთების ჩრდილქვეშ მყოფ აშშ-ს კავალერიისტებს მარშირებისა და პატრულირების დროს. დადგენილია, რომ მეომარს ექსტრემალურ პირობებში შეეძლო შესვენების გარეშე თითქმის 80 კმ-ის გარბენა (Melody 2006: 9; Костях 2011).

აპაჩების ბრძოლის კონცეფცია გულისხმობდა მტრისთვის მაქსიმალურად დიდი ზიანის მიყენებას საკუთარ მეომართა რაც შეიძლება ნაკლები დანაკარგებით. აღსანიშნავია, რომ აპაჩებისთვის უფრო მნიშვნელოვანი იყო მეომრის სიცოცხლის დაცვა ვიდრე მტრისთვის დიდი ზიანის მიყენება. სტრატეგიული უპირატესობის მოპოვებისთვის აპაჩები არასდროს არ წირავდნენ თავიანთ მეომრებს. ისიც საყურადღებოა, რომ თუკი არ არსებობდა მტერთან დაპირისპირების აუცილებლობა და იმავდროულად გამარჯვების შანსებიც მიზერული იყო, აპაჩები თავს არიდებდნენ ბრძოლის დაწყებას. აპაჩები არასდროს აწარმოებდნენ პოლიტიკურ ომებს სხვისი ტერიტორიების დასაპყრობად. მათთვის არც მტრის ბოლომდე განადგურება იყო დამახასიათებელი. უუკან დახეულ მტერს აპაჩები მხოლოდ 5-7კმ-ის მანძილზე მისდევდნენ და გზად კლავდნენ მხოლოდ ძირითადი რაზმისგან ჩამორჩენილ მეომრებს. ბრძოლებში აპაჩებისთვის სერიოზულ დანაკარგად ითვლებოდა 10 მეომრის დაღუპვა. განსხვავებით ინდიელებისგან ამერიკელი არმიელები სრულადაც არ ცდილობდნენ სიმამაცისა თუ მეომრული ოსტატობის გამოვლინებას, მათთვის მთავარი იყო შედეგი: რაც შეიძლება მეტი აპაჩი მეომრის მოკვლა. ბრძოლისადმი ასეთი მიდგომა უცხო იყო ინდიელთათვის.

როდესაც ინდიელებთან არა ერთ ბრძოლაში ნამყოფ გენერალ კრუკს ჰკითხეს, თუ რა განაპირობებდა აპაჩი მეომრის ესოდენ სიძლიერეს, მან უპასუხა: "ბრძოლის სურვილი". აპაჩები აშშ-ს ძველი დასავლეთის უკანასკნელი თვითმყოფადი და თავისუფალი ინდიელი მეომრები იყვნენ. ისინი გახდნენ წარმატალი ღროის ყველაზე დიდი მებრძოლები (Костян 2011).

დამოწმებანი:

Banner, Stuart. *How the Indians Lost Their Land, Law and the Power on the Frontier*. Cambridge: The Belknap Press of Harvard University Press, 2005.

Barnard, Edward S. (Ed.). *Story of The Great American West*. Pleasantville: The Reader's Association, Inc., 1977.

Faulk, Odiue B. *The Geronimo Campaign*. New York: Oxford University Press, 1969.

Hughes, Howard. *The American Indian wars*. Harpenden: Pocket Essentials, 2001.

Melody, Michael E. *The Apache*. Philadelphia: Chelsea House Publishers, 2006.

Michno, Gregory F. *Encyclopedia of Indian Wars, Western Battles and Skirmishes, 1850-1890* Missoula: Mountain Press Publishing Company, 2003.

Paxson, Frederic Logan. *The Last American Frontier*. New York: The Macmillan Company, 1910.

Rielly, Edward J. *Legends of American Indian Resistance*. Santa Barbara: Greenwood, 2011.

Костян, Игнат. *Боевое искусство апачи*.
http://www.plam.ru/relig/indeicy_severnoi_ameriki_byt_religija_kultura/p4.php, 2011.

MIKHEIL BARNOV

PhD Student, Ivane Javakhishvili Tbilisi
State University

ABSTRACT

MAIN FEATURES OF WARFARE TRADITIONS OF THE APACHE TRIBE

Dedicated to Geronimo and his warriors

Through the history of last American Frontier the Apache tribe gained a reputation for being among the most warlike of native American tribes. The Apache Indians, maybe more than other Indians of different tribes, were warriors. After 1840-50-ies, when Mexico ceded large territories to the United States, soon the American frontier line reached New-Mexico and Arizona territories. So, Apaches started defending their homeland and traditional lifeway against: American soldiers, gold prospectors, cattlemen, and settlers. Even seriously outnumbered the Apaches were continuing fight until the late XIXth century. Their legendary war leaders such are Mangas Coloradas, Cochise, Victorio and of course great Geronimo rank among the most renowned Indians in American Old West. Geronimo and his Chiricahua Apache warriors were the last Indians who laid down their arms against US army in American west.

So, stem from the huge importance of the Apache tribe in the history of Indian Wars in this article we try to analyze most important and interesting features of Apache's warfare traditions. In the first part of article we try to give general picture of Indian wars in American west after civil war. It's important to analyze the main features of frontier line that was pushing deeper in to the disappearing Old West. After this we paid attention to the administration of Ulysses S. Grant (1869-1877), because it was really very important period for American west. During Grant's administration the most important Indian wars were finished and the different influential tribes were relocated to reservations, such are for example: Sioux, Cheyenne, Comanche, Nez Perce, Modoc, Kiowa, Shoshone.

In the second and main part of this article we analyze some important features of warfare traditions of the Apache tribe, such are: how Apaches grow the warrior spirit in their children; how they train their children in order to prepare them to the way of warrior; which were the main weapons for Apaches and how they use them during battle; what was the Apache understanding of

military logistics and tactics; which were the most effective Apache tactics against the US troops.

From our point of view the Apaches are one of the most important tribe in the history of US, because they were last defenders of vanishing native American unique and wonderful traditional world. We think that the Apache War was the last Indian war in American history and the end of this war was pointing that the legendary epoch of old west and frontier passed to the history.

დარეჯან გულაძე

შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი

აბრაჰამ მასლოუს თეორიის მნიშვნელობა განათლებაში

*ადამიანი ვაღდებულება იყოს ის, რაც მას შეუძლია იყოს.
ადამიანი ერთდროულად წარმოადგენს იმას, რაც ის არის, და იმას,
რისკენაც ის მიისწრაფვის.
(აბრაჰამ მასლოუ)*

ჰუმანისტური პედაგოგიკა, როგორც დამოუკიდებელი მიმართულება, ჩამოყალიბდა აშშ-ში XX ს-ის 50-60-იან წლებში. მისი ძირითადი მიზანია სამყაროში საკუთარი ადგილისა და სამყაროსადმი საკუთარი დამოკიდებულების შეცნობით ბავშვის მიერ საკუთარი პიროვნების თვითაქტუალიზაცია. ეს განსაკუთრებით უნდა გავითვალისწინოთ დღეს, როდესაც საქართველოში სწორედ ჰუმანისტური პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის უახლეს თეორიებზე დაყრდნობით მიმდინარეობს განათლების რეფორმა და პარალელურად იქმნება საკლასო-საგაკვეთილო სისტემა.

ჰუმანისტური თეორია ყურადღებას ამახვილებს იმაზე, თუ როგორ იძენენ ადამიანები ემოციებს, შეხედულებებს, ღირებულებებსა და სოციალურ უნარ-ჩვევებს.

ამერიკელმა ფსიქოლოგმა აბრაჰამ მასლოუმ შექმნა მოთხოვნილებათა იერარქია, რომელსაც აქვს პირამიდის სახე და ისინი დალაგებულია მარტივიდან უმაღლესისკენ. მისი აზრით, ადამიანს უფრო მაღალი მოთხოვნილება მაშინ უჩნდება, როცა მასზე დაბალი საფეხურის მოთხოვნილება მეტ-ნაკლებად მაინცაა დაკმაყოფილებული. მასლოუს აზრით, იერარქიაში მოთხოვნილებათა თანმიმდევრობა შეუცვლელი არ არის, ანუ შეიძლება დაირღვეს. მაგალითად, ზოგი ადამიანი ყურადღებას არ აქცევს უსაფრთხოების მოთხოვნილებას მაშინ, როდესაც უფრო მაღალი დონის მოთხოვნილების დაკმაყოფილებით არის მოტივირებული (ბებრაშვილი და სხვ. 2002: 8).

ამერიკელი ჰუმანისტ-ფსიქოლოგის აბრაჰამ მასლოუს ადამიანის მოტივაციის თეორია და მის მიერ ჩამოყალიბებული მოთხოვნილებათა პირამიდა ყოველი ჩვენგანისათვის კარგად არის ცნობილი. თუ ვაღიარებთ, რომ ქცევის მრავალფეროვან მიზეზებს შორის უმთავრესი და წამყვანი ადამიანის მოთხოვნილებებია, მაშინ ადვილად ავხსნით მასლოუს პირამიდის არსს.

ჩვენ შეგვიძლია ვიყოთ თავისუფალი - წინასწარ განვსაზღვროთ საკუთარი ქმედების შედეგი და ისე მივიღოთ გადაწყვეტილება. რაც გაგვანსხვავებს ცხოველებისაგან, რომლებიც მხოლოდ ინსტინქტს ემორჩილებიან. ჩვენი ქცევა, ჭეშმარიტისა და მცდარის გარჩევა, ადამიანებთან ურთიერთობის ხასიათი ძალიან ხშირად იმ საზოგადოებრივი ჯგუფით განისაზღვრება, რომელსაც მივუკუთვნებით.

მოტივაცია ადამიანის მოქმედების/საქციელის გამოძწვევ მიზეზთა ნაკრებია. თუ ვაღიარებთ, რომ ქცევის მრავალფეროვან მიზეზებს შორის უმთავრესი და წამყვანი ადამიანის მოთხოვნილებებია, მაშინ ადვილად ავხსნით მასლოუს პირამიდის არსს. უშუალოდ უპირატესობას ანიჭებს პირამიდის ფუძესთან ახლომდებარე მოთხოვნილებების მეტ-ნაკლებად დაკმაყოფილებას, მაგრამ როგორც კი რომელიმე „სართული“ მეტ-ნაკლებად პასუხობს ადამიანის მოთხოვნებს, ეს უკანასკნელი უფრო მაღალი სართულის ათვისებისკენ ისწრაფვის.

ნებისმიერი ადამიანი სიცოცხლის მანძილზე უკავშირდება როგორც ხანგრძლივი, ისე მოკლე დროის განმავლობაში ჩამოყალიბებულ ადამიანთა ერთობებს - საზოგადოებებს. ამ ერთობებს მსგავსებისა თუ განსხვავების მრავალფეროვანი ნიშნები და ერთმანეთთან სხვადასხვაგვარი კავშირი აქვს. მაგალითად: ვაჟები ერთი ოჯახიდან და ერთმანეთის მეგობარი გოგონები ამ ვაჟების სამეზობლოში; ან თანაკლასელთა დედები და ამავე თანაკლასელის და-ძმები; ან ერთი სოფლის ყველა მკვიდრი და იქ სტუმრად ჩასული მოგზაური უცხოელი ახალგაზრდები. თუ გავითვალისწინებთ თანამედროვე სამყაროში ურთიერთობის მზარდ შესაძლებლობებს, ჩნდება ამ შესაძლებლობებისა და ხსენებული მოთხოვნილებების სწრაფად და ნაყოფიერად დაახლოების საკითხი. კერძოდ, როგორ უნდა მოხერხდეს ადრეული ასაკიდანვე ადამიანის იმგვარად განვითარება, რომ მას გაუადვილდეს საკუთარი მისწრაფებების განხორციელება მისთვის ძვირფას, თუ

საინტერესო საზოგადოებაში (ოჯახში, თანატოლებში, მეგობრებში, სკოლაში, მეზობლებში, დასახლებაში, სამსახურში, კოლეგებში და ა. შ)? ამ მომენტში სკოლა ადამიანის დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მიზანმიმართულად და ერთობლივი ძალისხმევით მომზადების ადგილი. მასწავლებელს, რომელსაც შეუძლია მოსწავლეებს თავი კარგად და თავისუფლად აგრძნობინოს, რომელიც მოსწავლეებისადმი კეთილგანწყობას და პატივისცემას იჩენს, ძალუძს, გაუღვიძოს მოსწავლეებს სწავლის სურვილი. მოსწავლეებმა რომ ისწავლონ სწავლის პროცესის დამოუკიდებლად წარმართვა, აუცილებელია სჯეროდეთ, რომ მასწავლებელი მათ სამართლიანად მოექცევა, არ დასცინებს და არ დასჯის უნებლიე შეცდომების დაშვებისათვის. ყველა პედაგოგმა უნდა გავითვალისწინოთ მასლოუს შემოთავაზებული რჩევები:

- ჩვენ უნდა ვასწავლოთ ბავშვებს, რომ იყვნენ მართალნი, გათვითცნობიერებულნი და ესმოდეთ თავისი მოვალეობა;
- ჩვენ უნდა დავეხმაროთ, იპოვონ თავისი მოწოდება და ადგილი ცხოვრებაში, რომელიც არსებითია, როდესაც ვლაპარაკობთ კარიერის და ცხოვრების თანამგზავრის სწორ შერჩევაზე;
- ჩვენ უნდა ვასწავლოთ, რომ ცხოვრება ძვირფასია, რომ ცხოვრებაში უნდა განიცადოთ სიხარული, რომ სიცოცხლე მშვენ-იერია;
- ჩვენ უნდა მივიღოთ პიროვნება ისეთი, როგორიც არის და დავეხმაროთ მას გახდეს უკეთესი, შეისწავლოს თავისი შინაგანი ბუნება. პიროვნების მიდრეკილებების და შეზღუდვების შესახებ უნდა გაგვაჩნდეს ცოდნა;
- ჩვენ უნდა დავარწმუნოთ, რომ პიროვნების მთავარი მოთხოვნები დაკმაყოფილებულია;
- ჩვენ უნდა გავუღვივოთ სინდისის გრძნობა, ვასწავლოთ, დააფასოს სილამაზე და სიკეთე;
- ჩვენ უნდა ვასწავლოთ, რომ კონტროლი კარგია და უწყურადღებობა ცუდია, ყველა სფეროში ცხოვრების გაუმჯობესებისათვის საჭიროა კონტროლი;
- ჩვენ უნდა ვასწავლოთ პატარა პრობლემების ხელვა და ცხოვრებაში სერიოზული პრობლემების გამკლავება, როგორცაა არასამართლიანობის, ტყვილის, ტანჯვის და სიკვდილის პრობლემები;

- ჩვენ უნდა ვასწავლოთ, იყვნენ გარჩევის უნარიანი, შეეძლოთ კარგი და ცუდი განასხვავონ ერთმანეთისგან.

დღეს საქართველოში ხშირად უპირისპირებენ ერთმანეთს ტრადიციულ და თანამედროვე პედაგოგიკას. ლაპარაკია სასწავლო პროცესის და მისი მონაწილეების ფუნქციათა განსხვავებაზე. მოსწავლეს მხოლოდ მასწავლებლის მორჩილება ევალებოდა. ამერიკელი ფსიქოლოგი აბრაჰამ მასლოუ თვლიდა, რომ ადამიანი მუდმივ განვითარებასა და პიროვნულ ზრდას განიცდის. მასლოუს აზრით, ადამიანი არის არსება, რომელიც იღვწის საკუთარი მოთხოვნილებების და სურვილების დასაკმაყოფილებლად, მაგრამ სრულ კმაყოფილებას ვერასოდეს აღწევს, რადგანაც ერთ მოთხოვნილებას მეორე მოსდევს, მეორეს - მესამე და ა. შ. ადამიანმა უმაღლესი მოთხოვნილების დაკმაყოფილება რომ შეძლოს, საჭიროა მისი ჯერ დაბალი მოთხოვნილებები ეტაპობრივად იქნას დაკმაყოფილებული. მასლოუ თვლიდა, რომ ადამიანის პიროვნება წარმოადგენს მისი თვითრეალიზაციისა და ზრდისადმი თანდაყოლილი მიდრეკილების გამოხატულებას. მასლოუს აზრით, თვითრეალიზაციისადმი ტენდენცია წარმოადგენს არამხოლოდ ადამიანურ უნარს, არამედ ადამიანურ მოთხოვნილებას. მასლოუმ თვითრეალიზაციის მოთხოვნილება მისი მოთხოვნილებების იერარქიის მწვერვალზე მოათავსა. იგი ვარაუდობდა, რომ ადამიანებს გააჩნიათ ხუთი ძირითადი სახის მოთხოვნილება:

1. ფიზიოლოგიური - კვება, წყურვილი, ძილი, გამრავლება და ა. შ;
2. უსაფრთხოება - სტაბილურობა, დაცვა, წესრიგი, უსაფრთხოება;
3. სიყვარული და მიკუთვნება - ოჯახი, ჯგუფი, ურთიერთობები, ზრუნვა, თანაგანცდა;
4. დაფასება - მიღწევა, სტატუსი, პასუხისმგებლობა, რეპუტაცია;
5. თვითრეალიზაცია - პიროვნების განვითარება და რეალიზაცია; ადამიანები ცდილობენ, დაიკმაყოფილონ თავიანთი ფიზიოლოგიური მოთხოვნილებები, შემდეგ კი სხვა დანარჩენი.

მასლოუ განასხვავებს დანაკლისის მოთხოვნილებებს და ზრდის მოთხოვნილებებს. პირველი ოთხი სახის მოთხოვნილება შეიძლება

ადამიანს აკლდეს და გარეშე ძალების (ანუ სხვა ადამიანების და მოვლენების დახმარებით) არის შესაძლებელი (მენაბლე, გორგოძე, ნაცვლიშვილი 2010: 108-111).

თვითრეალიზაციის მოთხოვნილება წარმოადგენს ზრდის მოთხოვნილებას და მოიცავს ცოდნის შეძენის, სამყაროს შეცნობის და გაგების, ზრდის და განვითარების სურვილს. დანაკლისის მოთხოვნილებებისაგან განსხვავებით, ზრდის მოთხოვნილებების ბოლომდე დაკმაყოფილება არასდროს არის შესაძლებელი. ადამიანები რაც უფრო მეტად იკმაყოფილებენ სამყაროს შეცნობის და გაგების მოთხოვნილებას, მით უფრო მეტი ცოდნის შეძენის სურვილი უჩნდებათ. ადამიანებს გარდა ამ მოთხოვნილებისა ახასიათებთ ძალაუფლების გამოვლინების, დომინანტობისა და აგრესიის გამოხატვის მოთხოვნილებები. ბოლო საფეხურზე ადამიანები იმყოფებიან გამოკვებილნი, საფრთხისაგან დაცულნი, ვისაც უყვართ და ვინც უყვართ, საკუთარ ძალებში დარწმუნებულნი, მოაზროვნენი და შემოქმედნი. ეს ადამიანები გასცდნენ ელემენტარული ადამიანური მოთხოვნილებების ფარგლებს საკუთარი პოტენციალის სრული რეალიზაციისაკენ სწრაფვიდან ანუ თვითაქტუალიზაციიდან გამომდინარე. ასეთ პიროვნებას კარგად ესმის საკუთარი თავის და ბოლომდე იცნობს თავის თავს და შესაძლებლობებს. ასეთი პიროვნება სოციალურად გულისხმიერია, შემოქმედებითია, თავისუფალია და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ღიაა სიახლეებისა და გამოწვევებისადმი.

ამგვარად, თვითრეალიზაციისაკენ სწრაფვა ადამიანისთვის დიდი მოტივაციის წყაროს წარმოადგენს: მოსწავლეები/სტუდენტები თვითრეალიზაციისაკენ იმიტომ ისწრაფიან, რომ ეს მათ სიამოვნებას ანიჭებს და მათი ცოდნის შეძენის და ზრდის მოთხოვნილებას აკმაყოფილებს. ადამიანები, რომლებმაც შეძლეს თვითრეალიზაციის მიღწევა, შემდეგი თვისებებით ხასიათდებიან: უფრო სპონტანურები, გულღია, გულგაშლილები და დამოუკიდებლები არიან; გამოირჩევიან შემოქმედებითი უნარით და იუმორის გრძნობით; მოსწონთ და უფრო კეთილად არიან განწყობილნი როგორც საკუთარი თავის, ასევე სხვა ადამიანების მიმართ. მათ შედარებით ძლიერი და დემოკრატიული ურთიერთობები ახასიათებთ. მათი აზრით, მნიშვნელოვანი მოთხოვნი-

ლებების მიღწევა მხოლოდ ყველა სხვა დანარჩენი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შემდეგ არის შესაძლებელი.

მასლოუს აზრით, თვითრეალიზაცია ძალიან რთული ამოცანაა. მისი ვარაუდით, მას ზრდასრული ადამიანების მხოლოდ ერთი პროცენტი აღწევს. მასლოუს იერარქიულ მოდელში გარეგანი სტიმულები (გარეგანი მოტივაცია) ქცევას აღძრავს პირველ ორ (ფიზიოლოგიურ და უსაფრთხოების) დონეზე, დანარჩენ სამ დონეზე (სიყვარული და მიკუთვნება, დაფასება, თვითრეალიზაცია) კი ადამიანის ქცევას შინაგანი სტიმულები (შინაგანი მოტივაცია) უდევს საფუძვლად.

თუ მოსწავლეებს ძირითადი მოთხოვნილებები დაკმაყოფილებული არ აქვთ, გააკეთილზე უინტერესოდ სხედან. ეს მოთხოვნილებებია ნორმალური კვება, უსაფრთხო საკლასო გარემო და მასწავლებლის, თანაკლასელების კეთილგანწყობილი დამოკიდებულება. ნათელია, რომ მოსწავლეებს, რომლებსაც ძალიან შიათ ან ფიზიკური საფრთხის წინაშე ღვანან, არასაკმარისი ფსიქოლოგიური ენერჯია ექნებათ სწავლისათვის. მოსწავლეებისთვის მნიშვნელოვანია სიყვარულისა და დაფასების მოთხოვნილება. მოსწავლეებს, რომლებიც არ გრძნობენ გარშემო ადამიანების სიყვარულს და პატივისცემას და რომლებსაც არ სჯერათ, რომ ისინი ნიჭითა და უნარით დაჯილდოებული პიროვნებები არიან, არ ექნებათ თვითრეალიზაციისაკენ სწრაფვა; მათ არ ექნებათ მოტივაცია, შეიძინონ ცოდნა, შეიძინონ სამყარო, იყვნენ შემოქმედებითები და ახალი იდეების მიმართ გასხნილნი.

მოსწავლეები, რომლებსაც არ სჯერათ, რომ ისინი სიყვარულის ღირსნი არიან, ისეთ გადაწყვეტილებებს იღებენ, რომლებიც ნაკლებ რისკთან არის დაკავშირებული: ისე მოქმედებენ, როგორც მათ გარშემო ადამიანთა უმრავლესობა; გამოცდების მომზადების დროს არ არიან დაინტერესებულნი ახალი ცნებების და იდეების შესწავლით, ისეთ თემებს წერენ, რომლებიც არ გამოირჩევა ორიგინალურობით და ა. შ. (მენაბდე, გორგოძე, ნაცვლიშვილი 2010: 103-105).

აქედან გამომდინარე მასლოუს იერარქია ძალზედ ჰუმანურია, რადგან ადამიანებს გარდა ამ მოთხოვნილებებისა ახასიათებთ ძალაუფლების გამოვლინების, დომინანტობისა და აგრესიის გამოხატვის მოთხოვნილებები.

იერარქიის მწვერვალზე იმყოფებიან ადამიანები – გამოკვებილნი,

საფრთხისაგან დაცულნი, ვისაც უყვართ და ვინც უყვართ, საკუთარ ძალებში დარწმუნებულები, მოაზროვნენი და შემოქმედნი. ასეთ პიროვნებას კარგად ესმის საკუთარი თავის, ბოლომდე იცნობს თავის თავსა და შესაძლებლობებს. სოციალურად გულისხმიერია, შემოქმედებითია, თავისუფალია და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია:

1. მასწავლებელი უნდა იყოს სწავლის ფასილიტატორი;
2. გულწრფელობა და რეალურობა ხელს უწყობს სწავლას;
3. დაფასება, კეთილგანწყობილი დამოკიდებულება, პატივისცემა და ნდობა ასევე უწყობს ხელს სწავლის პროცესს;
4. მასწავლებელმა უნდა მოუსმინოს მოსწავლეს, პასუხი გასცეს და რეაგირება მოახდინოს მის ნათქვამზე;
5. ემპათია ხელს უწყობს სწავლას;
6. ჩამოთვლილი ხელშემწყობი ფაქტორები მოსწავლეებს უღვივებს თვითრეალიზაციისკენ სწრაფვას, უმაღლებს მოტივაციას;
7. სწავლის სურვილის გაღვივების შემთხვევაში მოსწავლე თავად წარმართავს სწავლის პროცესს;
8. მოსწავლეს უნდა სჯეროდეს, რომ მასწავლებელი სამართლიანია და რომ შეცდომის დაშვების შემთხვევაში მას არ დასცინებენ (ლაცაბიძე 2008: 34).

განგვიხილოთ ნიკოლოზ ბარათაშვილის მოთხოვნილებები ა. მასლოუს მოთხოვნილებათა იერარქიის მიხედვით. ჩვენ არ შეგვხეთ პოეტის ბიოლოგიურ მოთხოვნილებებს, რომლებიც იერარქიის საფუძველში მდებარეობს, რადგანაც ასეთი მოთხოვნილებები ასე თუ ისე, მეტ-ნაკლებად, ყველას მიერაა გადალახული.

იერარქიაში ამის შემდეგ ადამიანის მოტივაციას ქმნის უსაფრთხოების მოთხოვნილება, რომელიც ითვალისწინებს უშფოთველ, კომფორტულ ცხოვრებას. ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპისტოლურ მემკვიდრეობაში დასტურდება ამ მოთხოვნილების გამომხატველი წერილები.

აბრაჰამ მასლოუს თეორიაში იერარქიულად მომდევნოა მიჯაჭვულობის ანუ თანაზიარობისა და სიყვარულის მოთხოვნილება. პოეტის პირად ბარათებში ნათლად ჩანს სიყვარულისა და თანაზიარობის სურვილების გამომხატველი ნიმუშები.

პოეტს სჭირდებოდა ადამიანი, რომელსაც თავის სულიერ განცდებს

გაუზიარებდა. სწორედ ასეთი გულითადი მეგობარი და მესაიდუმლე იყო მისთვის მაიკო ორბელიანი. იგი ნიკოლოზ ბარათაშვილის ინტელექტუალურ-სულიერი მეგობარი იყო, რომელსაც პოეტი ყველაზე მეტად უხსნიდა გულს, მაგრამ უჩივის კიდევ მისგან მივიწყებას. ნიკოლოზ ბარათაშვილმა ბუნება აირჩია თავისი ადამიანური ვნებებისა და განწყობილების გამზიარებლად. იგი თავის გრძნობებსა და ბუნების სურათებს შორის მსგავსებას ხედავდა. მაგრამ იგი მოაზროვნე პიროვნებაა. მან იცის, რომ ადამიანი თვითონ ანიჭებს ბუნებას ადამიანურ გრძნობებს, რაც მხოლოდ მხატვრულ სიტყვასა და ხელოვნებაში გვხვდება. პოეტი, როგორც ცნობიერი არსება, ბუნებისაგან ვერ იღებს გონებრივ საზრდოს. ამიტომაც, რომ იგი მას უწინდელივით ვეღარ აკმაყოფილებს.

იერარქიაში შემდეგი ღონეა პატივისცემის მოთხოვნილება – მოთხოვნილება საკუთარ თავში ისეთი ადამიანის დანახვისა, რომელიც სხვათა მხრიდან იმსახურებს პატივისცემას. პოეტის ეპისტოლოლურ მემკვიდრეობაში ვხვდებით ამ მოთხოვნილების გამომხატველ ნიმუშებს: იგი ხაზს უსვამს თავის ბეჯით ბუნებას, თავის უპირატესობას.

მასლოუს თეორიის შემდეგ საფეხურზეა მოთავსებული შემეცნებითი – ცოდნის - მოთხოვნილება. პოეტის ინტელექტუალური მოთხოვნილების შესანიშნავი ნიმუშია მის მიერ გრიგოლ ორბელიანისადმი გაგზავნილი ბარათები.

შემდეგ ღონეზე თავსდება ესთეტიკური მოთხოვნილება. ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპისტოლოლურ მემკვიდრეობაში ნათლად ჩანს პოეტის ესთეტიკური სამყარო. მისთვის მომხიბვლელია „კოჯრის ნიავის ქროლა“, „მშენიერი მთვარიანი ღამეები“. მგონისთვის ესთეტიკური ალტაცების გამომწვევია ქალის "შვენება", რომელიც "განატკბობს სახედველს" და "ლექს ამშვენებს". ნიკოლოზ ბარათაშვილისთვის მშვენიერება გამოხატავს სულის მომხიბვლელობას და ნამდვილ ბედნიერებას.

ზემოდასახელებულ ელემენტარულ ადამიანურ მოთხოვნილებებს მოჰყვება საკუთარი პოტენციალის სრული განვითარებისა და გამოყენების სწრაფვის, ანუ თვითაქტუალიზაციის მოთხოვნილება. ნიკოლოზ ბარათაშვილის სრული შესაძლებლობისა და უნარის გამოვლენის მოთხოვნილების ნიმუშია მისი პირადი ბარათები. პოეტი

სწერს გრიგოლ ორბელიანს: „მე შინაგანი ხმა მიწევს საუკეთესოს ზვედრისაკენ, გული მეუბნება, რომ შენ არა ხარ ახლანდელის მდგომარეობისათვის დაბადებული!“

აბრაჰამ მასლოუს სქემაში იერარქიის მწვერვალზე იმყოფება ტრანსცენდენტური მოთხოვნილება, რომელმაც ადამიანი შეიძლება ცნობიერების უმაღლეს მდგომარეობამდე და სამყაროში საკუთარი ღანიშნულების კოსმიურ ხედვამდე მიიყვანოს.

საზოგადოებისა და ქვეყნისთვის მოღვაწეობის სურვილს გამოხატავს ნიკოლოზ ბარათაშვილი თავის ეპისტოლურ მემკვიდრეობაში. პოეტისთვის სანატრელი იყო ასევე ადამიანებზე მზრუნველობა, რაც გამოხატა პირად ბარათებში.

ჩვენ განვიხილეთ ნიკოლოზ ბარათაშვილის მოთხოვნილებები აბრაჰამ მასლოუს იერარქიის მიხედვით. აუსრულდა თუ არა პოეტს თითოეული მათგანი? ვფიქრობთ, რომ არა! პოეტმა ვერ გადალახა იერარქიის ვერც ერთი დონე, ელემენტარულიც კი, რამაც გამოიწვია მგოსნის სულიერი დისკომფორტი.

მასლოუს მოტივაციის იერარქიული თეორიის ცოდნა საშუალებას აძლევს მასწავლებელს, დაადგინოს, იერარქიის რომელ საფეხურზეა მოსწავლე; განსაზღვროს, რა მოტივები უდევს საფუძვლად სწავლას, რის შედეგადაც შესაძლებელია სწავლის ადეკვატური სტრატეგიების შემუშავება და მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩართულობის უზრუნველყოფა.

სწავლა მნიშვნელოვანი ხდება მოსწავლისათვის, თუ ის მის პიროვნულ ინტერესებს შეესატყვისება; სწავლის პროცესი მიუღებელი და სამიშია მოსწავლისთვის, როდესაც მე-ს საფართზე ექმნება (რთული მასალა, ახალი ტიპის დავალებები, ახალი მოთხოვნები). ამ შემთხვევაში აუცილებელია მოსწავლის შიშისა და შფოთვის მინიმუმამდე დაყვანა.

სწავლაში მოსწავლის მხრიდან გამოვლენილ ინიციატივას ხანგრძლივი და მყარი ეფექტი აქვს; მასწავლებელი უნდა იყოს მოქნილი თავის შეხედულებებსა და დამოკიდებულებაში; საგნის სწავლებასთან ერთად მივაქციოთ ყურადღება მოსწავლეთა შორის დამოკიდებულებას, მოსწავლე-მასწავლებლების ურთიერთობას; ვიყოთ ღია როგორც დადებითი, ისე უარყოფითი უკუკავშირის მისაღებად, საკუთარი თავისა და ქცევის გასაანალიზებლად.

დამოწმებანი:

ბებერაშვილი, ზ., ბესელია, ნ., მახარაშვილი, ნ., მეიფარიანი, თ., მიქიაშვილი, ლ., ნორაკიძე, თ., ჯალალანია, ი. გზა უფლებები-საკენ. თბილისი, 2002.

ლაცაბიძე, გ. განვითარების თეორიები მასწავლებლებისათვის. თბილისი, 2008.

მენაბდე, მ., გორგოძე, ს., ნაცვლიშვილი, ნ. სტატიები განათლების საკითხებზე. თბილისი, 2010.

ჯანაშია, ნ., იმედაძე, ნ., გორგოძე, ს. განვითარებისა და სწავლის თეორიები. თბილისი, 2008.

DAREJAN GELADZE

Assistant Professor, Shota Rustaveli State University

ABSTRACT

THE IMPORTANCE OF THE THEORY OF ABRAHAM MASLOW IN EDUCATION

The reforms of education in Georgia are based on modern theories of human pedagogy and psychology. In parallel the classroom-lesson system is being created.

Human pedagogy, as an independent movement was formed in USA in 50-60 years of XX Century, The main aim of which is to help the children to realize his or her full potential, to reach a level of self-actualization by finding his/her place on earth and by realizing his attitude toward the life. Best known in human theories is Maslow's hierarchy of needs, according of which basic motives create the hierarchy of needs where the needs are arranged from the simplest to the highest.

The knowledge of the theory of Maslow's hierarchy of needs helps teachers to establish the stage of pupil; to determine what are the basis of learning

motives, how to work out the adequate learning strategies and how to make pupils attend the lessons. The learning process is unacceptable and perilous for students when self confidence is in danger (difficult material, new types of exercises, new demands). In this case it is inevitable to decrease pupil's fear and agitation to minimum. Needs like normal feeding, safe school circumstance and good attitude from teachers and classmates. It is obvious that pupils who are hungry and under the fear would not have enough energy to study.

The need of to be loved and appraised is important for students. We should pay attention to student's relationships with each other not only to the teaching the subject. We should be open to get not only the positive feedback but negative as well. We should analyze our act and behavior.

So, Maslow's hierarchy of needs very human because aside these five needs human suffer from expressing the need of authority, power, domination and aggression.

თავარ გოგოლაძე

გორის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი

ი. გოგებაშვილის პირველი პუბლიცისტური წერილი ამერიკის შესახებ

1863 წელს დაიხურა ახალი თაობის ორგანო „საქართველოს მოამბე“. ამას ერთგვარი მდუმარებაც მოჰყვა ქართული საზოგადოებრივი აზრისა, მაგრამ ილია ჭავჭავაძის ჩანაფიქრი, პირველი რივის ამოცანა - ახალი გაზეთის გამოცემა - გიორგი წერეთელმა განხორციელა და 1866 წელს გამოვიდა გაზეთი „დროება“. „დროებამ“ განაგრძო „საქართველოს მოამბის“ აღებული კურსი. იგი თერგდალეულთა იდეური მრწამსის პროპაგანდისტად გახდა და, რამდენადაც მკაცრი ცენზურა ამის შესაძლებლობას იძლეოდა, „ერის განათლება-გათვითცნობიერების, მისი კონსოლიდაციის კეთილშობილურ საქმეს მოჰკიდა ხელი“ (სურგულაძე 1973: 235).

სწორედ „დროების“ ფურცლებზე 1866 წლის 29 აპრილს ქვეყნდება ქართველი პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის იაკობ გოგებაშვილის (1840-1912) პირველი პუბლიცისტური წერილი „ამერიკა“ („პოლიტიკური მიმოხილვა“). ეს ხელმოუწერელი წერილი, შემდგომად შეცვლილი სათაურით „ბრძოლა ამერიკის შეერთებულ შტატებში პრეზიდენტის ლინკოლნის მოკვლის შემდეგ კონგრესსა და ახალ პრეზიდენტს შორის“ („პოლიტიკური მიმოხილვა“) და ვრცელი განმარტებით თავად ი. გოგებაშვილმა შეიტანა „რჩეული პედაგოგიური და პუბლიცისტური ნაწერების“ პირველ ტომში 1910 წელს. ჩვენთვის უცნობია, რა ინფორმაციას ეყრდნობოდა ი. გოგებაშვილი ამ წერილზე მუშაობისას (სავარაუდოდ, წერილში გაკვრით მინიშნებული ვაშინგტონელი კორესპონდენტის წერილს ფრანგულ გაზეთში), მაგრამ აშკარაა, იგი კარგად იცნობდა შესასწავლ თემას. ავტორის შენიშვნებიც ჭეშმარიტი დემოკრატიის თვალსაზრისის მატარებელია და ნათლად გამოხატავს ამერიკის შეერთებული შტატებიდან ასე შორს მდებარე, რუსეთის იმპერიის ფარგლებში მოქცეული მცირე

ქვეყნის - საქართველოს - შვილის მოწინავე თვალთახედვას.

ი. გოგებაშვილის ძირითადი მიზანიც თავისუფლებისმოყვარე ჰუმანისტის მსოფლმხედველობიდან გამომდინარეობს: „მსოფლიო ისტორია წარმოადგენს მსვლელობას მარტივიდან რთულისაკენ, მონობიდან თავის უფლებისა და თანასწორობისაკენ, ბიწიერებიდან სათნოებისაკენ, უმეცრებიდან სიბრძნისაკენ, მხეცობიდან ადამიანობისაკენ, ტანჯვიდან ღზენისაკენ, ჯოჯოხეთიდან სამოთხისაკენ. ეს მსვლელობა უსრულიდან სრულისაკენ არის ფრიად ნელი, ხშირად ტორტმანებს, შეფერხდება ხოლმე, ხანაც კვალსაც აუქცევს; მაგრამ ამასთან იგი არის შეუპოვარი, და მიმართულების გზას ჯერ დააკარგვინებს. სისრულე ადამიანისა, საზოგადოებისა და მთელის კაცობრიობისა და საყოველთაო ბედნიერება უთუოდ დამკვიდრდება ბოლოს და ბოლოს დედამიწაზედ, თუ რაიმე კოსმიურმა მსოფლიო მიზეზმა კაცობრიობას ბოლო არ მოუღო“ (იაკობის სამრეკლო 1990: 486). სწორედ მონობის ერთი პირველი გამოხატულება ბატონყმობა იყო და მისი გაუქმებიდან რამდენიმე წლის შემდეგაც ყოველგვარ მონობას უცხადებს პროტესტს ი. გოგებაშვილი.

ამისი მაგალითი ისევ და ისევ ამერიკაა, სადაც წინააღმდეგობაში მონობასა და თავისუფლებას შორის საღმა აზრმა გაიმარჯვა. ამიტომ იზიდავს ი. გოგებაშვილს სულ ერთი წლის წინ მომხდარი ფაქტი: ბრძოლა ამერიკის პრეზიდენტ ენდრიუ ჯონსონსა და კონგრესს შორის.

1910 წლისათვის 1866 წელს დაწერილი პუბლიცისტური წერილი თითქოს უკვე თავის მწვავე, მამხილებელ მნიშვნელობას უნდა კარგავდეს, მაგრამ 50 წლის წინანდელი ამბავი გოგებაშვილს საჭიროდ მიაჩნია გააცნოს ქართველ მკითხველს, რათა დაარწმუნოს კიდევ ერთხელ საღი აზრის გამარჯვების აუცილებლობაში. ამიტომ უცვლის სახელს იგი წერილს და უკეთებს ვრცელ კომენტარს, რომელშიც მიმოხილულია შინაური ბრძოლის მიზეზები ამერიკის შეერთებულ შტატებში. ავტორი აქ ერთგვარ ექსპოზიციას ქმნის, რომელშიც ხაზგასმულია, რამ გამოიწვია დაპირსპირება კონგრესსა და პრეზიდენტს შორის, რამდენად მნიშვნელოვანი იყო აქ კონგრესის გამარჯვება და მხოლოდ ამის შემდეგ „აცოცხლებს“ იგი იმ დებატებს, რომლებიც კონგრესში გაიმართა 1865 წელს.

წერილში ი. გოგებაშვილი არ იშურებს მკვეთრ საღებავებს მონობის უარყოფისათვის და მას უწოდებს „სენს შეერთებული შტატებისა“. სწორედ ამერიკის შეერთებულ შტატებს მიიჩნევს ნიშნად „თავისი პოლიტიკური ჭკუისა“. და, თუმცა ბრძოლის მონობის გაუქმებისათვის ბევრი წინააღმდეგობა მოჰყვა, „ამ ბრძოლიდან ამერიკის შეერთებული შტატები გამოვიდნენ ძალზე შერყეულნი, მაგრამ მით უფრო სამომდგრებო არის მათი გასაოცარი მეცადინეობა და შეუპოვარი წადილი, რათა ყველა თავისი საზოგადოებრივი წყლები განეკურნათ“ (გოგებაშვილი 1989: 62).

რესპუბლიკური პარტიის ინტერესებს პუბლიცისტი მკვეთრად უპირისპირებს, ლინკოლნის მოკვლის შემდეგ, ერთ-ერთი მშფოთვარე შტატის ყოფილ სენატორს, პრეზიდენტს ენდრიუ ჯონსონს, რომელიც ცდილობდა, რომ აღედგინა ბრძოლის დაწყებამდე არსებული მდგომარეობა: „...პრეზიდენტს მოუთმენლად უნდა, რომ, როგორც იყოს, ჩქარა აღადგინოს კავშირი (ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის - თ. გ.) უწინდელსავე ფორმაზედ შეუცვლელად, ესე იგი, სამხრეთს დაუბრუნოს სრული პოლიტიკური უფლება, გაათანასწოროს ჩრდილოეთთან, იმისი წარმომადგენლები კონგრესში შეუშვას და ამ სახით ზანგების საქმე ისევ პლანტატორებს ჩაუგდოს ხელში. ვინც კი ამ პოლიტიკას ეწინააღმდეგება, პრეზიდენტს ჯონსონს თავის და მამულის მტრად მიაჩნია“ (გოგებაშვილი 1989: 63).

აქვე ი. გოგებაშვილი გამოხატავს რესპუბლიკური პარტიის პოზიციასაც კონგრესში: „ამას განზრახვა აქვს, ისეთ მდგომარეობაში ჩააყენოს თავისი სამხრეთის მოწინააღმდეგენი, რომ იმათ ვეღარ შეიძლონ წარსულის შფოთსა და ბრძოლის განახლება“ (გოგებაშვილი 1989: 63). ეს კი იწვევს პრეზიდენტის განრისხებას რესპუბლიკურ პარტიაზე და მათ მამულისა და კავშირის აღდგენის მტრად მიიჩნევს. დასაბუთებისა და აზრის ნათელსაყოფად ი. გოგებაშვილი მკითხველს სთავაზობს ამონარიდებს ე. ჯონსონის გამოსვლებიდან ვაშინგტონის დღეობაზე, 22 თებერვალს, და დეპუტატთა პალატის წინაშე კონგრესის წევრის თ. სტივენსის მოხსენებიდან.

პუბლიცისტი ცდილობს საზოგადოების მხრიდან განწყობილების გამომხატველი რემარკებიც არ გამოტოვოს ორივეს გამოსვლებიდან, რათა აშკარა გახადოს, ვის მხარეზეა, რა პოზიციას იზიარებს ხალხი.

აქ მოჩანს პუბლიცისტის ღრმა დემოკრატიზმი და საკითხის სრულად გაშუქების მცდელობა.

ამონარიდები ჯონსონის გამოსვლიდან ცხადყოფს იმ ბრალდებას, რასაც იგი უყენებს რესპუბლიკურ პოზიციას. ამ შემთხვევაში პრეზიდენტის განცხადება სამხრეთელების დაფარული მიზანწრაფვის შენიღბვაა ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის ვითომდა მშვიდობის დამყარების და კონსტიტუციის დაცვის საბაბით. ამიტომ ჯონსონი პირველ ამოცანად აყენებს კავშირის აღდგენას, მეორედ მონობის გაუქმებას. ხალხის დამოკიდებულება პრეზიდენტის გამოსვლისადმი (უწონებს ხალხი, ხალხი მხარს მოგვცემს და სხვ.) თითქოს გამოხატავს უმრავლესობის (ან იქნებ მხოლოდ სამხრეთელების) დადებით განწყობას ჯონსონის გამოსვლისადმი, მაგრამ მიუხედავად ჯონსონის ერთგვარი მზადყოფნისა, საზოგადოების ინტერესებისათვის მსხვერპლად შესაწირად, თ. სტიფენსის გამოსვლა, რომელიც აბათილებს რა ჯონსონის ბრალდებებს, თავად სპილენძის გოგრიანების (სამხრეთელების) მხრიდან მის შეურაცხყოფაზეც ამახვილებს ყურადღებას. ამით ერთგვარად ცდილობს ჯონსონი განაწყოს უარყოფითად მათ მიმართ. მეორეს მხრივ, ასაბუთებს ჯონსონის შეხედულებათა არასწორ გეზს და უარყოფს მის მიერ „ვეტოს“ უფლებით სარგებლობას. აქ საზოგადოების მხრიდან შენიშვნებიც გამოკვეთილია (მოძრაობა და სიცილი, ხარხარი).

პუბლიცისტი, ცდილობს რა გააანალიზოს შექმნილი სიტუაცია, კონგრესის მხარეზეა თავისი თვალსაზიარით და ამას ასაბუთებს P.S.-ით, რომ კონგრესმა სძლია ჯონსონს, დაატოვებინა პოსტი და პრეზიდენტად აირჩია სამხრეთელებთან ბრძოლაში გამოჩენილი გენერალი გრანტი, ლინკოლნის პოლიტიკის მიმდევარი. „ზანგები განთავისუფლებული იქმნენ მონობისაგან და ყოველგვარი უფლებით გათანასწორებული თეთრებთანა. მაშინ კონგრესმა მიიღო ფიცი კავშირის ერთობაზე სამხრეთელ შტატებსა და მათ ამორჩეულმა დეპუტატებმა წინანდელი ადგილი დაიჭირეს კონგრესში“ (გოგებაშვილი 1989: 70).

აღნიშნული საკითხები უკვე შედეგების სახით მოგვცა ი. გოგებაშვილმა 1868 წელს შედგენილ „ბუნების კარში“ მსოფლიოს სახელმწიფოთა, მათ შორის, ამერიკის განხილვისას. აქ იგი აცნობს

ახალგაზრდებს ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობას, კონგრესის, პრეზიდენტის უფლებების ჩათვლით და საზგასმით აღნიშნავს: „საზოგადოდ ამერიკაში სრული თანასწორობა არსებობს. წოდებათა სახსენებლიც კი აღარ არის დიდი ხანია“ (გოგებაშვილი 1912: 40).

ი. გოგებაშვილის პირველი პუბლიცისტური წერილი კი სწორედ ჩავკრის მოსპობის აუცილებლობისაკენ მიანიშნებს მის თანამედროვეთ. ი. გოგებაშვილი ამ სტატიით გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე, ამ სტატიით გახსნა თავისი თხზულებების პირველი ტომი და ამითვე იწყება მისი თხზულებების ყველა შემდგომი გამოცემაც.

დამოწმებანი:

გოგებაშვილი, ი. *ბუნების კარი*. თბილისი, 1912.

გოგებაშვილი, ი. *რჩეული თხზულებანი*. ტ. I. თბილისი: განათლება, 1989.

იაკობის სამრეკლო. თბილისი: განათლება, 1990.

სურგულაძე, ა. *ქართული საზოგადოებრივი აზრი XIX საუკუნის მეორე ნახევარში*. თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1973.

TAMAR GOGOLADZE

Professor, Gori State Teaching University

ABSTRACT

THE FIRST PUBLICIST LETTER BY IAKOB GOGEBASHVILI ABOUT AMERICA

In the issue of April 29, 1866 of a newly founded Georgian newspaper “Droeba” the first publicist letter “America (Political Review)” by Iakob Gogebashvili (1840-1912), a great teacher and public man, was published. At first this letter was published unsigned and I. Gogebashvili, himself edited it in

the first volume of “Selected Pedagogical and Publicist works” in 1910 and so his being the author of the letter is undeniable. In the presented work the main idea and importance of the letter is discussed.

In the publicist letter, young Iakob Gogebashvili on the basis of the materials of the press tries to express his attitude to the war between the South and the North of America, to the disagreement between the President and the Parliament and sympathizes with President Lincoln and his followers who were for making the Negroes free from slavery. Iakob Gogebashvili considers abolishing human rights, their humiliation according to any sign as cruelty and unbearable injustice which must be opposed by the progressive powers of the world.

From this point I. Gogebashvili is characterized as a progressive thinker who showed the features of a defender of human rights at the beginning of his activities.

რუსიდან დაუბრუნდი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი

თაიგურაზ ბაგრატიონ-მუხრანელი – ბოლსტოის ფონდის ხელმძღვანელი ამერიკაში

1910 წელს პავლოვსკში იმპერატორ ნიკოლოზ I შვილთაშვილმა, დიდი მთავრის კონსტანტინე კონსტანტინეს ძის 19 წლის ქალიშვილმა ტატიანა რომანოვამ გაიცნო კავალერგარდის პოლკის კორნეტი 21 წლის თავადი კონსტანტინე ბაგრატიონ-მუხრანელი (1889-1915), სახელმწიფო მრჩევლის, კამერჰერისა და კავკასიის მეფისნაცვლის განსაკუთრებულ საქმეთა მოხელის ალექსანდრე მიხეილის ძე ბაგრატიონ-მუხრანელის უმცროსი ვაჟი. კონსტანტინეს უფროსი ძმა გიორგი სათათბიროს ბოქაულის თანაშემწე, შემდეგ – პეტერბურგის გენერალ-გუბერნატორის განსაკუთრებულ საქმეთა მოხელე იყო, დაიღუპა 1922 წელს სამოქალაქო ომში მიღებული ჭრილობების შედეგად. 1901 წელს 11 წლის კონსტანტინემ ექსტერნად ჩააბარა პაჟთა კორპუსში. სამხედრო სასწავლებლის დირექტორმა მისი ჩაირიცხვა დედამის ნინოს შეატყობინა (*პირადი ფონდის აღწერა*). ძმამ პეტერბურგში ჩაიყვანა და სასწავლებელში მიაბარა. 1907 წელს კონსტანტინემ სასწავლებელი დაამთავრა და უფროს ოფიცრად – კორნეტად ჩაირიცხა იმპერატორის დაცვისათვის შექმნილ ცხენოსანთა პოლკში კავალერგარდში.

მომხიბლავი კორნეტისადმი ტატიანა სიყვარულს უთანაგრძნობდა მისი უმცროსი ძმა ოლეგი, რომელიც სასიყვარულო ბარათებს უზიდავდა შეყვარებულებს. ახალგაზრდებმა დაქორწინება გადაწყვიტეს, მაგრამ რომანოვები წინ აღუდგნენ ამ ქორწინებას. საქართველოს ანექსიის შემდეგ ბაგრატიონთა ყველა შტო რუსეთის იმპერიის თავდაზნაურებს გაუთანაბრდა. ისინი აღარ ითვლებოდნენ მმართველ დინასტიად. ამდენად, კონსტანტინეს წარმოშობით ტატიანას თანასწორად არ თვლიდნენ და პეტერბურგის დატოვება უბრძანეს. ციგაობის დროს დაშავებული ტატიანა ისედაც ვერ დადიოდა, კონსტან-

ტინეს თბილისში გაგზავნით გულომოკლული კი სულაც ლოგინად ჩავარდა. შვილის დასამშვიდებლად მამამ მსახურს საქართველოზე რამე წიგნის ყიდვა დაავალა. მალაზიაში მხოლოდ ერთი ბროშურა აღმოჩნდა – ნიკო მარის „თამარ მეფე – საქართველოს ოქროს ხანა“. ამ პატარა წიგნმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა გოგონაზე, მას ყველაფერი ეძვირფასებოდა, რაც ბაგრატიონებს შეეხებოდა და გულით შეიყვარა მეფე ქალი. წიგნმა საქართველოზე ქართველი ვაჟკაცისადმი სიყვარული და მასთან განშორებით გამოწვეული სასოწარკვეთა კიდევ უფრო გაუცხოველა. ავადმყოფი სულ უფრო და უფრო სუსტდებოდა. შემოფთებულმა რომანოვებმა „ოჯახური თათბირი“ მოიწვიეს იმსჯელებს და გადაწყვეტილება მიიღეს: 1911 წელს გამოქვეყნდა იმპერატორის ბრძანება, რომლის მიხედვითაც საიმპერატორო სისხლის პირებს არადინასტიური ქორწინების უფლება ეძლეოდათ, თუმცა კი ამ ქორწინებათა შედეგად დაბადებულ ბავშვებს ტახტის მემკვიდრეობის უფლება ერთმოდათ. ტატიანამ წერილობით თქვა უარი თავის და თავისი მომავალი შვილების სახელით ტახტის მემკვიდრეობზე და ასე გადაწყდა მისი ქორწინების საკითხი. მალე ახალგაზრდებს ნება დართეს ერთმანეთს შეხვედროდნენ ყირიმში, სადაც 1911 წლის 1 მაისს მათი ნიშნობა შედგა, 24 აგვისტოს კი ოჯახურ წრეში ქორწილიც გადაიხადეს. ნახევრადოფიციალურ ცერემონიაზე ქალები არა სამეფო, არამედ სამოქალაქო კაბებში იყვნენ გამოწყობილი. ახალგაზრდა წყვილს პავლოვსკში, ტატიანას მშობლების სასახლის ერთ-ერთი ფლიგელი გამოუყვეს, სადაც 4 ბედნიერი წელი გაატარეს.

ამ ქორწინების შედეგად დაიბადა ორ ბავშვი – 1912 წლის 8 აგვისტოს თეიმურაზ ბაგრატიონ-მუხრანელი, 1914 წელს ნატალია. ისინი ადრე დაობლდნენ – კონსტანტინე ბაგრატიონ-მუხრანელი კავალერგადის პოლკის ოფიცერი, მოგვიანებით – იმპერატორის ფლიგელ-ადიუტანტი პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე, თავის 5 ცოლისძმასთან ერთად, ომში წავიდა. იბრძოდა სამხრეთ-დასავლეთ ფრონტზე. 1915 წელს დაიღუპა იაროსლავთან. პავლოვსკში პანაშვილების შემდეგ კონსტანტინე საქართველოში გადაასვენეს და მცხეთაში, სვეტიცხოველში დაკრძალეს. ქმრის დაღუპვამდე ცოტა ხნით ადრე ფრონტზე მიღებული ჭრილობებით გარდაიცვალა ტატიანას გულის მესაიდუმლე ძმა ოლეგი, ქმრის დასაფლავების შემდეგ კი მამის,

ცნობილი პოეტის, რამდენიმე კრებულისა და თარგმანის ავტორის კონსტანტინე რომანოვის სიკვდილიც შეატყობინეს. ერთბაშად 3 უახლოესი ადამიანის დაკარგვა დიდი დარტყმა იყო საბრალო ქალისათვის. იგი ბიძამისთან, დიდ მთავარ დიმიტრი კონსტანტინეს ძესთან გადავიდა საცხოვრებლად და დაობლებული შვილების აღსაზრდელად.

რევოლუციის შემდეგ დიდი მთავარი დიმიტრი გადაასახლეს. ტატიანა, შვილებთან ერთად, ბიძას ნებაყოფილობითაგაჰყვა ვოლოგდაში, საიდანაც დიმიტრი რომანოვი მალე დააბრუნეს პეტერბურგში და შინაპატიმრობა მიუსაჯეს. მალე ბოლშევიკებმა დაუპატიმრეს 5 ძმა. ტატიანა უკვე რომანოვების გვარს აღარ ატარებდა, ამიტომ მას ხელი არ ახლეს, დარბოდა ძმებისა და ბიძის გადასარჩენად. მაგრამ უშედეგოდა – იოანე, კონსტანტინე და იგორი, სხვა რომანოვებთან ერთად ალაპავესკში დახვრიტეს და მათი გვამები შახტებში ჩაყარეს. 1920 წელს მათი ნაწილები პეკინში სერაფიმ საროველის სახელობის რუსულ მართლმადიდებლურ ეკლესიაში გადასვენეს 1931 წელს კი საზღვარგარეთის რუსულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ ისინი ახალმოწამეთა შორის ჩარიცხა. გავრილი – მაქსიმ გორკიმ გადაარჩინა. დედამ და უმცროსმა და-ძმამ – გიორგიმ და ვერამ რეპრესიებს საზღვარგარეთ გაასწრეს. ბიძის დახვრეტის შემდეგ დედაქალაქში დარჩენა უკვე ტატიანასთვისაც აღარ იყო უსაფრთხო, ამიტომ პეტროგრადს გაერიდა და კიევში ჩავიდა, რომელიც ბოლშევიკებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ დაკავებული. გზაში ტატიანასა და მის შვილებს ახლდა და იცავდა დიდი მთავრის დიმიტრის ადიუტანტი პოლკოვნიკი ალექსანდრ კარაჩინცოვი, რომელიც სიყმაწვილიდან ეტრფოდა ტატიანას. მალე მათ კიევის დატოვებაც მოუწიათ. დიდი წვალებით გადალახეს საზღვარი და ჯერ რუმინეთში, ბუქარესტში ჩააღწიეს, შემდეგ შვეიცარიაში. 1921 წლის ბოლოს ტატიანა ცოლად გაჰყვა კარაჩინცოვს, რომელმაც ასეთი მფარველობა გაუწია მას და მის შვილებს დიდი გაჭირვების ჟამს, მაგრამ 3 თვის შემდეგ დიფტერიით მეორე ქმარიც დაეღუპა. ტატიანა რომანოვამ მარტომ გაზარდა შვილები. როცა უმცროსმა შვილმაც დამოუკიდებელი ცხოვრება დაიწყო – ნატალია 1944 წელს ცნობილი ინგლისელი დიპლომატის, პოეტის, მთარგმნელის სერ ჩარლზ ჰეპბერნ-ჯონსტონის ცოლი გახდა, 1946 წელს ტატიანა მონაზვნად აღიკვეცა და თავისი პირველი ქმრის დიდი

წინაპრის, მეფის ქალის სახელი – თამარი მიიღო. შემდეგ იერუსალიმში გადასახლდა. მალე ელენის ქალთა მონასტრის წინამძღვარი გახდა, სადაც გარდაიცვალა კიდევ 1979 წელს (დაუშვილი 2011: 42-45).

შვეიცარიაში დაფუძნების შემდეგ თეიმურაზი ჟენევის სასწავლებელში შეიყვანეს, შემდეგ ფრიბურგის წმ. ჟანის სახელობის კოლეჯში. 1927 წელს ოჯახის იუგოსლავიაში გადასახლების შემდეგ თეიმურაზი ქალაქ ბელოცერკოვის ყირიმის კადეტთა კორპუსის კადეტი გახდა, ნატალია – მარინის დონის ინსტიტუტის მოსწავლე. კორპუსის რეფორმირებისა და მისთვის ბაბუის, დიდი თავადის კონსტანტინე კონსტანტინეს ძის სახელის მინიჭების შემდეგ, ხელმძღვანელობის მცდელობაზე – თეიმურაზისათვის გარკვეული პრივილეგიები მიენიჭებინათ, უარს ამბობდა და თანატოლთა შორის ძველებურად განაგრძობდა ცხოვრებას. 1932 წელს თეიმურაზმა კადეტთა კორპუსი დაამთავრა და იუგოსლავიის სამხედრო აკადემიაში განაგრძო სწავლა. აკადემიის დამთავრების შემდეგ 10 წელი იმსახურა იუგოსლავიის სამეფო ლეგიონის გვარიულ-საარტილერიო პოლკში. იყო რუსეთის ეკლესიის საზღვარგარეთული სინოდის მზრუნველთა საზოგადოების თავმჯდომარე და ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის წევრი, 1933 წლიდან გახდა ილამაზ დადეშქელიანის თავმჯდომარეობით პარიზში დაარსებული „წმ. ქეთევანის მართლმადიდებელი ძმობისა“ და წმ. გიორგის სახელობის მონასტრის სამმოსწავრე.

მეორე მსოფლიო ომის წლებში მუშაობდა ქ. ბელგრადის ცენტრალურ ბანკში. იყო დიპლომატიურ სამსახურში, ლეგიონის შემადგენლობაში იბრძოდა გერმანელთა წინააღმდეგ. ომის შემდეგ გადასახლდა შვეიცარიაში და სხვადასხვა თანამდებობებზე მუშაობდა იუგოსლავიის საელჩოში ჟენევაში, პარიზსა და ლონდონში (პირადი ფონდის აღწერა).

1949 წელს მიიღო ალექსანდრას ტოლსტაიას წინადადება, შეეცადა „ტოლსტოის ფონდის“ ადმინისტრაციაში და გადასახლა ამერიკის შეერთებულ შტატებში. ეს საქველმოქმედო ფონდი 1939 წელს დააარსა ლევ ტოლსტოის უმცროსმა ქალიშვილმა ალექსანდრამ რუს ემიგრანტთა, ლტოლვილთა და ობოლთა დასახმარებლად. ფონდი აფინანსებდა საგანმანათლებლო პროგრამებსაც. დამფუძნებელთა შო-

რის იყვნენ: ავიატორი იგორ სიკორსკი, სერგეი რახმანინოვი, რუსეთის ყოფილი ელჩი ამერიკაში ბორის ბახმეტევი, მფრინავი ბორის სერგიევსკი, ალექსანდრას ფრონტელი მეგობარი ტატიანა შაუფუს-ეპაპოვორტი. ფონდის პირველ საპატიო თავმჯდომარედ აირჩიეს ამერიკის მაშინდელი პრეზიდენტი ჰერბერტ ჰუვერი. ალექსანდრა დაუკავშირდა საერთაშორისო წითელ ჯვარს, ამერიკის სახელმწიფო დეპარტმენტს, მსოფლიო ეკლესიების ორგანიზაციას 1941 წელს ნიუ-იორკის შტატის ქალაქ ველი კოტეჯში სპონსორის დახმარებით ფონდმა დიდი ფერმა შეიძინა. ეს ფერმა გახდა თავშესაფარი 50.000 ლტოლვილისათვის. დაარსდა მოხუცებულთა სახლიც.

თეიმურაზი ჯერ ფონდის წარმომადგენელი იყო ბეირუთში, 1979 წლიდან ფონდის აღმასრულებელი დირექტორი გახდა, 1984 წელს კი ფონდის თავმჯდომარედაც აირჩიეს. იმავედროულად იყო ამერიკული საქველმოქმედო ფონდის „კერ“-ის და ლტოლვილთა დამხმარე ამერიკული საბჭოს მოხალისე აგენტთა წევრი. იყო რუსეთიდან და სხვა ქვეყნებიდან კომუნისტთა ბატონობას გამორიდებულ ლტოლვილთა დამხმარე 100 სხვადასხვა საქველმოქმედო სააგენტოს გამერთიანებელი ორგანიზაცია „ინტერაკშენის“ და „რუსი ამერიკელების კონგრესის (KPA) დამფუძნებელი.

ამერიკაში ჩასული თეიმურაზ ბაგრატიონ-მუხრანელი გახდა 1931 წელს დაარსებული ქართული სათვისტომოს აქტიური წევრი. მალე სათვისტომოს თავმჯდომარის მოადგილედ აირჩიეს.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ უამრავი ლტოლვილი იყო დასაბინავებელი, მათ შორის ქართველი ემიგრანტებიც და ყოფილი „საბჭოთა ქართველებიც“. ინგლისურენოვან ქვეყნებში მათ გადანაწილებასა და სამუშაოს შოვნაში დახმარებას უწევდა „ტოლსტოის ფონდი“. თეიმურაზ ბაგრატიონ-მუხრანელი, როგორც ფონდის თანამშრომელი, ქართული სათვისტომოს თავმჯდომარის მოადგილე და იურისტი, ქართველებს იურიდიულ საქმეებსაც უგვარებდა, რითაც საყოველთაო პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა (თოფურია 1998: 52).

1933 წელს დაქორწინდა ეკატერინე რაჩიჩზე, ცნობილი სერბი პოლიტიკოსისა და დიპლომატის ნიკილოზ პაშიჩის ქალიშვილზე. ჯვარი დაიწერეს ბელგრადის წმ. სამების რუსულ მართლმადიდებლურ ეკლესიაში. 1946 წელს პირველი ცოლის გარდაცვალებისა

და ამერიკაში გადასახლების შემდეგ 1949 წელს დაქორწინდა ირინა ჩერნიშოვა-ბეზობრაზოვაზე, რომელმაც 2008 წელს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას გადასცა მეუღლის არქივი (*საქართველოს რესპუბლიკა* 2008, 29 ნომბერი: 3).

თეიმურაზ ბაგრატიონ-მუხრანელი გარდაიცვალა 1992 წლის 10 აპრილს ნიუ-იორკში, ნიუ-იორკის გაერთიანებულ კადეტთა მედრო-შისა და სხდომების უცვლელი თავმჯდომარის კუბოსთან საპატიო ყარაულში იდგნენ მეგობრები კადეტთა კორპუსიდან. 14 აპრილს ნიუ-იორკის ეპისკოპოსმა ილარიონმა, სხვა სასულიერო პირთა თანხლებით, წესი აუგო ხალხით სავსე სინოდალურ ტაძარში (*Кадетская перекличка* 1993, №53: 1). დაკრძალეს ნოვოდივეევის მონასტერში, მეუფე გრიგოლმა წარმოთქმულ სიტყვაში აღნიშნა, რომ გარდაცვლილმა, როგორც მორწმუნე მართლმადიდებელმა, თავისი ცხოვრება ყველაზე მნიშვნელოვან ქრისტიანულ მცნებას – მოყვასისადმი მსახურებას უძღვნა.

დამოწმებანი:

„გაიხსნა თეიმურაზ ბაგრატიონ-მუხრანელის საარქივო ფონდი".
გაზ. *საქართველოს რესპუბლიკა*, 29 ნომბერი, 2008.

დაუშვილი, რ. „მართლმადიდებელ სამეფო ოჯახთა ზვედრი: იღუმენია თამარი (რომანოვა-ბაგრატიონ-მუხრანელისა)".
ჟურნ. *მაყველოვანი* №4, 25 მარტი, 2011.

თეიმურაზ ბაგრატიონ-მუხრანელის პირადი ფონდის აღწერა. საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკა.

თოფურია, ნ. *სადაურსა სად წაიყვან*. ნიუ-იორკი-თბილისი, 1998.

"Князь Теймураз Константинович Багратион-Мухранский".
ჟურნ. *Кадетская перекличка*, 1993, № 53.

RUSUDAN DAUSHVILI

Visiting Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University,

ABSTRACT

TEIMURAZ BAGRATION-MUKHRANELI-PRESIDENT OF THE TOLSTOY FOUNDATION IN AMERICA

The article is about Teimuraz Bagration-Mukhraneli, President of the Tolstoy Foundation in America, a descendant of two royal dynasties. Teimuraz's father, Konstantin Bagration-Mukhraneli, aide-de-camp to the Emperor of Russia, was killed in World War I. His mother, Tatiana Romanova, great-granddaughter of the Emperor of Russia Nikolay I and grand prince Konstantin's daughter, after execution of her brothers and uncle after 1917 October Revolution, managed to get out of Russia with her two young children – Teimuraz and Natalia. First they settled in Switzerland, then in 1927 they emigrated to Yugoslavia. In 1932 Teimuraz graduated from Belocerkov Crimea Military School and Military Academy of Yugoslavia. He served in the Royal Yugoslav Legion artillery guards regiment for 10 years.

During [World War II](#), Teimuraz Bagrationi worked in the Central Bank of Belgrade, was in diplomatic service, took part in the war against Germany. After the war he worked in the embassies of Yugoslavia in Geneva, Paris and London. In 1949 he accepted an offer from Lev Tolstoy's daughter Aleksandra, entered Tolstoy Foundation and emigrated to the US. After [World War II](#), Tolstoy Foundation helped refugees including Georgian emigrants and former "soviet Georgians" to resettle and find job in English speaking countries. Teimuraz Bagration-Mukhraneli as a member of the Foundation, president of the Georgian community and a jurist helped Georgians to arrange their legal problems as well. From 1986 he led the Foundation, at the same time he was a member of CARE organization, a member of Refugee Assisting Agents' American Council and a founder of "Interaction", a coalition of more than 100 charitable organizations.

Teimuraz Bagration-Mukhraneli died in 1992 in America. In 2008 his wife Irina Czernysheva-Besobrasova handed over his archives to the National Library of Georgian Parliament.

სიგონ თავართქილაძე

გურამ თავართქილაძის სასწავლო
უნივერსიტეტის პროფესორი

საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის თავისუფალი ვაჭრობის შინაგარე ხელშეწყობის რეალობა და მოსალოდნელი შედეგები

თავისთავად, ნებისმიერ ქვეყანასთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების გაფორმება გარკვეულ დადებით ეკონომიკურ შედეგზეა ორიენტირებული. მაგრამ ისეთ ქვეყანასთან, როგორც ამერიკის შეერთებული შტატებია, ასეთი დონის თანამშრომლობა შეიძლება განვიხილოთ, როგორც საქართველოს უსაფრთხოების ერთგვარი არაპირდაპირი გარანტია. შესაბამისად, ასეთი ხელშეკრულების პერსპექტივა სრულიად განსხვავებულ და განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. იმდენად განსაკუთრებულს, რომ სამსჯელოა - უახლოეს მომავალში, რომელი პოლიტიკური ნაბიჯია უფრო მიღწევადი - ნატოში გაწევრიანება, ევროკავშირში შესვლა, თუ აშშ-სთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების გაფორმება. სამივე სამიზნე თითქმის ერთნაირად განსაზღვრავს საქართველოს პოლიტიკურ ვექტორს და ეკონომიკური განვითარების პერსპექტივას.

აშშ-სთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების გაფორმებას, ერთი მხრივ, მნიშვნელოვანი პოლიტიკური მიზანი აქვს, მეორე მხრივ კი განუზომელი ეკონომიკური მნიშვნელობაც გააჩნია. ძალზე მარტივად, ნებისმიერ შემთხვევაში, ეს საქართველოს და ამერიკას შორის სავაჭრო ბრუნვის ზრდას გამოიწვევს. დღეს ეს ციფრი დაახლოებით მხოლოდ 400 მლნ. ამერიკულ დოლარს შეადგენს.

მნიშვნელოვანია, რომ თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების პირობებში საქართველოს ტერიტორია უკვე ბევრად საინტერესო ხდება ინვესტორებისათვის. პირველ რიგში, მკვეთრად წარმოჩინ-

დება ამერიკული ინვესტიციური კაპიტალი, ამასთან სრულიად ახალი მონღოლებითა და მოცულობით წარმოჩინდება ინვესტორი ქვეყნები - სომხეთი, აზერბაიჯანი და თურქეთი, უკრაინა, შუა აზიისა და აზიის ქვეყნები, რომლებსაც მიეცემათ შესაძლებლობა პროდუქცია ჩვენთან აწარმოონ და "თავისუფალი რეჟიმით" ამერიკულ ბაზარზე შეაღწიონ. სწორედ ამ ორი ფაქტორის გამო ამერიკასთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება განსაკუთრებულ მნიშვნელობას და წონას იძენს.

მიმდინარეწლის 30 იანვარსთეთრსახლშოამერიკის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ საქართველოსთან თავისუფალი ვაჭრობის განვითარების შესაძლებლობაზე ისაუბრა. "ჩვენ გვსურს გავზარდოთ სავაჭრო ურთიერთობები, მათ შორის, თავისუფალი ვაჭრობა. ამ მიმართულებით ბევრი რამ უნდა გაკეთდეს და მთავარია, ეს მომგებიანი იყოს ორივე ქვეყნისათვის."

აღიარებული სახელმძღვანელოს "ეკონომიკის პრინციპები" ავტორი გრეგორ მენქიუ აღნიშნავს: "ეკონომიკის ერთ-ერთი პრინციპია ის, რომ ვაჭრობას შეუძლია ყველას მდგომარეობა გააუმჯობესოს".

აშშ-საქართველოს შორის თავისუფალი სავაჭრო რეჟიმის მნიშვნელობისა და შედეგების გასააზრებლად კარგი მაგალითია თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ჩრდილო-ამერიკული შეთანხმება. მარტივად, ეს ამერიკის, კანადისა და მექსიკის თავისუფალი სავაჭრო ზონაა. ხელშეკრულება 1992 წელს გაფორმდა, თუმცაღა აღნიშნულ ხელშეკრულებას წინ უძღოდა სახელმწიფოთა შორის მრავალწლიანი ურთიერთობა, ურთიერთინტერესების გამოვალისწინებელი სხვადასხვა ლოკალური ხელშეკრულებები. პირველი ნაბიჯი ჯერ კიდევ 1947 წელს გადაიდგა, რომლის მიზანს წარმოადგენდა ამერიკული ინვესტიციების სტიმულირება კანადაში. 1959 წელს აშშ-სა და კანადას შორის გაფორმდა ხელშეკრულება ერთობლივი სამხედრო წარმოების თაობაზე. შემდეგი ნაბიჯი 1965 წელია, როცა დაიღო შეთანხმება საავტომობილო ვაჭრობის ლიბერალიზაციის (უბაჟო ვაჭრობის) თაობაზე. 1980 წელს პრეზიდენტ რეიგანის მიერ მხარდაჭერილი იქნა ამერიკის, კანადის და მექსიკის პირველი ერთობლივი შეთანხმება - ენერგეტიკული კავშირის სახით. 1988 წელს აშშ-სა და კანადას შორის გაფორმდა სრულფასოვანი ხელშეკრულება "თავისუფალი ვაჭრობის შესახებ".

ფალი ვაჭრობის" შესახებ, რომელსაც შემდგომ მექსიკაც შეუერთდა. პირველივე შედეგები ძალზე შთაბეჭდავი იყო. 1993-1997 წლებში 2,5 ჯერ გაიზარდა საქონელბრუნვა მექსიკასთან, 2-ჯერ კანადასთან. ამავე დროს მკვეთრად გაიზარდა ამერიკული ინვესტიციების მოცულობა მექსიკაში და პირველივე წელს 140 მილიარდი დოლარი შეადგინა, შემდგომ წლებში ყოველწლიურად 100 მილიარდზე მეტი, რომელთა უმრავლესობა ამერიკული ბრენდული საწარმოების აშენებას მოხმარდა. ერთი მხრივ, ამერიკის ფირმების მხრიდან მსხვილმა ფინანსურმა დატექნოლოგიურმა ინვესტიციებმა და, მეორე მხრივ, მექსიკის ადგილობრივი ნედლეულის და მუშახელის გამოყენებით შექმნილი პროდუქცია სრულფასოვან კონკურენციას უწევს მსოფლიო ბაზარზე იაპონურ და ევროპულ საქონელს. "ნაფტას" შეთანხმებამ მნიშვნელოვნად წასწია წინ მექსიკის და კანადის ეკონომიკა.

ეს მაგალითი (თავისუფალი ვაჭრობის ჩრდილოამერიკული შეთანხმება) საქართველოს მნიშვნელოვნად წაადგება. ამ პროგრამის ფარგლებში მიღებული გამოცდილება საქართველოსთან მიმართებაშიც უნდა იქნეს გამოყენებული.

ექსპერტების აზრით, "თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება" მომგებიანი მაშინ არის, როდესაც ქვეყანაში ადგილობრივი წარმოება განვითარებული. მაგრამ დღეს და უახლოეს მომავალში ადგილობრივი კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება, მსხვილი ფინანსური ინვესტიციებისა და ინოვაციური, "ბრენდული" და მაღალტექნიკური წარმოების გარეშე თითქმის შეუძლებელია. აქვე დავეთანხმები მკვლევართა მეორე ნაწილის აზრს, რომ "ეს ნამდვილად გრძელვადიანი პროცესია".

წინასწარ უნდა ვივარაუდოთ, რომ საქართველოს მიმართ ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების მთავარი მოთხოვნა სტანდარტები იქნება. ქართული პროდუქტის დიდი უმრავლესობა თავისი სტანდარტით დღეს მხოლოდ დსთ-ს, აზიურ, ლათინო-ამერიკულ და ისეთი ტიპის ქვეყნებშია მოთხოვნადი, სადაც მსგავსი ტიპის მოთხოვნები ჯერჯერობით არ არსებობს. სხვა ბაზრებზე თავის დასამკვიდრებლად კი, როგორც ტექნოლოგიურად, ასევე ხარისხობრივად და სხვა ბევრი პარამეტრით ამერიკული ბაზრის მოთხოვნებს რომ მიუახლოვდეს, სახელმწიფოებრივი პოლიტიკის რანგში აყვანილი

მრავალი ღონისძიებაა განსახორციელებელი, რომელთაგან უმთავრესი - ხელშეკრულების გაფორმება - უმნიშვნელოვანეს სახელმწიფოებრივ სტრატეგიად და მიზნად უნდა იქცეს.

ამერიკა პარტნიორებს სავაჭრო ურთიერთობის დასამყარებლად რამდენიმე ნიშნით არჩევს. პირველი კრიტერიუმი ტერიტორიული სიახლოვეა. კანადა და მექსიკა სწორედ ამის მაგალითია. მაგრამ ამერიკასთან მსგავსი სავაჭრო ურთიერთობების დამყარებისათვის აუცილებელი არაა ტერიტორიული სიახლოვე. ჯერ კიდევ 1934 წელს ამერიკაში გაჩნდა ტერმინი "უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის ქვეყანა". სწორედ აღნიშნული ცნება განსაზღვრავდა შეერთებული შტატების საგარეო სავაჭრო პოლიტიკას. არსი შემდეგი გახლდათ - შეერთებულ შტატებს სჭირდებოდა იმ ქვეყნების წახალისება, რომლებიც მისი პოლიტიკურად სტრატეგიული პარტნიორები იყვნენ. ასევე, თუკი აშშ ამკარად გრძნობდა, რომ ნაკლებად განვითარებული ქვეყანა დემოკრატიული სტანდარტების შესაბამისად განვითარებას ცდილობდა და ამერიკისთვის მნიშვნელოვან პრინციპებს არ ღალატობდა, მასთან აფორმებდა (წახალისების მიზნით) თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულებას. დღეს საქართველო სწორედ ამ ჭრილში განიხილება.

თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულება, საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით, მარტივად არ ფორმდება. ხელშეკრულების მომზადებას წინ უძღვის გრძელი მოლაპარაკების პროცესი, მაგრამ, განსხვავებით ევროკავშირისგან, შეერთებული შტატები პარტნიორ ქვეყნებს განსასაკუთრებულ რთულად შესასრულებელ პირობებს არ უყენებს. მაგ., ევროკავშირმა საქართველოსთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებაზე მოლაპარაკება 4 წლის წინ დაიწყო, ქართულ მხარეს რამდენიმე მთავარი რეკომენდაცია მიეცა საკანონდებლო გარემოსა და სახელმწიფო ინსტიტუციების ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის, სურსათის უსაფრთხოების, ვაჭრობის საკითხებზე ევროპული ნორმების შესაბამისი კანონმდებლობის მიღების და სხვათა თაობაზე. აუცილებლად გასათვალისწინებელია ისიც, რომ შეერთებულ შტატებსა და ევროკავშირს შორის დიდი ხანია მიმდინარეობს მარეგულირებელ სფეროში დიალოგი და ისინი ცდილობენ ერთმანეთს დაუახლოვონ სტანდარტები, რომელიც ბაზარზე პროდუქტის დაშვების საკითხებს ეხება. ევროპული სტანდარტის ნაწარმის ამერიკულ ბაზარზე არდაშვება

დღეს გამორიცხულია. ეს ნიშნავს, რომ ევროპული სტანდარტები სრულად შეესაბამება ამერიკის მოთხოვნებს. ამიტომ ჩვენი მზადება ევროკავშირთან საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში ადეკვატურად აისახება აშშ-სთან ურთიერთობაშიც. რამდენადაც აშშ დაინტერესებულია ძირითადად ითანამშრომლოს მხოლოდ ისეთ ქვეყნებთან, რომლებიც ამ მოთხოვნებს სრულად აკმაყოფილებენ. **შესაბამისად, საქართველოს მცდელობა - დააკმაყოფილოს ევროკავშირის სავაჭრო სტანდარტები ქვეყანას ამერიკასთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებაში დაეხმარება.**

თავად ის ფაქტი, რომ ამერიკასთან თავისუფალი ვაჭრობა, შეიძლება, რეალობა გახდეს, ძალზედ დადებითია, მაგრამ ჯერჯერობით ეს ყველაფერი მისაღწევია. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს აშშ-სთან ისედაც აქვს პრეფერენციული რეჟიმი 1200 დასახელების პროდუქციის ექსპორტზე, რაც არც თუ ისე ნაკლებ შეღავათიან რეჟიმს გულისხმობს, მაგრამ, საექსპორტო პროდუქციის სტანდარტის შეუსაბამობის გამო, მისი გატანა ვერ ხდება. საქსტატის 2011 წლის მონაცემებით, „საქართველოდან აშშ-ში 143.4 მილიონ დოლარამდე ღირებულების პროდუქციის ექსპორტი განხორციელდა“, რაც რამდენიმე მილიონით მეტია 2010 წლის მაჩვენებელზე, მაგრამ მოცულობა და საქონლის დასახელებათა არეალი მაინც ძალზე მწირია.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, თავისუფალი ვაჭრობა საბაჟო ტარიფების და ქვოტების გარეშე ვაჭრობას ნიშნავს და თავისუფალი ვაჭრობის შესაძლებლობა ყოველთვის სტიმულის მიძეცვია კომპანიებისთვის, რათა საექსპორტო პროდუქციის წარმოება განავითარონ. აქაც მნიშვნელოვანი ფაქტორია არასატარიფო ბარიერები ვაჭრობაში. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მოთხოვნები სწორედ არასატარიფო ბარიერების მოხსნას ემსახურება. ამდენად, მსო-ის მოთხოვნების შესრულება ვაჭრობასთან დაკავშირებული ევროპული სტანდარტების დაახლოებით ერთი მესამედის დაკმაყოფილებას ნიშნავს.

ამასთან, საქართველოს სავაჭრო პარტნიორების თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა არის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (ვმო) წევრი და, შესაბამისად, ვმო-ს წევრ ქვეყნებთან (153 ქვეყანა) სავაჭრო ურთიერთობები ხორციელდება "უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის" საფუძველზე. ამასთან, საქართველო არის ევროკავშირის, აშშ, იაპონიისა, კანადის, შვეიცარიისა და ნორვეგიის პრეფერ-

ენციათა განზოგადებული სისტემის რეჟიმის ბენეფიციარი ქვეყანა. საქართველო ასევე არის სუამ-ის ფარგლებში მოქმედი "თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის შესახებ" 2002 წლის მრავალმხრივი შეთანხმების მონაწილე ქვეყანა. საქართველოს ორმხრივი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებები გაფორმებული აქვს აზერბაიჯანთან, სომხეთთან, უკრაინასთან, მოლდოვასთან, ყაზახეთთან, უზბეკეთთან, თურქმენეთთან და თურქეთთან. ამის მიუხედავად, "საქსტატის" მონაცემებით "2011 წელს საქართველოს უარყოფითი სავაჭრო ბალანსი 4869 მლნ. აშშ დოლარით განისაზღვრა". ზემოაღნიშნული ხელშეკრულებების მიუხედავად, საქსპორტო პროდუქციის სიმწირისა და ე. წ. მოთხოვნადი საქონლის არასტანდარტულობის გამო მსოფლიო ბაზარზე გატანა ვერ ხდება. ევროპის ბაზარზე საქართველოდან მხოლოდ რამდენიმე ათეული დასახელების პროდუქცია გადის. აქედან შეღავათების რეჟიმს უშუალოდ 34 დასახელების პროდუქცია ექვემდებარება. თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ მთელ რიგ პროდუქტებზე საბაჟო ტარიფი რეჟიმის ამოქმედებამდეც დაბალი იყო. მაგ., მინერალურ წყლებზე საბაჟო ტარიფი 6,1%-ს შეადგენდა, ამონიუმის სულფატზე - 3%-ს, ხოლო თხილზე მხოლოდ - 2,1 %-ს. რეჟიმის ამოქმედების შემდგომ ეს ტარიფიც განულდა, მაგრამ ექსპორტის კარგად შესამჩნევი ზრდა მაინც ვერ მოყვა. მაგ., 2011 წელს აშშ-ში "საქსტატის" მონაცემებით შეღავათიანი რეჟიმით განხორციელდა მხოლოდ და მხოლოდ 8 ათასი აშშ დოლარის უაღკოპოლო სასმელებისა და 26 ათასი აშშ დოლარის საკონსერვო პროდუქციის ექსპორტი.

პრობლემა მაინც სტანდარტს, ხარისხს და უვნებლობას უკავშირდება. მაგალითისათვის, ცნობილია, რომ ევროპის ბაზარზე ქართული კაკალი და თხილი განსაკუთრებული მოთხოვნით სარგებლობს. თუმცა 2009 წლის გაზაფხულზე საქართველოდან პორტუგალიასა და ჩეხეთში ექსპორტირებულ თხილში ალფა-ტოქსინები აღმოაჩინეს, რომელიც მძიმე მოწამვლას იწვევს. ევროპულ ბაზარზე კონტროლის გამკაცრების შემდეგ, 2010 წელს, თხილის ექსპორტი წინა წელთან შედარებით მნიშვნელოვნად, 12%-ით, შემცირდა. შარშან კვლავ ზრდის ტენდენცია დაფიქსირდა.

მიუხედავად იმისა, რომ 2011 წლის უარყოფითი სავაჭრო ბალანსი 4869 მლნ. აშშ დოლარით განისაზღვრა, უნდა აღინიშნოს, რომ 2009 წლის შემდეგ ექსპორტის ზრდის მანევრებელი აღემატება იმ-

პორტის ზრდის მაჩვენებელს და, შესაბამისად, იზრდება ექსპორტის წილიც სავაჭრო ბრუნვაში. "საქსტატის" მონაცემებით, 2011 წელს ექსპორტის ხვედრითი წილი 2010 წელთან შედარებით გაიზარდა და 23.7% შეადგინა, რაც 2006 წლის შემდგომ ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. 2011 წლის მონაცემებით სამი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 36.6% შეადგინა. კვლავ ლიდერობს თურქეთი, აზერბაიჯანი და უკრაინა, რომელთანაც საქართველოს უკვე გაფორმებული აქვს თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებები.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ მიუხედავად იმისა რომ საქართველოს თურქეთთან თავისუფალი ვაჭრობის თითქმის სრულმასშტაბიანი ხელშეკრულება მოქმედებს, ამრეჟიმით 2011 წელს მხოლოდ 227 მლნ. აშშ დოლარის პროდუქცია გავიდა, საერთო ექსპორტის მხოლოდ 10 % -ზე ცოტა მეტი. ასევე მცირეა თურქეთთან თავისუფალი ვაჭრობისთვის განკუთვნილი საქონლის პრეფერენციული წარმოშობის სერტიფიკატი ფორმათა საერთო რაოდენობა (720 ცალი). აღნიშნული კი მიგვანიშნებს იმაზე, რომ თურქეთთან დადებულმა თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებამ ჯერჯერობით სათანადო ეფექტი ვერ მოგვცა. მსხვილი თურქული ინვესტიციები რეალურად მხოლოდ გრძელვადიან ენერგეტიკის სექტორში ხორციელდება და ხელშესახები საექსპორტო ქართული პროდუქციის შექმნას ხელი არ ეწყობა. მაგრამ დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ იმ შემთხვევაში, თუ ამერიკასთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება გაფორმდა, თურქული ბიზნესის დაინტერესება - საქართველოს მეშვეობით ამერიკის ბაზარზე შესაღწევად და საქართველოში საექსპორტო საქონლის ერთობლივი წარმოებითი პოტენციალის შესაქმნელად - რამდენჯერმე გაიზრდება.

ამერიკაში ქართული პროდუქცია რომ შევიდეს, ის შესაბამისი ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობაში უნდა მოვიდეს. ამისთვის ქართულმა საექსპორტო საქონელმა საერთაშორისო აღიარების მქონე სასერტიფიკაციო ცენტრებში სერტიფიცირების პროცესი უნდა გაიაროს, საწარმოებში კი ჰარმონიზებული სტანდარტები დაინერგოს. ევრო-ამერიკულთან ჰარმონიზებული სტანდარტების დანერგვას რამდენიმე წელი და სერიოზული ინვესტიციის მოძიება დასჭირდება, სერიოზული ინვესტიცია კი რეალურად მხოლოდ ამქვეყნებთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებით მიიღწევა. სწორედ ამიტომ

მიმაჩნია, რომ აშშ-სთან და ევროპასთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების გაფორმება უმნიშვნელოვანეს მიზნად უნდა იქცეს. ევრო-ამერიკული ინვესტიციური კაპიტალის შემოდინების პირობებში, თანამედროვე ტექნოლოგიებით ევროპული სტანდარტების შესაბამისი პროდუქციის წარმოება გადაულახავ სირთულეს უკვე აღარ წარმოადგენს.

SIMON TAVARTKILADZE

Professor, GuramTavartkiladze Teaching University

ABSTRACT

THE FREE TRADE AGREEMENT BETWEEN USA AND GEORGIA SHOULD BE THE MOST IMPORTANT GOAL

Signing of a Free Trade Agreement with any country is oriented on a certain positive result. However, cooperation on such level with a country like the United States can be considered as a kind of an indirect guarantee of Georgia's security. Accordingly, the perspective of such Agreement acquires absolutely different and special importance. So special that it deserves discussion as to what political step is more attainable in the nearest future – NATO or EU membership or signing of a Free Trade Agreement with the United States. All three targets arguably determine political tack and economic perspective of Georgia in a similar way. It will take several years and serious investments to implement standards fitting harmonized economic relationships of free trade with Europe and America. And substantial investments will be achieved by means of a Free Trade Agreement. Therefore, I believe that signing of a Free Trade Agreements with Europe and the USA should become a primary goal.

მასილ ჯაჯარაჲა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,
თსუ ამერიკისმცოდნეობის ინსტიტუტის ხელმძღვანელი

რონალდ რეიგანის სტრატეგიული თავდაცვის ინიციატივის გამოცხადების ჰიროული ეფექტი საბჭოთა ავზირისა და შერიოაული შბახის ურთიერთობაზე

რონალდ რეიგანის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელო-
ვანესი ნაბიჯი ე. წ. სტრატეგიული თავდაცვის ინიციატივის ჩამოყა-
ლიბებასა და მისი განხორციელების მცდელობაში გამოიხატა. 1980-
იანი წლების ურთიერთობებში ამერიკასა და საბჭოთა კავშირს შორის
ამ მოვლენამ უდიდესი როლი ითამაშა და გარკვეულწილად სწორედ
მან განაპირობება ის დათმობები, რომელზეც წავიდა საბჭოთა კავ-
შირი რეიგანის პრეზიდენტობის მეორე ვადის დროს. ჩვენი სტა-
ტიაც სწორედ ამ სტრატეგიული თავდაცვის ინიციატივის არსებობის
გარკვეული ეპიზოდების განხილვას დაეთმობა.

რეიგანი და მის გუნდი დარწმუნებული იყო, რომ ე. წ. დათმობის
პერიოდი საბჭოთა კავშირმა ცალმხრივად, თავისი გაძლიერებისა და
ექსპანსიის გასაფართოებლად გამოიყენა და გარკვეულწილად მოატყუა
კიდევ დასავლეთი. შესაბამისად, მას გადაწყვეტილი ჰქონდა ძირეუ-
ლად შეეცვალა არსებული ვითარება და თავად დასავლური სამყარო
გადაეყვანა კონტრშეტევის რეჟიმში, რომელიც არა მარტო შეაჩ-
ერებდა საბჭოთა ექსპანსიას, არამედ საბოლოოდ ძირს გამოუთხრიდა
ამ სისტემას. ეს ბრძოლა რეიგანმა საბჭოთა კავშირზე, საბჭოთა
სისტემაზე და საერთოდ კომუნისტურ იდეოლოგიაზე უკომპრომისო
იდეოლიგიური შეტევით დაიწყო. სწორედ რეიგანმა უწოდა საბჭოთა
კავშირს „ბოროტების იმპერია“ და მოახერხა მისი ისტორიული გან-
წირულობის დასაბუთება. ეს განსაკუთრებით კარგად გამოიხატა მის
საპროგრამო გამოსვლებში ევროპული პარლამენტების წინაშე 1982
წლის ტურნეს ფარგლებში.

მაგრამ ნებისმიერი მჭერმეტყველება კონკრეტულმა საქმემ უნდა გაამაგროს. ეს კი გამოიხატა ამერიკის სამხედრო ძელვადისილების ალორძინებაში, საბჭოთა კავშირთან პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო დაპირისპირების ძალზე კარგად მომზდებული პროგრამის შემუშავებასა და მისი განხორციელების დაწყებაში.

ამ მრავალმხრივი პროგრამისა და საქმიანობის ფარგლებში ცენტრალური ადგილი სწორედაც რომ სტრატეგიული თავდაცვის ინიციატივამ (Strategic Defense Initiative) დაიკავა, რომელიც რეიგანმა 1983 წლის 23 მარტს ამერიკელი ხალხისადმი სპეციალურ ტელევიზიონურ მართვაში გააჟღერა.

გარკვეულწილად ეს ინიციატივა ობიექტური რეალობიდან, სამხედრო ტექნოლოგიებიდან და რეიგანის პირადი ინიციატივებისგან წარმოიშვა. საქმე ის იყო, რომ 1982 წელს კონგრესმა უკვე მესამედ არ დაამტკიცა ახალი ბალესტიკური რაკეტების MX-ს შექმნის ხარჯები მაშინ, როცა საბჭოთა კავშირი სულ უფრო აძლიერებდა ამ სფეროს (Schweizer 2002: 145). ამავე დროს თავად ამერიკაში იზრდებოდა ანტისარაკეტო მოძრაობა. 1982 წლის ივნისში ნიუ იორკში 750 ათასი დემონსტრანტი გამოვიდა წყალბადის იარაღის წარმოების გაყინვის მოთხოვნით. MX-ის რაკეტებზე უარის შემდგერადაც სხვა გზა უნდა მოეძებნათ.

1979 წელს რეიგანი ეწვია სტრატეგიული რაკეტების მართვის ცენტრს შეიენის მთებში და გაოგნებული დარჩა, როცა ამ საკომანდო პუნქტის ხელმძღვანელმა უთხრა, რომ საბჭოთა რაკეტების თავდასხმის შემთხვევაში ერთადერთი, რის გაკეთებაც ამერიკელებს შეეძლოთ, ეს 10-15 წუთით ადრე შეეტყობინებინათ მოსახლეობისთვის ამ თავდასხმის შესახებ. სხვა პრევენციული გზა არ არსებობდა. რეიგანი ინფორმაციამ სასოწარკვეთილებაში ჩააგლო და მან ახალი ძალით დაიწყო ფიქრი ალტერნატიული გზების ძიებაზე.

ბუნებრივია არსებული ტექნოლოგიური ინოვაციების ფონზე მსგავსი იდეა ჰაერში ტრიალებდა, მით უმეტეს, რომ პრეზიდენტის დაახლოებულმა პირებმა იცოდნენ მისი სურვილის შესახებ შექმნილიყო ახალი, პრინციპულად განსხვავებული იარაღი.

ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს წევრმა და რეიგანის ადმინისტრაციაში სამხედრო თანამშემწემ, ჯონ პოინდექსტერმა,

მაშინ ჯერ კიდევ ეროვნული უსაფრთხოების მრჩეველის მოადგილეს რობერტ მაკფარლენს მიაწოდა იდეა სტრატეგიული თავდაცვითი სისტემის შექმნის შესახებ.

თავდაცვის სამეცნიერო საბჭოც მსგავს დასკვნამდე მივიდა. გენერალი დენიელ გრეჰემი კერძო ჯგუფის „მაღალი საზღვარი“ ხელმძღვანელი ასევე შეხვდა პრეზიდენტს და მსგავსი გეგმა შესთავაზა. მაკფარლენი ფიქრობდა, რომ ნიქსონის და ფორდის ადმინისტრაციები საბჭოთა კავშირს არასწორი მიმართულებით ეჯიბრებოდნენ რაკეტების ხარისხისა და რაოდენობის ასპექტში. ამერიკას შეეძლო უკეთ განვითარებული ტექნოლოგიების მეშვეობით უფრო ეფექტური გზა გამოენახა. მაკფარლენი და პონდექსტერი შემდეგ აშშ ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში პრეზიდენტის მრჩეველ ბილ კლარკს დაელაპარკნენ, რომელმაც სასწრაფოდ მოაწყო 1982 წლის დეკემბერში რეიგანის შეხვედრა გაერთიანებული შტატების ხელმძღვანელობასთან. როგორც კი მაკფარლენმა ეს იდეა გააჟღერა, შტატების ხელმძღვანელობა მაშინვე დათანხმდა, რომ არ შეიძლებოდა მარტო „გარანტირებული ურთიერთგანადგურების“ თეორიის - მად-ის (MAD mutual assured destruction) - იმედზე ყოფნა, რომელიც წლების მანძილზე აჩერებდა მოწინააღმდეგეებს. რეიგანს ეს იდეა ძალზე არ მოსწონდა და მიაჩნდა, რომ მად-ი უბრალოდ უზნეობა იყო. როგორც იგი ამბობდა, ეს იგივეა, რომ ველური დასავლეთის ორი კოვბოი სალუნში შემართული იარაღით განუსაზღვრელი დროით ყოფილიყვნენ ერთმანეთის პირისპირ. შეხვედრაზე სტრატეგიული თავდაცვის ინიციატივის შესახებ იგი წყნარად იჯდა და ისმენდა. მას უკვე ჰქონდა საკუთარი პოზიტიური დამოკიდებულება და მალე დაიწყო კიდევ აქტიური მოქმედება (Schweizer 2002: 145- 149).

ამ ინიციატივას მაშინვე გამოუჩნდნენ მოწინააღმდეგეები. იგი არც შულცს და უანიბერგერს მოსწონდათ მაინცდამაინც და როცა რეიგანმა ამ ინიციატივით გადაწყვიტა ტელევიზიით გამოსვლა, ეს ბევრმა გააპროტესტა.

ეს იყო სამეცნიერო კვლევითი და გამოსაცდელი კონსტრუქტორული სამუშაოების გრძელვადიანი გეგმა, რომელსაც საბოლოო ჯამში პრინციპილუად ახალი რაკეტსაწინააღმდეგო სისტემა უნდა შეექმნა. ამ სისტემის უდიდესი ნაწილი კოსმოსში უნდა განლაგებულიყო და

თავისებური ქოლგა უნდა შეექმნა, რომელიც დაფარავდა ამერიკას და კოსმოსშივე გაანადგურებდა ამერიკისკენ წამოსულ ყველა ბალესტიკურ რაკეტას. ამ მიზნით უნდა გამოყენებულიყო ახალი ტიპის იარაღი დაფუძნებული სხვასთან ერთად სხვიობრივ, ელექტრომაგნიტურ, კინეტუკურ, ზემადალსიხშირიან საფუძველზე. ამავე დროს ტრადიციული სარაკეტო იარაღის "დედამიწა "კოსმოსი" და „ჰაერი "კოსმოსი" ახალი თაობის რაკეტებიც უნდა გამოეყენებინათ.

23 მარტის გამოსვლაში, აღწერდა და ასაბუთებდა რა ამ სისტემის მოქმედების არეალს, რეიგანი იმასაც აყოლებდა, რომ იგი საბოლოო ჯამში „წყალბადის იარაღს თავის ძლევაძისლებას ჩამოართმევდა და მას მოძველებულად და არასაჭიროდ აქცევდა". მისი აზრით, ეს გადაწყვეტილება ამერიკელთა შვილების უსაფრთხოებას უზრუნველყოფდა XXI საუკუნეში. „მე მინდა მომავლის იმედი შემოგთავაზოთ" - განაცხადა რეიგანმა, მაგრამ ამისთვის ჩვენ უნდა გავძლიერდეთ, ვინაიდან სისუსტე მხოლოდ ახელებს აგრესორს. რეიგანმა შესწივლა ამერიკელებს, რომ თანამედროვე ეტაპზეც ამერიკა 1969 წლის რაკეტებით იყო შეირადებული მაშინ, როცა საბჭოთა კავშირმა ამ პერიოდიდან ხუთი ახალი კლასის რაკეტა შექმნა და მათი რაოდენობაც ძალზე გაზარდა. იგი თხოვდა ამერიკელებს, რომ მათ მოეწოდებინათ სენატორებისა და კონგრესმენებისთვის გაეძლიერებინათ ამერიკის სამხედრო პოტენციალი.

ამ იდეის დასასაბუთებლად რეიგანმა საკუთარი მრჩეველებისა და გაერთიანებული შტაბების ხელმძღვანელობის მოსაზრებაც მოიშველია, რომ მომავალში ამერიკა მხოლოდ თავდასხმის იარაღის იმედზე არ უნდა ყოფილიყო. რეიგანმა აღნიშნა, რომ მხოლოდ ურთიერთგანადგურების მუქარის საფუძველზე დამყარებული დაცვა არ იყო საკმარისი და ამერიკის უსაზღვრო ტექნოლოგიურ და სამრეწველო შესაძლებლობებს შეეძლოთ უკეთესი გამოსავლის გამოჩვენება, რომელიც სწორედ რომ სტრატეგიული თავდაცვის ინციატივაში გამოიხატებოდა.

გამოსვლის დასასრულს მან განაცხადა – „მე ვბრძანებ საყოველთაო და ინტენსიური გრძელვადიანი კვლევების დაწყებას და პროგრამის განვითარებას, რომლის უშუალო მიზანი სტრატეგიული წყალბადის რაკეტების საშიშროების აღმოფხვრაა. ამას შეიძლება ამ სახის

შეირალების გაუქმებაც მოყვეს. ჩვენ არ ვეძებთ არც სამხედრო უპირატესობას და არც პოლიტიკურ მოგებას. ჩვენი ერთადერთი მიზანია, რომელსაც ყველა ადამიანი იზიარებს, წყალბადის ომის საფრთხის საშიშროების შემცირების გზების მოძიება. ჩემო თანამემამულეებო ამ საღამოს ჩვენ ვიწყებთ მოქმედებას, რომელიც საკუთარ თავში შეიცავს კაცობრიობის ისტორიის შეცვლის შესაძლებლობას. აქ იქნება რისკები და შედეგებს ღრო დასჭირდება. მაგრამ მე მჯერა, რომ ჩვენ შეგვიძლია ამის გაკეთება" (Reagan 1983).

ორი დღის შემდეგ რეიგანმა გამოსცა დირექტივა ეროვნული უსაფრთხოების სფეროში № 85, რომელიც სტრატეგიული თავდაცვის ინიციატივის (სთი) ადმინისტრირებასა და დაფინანსებას განსაზღვრავდა. ამ იდეამ ამერიკელებში უდიდესი ენთუზიაზმი გამოიწვია, ვინაიდან 1957 წელს საბჭოთა სპუტნიკის გაშვების შემდეგ დაკარგული უსაფრთხოების გარანტიის აღორძინების პერსპექტივა გააჩინა.

ეს სისტემა მომავალ 20 წელიწადში უნდა შეექმნათ და იგი სავარაუდოთ 100 მილიარდიდან 1 ტრილიონ დოლარამდე დაჯდება (Schulzinger 2002: 335).

რეიგანს ნამდვილად სწამდა, რომ არსებული პარიტეტულ ძალთა ბალანსი ადრე თუ გვიან სისხლიანი კონფლიქტით დაირღვეოდა. ჯერ კიდევ 1980 წელს ერთ-ერთ სატელევიზიო ინტერვიუში მან პირდაპირ განაცხადა. ჩვენ შეიძლება ის თაობა ვიყოთ, რომელიც არმაგედონს იხილავს" (Cannon 2000: 248.)

რეიგანი დარწმუნებული იყო, რომ ამერიკელები ყველაზე უფრო საკუთარი ქვეყნის უსაფრთხოებას აფასებენ (საერთოდ ეს უსაფრთხოების გრძნობა, რომელიც აშშ-ს თითქოსდა მთელი სხვა სამყაროსაგან გამოარჩევს, ალბათ, მართლაც არსებობს. ეს ამერიკაში 5 წლის ცხოვრების მანძილზე თავად განმიცდია – ვ. კაჭარავა). როდესაც სისტემის ოპონენტები ამბობდნენ, რომ ეს ინიციატივა ფანტაზია იყო და არ ვარგოდა რეიგანი პასუხობდა „თუ იგი ასეთი ცუდია მაშინ რუსები ასე რატომ ნერვიულობენ" (Dueck 2010: 314).

რიგი კვატეტებიდან გამომდინარე ვაშინგტონმა დაინახა, რომ საბჭოეთს ეშინოდა სთი-ის. საბჭოთა ლიდერები ხვდებოდნენ, რომ ეს ინიციატივა არღვევდა ასეთი ძალისხმევით ჩამოყალიბებულ გარკვეულ ბიპოლარულ თანასწორობასა და სტაბილურობას. მათი აზრით, ეს

პროგრამა შეარყევდა მსოფლიოში არსებულ სტრატეგიული სტაბილურობის საფუძვლებს.

სწორედ ამ მიზეზით საბჭოთა მთავრობა ამ ინიციატივას არა თუ ნეგატიურად, არამედ ლამის ისტერიულად შეხვდა. რეიგანის გამოსვლიდან 4 დღის შემდეგ გამძვინვარებულმა იური ანდროპოვმა განაცხადა, რომ ამერიკა პირველ დარტყმას ამზადებდა საბჭოთა კავშირზე და ხაზს უსვამდა, რომ რეიგანი ახალ გეგმებს ამზადებდა წყალბადის ომის დასაწყებად და იმედოვნებდა მასში გამარჯვებას (Fischer 1997: 17). ამერიკული დაზვერვის ექსპერტის ბენ ფიშერის აზრით, ანდროპოვის ეს განცხადება უპრეცედენტო იყო, ვინაიდან არღვევდა ძველ ტაბუს, რომლის მიხედვითაც საბჭოთა მასმედიაში არ ახსენებდნენ ამერიკული წყალბადის არსენალის ფაქტობრივ მონაცემებს. 1953 წლის შემდეგ საბჭოთა ლიდერი პირველად აცნობდა საბჭოთა მოსახლეობას, რომ ქვეყანა წყალბადის იარაღით განადგურების უშუალო საშიშროების წინაშე იდგა (Fischer 1997: 17).

და მართლაც, მოსკოვის რეაქცია იყო შოკისა და დიდი შიშის სინთეზი. როგორც ალექსანდრე ბესმერტნიხი, შვედრენდამის შემდეგ, საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი, იხსენებდა – სტრატეგიული ინიციატივა ჯერ, გარკვეულ ფანტაზიით აღიქვას, მაგრამ თანდათანობით იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ რაღაც ძალიან სახიფათო ხდებოდა. იური ანდროპოვმა კი, ერთი თვის თავზე პირდაპირ განაცხადა საჯარო გამოსვლაში, რომ ამერიკას უნდა გლობალური უპირატესობა და ამ ინიციატივის მეშვეობით სურს საბჭოთა კავშირის განიარაღებაო (Schweizer 2002: 151.) „ნიუ იორკ თაიმსში“ გამოქვეყნდა 200 საბჭოთა მეცნიერის წერილი, რომელიც კატეგორიულად აპროტესტებდა სტრატეგიული თავდაცვის ინიციატივას.

ბუნერივია, საბჭოთა კავშირმაც დაიწყო კონტრზომების მიღება. საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე პრეზიდენტის ევგენი ველოხოვის მეთაურობით შეიქმნა ჯგუფი, რომელმაც რამოდენიმე თვის მუშაობის შემდეგ, 1983 წლის ბოლოს, დაასკვნა რომ თავდაცვის ასეთი სისტემა მომავალი 15-20 წლის მანძილზე ვერ შეიქმნებოდა. სამაგიეროდ ეს პროგრამა ახალ ტექნოლოგიებს განავითარებდა ამერიკაში, რომლებიც, თუმცა საბჭოთა თავდასხმას სრულად ვერ შეაჩერებდა, მაგრამ გარკვეულ დონეზე შექმნიდა ანტი-

სარაკეტო თავდაცვის ახალ მექანიზმებს და ეს იყო ამ პროგრამის მთავარი საფრთხე.

როგორც საბჭოთა კავშირის გენერალურ შტაბში მომუშავე წამყვანი სამხედრო მეცნიერი გენერალი ვლადიმერ სლიპჩენკო იხსენებდა, თავდაცვის სტრატეგიულმა ინიციატივამ მთელი სამხედრო ისტებლიშმენტი შიშისა და შოკის მდგომარეობაში ჩააგდო, რადგანაც მათ იცოდნენ, რომ ამერიკის სამეცნიერო და ფინანსური შესაძლებლობებიდან გამომდინარე იგი შეიძლება რეალური ყოფილიყო, ხოლო სუსტი ეკონომიკის გამო საბჭოთა კავშირი არ იყო მზად ადეკვატურად ეპასუხა. ცენტრალური სადაზვერვო სამსახურის უფროსიც საკუთარ წყაროებზე დაყრდნობით ასკვნიდა, რომ მოსკოვი არ იყო დარწმუნებული საკუთარ ძალებში და მიაჩნდა, რომ ჩაიძირებოდა ამ ტექნოლოგიურ შეჯობრში. მისი ანგარიშის მიხედვით ითვლებოდა, რომ თუ რეიგანი მტკიცედ იდგებოდა თავისაზე მოსკოვი მეტად ძვირადღირებული არჩევნის წინაშე დადგებოდა – საბჭოელები ან უნდა აყოლოდნენ რეიგანის პროგრამას, ან უნდა ჩაეშალათ იგი. ორივე არჩევანი მოითხოვდა უდიდეს ცვლილებებს, რომელთაც ისინი ალბათ ვერ განახორციელებდნენ (Schweizer 2002: 152).

რეიგანს მიაჩნდა, რომ ეს ინიციატივა აიძულებდა საბჭოთა კავშირს გარკვეულ დათმობებზე წასულიყო მშვიდობისკენ მიმავალ გზაზე, რათა ორივე ქვეყანა გარანტირებული განადგურების პოლიტიკის მაგივრად გარანტირებული გადარჩენის პოლიტიკაზე გადასულიყო. რეიგანი იმასაც იხსენებდა, რომ ბევრს, და მათ შორის საბჭოელებსაც, მიაჩნდათ, რომ რეიგანს ეს ინიციატივა საბჭოეთთან სავაჭროდ სჭირდებოდა, მაგრამ იგი არავითარ ფასად არ აპირებდა ამი იდეის, ანუ ამერიკის უსაფრთხო მომამკლის იდეის, დათმობას, რაც ღამტკიცა კიდევ თავის პრეზიდენტობის მეორე ვადაში გორბაჩოვთან გამართულ მოლაპარაკებებში. ამ მოლაპარაკებების მთავრი საკითხი კი მუდამ სწორედ სტრატეგიული თავდაცვის ინიციატივა იყო. (ეს პროცესი დიდებულად აღწერა ცნობილმა ამერიკელმა მეცნიერმა და დიპლომატმა ჯეკ მატლოკმა (Matlock 2004).

ბუნებრივია, ამ მოკლე სტატიაში შეუძლებელია სტრატეგიული თავდაცვის ინიციატისთან დაკავშირებული ყველა მოვლენის განხილვა ან გაანალიზება, მაგრამ, როგორც შემდგომმა მოვლენებმა დაგ-

ვანახეს, სწორედ ეს ინიციატივა იყო ის ერთ-ერთი უმთავრესი ძალა, რომელმაც აიძულა საბჭოთა კავშირი მნიშვნელოვან კომპრომისებზე წასულიყო და ცივი ომის დასრულების წინაპირობები შეექმნა.

დამოწმებანი:

Cannon, Lou. "President Reagan: The Role of a Lifetime". *Public Affairs*. New York, 2000.

Dueck, Colin. *Hard Line: The Republican Party and US Foreign Policy Since World War II*. Princeton University Press, 2010.

Fischer, Ben B. *A Cold War Conundrum: The 1983 Soviet War Scare*. Intelligence Monograph, Central Intelligence Agency, 1997.

Matlock, Jack F. Jr. *Reagan and Gorbachev: How the Cold War Ended*. N.Y.: Random House, 2004.

Reagan, R. *Reagan's Star Wars Speech*. March 23, 1983. <http://www.onlineuniversity.net/history/reagans-star-wars-speech/>

Schulzinger, Robert D. *US Diplomacy Since 1900*. Oxford University Press, 2002

Schweizer, Peter. *Reagan's War*. New York, London: Doubleday, 2002.

VASIL KACHARAVA

Preofessor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Head of TSU American Studies Institute

ABSTRACT

THE FIRST EFFECT OF RONALD REAGAN'S STRATEGIC DEFENSE INITIATIVE ON US-USSR RELATIONS

The article deals with Ronald Reagan's Strategic Defense Initiative and its initial effects on US-USSR relations. Reagan launched this initiative as a more effective alternative to the theory of Mutual Assured Destruction (MAD). He

hoped that SDI would facilitate to replace MAD by Mutual Assured Survival policy. The author argues that Moscow's first reaction to this initiative was a kind of mix of shock and great fear. This very initiative was one of the factors which forced the Soviet Union to make compromises and it also served as a precursor of the end of the Cold War.

გიორგი ჯიბაშვილი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ისტორიის დოქტორი

ვაზინგბონის მასაჲ ჯონფარენცია - მოაჯვირათა დიჯლომატიური მანჯრეხი მჲორა ფრონბის განსნის აღგილისა და დროის ზანახე

1943 წლის გაზაფხულზე დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ს შეიარაღებულმა ძალებმა ჩრდილოეთ აფრიკაში გერმანიისა და იტალიის ჯარების წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი შეტევა წამოიწყო, რომელიც მაისის შუა რიცხვებში ამ უკანასკნელთა დამარცხებით დამთავრდა. მოვლენათა ამგვარმა განვითარებამ უკიდურესად გაართულა ღერძის სახელმწიფოთა მდგომარეობა. ჩრდილოეთ აფრიკის დაკარგვის შემდეგ გერმანელებს სერიოზული საფრთხე ახლა უკვე ევროპის დასავლეთ და სამხრეთ ნაწილიდანაც დაემუქრათ, ხოლო ევროპაში მათი მთავარი მოკავშირე იტალია კი უშუალო დარტყმის წინაშე აღმოჩნდა. შექმნილმა ვითარებამ საჭირო გახდა დიდი ბრიტანეთისა და შეერთებული შტატების მთავრობებს ერთმანეთთან შეეთანხმებინათ შემდგომი საომარ მოქმედებათა სტრატეგია. ამ მიზნით 1943 წლის 12 მაისს ვაშინგტონში შედგა მორიგი შეხვედრა რუზველტსა და ჩერჩილს შორის (კონფერენციის კოდური სახელწოდება „ტრაიდენტი“). უნდა აღინიშნოს, რომ კონფერენციაზე ორივე მხარეს მკაფიოდ ჩამოყალიბებული პოზიციები გააჩნდა. ინგლისელები ხმელთაშუა ზღვის რაიონში საბრძოლო მოქმედებების გაფართოებით იყვნენ დაინტერესებულნი, რაც სიცილიის დაკავების შემდეგ მოკავშირეთა ჯარების აპენინის ნახევარკუნძულზე შეჭრას ითვალისწინებდა (Говард 1980: 289). ინგლისელებისაგან განსხვავებით, ამერიკელები უპირატესობას ტრანსლამანშური სტრატეგიის რეალიზაციას ანიჭებდნენ (Leahy 1950: 157). დიდი ბრიტანეთის პრემიერის შეხედულებით, ხმელთაშუა ზღვის რაიონში მოკავშირეთა მთავარი ამოცანა იტალიის ომიდან გამოთიშვა იყო. იმ შემთხვევაშიც კი თუ ეს ძალისხმევა გერმანიის ნაადრევ კრახს არ გამოიწვევდა, მას შეეძლო მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოეხდინა

თურქეთსა და ბალკანეთზე. ჩერჩილის მტკიცებით, ბალკანეთში იტალიის 25 დივიზია იმყოფებოდა და მისი ომიდან გამოსვლის შემთხვევაში გერმანია იბულებული გახდებოდა სსრკ-ს ფრონტიდან საკუთარი დივიზიები მოეხსნა და ბალკანეთში განელაგებინა, ან საერთოდაც კი დაეტოვებინა ეს რეგიონი. გარდა ამისა, იტალიის კაპიტულაციის შედეგად მისი ფლოტი მოკავშირეთა ხელში გადავიდოდა, რაც, ჩერჩილის აზრით, ინგლისური სახაზო გემებისა და ავიამზიდების მნიშვნელოვან ნაწილს გამოათავისუფლებდა, რომელიც, შესაძლებელი იყო, ბენგალიის ყურესა და წყნარ ოკეანეში იაპონიის წინააღმდეგ გამოეყენებინათ (Eisenhower 1948: 187-188). ინგლისის პრემიერის შეხედულებით, სწორედ აღნიშნული ღონისძიებები წარმოადგენდა სსრკ-სათვის დახმარების ყველაზე ეფექტურ საშუალებას. რაც შეეხება ევროპაში შეჭრას, ჩერჩილმა მიზანშეწონილად ჩათვალა მისი 1944 წლისათვის გადატანა. თუმცა წარმატების რეალური გარანტიის არქონის შემთხვევაში ის აღნიშნული ღონისძიების კიდევ უფრო შორს გადადების შესაძლებლობასაც არ გამორიცხავდა (Leahy, 1950, 159). სწორედ ამიტომაც ინგლისის პრემიერი საჭიროდ თვლიდა, აშშ-სა და დიდ ბრიტანეთს სიცილიის დაკავების შემდეგ საბრძოლო მოქმედებები საკუთრივ იტალიის ტერიტორიაზე გადაეტანათ, რათა მოკავშირეთა ჯარები ლა-მანშის ფორსირებამდე, მთელი ამ ხნის განმავლობაში, უმოქმედოდ არ ყოფილიყვნენ (FRUS, 1970, 25).

პრეზიდენტი რუზველტი მოწონებით შეხვდა ჩერჩილის წინადადებას მეორე ფრონტის გახსნის 1944 წლამდე გადადების შესახებ. მან ასევე კმაყოფილება გამოთქვა ომში თურქეთის მოსალოდნელ ჩართვასთან დაკავშირებით, რომელიც შეიძლებოდა მოკავშირეთათვის მნიშვნელოვანი ბაზა გამხდარიყო სსრკ-ს ფრონტზე გერმანელთა კომუნიკაციებზე საჰაერო იერიშების მისატანად. სამაგიეროდ, აშშ-ს პრეზიდენტმა მიზანშეწონილად მიიჩნია სიცილიის დაკავების შემდეგ ხმელთაშუა ზღვის რაიონში ინგლის-ამერიკის ჯარების მხრიდან საომარი მოქმედებების გაფართოება. რუზველტის შეხედულებით, იტალიის ოკუპაცია მოკავშირეთა რესურსების გამოფიტვას გამოიწვევდა, რაც ხელსაც კი შეუწყობდა იქ მყოფი გერმანული დივიზიების გამოათავისუფლებას სხვადასხვა ფრონტებზე

საბრძოლველად (Черчилль, 1991, 647). ამიტომ ოპერაცია „ჰასკის“ დასრულების შემდეგ მოკავშირეთა ჯარები ლა-მანშის ფორსირებისათვის უნდა მომზადებულიყვნენ, რომელიც, მისი აზრით, ყველაზე საუკეთესო გზა იყო გერმანიის დასამარცხებლად.

აშშ-ს პრეზიდენტის საპასუხოდ ჩერჩილმა აღნიშნა, რომ რამდენადაც ლა-მანშის ფორსირება არ განხორციელდებოდა, აუცილებელი იყო მოკავშირეებს თავიანთი მრავალრიცხოვანი ძალები იტალიაში შესაჭრელად გამოეყენებინათ. ინგლისის პრემიერის შეხედულებით, მათ ამისათვის არა მთელი იტალიის, არამედ ამ ქვეყნის მხოლოდ პორტებისა და აეროდრომების ოკუპაცია მოუწევდათ. ყოველივე ეს კი აუცილებელი იყო ბალკანეთსა და სამხრეთ ევროპაში შემდგომი ოპერაციების საწარმოებლად. თუმცა, მიუხედავად დიდი მცდელობისა, ჩერჩილმა ვერ შეძლო რუზველტი ხმელთაშუაზღვისპირეთში საბრძოლო მოქმედებების გაფართოებაზე დაეთანხმებინა. როგორც ჩანს, ამერიკელები უკვე საბოლოოდ დარწმუნდნენ იმაში, რომ ინგლისელები მათი შეიარაღებული ძალებისა და სამხედრო დახმარების გამოყენებით საკუთარი პოზიციების გამყარებას ცდილობდნენ. გარდა ამისა, ამერიკელებისათვის ისიც ცხადი იყო, რომ ხმელთაშუა ზღვისპირა სტრატეგიის რეალიზაციას შეეძლო მკვეთრად გაეუარესებინა წყნარი ოკეანის ფრონტზე აშშ-ს მდგომარეობა (Говард, 1980, 302).

საბოლოოდ, ვაშინგტონის კონფერენციაზე მოკავშირეთა გაერთიანებული შტაბის წარმომადგენელთა შეხვედრებზე, მხარეებმა მოახერხეს ერთგვარი კომპრომისის მიღწევა. გადაწყდა, რომ ძირითად სამხედრო ღონისძიებად ლა-მანშის ფორსირების ოპერაცია მიჩნეულიყო, რომელიც მოკავშირეებს 1944 წლის 1 მაისამდე უნდა განეხორციელებინათ (მაღლე აღნიშნულმა ოპერაციამ კოდური სახელწოდება „ოვერლორდი“ მიიღო). ამისათვის დაგეგმილი იყო 1943 წლის 1 ნოემბრის შემდეგ ბრიტანეთის კუნძულებზე 4 ამერიკული და 3 ინგლისური დივიზიის თავმოყრა, რომლებსაც აშშ-დან ყოველთვიურად 3-5 ამერიკული დივიზია შეემატებოდა (Шервуд, 1958, 408). ხოლო რაც შეეხება საკუთრივ ხმელთაშუა ზღვის რაიონში განსახორციელებელ სამხედრო ღონისძიებებს, კონფერენციის გადაწყვეტილებით, დ. ეიზენჰაუერს დაევალა შეე-

მუშავებინა სიცილიის დაკავების ოპერაციაზე უფრო მასშტაბური გეგმა იმ შემთხვევისათვის, თუ „ჰასკის“ რეალიზაციას იტალიის კაპიტულაცია არ მოჰყვებოდა (Шервуд, 1958, 408). სწორედ აღნიშნული დადგენილებით იყო გამოწვეული ვაშინგტონის სამიტის დასრულებისთანავე ჩერჩილის ალჟირში, დ. ეიზენჰაუერის შტაბში, ჯ. მარშალისა და ა. ბრუკის თანხლებით გამგზავრება. როგორც ჩანს, ბრიტანეთის პრემიერს განზრახული ჰქონდა მოკავშირეთა მთავარსარდალი ოპერაცია „ჰასკის“ რეალიზაციის შემდეგ იტალიაში შეჭრაზე დაეთანხმებინა. ინგლისელთა შეხედულებით, იტალიის ომიდან გამოსვლით გერმანია იძულებული იქნებოდა ბალკანეთში განლაგებული იტალიური დივიზიები საკუთარით შეეცვალა, რაც მათ ძალებს კიდევ უფრო დაფანტავდა. ყოველივე ამას კი შეეძლო შემდგომში გავლენა ლა-მანშის ფორსირებაზეც მოეხდინა. ბრიტანელთა თვალსაზრისით, მოკავშირეებს საფრანგეთში შეჭრა იმ შემთხვევაში გაუადვილდებოდათ, თუ გერმანელები მოკლებულნი იქნებოდნენ სწრაფი კონტრშეტევის განხორციელების საშუალებას. დასავლეთ ევროპაში შეჭრისათვის კი მოკავშირეები, ჩერჩილის თქმით, მზად 1944 წლის 1 მაისისათვის უნდა ყოფილიყვნენ, როდესაც მათ განკარგულებაში 29 დივიზიისაგან შემდგარი საექსპედიციო არმია იქნებოდა. თუმცა, ყოველივე ამის მიუხედავად, ბრიტანეთის პრემიერი გერმანიის დამარცხების უეცარი საფრთხის შექმნის შემთხვევაში, დიდი ძალების მონაწილეობით ლა-მანშის გადალახვის შესაძლებლობასაც არ გამორიცხავდა. ამისათვის, მისი აზრით, აუცილებელი იყო აღნიშნული ღონისძიებისათვის მოკავშირეებს შესაბამისი გეგმები შეემუშავებინათ. რაც შეეხება ხმელთაშუა ზღვის რაიონში საწარმოებელ ოპერაციებს, ინგლისის პრემიერის შეხედულებით, მოკავშირეთა მხრიდან სიცილიის იოლად დაკავების შემთხვევაში, მათ იტალიაზე შეტევა მხოლოდ იმ პირობით უნდა განხორციელებინათ, თუ აპენინებზე გერმანელთა დიდი ძალების გადასროლა არ მოხდებოდა (Черчилль 1991: 652-653). საინტერესოა აღინიშნოს ის, რომ ეიზენჰაუერთან გამართულ შეხვედრებზე ინგლისელები ხშირად აქცენტს ფორსირებაზე აკეთებდნენ. ამ გზით, სავარაუდოა, მათ ამერიკელებისაგან ხმელთაშუა ზღვის რაიონში საბრძოლო მოქმედებათა გაფართოებაზე თანხმობის

მიღება სურდათ. თუმცა ბრიტანელების ამ ძალისხმევას იმედგაცრუება ელოდა. აშშ-ს არმიის გაერთიანებული შტაბის უფროსმა ჯ. მარშალმა მიზანშეუწონლად მიიჩნია მოკავშირეებს სიცილიის დაკავებამდე აპენინებზე შეჭრის გადაწყვეტილება მიეღოთ. ბრიტანელებისაგან განსხვავებით მარშალი თვლიდა, რომ იტალიის ომიდან გამოთიშვა საჰაერო დაბომბვების გზითაც შეიძლებოდა (Ундасынов, 1965, 88). ამისათვის საჭირო იყო მოკავშირეებს იერიში არა საკუთრივ იტალიაზე, არამედ სარდინიასა და კორსიკაზე მიეტანათ და იქ არსებულ აეროდრომებს დაჰატრონებოდნენ. გარდა ამისა, მისი აზრით, ამ სამხედრო ღონისძიებას ის უპირატესობაც გააჩნდა, რომ აღნიშნული კუნძულების დაკავება დიდი ძალების მონაწილეობის გარეშეც იყო შესაძლებელი (პაპასქირი, 2002, 97). ჯ. მარშალისაგან განსხვავებით ეიზენჰაუერი თვლიდა, რომ თუ მოკავშირეებს იტალიის ომიდან გამოთიშვა სურდათ, მათ შეტევა სიცილიის ოკუპაციის შემდეგ აპენინებზე უნდა მიეტანათ, რაც უფრო მეტ შედეგს მოიტანდა, ვიდრე კუნძულების დაკავება. გარდა ამისა, მისი აზრით, სიცილიის დაკავების შემდეგ მოკავშირეებს იმაზეც შეეჭმნებოდათ წარმოდგენა, თუ რა წინააღმდეგობების გადალახვა მოუხდებოდათ მათ უშუალოდ იტალიის ოკუპაციის შემთხვევაში (Черчилль, 1991, 652). საბოლოოდ, ალჟირში გამართული შეხვედრები კონკრეტული შედეგების მიღწევის გარეშე დასრულდა. დიდი მცდელობის მიუხედავად, ინგლისის პრემიერმა ვერ მოახერხა მარშალი იტალიაში შეჭრაზე დაეყოლიებინა. აშშ-ს არმიის გაერთიანებული შტაბის უფროსის პოზიცია გადამწყვეტი აღმოჩნდა. აპენინებზე შეჭრის საკითხის განხილვა სიცილიის აღებაამდე გადაიდო.

დამოწმებანი:

პაპასქირი, თ. მეორე ფრონტის მომზადებისა და გახსნის პრობლემა აშშ-*inglisis diplomatiaSi 1941-1943*. Tb., 2002.

Einsenhower, D. *Crusade in Europe*. N. Y., 1948.

FRUS. *The Confernces at Washington and Quebec, 1943*. Wash., 1970.

Leahy, W. *I Was There*. N.Y., 1950.

Говард, М. *Большая стратегия. Август 1942-Сентябрь 1943*. М., 1980.

Ундасынов, Н. *Рузвельт, Черчилль и второй фронт*. М., 1965.

Черчилль, У. *Вторая мировая война. Кн. 2*. М., 1991.

Шервуд, Р. *Рузвельт и Гопкинс. Глазами очевидца. Кн. 2*. М., 1958.

GIORGI KVITASHVILI

Doctor of History, Akaki Tsereteli State University,

ABSTRACT

THIRD WASHINGTON CONFERENCE – ALLIED DIPLOMATIC MANEUVERS ABOUT THE PLACE AND TIME OF OPENING OF THE SECOND FRONT

In Spring 1943, the armed forces of the USA and Great Britain began to attack German-Italian troops in the North Africa and the latter's were badly defeated in the middle of May: after the Germans lost control over the North Africa they now began to face another threat from the West Europe as well as from the south, while their major ally was suffering from the attacks from England and the USA. This made the USA and Great Britain work out further prospective together. For this purpose a meeting was held between Churchill and Roosevelt in Washington on May 12, 1943. At the conference (May 12-15) W. Churchill announced about their intention to implement military actions in Italy and thus to keep the allied forces active until the operation in La Manche. As for the plan of entering Europe, the Prime Minister considered it more reasonable to postpone it until 1944. President Roosevelt approved this proposal. Instead he considered it unrealizable the extension of the hostilities from the USA and Great Britain side after occupation of Sicily. He also intended to widen military actions in the Mediterranean Sea after occupying Sicily. According to Roosevelt calculation this should assist to keep German troops busy and thus to allow them fight on other fronts. Finally the two sides could come to an agreement. Forcing La Manche was considered to be of the major importance and it was to have been carried out by May 1, 1944.

ნესტან ჯაბიჯაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო

უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

1860-იანი წლების ჟურნალ „ცისკარის“ პუბლიცისტიკის ამერიკის შესახებ

ჟურნალი "ცისკარი" XIX საუკუნეში, 1852-53 და 1857-75 წლებში, გამოდიოდა. თბილისში გიორგი ერისთავის მიერ დაარსებულ ბეჭდურ ორგანოს 1857 წლიდან ბოლომდე გამოჩენილი ქართველი მოღვაწე ივანე კერესელიძე რედაქტორობდა. ჟურნალმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საქართველოს საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებაში. გარდა იმისა, რომ მისი ფურცლებიდან მაშინდელი საზოგადოება ქართველი მწერლების ჯერ კიდევ ხელნაწერებად არსებულ თხზულებებს კითხულობდა და ახალ ნაწარმოებებს ეცნობოდა, ჟურნალი სისტემატურად აქვეყნებდა ინფორმაციას უცხოეთის საზოგადოებრივი ცხოვრების, კულტურული ვითარებისა და ისტორიული ყოფის შესახებაც. სხვადასხვა შინაარსისა და შეხედულებების ავტორთა პუბლიკაციებით გამოცემის მესვეურები, გარდა იმისა, რომ მკითხველის თვალსაწიერს აფართოვებდნენ, ხელს უწყობდნენ საზოგადოებრივი აზრის გააქტიურებასაც. სიმბოლურია, ალბათ, ისიც, რომ ქართველმა "თერგდალეულებმა" პირველი წერილები სწორედ აქ გამოაქვეყნეს (*ქართული მწერლობა* 1984: 412). მიუხედავად იმისა, რომ "ცისკარი" თავისი არსებობის განმავლობაში ყოველთვის ერთნაირად წარმატებული არ ყოფილა, მისი მნიშვნელობა ძალიან დიდია. ამ გამოცემის ავტორებსაც და მესვეურებსაც ზედმიწევნით სწორად ესმოდათ ჟურნალის როლი საზოგადოებრივი, ეროვნული თუ სოციალური აზროვნების ფორმირების პროცესში.

თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მკითხველიც, ფაქტობრივად, მაშინ ყალიბდებოდა და ხელმომწერთა რაოდენობა მხოლოდ რამდენიმე ათეულით შემოიფარგლებოდა, უადრესად დასაფასებელია "ცისკარის" თანამშრომელთა თავდადება საკუთარი ქვეყნის წინაშე. "ეს იყო მკითხველთა შემოკრების ხანა ქართულ ჟურნალისტიკაში და "ცისკარი" ასე თუ ისე აკმაყოფილებდა ყველა სოციალური ფენისა და

მოძხადების მკითხველთა ინტერესებს, – ანგარიშს უწევდა მემამულეთა, ვაჭართა, ხელოსანთა, მრეწველთა, მოსწავლეთა, სასულიერო პირთა, უწინარეს ყოვლისა, დემოკრატიული ფენების, კერძოდ, გლეხობის მოთხოვნებს. კითხვის წყურვილის გაღვივება, სათანადო ჩვევის გამომუშავება მოითხოვდა, რომ ჟურნალი ყოფილიყო არა მარტო სასარგებლო, არამედ გასართობიც" (კალანდაძე 1984: 96).

ასეთი მიზნის განხორციელება ნამდვილად არ იყო იოლი საქმე. პუბლიკაციებში წამოჭრილი პრობლემები არცთუ იშვიათად იყო საგანი მწვავე განსჯისა, რომელსაც თავად უხსნიდა გზას პერიოდული ორგანო. დღეს ზოგიერთი ასეთი ჩანაწერი ზედმეტად პრიმიტიულადაც შეიძლება მოგვეჩვენოს და არც არაფერს აძლევდეს მკვლევარს, მაგრამ ვაწვდის უტყუარ ინფორმაციას მაშინდელი საზოგადოების შეხედულებებისა თუ პრობლემების შესახებ. ჟურნალში გამოქვეყნებული წერილები სოციალური ყოფის თითქმის ყველა სფეროს მოიცავდა: ვაჭრობიდან დაწყებული ბუნების მოვლენებით დამთავრებული. ამ თვალსაზრისით, გამოცემა ენციკლოპედიურ ხასიათსაც ატარებდა და მასში ყველა დონის მკითხველს შეეძლო საინტერესო მასალა ეპოვა. ამასთან ერთად, ჟურნალი საკმაოდ უთმობდა ადგილს დასავლეთეუროპული ცივილიზაციის თემას და ცდილობდა აღედრა მკითხველის ინტერესი უცხოური ყოფის, მისთვის დამახასიათებელი არაერთი მოვლენის მიმართ.

ამავე კონტექსტში შეიძლება იქნეს მოაზრებული ის პუბლიკაციები, რომლებიც ამერიკას შეეხებოდა და მოიცავდა მისი ცხოვრების მრავალ სფეროს. "ცისკარი" სხვადასხვა ამბების რუბრიკაში არაერთხელ მიაწვდიდა ამერიკაში ჟურნალის გამოცემის მიმართ საგანგებო ყურადღებისა (კერესელიძე 1859) და ხელისმომწერთა დიდ რაოდენობის (15.000 კაცი) შესახებ (კერესელიძე 1860), რაც შემთხვევითი არ არის. მაშინ ამ საკმაოდ რთული საქმის ორგანიზატორები ამგვარ ფაქტებზე აქცენტირებით ცდილობდნენ საზოგადოებისათვის დაენახებინათ იმ საქმის მნიშვნელობა, რასაც თავად ჩაუდგნენ სათავეში და დახმარებოდნენ მათ უკუეგდოთ ის ინდიფერენტიზმი, რომელსაც არცთუ იშვიათად აწყდებოდნენ.

ამ თვალსაზრისით, საყურადღებოა ნარკვევები: "დიდი მარილის ტბა ამერიკაში" (1861), "შაქრის ნეკერჩხლის ტყეების ამერიკაში"

(1863), "მამონტის მიწის მღვიმე კენტუკში. ამერიკაში" (1863), "მარგალიტის სადაფების ჭერა კალიფორნიაში" (1864), "პირველი ოქროს პოვნა კალიფორნიაში" (1864), "ქრისტეფორე კოლუმბი" (1864). ჩვენ საგანგებოდ მხოლოდ რამდენიმეზე შევიხერდებით.

"ცისკარი" 1860-იანი წლების პირველ ნახევარში განსაკუთრებით აქტიურად აქვეყნებდა ინფორმაციას ამერიკის შესახებ. ეს პუბლიკაციები უმეტესად წარმოდგენას ქმნიდა ამერიკის ბუნებრივ სიმდიდრესა და სხვადასხვა გეოგრაფიული ადგილის თავისებურებათა შესახებ. ამ ხასიათისაა ალავიდის წერილი "დიდი მარილის ტბა ამერიკაში. იგი სხვადასხვა ამბების რუბრიკაში დაიბეჭდა 1861 წელს.

წერილი მცირე მოცულობისაა და ინფორმაციული ხასიათისაა, ავტორი ზუსტად მიანიშნებს ტბის მდებარეობას. აღნიშნავს, რომ მას კავშირი არ აქვს ოკეანესთან, ჰგავს ზღვას, არის "ანკარა ცისფერი შუაში კლდიანი კუნძულებით და სისქის გამო მასში ვერავითარი ცოცხალი არსება ვერ ძლებს (ალავიდე 1861: 240).

როგორც ჩანს, ავტორი სარგებლობს ნატურალისტ ჟიულ ფრემის მასალით. საერთოდ, მთელი პუბლიკაცია ფრემის მონათხრობს უნდა ეყრდნობოდეს. იგი აშკარად სხვა ტექსტის ფრაგმენტია. ეტყობა, მთარგმნელმა ეს მონაკვეთი საინტერესოდ მიიჩნია მაშინდელი მკითხველისათვის გასაცნობად. მისი ვინაობა საკმაოდ ძნელი დასადგენი აღმოჩნდა, რადგან ამ პერიოდის არც ერთ გამოცემაში, არც ახლო და არც მომდევნო წლებში, ამ ავტორის აღარაფერი გამოქვეყნებულა.

პუბლიკაციები ამერიკის გეოგრაფიული ადგილებისა და ბუნებრივი სიმდიდრის შესახებ აშკარად აქტუალური ჩანს 60-იანი წლების "ცისკრისათვის". ამ მხრივ, განსაკუთრებით თვალსაჩინოა გ. დიდებულის წერილები. როგორც ჩანს, იგი "ცისკრის" ერთ-ერთი აქტიური თანამშრომელი იყო და ძირითადად რუსული ენიდან თარგმნიდა მასალას სთავაზობდა რედაქციას. სხვადასხვა გამოცემაში დაიბეჭდა მის მიერ თარგმნილი ნაწყვეტი ჰიუგოს "საბრალონიდან", ასევე, წერილები შექსპირისა და ალექსანდრე მაკედონელის შესახებ და სხვ. ამის გარდა, გამოცემული აქვს წიგნები: პასტორის ცხოვრება (თბ., 1878) (ქართული წიგნი 1941: 132); იანკოს ცხოვრება, ნამდვილი ისტორიული შემთხვევა (მეორე გამოცემა, გამოცემული ივ.

გაილუკოვისაგან, 1881) (*ქართული წიგნი* 1941: 143); ასევე ღიმიტრი სოკოლოვის ნაშრომის დაწყებითი სწავლა მართლმადიდებლობითის ქრისტიანებრივის სარწმუნოებრივისა (თბ., 1879) თარგმანი (*ქართული წიგნი* 1941: 136).

1863 წლის ნოემბერში დაიბეჭდა გ. დიდებულიძის "მამონტის მიწის მღვიმე კენტუკში. ამერიკაში". გამოქვეყნებულ მასალაში არ ჩანს კონკრეტულად, რომელი პუბლიკაციიდან იხელმძღვანელა მან. ტექსტში საუბარია ამერიკის მშვენიერი ბუნების შესახებ და აქცენტირებულია მისი სიდიდე. ნათქვამია, რომ იქაური მდინარეები გვანან ზღვის ტოტებს, ტბები კი ზღვებს. საგანგებოდა აღნიშნული, რომ ასეთი მასშტაბის ვერც მთას, ვერც სათიბებს, ვერც ტყეებს, ამერიკის გარდა, ვერსად იბოვის ადამიანი.

ავტორი კონკრეტულად აღწერს ამერიკაში არსებულ მღვიმეებს შორის ყველაზე დიდსა და ყველაზე მშვენიერ მამონტის მღვიმეს. ის მღებარეობდა კენტუკში ლუიზვილის მახლობლად და წარმოადგენდა დოკტორ კრონანის საკუთრებას (დიდებულიძე 1863: 224).

როგორც ირკვევა, ამ ულამაზეს და ბუნების მიერ შექმნილ საოცარ მიწისქვეშა სამყაროში უხვად მოიპოვებოდა თეთრი და ულამაზესი სტალაკტიტები, რომლებიც ძვირფასი ქვების მსგავსად სხვადასხვა ფერად ბრწყინავდნენ. მღვიმეს ჰქონდა დიდი დარბაზი და ზედ მოედინებოდა რამდენიმე მიწისქვეშა მდინარე, მიემართებოდა სხვადასხვა მხარეს და მთავრდებოდა ერთ დიდ კლდეში.

აღნიშნულია, რომ მამონტის მღვიმეშიც იქნა ნაპოვნი ინდიელების ამერიკის უძველესი ხალხის მუმიები. ამით მეცნიერებს საფუძველი ჰქონდათ ეფიქრათ, რომ ისინი სხვა ხალხის შთამომავლები იყვნენ, ვიდრე კაცნი "პოვნილნი ევროპელთაგან ამერიკის გამოჩენის დროს". ასევე დასტურდება, რომ კენტუკში ვერ იბოვეს ვერც ერთი ჩონჩხი (დიდებულიძე 1863: 227). ამ უსახელო შთამომავლობის ხალხს ავტორი ინდიელებზე ბევრად უფრო განათლებულად მიიჩნევს და გამოთქვამს ვარაუდს, რომ ისინი მღვიმეებში მარხავდნენ თავიანთ მიცვალებულებს, აქვე ცხოვრობდნენ თავადაც, მუშაობდნენ და მხიარულობდნენ, რასაც იქ ნაპოვნი არტეფაქტებით ადასტურებს ავტორი.

პუბლიკაციაში მოთხრობილია ასევე ამერიკელი უარდის მიერ

ქვესკნელის სამეფოში ნაპოვნ ექვსი ფუტის სიგრძის ქალის მუშიაზე. მნიშვნელოვანია აგრეთვე ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მღვიმეში ჩადიან სნეულნი და ერთი კვირის შემდგომ ამოდიან გამოჯანმრთელებულები. აღნიშნულია ისიც, რომ თუ დოქტორი კრონანი გაწმენდს ჰაერს თავის ვრცელ მღვიმეში და იქ გააკეთებს სახლებს, შემდეგ კი ქირით მისცემს ავადმყოფებს, იქიდან ამოიყვანს მორჩენილებსა და შრომისუნარიანებსო (დიდებულიძე 1863: 229). დასასრულ მითითებულია ისიც, რომ მამონტის მღვიმე მას სიდიდის გამო ეწოდება, თორემ მამონტის ძვლები იქ არავის უპოვია.

1864 წელსაც რამდენიმე ნომერში დასტაბა ინფორმაცია ამერიკის შესახებ. იანერის ნომერში დაიბეჭდა ისევ გ. დიდებულიძის თარგმნილი "მარგალიტის სადაფების ჭერა კალიფორნიაში".

წერილის მიხედვით, "ქვენა კალიფორნიის" ქალაქ ლაპაზში სამხედრო სამსახურში მყოფი და ერთგვაროვანი ცხოვრებისაგან დაღლილი ოთხი "სალდათი" მარგალიტის სადაფების ჭერაში იღებს მონაწილეობას და გვიამბობს საკუთარ შთაბეჭდილებას (დიდებულიძე 1864, №1: 3).

არაჩვეულებრივი ოსტატობით არის აღწერილი ამერიკის ღამის პეიზაჟი - "დაბინდებისას გაღებურა ზღვის ტოტს სხვა ცა, მოჭვდილი ვარსკვლავებით და განათებული მთვარეთი; წყალზედ ბრწყინავდნენ მილიონი ფასფორის ცეცხლები, ზურმუხტის ფრთათ" (დიდებულიძე 1864, №1: 4). აქვე ისიცაა აღნიშნული, რომ კუს "პერექლი" უწინ უფრო მეტად იყო აღებ-მიცემობის საგანი, მაგრამ "იანკების" მიერ ახალი ნივთების გამოგონებით ამერიკული კუს სავარცხლები უკვე გადიოდა მოდიდან და მისი უმეტესი ნაწილი ევროპაში გაჰქონდათ (დიდებულიძე 1864, №1: 7).

საკმაოდ საინტერესოდ აღწერს ავტორი სადაფების ჭერის პროცესს, რომელიც, როგორც ირკვევა, ეგზოტიკური და მშვენიერი ეპიზოდების შემცველია. ასი ზანგი ცვიოდა წყალში, თამაშობდა, სდებდა სანაძლეოს, თუ რომელი მათგანი უკეთ ჩახტებოდა ან ვინ უფრო ღრმად ჩაყვინთავდა, ორი საათის შემდეგ კი კარგი ნადავლით ბრუნდებოდნენ ნაპირზე - აღნიშნავენ თვითმხილველები. აქვე იმის შესახებაცაა მოთხრობილი, რომ კალიფორნიის ზღვის ტოტის მცხოვრებნი არიან სონარის შტატიდან და დაუდევრობითა

და სიზარმაცით გამოირჩევიან. ნახევარ წელიწადს ისინი სადაფის ჭერაში ატარებენ, მეორე ნახევარს კი ჩხუბში იმათთვის, ვინ უფრო კარგ ქირას მისცემთ. რაკი სხვა საქმეს არ მისდევენ, თავისუფალი დრო სმასა და ფულზე თამაშში გაჰყავთ (დიდებულიძე 1864, №1: 12).

ტექსტში არც ის ასპექტია უყურადღებოდ დატოვებული, რომ მარგალიტი ადრე უფრო ძვირფას სამკაულად ითვლებოდა, იმ პერიოდში კი უმეტესად რუსეთში მიჰქონდათ გასაყიდად.

ერთგვარი რიტუალის სახე ჰქონია მარგალიტის ჭერის სეზონის დამთავრებასაც. ჭერის ბოლო დღეს ინდიელები თურმე თავის ლერწმის ქოხებს ცეცხლს უკიდებდნენ და დიდ შექცევას მართავდნენ. "არ გასულა ერთი თვე, რომ ისინივე ინდოელნი, რომელნიც მაშინ ისე მეგობრულათ გვეპყრობოდნენ ჩვენ, გვესროდენ მშვილდ-ისარსა, გაკეთებულსა ისევ იმავე რკინის ხისაგან, რომლითაც ისინი ჰგლეჯენ კლდიანის ზღვის ძირს სადაფებსა" (დიდებულიძე 1864, №1: 16). ამგვარად მთავრდება ეს პუბლიკაცია, რომელშიც საკმაოდ დეტალურად არის აღწერილი, როგორ მოიპოვებენ მარგალიტებს ინდიელები და როგორ ჰყიდიან თავიანთ წილსაც იმავე ადამიანს, ვისთვისაც მუშაობენ.

ამავე წლის თებერვლის "ცისკარში" კვლავ იბეჭდება გ. დიდებულიძის წერილი "პირველი ოქროს პოვნა კალიფორნიაში" (დიდებულიძე 1864, №2). იგი ეყრდნობა საფრანგეთის გვარდიის ოფიცრის სუტერის მონათხრობს. სუტერმა დატოვა საფრანგეთი და დასახლდა კალიფორნიაში. დიდებულიძე წერს, რომ "ამ აფიცერმა, დიდი ხანი არ არის, რაც გამოსცა მოკლე ზაპისკა იმაზედ, თუ რა რიგათ მოხდა პირველათ ოქროს გამოჩენა კალიფორნიაში" (დიდებულიძე 1864, №2: 120). თავის პუბლიკაციაში იგი მიჰყვება სუტერის ნაამბობს. "ზაპისკაში", როგორც ავტორი უწოდებს, აღწერილია ის ემოცია, რაც მოჰყვა ამ ძვირფასი ლითონის აღმოჩენას. სუტერის მონათხრობსა და, შესაბამისად, თარგმანში აქცენტია გაკეთებული იმ სიზარბეზე, რომელიც თან ახლდა გამდიდრების დაუოკებელ სურვილს. ამის დასტურად მოყვანილია ორი მაგალითი: პირველი შეეხება ერთ-ერთი მუშის დასაფლავების ფაქტს. მიცვალებულისათვის ანდერძის აგებისას გაგრძელებული ქადაგების მოსმენა ხალხმა ვერ შეძლო,

მოთმინებადაკარგულმა კუბოს ირგვლივ მიწის ხელით სინჯვა დაიწყო, ხოლო, როდესაც იქ ოქრო აღმოაჩინეს, უკვე ჩასვენებული კუბო სხვა ადგილას გადაიტანეს და მადნის ამოღებას შეუდგნენ (დიდებულიძე 1864, №2: 126-127).

მეორე კი იმ უგუნურებას, რაც საკმაოდ ხშირად ახლდა ოქროს მოპოვებას. მეზღვაურმა დიდძალი ოქრო მოაგროვა, მაგრამ არ იცოდა როგორ მოეხმარა იგი. ერთხელაც ადგა, იყიდა ექვსი ძვირფასი საათი, აიღო ღორის ქონით სავსე დიდი ქვაბი, ჩაყარა მასში წვრილად დამსხვრეული საათები და შეუკეთა ძლიერი ცეცხლი. პუბლიკაცია მთავრდება იმის აღნიშვნით, რომ ეს მხოლოდ სიცოცხლე იწვევდა და არავის აკვირვებდა, რადგან კალიფორნიის მცხოვრებნი არაერთხელ ყოფილან მოწმენი მსგავსი უგუნური საქციელისა (დიდებულიძე 1864, №2: 127-128).

აქ დასრულდა სტატია, რომელშიც სწორედ ამ ფაქტებით ხდება აქცენტირება იმისა, რომ ცოდნა და ბუნებრივი სიმდიდრის მოხმარების კულტურა უაღრესად მნიშვნელოვანია ქვეყნისა და ხალხის გასამდიდრებლად.

ნოემბერში კი გამოქვეყნდა საკმაოდ ვრცელი პუბლიკაცია კალიფორნიის შესახებ. სხვა პუბლიკაციებისაგან განსხვავებით მასზე მინიშნებულია, რომ იგი რუსულიდან არის თარგმნილი გ. დიდებულიძის მიერ.

კალიფორნიის შესახებ თხრობა აქაც იმით იწყება, რომ უამრავმა ოქროსმაძიებელმა ოთხ წელიწადში ასოცკაციანი სანფრანცისკო ორმოცი ათას კაცამდე გაზარდა.

სტატიის ავტორი ცდილობს დააკმაყოფილოს საზოგადოების ინტერესი ამ უმდიდრესი ქვეყნის შესახებ. იგი აკეთებს მოკლე ისტორიულ ექსკურსს ამერიკელი ინდიელებისა და ესპანელების ურთიერთობის შესახებ, აღნიშნავს ამ უკანასკნელთა დადებით როლს მათს განვითარებაში და ურიგოსა და გასაკიცხს უწოდებს ადგილობრივთა დღესასწაულებს, თუმცა აქვე იმაზეც მიანიშნებს, რომ სწორედ ევროპელებისაგან შეიძინეს მათ თრობის დასაძრახი ჩვევა (დიდებულიძე 1864, №11: 144-145).

ავტორი შემდეგ საუბრობს, მექსიკელ მისონერთა მიერ ქრისტიანობის

გავრცელებასა და ვაჭრობის განვითარებაზე. დასძენს, რომ ამან ქვეყნის წინსვლასა და აყვავებას შეუწყო ხელი. საბოლოოდ ისინი მიხვდნენ, რომ მათთვის სასარგებლო იყო დაახლოება "სახარების მქადაგებლებთან და კმაყოფილებით ემორჩილებოდნენ მათს მამობრივს მთავრობასა", აღნიშნულია პუბლიკაციაში (დიდებულიძე 1864, №11: 149-150).

ავტორი წერს, რომ ისტორიული ვითარების შეცვლამ და მექსიკის მიერ ამ მხარის დატოვებამ მათი კვლავ გავლენა გამოიწვია, მაგრამ ამერიკელების შესვლამ შეერთებული შტატებიდან ისევ შეცვალა სიტუაცია, რადგან ისინი გონიერები იყვნენ და მალე მიხვდნენ, რა უნდა გაეკეთებინათ ამ მდიდარ მხარეშიო.

კალიფორნიაში შექმნილი ვითარება მხოლოდ დადებითი მხრით არ არის წარმოჩენილი. აქვე იმაზეცაა საუბარი, რომ აქ არამხოლოდ მდიდრდებოდნენ ადამიანები, არამედ იღუპებოდნენ კიდევ, რაშიც თავისი "წვლილი მიუძღოდა" ამერიკის გაზეთებს, რომლებიც უხვი დაპირებებით იზიდავდნენ სხვა ქვეყნის მცხოვრებლებს. კალიფორნიაში, მართლაც, იყო ამის შესაძლებლობა, მაგრამ, ავტორის თქმით, მხოლოდ ისინი მდიდრდებოდნენ, ვინც მოთმინებასა და შრომისმოყვარეობას იჩენდა. საინტერესოა, რომ ერთადერთი პროფესიის ადამიანები, რომლებიც აქ ოქროს ძიებით კი არა საკუთარი სპეციალობით მდიდრდებოდნენ, ექიმები იყვნენ. წერილში ხაზგასმულია, ისიც, რომ, კალიფორნიის ამერიკის შეერთებული შტატების ნაწილად გახდომის შემდეგ, იქ გაშენდა დიდი ქალაქები და დღითიდღე უმჯობესდებოდა სამართლებრივი მდგომარეობა. სამოქალაქო სამართალი უფრო დაცულს ხდიდა მუშასაც და მოპოვებული ოქროს პატრონსაც, თანაც კალიფორნია თანდათან უფრო დიდ მნიშვნელობას იძენდა მთელი მსოფლიოსთვის როგორც განათლების, ასევე ვაჭრობის თვალსაზრისით. ნიუ-იორკსა და კალიფორნიას შორის სარკინიგზო მიმოსვლა კი მომავალში კიდევ უფრო მნიშვნელოვან ქალაქად აქცევდა მას, რასაც ადგილობრივი ხალხისთვისაც ბევრი კეთილი საქმე უნდა მოეტანა. ასეთი ვარაუდი იმთავითვე მიანიშნებდა ახალგაზრდა ქვეყნის სწრაფად მზარდ და ყველასათვის თვალსაჩინო პერსპექტივებზე (დიდებულიძე 1864, №11: 156-159).

ყურადღება გვინდა მივაქციოთ იმ ფაქტს, რომ ზოგიერთი სტატია შემდგომ წლებში სხვა ორგანოებმაც გადაბეჭდეს. თავად გ. დიდებულისძემ კი თავისი პუბლიკაციები მოგვიანებით წიგნადაც გამოსცა (გ. დიდებულისძე, 1. „პირველი ოქროს პოვნა კალიფორნიაში“; 2. „მამონტის მღვიმე ამერიკაში“; 3. „ნეკერჩხლის შაქრის ტყეები ამერიკაში“; 4. „ამერიკის გამოჩენა ქრისტეფორე კოლუმბისაგან“; 5. „ბუნების მეცნიერებიდან გ. დიდებულისძისა“ (თბ., მიხელსონის სტამბა, 1879, 71 გვ) (ქართული წიგნი 1941: 135).

ზემოთ გაანალიზებული წერილების გარდა, ასევე დაისტამბა "შაქრის ნეკერჩხლის ტყეები ამერიკაში" (დიდებულისძე 1863, №12). ისიც გ. დიდებულისძის მიერ იყო თარგმნილი ფრანგი მოგზაურების ნაამბობიდან. 1864 ოქტომბრის "ცისკარში" დაიბეჭდა კიდევ ერთი სტატია "ქრისტეფორე კოლუმბი" (დიდებულისძე 1864, №10), რომელშიც კოლუმბის, მისი ეკიპაჟისა და დღეს უკვე ყველასათვის ასე ნაცნობი მოგზაურობის სირთულეების შესახებ იყო მოთხრობილი. მასზე საგანგებოდ აღარ შევჩერდებით, ღვაძენთ, რომ მისი ავტორიც გ. დიდებულისძე გახლდათ.

აღნიშნული პუბლიკაციები, ამკარად, ინფორმაციული ხასიათისაა და იგი არ შეიცავს ღრმა წიაღსვლებს სოციალური ყოფისა თუ ეკონომიკის განვითარების შესახებ. ხშირად ისიც კი არ ირკვევა, საიდან არის ნათარგმნი. ისიც ნათელია, რომ ფრაგმენტული ხასიათისაა, რამე კონკრეტული პრინციპი მათი შერჩევისა თითქმის არ იკვეთება. არც იმის გამორიცხვა შეიძლება, რომ ითარგმნა ის, რაზეც ავტორს მიუწვდა ხელი. ეს არცთუ ისე იშვიათი მოვლენა იყო მაშინდელ ქართულ სინამდვილეში. ამ პერიოდის პუბლიკაციები უმეტესად ემსახურება ამერიკის, როგორც სწრაფად განვითარებადი ქვეყნის, გაცნობას, მასზე გარკვეული წარმოდგენის შექმნას. მაშინდელი მკითხველი, ამ მხრივ, არ იყო განებივრებული, მეტიც, ავტორი ინდოელებად მოიხსენიებს ინდიელებს, თუმცა აქვე ისიც უნდა ღვაძინოთ, რომ 1863 წლის "საქართველოს მოამბე" (№11) უკვე აუწყებს საზოგადოებას ბიჩერ სტოუს "ბიძია ტომის ქოხის" თარგმანის დაბეჭდვის განზრახვის შესახებ. ისიც ამკარაა, რომ მაშინდელი მოღვაწეები გრძნობდნენ ახალგაზრდა ქვეყნის პერსპექტივას, რაც მათს ნააზრევში ნათლად არის გამოკვეთილი, მაგრამ, ფაქტია, იმხანად ჟურნალი "ცისკარი"

ამ ტიპის პუბლიკაციებს ანიჭებდა უპირატესობას, რასაც უდავოდ ჰქონდა თავისი ობიექტური მიზეზები.

დამოწმებანი:

ალავიძე, "დიდი მარილის ტბა ამერიკაში". ივ. კერესელიძე (რედ.).
ცისკარი. თბილისი, №11, 1861.

დიდებულიძე, გ. "მამონტის მიწის მღვიმე კენტუკში. ამერიკაში".
ივ. კერესელიძე (რედ.). ცისკარი. თბილისი, №11, 1863.

დიდებულიძე, გ. "შაქრის ნეკერჩხლის ტყეების ამერიკაში". ივ.
კერესელიძე (რედ.). ცისკარი. თბილისი, №12, 1863.

დიდებულიძე, გ. "მარგალიტის სადაფების ჭერა კალიფორნიაში".
ივ. კერესელიძე (რედ.). ცისკარი. თბილისი, №1, 1864.

დიდებულიძე, გ. "ქრისტეფორე კოლუმბი". ივ. კერესელიძე (რედ.).
ცისკარი. თბილისი, №10, 1864.

დიდებულიძე, გ. "პირველი ოქროს პოვნა კალიფორნიაში". ივ.
კერესელიძე (რედ.). ცისკარი. თბილისი, №2, 1864.

დიდებულიძე, გ. "კალიფორნია". ივ. კერესელიძე (რედ.). ცისკარი.
თბილისი, №11, 1864.

კალანდაძე, ალ. *ქართული ჟურნალისტიკის ისტორია*. ტ. II.
თბილისი: გამომცემლობა „განათლება“, 1984.

კერესელიძე, ივ. (რედ.). *ჟურნალი ცისკარი*. თბილისი, №10,
1859.

კერესელიძე, ივ. (რედ.). *ჟურნალი ცისკარი*. №5, 1860.

ქართული მწერლობა. ლექსიკონ-ცნობარი, წიგნი I. თბილისი:
გამომცემლობა „განათლება“, 1984.

ქართული წიგნი. ბიბლიოგრაფია, ტ. I, 1629-1920. თბილისი:
წიგნის პალატის გამოცემა, 1941.

NESTAN KUTIVADZE

Associate Professor, AkakiTsereteli State University

ABSTRACT

JOURNAL ‘TSISKARI’ PUBLICATIONS OF THE 1860S ABOUT AMERICA

In the XIX century the journal ‘Tsiskari’ (Dawn) was released in the years of 1852-53 and 1857-75 in Tbilisi. The journal has played an important role in social and cultural life of Georgia. Georgian society of those times could read the compositions of Georgian writers existing only in handwritten versions and get familiar with the new creative works from the papers of the journal. The journal systematically published updated information about the social life, cultural situation and historical realities of foreign countries. Despite the fact, that the journal was not always successful during the whole period of its existence, its role still remains very significant. The authors and the chief editors of this publication were deeply aware of the role of the journal in the process of forming public, national and social thinking. Accomplishing this goal was not a simple task. The problems that were raised in the journal quite often would become the relevant topic for discussions. Besides, the journal paid much attention to the reports about western European civilization and tried to revive interest among the readers concerning the foreign life and the tendencies that were characteristic to the life abroad.

‘Tsiskari’ highlighted that in America, in general, a lot of attention was paid to publication of a journal and it had a lot of subscribers. Organizers accentuated these facts and this way they tried to overcome the indifference that was characteristic of the society of that time.

The article focuses on the essays: ‘A Big Salt Lake in America’ (1861), ‘Sugar Maple Woods in America’ (1863), ‘Mammoth Cave in Kentucky. In America’ (1863), ‘Collecting Mother-of-Pearl in California’ (1864), ‘Finding the First Gold in California’ (1864), ‘Christopher Columbus’ (1864). They are translated texts and the author of the articles except the first one is G. Dide-

bulidze.

Abovementioned publications don not involve deep effusions about the social life or economic development in America. They mostly give the reader the general impression. It should be taken into consideration, that from this point of view, the society of those times did not have such luxuries. Moreover, the author refers to the Red Indians as the Indians (Indus). However, it should be mentioned that the writers of those times could still feel the promising future of a young country that was clearly curved and revealed in their thoughts. But it is a fact that in that period the journal 'Tsiskari' preferred this type of publications that undoubtedly would have its objective reasons.

ნაზარ მგელაძე

შოთა რუსთაველის სახელმწიფო

უნივერსიტეტის პროფესორი

თამარ ტანაძე

ძმები ნობელების სახელობის ბათუმის

ტექნოლოგიური მუზეუმის დირექტორი

ანთროპოლოგიური ბიოგრაფია: ამერიკული ანთროპოლოგიის სათავეებთან - ლუის ჰენრი მორგანი

ლუის ჰენრი მორგანი (1818-1881 წლები) ამერიკული ანთროპოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებელი და ძველი თაობის ანთროპოლოგთა საუკეთესო წარმომადგენელი იყო. იგი წარმომავლობით შეძლებულ ოჯახს ეკუთვნოდა. თავადაც მდიდარი ადამიანი იყო და კომერციულ კომპანიებში აუქციონერობდა. მეცნიერი ნიუ-იორკის შტატის ქალაქ როჩესტერში ცხოვრობდა. მიიჩნევენ, რომ იგი ენთუზიასტი მკვლევარი იყო. პროფესიით ადვოკატმა თითქმის ორმოცი წელი ინდიელთა, განსაკუთრებით, იროკეზთა ისტორიისა და კულტურული ფასეულობების შესწავლას მიუძღვნა. ლუის მორგანი ხშირად ეთნოგრაფიულ მასალას მეგობრებთან მიმოწერების საშუალებითაც აგროვებდა. ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში იგი რამდენიმე იროკეზს დაუახლოვდა. მათ შორის ცნობილი საზოგადო მოღვაწე – ელი პარკერი იყო. ლუის მორგანმა 1840 წელს დაარსებულ საზოგადოებას - „იროკეზების დიდ ორდენს“ – დახმარება და ორგანიზაცია გაუწია. ინდიელთა შორის ხანგრძლივმა თანაცხოვრებამ, მათგან შეძენილმა ცხოვრებისეულმა გამოცდილებამ ლუის მორგანს ინდიელთა მიმართ უაღრესად დიდი პატივისცემა ჩამოუყალიბა და იგი სიცოცხლის განმავლობაში, როგორც ადვოკატი, „წითელკანიანთა“ უფლებების დამცველად გვევლინებოდა. მაგალითად, 1847 წელს



სასამართლოში ლუის მორგანი იროკეზთა უფლებებისათვის მიწაზე თავგამოდებით იბრძოდა, იროკეზელი მეგობრები სასამართლოზე წარმატებით დაიცვა, რის გამოც სენეკას ტომმა თავის რიგებში იგი საზეიმოდ გააწვევრიანა - იგი იშვილეს. ცერემონია 1847 წლის 31 ოქტომბერს ჩატარდა. სწორედ ამ ფაქტმა ლუის მორგანს საშუალება მისცა იროკეზების კულტურა დაწვრილებით შეესწავლა. იროკეზების ყოფაში ბევრი რამ უკვე წაშლილი იყო, თუმცა მოხუცთა მონათხრობი ამბები ბევრ საიდუმლოებას ფარდას ხდიდა. სხვათაშორის, 1847 წელს ლუის მორგანმა ფსევდონიმით სტატიების სერია დაბეჭდა სათაურით - „წერილი იროკეზების შესახებ“. 1851 წელს გამოსცა წიგნი - „იროკეზების კავშირი“ (დაწვრ. იხ. Токарев 1980).

ლუის მორგანმა საფუძველი ამერიკულ ევოლუციონიზმს ჩაუყარა და ევოლუციონისტური სკოლის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი გახდა. მან გვარი, ფრატრია, ტომი, კონფედერაცია ერთერთმა პირველმა აღმოაჩინა და მათი კლასიფიკაცია მოგვცა. ამით მკვლევარმა იროკეზებში პირველყოფილი ცხოვრების რეკონსტრუქცია მოახერხა და მიიჩნია, რომ რთულ საზოგადოებრივ სტრუქტურაში გვარი, ფრატრია, ტომი და კონფედერაცია პირველყოფილი საზოგადოების გვაროვნული ფორმების თანდათანობითი განვითარების შედეგს წარმოადგენდნენ. მეცნიერს არანაკლები დამსახურება ოჯახის ისტორიის შესწავლაში, ოჯახის ფორმების კვლევასა და სისტემატიზაციაში, საზოგადოებრივი ცხოვრების ადრეული ფორმების განსაზღვრაში მიუძღვის. ამავე დროს, ლუის მორგანი შეეცადა კაცობრიობის ისტორიის მეტ-ნაკლებად სრული პერიოდიზაცია ჩამოეყალიბებინა. მან კაცობრიობის ისტორია ეთნიკურ საფეხურებად - ეთნიკურ პერიოდებად დაყო, რომელიც სამ ძირითად ეტაპს - ველურობის, ბარბაროსობისა და ცივილიზაციის ეტაპებს მოიცავდა. ეს თეორია მხოლოდ ლუის მორგანს არ ეკუთვნოდა. კაცობრიობის ისტორიას XVIII საუკუნეში ფერგუსონიც ასე ყოფდა, მაგრამ ფერგუსონისაგან განსხვავებით ლუის მორგანი ამ პერიოდებს კონკრეტულად ახასიათებდა. ევოლუციონისტების აზრით, ლუის მორგანი სამართლიანად თვლიდა, რომ ველურობა წინ უსწრებდა ბარბაროსობას და ბარბაროსობა ცივილიზაციას. ლუის მორგანი ამტკიცებდა, რომ ცეცხლის გამოყენება „ველურობის შუა საფეხურზე“ კი არ დაიწყო,

არამედ ადამიანის ისტორიის დასაწყისში. მეცნიერის აზრით, თევზისა და სხვა ხორცეულის გამოყენება ცეცხლის აღმოჩენასთან დაკავშირებული არ იყო. ახლაც არსებობს ხალხები, რომლებიც ხორცეულს უმად მიირთმევენ.

სოციოკულტურული ევოლუციის თეორია სოციალური პროგრესის იდეიდან განვითარდა. ეს იდეა განმანათლებლებთან ჩაისახა და საზოგადოების განვითარებას გულისხმობდა, რომლის შედეგად, თითქოს, წინა ეტაპთან შედარებით, იგი უკეთესი ხდებოდა. განმანათლებლობის ეპოქაში სოციალური პროგრესის იდეა მანამდე არსებულ, შუა საუკუნეებში მკაცრად დამკვიდრებულ შეხედულებას რადიკალურად დაუპირისპირდა, რომლის მიხედვითაც სოციალური წესრიგი ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბებული სახით არსებობდა, მასში არაფერი არ იცვლებოდა და ყველაფერი მუდმივი იყო. განმანათლებლები პირველები იყვნენ, რომლებმაც პროგრესული განვითარების საკითხი დასვეს, რომლის უმთავრესი ლაიტმოტივი შემდეგი ხასიათის ფორმულირებაში მდგომარეობდა – ადამიანები საზოგადოებას თავად ქმნიან და შეუძლიათ იგი თავადვე გარდაქმნან.

სოციოკულტურული ევოლუციის ადრეული თეორია ოგიუსტ კანტის, ედუარდ ტეილორის, ჰერბერტ სპენსერის, ლუის ჰენრი მორგანის შრომებში დამუშავდა. ეს თეორია XIX საუკუნის ბოლოდან პირველი მსოფლიო ომის დასასრულამდე ფართოდ იყო გავრცელებული, ხოლო მისი წარმომადგენლები პერმანენტულად კაცობრიობის ცალხაზოვანი (მონოლინეური) და დინამიური ევოლუციის იდეას ავითარებდნენ.

თავის მხრივ, სოციოკულტურული ევოლუციის თეორია ევოლუციის ბიოლოგიური თეორიის გავლენით ჩამოყალიბდა. მისი მომხრეები მიიჩნევენ, რომ საზოგადოების პროგრესის გზა – ველურობა, ბარბაროსობა, ცივილიზაცია – აღმავალი სახით ვითარდებოდა და, თითქოს, მთელი კაცობრიობისათვის ეს საფეხურები საერთო იყო. ევოლუციონისტები უდამწერლობო – „პრიმიტიულ ხალხებსა“ და მათ კულტურას პირველყოფილი კულტურის რეკონსტრუქციის წყაროდ განიხილავდნენ. ევოლუციონისტური შეხედულებები ევროპაში – გერმანიაში, საფრანგეთში, ინგლისში, ისე როგორც ამერიკის შეერთებულ შტატებში, თითქმის ერთდროულად ჩამოყალიბდა. ინგ-

ლისში ამ ახალი მიმდინარეობის სათავეებთან ჰ. სპენსერი, ჯ. მაკ-ლენანი, ჯ. ლებოკი, ე. ტეილორი, ჯ. ფრეზერი; გერმანიაში – ა. ბასტიანი, ტ. ვაიცი, ი. ლიპერტი; საფრანგეთში – შ. ლეტურნო, ხოლო ამერიკის შეერთებულ შტატებში – ლ. მორგანი იდგა.

XIX საუკუნის ბოლო ათწლეულში ევოლუციონისტური სკოლის მეთოდოლოგიური კრიზისი დაიწყო. ევოლუციონიზმმა ადგილი ახალ თეორიებსა და ახალ სკოლებს დაუთმო, მაგრამ მიუხედავად ამისა თავად არ გამქრალა. მის გამგრძელებლად შეიძლება ევოლუციონიზმის ეპიგონები ჩაითვალოს, მათ შორის გამოჩენილი მეცნიერებიც იყვნენ, განსაკუთრებით ჯ. ფრეზერი და გ. შურცი გამოირჩეოდნენ.

ლუის ჰენრი მორგანმა იროკეზებისა და სხვა ინდური ტომის კულტურის შესწავლას ორმოცი წელი მიუძღვნა. დროთა განმავლობაში მას აბორიგენი ტომების თვითმყოფადი კულტურის მიმართ პატივისცემა ჩამოუყალიბდა. შემდგომშიც, როგორც ადვოკატი, იგი „წითელკანიანებს“ ხშირად იცავდა და თავისი საჯარო გამოსვლებითაც ცდილობდა იროკეზების უფლებები მიწაზე განემტკიცებინა.

ლუის მორგანის ძირითადი ნაშრომია „ძველი საზოგადოება“ (Morgan 1871). იგი 1877 წელს გამოიცა და იმ დროისათვის კაცობრიობის წინარე ისტორიული წარსულის შესახებ არსებულ შეხედულებებზე რევოლუციური მნიშვნელობის გავლენა მოახდინა.¹ ამ წიგნმა სათავე პირველყოფილი საზოგადოების ისტორიას დაუდო. ანთროპოლოგებს შორის არსებობს აზრი, რომ ლუის მორგანის თვალსაზრისები საზოგადოების პირველყოფილი მდგომარეობის შესახებ, როგორც მწყობრი, უზარმაზარი ფაქტობრივი მასალებით დასაბუთებული სწავლება, მრავალრიცხოვან, მაგრამ დაუსაბუთებელ ჰიპოთეზებს ჩაენაცვლა. ევოლუციური სკოლის შეხედულებების მხარდამჭერნი ხშირად აღნიშნავდნენ, რომ პირველყოფილი საზოგადოების ისტორიის სფეროში ლუის მორგანის დამსახურება ისეთივე გადამწყვეტი მნიშვნელობის იყო, როგორიც ჩარლზ დარვინისა ბიოლოგიაში (ფრიდრიხ ენგელსი).

¹ წიგნს – „ძველი საზოგადოებას“ - ზელნაწერის სახით მეხუთე ნაწილი ახლდა, რომელიც საოჯახო არქიტექტურის განვითარებას ეხებოდა, მაგრამ რამდენადაც ზელნაწერმა ერთი ტომისათვის განსაზღვრულ მოცულობას გადააჭარბა, ამიტომ ლუის მორგანმა მეხუთე ნაწილი ცალკე წიგნის სახით 1881 წელს გამოსცა სათაურით: „ამერიკელი აბორიგენების ოჯახი და საოჯახო ცხოვრება“.

„ძველი საზოგადოება“ შედგება ოთხი ნაწილისაგან: 1. ინტელექტის განვითარება აღმოჩენებისა და გამოგონებების შედეგად; 2. მმართველობის იდეის განვითარება; 3. ოჯახის იდეის განვითარება; 4. საკუთრების იდეის განვითარება.

„ძველ საზოგადოებაში“ ლუის მორგანმა არაერთი საინტერესო აზრი გადმოგვცა, რაც პირველყოფილი საზოგადოების თითქმის ორმოცწლიანი შესწავლის შედეგი იყო. იგი ცდილობდა საზოგადოების ორ ტიპს: პირველყოფილ-კომუნისტურ (წინაკლასობრივ) და ცივილიზებულ-კლასობრივ საზოგადოებებს შორის სხვაობა დაედგინა. როგორც თავად ადასტურებდა, ეს სხვაობა მმართველობის ორ ფორმას შორის არსებობდა. პირველი – დროში, როგორც ლუის მორგანი აღნიშნავდა, პიროვნებას, პიროვნულ ურთიერთობებს ეფუძნებოდა და იგი მას საზოგადოებას (societas) უწოდებდა. მეორე – ტერიტორიასა და კერძო საკუთრებას ემყარებოდა, რასაც მეცნიერი სახელმწიფოს (civitas) ეძახდა.

საზოგადოებრივი ურთიერთობების ფართო წრეს ლუის მორგანი ორ რიგად ალაგებდა: ერთ მხარეს გამოგონებები და აღმოჩენები, ხოლო მეორე მხარეს – არქიტექტურა, საარსებო საშუალებების წარმოება, მმართველობა, ენა, ოჯახი, რელიგია, საოჯახო ცხოვრება და საკუთრება წარმოადგენდა. მათი შეპირისპირება და შედარება, ლუის მორგანის აზრით, კაცობრიობის წარმომავლობის ერთიანობაზე, ადამიანთა მოთხოვნების მსგავსებაზე – განვითარების ერთსა და იმავე ეტაპზე და მსგავს საზოგადოებრივ წყობაში ადამიანის გონების, საქმიანობის და, შესაბამისად, გამოცდილების ერთგვაროვნებაზე მიუთითებდა. ლუის მორგანი თვლიდა, რომ კაცობრიობამ სარბიელი განვითარების ყველაზე დაბალი საფეხურიდან დაიწყო და გზა ველურობიდან ცივილიზაციისაკენ გააგრძელა, ბუნებრივია, გამოცდილების ნელ-ნელა დაგროვებით (Морган 1934: 5). ადამიანთა საზოგადოების მთელ ისტორიას, როგორც აღინიშნა, ლუის მორგანი სამ ეპოქად – ველურობად, ბარბაროსობად და ცივილიზაციად ყოფდა, რომლებსაც, თავის მხრივ, სამ – დაბალ, საშუალო და მაღალ - საფეხურებად ანაწილებდა. ამ საფეხურებს ლუის მორგანი ეთნიკურ პერიოდებს უწოდებდა. თითოეული ეთნიკური პერიოდი, მეცნიერის განმარტებით, საზოგადოების განსაზღვრულ მდგომარეობას წარმოადგენდა

და ერთმანეთისაგან კონკრეტული პერიოდისათვის დამახასიათებელი ცხოვრების წესით განსხვავდებოდა. ეთნიკური პერიოდების ასეთი გამიჯვნა ლუის მორგანს იმის საშუალებას აძლევდა, რომ საზოგადოების ცალკეული უჯრედი მისი განვითარების მდგომარეობასთან შესაბამისობაში განეხილა, რათა ისინი დამოუკიდებელი კვლევისა და შესწავლის საგანი გაეხადა. მორგანისეული კლასიფიკაციით ბარბაროსობა განვითარების დაბალი, ერთ-ერთი ადრეული საფეხური იყო. ბარბაროსობის ეტაპი სოფლის მეურნეობის აღმოცენებით დაიწყო, ხოლო ცივილიზაციის პერიოდს კაცობრიობა წერის ხელოვნების დაუფლებით შეეგება, რამაც ერთმანეთს წარსული და მომავალი დაუკავშირა.

ლუის მორგანმა საზოგადოებრივი წყობის წინასახელმწიფოებრივი ფორმების დახასიათებას საკმაოდ დიდი ადგილი დაუთმო. შრომებში განხილულია გვარის არსი და მისი ადგილი ტომში. მკვლევარი ამ გზით შეეცადა პირველყოფილი საზოგადოების შიდა ორგანიზაცია გადმოეცა. ლუის მორგანის აღმოჩენამ პატრიარქალურ ოჯახზე, როგორც საზოგადოების ემბრიონზე, მანამდე დომინირებადი შეხედულებები საბოლოოდ დაამსხვრია და გვარზე არსებული შეხედულებები ძირეულად შეცვალა. მან აჩვენა, რომ გვარი პირველყოფილი საზოგადოების უნივერსალურ ფორმას წარმოადგენდა, რომელიც ისტორიის გარიჟრაჟზე, თითქოს, მხოლოდ არიული ტომებისათვის იყო დამახასიათებელი. ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ ლუის მორგანის დასკვნებამდე ისტორიკოსებისათვის ბერძნული და რომაული გვარი, მისი ადგილი კაცობრიობის განვითარებაში აუხსნელ გამოცანად რჩებოდა. მეცნიერმა პირველყოფილი საზოგადოების განვითარების ეტაპები დაწვრილებით დაახასიათა, სადაც ბერძნულ-რომაული გვარი ინდური გვარის მსგავს სოციალურ გაერთიანებად თუ მისგან წარმოქმნილ საზოგადოებრივ ორგანიზაციად მიიჩნია (Альков 1934: III-X).

ლუის მორგანმა გვარი როგორც სისხლით ნათესავთა გაერთიანება განმარტა. გვარი საერთო წინაპრისაგან წარმოსდგებოდა, რომელსაც განსაკუთრებული გვაროვნული სახელი გააჩნდა. გვარის წევრები სისხლისმიერი ცნობიერებით იყვნენ შეკავშირებული. მკვლევარი ამით გვარის განვითარების ზოგადი სურათის ჩვენებას შეეცადა. წარმო-

შობისთანავე, განვითარების გზაზე, გვარმა ველურობის სტადია და ევოლუციის პროცესში სხვა მომდევნო საფეხურებიც გაიარა და კლასობრივ საზოგადოებაშიც შეძლო თავის შემონახვა. ეს გვარის მიერ განვლილი – განვითარების თანმიმდევრობითი სტადიები იყო. გვარის ცვლილებები ძირითადად ორი მიმართულებით შეინიშნებოდა: 1. წარმომავლობის ათვლის არქაული ფორმა – ქალის ხაზი, ისე როგორც, მაგალითად, ეს იყო იროკეზებში, ნათესაობის მამაკაცის ხაზზე გადავიდა. მამაკაცის ხაზით სოციალური წესრიგი საბოლოო საფეხური იყო და იმგვარივე ნიშან-თვისებებს ატარებდა, როგორსაც ბერძნული და რომაული გვარი; 2. გვარში გარდაცვლილი წევრის სამემკვიდრეო ქონების განაწილების წესი შეიცვალა. არქაულ პერიოდში ქონების განაწილება ჯერ ავნატური ნათესაობის წევრთა შორის ხორციელდებოდა, ხოლო დროთა განმავლობაში მემკვიდრეობა გარდაცვლილის ბავშვებზეც გავრცელდა (Morgan 1934: 38-39).

გვარზე უფრო ნათელი წარმოდგენის შესაქმნელად ლუის მორგანმა, როგორც აღინიშნა, პირველყოფილი გვაროვნული გაერთიანებების ფარგლებში გვარის, ფრატრიის, ტომის, ტომთა კონფედერაციის სახით საზოგადოებრივი ფორმების განსაზღვრული რიგი დაადგინა. როგორც გვარი იყო დემოკრატიული ორგანიზაცია, ისე იროკეზების ყველა სტრუქტურა – კონფედერაცია „ღრმა დემოკრატიულობით“ გამოირჩეოდა. ლუის მორგანმა მასში სახელმწიფო ორგანიზაციასთან შედარებით პრინციპული განსხვავება სამართლიანად დაინახა. შემდგომი კვლევა-ძიებისათვის მისთვის ეს გასაღები იყო. როგორც ითქვა, ის საბოლოოდ დარწმუნდა, რომ კაცობრიობის ისტორია ორ დიდ პერიოდად შეიძლება დაიყოს. ადრეულ პერიოდში გვარებზე, ფრატრიებზე და ტომებზე დაფუძნებული სოციალური ორგანიზაცია იყო წარმოდგენილი, მოგვიანო პერიოდში კი – ტერიტორიაზე და საკუთრებაზე დამყარებული სოციალური ორგანიზაცია ჩამოყალიბდა.

სამეცნიერო ლიტერატურაში ხშირად სვამენ კითხვას – შეიძლება თუ არა გვარი ლუის მორგანის აღმოჩენად ჩაითვალოს? გვარი ძველდაც, მაგალითად, არისტოტელეს თხზულებებიდანაც ცნობილი იყო, თუმცა იქვე განმარტავენ, რომ არისტოტელეს ნაშრომებიდან ცნობილი მხოლოდ პატრიარქალური გვარი იყო. მათი აზრით, იმ დროს მატრიარქალურ გვარზე, მის პირველდაწყებით ფორმებზე წარ-

მოდგენაც კი არ ქონდათ. ლუის მორგანი, მართალია, დედისა და მამის ფილაციას გვარში არჩევდა, მაგრამ ამ საკითხის გარშემო კითხვას მაინც არ სვამდა. როგორც ჩანს, ლუის მორგანმა, მისი კოლეგის ი. ბახოფენის შრომების გაცნობის შემდეგ, გვარში დედის ხაზის ისტორიული პრიორიტეტი აღიარა. ასეთი პრიორიტეტების გათვალისწინებით, იროკეზთა ფაქტობრივი მასალის საფუძველზე, ლუის მორგანი ცდილობდა გვაროვნული ორგანიზაციის სხვადასხვა ნიშანი დაეხასიათებინა. ს. ტოკარევის შეფასებით, დღეს ჩვენ ლუის მორგანის აღმოჩენების მნიშვნელობა უკეთ გვესმის, ვიდრე იგი მას თავად ესმოდა. გვაროვნული ორგანიზაცია ყველა ხალხში გავრცელებული უნივერსალური მოვლენა იყო. ლუის მორგანს ლოგიკური დასკვნა ამის საფუძველზე არ გამოუტანია, კერძოდ ის, რომ სხვადასხვა ხალხის საზოგადოებრივი ფორმა თანდათან და არათანაბრად ვითარდებდა. ლუის მორგანს გვაროვნული ფორმა ხელოვნურად გამოგონილი ეგონა, რომლის სესხება ერთი ხალხიდან მეორეში იყო შესაძლებელი, თუმცა მთავარი მაინც ისაა, რომ ლუის მორგანი გვარს ისტორიული თვალთახედვით უყურებდა (იხ. Токарев 1980).

განსაკუთრებული ადგილი მეცნიერმა საზოგადოების სქესობრივი სხვაობის საფუძველზე დაყოფას დაუთმო. საზოგადოების ეს დაყოფა გვაროვნულ საზოგადოებასთან შედარებით უფრო არქაულ ფორმად აღიარა. საზოგადოების განვითარების მორგანიეული რეკონსტრუქცია მის მიერ ავსტრალიაში შეკრებილ ეთნოგრაფიულ მასალებს ეყრდნობოდა. იგი პუნალუა ოჯახს, როგორც გვარის ჩანასახს, ამ წყაროების საფუძველზე ახასიათებდა და ამტკიცებდა, რომ სქესობრივ სხვაობაზე დაფუძნებული ორგანიზაციით წარსულში – კაცობრიობის განვითარებაში არსებული ყველა ტომი ხასიათდებოდა (Morgan 1934: 245-249).

ლუის მორგანის კვლევებში უმთავრეს ამოცანას ოჯახისა და ქორწინების ისტორიის დეტალური შესწავლა წარმოადგენდა (ოჯახის შესახებ იხ. Morgan 1976). ამ კუთხით წარმოებული კვლევების საფუძველზე მეცნიერი ქორწინებისა და ოჯახის უძველეს ფორმებს ადგენდა. იგი თვლიდა, რომ პრომისკუიტეტიდან ანუ უწყესრიგო, შემთხვევითი ქორწინებიდან დაწყებული და ჯგუფური ქორწინების სხვადასხვა ფორმებით დამთავრებული, კაცობრიობა ინდივიდუალურ

ქორწინებამდე და ოჯახამდე მივიდა. ამით, ფაქტიურად, ლუის მორგანი ბიბლიაში არსებულ ტრადიციულ შეხედულებას დაუპირისპირდა, რომელიც ინდივიდუალური ქორწინებისა და ოჯახის პირველადობის თეორიისათვის მყარ არგუმენტად გამოიყენებოდა. ლუის მორგანის მიხედვით, რამდენადაც ქორწინების ფორმა შესაბამის ოჯახს ქმნიდა, ხოლო ეს უკანასკნელი შესატყვის ნათესაობის სისტემას, ამით სამი ნაწილისაგან წარმომდგარი სოციალური მთლიანობა ყალიბდებოდა. ამ ლოგიკით მეცნიერი საზოგადოების ისტორიის რეკონსტრუქციის ერთგვარ მეთოდს გვთავაზობდა და აღნიშნავდა, რომ თუ რომელიმე საზოგადოებაში აღნიშნული სამეულიდან ერთი რომელიმე მაინც აღმოჩნდება, იქ დარწმუნებით შეიძლება ჩაითვალოს, რომ ოდესღაც არსებობდა სხვა ნაწილიც (Morgan 1934: 246).

ოჯახის ფორმებსა და ნათესაობის სისტემებს შორის მჭიდრო კავშირის დადგენის საფუძველზე ლუის მორგანმა სოციალური ორგანიზაციების კვლევის საქმეში კიდევ უფრო მეტი სიცხადე შეიტანა. მან ოჯახი აქტიურ სოციალურ ელემენტად მიიჩნია, რომელიც არასოდეს უძრავი არ ყოფილა, თუმცა მუდამ დაბალი ფორმიდან მაღლისაკენ ვითარდებოდა, რაც საზოგადოების განვითარების ერთი ფაზიდან მეორეში - უფრო მაღალში ტრანსფორმაციას შეესაბამებოდა. ნათესაობის სისტემა კი - პირიქით, უფრო პასიური იყო. იგი მხოლოდ მაშინ იცვლებოდა, როცა ოჯახი განიცდიდა რადიკალურ ცვლილებებს (Morgan 1934: 250-263). ნათესაობის სისტემის ანალიზმა ლუის მორგანს საშუალება მისცა ოჯახის უძველესი ფორმები აღედგინა. მან ოჯახის განვითარების ხუთი სხვადასხვა და ერთიმეორისაგან განსხვავებული ფორმა გამოყო, რომელთაც ქორწინების სხვადასხვა მოდელი შეუსატყვისა. ამდენად, თამამად შეიძლება ითქვას, რომ თავის დროზე ლუის მორგანმა ოჯახის ისტორიის კვლევის სფეროში გადატრიალება მოახდინა. ლუის მორგანს მიაჩნდა, რომ 1. „სისხლითმონათესავე ოჯახი“ - ოჯახის პირველი ფორმა იყო; შემდეგი, ჯგუფის - ინდივიდთა გაერთიანების პირველყოფილი მდგომარეობა ანუ „პროისკუიტი“ - უწესრიგო სქესობრივი ურთიერთობა იყო, რომელიც კოლექტივის ფარგლებში ღვიძლ ძმებსა და დებს შორის საქორწინო კავშირებს გულისხმობდა, მაგრამ მშობლებსა და შვილებს შორის სქესობრივი კავშირი აქ უკვე აკრძალული იყო;

2. „პუნალუა ოჯახი“ – ჯგუფური ქორწინება რამდენიმე დისა საერთო ქმართან, ან ჯგუფური ქორწინება რამდენიმე ძმისა საერთო ცოლთან. არ იყო აუცილებელი ისინი ნათესავები ყოფილიყვნენ; 3. წყვილადი ქორწინება – „სინდიასმიური ოჯახი“; 4. პატრიარქალური – „პოლიგამიური ოჯახი“; 5. „მონოგამიური ოჯახი“. ასევე, შრომაში – „ნათესაობისა და მოყვრობის სისტემა“, რომელიც პირველად 1871 გამოიცა, ლუის მორგანმა სხვადასხვა ხალხის გვარის ნომენკლატურა შეკრიბა, სისტემატიზაციაში მოიყვანა და ორ ნაწილად – „კლასიფიკატორულად“ და „აღწერითად“ დაყო. მკვლევარმა პირველი – კლასიფიკატორული სისტემა – შედარებით ადრეულ ტიპად მიიჩნია. თავის მხრივ, გვარის კლასიფიკატორული ტერმინოლოგია ლუის მორგანმა „მალაიურად“ და „თურანულ-ჰანოვანურად“ დაანაწილა.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, ლუის მორგანმა ქორწინების წესის ხუთი თანმიმდევრული საფეხური დაადგინა, რომელთაც ოჯახის განსაზღვრული ფორმები და ნათესაობის ევოლუციური ტიპები შეესაბამებოდა. ესენი იყო: 1. „პრომისკუიტეტი“ – ქორწინების პირველი საფეხური, ღვიძლი და კოლატერალი ძმებისა და დების ჯგუფური ქორწინება. ოჯახის ფორმა – „სისხლითნათესაური ოჯახი“. ნათესაობის ტიპი – „მალაიური“. აქედან გამომდინარე ირკვევა, რომ ოჯახის ეს ფორმა ნათესაობისა და მოყვრობის მალაიური სისტემის საფუძველზე ყალიბდებოდა; 2. „პუნალუა“ – ქორწინების მეორე საფეხური, რომელიც სქესობრივი განსხვავების საფუძველზე აღმოცენებულ ორგანიზაციას წარმოადგენდა, სადაც უკვე ძმებსა და დებს შორის სქესობრივი კავშირები შეიზღუდა. ოჯახის ფორმა – „პუნალუა ოჯახი“, რომელმაც გვაროვნული ორგანიზაცია წარმოქმნა და საბოლოოდ აკრძალა ძმებისა და დების საქორწინო შესაძლებლობები. ნათესაობის ტიპი: თურანული და ჰანოვანური²; 3. „სინდიასმიური“ – ქორწინების მესამე საფეხური – ცალკეულ პირებს შორის არსებული ქორწინება, ერთგვარად, არასაქორწინო შეხების აკრძალვის გარეშე. ოჯახის ფორმა – „სინდიასმიური (წყვილადი) ოჯახი“; 4. ერთი მამაკაცის რამდენიმე ქალთან ქორწინება – მეოთხე საფეხური. ოჯახის ფორმა: „პატრიარქალური ოჯახი,“ თუმცა მიჩნეულია,

² ლუის მორგანის შემოთავაზებული ჰანოვანური სისტემის შესახებ იხ. Штенберг 1932.

რომ ოჯახის განვითარების ისტორიაში იგი არასაყოველთაო ხასიათის საფეხური იყო; 5. „მონოგამიური“ – ქორწინება ცალკეულ წყვილს შორის თანაცხოვრების აუცილებელი მოთხოვნით. ოჯახის ფორმა – „მონოგამიური ოჯახი“. ნათესაობის ტიპი – „არიული“, „სემიტური“ და „ურალური“ (დაწვრ. იხ. АЛЬКОР 1934: V).

ცხრილში ეს ფორმები ასე გამოიყურება:

საფეხურები	ქორწინების ფორმა	ოჯახის ფორმა	ნათესაობის სისტემა
I	ჯგუფური ქორწინება	სისხლით ნათესაური ოჯახი	მალაიური
II	სქესობრივ სხვაობასა და „პუნალუას“ ჩვეულებაზე დაფუძნებული ორგანიზაცია, ძმებსა და დებს შორის ქორწინების შეზღუდვის ტენდენციით.	პუნალუა ოჯახი. მისგან გვაროვნული ორგანიზაცია წარმოიქმნა, რომელმაც დაძმებს შორის საქორწინო ურთიერთობები აკრძალა.	თურანულ-პანოვანური
III	ქორწინება ცალკეულ პირს შორის, რომელთა შორის ურთიერთობები ქორწინების გარეშეც არსებობდა.	წყვილადი (სინდიასმიური) ოჯახი	
IV	ერთი მამაკაცის ქორწინება რამდენიმე ქალთან.	პ ა ტ რ ი ა რ ქ ა ლ უ რ ი ოჯახი – ოჯახის ისტორიაში არასაყოველთაოდ გავრცელებული საფეხური.	
V	წყვილებს შორის ქორწინება თანაცხოვრების გამორიცხვით.	მონოგამიური ოჯახი	არიული, სემიტური და ურალური

აქ ინტერესმოკლებული არ იქნება ნათესაობის სისტემაში სხვადასხვა სოციალურ ჯგუფს (ოჯახი, გვარი...) ქორწინების ფორმებთან და ლუის მორგანის მიერ დადგენილ შესაბამის ნათესაურ მოდელებთან კონტექსტში ზოგიერთი განმარტებით თუ წარმოვანებით.

ნათესაობის სისტემისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციის სხვადასხვა ფორმების მეცნიერული შესწავლის დასაწყისში არაერთი უზუსტობა დაიშვა, რომლებიც საკმაოდ სიცოცხლისუნარიანი იმის გამო აღმოჩნდნენ, რომ სპეციალისტთა ღიღმა ნაწილმა ოჯახის ფორმების

სტადიურ-ევოლუციური განვითარების მორგანისეული სადისკუსიო კონცეფცია გაიზიარა³. ბუნებრივია, საკითხის ამდგავარად დასმამ განაპირობა ის, რომ „საოჯახო თემი“ ლიტერატურაში ოჯახის ფორმად განიხილებოდა ანუ სრულიად უსაფუძვლოდ ერთმანეთისაგან განსხვავებული საზოგადოებრივი წარმონაქმნების – ოჯახისა და თემის სოციალური ორგანიზაციის ერთ ტიპში გაერთიანება მოხდა. ამასთან კაცობრიობის ისტორიის უძველეს საფეხურზე უარყოფილი იქნა ნუკლეარული მონოგამიური ოჯახის არსებობა, მისი უნივერსალობა⁴, როგორც ადამიანთა ყოფიერების "გვაროვნული" ბიოსოციალური ნიშანი, ხოლო მისი წარმოშობა პირველყოფილი სტადიის, ე. წ. გვაროვნული წყობის შლის პერიოდს პირდაპირ დაუკავშირდა (დაწვრი. იხ. მგელაძე, მასანოვი 1996; ასევე მგელაძე 2011). ლუის მორგანის კონცეფცია სოციალური ორგანიზაციის ტიპებსა და მათ სპეციფიკურ თანამიმდევრულ ევოლუციაზე დიდი ხნის მანძილზე თითქმის ბოლო ინსტანციის ჭეშმარიტებად მიიჩნეოდა. ლუის მორგანის კვლევების საფუძველზე არაერთი მეცნიერის მიერ შემოთავაზებული კლასიფიკაციები სპეციალურ ლიტერატურაში ოჯახის თუ ოჯახის მსგავს ფორმათა აღმნიშვნელად მრავალფეროვან ტერმინოლოგიაშიც აისახა, რომლითაც დღეს საკმაოდ ბევრი მკვლევარი სარგებლობს. მაგალითად, ასეთ ტერმინთა რიცხვს განეკუთვნება: „საოჯახო თემი" (community family), „დიდი გლეხური ოჯახი" (large peasant family), „დიდი ოჯახი" (large family), „გაფართოებული აგნატური ოჯახი" (extended agnatic family), „გაფართოებული ოჯახი" (extended family), „შეერთებული ოჯახი" (joint family), „რთული ოჯახი" (complex family)... გამოხატავს კი ეს ცნებები საზოგადოებრივი ორგანიზაციის ერთ და იმავე ფორმებს თუ ისინი დროში ტიპოლოგიურად განსხვავდებოდნენ. ხომ არაა საჭირო ამ ტერმინთა უნიფიცირება, რათა სოციალურ გაერთიანებათა ტიპები უფრო ღრმად გაგვიჩვენოს. სხვათაშორის, ტერმინოლოგიური ქაოსის შესახებ ანთროპოლოგიაში, ამ შემთხვევაში სოციოკულტურულ ანთროპოლოგიაში, თავის დროზე

3 სოციალური ორგანიზაციის სფეროში ლ. მორგანის კონცეფციების შესახებ დაწვრი. იხ. Trautman, 1987.

4 ოჯახის უნივერსალური ბუნების შესახებ დაწვრი. იხ. Murdock, 1971: 356-366; Spiro 1954; 1979.

რ. ლოუი და ჯ. მერდოკი პრინციპულად მიუთითებდნენ (Lowie 1947: 60-76, 105-138; Murdock 1949: 65-78).

როგორც ვხედავთ, მსოფლიო ხალხთა ნათესაობის სისტემის შესწავლას, რომლის ერთ-ერთი ფუძემდებელი ლუის მორგანი იყო, ას წელზე მეტი ხნის ისტორია აქვს. ამ პრობლემებს ლუის მორგანის შემდეგ რიგი საინტერესო, თუმცა ხშირად ურთიერთგამომრიცხავი ნაშრომი მიეძღვნა, რომლებიც სოციალურ ანთროპოლოგიაში ცალკეული სკოლის მიმართულებებისა და მიდგომების თავისებურებებს ნათლად გვისურათებს.

საყოველთაოდ ცნობილ ნაშრომებში ლუის მორგანი ცნობებს საკუთრების განვითარების შესახებაც გვაწვდის. იგი მიიჩნევდა, რომ პირველყოფილ საზოგადოებაში გაბატონებული საკუთრების კოლექტიური ფორმა იყო, რომლის რღვევა ჯერ კიდევ ველურობის პერიოდში დაიწყო საკუთრების კერძო ფორმების აღმოცენებასთან ერთად. ლუის მორგანი თვლიდა, რომ ბარბაროსობის პერიოდში კაცობრიობამ კერძო საკუთრების შესახებ დიდი გამოცდილება დააგროვა, კაცობრიობის გონება მოემზადა ყველა წინაღობა დაეძლია, რაც საზოგადოებრივი განვითარების ახალ საფეხურზე გადასვლას აფერხებდა. მისი აზრით, ეს ახალი საფეხური ტერიტორიასა და საკუთრებაზე დაფუძნებული პოლიტიკური საზოგადოება – ცივილიზაცია იყო.

ლუის მორგანი მიიჩნევდა, რომ საზოგადოების სიკვდილს ისტორიულ სარბიელზე წარმოდგენილი კატაკლიზმები განაპირობებდა. საზოგადოების მოკვდინების მიზანი, უმთავრესად, სიმდიდრე იყო. მეცნიერის აზრით, ამგვარი სარბიელი საკუთარი თავის განადგურების ელემენტებსაც შეიცავდა. შემდგომი განვითარებით მიღებული უფრო რთული საზოგადოებისათვის კი დამახასიათებელი დემოკრატიული მმართველობა, ძმობა საზოგადოებრივ ურთიერთობებში, თანაბრობა უფლებებში, საყოველთაო განათლება იყო. ლუის მორგანი თვლიდა, რომ კაცობრიობა გამოცდილების დაგროვების საფუძველზე ამგვარი საზოგადოებისაკენ მუხლჩაუხრელად მიისწრაფოდა.

ლუის მორგანი კულტურის ძველი ისტორიის პერიოდიზაციას „გამოგონებებისა და აღმოჩენების“ კრიტერიუმით შეეცადა. ცეცხლის აღმოჩენა, მშვილდის გამოგონება, სამეთუნეო ხელოსნობა,

მიწათმოქმედება, მესაქონლეობა, რკინის გამოყენება ლუის მორგანთან, წერილობამდელი და დამწერლობის მქონე ადრეული საზოგადოებების კულტურის ევოლუციაში მნიშვნელოვან ისტორიულ გარდატეხადაა მიჩნეული. ეს „გამოგონებები და აღმოჩენები“ მკვლევარისათვის კულტურის ერთი ტიპიდან მეორეში გადასვლის ეტაპები იყო. ლუის მორგანი კულტურის ისტორიას მეურნეობას მჭიდროდ უკავშირებდა, რომლის თავისებურებას და კანონზომიერებას საკუთრების ფორმით განსაზღვრავდა. მისი აზრით, თავდაპირველად, კაცობრიობა მიწის საერთო საკუთრებას დაეფუძნა. ამ პერიოდს ჯგუფური ქორწინება და მატრიარქატი შეესაბამებოდა. საწარმოო ძალების განვითარებისა და ტექნიკური პროგრესის შედეგად საზოგადოებაში კერძო საკუთრება გაბატონდა, რამაც პატრიარქატზე გადასვლა გამოიწვია, რასაც შედეგად რკინის ხანა და შემდგომი, უფრო განვითარებული ეპოქები მოჰყვა.

მარქსიზმის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში, საზოგადოების განვითარებაზე ლუის მორგანის ევოლუციურმა შეხედულებებმა დიდი როლი შეასრულა. XIX საუკუნის 60-იან წლებში მომზადდა და საფუძველი ჩაეყარა პირველყოფილი საზოგადოების სოციალ-ისტორიული კვლევის ისეთ დონეს, რომელმაც მარქსისტულ შეხედულებებს ისტორიული მატერიალიზმის შესახებ მყარი საფუძველი მისცა (ჭელიძე 1985: 6-11). რეალურად მორგანის შეხედულებები მარქსიზმის ფაქტოლოგიური საფუძველი გახდა. პირველყოფილი საზოგადოების შესახებ მის მიერ შეკრებილ მასალებსა და მათ განზოგადებებს „მარქსიზმის რკინის ინვენტარი“ უწოდეს. წინარე ისტორიის შესახებ მორგანისეული ფაქტობრივი მასალისა თუ აზრის გარეშე იმ დროის არც ერთი მარქსისტული ნაშრომი არ შექმნილა. მიუხედავად ამისა, ლუის მორგანის დასკვნები და კაცობრიობის ისტორიის მისეული რეკონსტრუქციები იმთავითვე კრიტიკას დაექვემდებარა. თავდაპირველად, მისი წიგნი – „ნათესაობის სისტემა და მოყვრობა საკაცობრიო ოჯახში“ – გააკრიტიკეს, თუმცა კრიტიკამ განსაკუთრებით წიგნის – „ძველი საზოგადოების“ გამოსვლის შემდეგ იმატა. ლუის მორგანის გვარის ნომენკლატურის წინააღმდეგ ჯ. ლებოკი, მაკ-ლენანი, ო. პეშელი გამოვიდნენ. XIX საუკუნეში დაწყებული ლუის მორგანის კრიტიკა XX

საუკუნეშიც გაგრძელდა. კრიტიკოსებად, ძირითადად, კულტურულ-ისტორიული სკოლის წარმომადგენლები: ვ. შმილტი, ვ. კოპერსი, ასევე ისტორიული ანთოპოლოგიის ამერიკელი სკოლის წევრები გამოდიოდნენ, რომელთაც რ. ლოუი ხელმძღვანელობდა. რ. ლოუი წიგნში „პირველყოფილი საზოგადოება“, რომლის პირველი გამოცემა 1920 წელს განხორციელდა, აღნიშნავდა, რომ 1877 წლის შემდეგ ანთროპოლოგებმა კონკრეტული ვრცელი მასალა არა მხოლოდ შეკრიბეს, არამედ ახალი მეთოდები და შეხედულებები შეიმუშავეს, რაც გვაიძულებს ლუის მორგანის მექვიდრეობა მოძველებულად მივიჩნიოთ, თუმცა ლუის მორგანის შრომა განუსაზღვრელად დიდი იყო, რის საფუძველზეც ადამიანთმცოდნეობის სფეროში შესაძლებელი გახდა ახალი კვლევითი გზების განსაზღვრა, მაგრამ ჩვენს დროში პირველყოფილი საზოგადოების შესახებ მისგან ცოდნის შექმნა უკვე იმას ჰკავს, დარგინამდელი ეპოქის ნატურალისტიკისაგან ბიოლოგია რომ შევისწავლოთ (Lowie 1920: 6). ლუის მორგანის შესახებ პ. პრეობრაჟენსკიც⁵, საბჭოთა კავშირში XX საუკუნის 30-იანი წლების კულტურულ-ისტორიული სკოლის მიმდევარი, ანალოგიური შეხედულების იყო (დაწვრ. იხ. Альтер 1934: III-X). მკაცრი შეფასებების მიუხედავად ლუის მორგანს პოზიტიური შემფასებლები თანადროულობაშიც ჰყავდა, რომელთაგან განსაკუთრებით ი. ბახოფენი და მაკ-ლენანი უნდა გამოვყოთ, შემდეგ პერიოდში კი – ვ. რივერსი⁶. ინტერესმოკლებული არაა ასევე XIX საუკუნის ბოლო და XX საუკუნის დასაწყისის რუსეთში ამ მხრივ არსებული მდგომარეობის განხილვაც, რადგან, როგორც ვიცით, შემდეგში საბჭოთა იმპერიის ხანაში, სოციალისტურ და კომუნისტურ იდეებს მეცნიერული და პოლიტიკური კონცეფციების სფეროში საფუძვლად სწორედ ევოლუციონისტური იდეები დაედო. თავის დროზე რუს ეთნოგრაფებს შორის ისეთებიც იყვნენ, რომლებიც ევოლუციონისტების თვალსაზრისებს იზიარებდნენ: ი. სმირნოვი, მ. კულიშერი, მ. კოვალევსკი, ნ. სუმცოვი, ს. შაშკოვი, მ. დოვნარ-ზაპოლსკი, ე. პეტრი, ნ. მიკლუხო-მაკლაი, მოგვიანებით

5 Преображенский 1929; ასევე ლუის მორგანის შესახებ შედარებით ადრეული შრომებიდან იხ. Stern 1931; Косвен 1933.

6 მაგალითად, სქესობრივი კომუნიზმის იდეისადმი მხარდამჭერი მსჯელობები იხ. Rivers 1924: 783.

ლ. შტენბერგი, ნ. ხორუზინი. ევოლუციონისტების გავლენა ისეთ დიდ მეცნიერებსაც შეეხო, როგორებიც იყვნენ დ. ანუჩინი, თუმცა, როგორც ს. ტოკარევი შენიშნავს, მისი მსოფლმხედველობა კლასიკური ევოლუციონიზმის ფარგლებში სრულად ვერ თავსდება (დაწვრ. იხ. Токарев 1980).

გასული საუკუნის 80-იან წლებში ლუის მორგანის მეცნიერულ დასკვნებს, განსაკუთრებით, ნათესაობის სისტემის – ნათესაური პარადიგმების მოდელირებისა და მათი სოციალური განპირობებულობის სფეროში, ამერიკულ და ევროპულ ანთროპოლოგიაში მხარდამჭერები კვლავ გამოუჩნდნენ. მაგალითად, ტ. ტრაუტმანი საკმაოდ მოზრდილ და სოლიდურ მონოგრაფიაში ლუის მორგანის მეცნიერული იდეების რეგენერაციას შეეცადა და რიგი დებულების დასასაბუთებლად დამატებითი არგუმენტაციები წარმოადგინა (დაწვრ. იხ. Trautman 1987).

კულტურულ-ისტორიულმა სკოლამ ლუის მორგანის ევოლუციონისტური შეხედულებებისა და მარქსიზმის ძირითადი გენეტიკური პრინციპების საპირისპიროდ კულტურული წრეების თეორია ჩამოაყალიბა. ამ თეორიის მიხედვით ყველაზე ძველი ისტორიულ-ეთნოლოგიური კულტურული წრისათვის დამახასიათებელი საერთო ქორწინება, კერძო საკუთრება და საერთო ღმერთი იყო. კოპერსის მიხედვით, პირველყოფილი კულტურის ხალხთა შესახებ ცნობების სიმწირის მიუხედავად, პირველყოფილებში არაფერი ისე განსაზღვრული და ნათელი არ იყო, როგორც საკუთრების შეგნება, რომელიც, ძირითადად, ინდივიდუალურ, საოჯახო და კომუნალურ (სათემო) საკუთრებაში იყო გამოხატული. ინდივიდუალური საკუთრება სამუშაო იარაღებისაგან, ხელსაწყოებისა და სამუშაო ინვენტარისაგან შედგებოდა. საოჯახო საკუთრებას, ზოგჯერ ინდივიდუალურსაც, საცხოვრებელი კარავები, კვების პროდუქტები, ხილის ხეები, ფრინველის ბუდეები, ფუტკრის სკები განეკუთვნებოდა... სათემო საკუთრებაში მიწა შედიოდა, რომელიც ჯგუფის წევრებს ნადირობისა და შემგროვებლობისათვის ეკუთვნოდა. კოპერსის ამგვარ ფორმულირებაში კერძო საკუთრება იმ სახით არ ჩანდა, როგორადაც ეს ლუის მორგანთან იყო ჩამოყალიბებული და, შესაბამისად, კოპერსის შეხედულებები მარქსიზმის მიმდევრებისათვის მიუღებელი აღმოჩნდა.

თავად კოპერსი იმედოვნებდა, რომ მის მიერ მოყვანილი ფაქტების შემდგომ მარქსისტული „პირველყოფილ-კომუნისტური საზოგადოება“ და მასზე დაფუძნებული სწავლება როგორც ბუმბული და მტკერი ისე გაიფანტებოდა, თუმცა ეს ასე არ მოხდა. მიწა კულტურული წრის შიგნით საერთო იყო და ამ საკითხში მისი შეხედულებები ევოლუციონისტების კრიტიკას ვერ უძლებდა.

ამრიგად, ლუის მორგანი რეალურად კაცობრიობის განვითარების უწყვეტი ხაზის შესწავლას ცდილობდა. ეს იყო გზა ველურობიდან ბარბაროსობამდე და ბარბაროსობიდან ცივილიზაციამდე. მისი წიგნების სამეცნიერო მიმოქცევაში შესვლამ საფუძველი ჩაუყარა პირველყოფილი კულტურის ისტორიის შესწავლას, რამაც იმ დროს რიგი დაუსაბუთებელი თეორიის ნაცვლად ხელი შეუწყო არგუმენტირებული ჰიპოტეზების გაჩენას, თუმცა ეს ჰიპოტეზები ძირითადად ევოლუციონისტური იდეების ფარგლებში ვითარდებოდა და წინასწარ შემუშავებულ სქემატურ პარადიგმებს ვერ სცილდებოდა. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ზოგიერთი მისი თეორია კაბინეტური კვლევების გზით იყო დამუშავებული, მაგრამ, საბოლოო ჯამში, ევოლუციონისტთა აზრით, მისი ძირითადი დებულებები ლოგიკურ ისტორიულ ფაქტებს ეყრდნობოდა, რომლებმაც დროის გამოცდებს გაუძლო.

დამოწმებანი:

მგელაძე, ნ., მასანოვი, ნ. „სოციალურ ორგანიზაციათა ტიპილოგიისა და მოდელირების თეორიული და მეთოდოლოგიური პრობლემები“. *კულტუროლოგიური და ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი საქართველოში*, I, ბათუმი, 1996.

მგელაძე, ნ., „ქართველი ხალხის ტრადიციული საზოგადოების სოციალური აგებულებისათვის (განზოგადებული კვლევის ცდა)“. *ლინგვოკულტუროლოგიური ძიებანი (პირველი საერთაშორისო კონფერენცია ლინგვოკულტუროლოგიასა და ანთროპოლოგიაში)* I, ბათუმი, 2011.

ჭელიძე, მ., *ბარბაროსობიდან ცივილიზაციისაკენ*. თბილისი, 1985.
Lowie, R. H. *Primitive society*, London, 1920.

- Lowie, R. H. *Primitive society*, London, 1947.
- Морган, Льюис Г. *Древнее общество*. Ленинград, 1934.
- Morgan, L. H. *Systems of consanguinity and affinity of human family*. Washington, 1871.
- Morgan, L. H. *Houses and Hoze Life of the American Aborigenes*. Washington, 1881;
- Морган, Льюис Г. «Дома и домашняя жизнь американских туземцев». *Труды научно-исследовательской ассоциации института народов севера*. т. II, Ленинград, 1934.
- Lewis, H. Morgan. „The Comporative Study of Family Systems“. *Reading in Kinship and Social Structure*. Berkeley, 1976.
- Murdock, G. P. *Social Structure*. N. Y. 1949.
- Murdock, G. P. „The Nuclear Family“. *Reading in Kinship and Social Structure*. Berkeley, 1971.
- Rivers, W. *Social Organisation*. London, 1924.
- Trautman, T. R. *Lewis Henri Morgan and the Invention of Kinship*. London, 1987.
- Spiro, M. E. „Is the Family Universal?“. *American Anthropologist*, vol. 56, No. 5, 1954; აზვევ, იგოვე ვადოცემა აბ. *Anthropology: Contemporary Perspective*. Boston, 1979.
- Stern, B. I. "Lewis Henry Morgan". *Social Evolushionist*. Chicago, 1931.
- Алькор, Я. П. „Предисловие редактора“. в кн.: Льюис Г. Морган. *Древнее общество*. Ленинград, 1934.
- Косвен, М. О. „Морган Л. Г. Жизнь и учение“. *Труды научно-исследовательской ассоциации института народов севера*, т. 1, вып. 4-5, Ленинград, 1933.
- Преображенский, П. Ф. *Курс этнологии*, Москва, 1929.
- Токарев, С. А. *История зарубежной этнографии*, Москва, 1980.
- Штенберг, Л. „Турано-ганованская система народов северо-восточной Азии (семья и род у народов северо-восточной Азии)“. *Труды научно-исследовательской ассоциации института народов севера*, т. II, Ленинград, 1934.

NUGZAR MGELADZE

Professor, Shota Rustaveli State University, Professor

TEMUR TUNADZE

Director, Batumi Brother Nobel's Technological Museum, Director

ABSTRACT

**ANTHROPOLOGICAL BIOGRAPHIES: SOURCES OF AMERICAN
ANTHROPOLOGY – LOUIS HENRY MORGAN**

Louis Henry Morgan was one of the founders of American anthropology and one of the best representatives of old generation of anthropologists. He devoted 40 years to study the culture of Iroquois and other Indian tribes. He collected rich ethnographic material and laid the foundation of the American evolutionism. Morgan's basic work "Ancient Society" gave rise to the history of primitive society and had the revolutionary impact on the existing opinions on pre-historic past of the mankind. His scientific books resulted in emerging of the reasoned hypothesis on history of primitive culture, which basically developed within the evolutionary ideas, but did not go beyond a pre-drawn schematic paradigms.

The article depicts Louis Henry Morgan's basic ideas about social system, family, kinship systems; pre-state forms and their evolutionary development are presented.

რუსუდან მიქაუბაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

მე-20 საუკუნის 60-90-იანი წლების ურბანული ბუნებები აშშ-ში: მიზაზები და შედეგები

1960-იან წლებში ყველაზე ცნობილი ბუნტი იყო 1965 წლის უა-ტის ბუნტი, რომელიც 11 აგვისტოს დაიწყო, როცა ლოს-ანჯელესის პოლიციამ დააკავა ახალგაზრდა აფრო-ამერიკელი მანქანის ნასვამ მდგომარეობაში მართვისათვის. ხალხი შეიკრიბა, მძღოლს გამოესარჩლნენ დედა და ძმა და პოლიციამ ისინიც დააკავა. ეს გახდა ბუნტის საბაბი. ხალხმა პოლიციას დაუწყო ბოთლების და ქვების სროლა, ამას მოჰყვა შენობებისათვის ცეცხლის წაკიდება, მაღაზიების ძარცვა და პოლიციასთან შეტაკებები. ქალაქში ათასობით ეროვნული გვარდიის ჯარისკაცი შემოიყვანეს. ექვსდღიანი შეტაკებების შედეგად დაიღუპა 34 კაცი, დაშავდა 1032, დააპატიმრეს 3952. დაზიანდა 18.3 მლნ დოლარის ღირებულების საკუთრება, 600 დაზიანებული შენობიდან 200 მთლიანად დაინგრა.

მაიამის ბუნტი 1977 წლის 17 დეკემბერს დაიწყო, როცა პოლიციელების მიერ სასტიკად იქნა ნაცემი დაზღვევის აგენტი არტურ მაკლაფი სიჩქარის გადაჭარბების გამო. 1980 წლის 17 მაისს, როცა პოლიციელები გაამართლეს, დაიწყო ორდღიანი ბუნტი. აფროამერიკელებმა განზრახ წაუკიდეს ცეცხლი 159 შენობას, დაიღუპა 17 ადამიანი, 400 დაშავდა, დაიჭირეს 1300 კაცი, განადგურდა 50 მლნ ღირებულების საკუთრება (Lynn 2005).

ხოლო ყველაზე მასშტაბური ურბანული ბუნტი გახლავთ ლოს-ანჯელესის 1992 წლის ბუნტი, რომელიც გრძელდებოდა 29 აპრილიდან 4 მაისამდე. დაიღუპა 53 ადამიანი, დაშავდა 2000-მდე კაცი, დაინგრა 1100 შენობა, ქალაქს მიაღდა 1 მლრდ დოლარის მატერიალური ზარალი. ბუნტის საბაბი გახდა აფრო-ამერიკელი როდნი კინგის ცემა პოლიციელების მიერ, რომელიც სამოყვარულო კამერით გადაიღო ერთერთმა თვითმხილველმა და გაუგზავნა იგი ტელევიზიას. ამ სცენამ მოიარა ქვეყნის თითქმის ყველა ტელევიზია და 420

დიდი აღშფოთება გამოიწვია. ამას დაემატა ის, რომ სასამართლო გაამართლა პოლიციელები, რომლებიც ამ ცემაში მონაწილეობდნენ. 29 აპრილს დაიწყო მასობრივი არეულობები. მეორე დღეს ბუნტი გადაედო სან-ფრანცისკოსაც. მასში ჩაერთნენ კრიმინალური ელემენტებიც, რომლებიც შეეცადნენ სათავისოდ გამოეყენებინათ ხალხის რისხვა. მთლიანად დემონსტრაციებში, ძალადობაში, ძარცვასა და ღარბევაში ჩაება სხვადასხვა რასის წარმომადგენლები, ანუ მას მიეცა მულტირასობრივი ხასიათი.

1 მაისს პრეზიდენტმა ჯ. ბუშმა მიმართა ერს, სადაც მან აღიარა კინგის სასამართლო პროცესის უსამართლობა და გასცა ბრძანება ხელახალი გამოძიების ჩასატარებლად. პრეზიდენტი მიუთითებდა, რომ "რაც ჩვენ ვნახეთ გასულ დამეს ლოს-ანჯელესში, ეს არ არის სამოქალაქო უფლებებისათვის ბრძოლა. ეს არ არის თანასწორობის პრინციპის დაცვა, რისკენაც ყველა ამერიკელი ისწრაფვის. ეს არ არის პროტესტის მესიჯი. ეს არის ბრბოს სიმხეცე, სუფთა კრიმინალი. და ნება მიბოძეთ დაგარწმუნოთ, რომ მე ყველა ღონეს ვიხმარ წესრიგის აღსადგენად. რაც მიმდინარეობს ლოს-ანჯელესში, უნდა შეწყდეს" (Bush 1992).

პრეზიდენტის ბრძანებით, ლოს-ანჯელესში შეიყვანეს 7300 პოლიციელი, 1950 შერიფი, 9975 ეროვნული გვარდიის ჯარისკაცი, 3300 სამხედრო მოსამსახურე და ფბრ-ის 1000 აგენტი. დაიჭირეს 12 ათასზე მეტი ადამიანი, პოლიციელებმა მოკლეს 15 ადამიანი. ყველა ტიპის სასამართლო გარჩევების შემდეგ როდნი კინგს კომპენსაციის სახით ლოს-ანჯელესის პოლიციის დეპარტამენტმა გადაუხადა 3.8 მლნ დოლარი. დაპატიმრებულთა შორის ნახევარი და მოკლულთა შორის მესამედი იყო ლათინო, თუმცა ბრბოს მთავარი სამიზნე გახდა კორეელების თემი, რომლებიც დაკავებულნი იყვნენ წვრილი ბიზნესით.

ნებისმიერ დროს, როცა ბუნტი ხდება, მითუმეტეს ისეთი აღიარებული დემოკრატიის ქვეყანაში როგორც აშშ-ია, უნდა დაისვას კითხვა: რატომ ხდება ეს? რა არის ბუნტის მიზეზი? საკითხი განვიხილოთ ბოლო, ლოს-ანჯელესის ბუნტის მაგალითზე. მრავალ მიზეზთა შორის, შეიძლება გამოვყოთ ძირითადი:

-ბუნტის გამომწვევი მიზეზი სოციალური პრობლემებია, უპირვე-

ლეს ყოვლისა კი ეთნიკური დაპირისპირებები, რასობრივი სეგრეგაცია, სიღარიბე და უმუშევრობა, ოჯახური ღირებულებების დაქვეითება და ა. შ

- ბუნტის მიზეზი შეიძლება იყოს ცალკეული ინდივიდის მისწრაფება მიიღოს ფინანსური სარგებელი ბუნტის შედეგად- ბუნტის გაძლიერებას ხელს უწყობს მედიის მხრიდან ფაქტების არასწორი ან გადაჭარბებით გაშუქება. ლოს-ანჯელესის სამხრეთ-ცენტრალური ნაწილი ყოველთვის წარმოადგენდა იმიგრანტთა კარიბჭეს. მეორე მსოფლიო ომისა და მის შემდეგ წლებში იქ დასახლდნენ შავკანიანები, რომლებიც დასაქმებულნი იყვნენ სხვადასხვა ქარხნებში. ქალაქის ამ ნაწილში ისინი წარმოადგენდნენ დომინირებად ეთნიკურ უმრავლესობას. 1965 წელს, როცა ებრაელებმა გაყიდეს აქ თავიანთი ბიზნესი უატის ბუნტის შემდეგ, ეს ბიზნესები შეიძინეს კორეელებმა და ბოლო 20 წლის განმავლობაში ისინი გახდნენ მთავარი ძალა, პარალელურად შექმნეს კორეათაუნის ანკლავი. ისინი არ საუბრობდნენ ინგლისურად, თავიანთ მალაზიებში შესულ შავკანიანებს უკან დაჰყვებოდნენ რომ არაფერი მოეპარათ და ხურდას უდებდნენ დახლზე და არ აძლევდნენ ხელში, ცხოვრობდნენ ჩაკეტილად, არ მონაწილეობდნენ საზოგადო საქმეებში. ამას ემატებოდა ამ რეგიონში სწრაფად მზარდი ესპანურენოვანი მოსახლეობაც, რამაც კიდევ უფრო გაამწვავა დაპირისპირებები ეთნიკურ ნიადაგზე. 1970-1990-იან წლებში ლოს-ანჯელესის სამხრეთ-ცენტრალური ნაწილი გახდა მკვეთრად ჰეტეროგენული. ლოს-ანჯელესის მთლიან ოლქში თეთრკანიანთა რიცხვი 70%-დან /1970 წ./ შემცირდა 41%-მდე /1991წ/, ლათინოების წილი გაიზარდა 15%-დან 37%-მდე, აზიელებისა 2.5%-დან 10.5%-მდე. საკუთრივ ლოს-ანჯელესის სამხრეთ-ცენტრალურ ნაწილში აფროამერიკელების რიცხვი შემცირდა 80%-დან 45%-მდე, ხოლო ლათინოებისა გაიზარდა 8%-დან 51%-მდე (Dipasquale and Glaeser 1996).

აფრო-ამერიკელთა დომინანტობის ასეთმა მკვეთრმა ცვლილებამ შესაძლებელია უბიძგა კიდევ ამ ბუნტს, რადგანაც პოპულარული დისკურსები ბუნტების შესახებ გვიჩვენებს, რომ ბუნტი კავშირშია თემში გამეფებულ უკმაყოფილებასთან, როცა ეთნიკური უმცირესობა ცდილობს შეცვალოს სტატუს ქვო, რათა მიიღოს მეტი პოლიტიკური

ძალაუფლება, პოლიტიკური უფლებები და მატერიალური სიმდიდრე. გარდა ამისა, ეთნიკური მრავალფეროვნების არსებობა განაპირობებს დაპირისპირებული მხარეების ქცევის სხვადასხვა ნორმების არსებობას. ქმედება, რომელიც მისაღებია ერთი ეთნიკური ჯგუფისათვის, მეორესათვის არის ძალადობა და ამანაც შეიძლება გამოიწვიოს კონფლიქტი. მაგ. გაუგებრობაზე დამყარებული კონფლიქტი იყო აფროამერიკელებსა და მაღაზიათა ებრაელ მფლობელებს შორის, 1960-იან წლებში კორეელებსა და აფროამერიკელებს შორის ნიუ-იორკში და ა.შ.

რასობრივი და ეთნიკური ჯგუფების ურთიერთობაში მნიშვნელოვანი ფაქტორია ისიც, რომ ისინი ყოველთვის ეჯიბრებიან ერთმანეთს, რომ დაიცვან და გაიუმჯობესონ თავიანთი პოზიციები სოციალურ და ეკონომიკურ იერარქიაში. ამ მიზნით მობილიზებას უკეთებენ თავიანთ ძალებს და შესაძლებლობებს, რათა თავიანთ თემებში ჩანერგონ მათი იდენტურობისადმი სიამაყე ანუ ყველა რასობრივი და ეთნიკური ჯგუფი ეძებს გადარჩენის გზებს და მიისწრაფვის იქითკენ, რომ შეინარჩუნონ კულტურული დამოუკიდებლობა, ისტორიული ცოდნა და სანამ ეს ასე იქნება, მუდმივად იარსებებს დაპირისპირებები განსაზღვრულ მომენტებში. ამის დასტური იყო სწორედ ლოს-ანჯელესის სამხრეთ ცენტრალურ ნაწილში კორეელების ქმედება, როცა ისინი, პოლიციისაგან მიტოვებულები, იძულებულნი იყვნენ შეექმნათ თავდაცვითი რაზმები და იარაღით ხელში ებრძოლათ ბრბოს წინააღმდეგ თავიანთი საკუთრების დასაცავად.

ბილ კლინტონი, პრეზიდენტობის კანდიდატი დემოკრატიული პარტიიდან, შენიშნავდა, რომ "ხალხი არბევს" იმიტომ, რომ ისინი არ იზიარებენ ჩვენს ფასეულობებს, მათი შვილები იზრდებიან განსხვავებულ კულტურაში, ოჯახის, სამეზობლოს, ეკლესიის გარეშე" (Brownstein 1990). სეთ მიდანსი New York Times-ში შენიშნავდა, რომ "ეს იყო რასათა ომი", სადაც კორეელები იძულებულნი იყვნენ აეღოთ კანონი თავიანთ ხელში (Mydans 1992: 11).

ზემოთაღნიშნული ურბანული ბუნტების მეორე გამომწვევი მიზეზი არის უმუშევრობა და სიღარიბის მაღალი დონე, თუმცა 1990 წლისათვის ლოს ანჯელესის ოლქში უმუშევრობა ნაკლები იყო, ვიდრე მთელს აშშ-ში, მაგრამ კონკრეტულად სამხრეთ-დასავლეთ

უბანში უმუშევრობის და სიღარიბის დონე შედარებით მაღალი იყო, განსაკუთრებით ახალგაზრდა მამაკაცებში /16-29 წლამდე/. სწორედ ეს ასაკი წარმოადგენდა ბუნტის მონაწილეთა უმეტესობას.

ცნობილმა მეცნიერმა ოსკარ ლუისმა შეისწავლა სიღარიბის პრობლემები და დაასკვნა, რომ "სიღარიბის კულტურის" მატარებელ ხალხს არ აქვს მომავლის რწმენა, ისინი არ ენდობიან და აპათიურად არიან განწყობილი საზოგადოებრივი ინსტიტუტების მიმართ, ძულთ პოლიცია და არ ენდობიან მთავრობას, ცინიკური დამოკიდებულება აქვთ ეკლესიის მიმართ. რადგან არ აქვთ ფულის დაგროვების საშუალება, ისინი ცხოვრობენ დღევანდელი დღით, ფულს ხარჯავენ სმამში და დროსტარებამი. იგი აღიარებს, რომ სიღარიბის კულტურა არის უფულებობის და სიღარიბის შედეგი ანუ ღარიბთა პასუხი და რეაქცია საზოგადოების კლასობრივ სტრუქტურაში მათი მარგინალური პოზიციის გამო და მიიჩნევს, რომ რადგანაც ჩამოყალიბებულია სიღარიბის კულტურა, მათ სამუდამოდ უწერიათ არსებობა. - იმ დროისათვის, როცა ამ სიტუაციაში აღზრდილი ბავშვები 6-7 წლის იქნებიან, ისინი უკვე იზიარებენ თავიანთი სუბკულტურებისათვის დამახასიათებელ ფასეულობებს. აქედან გამომდინარე, ისინი ფსიქოლოგიურად არ არიან მზად შეცვალონ თავიანთი პირობები ან განოიყენონ მათ წინაშე არსებული შესაძლებლობები" აღნიშნავს ოსკარ ლუისი (Harris 1995: 165).

უნდა აღვნიშნოთ, რომ სიღარიბის კულტურის მატარებელ ხალხში მაღალია დანაშაულის დონე, განსაკუთრებით ეს ითქმის აფრო-ამერიკულ გეტოებზე და ლათინოამერიკელთა შესახებ. ხშირია შემთხვევები, როცა ეკონომიკური წარმატების მისაღწევად და თეთროკანიანებთან შეჯიბრების გამო აფროამერიკელი და ლათინოელი ახალგაზრდები ჩამბუნნი არიან ნარკოტიკებით ვაჭრობაში. ერთი კვირის განმავლობაში წამლის გაყიდვით მიღებული შემოსავალი გაცილებით მაღალია, ვიდრე მომსახურების სფეროში ერთი წლის მუშაობის გასამრჯელო. ასეთი კონტრკულტურის არსებობა ხელს უწყობს მთელი თემის ახალგაზრდების ჩაბმას ამ ბიზნესში და წამალდამოკიდებული ადამიანთა რიცხვის და დანაშაულის ზრდას.

ძალადობრივი ურბანული დანაშაული აშშ-ში ხდება შავკანიანი და ლათინოელი ახალგაზრდების მიერ, რომელთა უმეტესობას არ

აქვს სრულფასოვანი ოჯახი, ანუ ისინი იზრდებიან მარტოხელა დედების ოჯახებში და უმეტეს შემთხვევაში იმყოფებიან სახელმწიფოს სოციალური პროგრამების ხარჯზე. ლოს-ანჯელესის სამხრეთ-ცენტრალურ ნაწილში აფროამერიკელთა ოჯახების 35.6% სათავეში უდგანან ქალები, ანუ ეს არის ერთგვარი ინდიკატორი სიღარიბის განსაზღვრული ფორმისა, ანუ ეს ციფრი შეიძლება მივიჩნიოთ თემის სტრუქტურის საზომად. ასეთ ქალებს ყავთ ერთი ან რამდენიმე მატერიალურად ნაკლებზრუნველყოფილი პარტნიორი, რომელთა უმეტესობა ჩაბმულია დანაშაულებრივ საქმიანობაში. ამიტომ ბავშვებს ადრეული თინეიჯერობიდან შეაქვთ თავიანთი წვლილი ოჯახის ბიუჯეტში და ჩართულნი არიან ნარკოტიკებით ვაჭრობაში ან ქუჩის სხვადასხვა დანაშაულში. ანთროპოლოგი ჯეგნა შარფი კვლევის შედეგად ასკვნის, რომ ასეთი დედები დიდად აფასებენ თავიანთ "მაჩო" შვილებს, განსაკუთრებით მათ უნარს იხმარონ ცივი იარაღი, როცა საქმე შეეხება დედის დაცვას მოძალადისაგან, თუმცა ისინი ხელს არ უწყობენ შვილებს ნარკოტიკებით ვაჭრობაში (Harris 1995: 188). სწორედ ოჯახის სტრუქტურის რღვევაზე მიუთითებდა აშშ ვიცე-პრეზიდენტი დიმ სუაილი როცა აფასებდა ლოს-ანჯელესის ბუნტს.

ჩვენ ვეთანხმებით იმ ანთროპოლოგების /ჰელენ საფა და სხვ. / შეფასებას, რომლებიც არ იზიარებენ ოსკარ ლუისის შეხედულებას სიღარიბის კულტურის მატარებელი ხალხის და მათი შთამომავლების, როგორც ერთ წრეზე მოტრიალე ხალხის შესახებ და მიგვაჩნია, რომ ამ ხალხს აქვს თავიანთი ღირებულებები: ესაა გულმოდგინე შრომა, მომჭირნობა, უკეთესი განათლების მიღების სურვილი. ისინი ცდილობენ გამოიმუშავონ სტერეოტიპები, თუმცა მათ აქვთ ნაკლები ეფექტი მცირე ეკონომიკური შესაძლებლობების და სოციალური მასშტაბიდან გამომდინარე (Scupin 1995: 308) სწორედ ამ მიზეზებზე მიუთითებდა კალიფორნიის ლეგისლატურის სპეცკომისია, რომელმაც დაწერა დასკვნა ლოს-ანჯელესის ბუნტის შესახებ, კერძოდ, რომ - ეს შეტაკებები გამოიწვია ქალაქის შიგა უბნებში არსებულმა სიღარიბემ, სეგრეგაციამ, განათლების ნაკლებობამ და დასაქმების არარსებობამ, პოლიციის ძალადობამ და მომხმარებელთა არათანაბარმა მომსახურებამ" (Assembly 1990).

თუმცა ზოგიერთი მეცნიერი, მაგ. გ. ს. ტალოკი თვლის, რომ ბუნტები ხშირად ხდება ფინანსური სარგებლის მიღების იმედით (G.K.Tullock, I. Public Choice 11 1971, p. 89-99). ეს მოსაზრებაც ანგარიშგასაწევია, რადგანაც დაზარალებული მხარე საკმაოდ დიდ კომპენსაციას ღებულობს როგორც ფედერალური, ისე ადგილობრივი ორგანოების მხრიდან, როგორც იყო, მაგალითად, როდნი კინგის შემთხვევაში. ხალხს აუშენეს ახალი, ბევრად უკეთესი შენობები, გაიცა 3 მლრდ საბინაო სესხი, შეიქმნა ახალი ბიზნესები. ბუნტის მონაწილეები თვლიდნენ, რომ არ ყოფილიყო ეს ბუნტი, მათ ამას არავინ გაუკეთებდა.

მესამე ფაქტორი, რომელიც აგრეთვე საკმაო გავლენას ახდენს ბუნტის დაწყებაზე, მიმდინარეობასა და შედეგებზე არის მედიასაშუალებები. ჩვენს შემთხვევაში, როდნი კინგის ცემის ფაქტები, სხვათა შორის, საკმაოდ მიკერძოებული, რომ არ გავრცელებულიყო ტელევიზიით, ბუნტი არ იქნებოდა ასეთი მასშტაბური, მაგრამ ექსკლუზივსა და ეფექტს გამოდევნებული ჟურნალისტები დარბევებს იღებდნენ შვეულმფრენებიდან და ცემის და დარბევების ფაქტებს პირდაპირ აშუქებდნენ ტელევიზიით. მედიასაშუალებების არაკომპეტენტურობად შეიძლება ჩავთვალოთ იმ კადრების ჩვენებაც, სადაც ჩანს თუ როგორ ესვრიან კორეელი მოვაჭრეები იარაღს მათ დასარბევად მოსულ ბრბოს, ძირითადად აფროამერიკელებს, რამაც ამ უკანასკნელთა მხრიდან გამოიწვია უფრო მეტი აგრესია. მოგვიანებით, ამ ამბების მონაწილე კორეელები მიიჩნევდნენ, რომ ეს შეტაკებები ხელოვნურად იყო ინსპირირებული მედიასაშუალებების მიერ მთავრობის შეკვეთით, რადგანაც მთავრობა ცდილობდა მიეფუჩეჩებინა მისი ბრალეულობა ამ საქმეში, კერძოდ, თუ რატომ იყო ასეთი დიდი სილატაკე ამ რაიონში.

ისმის კითხვა: შესაძლებელია თუ არა ასეთი ბუნტების თავიდან აცილება? ბუნტი ამკარა კავშირშია ურბანიზაციასთან, ანუ მისი მოწყობა უფრო ადვილია ქალაქებში. კავშირი ჩანს ეთნიკურ ჰეტეროგენურობასთანაც, მაგრამ იმ ადგილებში, სადაც არსებობენ დიდი ისტორიის მქონე თემები, რომელთაც აქვთ შექმნილი სხვადასხვა სოციალური ინსტიტუტები, ისინი ხელს უწყობენ სოციალური კონფლიქტების შემცირებას. მაგ. ბუნტები ნაკლებია სამხრეთში, შესა-

ძლებელია იმიტომ, რომ აქ სამოქალაქო უფლებებისათვის ბრძოლის მოძრაობას აქვს დიდი ისტორია, ან იმიტომ, რომ აქ შავკანიანთა თემები უკვე მკაცრად ფორმირებულია. უნდა გავითვალისწინოთ საკუთრების საკითხიც, რადგან მიუხედავად მრავალეთნიკურობისა, უმცირესობებს, რომელთაც აქვთ საკუთრება, ნაკლები სურვილი აქვთ ბუნტისა.

ბუნტის შემდეგ ლოს-ანჯელესის ამ მრავალეთნიკურ უბანში დიდი როლი შეასრულა საზოგადოებრივი ორგანიზაციების შექმნამ და მათი ლიდერების ერთმანეთთან დაახლოებამ. ტედ ესკიუ, ლოს-ანჯელესის ერთერთი ბანდის ყოფილი წევრი, რომელმაც მიიღო ისლამი და თავი დაანება დანაშაულებრივი გზით ცხოვრებას, მიუთითებდა, რომ "ერთ-ერთობებმა სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების ლიდერებთან შეამცირა მათ შორის არსებული დაძაბულობა და უნდობლობა", თუმცა ბუნტიდან 12 წლის შემდეგ, ერთერთ ინტერვიუში როდნი კინგი შენიშნავდა, რომ - რასობრივი უთანასწორობა არის ერთერთი უდიდესი პრობლემა ამ ქვეყანაში. ჩვენ ვცდილობთ ამ მიმართულებით ცვლილებების მოხდენას, მაგრამ ეს პროცესი ძალიან ნელა მიიწვევს წინ (LeDuff 2004).

დასკვნის სახით შეიძლება ჩამოვაყალიბოთ შემდეგი: დიდი ქალაქების მრავალეთნიკურობა არის პირველწყარო სოციალური ბუნტისა. ამას ემატება ეთნიკური უმცირესობების სიღარიბე, სეგრეგაცია და რასობრივი უთანასწორობა, უმუშევრობის მაღალი დონე და დანაშაულის მაღალი რისკი, განსაკუთრებით ახალგაზრდებს შორის, დასჯის არათანაბარზომიერება, განათლების დაბალი დონე, უპერსპექტივობა. აღნიშნული საკითხების მოუგვარებლობა სახელმწიფოს მხრიდან ხელს უწყობს "სიღარიბის კულტურის" ჩამოყალიბებას, რომლისგანაც თავის დაღწევა დიდ სირთულეს წარმოადგენს. დროთა განმავლობაში ეს იწვევს მათი კულტურის ჩაეცილობას და სხვა კულტურის მატარებელ ხალხთან დაპირისპირებებს.

დამოწმებანი:

Assembly Special Committee. *To Rebuilt is not Enough: Final Report and Recommendations of the Assembly Special Committee on the Los Angeles Crisis*. Sacramento: Assembly Publications Office, 1990.

Brownstein, Ronald. "Clinton Parties Fail to Attack Race Divisions". *Los Angeles Times*, Sunday Final Edition, May 3, 1990.

Bush, G. *Address to the Nation on the Civil Disturbances in Los Angeles, California*. May 1, 1992. [http:// bushlibrary.tamu.edu/research/papers/1992/](http://bushlibrary.tamu.edu/research/papers/1992/)

Dipasquale, D. and E. L. Glaeser. *The Los Angeles Riot and the Economics of the Urban Unrest*. November, 1996. http://www.cityresearch.com/pubs/la_riot.pdf

Harris, Marvin. *Cultural Anthropology*. (4th edition) Harpercollins College Div., 1995.

LeDuff, Charlie. "12 Tears After the Riots. Rodney King Gets Along". *The New York Times*, 19 September, 2004

Lynn, Jessica. "A History of the 1980 Liberty City Race Riots in Miami, Florida". June 23, 2005. Voices.Yahoo.com

Mydans, Seth. "Riots in Los Angeles: Packet of Tension: A Target of Rioters: Koreatown is bitter, Armed and Determined". *New York Times*, May 2, 1992.

Scupin, Raymond . *Cultural Anthropology: A global Perspective*. (2nd edition). Prentice-Hall, Incorporated, 1995.

Tullock, G. S. "The Paradox of Revolution". *Public Choice*, v. 11. 1971.

RUSUDAN MIKAUTADZE

Associate Professor, Akaki Tsereteli State University

ABSTRACT

**URBAN RIOTS IN THE USA IN THE SECOND HALF OF THE 20TH-
CENTURY: REASONS AND RESULTS**

There are several factors which determine the social riots: first of all they are problems within social groups, in particular: ethnic clashes, racial segregation, culture of poverty, decline of family values and etc. Course of the riot can be aspiration of separate communities or individuals to receive financial or other benefits as a result of the riots. Sometimes riots are supported by media by adding more fuel to the riot coverage depending on whose interests it serves.

Contributing factor for the riots may be a competition, when ethnic groups are trying to improve their social and economic status by quick profits which leads to the increase of violence and crime, especially among young people. At the same time they are trying to maintain their cultural identity and for this purpose they become more isolated towards other cultures which over time leads to clashes with other ethnic groups.

The solution may be in the way of public diplomacy, to find common points of contacts, to have dialogues with each other. It will help different ethnic groups to become friendlier and to accelerate diffusion of their cultures.

ენახარინე გეჰანაქა

შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი

საქართველო ჯონ აპლაიის შემოქმედებაში

საქართველო ყოველთვის ხვდებოდა უცხო ქვეყნის მკვიდრთა ინტერესის ობიექტივში. არც თუ ისე მცირერიცხოვანია იმ უცხოელ მწერალთა სია, რომლებიც მე-20 საუკუნის 60-იან წლებში ესტუმრნენ საბჭოთა კავშირს. მათ შორის იყვნენ რიჩარდ ოლდინგტონი, ჰაინრიხ ბიოლი, ჟან-პოლ სარტრი, არტურ მილერი. მაგრამ ამჯერად თქვენი ყურადღება მსურს მივაპყრო დიდი ამერიკელი მწერლის და ამერიკული იმპერიის ჟამთააღმწერლის ჯონ აპლაიის ცხოვრებისა და შემოქმედების იმ პერიოდს, რომელიც უკავშირდება საქართველოს. 1964 წელს ჯონ აპლაიკი ჯონ ჩივერთან ერთად ესტუმრა საბჭოთა კავშირს. ამის შესახებ წერს ქუენტინ მილერი წიგნში *ჯონ აპლაიკი და ცივი ომი: რკინის ფარდის მიღმა (John Updike and the Cold War: Drawing the Iron Curtain)*. ამ წიგნში უმთავრესი ადგილი ეთმობა იმ პერიოდის საბჭოთა კავშირში არსებული პოლიტიკური სიტუაციის აღწერას:

“Updike visited the Soviet Union along with John Cheever on a state-sponsored trip in October 1964. Moments before his visit and halfway through Cheever's month-long stay, Soviet officials removed their flamboyant and charismatic leader Nikita Khrushchev and replaced him with the dour Leonid Brezhnev. This was certainly a momentous time for any American to be visiting the Soviet Union, but it was especially significant for Updike and Cheever, regional writers of American suburbia who were suddenly cast in the role of literary ambassadors to a nation whose authors were about to lose what little artistic freedom they had.” (Miller 2001: 110). (□აპლაიკა და ჯონ ჩივერმა, საბჭოთა კავშირში სამთავრობო ღონეზე დაგეგმილი ვიზიტი 1964 წლის ოქტომბერში განახორციელეს. ეს იყო დრო, როდესაც კოლორიტული და ქარიზმატული ლიდერი, ნიკიტა ხრუშჩოვი, მკაცრმა ლეონიდ

ბრეჟნევმა შეცვალა. ნებისმიერი ამერიკელი სტუმრისთვის ეს პერიოდი მნიშვნელოვანი დრო იქნებოდა საბჭოთა კავშირის მოსანახულებლად, განსაკუთრებით კი, ამერიკელი მწერლების - ჯონ აპდაიკისა და ჯონ ჩივერისთვის, რომლებიც მოულოდნელად აღმოჩნდნენ ლიტერატურის ელჩების როლში იმ კვეყანაში, სადაც ადგილობრივ მწერლებს მათ ხელთ არსებული მცირეოდენი შემოქმედებითი თავისუფლების დაკარგვის საფრთხე ემუქრებოდათ.¹¹⁾

ჩვენთვის საინტერესო არის ჯონ აპდაიკის თვალთ დანახული საბჭოთა კავშირი და მის შემადგენლობაში შემავალი საქართველო. ჯონ აპდაიკის საბჭოთა კავშირში მოგზაურობის მხატვრული ანგარიშია 1998 წელს შექმნილი მოთხრობათა კრებული: *სიყვარული მცირე დოზებით*, რომელიც გამოქვეყნდა ჟურნალში *The Atlantic* (Updike 1998). ამჯერად თქვენი ყურადღება მიიწვი შევაჩერო მოთხრობაზე: "Licks of Love in the Heart of the Cold War" („სიყვარული მცირე დოზებით ცივი ომის დროს“). საბჭოთა კავშირში ამერიკის შეერთებული შტატების მიერ კულტურულგაცვლითი პროგრამის ფარგლებში განხორციელებული მოგზაურობა გადმოცემულია ნაწარმოების მთავარი პერსონაჟის - ედი ჩესტერის თხრობითი პერსპექტივიდან.

აპდაიკის პერსონაჟი, ედი ჩესტერი, ბანჯოზე დამკვრელი მუსიკოსი გახლდათ, რომელსაც დავალებული ჰქონდა მის მუსიკალურ ჯგუფთან ერთად საბჭოთა კავშირში კონცერტების გამართვა და ამით ამერიკის შეერთებული შტატების მიერ დაკისრებული მთავარი მისიის შესრულება - საბჭოთა მონური მენტალიტეტის მქონე მოსახლეობაში ამერიკული ცხოვრების წესის პროპაგანდის წარმოება.

ნაწარმოების დასაწყისში ედი ჩესტერი 1960-იანი წლების საბჭოთა კავშირს აღწერს. ის გვიზიარებს ამერიკიდან მოსკოვში თვითმფრინავით მგზავრობის დროს და მოსკოვის აეროპორტში მიღებულ პირველ შთაბეჭდილებებს:

„Khrushchev was in power, or we thought he was.... That month I spent as cultural ambassador and banjo-picking bridge between the superpowers, helping to stave off nuclear holocaust. It was September into October of 1964. (Updike 2000: 79) ("ეს იყო ხრუშჩოვის მმართ-

1 სტატიაში გამოყენებული ყველა ციტატის თარგმანი ეკუთვნის ავტორს - ე. შ.

ველობის პერიოდი. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ასე გვეგონა.... იმ დროსთვის მე ერთი თვე ვასრულებდი კულტურის ელჩის როლს. ბანჯოს სიმებიით ორი ზესახელმწიფო – ამერიკა და საბჭოთა კავშირი – უნდა დამეახლოვებინა ერთმანეთთან და მათ შორის არსებული დაძაბულობის მოხსნაში ჩემი წვლილი შემეტანა. ეს იყო 1964 წლის სექტემბერ-ოქტომბერი.")

მოთხრობაში, აგრეთვე აღწერილია, თუ როგორ ამზადებდნენ ელი ჩესტერს ამ მისიისთვის ამერიკელი ექსპერტები. უშიშროების განყოფილების წარმომადგენელი რჩევებს აძლევდა ელის – რომელ რესტორანს სტუმრებოდა და რომელი საჭმელი დაეგეგმოვნებინა.

“Then it was the dark side of the moon. The Aeroflot plane from Paris smelled of boiled potatoes, as I recall, and the stewardesses were as hefty as packed suitcases. When we landed, at midnight, we might have been descending over the ocean, there were so few lights under us.” (Updike 2000: 88) ("რუსეთი ჩვენთვის მთვარის უხილავ მხარეს წარმოადგენდა. პარიზიდან რუსეთისკენ გეზაღებული აეროფლოტის თვითმფრინავი მოხარშული კარტოფილის სუნით იყო გაჟღენთილი; ზორბა ტანის სტიუარდესები პირამდე გავსებულ ჩემოდანს ჰგავდნენ. შუალამის ჩაბნელებული ქალაქის გამო, ისეთი შთაბეჭდილება დაგვეუფლა, თითქოს ოკეანეზე ვეშვებოდით.")

„On the airport road into Moscow in those days there was this giant billboard of Lenin, leaning forward with a wicked goateed grin and pointing to something up above with a single finger.“ (Updike 2000: 90) ("მოსკოვში აეროპორტიდან მიმავალ გზაზე უშველებელი ბილბორდი იყო აღმართული, რომელზეც წინ წამოწეული ლენინი ბოროტი მზერით, ზემოთ რაღაცაზე მიუთითებდა.")

ელი ჩესტერის მუსიკალური ჯგუფის ვიზიტის ბოლო პუნქტი ლენინგრადი იყო. ლენინგრადის მოსახლეობის ნაწილს ჯერ კიდევ ახსოვდა ბლოკადის დღეები და ყველაზე დიდ აგრესიას სწორედ მათგან მოელოდნენ, მაგრამ ბანჯოს სიმების აჟღერებისთანავე დაძაბულობის შეგრძნება მოიხსნა.

ნაწარმოებში საბჭოთა რესპუბლიკებიდან საქართველოს გარდა ნახსენებია უზბეკეთი, ტაჯიკეთი და ყაზახეთი. ამ რესპუბლიკების

მონახულებისას ავტორი ყველაზე მეტად გააოცა დაუსახლებელი და აუთვისებელი მიწების სიმრავლემ.

აპდაიკი იშვიათ ნიჭს ავლენს და სულ რამდენიმე ფრაზით გვაგებინებს, რომ მოკლე დროში მოახერხა ქართული სტუმარმასპინძლობის შინაარსს ჩასწვდომოდა, ქართული ხასიათი და ადათ-წესები გაეაზრებინა. ავტორმა ობიექტურად და მიუკერძოებლად აღწერა თავისი შეხედულებები საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შეძავალი რესპუბლიკის - საქართველოს შესახებ. მაგალითად, მეცხვარეებთან სტუმრობის შესახებ აპდაიკი აღნიშნავს, რომ მეცხვარეები და მათი ცხვრის ფარა განსაკუთრებული სისუფთავით არ გამოირჩეოდნენ, მაგრამ იგრძნობოდა, რომ ეს მეცხვარეები მშვიდობიანი, კეთილმოსურნე და სტუმართმოყვარე ხალხი იყო. როდესაც გაიგეს უცხოელთა ვიზიტის შესახებ, სადილზე მიიწვიეს. ედის ერჩინა თბილისის სასტუმროში დაბრუნება და იქ კომბოსტოს სუპის და ბლინების მირთმევა, მაგრამ თანმხლებ პირთა აზრი გაითვალისწინა, რომ ეს შეხვედრა კარგი შესაძლებლობა იქნებოდა ადგილობრივი კულტურის გასაცნობად. მთამდე ერთი მილი ფეხით გაიარეს და კოცონს მიუსხდნენ. თხის ტყავში მოთავსებული წითელი ღვინის ხილვისას ედიმ აღნიშნა, რომ სასმელების მცოდნე არ განლდათ, თუმცა ეს ალკოჰოლური სასმელი იმდენად მაგარი აღმოჩნდა, რომ მასზე გადაფრენილი მწერიც კი უგონოდ ვარდებოდა, მთლიანი სასმისის დაცლა კი ახალგაზრდებს ფერს აკარგვინებდა.

ავტორი ტყეში ჩაფლულ მონასტერს რელიგიური ტოლერანტობის ნიმუშად მიიჩნევს. იგი აქვე საუბრობს ჩონჩხისმაგვარი აგებულების ბერებზე:

“The place had a depressing, stuffy, holy smell that I hadn't sniffed for thirty years.... Among the monks with beards down to their bellies was a young one, and I wondered how he had enlisted himself in this ghostly brotherhood. Demented, or a government employee, I decided. He had silky long hair, like a princess captive in a tower, and the sliding onyx eyeballs of a spy. He was one kind of human animal, and I was another, and when we looked at each other, we each repressed a shudder.“ (Urdike 2000: 87) („გარემო ძალიან დეპრესიული და ჩახუთული მეჩვენა, თუმცა, ამაჯდროულად, იქაურობას საღვთო სურნელი ასდიოდა, რაც

ოცდაათი წელი არ მქონდა შენაგრძნობი. გამიკვირდა ამ გრძელწვერა ბერებს შორის ახალგაზრდა კაცის დანახვა. უცნაური იყო, თუ როგორ მოხვდა ის იქ. ალბათ, უშიშროების წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო. ამ ახალგაზრდას აბრეშუმივით სრიალა თმა და ჯაშუშის თვალები ჰქონდა. როდესაც ჩვენ მზერა ერთმანეთს გავუსწორეთ - ორივეს ტანში ჟრუანტელმა დაგვიარა.")

მწერალი საქართველოს აღწერას სხვა რესპუბლიკებთან შედარებით მეტ ადგილს უთმობს, თუმცა ეს აღწერა არ არის დეტალური. მაგალითად, ავტორი გვიამბობს, რომ იმოგზაურა საქართველოს მთებში, მაგრამ კონკრეტულად რომელი ადგილი მონახულა – უცნობია. უცნობია აგრეთვე თბილისში მდებარე იმ სასტუმროს სახელწოდებაც, სადაც უცხოელი სტუმრები იყვნენ განთავსებულნი. არ არის დაზუსტებული იმ მონასტრის ადგილმდებარეობა, სადაც ამერიკელებს ქართველმა მეცხვარეებმა უმასპინძლეს. ვიმედოვნებთ სამომავლოდ კვლევის ამ კუთხით გაგრძელებას, რათა ჯონ აპდაიკის საქართველოში მოგზაურობის დეტალები დავაზუსტოთ.

დამოწმებანი:

Miller, Q. *John Updike and the Cold War*. Columbia: University of Missouri Press, 2001.

Updike, John. "Licks of Love". *Short Stories and a Sequel, Rabbit Remembered*. New York: Alfred A. Knopf, 2000.

Updike, John. "Licks of Love in the Heart of the Cold War". *The Atlantic*, May 1998 <http://www.theatlantic.com/magazine/archive/1998/05/licks-of-love-in-the-heart-of-the-cold-war/304640/>

EKATERINE MZHAVANADZE

Assistant Professor, Shota Rustaveli State University

ABSTRACT

GEORGIA IN JOHN UPDIKE'S WORKS

The given work deals with the analysis of John Updike's autobiographical story „Licks of Love in the Heart of Cold War“ first published in the Atlantic magazine in 1998. The story depicts Georgia in the 1960s described by the author through the eyes of his character Eddie Chester, a banjo-player who visited the USSR within the framework of the Cultural - Exchange Program between the United States of America and the Soviet Union. John Updike describes his preparations for the mission, his travelling by plane to Moscow and first impressions of the country that was considered by the Americans as the “dark side of the moon”. Eddie and his band visited Georgia. The author illustrates Georgian warm hospitality, traditions and breath-taking nature. The author pictures Georgian highlands, a monastery - a showpiece of religious tolerance and the monks living there, shepherds who invited foreigners to dine on the sheep and taste Georgian wine.

ავთანდილ ნიკოლაიშვილი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

ღადო არქვალაძე – ამერიკაში მოღვაწე უცხოები ქართველი მწერალი

მეოცე საუკუნეში ამერიკის შეერთებულ შტატებში მოღვაწე ცნობილ ქართველ მამულიშვილთა შორის ერთ-ერთი საპატიო ადგილი მწერალ ღადო არველაძესაც უჭირავს. სამწუხაროდ, შემოქმედებითი ნიჭით უდავოდ გამორჩეული ამ ბელეტრისტის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ დღესდღეობით არათუ ფართო საზოგადოებისთვისაა ბევრი რამ უცნობი, არამედ თვით სპეციალისტებისთვისაც კი.

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის მუზეუმის დირექტორის, ქალბატონ რუსუდან კობახიძის ცნობით, ლ. არველაძის საზოგადოებრივი და ლიტერატურული ღვაწლის მეცნიერული შესწავლით სიცოცხლის ბოლო წლებში ქართული ემიგრაციის ისტორიის ცნობილი მკვლევარი გურამ შარაძე დაინტერესებულა. სწორედ მას მოუძიებია და ჩამოუტანია თბილისში ნიუ-იორკსა და პარიზში გამოცემული მისი რამდენიმე ხელნაბეჭდი წიგნი, რომელთა ცალკე კრებულად გამოცემასაც გეგმადა, მაგრამ სიცოცხლის ტრაგიკულად დასრულების გამო ამ კეთილშობილური საქმის განხორციელება ვეღარ მოასწრო.

ლ. არველაძის შემოქმედებითი მემკვიდრეობიდან ქართული ემიგრაციის მუზეუმში დღესდღეობით საბეჭდო მანქანაზე აკრებილი ოთხი წიგნია დაცული: ესენია: 1. მშობლიურ მიწასა და უცხო მიწათა შორის, წიგნი III და IV, პარიზი, 1963 წ. 2. მოთხრობები, ნიუ-იორკი, 1964 წ. 3. პატარა მოთხრობები, ნიუ-იორკი, 1965 წ. 4. მშობლიურ მიწასა და უცხო მიწათა შორის, წიგნი IV, ნიუ-იორკი, 1966 წ.

რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, გარდა დასახელებული წიგნებისა, ლ. არველაძესთან დაკავშირებით სხვა რაიმე მასალა არც ხსენებულ მუზეუმში და არც საქართველოს სხვა რომელიმე სხვა დაწესებულებაში დაცული არ არის.

ყოველივე ზემოთქმულის გამო, ლ. არველაძის ცხოვრებისა და

მოღვაწეობის ბევრი დეტალი დღესდღეობით სრულიად უცნობია. მართალია, თავის მოგონებათა წიგნში – „მშობლიურ მიწასა და უცხო მიწათა შორის“ - მწერალი საკმაოდ დაწვრილებით მოგვითხრობს საკუთარი ცხოვრების ამბავს, მაგრამ რადგანაც ამ წიგნების პირველი და მეორე ნაწილები ჯერ-ჯერობით ხელმიუწვდომელია, ლ. არველაძის ბიოგრაფიის ადრინდელი პერიოდის შესახებ ძალიან ცოტა რამაა ცნობილი. უფრო მეტიც, ჩვენთვის დღესდღეობით ისიც კი არაა გარკვეული, სად და როდის დაიბადა მწერალი.

ლ. არველაძის მოგონებათა ზემოთ ხსენებული წიგნი მწერლის დროინდელ ეპოქალურ მოვლენათა მხატვრულ მატრიანედაც შეიძლება მივიჩნიოთ. მასში ავტორი არა მარტო თავისი ბიოგრაფიის შთამბეჭდავ ეპიზოდებს გვიამბობს, არამედ მოვლენათა ეროვნული პოზიციებიდან გამწვანებულ-შემფასებლის როლშიც ხშირად გვევლინება ხოლმე.

ლ. არველაძე დაბადებული უნდა იყოს 1910-1920-იანი წლების მიჯნაზე იმერეთის ერთ-ერთ სოფელში. იგი სამამულო ომის დაწყებისთანავე გაუწვევიათ არმიაში. სევასტოპოლთან მოწინააღმდეგის ალყაში მოქცეული მწერალი და მისი თანამებრძოლები, რომელთა დიდ ნაწილს ქართველები წარმოადგენდნენ, 1942 წლის 6 ივლისს ტყვედ ჩაბარდნენ გერმანელებს. ლ. არველაძის თქმით, ამ ნაბიჯის გადადგმა ერთადერთი გონივრული გამოსავალი იყო იმ მდგომარეობიდან, რომელშიც სიკვდილისათვის განწირული ეს ადამიანები აღმოჩნდნენ იმხანად.

ტყვეობის დროს ლ. არველაძეს ყოფნა მოუხდა უკრაინის, პოლონეთისა და გერმანიის ტყვეთა ბანაკებში, ხოლო ომის დამთავრებისას უკვე იტალიაში იმყოფებოდა და, მისივე თქმით, „ლუკმაპურის საშოვნელად ქალაქიდან ქალაქში და სოფლიდან სოფელში დაეხეტებოდა“ (არველაძე 1963, III: 23). იტალიაში ცხოვრების პერიოდში მწერალი იქაურ მანდილოსანზე დაქორწინებულა. როგორც ნიუ-იორკში გივი კობახიძის რედაქტორობით გამოცემულ საინფორმაციო ბიულეტენ „ცნობის ფურცლის“ მეოთხე ნომრიდან ირკვევა, ამერიკაში ცხოვრების პერიოდში ლ. არველაძის მეუღლეს იმდენად საქმიანი და გულთბილი ურთიერთობა დაუმყარებია იქაურ ქართულ დიასპორასთან, რომ 1954 წლის აგვისტოში იგი „საქართველოს

დამოუკიდებლობის აღდგენის ამერიკული საბჭოს“ წევრადაც კი აუ-
რჩევიათ.

იტალიაში ლ. არველაძე, სავარაუდოდ, 40-იანი წლების ბოლომდე
უნდა დარჩენილიყო, შემდეგ კი საცხოვრებლად ამერიკის შეერთებულ
შტატებში, კერძოდ, ნიუ-იორკში, გადადის და აქტიურად ერთვება
იქაური ქართული სათვისტომოს საქმიანობაში. როგორც ცნობილია,
ამერიკაში მცხოვრებმა ქართველმა ემიგრანტებმა 1952 წლის 5 ოქ-
ტომბერს ნიუ-იორკში დააარსეს უპარტიო ნებაყოფლობითი ორგანიზა-
ცია „ქართველთა დემოკრატიული კავშირი“, რომელიც იმავე წლის
2 ნოემბერს „გადაუნათლავთ და მისთვის „საქართველოს დამოუკიდე-
ბლობის აღდგენის ამერიკული საბჭო“ უწოდებიათ. სახელწოდების
შეცვლაში გამგეობა ემყარებოდა იმ მოსაზრებას, რომ ქართულ პოლი-
ტიკურ მუშაობაში საჭირო იყო ამერიკელთა ჩაბმაც. გარდა ამისა,
ახალ სახელწოდებაში აშკარად არის ხაზგასმული „საქართველოს
დამოუკიდებლობა“, რაც ახალი ორგანიზაციის სულიერ დედააზრს
წარმოადგენდა“ (შარაძე 1992: 155).

დასახელებული ორგანიზაციის საქმიანობაში ლ. არველაძეც იღებ-
და აქტიურ მონაწილეობას. ამასთან დაკავშირებით საგულისხმო
ცნობებს გვაწვდის ნიუ-იორკში 1953-1954 წლებში გამოცემული
საინფორმაციო ბიულეტენი „ცნობის ფურცელი.“ კერძოდ, „საქართ-
ველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ამერიკული საბჭოს“ გამგეობას
1953 წლის 27 იანვარს გივი კობახიძის, გრიგოლ დიასამიძის, პავ-
ლე კვარაცხელიასა და ლადო არველაძის შემადგენლობით შეუქმნია
სარედაქციო კოლეგია, რომლისათვისაც დაუვალებაა ხსენებული ორ-
განიზაციის პერიოდული ორგანოების – ჟურნალ „ჩვენი გზისა“ და
საინფორმაციო ბიულეტენ „ცნობის ფურცლის“ გამოცემა (კობახიძე
1953-1954, №1: 7).

როგორც დასახელებული პერიოდული ორგანოების გაცნობით ვრ-
წმუნდებით, ლ. არველაძე არა მარტო პრაქტიკულად ყოფილა ამ
საქმიანობაში ჩართული, არამედ შემოქმედებითადაც და გარდა საკუ-
თარი გვარ-სახელისა, თავის ნაწერებს მათში შემდეგი ფსევდონიმები-
თაც აქვეყნებდა საკმაოდ ხშირად: „ქაცვია მწყემსი“, „ს. ს.“, „ანჩარი“,
„ანი, „დამკვირვებელი“ (შარაძე 1992: 159).

გარდა წარმატებული ლიტერატურული მოღვაწეობისა და სარედაქციო საქმიანობაში გამოჩენილი აქტიურობისა, ლ. არველაძე „საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ამერიკული საბჭოს“ საქმიანობაშიც იღებდა ენერგიულ მონაწილეობას, რაც ნათლად დასტურდება იმდროინდელ პრესაში გამოქვეყნებული მასალებით. მაგალითად, 1954 წლის 16 აგვისტოს სხდომაზე, სადაც განვლილი წლის მუშაობა შეაჯამეს, ლ. არველაძე ერთხმად აურჩევიათ „საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ამერიკული საბჭოს“ შეიდკაციანი გამგეობის წევრად (კობახიძე 1953-1954, №4: 15), შემდგომში კი იგი ამ ორგანიზაციის თავმჯდომარის მოვალეობასაც ასრულებდა.

ლ. არველაძე „საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ამერიკული საბჭოს“ მიერ გამართულ ღონისძიებებშიც იღებდა აქტიურ მონაწილეობას. მაგალითად, 1953 წლის 13 სექტემბერს ნიუ-იორკის პარკ-ჰაიდ-პოტელში ილია ჭავჭავაძის დაღუპვიდან 46-ე წლისთავისა და 1924 წლის აგვისტოს აჯანყებიდან 29-ე წლისთავის აღსანიშნად ჩატარებულ სხდომაზე მთავარ მომხსენებლად სწორედ ის გამოსულა. მომხსენებელს იმდენად საინტერესოდ და საფუძვლიანად წარმოუჩინია ილიას მამულიშვილური ღვაწლი და შემოქმედება, რომ სხდომის მონაწილეებს მოხსენების წიგნად გამოცემის სურვილიც კი გამოუთქვამთ (კობახიძე 1953-1954, №4: 10).

ჩვენთვის ხელმისაწვდომი მასალების მიხედვით, იმის ზუსტად განსაზღვრა, სანამდე დარჩა ლ. არველაძე ამერიკაში საცხოვრებლად, ჯერჯერობით ვერ ხერხდება. ვიცით მხოლოდ ის, რომ ბოლო წიგნი, რომელიც მან ამ ქვეყანაში ცხოვრების პერიოდში გამოსცა, 1966 წლით თარიღდება. სიცოცხლის ბოლო წლები კი მწერალს რომში გაუტარებია, სადაც 1975 წლის 17 ოქტომბერს გარდაცვლილა გულის შეტევით (წერეთელი 1975: 16).

ლ. არველაძის მოგონებათა წიგნში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი საქართველოსადმი რუსეთის კოლონიური პოლიტიკის მხილებასა და კრიტიკას. მიუხედავად იმისა, რომ ამ პრობლემის განსჯისა და შეფასების დროს ავტორი, უპირველეს ყოვლისა, კომუნისტური მმართველობის მიერ მიზანმიმართულად გატარებულ ანტიეროვნულ პოლიტიკას წარმოაჩენს, იგი არც რევოლუციამდელი

პერიოდის რუსული კოლონიალიზმის იმპერიულ ამბიციებს ტოვებს უყურადღებოდ და ამ თვალსაზრისითაც გამოთქვამს საგულისხმო მოსაზრებებს.

ლ. არველაძის მოგონებათა წიგნი საინტერესო იმ მხრივაცაა, რომ რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობას ავტორი იმ ქართველთა მოღალატეობრივი საქმიანობის შედეგადაც მიიჩნევს, რომელთაც მშობელი ქვეყნის ინტერესები თავიანთ კარიერისტულ მიზნებს ანაცვალეს. თუმცა, მწერლის შეფასებით, ეს ადამიანები გამონაკლისნი არ ყოფილან და რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის საქმეში მნიშვნელოვანი როლი იმ ფაქტორმაც შეასრულა, რომ XIX საუკუნისა და საბჭოთა პერიოდის ქართველი საზოგადოების დიდ ნაწილს ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი მომავალი ნათლად არ ჰქონდა გააზრებული და ნილაბახდელი სახით ვერ აცნობიერებდა რუსული კოლონიალიზმის არსს.

ლ. არველაძის აზრით, ქართველი ხალხის მნიშვნელოვანი ნაწილის ეროვნული ცნობიერების ამგვარი დეფორმირება იმ კოლონიური პოლიტიკით იყო განპირობებული, რასაც საქართველოს დაპყრობის პირველივე წლებიდან ატარებდა რუსეთი ჩვენს ქვეყანაში მიზანმიმართულად და თანმიმდევრულად.

კერძოდ, მწერალი ღრმად იყო დარწმუნებული იმაში, რომ უწინარესად სწორედ ამ პოლიტიკის სამწუხარო შედეგს წარმოადგენდა ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებული ის დამოკიდებულება, რასაც შესაბამისი პერიოდების ჩვენი საზოგადოების არც თუ მცირე ნაწილი იჩენდა, ერთის მხრივ, 1918-1921 წლებში აღდგენილი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისადმი, მეორეს მხრივ კი 1921 წლის თებერვლისა და მეორე მსოფლიო ომის ტრაგიკული მოვლენებისადმი.

ყოველივე ზემოთქმულის შესახებ მწერალი არა მარტო ზოგადად მსჯელობს, არამედ მრავალ კონკრეტულ ეპიზოდსაც იხსენებს როგორც ჩვენი ქვეყნის ისტორიიდან, ისე მახლობელი ადამიანების ცხოვრებიდანაც. მაგალითად, „იმის მესამედი მსხვერპლი რომ გაეღო საქართველოს 1921 წელს, როცა ლენინის არმია მოადგა ჩვენს საზღვრებს, რომელიც გაიღო მეორე მსოფლიო ომში, ვერ დაგვიპყრობდა წითელი ბანდა, ჩაუცმელი, მოუკვლელი და შეუიარაღებელი...

ძალზე მცირე იყო მაშინ მსხვერპლი, სამშობლოს დასაცავად გაღებული: ქუდზე კაცი არ გამოსულა საზღვრის დასაცავად. სავსე იყო დეზერტირებით ქუჩა, მოედანი, ბაზარი, ტყე და ველი, სადაც კი შეიძლებოდა თავის შეფარება.

ყველა ცდილობდა გაერიდებინა თავი ომისთვის. ერთი მეორეს ეფარებოდნენ ზურგს უკან. ძალიან მცირენი აღმოჩნდნენ მამაცინი, რომლებმაც თავიანთი სიცოცხლე მსხვერპლად მიუტანეს თავისი ქვეყნის კეთილდღეობის დაცვის საქმეს“ (არველაძე 1963, III: 61).

საკუთარი ერისადმი ამგვარი უმძიმესი ბრალმდებლის როლში გამოსვლით ლ. არველაძე, ფაქტობრივად, მოყვრისთვის სიმართლის შეუღამაზებლად თქმის იმ დიდ ტრადიციას აგრძელებდა თავისი შესაძლებლობის დონეზე, რომელიც საუკუნეების წინათ დაამკვიდრეს ჩვენში ქართული მწერლობის ისეთმა საუკეთესო წარმომადგენლებმა, როგორებიც დ. გურამიშვილი, ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი და სხვები იყვნენ. მიუხედავად იმისა, რომ ლ. არველაძის ლიტერატურული შესაძლებლობანი ხსენებულ მწერალთა შემოქმედებით მასშტაბებს ვერ უტოლდება, თავისი ეროვნული გულისთქმითა და პირუთვნელობით იგი მაინც შეიძლება მივიჩნიოთ ამ ტრადიციების უღალატოდ ერთგულ იმ მოღვაწედ, რომელიც ყოველგვარი მიკიბ-მოკიბეისა და შეღამაზების გარეშე გამოხატავდა საკუთარ კრიტიკულ თვალთახედვას.

შესაბამისი პერიოდების ქართველი საზოგადოების ერთი ნაწილისადმი ავტორის ამდაგვარი დამოკიდებულების ნათელსაყოფად აქ წიგნის ის ეპიზოდებიც მინდა გავიხსენო, სადაც მწერალი ქართველ დედათა პატრიოტული თვითშეგნების დეფორმირების შესახებაც საუბრობს ზემოთ ნაზგასმული პირუთვნელობით. მაგალითად: ლ. არველაძის მტკიცებით, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის არსებობის ხანმოკლე პერიოდში „ვერც ქართველი დედები აღმოჩნდნენ მთლად იმ დონეზე, რომელ დონეზედაც იღვწენ ძველი დედები: არავინ ისტუმრებდა შვილს ბრძოლის ველისაკენ, არავინ ულოცავდა გზას, არავინ მოუწოდებდა სამშობლოს დაცვის მოვალეობისადმი“ (არველაძე 1963, III: 61).

იმისათვის, რომ ქართველი დედებისადმი წაყენებულ ამ უმძიმეს ბრალდებას მეტი დამაჯერებლობა შესძინოს, მწერალი მისი

მახლობელი ადამიანების ცხოვრებიდანაც იშველიებს კონკრეტულ მაგალითებს: „ჩვენი ოჯახის განაყოფი ლავრენტია არველაძე მოკლეს აწყურთან; დედამ ასე დაიტირა: „შვილო ლავრენტია, ობლობაში გამოზრდილო, დეიქცეს და დეიმხოს ჟორდანიას მთავრობა, რა გინდოდა შენ აწყურთან, რა გინდოდა, რა გინდოდა!“

ასევე მოსთქვამდა სიმონა არველაძის დედა ნინო: „ღმერთო, ამოაგდე ჟორდანია-გეგეჭკორის ოჯახები! რა უნდოდა ჩემს სიმონას ნატანებთან (სიმონა არველაძე მოკლეს ნატანებთან ომის დროს 1918 წელს), რა გვინდოდა ჩვენ იქინეო...“ ამისთანა სიტყვებს ამბობდნენ სხვა დედებიც ჟორდანიას მთავრობის მიმართ. რაში დებდნენ ჟორდანიას მთავრობას ბრალს ჩვენი დედები? იმაში, რომ მათი შვილები საქართველოს საზღვრების დაცვის დროს დაიხოცნენ“ (არველაძე 1963, III: 61).

ქართველ დედათა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თვითშეგნების ამგვარი დეფორირების ტრაგიკული შედეგის არსში უფრო ღრმად და საფუძვლიანად გასარკვევად, მწერალს ზემოთ დამოწმებული მაგალითებისაგან არსებითად განსხვავებული ასეთი ეპიზოდებიც მოჰყავს საბჭოთა პერიოდის ჩვენი ცხოვრებიდან, კერძოდ კი სამამულო ომის დროიდან: „ეხლა, როცა საქართველოს მიწაზე ძალიან მცირე რიცხვი დარჩნენ ოჯახებში, რომელთაც არ განუცდიათ ყუმბარების და ჰაერიდან წამოსული ბომბების ჟრუნტელის მომგვრელი ძრწოლა და შიში, როცა ყოველი სამი ოჯახიდან ერთმა მაინც ჩაიცვა თალხი, როცა ზოგიერთი ოჯახიდან სულ გაწყდა მამაკაცის სახსენებელი (ჩემი მეზობლის თედორე არველაძის ოჯახიდან ხუთი ძმა იყო გაწვეული ჯარში, არ დაბრუნებულა არც ერთი), ცრემლის გადმოგდებასაც ვერავინ ბედავდა, არამც თუ სამღერავის გამოთქმას. ამისთანა საოცარი ცვლილება მოხდა სულ რაღაც ოცდასამიოდე წელიწადში...

რამ შეცვალა ეს გარემოება? შიშის გრძნობამ, რუსულმა ხიშტმა, მკერდში რომ აქვს მიბჯენილი ყოველ ქართველს სქესისა და ასაკის განურჩევლად. შიშმა დაბადა ერთგულება, სიყვარული, თავისდადების გრძნობა. მოჩვენებითია ეს?.. სულ ერთია, რა სახისაც არ უნდა იყოს“ (არველაძე 1963, III: 61).

ერთმანეთთან შეპირისპირებული ფორმით წარმოსახულ ამ ეპი-

ზოდებს ავტორი, პირველ ყოვლისა, ქართველი საზოგადოების ეროვნულ თვითშეგნებაში საბჭოთა ხელისუფლების დიქტატორული იდეოლოგიური პოლიტიკის საგალალო შედეგად მიიჩნევს და ამ სამ-წუხარო ჭეშმარიტების არსში მკითხველის კიდევ უფრო ღრმად გარკვევის მიზნით ასეთ პარალელსაც ავლებს: „დამოუკიდებელი საქართველოს დასაცავად ასიოდე მოკვდა და ასი ათასი წყევლა და კრულვა გაეგზავნა დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობას. ეხლა კი დაპყრობილი საქართველოდან ასი ათასები კვდებოდნენ სხვისი მიწის დამპყრობელთაგან დასაცავად და არც ერთი სამდურავი, არც ერთი დეზერტირი. რა ძალა ჰქონია თურმე შიშს!“ (არველაძე 1963, III: 63).

ლადო არველაძის შემოქმედებითი შესაძლებლობები ყველაზე მეტად მის მოთხრობებში გამოვლინდა. ეს გარემოება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იმ თვალსაზრისითაც იძენს, რომ ქართველ ემიგრანტ მწერალთა ლიტერატურული შესაძლებლობანი უფრო პოეზიასა და პუბლიცისტიკაში წარმოჩინდა, მხატვრული პროზა კი მათთან შედარებით გაცილებით სუსტიცაა და რაოდენობრივადც ცოტა. მართალია, ლ. არველაძის მოთხრობების მხატვრული ოსტატობის ხარისხი ქართული პროზის დიდოსტატების, მათ შორის მეოცე საუკუნის ქართული ემიგრანტული მწერლობის ყველაზე დიდი წარმომადგენლის – გრიგოლ რობაქიძის მწერლურ შესაძლებლობებს ვერ შეედრება, მაგრამ მისი პროზაული ნაწარმოებების მკითხველი, ვფიქრობ, სადავოდ არ განდის იმ ფაქტს, რომ სიტყვიერი ხელოვნების მხრივაც, თემატურადაც და პერსონაჟთა ტიპაჟის მრავალფეროვნებითაც იგი ემიგრაციაში მოღვაწე ქართველ ემიგრანტ პროზაიკოსთა შორის ერთ-ერთი აშკარად გამორჩეული ბელეტრისტიკა.

ლ. არველაძის მხატვრული პროზისადმი ინტერესს არსებითად განსაზღვრავს საბჭოთა სინამდვილისთვის ფართოდ დამახასიათებელ მანკიერებათა და ეროვნულ-სახელმწიფოებრივ პრობლემათა კრიტიკული თვალთახედვით წარმოსახვა და განსჯა-გააზრება. განსხვავებით საბჭოთა საქართველოში მცხოვრები მისი კოლეგებისაგან, რომლებიც ხელისუფლების მიერ დაწესებული მკაცრი ცენზურულ-იდეოლოგიური კონტროლის გამო აზრის თავისუფლად და შეუზღუდველად გამოთქმის შესაძლებლობას იყვნენ მოკლებულნი, ლ. არველაძის

შემოქმედებაში სათქმელი პირდაპირ და ყოველგვარი შენიღბვის გარეშეა ნათქვამი.

საბჭოთა იმპერიის დანგრევის შემდეგ, რასაც შედეგად ზემოთ აღნიშნული იდეოლოგიური ხუნდების დამსხვრევაც მოჰყვა, ცენზურული შებოჭილობის დამთრგუნველ მარწუხებს თავი ქართველმა მწერლებმაც დააღწიეს და მათ შემოქმედებაში წინანდელ პერიოდთან შედარებით გაცილებით უფრო მასშტაბურად და მრავალსახოვნად აისახა საბჭოური ეპოქალური სინამდვილისთვის ფართოდ დამახასიათებელი მანკიერებანი. თუმცა ეს გარემოება ლ. არველაძისა და უცხოეთში იმხანად მოღვაწე სხვა ქართველ მწერალთა შემოქმედების როლსა და მნიშვნელობას ვერ აკნინებს, რადგანაც, თავიანთი ტრაგიკული ცხოვრებისეული ხვედრიდან გამომდინარე, აღნიშნულ მანკიერებათა მამხილებლისა და კრიტიკულ-ოპოზიციური თვალთახედვით წარმომჩენის როლში მათზე ადრე სწორედ ისინი მოგვევლინენ.

განსხვავებით საბჭოთა საქართველოში მოღვაწე კოლეგებისაგან, რომლებიც კომუნისტური ყოფის ნაკლოვან მხარეებსა და ჩვენს ეროვნულ პრობლემებს ძირითადად შენიღბულად, ქვეტექსტური მინიშნებებითა და ალეგორიებით, გამოხატავდნენ, ქართველი ემიგრანტი მწერლები თავიანთ სათქმელს ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე, პირდაპირ და შეულამაზებლად, ამბობდნენ. მართალია, მათ მხატვრულ სიტყვას აქაურ დიდოსტატთა შემოქმედებისათვის დამახასიათებელი ძალა და ენერგია ნაკლებად ახლავს, მაგრამ საბჭოთა სინამდვილის კრიტიკულ-ოპოზიციური თვალთახედვით ამსახველი თავიანთი ნაწარმოებებით შესაბამისი პერიოდის ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში ისინი მაინც იმკვიდრებენ საგულისხმო ადგილს.

გარდა მხატვრული ნაწარმოებებისა, ქართულ ემიგრანტულ პრესაში ლ. არველაძე პუბლიცისტურ წერილებსაც აქვეყნებდა დროდადრო. ჩვენი ქვეყნის ისტორიული და თანადროული ყოფისადმი მიძღვნილ ამ წერილებში ეროვნული თვალთახედვითაა განსჯილ-შეფასებული ბევრი საჭირობოროტო საკითხი, მამულიშვილური პოზიციებიდანაა წარმომჩენილი ქართველი ხალხის სახელოვანი შვილების ღვაწლი და დამსახურება, პირუთვნელადაა მხილებული როგორც რუსული კოლონიალიზმის არსი, ისე საკუთრივ ჩვენთვის დამახასიათებელი სხვადასხვა სახის მანკიერებანი და ა. შ.

ასეთია ლაღო არველაძის ლიტერატურული მემკვიდრეობა თვალის ერთი გადავლებით. მიუხედავად იმისა, რომ დღემდე ხელნაწერის სახით არსებული და ფართო საზოგადოებისათვის ძნელად ხელმისაწვდომი ეს მემკვიდრეობა არც განხილული ნაწარმოებებით შემოიფარგლება და არც ჩემ მიერ ყურადღებაშიქცეული საკითხებით ამოიწურება, ყოველივე ზემოთქმული, ვფიქრობ, მაინც იძლევა საკმაოდ მყარ საფუძველს იმის სათქმელად, ქართველი საზოგადოებისთვის სრულიად უცნობი ამ პიროვნების სახით მეოცე საუკუნის ქართულ ემიგრანტულ მწერლობას ერთ-ერთი უაღრესად საინტერესო წარმომადგენელი რომ ჰყავს.

დამოწმებანი:

არველაძე, ლ. მოთხრობები. ნიუ-იორკი, 1964. ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის მუზეუმი, გ. შარაძის კერძო კოლექცია.

არველაძე, ლ. მშობლიურ მიწასა და უცხო მიწათა შორის. წიგნი III, წიგნი IV, პარიზი, 1963. ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის მუზეუმი, გ. შარაძის კერძო კოლექცია.

არველაძე, ლ. მშობლიურ მიწასა და უცხო მიწათა შორის. წიგნი IV, ნიუ-იორკი, 1966. ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის მუზეუმი, გ. შარაძის კერძო კოლექცია.

არველაძე, ლ. პატარა მოთხრობები. ნიუ-იორკი, 1965. ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის მუზეუმი, გ. შარაძის კერძო კოლექცია.

წერეთელი, გ. (რედ.). ჟურნ. „თავისუფლების ტრიბუნა“, პარიზი, რედაქტორი გიორგი წერეთელი, 1975, №9.

შარაძე, გ. ამერიკელი ქართველები თვალის ერთი გადავლებით. თბ., 1992.

კობახიძე, გ. (რედ.). „ცნობის ფურცელი“, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ამერიკული საბჭოს საინფორმაციო ბიულეტენი, ნიუ-იორკი, 1953-1954 წწ. №1, 4, 5, 6

AVTANDIL NIKOLEISHVILI

Professor, Akaki Tsereteli State University

ABSTRACT

LADO ARVELADZE – UNKNOWN GEORGIAN AMERICAN WRITER

In the 20th century, among the Georgian writers living in the United States, Lado Arveladze was one of the most respected. Unfortunately, not much is known about his life and work. His four handwritten manuscripts are kept in the Georgian immigrant writers' museum of the Tbilisi State University: 1. *Between the Native and Foreign Lands*, Books III and IV, Paris 1963. 2. *Short Stories*, New York 1964. 3. *Short Stories*, New York 1965 and 4. *Between the Native and Foreign Lands*, Book IV, New York 1966. The above mentioned writings are the only ones available for readers.

Lado Arveladze must have immigrated to the United States in the late 40s. He became very active in the Georgian immigrants' organization – “American Board in Support of Georgia's Independence”.

Arveladze's fiction is at its best in his short stories. This is an interesting fact in itself because Georgian immigrant writers usually published poetry and non-fictional writings whereas fictional works were both fewer in numbers and have lesser literary value. Although Arveladze's fiction does not compare to the masterpieces of Georgian literary works in general, he still should be considered one of the best immigrant fictional writers of his time. His writings are especially interesting in their criticism of the soviet regime.

Apart from his fictional writings, Lado Arveladze published letters and essays as well. In these non-fictional works, published by the Georgian immigrants' press, Arveladze addresses many national issues with a critical eye.

Based on his fictional and non-fictional writings, Arveladze should be seen as an important representative of the 20th century Georgian immigrant literature and his life and work should be studied more thoroughly.

ოთარ ნიკოლიაშვილი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასისტენტ პროფესორი

„საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ამერიკული საბჭოს“ ისტორიიდან

ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ანექსიის (1921 წლის თებერვალ-მარტი) შემდეგ ემიგრაციაში წასულმა ქართველმა ემიგრანტებმა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში სხვადასხვა სახის კულტურული და ეროვნულ-პოლიტიკური ორგანიზაციები ჩამოაყალიბეს. მათი უმეტესობის უმთავრეს მიზანს ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენაზე ზრუნვა და ამ საკითხით საერთაშორისო თანამეგობრობის დაინტერესება წარმოადგენდა. ერთ-ერთი სწორედ ასეთი ორგანიზაცია იყო ამერიკის შეერთებულ შტატებში 1952 წელს დაარსებული „საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ამერიკული საბჭო“, რომლის სათავეებთანაც ქართული ემიგრაციის ისეთი თვალსაჩინო პიროვნებები იდგნენ, როგორებიც იყვნენ: ივანე ნანუაშვილი, ალექსანდრე სულხანიშვილი, გივი კობახიძე და სხვები.

იმისათვის რომ უფრო ნათელი წარმოდგენა შეგვექმნეს ამ ორგანიზაციის დაარსების განმაპირობებელ უმთავრეს ფაქტორებზე, დავიმოწმებთ შესაბამის ადგილებს „საბჭოს“ საინფორმაციო რვეულ „ცნობის ფურცლიდან.“ „1952 წლის 5 ოქტომბერს, ნიუ იორკში, საინიციატივო ჯგუფმა მოიწვია ქართველთა კრება, რომელსაც თავისი მიზანი გააცნო და წესდების პროექტიც წარუდგინა. კრებამ ინიციატივა მოიწონა და ჩამოაყალიბა ახალი პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელმაც თავის უმთავრეს მიზნად დაისახა – ბრძოლა საქართველოს სრული დამოუკიდებლობის აღდგენისათვის. ფარული კენჭის ყრით არჩეული იქმნა გამგეობა შვიდი წევრის შემადგენლობით – ესენი იყვნენ: ივანე ნანუაშვილი, ალექსანდრე სულხანიშვილი, გიორგი ლოღობერიძე, ვახტანგ აბაშიძე, გივი კობახიძე, ისიდორე გაჟონია და სანდრო ბარათელი. გამგეობას დაევალა წესდების და მოწოდების გადაამუშავება, შევსება და შემდეგ მათი დაგზავნა ქართველთა შორის,

როგორც ამერიკაში, ისე ყველგან, სადაც ქართული ემიგრაცია იმყოფება“ (კობახიძე 1953, №1).

როგორც სარედაქციო წერილიდან ვგებულობთ, გამგეობა დაუყოვნებლივ შეუდგა მუშაობას. ერთი თვის განმავლობაში იგი რამდენჯერმე შეიკრიბა, შეიმუშავა წესდების ახალი პროექტი და შეადგინა ვრცელი მოწოდება ქართველი ხალხისადმი. ახალი წესდებით, ორგანიზაციას ეწოდა „საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ამერიკული საბჭო“ (კობახიძე 1953, № 1).

წესდების პირვანდელი ვარიანტის მიხედვით, ორგანიზაციის სახელწოდება თავიდან ყოფილა „ქართველთა დემოკრატიული კავშირი“. რაც შეეხება მის მიზნებსა და ამოცანებს, იგი დებულების III მუხლში შემდეგნაირად იყო წარმოდგენილი:

„1. ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების საზოგადოებრივ აზრს გააცნოს საქართველო. მისი წარსული ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა, ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესები, მისი იურიდიული და ზნეობრივი უფლებები, მისი ბრძოლის მიზანი – რომ იგი იბრძვის ბოლშევიზმის მძიმე უღლის გადასაგდებად, თავისუფლების მოსაპოვებლად და სრული ეროვნული და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღსაგენად.

2. მოაგონოს და განუმარტოს ამერიკის ხალხს და მსოფლიო დემოკრატიას, რომ 1918 წლის 26 მაისს გამოცხადებული საქართველოს დამოუკიდებლობა იურიდიულად და ფაქტიურად იცნო მსოფლიოს მრავალმა სახელმწიფომ, მათ შორის – 7 მაისს, 1920 წელს – საბჭოთა რუსეთმაც; და რომ, მიუხედავად ამისა, 1921 წლის თებერვალში, საბჭოთა რუსეთი თავს დაესხა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას და ძალით დაიპყრო. აქედან გამომდინარე:

3. „ქართველთა დემოკრატიული კავშირი“-ს მიზანია: დაეხმაროს ქართველ ერს ძალით წართმეული დამოუკიდებლობისა და დემოკრატიული წესწყობილების აღდგენაში“.

რაც შეეხება სახელწოდების შეცვლას, იგი 1952 წლის 2 ნოემბერს მომხდარა. ამ ცვლილების დროს „გამგეობა ემყარებოდა იმ მოსაზრებას, რომ ქართულ პოლიტიკურ მუშაობაში საჭირო იყო ამერიკელთა ჩაბმაც“ (შარაძე 1992: 154-155). მართლაც, „საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ამერიკულმა საბჭომ“ თავისი

საქმიანობის უმთავრეს კომპონენტად იმთავითვე გამოაცხადა მისი სა-
ჯაროობა. კერძოდ, როგორც გივი კობახიძე აღნიშნავს სარედაქციო
წერილში, „წესდების პროექტი და მოწოდება, თანდართული მიმარ-
თვის წერილით, 1952 წლის 10 ნოემბერს, დაეგზავნა სხვადასხვა
ქართულ ორგანიზაციებს, პარტიებს და ცალკეულ პირებს ამერიკასა
და ევროპაში“ (კობახიძე 1953, № 1). აღნიშნული ნაბიჯის საპა-
სუხოდ, ორგანიზაციას ბევრი მისალოცი და სამადლობელი წერილი
მიუღია.

„საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ამერიკული საბჭო“
მზადყოფნას გამოთქვამდა ეთანამშრომლა ყველასთან, ვისაც კი საერ-
თო ქართული საქმისათვის სარგებლობის მოტანა შეეძლო. მაგალი-
თისათვის შეიძლება დავასახელოთ მისი კოორდინირებული ურთიერ-
თობა „საქართველოს ბედში მყოფი სხვადასხვა ერების პოლიტიკურ
ორგანიზაციებთან: უკრაინელებთან, ბელორუსებთან, პოლონელებთან,
ბალტიელებთან, აზერბეიჯანელებთან, ჩრდილო კავკასიელებთან და
სხვებთან“. მას ასევე მჭიდრო კავშირი ჰქონდა „ხალხთა განმათავი-
სუფლებელ ამერიკულ კომიტეტთანაც“. ამ ურთიერთობებზე უფრო
ნათელი წარმოდგენის შესაქმნელად, განვიხილოთ იგი ცალ-ცალკე.

1952 წლის 3 ნოემბერს „საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგე-
ნის ამერიკული საბჭოს“ გამგეობას წერილობით მიუმართავს „ამე-
რიკული კომიტეტის“ ხელმძღვანელ, ვიცე-ადმირალ სტივენსისთვის,
რომელშიც ორგანიზაციის დაარსების მიზნებისა და მისი სამოქმედო
გეგმების გაცნობის შემდეგ, გამოთქმული იყო სურვილი მასთან შეხ-
ვედრისა. როგორც ირკვევა, ბატონი სტივენსი დაუყოვნებლივ შეხ-
ვედრის ინიციატივით გამოსულა, რის შემდეგაც გამგეობას გამოუყ-
ვია დელეგატები შემდეგი შემადგენლობით: ივანე ნანუაშვილი, გივი
კობახიძე, სანდრო ბარათელი და ისიდორე გაჟონია. ვიცე-ადმირალი
სტივენსი ძლიერ კმაყოფილი დარჩა ქართველი დელეგატების განცხა-
ლებით და ვრცელი პასუხი გასცა მათ.

აღნიშნული შეხვედრის მნიშვნელობას არსებითად განსაზღვრავს
ის ფაქტი, რომ ქართველმა ემიგრანტებმა მისი მეშვეობით შეძლეს
ჩვენი ქვეყნის პრობლემით მეტ-ნაკლებად დაეინტერესებინათ ამერიკის
შეერთებულ შტატებში მსგავს საკითხებზე მომუშავე ისეთი მნიშვნე-
ლოვანი ორგანიზაცია, როგორც „ხალხთა განმათავისუფლებელი ამე-

რიკული კომიტეტი“ იყო. „ამერიკული კომიტეტის“ ინტერესს აღნიშნული თემისადმი ის ფაქტიც ადასტურებს, რომ ხსენებული შეხვერა ქართველ დელეგატებთან სწორედ ამ ორგანიზაციის თავმჯდომარის, ვიცე-აღმირალ სტივენსის ინიციატივით გამართულა, თანაც მისივე სახლში.

ასევე ფრიად მნიშვნელოვანია მის მიერ გაკეთებული საქართველოს მხარდამჭერი განცხადებები. როგორც სათანადო დოკუმენტებიდან ირკვევა, სწორედ მსგავსი პოზიცია გამხდარა საფუძველი „საბჭოს“ ურთიერთობის დაწყებისა „ამერიკულ კომიტეტთან“, რადგან ქართველი ემიგრანტებისთვის იდეა-ფიქსი რომელიმე ამერიკულ ორგანიზაციასთან კავშირის დამყარება კი არ იყო, არამედ ეროვნული იდეის გარშემო მხარდამჭერთა გაერთიანება. აქვე ისიც აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ სიტყვიერად მხარდამჭერ განცხადებებს ამერიკული მხრიდან პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა არ მოჰყოლია; თუმცა შეერთებულ შტატებს საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში რომ დაეკავებინა მსგავსი პოზიცია, ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა რუსეთის შემოჭრის ფაქტი თუ სულ არ მოიხსნებოდა, ბალტიისპირეთის ქვეყნების მსგავსად დროში რამდენადმე მაინც გადავადებოდა.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, „საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ამერიკულმა საბჭომ“ თავისი საქმიანობის უმთავრეს კომპონენტად იმთავითვე გამოაცხადა მისი საჯაროობა. მან მიზნად დაისახა „შეეტანა თავისი წვლილი ქართული ემიგრაციის საერთო ეროვნულ მუშაობაში;“ „მჭიდრო სულიერი კავშირი დამყარებინა ქართულ ემიგრაციასთან ყველა ქვეყნებში“ და „ყველა დაპყრობილ ერთა მებრძოლ პოლიტიკურ ორგანიზაციებთან.“ ამ მიზნით 1952 წელს დაარსებულა დაპყრობილ ერთა ნიუ-იორკის საკოორდინაციო კომიტეტი, რომლის მდევნადაც ქართველი დელეგატი აურჩევიათ. აღნიშნულ კომიტეტს მყისვე გაუბამს მჭიდრო კავშირი „ამერიკულ კომიტეტთან“ და მისთვის მისი სამოქმედო პრიორიტეტებიც წარუდგენია. სარედაქციო წერილის მიხედვით, ესენი იყო:

„– დაპყრობილი ერების მჭიდრო თანამშრომლობა თავისუფლების მოპოვებისათვის ბრძოლის ყველა სარბიელზე.

– თანამშრომლობა შეერთებულ შტატებთან, ვინაიდან დაპყრობილ

ერთა მოწინააღმდეგე იმავე დროს წარმოადგენს უდიდეს საფრთხეს თვით შეერთებული შტატებისთვისაც.

– ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში რუსულ ემიგრაციასთან თანამშრომლობა, თუ ეს თანამშრომლობა მოისურვა რუსულმა ემიგრაციამ და შეუთანხმდება არარუს ერებს ეროვნულ და პოლიტიკურ საკითხებში“ (კობახიძე 1953, № 2-3.).

ხანგრძლივ მოლაპარაკებათა შედეგად ჩამოყალიბდა ე. წ. „პარიზის ბლოკი“, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ: საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, უკრაინა, ბელორუსია და ჩრდილოეთ კავკასია. ბლოკს სათავეში ჩადგომია საქართველოს ეროვნული მთავრობა.

იმავე წლის მაისის თვეში აღნიშნულ „ბლოკს“ საგანგებო მემორანდუმშიც კი წარუდგინა „აბერიკული კომიტეტისთვის.“

„საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ამერიკული საბჭოსა“ და „პარიზის ბლოკის“ ასეთ აქტიურ, ანტისაბჭოთა მოღვაწეობას ძალიან შეუშინებია „ერთიანი განუყოფელი რუსეთის“ იდეით შეპყრობილი ძალები. ისინი ყველა საშუალებით ცდილობდნენ ხელი შეეშალათ ჩაგრულ ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის. მეტი დამაჯერებლობისათვის მოვიყვან შესაბამის ფრაგმენტს „ცნობის ფურცლის“ სარედაქციო წერილიდან:

„რუსული პოლიტიკური წრეებიდან დაპყრობილ ერთა მოთხოვნილებანი მიიღო და გაიზიარა მხოლოდ ნიკოლაევსკიმ. დანარჩენი რუსული წრეები გაერთიანდნენ მეღვუნოვისა და კერენსკის ხელმძღვანელობის ქვეშ. ყოველგვარი დამაბრკოლებელი მანევრების შემდეგ მეღვუნოვ-კერენსკის მიმდევრებმა შეჰქმნეს ყალბი პოლიტიკური ორგანიზაციები, რომელნიც თითქოს არიან წარმომადგენელნი დაპყრობილი ერებისა. ეს წარმომადგენლობანი დაუპირისპირეს ნამდვილ ეროვნულ ორგანიზაციებს. მაგ: საარუნის სომხური ჯგუფი აამუშავეს დაშნაკელების წინააღმდეგ; გ. ვეფხვაძის ჯგუფი – ქართული ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ; და ასევე უკრაინელებისა და სხვა ჯგუფებისა! ამ ორგანიზაციებთან ერთად შეჰკრეს საერთო ცენტრი, რომელიც ე. წ. ნამდვილ საკოორდინაციო ცენტრად გამოაცხადეს! ეს ე. წ. საკოორდინაციო ჯგუფი ოფიციალურად აღიარებს პრინციპს „ედინაია ნედელიმაია როსსია“-ს და აცხადებს, რომ არავითარი

ეროვნული საკითხი „რუსების ერებისა“ არ არსებობს და ეს თითქოს ფანტაზიაა“ (კობახიძე 1953, № 2-3.).

ვფიქრობ, ზემოთ აღწერილი სიტუაცია ძალზე წააგავს საქართველოს ორ, ძირძველ ისტორიულ რეგიონში – აფხაზეთსა და ე. წ. „სამხრეთ ოსეთში“ ამჟამად არსებულ ვითარებას.

გარდა ზემოთ აღნიშნული, ფართომასშტაბიანი საქმიანობისა, „საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ამერიკული საბჭო“ იმ ვაკუუმის ამოვსებასაც ცდილობდა, რაც ამერიკულ საზოგადოებაში, მეტადრე მის მმართველ წრეებში, არსებობდა საქართველოს შესახებ. როგორც ცნობილია, XX საუკუნის 50-იან წლებში, ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფინანსთა ყოფილ მინისტრს გამოუცია ვრცელი (220 გვერდიანი) მონოგრაფია სათაურით საქართველოს საკითხი თავისუფალი მსოფლიოს წინაშე. მასზე საგანგებო რეცენზია დაუწერია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შრომის მინისტრის ყოფილ მოადგილეს ილია გოლდმანს. ავტორისაგან „საბჭოს“ მიუღია თხოვნა, წიგნის დაახლოებით სამასი ეგზემპლარი საჩუქრად დაეგზავნათ კონგრესმენებისთვის, ბიბლიოთეკებისთვის და სხვა დაინტერესებული პირებისთვის.

ვფიქრობთ, საქართველოს შესახებ გამოცემული წიგნების ამერიკულ საზოგადოებაში და მის მმართველ წრეებში გავრცელების განხორციელება არანაკლებ მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენდა საერთო ეროვნული საქმის კეთების პროცესში, ვიდრე ეს რომელიმე პატრიოტული ხასიათის ორგანიზაციისა, თუ ბლოკის ჩამოყალიბება იყო. საფუძვლიანი სამეცნიერო, თუ საცნობარო ხასიათის შრომის გაცნობით, შესაძლებელი ხდებოდა საქართველოს შესახებ არა მხოლოდ ზოგადი წარმოდგენა შექმნოდა მისი ბედით დაინტერესებულ ნებისმიერ უცხოელს, არამედ ჩვენი ემიგრანტების იმ ძირითადი მოთხოვნის საფუძვლიანობასა და სამართლიანობაზეც შექმნოდათ გარკვეული წარმოდგენა, რასაც ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა ერქვა.

მიუხედავად „საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ამერიკული საბჭოს“ ესოდენ მასშტაბური და მრავალმხრივი საქმიანობისა, შეერთებულ შტატებში მცხოვრები ქართველი ემიგრანტების

ნაწილში მის არსებობას მაინც ეჭვი გამოუწვევია ამ ორგანიზაციის ჩამოყალიბებას და იგი ქართული სათვისტომოს შიგნით მომხდარი განხეთქილების შედეგად წარმოქმნილად მიუჩნევიათ. სწორედ ამ საკითხს ეხება ცნობის ფურცელის № 2-3-ში გ. კ.-ს (გივი კობახიძე) ფსევდონიმით დაბეჭდილი სტატია სათაურით: „რა მოხდა?“, რომელშიც ნათქვამია: მიუხედავად მეორე პოლიტიკური ორგანიზაციის ჩამოყალიბებისა (პირველად დაარსდა „ქართველ-ამერიკელთა ლიგა“), ქართული სათვისტომო მაინც ერთიანი და განუყოფელი რჩებოდა. ნათქვამის დასტურად მოვიყვან შესაბამის ფრაგმენტებს თავად სტატიიდან:

„რა მოხდა? რატომ გაიყო ქართული სათვისტომო ნიუ-იორკში?! გვეკითხებიან ჩვენი თანამემამულენი აქაც, გვეკითხებიან ევროპიდანაც. ჩვენ ასეთი შეკითხვა გვიკვირს, გვაოცებს... ქართული სათვისტომო მთლიანი იყო და არის ეხლაც. მისი გაყოფა არ მომხდარა! მოხდა მხოლოდ ქართველთა დაჯგუფება ორ პოლიტიკურ ორგანიზაციაში... ეს მოვლენა არ ნიშნავს სათვისტომოს გაყოფას. ორივე პოლიტიკური ორგანიზაციის – „ქართველ-ამერიკელთა ლიგის“ და „საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ამერიკული საბჭოს“ ცალკეული წევრები თავისთავად ცხადია არიან წევრები ქართული სათვისტომოსი, რადგან ქართული სათვისტომო პოლიტიკურ ორგანიზაციას კი არ წარმოაგენს, არამედ იგი არის საქველმოქმედო, ურთიერთ-დამხმარე საზოგადოება, რომელსაც მისი წესდების თანახმად არც კი აქვს პოლიტიკაში ჩარევის უფლება! ქართული საზოგადოება ანუ სათვისტომო არის თავშესაფარი ყოველი ქართველისა, მიუხედავად მისი პოლიტიკური მრწამსისა, რომელნიც შეერთებული შტატების ტერიტორიაზე ცხოვრობენ. „ქართველ-ამერიკელთა ლიგა“ და „საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ამერიკული საბჭო“ კი არიან პოლიტიკური ორგანიზაციები, რომელთაც აქვთ თავიანთი წესდება და ჰყავთ თავიანთი წევრები შერჩევით და შეთანხმებით მათს რიგებში დაჯგუფებულნი და გაერთიანებულნი! ეს ორგანიზაციები არიან ლეგალურად დამტკიცებულნი ნიუ იორკის შტატის მთავრობისაგან (1953 წლის 8 აპრილს ნიუ იორკის შტატის მთავრობამ „საბჭოს“ ოფიციალურად მიანიჭა ლეგალურად არსებობის ქარტია – ო. ნ.)

და არსებობენ სრულიად დამოუკიდებლად, როგორც ერთმანეთისაგან, ისე ქართული კოლონიისაგან – რასაკვირველია მხოლოდ პოლიტიკურ მოქმედებაში." (კობახიძე 1953, №2-3).

ჩემი აზრით, ზემოთ მოყვანილი მოსაზრება, თითქოს ემიგრაციაში თუნდაც მრავალი სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციის ჩამოყალიბების შემთხვევაში სათვისტომო მანც ერთიანი და განუყოფელი რჩებოდა, სინამდვილეს არ შეესაბამება. მიუხედავად იმისა, რომ ზემოთ გამოთქმული მოსაზრებანი მრავალპარტიულობის, ოპოზიციური აზრის არსებობისა და მათი მეშვეობით დემოკრატიის განვითარების შესახებ ზოგადად მართალია და გასაზიარებელი, მისი განხორციელება მხოლოდ დამოუკიდებელ, სუვერენულ სახელმწიფოშია მიზანშეწონილი და არა თავისუფლებდაკარგული ქვეყნის პოლიტიკურ ემიგრაციაში.

„საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ამერიკული საბჭოს“ მმართველი ორგანოს/გამგეობის თავმჯდომარეობა, როტაციის პრინციპის დაცვით, წვერიდან წვერზე გადადიოდა. შესაბამისად, „საბჭოს“ გამგეობის თავმჯდომარეთა პირველი სამეული ასეთი იყო: 1. ისიდორე გაჟონია, 2. ვახტანგ აბაშიძე და 3. ალექსანდრე სულხანიშვილი.

როგორც ეს სარედაქციო წერილშია აღნიშნული, „საბჭოს“ წესდების (VI მუხლის XVI პარაგრაფი) თანახმად, „ორგანიზაციას უფლება ეძლეოდა ქონოდა საკუთარი ბეჭდვითი სიტყვის ორგანო. გამგეობის 1953 წლის 27 იანვრის სხდომას დაუდგენია გამოეცათ „საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ამერიკული საბჭოს“ პერიოდული ორგანო „ჩვენი გზა“ და პერიოდული საინფორმაციო ბიულეტენი „ცნობის ფურცელი“. სარედაქციო კოლეგიის მოვალეობის შეასრულება დროებით გამგეობას დაევალა. სარედაქციო კოლეგიაში მიწვეულ იქნენ ცნობილი რედაქტორ-გამომცემელი და საზოგადო მოღვაწე გრიგოლ დიასამიძე, აგრეთვე პავლე კვარაცხელია და ლალო არველაძე. სარედაქციო კოლეგიას უნდა აერჩია რედაქტორი. სარედაქციო კოლეგიასაც და რედაქტორსაც საბოლოოდ დაამტკიცებდა საერთო კრება“ (კობახიძე 1953, № 2-3).

როგორც ცნობილია, მიუხედავად მწირი ბიუჯეტისა, „საბჭომ“ მართლაც შეძლო საკუთარი პერიოდული ორგანოს – „ჩვენი გზის“ - გამოშვება. იგი გამოდიოდა 1953-1961 წლებში ნიუ-იორკში. მისი სულ 5 ნომერი გამოიცა და ორენოვანია. ნაწილი წერილებისა

დაბეჭდილია ინგლისურად, ხოლო ნაწილი – ქართულად. მიზეზი „ჩვენი გზის“ ორენოვნებისა ის გახლდათ, რომ „საქართველოს დამოუკიდებლობის აღგენის ამერიკულ საბჭოს“ მჭიდრო კავშირი ჰქონდა ამერიკის კონგრესთან (სენატი, პალატი), რომელიც „ჩვენი გზის“ ინგლისურენოვან ნაწილს საჭიროების შემთხვევაში სახელმძღვანელოდ იყენებდა (შარაძე 1993: 263).

განსხვავებით „ცნობის ფურცელში“ გამოქვეყნებული სტატიები-საგან, „ჩვენს გზაში“ დაბეჭდილ სარედაქციო წერილში პირდაპირაა ნათქვამი, რომ ქართული სათვისტომოს საერთო საქმისათვის ერთ მუშტად დარაზმვას მის შიგნით არსებული განხეთქილება უშლიდა ხელს. პუბლიკაციის ავტორი სინანულით დასძენდა, რომ კავკასიელ ხალხთა შორის მხოლოდ ქართველებმა ვერ შეძლეს შეკავშირება და ამიტომ იგი მოუწოდებდა მთელ ქართულ ემიგრაციას, იქნებ როგორმე საერთო ენა გამოენახათ და გაერთიანებულიყვნენ. აღნიშნული სიტყვების დასტურად მოვიყვან შესაბამის ციტატას უშუალოდ სტატიიდან:

„გაერთიანება და გაერთიანებული ბრძოლა საქართველოს სრულ განთავისუფლებამდე! ამას უნდა ვეცადოთ ყოველთვის, მუდამ, განუწყვეტლივ; ათჯერ, ასჯერ, ათასჯერ, ვიდრე არ მივალწევთ ჩვენს წმინდათა-წმინდა მიზანს!

ვისი ბრალია, რომ აქამდე არ მოხერხდა ეს შეთანხმება?! საკითხის ამგვარად დაყენება დღეს უაზროა! ალბათ ბრალი ყველა მომქმედ მხარეებისა... უკეთ რომ ვთქვათ, ბრალი იყო ყველასი და არავისი, ვინაიდან არ ვიმყოფებოდით ისეთს სიახლოვეში სრული გამარჯვებისა ან სრული კატასტროფის წინაშე, როგორც დღეს! ამის გამო ყველა გაბედულ და მედიდურ ქართულ ჯგუფს თუ პარტიას, იმედი ჰქონდა, რომ საერთო მიზანს საკუთარი ძალებით მიაღწევდა.

ესაა ჩვენი სისუსტე; ჩვენი მარცხი, ესაა ჩვენი ძალა და ღირსება... დღეს ჩვენი ერის ამოცანა ერთად-ერთია, – მჭიდროდ და მკვიდრად შეიკრას ქართული რიგები!.. კავკასიის ერთა შორის მხოლოდ ჩვენლა ვართ გაუერთიანებულნი. ამ საქმეში ქართული ემიგრაცია პირველად გამოდის უკანასკნელ ადგილას!..

ქართული ემიგრაციის მთელი დღევანდელი ამოცანა სულ ორ-სამ გამოთქმაში შეიძლება ჩამოყალიბდეს:

– საქართველოს იურიდიული უფლებების სრული გამოყენება.

– ინტერპარტიული, პარლამენტის ჩანასახი ორგანოს შექმნა ზემო აღნიშნულ უფლებათა მატარებელი საქართველოს კანონიერი, ეროვნული მთავრობის ორგანიზაცია...

თუ ვერ მოხერხდა ამგვარი ორგანოს შექმნა, თუ ქართულმა პოლიტიკურმა პარტიებმა ვერ გამოინახეს დროზედ საერთო ენა, – მაშინ ქართულ საკითხს მოებლაუჭება დამ ის ხელში ჩაგდებას შეეცდებიან უპასუხისმგებლო ელემენტები და სხვადასხვა სახელმწიფოთა სააგენტო სამსახურის ანარეკი ტიპები! ამგვარი ჯგუფისა და ცალკე პირების თარეშმა ქართულ საქმეს ერთხელ უკვე აუნაზღაურებელი ზიანი მიაყენა და ამის ხელმეორედ დაშვება ყოვლად შეუძლებელია. ქართული ეროვნული საკითხი უნდა იდგეს არა სააგენტო ღონეზე, არამედ ღირსეულ პოლიტიკურ საფეხურზე!..

ამ მიზნით, ყველა ქართულ პოლიტიკურ პარტიას და ცალკე ჯგუფებს მოუწოდებთ გაერთიანებისაკენ! ხოლო სანამ ეს გაერთიანება მოხდება, – ვიმუშავებთ ყველა ქართულ პოლიტიკურ კერასთან, რომელიც საქართველოს სრული დამოუკიდებლობის აღდგენისთვის გიზგიზებს!

ესაა ჩვენი გზა!“ (კობახიძე 1953, № 1-2.).

სამწუხაროდ, ზემოთ გამოთქმული სიტყვიერი მზაობა ამერიკის შეერთებულ შტატებში მცხოვრები ქართველების გაერთიანების თაობაზე პრაქტიკულად ვერ განხორციელდა, რასაც შედეგად მოჰყვა ის, რომ დროთა განმავლობაში ერთმანეთს დაპირისპირებული ეს ორივე („საბჭო“ და „ლივა“) ორგანიზაცია დაიშალა, ჩვენი ქვეყნისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანმა საკითხმა კი ამერიკის მმართველ წრეებში აქტუალობა დაკარგა.

მოკლედ, ასეთია ის საქმიანობა, რომელიც „საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ამერიკული საბჭომ“ გასწია თავისი არსებობის განმავლობაში. სამწუხაროდ, ჩემს ხელთ არსებული მასალების მიხედვით, ზუსტად არ დგინდება, თუ როდის შეწყვიტა ამ ორგანიზაციამ ოფიციალურად არსებობა (როგორც დგინდება, იგი XX საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისშიც განაგრძობდა ფუნქციონირებას).

მიუხედავად იმისა, რომ „საბჭოს“ საქმიანობას პრაქტიკული შედეგი არ მოჰყოლია და ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკი-

დებლობის აღდგენა კვლავაც რჩებოდა გადაუჭრელ პრობლემად, ამ ორგანიზაციის საქმიანობა მაინც უსათუოდ უნდა იქნეს მიჩნეული ქართული ემიგრაციის ისტორიის ერთ-ერთ საგულისხმო ეპიზოდად. ამ დასკვნის გაკეთების დროს მხედველობაში პირველ ყოვლისა ის ფაქტი მაქვს, რომ „საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ამერიკული საბჭოს“ მიერ განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები არა მხოლოდ ზოგადად გაეცნენ ჩვენს ქვეყანაში რეალურად არსებულ ვითარებას, არამედ იმ პოლიტიკურ მოთხოვნათა სამართლიანობაშიც დარწმუნდნენ, რასაც ხსენებული ორგანიზაცია ისახავდა თავისი საქმიანობის უმთავრეს მიზნად.

დამოწმებანი:

კობახიძე, გ. (რედ.). „ცნობის ფურცელი“ (საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ამერიკული საბჭოს საინფორმაციო რვეული), 1953, № 1, №2-3.

კობახიძე, გ. (რედ.). „ჩვენი გზა“ (საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ამერიკული საბჭოს პერიოდული ორგანო), 1953, № 1-2.

კობახიძე, გ. (რედ.). „ჩვენი გზა“ (საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ამერიკული საბჭოს პერიოდული ორგანო), 1954, № 3.

შარაძე, გ. „ამერიკელი ქართველები“. თბ., 1992.

შარაძე, გ. „უცხოეთის ცის ქვეშ“, ტ. II. თბ. 1993.

OTAR NIKOLEISHVILI

Assistant Professor, Akaki Tsereteli State University

ABSTRACT

FROM THE HISTORY OF “AMERICAN COUNCIL OF RESTORATION OF GEORGIAN INDEPENDENCE”

After the annexation of Georgian Democratic Republic by Bolshevik Russia (February-March, 1921) Georgian emigrants established different cultural and national-political organizations in many countries of the world. One of these organizations was “The American Council of Restoration of Georgian Independence”, which was founded in the United States of America in 1952.

By establishing this organization Georgian emigrants living in America at that time were able to interest such important organization in America as “American Committee of Independence of People” with the problems of our country.

The main aim of “The American Council of Restoration of Georgian Independence” was to establish steady links with the struggling political organizations of all annexed nations. That was why New York Coordinative Committee of annexed nations was established in 1952. A little later, the so called “Paris Block” was founded, whose members were: Georgia, Armenia, Azerbaijan, Ukraine, Byelorussia and North Caucasus. The block was headed by the Georgian national government.

In spite of the fact that the activity of the “Council” had no practical results and the restoration of independence of our country still remained an unsolved problem, the work of this organization should by all means be considered one of the most important episodes in the history of Georgian emigration.

რუსუდან ნიზნიანიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

ახალი მასალა ი ქართული წარმომავლობის ამერიკელი მოქანდაკისა და მწერლის – ჯორჯ კავაშვილის შესახებ

ამერიკის შეერთებულ შტატებში, პენსილვანიაში, ლიპაის უნივერსიტეტში დაცულია ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილების „სპეციალური კოლექცია.“ უზარმაზარი არქივი 28 ყუთისაგან შედგება. მწერლისა და მოქანდაკის სახელი შეტანილი იყო ისეთ სერიოზულ გამოცემებში, როგორებიცაა: *Who's Who in American Arts* ასევე, *Who's who in American Literature of the 20th century*. არქივში არაერთი მნიშვნელოვანი წერილია დაცული. მათ შორისაა საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის სრულყოფილებიანი ელჩის საფრანგეთში - აკაკი ჩხენკელის ვაჟის, ალექსი ჩხენკელის წერილი. აკაკი ჩხენკელის სახელს არაერთი მნიშვნელოვანი ფაქტი უკავშირდება: „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის“ შემდგომი საქმიანობა, ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა, ეროვნული განძის თავგადასავალი, თბილისის უნივერსიტეტის დაარსება... სხვაც. ჭეს ის ელჩია, 1921 წლის 25 თებერვალს, იმ დროს, როცა რუსეთის ჯარი თბილისში შემოდის, ოფიციალურ თანმხლებ პირებთან ერთად ელისეს სასახლეში, საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტ ბ-ნ მილიერანთან მივიდა, რათა რწმუნების სიგელი გადაეცა. ამ შეხვედრაზე ბევრი დაიწერა, მაგრამ მე ახლა მხოლოდ სოსიპატრე (ჭიჭიკო) ასათიანის ერთი წინადადება მინდა დავიმოწმო: „რამდენად ტკბილი იყო ეს სურათი, იმდენად მწარე, ვინაიდან ამ თვალწარმტაც სურათში არავითარი შინაარსი აღარ იყო...“ (ასათიანი 1968: 109).

მარიამობისთვის ოჯახმა წერილი მიიღო. მიიღო და შეინახა. არქივში პარიზიდან 1947 წელს გამოგზავნილი აკაკი ჩხენკელის ვაჟის – ალექსი ჩხენკელის წერილია. მას უკვე მაიორის ჩინი აქვს. ის ჯერ კიდევ 1939-40 წლებში უცხოელთა ლეგიონში იყო საფრანგეთში.

„1941 წელს გავიპარე ინგლისში და "Free French Forces"-სთან ერთად ვიომე ლიბიაში, ტუნისიაში, იტალიაში, საფრანგეთში და გერმანიაში", – დაწერს ამავე წერილში. იტალიაში უკვე ამერიკულ ჯარში მსახურობდა. ის შემდეგ საფრანგეთში დარჩა. II მსოფლიო ომი ახალდამთავრებული იყო, შთაბეჭდილება - ჯერაც გაუნელე-ბელი:

„თქვენს წიგნს *Anything Can Happen* ისეთი სახელი ჰქონდა ომის დროს იტალიაში, რომ ჩემს ამაყობას საზღვარი არ გააჩნდა; ძალიან გამიხარდა და დღესაც მიხარია, რომ გამოჩნდა ისეთი ქართველი, რომელმაც საქართველოს სახელი ასე კარგად გააცნო ბევრს. მაშ, კიდევ გილოცავთ და გისურვებთ, რომ თქვენი და თქვენი მეუღ-ლის მწერლობა ხანგრძლივი იყოს" (ჩხენკელი 1947: 1) თხოვნასაც დაადევნებს, საჭიროს და სასურველს.

„ახლა, ბატონო გიორგი, გთხოვთ შემდეგს;

ძალიან მოხარული ვიქნებოდი, თუ მომცემთ ნებართვას გადავთარგ-მნო.

1) ქართულათ – *Anything Can Happen*.

ძალიან ვნანობ, რომ ეს წიგნი უკვე გადაითარგმნა ფრანგუ-ლათ!..

2) ფრანგულათ და ქართულათ – *Yes and No Stories*

იმავე დროს გთხოვთ, თუ მომავალში - რასაც ძალიან ვერწმუ-ნები

გამოსცემთ სხვა წიგნებს, – მომცეთ უპირატესობა მათი გადა-თარგმნისა ფრანგულ და ქართულ ენებზედ."

და იქვე:

„გთხოვთ, მიპასუხოთ ამ საკითხზედ და გარწმუნებთ, რომ თქვენი პირობები ჩემთვის სრულიად მისაღები იქნებიან.

წინ და წინ გიხდით დიდს მადლობას და ვიმედობ, რომ აღ-მისრულებთ თხოვნას.

ჩემი გულწრფელი სალამი თქვენს მეუღლეს" (ჩხენკელი 1947: 2). არქივისთვის საგანგებოდ ითარგმნა ქართული ხელნაწერი. ჩხ-ენკელმა სწორედ ქალბატონი ჰელენისგან მიიღო პასუხი.

საბჭოთა სივრცის ერთი მიმართება – „აკრძალული კულტურა."

ამის პარალელურად იყო ისიც: „უცნობი კულტურა.“ იშვიათად, მაგრამ მაინც ჩნდებოდა გაცნობის შესაძლებლობა.

ემიგრაციაში ერთი კაცის ბიოგრაფია „ყველას ბიოგრაფია“ ხდება: ერთნაირი ტკივილით, გაუგებრობებით, დახმარების მოლოდინით, უფულობით, ერთმანეთის დადანაშაულებით და ლანძღვითაც... გიორგი პაპაშვილის შემთხვევა კი სრულიად განსხვავებულია.

პატარა ქართული სოფელი კობიანთკარი.

ახალგაზრდა ცოლ-ქმარს (ვანოს და იამზეს) ქორწინებიდან ერთი წლის თავზე ვაჟი შეეძინათ, გიორგი დაარქვეს. ბედნიერება დაიწყო... ოდნავ მოგვიანებით, ანბანის სწავლაც... მშობლიური, ქართული ანბანის... ამის შემდეგ ბევრი რამ მოხდება: ძალიან ცუდიც და რასაკვირველია, კარგიც... ფათერაკებიც არ დაიღვევა... ბიოგრაფიული დეტალები სხვა დროს, ამჯერად საინტერესო და უჩვეულო კიდევ ერთი ფაქტი – მეორე ანბანის შესწავლა.

უცხო ქვეყანაში დამკვიდრებიდან რამდენიმე ათეული წელიწადი და...

უოლტ უიტმენი, მარკ ტვენი, ჯეკ ლონდონი, ჰენრი ჯეიმსი, ფრანსის სკოტ ფიცჯერალდი, უილიამ ფოლკნერი, ერნესტ ჰემინგუეი, იუჯინ ო ნილი... კიდევ რამდენიმე ათეული გვარი. ეს ამერიკის რჩეულთა ბიბლიოთეკაა. ამ ავტორებს (მათ ნაწარმოებებს) „ამერიკის ლიტერატურის რჩეულ ნაწარმოებთა სერია“-ში აქვთ საკუთარი, გამორჩეული ადგილი. მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ ამ რანგში ჩამონათვალს კიდევ ერთი სახელი დაემატა – ჯორჯ პაპაშვილის სახელი. ეს 1950 წელს მოხდა!

წიგნი, რომელსაც მთელი მსოფლიო კითხულობდა...

Harper & Brothers – „ჯიბით სატარებელი“ მცირეფორმიანი წიგნის მრავალტირაჟიანი გამოცემლობა და Harper & Row – ე. წ. მაგარყდიანი წიგნების ცნობილი გამომცემელი კიდევ ერთხელ მოექცნენ ფართო საზოგადოების ყურადღების ცენტრში, როცა სრულიად ახალი წიგნი შესთავაზეს მკითხველს. პირველად ეს 1944 წლის ოქტომბერში მოხდა, რამდენიმე კვირის შემდეგ, ნოემბერში იგივე განმეორდა. 1945 წელი ყველაზე უჩვეულო და „უხვი“ გამოდგა: მხოლოდ იანვარში ოთხჯერ გამოიცა; მაღაზიების თაროებიდან „თვალის დახამხამებაში ქრებოდა წიგნი“, წიგნი, რომელიც ასე იყო

დასათაურებელი: „ყველაფერი შეიძლება მოხდეს“. გიორგი და ჰელენ პაპაშვილების რომანი ერთბაშად აღმოჩნდა საყოველთაოდ აღიარებული და ამასთან, ძალიან პოპულარულიც... მომდევნო, თებერვლის თვეში სამჯერ გახდა დასტამბვა საჭირო; შემდეგ კი უკვე მათში, ივნისსა და ოქტომბერშიც... ერთ წელიწადში ათჯერ გამოიცა. ეს საკმარისი მაინც არ აღმოჩნდა. 1946 წლის იანვარში – მეცამეტე, შვიდი თვის მერე (აგვისტოში) – მეთოთხმეტე, მეთხუთმეტე – 1948 წლის იანვარში. ერთი შეხედვით, უცნაურიც კია, როგორი პოპულარული გახდა წიგნი ამერიკის შეიარაღებული ძალების წარმომადგენელთა (ოფიცერთა კორპუსის და ჯარისკაცთა) შორისაც; არადა, რომანი არც ომზეა, არც საბრძოლო იერიშებზე და არც ამ ყაიდის თავგადასავლებზე. ცალკეული გამოცემები ჯერ კიდევ 1945 წლის თებერვალში დაიბეჭდა მათთვის, ხოლო მეორედ, II მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ – 1946 წლის თებერვალში. „უმაგალითო მოვლენა“ – დაიწერა კიდევ, რაც 600 000 ცალი წიგნის გაყიდვას მოჰყვა. უჩვეულო ბიოგრაფიისა და ოჯახის წარმომადგენელი – სვეტლანა ალილუევა. მამამისმა – იოსებ ჯუღაშვილმა/სტალინმა არა მხოლოდ საბჭოთა კავშირის, არამედ მთელი მსოფლიოს ისტორიაში ითამაშა მნიშვნელოვანი როლი. წიგნი, რომელიც მინდა გამოვარჩიო, 1983 წელს დაიწერა ინგლისში ინგლისურ ენაზე; ოღონდ გამოიცა ინდოეთში 1984 წლის აგვისტოში. დასათაურებულია: „შორეული მუსიკა“. რუსული თარგმანი მომზადდა ავტორის მიერ 1987 წელს უკვე ამერიკის შეერთებულ შტატებში. ამ წიგნის გამოცემამდე მას ორი ავტობიოგრაფიული ხასიათის კრებული დაწერილი და გამოქვეყნებული ჰქონდა.

1967 წელს სვეტლანა ალილუევას ნება დართეს ამერიკაში „შესვლის“. ახლა უკვე ღროის გადასახედიდან, ერთმანეთს ადარებს ამ ორ სახელმწიფოს; მსგავსებასაც პოულობს და სხვაობასაც; იმ ორ უკიდურესობას, რომელიც ამათვისაა დამახასიათებელი: ერთი მხრივ, საბჭოთა დათრგუნვა და მეორე – ტოტალური თავისუფლება. რუსული ემიგრაცია არცთუ კეთილგანწყობილი შეხვდა წიგნს; მან ჩათვალა, რომ „კრემლის პრინცესას“ მამის გარდაცვალების შემდეგ კვლავ მოუნდა ფუფუნებაში ცხოვრება.

ამერიკას ახლოს გაეცნო, უფრო სწორედ, ამერიკული ცხოვრების წესს. ყოველ შემთხვევაში თავად ასე თვლიდა. წინასიტყვაობაშივე აღნიშნავს, რომ მან ამერიკა ისე მიიღო, როგორც „თავისი“, ისევე, როგორც თავის ღროზე ინდოეთი და თავის გულში მოათავსა რუსეთსა და საქართველოსთან ერთად.

ავტორი გულწრფელია, როცა ამბობს, რომ მკვეთრი ფერებით ცხოვრებას, როგორსაც ამერიკული ცხოვრების წესი გულისხმობს, ჯერ ვერ შეეგუა. ბევრი საინტერესო ეპიზოდი იქცევს მკითხველის ყურადღებას; ჰყვება ფოტოგრაფზე, პატარა მაღაზიის გამყიდველზე, თავის ზანგ და იტალიელ მეზობლებზე, პავლე ჭავჭავაძეზე...

გამომცემლობაში Harper & Row იატაკზე თურმე წითელი ხალიჩა იყო გაფენილი და ოთახს სიცილით „კრემლს“ ეძახდნენ. ბევრს მუშაობდნენ; 10 საათისთვის გამოდიოდნენ გამომცემლობიდან და პატარა რესტორანში მიირთმევდნენ. ამ დროისთვის ხალხი ცოტა იყო. სხვადასხვა იმპროვიზაციას ხმადაბლა უკრავდა ბრმა პიანისტი და მის ფეხებთან კი მისი უზარმაზარი ძაღლი გატრუნული იწვა.

სვეტლანა ალილუევა ამ დღეებს, როგორც „არაჩვეულებრივ დროს“ – ასე გაიხსენებს. გამომცემლებთან ნორმალური მუშაობის შესაძლებლობა ჰქონდა, არავინ აქცევდა ყურადღებას არც ავტობუსში, არც ქუჩაში და არც ნიუ-იორკის რომელიმე მაღაზიაში შესულს... ბუნებრივია, მისი ვინაობიდან გამომდინარე, ყველგან ყურადღების ცენტრში ექცეოდა. ესეც გასაგებია! ვინც კი მამამისის სახელს გაიგებდა, მის „ცოცხალ“ ქალიშვილთან ახლო შეხვედრის შესაძლებლობას ხელიდან არ უშვებდა... მაგრამ აქ, ამერიკაში არავის აინტერესებდა მისი არსებობა. როგორც თავად გაიხსენებს, არავინ უთვალთვალებდა, არავინ აჩერებდა ბრიყვული შეკითხვებით, თითქოს უჩინმაჩინის ქული ეხურა და ისე დადიოდა და მთავარი – ამონარიდი ტექსტიდან:

«А впрочем, никому нет никакого дела до других в Америке. Можно пройти по Бродвею на руках (если умеешь), вверх ногами, и никто не удивится. **Всё может случиться, как написал в своей книге грузинский эмигрантский писатель Папашвили, и никому нет до этого никакого дела. Прошло значительное время, прежде чем я поняла эту истину»** (ალილუევა 1987: 25).

ისე ჩვეულებრივად ახსენებს, რომ თითქოს დარწმუნებულია, რომ ბევრისთვის იქნება გასაგები ის, რასაც ამბობს და ვისაც იმოწმებს. სამშობლოდან თვითონაც წამოსულია; ქართველი ემიგრანტის დამოწმება ამერიკელ მკითხველთან... ძალიან საინტერესო შემთხვევა კია: მკითხველს ხელში სტალინის ქალიშვილის დაწერილი წიგნი უჭირავს; იმ კაცის, რომლის პოლიტიკურმა საქმიანობამ საქართველო არაერთ ქართველს დააკარგვინა და ამერიკის შესაძლებლობებზე ისევ ქართველს, ჯორჯ პაპაშვილს, იმოწმებს... მართლაც, რამდენჯერ შეიძლება დარწმუნდე, რომ ყველაფერი შეიძლება მოხდეს!

ისტორიას არა მხოლოდ უცნაური ამბების შემონახვა უყვარს, არამედ უჩვეულო ფოტოებისაც. ერთად გადაღებული მამა-შვილის ფოტო რა გასაკვირია, ჩვეულებრივზე ჩვეულებრივი მოვლენაა; მაშინაც, როცა ბენიერ მამას, სოსოს, თავის გოგონასთან ერთად ხედავ. გასაკვირი მეორე ფოტოა; არა, გასაკვირიც ალბათ, არა. იმხანად ეს აღამიანები ერთმანეთის ძალიან ახლობლები იყვნენ და რაა გასაკვირი, რომ ოჯახებითაც ეახლობლათ. უბრალოდ, როცა ახლა უყურებ ფოტოს – დროის და მანძილის გადასახედიდან... „ძია ლაფრენტის“ (ბერია, რასაკვირველია - რ. ნ.) პატარა სვეტლანასთან ერთად, ბუნების წიაღში გადაღებული ფოტო...

„გამამერიკელებული ქართველი ფიროსმანი,“ – ამ ფრაზას დაფიქრებული გაიმეორებს ამერიკაში მყოფი ქართველი მწერალიც – აკაკი ბელიაშვილი...

ნამუშევრებზე ინიციალებს არასოდეს ტოვებდა; თვლიდა, მეტიც, თურმე დარწმუნებული იყო, რომ „ხელმოწერა თავად ხელოვნების ნიმუშშია“. როგორც ჩანს, მოქანდაკე მიიჩნევდა, რომ თავად ნამუშევრით უნდა მიმხვდარიყო მნახველი ავტორის ვინაობას და არა მხოლოდ მიწერილი გვარ-სახელის მეშვეობით. მის ნამუშევრებთან თუ, ზოგადად, გამოფენებთან დაკავშირებით იწერებოდა რეცენზიები, სტატიები, გამოკვლევებიც.

ცნობილი გამოფენები: პენსილვანიის სახვითი ხელოვნების აკადემია, ფილადელფიის ხელოვნების მუზეუმი, რედინგის სახელმწიფო მუზეუმი და ხელოვნების გალერეა, არაერთი უნივერსიტეტი, ვუდმორის გალერეა. მოქანდაკის გარდაცვალებამდე რამდენიმე წლით

ადრე (1971) უილიამ პენის მემორიალურ მუზეუმს რეტროსპექტულ ჩვენებაზე გიორგი პაპაშვილის 60 ნამუშევარი გაუტანია.

სპეციალური კოლექცია ფასდაუდებელ სამსახურს უწევს ჯორჯ პაპაშვილის, როგორც მოქანდაკის გაცნობის საქმეს. აქ დაცულია მისი ნამუშევრების ფოტოები და სლაიდები; აქვეა არაერთი საგამოფენო ბუკლეტი და მოსაწვევი.

ამერიკის შეერთებულ შტატებში 50-იან წლებში ჯორჯ (გიორგი) პაპაშვილზე გადაღებულია დოკუმენტური ფილმი სათაურით: „მშენიერება ქვაში“.

დამოწმებანი:

ასათიანი, ს. „მცირე მოგონებანი“. კავკასიონი XIII, პარიზი, 1968.

ჩხენკელი, ა. „წერილი გიორგი და ჰელენ პაპაშვილებს“, 1947. ჯორჯ და ჰელენ პაპაშვილების სპეციალური კოლექცია. კოლექცია 0090, ყუთი 03, საქაღალდე 02, ლიპაის უნივერსიტეტი

Аллилуева С., *Далёкая музыка*. 1987. www.tululu.ru/read63851/25/

RUSUDAN NISHNIANIDZE

Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ABSTRACT

NEW MATERIALS ABOUT AMERICAN SCULPTOR AND WRITER WITH GEORGIAN ORIGINS – GEORGE PAPASHVILI

George and Helen Papashvily’s “Special Collection” is kept in the United States, Pennsylvania, Lehigh University. This huge archive consists of twenty-eight boxes, with approximately eight or ten folders.

The name of an American sculptor and writer with Georgian origins is put

down in the culture of the country he was the resident of. The name George Papashvily was published in such serious editions as: “Who’s Who in American Arts” and “Who’s Who in American Literature of the 20th century.” Subsequently, the study of his art and literary heritages is a completely new stage in the history of immigrant culture.

The Special Collection is of vital importance in acquainting with George Papashvily as a sculptor. This archive consists of his work photos and slides, invitations and reviews. I should like to add here that a documentary film has been shot for him as a sculptor – “Beauty in stone.”

Apparently, it is impossible and not serious to study George Papashviliy as a sculpture and writer thoroughly without considering “both” geographical space. The research of Giorgi (George) Papashvily’s art and literary heritage is of great importance equally for both - Georgian and American culture.

ახსაბარ სურგულაძე

შოთა რუსთაველის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სრული პროფესორი

ალექსანდრე ჰამილტონი და რომაული სამყარო

ალექსანდრე ჰამილტონი (1755/57-1804) გამორჩეული ფიგურაა ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიაში. იგი შედის იმ პირთა რიცხვში, ვის სახელთანაც არის დაკავშირებული აშშ შექმნა. ამ დამსახურებების გამო ალექსანდრე ჰამილტონი შესულია ე.წ. ამერიკის "მამების" (Founding Fathers) რიცხვში. ამის



გარდა, ჰამილტონი იყო აშშ-ს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის გამოჩენილი მოღვაწე, ფედერალისტთა პარტიის იდეოლოგი და ხელმძღვანელი, პირველი ხაზინადარი (1789), აშშ-ს ცენტრალური ბანკის შექმნის ინიციატორი, ფილოსოფოსი და ა.შ.

ჰამილტონი გამოირჩეოდა პუბლიცისტური ნიჭით. იგი სრულიად ახალგაზრდა ჩაება ჩრდილო ამერიკული კოლონიების ბედის შესახებ პრესაში მიმდინარე პოლემიკაში. დამოუკიდებლობის ომის მსვლელობისას იყო ჯერ არტილერიის ადიუტანტი, ხოლო შემდეგ ჯორჯ ვაშინგტონის პირადი მდივანი. 1786-1787 წლებში იგი მონაწილეობდა ანაპოლიის და კონსტიტუციური კონვენტის მუშაობაში. ჰამილტონი იყო ძლიერი ცენტრალური მმართველობის მომხრე და აშშ კონსტიტუციის პროპაგანდისტი. მისი ავტორობითაა კრებულ "ფედერალისტში" (1788) შესრულებული სტატიების უმრავლესობა.

ძველ მსოფლიო ისტორიის სფეროში ჰამილტონს არ ჰქონდა სისტემური განათლება. ნიუ-იორკის სამეფო კოლეჯში იგი მხოლოდ ენებს სწავლობდა. პრინციპში, მაშინ არც ანტიკურობის ამერიკული სკოლა არ არსებობდა, მაგრამ პირადი ნიჭის წყალობით და დიდი ბრიტანეთიდან ჩამოტანილი კლასიკოსი მწერლების (ჰორაციუსი...) თუ ევროპელი განმანათლებლების (მონტესკიე...) თხზულებებით, რო-

მლებიც ყოველთვის მისი სამაგიდლო წიგნები იყო (Печатнов 1984: 13), მან ანტიკურ პერიოდზე მიიღო ზოგადი წარმოდგენა. ანტიკური ეპოქის ისტორიის ნიმუშები ჰამილტონს სჭირდებოდა ფედერალისტთა საპროგრამო დოკუმენტის რიგი პასაჟების გასაძლიერებლად, პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ ბრძოლაში და სახელმწიფოებრივი მოწყობის პრინციპების დაცვისას პოლემიკურ წერილებში.

ჰამილტონი იყო ფედერალისტთა პარტიის ლერძი. ზოგადად, ფედერალისტთა ლიდერები (სახელწოდება მიიღეს ფედერალური კონსტიტუციის მხარდაჭერის გამო - კ. ს.) გამოხატავდნენ აშშ ჩრდილო-აღმოსავლეთის მსხვილი ქალაქების (ნიუ-იორკი...), სავაჭრო და სამრეწველო კაპიტალის ინტერესებს (Лейст 2000: 361). თავისი მოღვაწეობით ჰამილტონი ცდილობდა სამრეწველო და ფინანსისტთა კლასის ფორმირების პროცესის დაჩქარებას. ასევე, ძლიერი საპრეზიდენტო მმართველობის მომხრე და პროფესიონალური არმიის შექმნის პროპაგანდისტი.

"ფედერალისტი" იცავდა ძლიერი ფედერალური ძალაუფლების იდეას და მის სისტემურ ორგანიზაციას 1787 წლის კონსტიტუციის სულისკვთებით (Лейст 2000: 362). კრებულში შესულია ნიუ-იორკის მოსახლეობისადმი დაწერილი 85 პოლიტიკური წერილი. მათი ავტორები იყვნენ ალექსანდრე ჰამილტონი, ჯეიმს მედისონი (1751-1836) და ჯონ ჯეი (1745-1829). სამივე ავტორმა ანონიმურობის დაცვით ყველა წერილი გამოაქვეყნა ერთი – "პუბლიუსის" – ფსევდონიმით. ლიტერატურაში არის ავტორების სტატეების ერთმანეთისგან გამიჯვნის ცდები, მაგრამ იგი რთულია, რადგანაც სტატეების უმრავლესობა ჰამილტონის დაწერილი იყო, ხოლო დანარჩენებსაც მისი წერის სტილი დაჰყვება. საინტერესო იყო ჰამილტონის და მედისონის წერის მანერა. მაგ., ჰამილტონს წესად ჰქონდა დიღხანს ფიქრი, მცირე დასვენება და ექვს-შვიდ საათიანი მუშაობით სტატეის დაწერა. მედისონი ძილს უთმობდა მხოლოდ სამ-ოთხ საათს, ხოლო სტატეიას ამთავრებდა გამთენიისას (Лейст 2000: 10).

კრ. "ფედერალისტში" გამოქვეყნებულ წერილებში დაცულია ანტიკური სამყაროსთან დაკავშირებული რამოდენიმე პასაჟი. ისინი მცირეა. ძირითადადში ნახსენებია ათენი, კართაგენი, აქეის კავშირი, პელოპონესის ომი, პერიკლე, პოლიბიოსი, ფიდიასი, ქსერქსე და ა.შ. რაც შეეხება რომაულ სამყაროსთან დაკავშირებულ ფაქტებს,

პოლემიკურ წერილებში ფედერალისტები მას იყენებდნენ, რადგანაც იყო საშიშროება, რომ აშშ-ს, ახლად შექმნილ სახელმწიფოს, არ გაემეორებინა რომის რესპუბლიკის ბედი (Яковлев 1994: 13).

უნდა შევნიშნოთ, რომ ფსევდონიმი "პუბლიუსი" ჰამილტონმა პირველად გამოიყენა 1778 წელს ე.წ. "ჩეიზის საქმისას", როდესაც ნიუ-იორკის გაზეთში მან გამოაქვეყნა კორუფციის წინააღმდეგ მიმართული სამი წერილი. ჰამილტონის მხრიდან ფსევდონიმ "პუბლიუსის" შერჩევა შემთხვევითი არ იყო. "იგი", ამ შემთხვევაში აღებულია ძველი რომაელი პოლიტიკური ფიგურა, რომელიც რესპუბლიკის ერთ-ერთი დამაარსებელი პუბლიუს ვალერიუს პუბლიკოლა (ძვ.წ. ?-503 წწ.) (Исеров 2012). ეს იყო სიმბოლური სვლა. მაშასადამე, ჰამილტონის ხედვით, როგორც პუბლიკოლა იყო ახალი სახელმწიფოს შემქმნელი, იგივე მისიის მატარებელი იყო თვითონაც. ე.წ. "ჩეიზის საქმისას" გამოყენებული ფსევდონიმი "პუბლიუსი" ამიერიდან ჰამილტონის საყვარელი თიკუნი გახდა.

აშშ-ში ძლიერ საპრეზიდენტო ხელისუფლებაზე მსჯელობისას, თავისი პოზიციის გასამაგრებლად ჰამილტონი დამატებით არგუმენტს იშველიებდა რომის ისტორიიდან. იგი წერდა: "რომის ისტორია სავესტს იმ უბედურებათა მაგალითებით, რანაც რესპუბლიკას კონსულებსა და სამხედრო ტრიბუნთა შორის უთანხმოებამ მოუტანა. ეს უკანასკნელნი ჟამიდან ჟამს კონსულების შემცვლელად გვევლინებოდნენ. მაგრამ ფუჭად გავირჯებოდით, თუ რომის ისტორიაში იმ სარგებელთა და უპირატესობათა ძიებას დავიწყებდით, რომელნიც თითქოსდა აღმასრულებელი ძალაუფლების დანაწევრებას და მრავალ პიროვნებაზე მის გადანაწილებას მოჰქონდეს... მხედველობაშია მისაღები როგორც ის განსაკუთრებული მდგომარეობა, რომელშიც იგი თითქმის ყოველთვის იმყოფებოდა, ისე ის სახელმწიფოებრივი მოსაზრებანი, რითაც კონსულები ხელმძღვანელობდნენ... კონსულები, რომლებიც პატრიციებიდან იყვნენ გამოსულნი, ხშირად პირადი ინტერესების საფუძველზე ერთიანდებოდნენ და თავიანთი ფენის პრივილეგიებს იცავდნენ. მას შემდეგ კი, რაც რომის შეიარაღებულმა ძალებმა შორს გასწიეს იმპერიის საზღვრები, კონსულებმა მართვა-გამგეობის სფეროთა გასანაწილებლად კენჭისყრის ჩვეულება შემოიღეს... ამ პროცედურას ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რამეთუ მან რე-

საუბლიკას შესაძლებლობა მისცა, თავიდან აეცილებინა შეჯახება და ქიშპობა, რასაც შეეძლო სამოქალაქო მშვიდობა დაესამარებინა რომის რესპუბლიკაში" (ფედერალური წერილები 2008: 393).

ქვეყნისთვის მოსალოდნელ საფრთხეებზე საუბრისას ჰამილტონი ჩამოთვლის სპარტას, ათენს, კართაგენს და რომს. მათი მოკლედ დახასიათებისას რომზე იგი წერდა, რომ "ვერ იქნა და ვერ გაძღა სისხლიანი სასაკლაოებით და დამპყრობლური ომებით". შემდეგ ავტორი დასძინდა: "კართაგენი, თუმც სავაჭრო რესპუბლიკა იყო, მაგრამ აგრესორად მოგვევლინა იმ ომში, რომელმაც იგი ალგავა კიდევ პირისაგან მიწისა. მიუხედავად იმისა, რომ ჰანიბალი იტალიის შუაგულში შეიჭრა და რომის კარიბჭეს მიაღვა, სციპიონმა უკუაქცია იგი, მისი ჯარი კართაგენის მისაღვომებთან შემუსრა და ხელთ იგლო მისი სამშობლო" (ფედერალური წერილები 2008: 301).

კონვენტის მიერ აშშ მმართველობის გეგმის კრიტიკისას, 1788 წლის 12 იანვრის წერილში ფედერალისტები წერდნენ: "რომის სახელმწიფო წყობას სათავე რომულუსმა დაუდო, ხოლო მისმა მემკვიდრეებმა - ნუმმა და ტულუს (ტულიუს - კ.ს.) ჰოსტილიუსმა დააბოლოვესო. სამეფო ხელისუფლების გაუქმების შემდეგ ბრუტუსმა კონსულის ინსტიტუტი შემოიღო; ამტკიცებდა, საამისოდ საფუძველი სერვიუს ტულიუსმა მოამზადაო; ამიტომაც მისმა მიმართვამ ხალხისა და სენატის მოწონება დაიმსახურა" (ფედერალური წერილები 2008: 199).

ისევ კონვენტის მიერ შემოთავაზებული კონსტიტუციის ვარიანტებზე საუბრისას 19 იანვრის წერილში მედისონი წერდა: "რომის თავისუფლებანი სამხედრო გამარჯვებებმა შეიწირეს" (ფედერალური წერილები 2008: 222).

1786 წლის შემოდგომაზე მასაჩუსეტის შტატში მიმდინარე შეისის ამბოხის შედეგად გამოწვეული საფრთხეების შეფასებაზე, ჰამილტონი კითხვას სვამდა: "ვინ იცის, თუ რა შედეგით დასრულდებოდა ეს მღელვარებანი, უკმაყოფილო ხალხის მასას სათავეში კეისარი ან კრომველი რომ მოქცეოდა?" (ЯКОВЛЕВ 1994: 8). ჰამილტონის მხრიდან შემფოთობას მართლაც ჰქონდა საფუძველი. თვით ოფიციალურად, შეისის მომხრეების დაშოშმინების მიზნით, შემდგომში ამბოხების მეთაურები შეიწყალა.

აშშ მესამე პრეზიდენტი თომას ჯეფერსონი (1743-1826 წწ.) იგონებდა, რომ ნიუ-იორკში მასთან სტუმრობისას ათვალერებდა რა ჰამილტონი მის მიერ საფრანგეთიდან ჩამოტანილ გამოჩენილ ადამიანთა ბიუსტებს, განუცხადებია, "მაინც დედამიწაზე ყველაზე უდიდესი კეისარი იყო". სხვათა შორის, ლუგლას ადერი შტატების მთავარ ხაზინადარზე წერდა, რომ ჰამილტონი "ახლა წარმოადგენდა თავის შესაძლებლობებს და ცხოვრებისეულ მიზნებს იულიუს კეისრის მასშტაბებით".

1793 წლის ზაფხულში დას. პენსილვანიაში მიმდინარე ე.წ. "ვისკის ამბოხისას", ჰამილტონმა ვაშინგტონის თანხმობით აიღო სამხედრო მინისტრის მოვალეობა. რადგან შეისის აჯანყება ყველას ახსოვდა, საზოგადოებრივი აზრის შექმნისთვის ჰამილტონმა პარალელურად პრესაში ე.წ. "ვისკის ამბოხის" შესახებ დაიწყო კრიტიკული წერილების გამოქვეყნება "ტულიუსის" ფსევდონიმით (Печатнов 1984: 226). "ტულიუსის" ქვეშ იგულისხმებოდა რომელიც ორატორი და საზოგადო მოღვაწე მარკუს ციცერონი (ძვ.წ. 106-43 წწ.). მაშასადამე, "ვისკის ამბოხის" ჰამილტონი აღარებდა ძვ.წ. I ს-ის კატილინას მეთაურობით რომში მიმდინარე ცნობილ ავანტიურისტულ გამოსვლას.

1795 წელს ე.წ. "ჯეისის ხელშეკრულების" გარშემო პრესაში ჯეფერსონსა და ჰამილტონს შორის მიმდინარე პოლემიკისას, ხაზინადარს "კატონის" ფსევდონიმით დაუპირისპირდა რობერტ ლივინგტონი. სამეულის პოლემიკაში ჰამილტონი იყენებდა "კამილუსის" ფსევდონიმს, რაც ასევე სიმბოლური იყო. სწორედ მარკუს ფურიუს კამილუსი (ძვ.წ. 447-365 წწ.) იყო ის ფიგურა, რომელმაც ძვ.წ. 387 წელს გალებისგან გადაარჩინა რომი. ნიშანდობლივია, რომ 1796 წელს "კამილუსის" ფსევდონიმით გამოსულ 38 სტატიიდან პირადად 28 ჰამილტონის დაწერილი იყო (Печатнов 1984: 233).

1800 წლისათვის მიმდინარე საპრეზიდენტო არჩევნებისას ჰამილტონი დაუპირისპირდა ჯეფერსონს. მოწინააღმდეგის მისამართით უხამსი სიტყვების გარდა ჰამილტონი მას უწოდებდა "ამერიკელ კატილინას" (Печатнов 1984: 280).

ამრიგად, კრებულში და სხვა პოლემიკურ წერილებში რომის ისტორიიდან გამოყებული პასაჟები ჰამილტონსა და მის თანაკოლეგებს სჭირდებოდათ აშშ-ს ისტორიის საკვანძო საკითხებზე მსჯელობისას თავიანთი პოზიციის გასამყარებლად.

დამოწმებანი:

ფედერალური წერილები. ინგლისურიდან თარგმნა გ. ბარამიძემ.
თბ., 2008.

Исеров, А. «Сверхразмерная демократия». *Вокруг Света*. 2012,
№ 5 (2836), (www.vokrugsveta.ru)

Лейст, О. (ред.). *История политических и правовых учений*. Под
ред. О. Лейста. М., 2000.

Печатнов, В. *Гамильтон и Джефферсон*. М., 1984.

Яковлев, Н. «Послание в Будущее». *Федералист*. М., 1994.

КАКХАБЕР SURGULADZE

Professor, Shota Rustaveli State University

ABSTRACT

ALEXANDER HAMILTON AND THE ROMAN WORLD

1. **Alexander Hamilton** (1755/57–1804) was a Founding Father of the United States, chief of staff to General Washington, one of the most influential interpreters and promoters of the Constitution, the founder of the nation's financial system, and the founder of the first American political party. He became the leader of the Federalist Party, created largely in support of his views. As Secretary of the Treasury, Hamilton was the primary author of the economic policies.

2. Hamilton did not have a systematic education in the field of the history of the ancient world. He studied only languages in the college, but thanks to his personal talents, from the works of European educators, he received the general idea of the ancient period.

3. Hamilton used the examples of the Roman World history in the announcement of the programic documents of Federalists, against the political opponents and in the polemic letters defending state system principles.

ჰასილ ფარაჰი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი

ბილ ჯლინგონის ადმინისტრაციის პოლიტიკა ჩინეთის მიმართ

XX საუკუნის 80-იანი წლების დასასრულსა და 90-იანი წლების დასაწყისში, როდესაც დამთავრდა „ცივი ომი“ მაშინდელი სამყაროს ორ ზესახელმწიფოს - ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის და ბიპოლარულმა სამყარომ არსებობა შეწყვიტა, აშშ მსოფლიოს ერთადერთ ზესახელმწიფოდ დარჩა. ერთი შეხედვით, მის ასეთ სტატუსს არაფერი ემუქრებოდა, მაგრამ 90-იანი წლების შუა ხანებიდან მსოფლიო პოლიტიკურ არენაზე გამოდის ეკონომიკისა და სამხედრო პოტენციალის მხრივ სწრაფი ტემპებით მზარდი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, რაც მის საგარეო-პოლიტიკურ კურსს სინისტეს და მეორე ზესახელმწიფოდ ქცევის ამბიციას მატებდა. განსაკუთრებით მკაფიოდ ეს ფაქტორი აზიის კონტინენტზე შეიმჩნეოდა, სადაც ჩინეთი ერთმნიშვნელოვნად ჰეგემონი სახელმწიფოს როლზე პრეტენზიას აცხადებდა. ყველა ამ მომენტისა და იმის გათვალისწინებით, რომ ჩინეთი „ბირთვული კლუბის“ წევრი ქვეყანა იყო, ის ამერიკისთვის არა მარტო აზიაში, არამედ მსოფლიოს სხვა წერტილებშიც მძიმეწონიან და გავლენიან მოწინააღმდეგედ იქცა.

შექმნილ ვითარებაში აშშ-ს მთავრობის წინაშე დადგა საკითხი, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო და როგორი პოლიტიკა გაეტარებინა მას ჩინეთის მიმართ, ისე რომ არ დაეკარგა საკუთარი გავლენა აზიაში და, ამასთან ერთად, არ შესულიყო კონფლიქტში ჩინეთთან, რასაც შეიძლებოდა კოლოსალური უარყოფითი საერთაშორისო შედეგები მოყოლოდა. სწორედ ამ დილემის წინაშე აღმოჩნდა აშშ-ს პრეზიდენტი ბ. კლინტონი (1992-2000 წწ.) და მისი ადმინისტრაცია. როგორ პოლიტიკას ატარებდა კლინტონი აზია-წყნარი ოკეანის რეგიონისა და კერძოდ ჩინეთის მიმართ?

პრეზიდენტის „წყნარი ოკეანის ახალი თანამეგობრობის“ პოლიტიკა ძირითადად სამ პოსტულატს ეფუძნებოდა: 1. იაპონიასთან თანამშრომ-

ლობის გაღრმავება; 2. ეკონომიკური სისტემების ლიბერალიზაცია და ვაჭრობის გააქტიურება; 3. აზია-წყნარი ოკეანის რეგიონის ქვეყნებში დემოკრატიული რეფორმებისა და დემოკრატიული ინსტიტუტების მხარდაჭერა-გაძლიერება. ამ უკანასკნელის წინა პლანზე წამოწევით აშშ პირდაპირ ჩინეთის ინტერესებს უპირისპირდებოდა, რადგან პეკინი, რომელიც საკუთარ თავს უკვე რეგიონის ლიდერ სახელმწიფოდ თვლიდა, ვაშინგტონის მსგავს პოზიციას კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა. ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობებში დაძაბულობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ასპექტს აგრეთვე ტაივანის პრობლემაც წარმოადგენდა. ამრიგად, კლინტონის ადმინისტრაცია საკმაოდ რთული პოლიტიკური დილემის წინაშე აღმოჩნდა, თუ როგორ უზრუნველყო ამ ორ ქვეყანას შორის ეფექტური თანამშრომლობა ისე, რომ არ შესუსტებულიყო მისი გავლენა?

ბ. კლინტონის ადმინისტრაცია ჩინეთთან ურთიერთობის რამდენიმე ვარიანტს განიხილავდა. პირველი ითვალისწინებდა ჩინეთის სრული მოცულობით ჩართვას საერთაშორისო ურთიერთობებში, სავაჭრო-ეკონომიკურ და ფინანსურ თანამშრომლობაში. აღნიშნული თეორიის მომხრეები ფიქრობდნენ, რომ მსოფლიო საქმეებში გლობალურად ინტეგრირებული ჩინეთი საერთო წესებით ითამაშებდა და გადაუჭრელ პრობლემებს არ შექმნიდა. მეორე ვარიანტი პირველის სრულიად საპირისპირო მსჯელობაზე იგებოდა. მისი თეორეტიკოსების აზრით, ჩინეთი მხოლოდ ძალის პოზიციიდან საუბარს აღიქვამდა და შესაბამისად მის წინააღმდეგ პრევენციული შეკავების პოლიტიკა უნდა გატარებულიყო. მესამე პოზიცია ზემოდასახელებული ორი ტაქტიკის თავისებურ სინთეზს წარმოადგენდა: ერთის მხრივ, აუცილებელი იყო ჩინეთის ჩართვა საერთაშორისო ურთიერთობებში, მაგრამ, მეორე მხრივ, აშშ მზად უნდა ყოფილიყო პეკინის ყველა აგრესიული და დესტრუქციული ქმედებების აღსაკვეთად. სწორედ ეს კონცეფცია დაედო საფუძვლად პრეზიდენტ ბ. კლინტონის ადმინისტრაციის ჩინურ პოლიტიკას. კლინტონი აღნიშნავდა: „ჩვენი პოლიტიკა ჩინეთის მიმართ ერთდროულად უნდა იყოს როგორც პრინციპული და პრაგმატული, ისე თანამშრომლობის სურვილით გაჯერებული“ (Clinton 1993).

კლინტონის პოლიტიკა არც ნოვატორობით და არც ორიგინალობით არ გამოირჩეოდა და პრეზიდენტ რ. ნიქსონის „შეკავების პოლიტიკის“ თავდაპირველ ვარიანტს ემსგავსებოდა. მთავარი იყო ის, რომ თეთრი სახლი, ვმობდა რა ჩინეთში ადამიანის უფლებების დარღვევას და სხვა არდემოკრატიულ გამოვლინებებს, ამ ფაქტორს ორი ქვეყნის ურთიერთობის გაუმჯობესების წინაპირობად მკაცრად არ აყენებდა. ვაშინგტონი მთავარ აქცენტს ჩინეთის საგარეო პოლიტიკური კურსის ლიბერალიზაციაზე და ძალის გამოუყენებლობაზე უარის თქმაზე აკეთებდა. 1994 წელს სიეტლში კლინტონისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარის ძიან ძემინს შორის შეხვედრა შედგა. მხარეები 1991 წლიდან სამთავრობო დონეზე შეწყვეტილი ვიზიტების აღდგენისა და ჩინეთისთვის ვაჭრობაში „უპირატესი ხელშეწყობის სტატუსის“ მინიჭების თაობაზე შეთანხმდნენ.

ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების ნორმალიზაცია დიდხანს არ გაგრძელებულა და ის 1995 წლის მაისში კონფრონტაციით შეიცვალა. ამის მიზეზი აშშ-ს კონგრესის მიერ ინიცირებული ტაივანის რესპუბლიკის (ჩინეთი ტაივანს თავის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევს – ვ. ფ.) პრეზიდენტის ლი დენ ჰუას არაოფიციალური ვიზიტი გახდა. ბ. კლინტონის ადმინისტრაციამ, რომელიც იძულებული იყო ტაივანის პრეზიდენტის აშშ-ში ვიზიტის საკითხში დაეთმო კონგრესისათვის, ჩინეთს წინასწარ ვერ დაუფიქსირა და ვერ აუხსნა საკუთარი პოზიცია. აღნიშნულ ვოიაჟს ჩინეთ-ამერიკის ურთიერთობების მკვეთრი გაუარესება მოჰყვა: პეკინმა ვაშინგტონიდან საკუთარი ელჩი გამოიწვია, ხოლო ზოგიერთი მაღალი რანგის ჩინელი სამხედრო აშშ-სა და ტაივანს ღიად დაემუქრა. ლინ დე ჰუას ვიზიტისა და მის მიერ კონგრესში გამოსვლისას მკვეთრად გამოხატული ანტიჩინური გამონათქვამების გამო, პეკინმა 1995 და 1996 წლებში ტაივანის ნაპირების სიახლოვეს ახლო რადიუსის მოქმედების ბალისტიკური რაკეტების გამოყენებით მასშტაბური სამხედრო წვრთნები ჩაატარა.

სიტუაციის შედარებით სტაბილიზაციას ხელი 1995 წლის ოქტომბერში, ნიუ-იორკში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დაარსების 50 წლისთავისათვის მიძღვნილი საზეიმო ღონისძიებების ფარგლებში აშშ-სა და ჩინეთის ლიდერებს შორის გამართული მოლაპარაკებებმა შეუწყო. ძიან ძემინმა და კლინტონმა ორ ქვეყანას

შორის პრობლემების მოგვარების მთავარ პირობად „კონსტრუქციული კონტაქტებისა და ურთიერთნდობის გაღრმავების აუცილებლობა“ (Носов 1997: 187) დაასახელეს.

1996 წელს ბ. კლინტონის აშშ-ს პრეზიდენტად მეორე ვადით არჩევის შემდეგ აშშ-ჩინეთს შორის ურთიერთობებში ახალი ერა დაიწყო, რომელიც პრეზიდენტისა და მისი ადმინისტრაციის ახალ ჩინურ – „სრული მოცულობით ჩართულობის“ - პოლიტიკას ემყარებოდა. 1997 წლის 26 ოქტომბრიდან 3 ნოემბრამდე აშშ-ში ძიან ძემინის ოფიციალური ვიზიტი მიმდინარეობდა. მისი მსვლელობის დროს გამოქვეყნდა ერთობლივი ამერიკულ-ჩინური დეკლარაცია, რომელიც განსაზღვრავდა ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის მთავარ პრინციპებს და პრიორიტეტებს. 1998 წლის 25 ივნისს პეკინს საპასუხო ვიზიტად კლინტონი ეწვია. მან ე. წ. „სამი არას“ პოლიტიკა დააანონსა, რომელიც ტაივანთან არანაირ კონტაქტებს, არანაირ მოლაპარაკებებს და არანაირ კომპრომისებს ითვალისწინებდა. ტაივანის დამოუკიდებლობის ფორმალურ აღიარებაზე მკაფიო და არაორაზროვანი უარის თქმით, ბ. კლინტონმა ნაწილობრივ შეარბილა ჩინეთის მმართველი წრეებში არსებული შიშები, რომლებიც ვაშინგტონის მხრიდან ტაივანური სეპარატიზმის საიდუმლო მხარდაჭერას უკავშირდებოდა. კლინტონის პოზიციამ ორი ქვეყნის პოლიტიკური და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარებას ახალი სტიმული მისცა. ამასთან ერთად, პრეზიდენტის საკანონმდებლო აქტებით გაუმაგრებელი „სამი არას“ პოლიტიკა, ტაივანის ფორმალურ დამოუკიდებლობას არანაირად არ ლახავდა.

1998 წელს პეკინში ვიზიტად მყოფმა კლინტონმა და ძენ ძიანმა ხელი მოაწერეს სტრატეგიული უშიშროების საკითხებზე ერთობლივ დეკლარაციას. მისი მიხედვით აშშ და ჩინეთი ვალდებულია იღებდნენ ბალისტიკური ბირთვული რაკეტების ერთმანეთისათვის დაუმიზნებლობის შესახებ. ამ ხელშეკრულებას ორი ქვეყანა დიდი ხნის განმავლობაში ამზადებდა და საბოლოოდ მისი პუნქტების შეთანხმება კლინტონის ვიზიტამდე რამდენიმე დღით ადრე მოხერხდა.

1999 წელს გამოქვეყნდა აშშ-ს სტრატეგიული კვლევების ეროვნული ინსტიტუტის მოხსენება, საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტების შესახებ. ჩინეთთან ურთიერთობაში მთავარ ამოცანად დაისახა „ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო საშუალებების

კოლოსალური არსენალის გამოყენებით, დავარწმუნოთ პეკინი, რომ თანამშრომლობა და მეგობრობა მის ინტერესებში უფრო შედის, ვიდრე ღია კონფლიქტი. როდესაც ჩინეთი ამაში საბოლოოდ დარწმუნდება, აშშ უნდა ასწავლოს მას, თანამშრომლობის აგება ძირითადი სახელმწიფოების მიერ გამომუშავებული პრინციპებისა და ფასეულობების საფუძველზე" (Носов 1999: 38).

1997 წლის ორმხრივი მოლაპარაკებების შედეგად, ჩინეთმა ხელი მოაწერა მთელ რიგ მნიშვნელოვან საერთაშორისო დოკუმენტს, კერძოდ: ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობისა და ბირთვული გამოცდების აკრძალვის შესახებ, კონვენციას ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის თაობაზე და სხვ. „ჩართულობის“ დოქტრინა, პოლიტიკური კონტაქტების გარდა, ჩინეთსა და აშშ-ს შორის სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების გაფართოებასაც ითვალისწინებდა. ასე მაგალითად, „1998 წელს აშშ-ს ვაჭრობის მთლიანმა მოცულობამ ჩინეთთან 59,745 მილიარდი დოლარი შეადგინა, თანაც ჩინური საქონლის იმპორტმა ამერიკაში, ამ უკანასკნელის ექსპორტს ჩინეთში 42,5 მილიარდი დოლარით გადააჭარბა. ჩინეთი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას აქტიურად უჭერს მხარს და იქ ყოველწლიურად სხვადასხვა ამერიკული კომპანიები საკუთარ ფილიალებს ხსნის. მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობები ისე მნიშვნელოვანია ამერიკისათვის, რომ კლინტონის ადმინისტრაციამ ჩინეთს, კონგრესის პროტესტის მიუხედავად, მაინც შეუნარჩუნა ვაჭრობაში „უპირატესი ხელშეწყობის სტატუსი“ (Grant 2000: 126).

ბ. კლინტონის ადმინისტრაციის მმართველობის დროს მიღწეული გარკვეული წარმატებების მიუხედავად, აშშ-ჩინეთის ურთიერთობებში ბევრი მოუწესრიგებელი და გადაუჭრელი საკითხი რჩებოდა, რომელთა შორის პირველ ადგილზე უპირობოდ ტაივანის პრობლემა იდგა. 1972 წლის, შანჰაის კომუნიკეს შესაბამისად, აშშ „ერთი ჩინეთის“ პრინციპს აღიარებდა, თუმცა ინარჩუნებდა მჭიდრო არაფორმალურ ურთიერთობებს ტაივანთან, მისი უშიშროების ფაქტიური უზრუნველყოფის ჩათვლით.

მთლიანობაში კლინტონის ადმინისტრაციის „ჩინური პოლიტიკა“ საკმაოდ სტაბილური, ეფექტური და თანმიმდევრული იყო, რომლის დადასტურებასაც 1998 წელს პრეზიდენტ კლინტონის პეკინში ვიზიტი წარმოადგენდა. მისი პოლიტიკა პრაგმატიზმზე და ეროვნული

ინტერესების გათვალისწინებაზე იგებოდა.
დამოწმებული:

Grant, R. "China and its Asian Neighbors: looking forward 21 century". *Foreign Affairs*, № 3, 2000.

Clinton, B. "President Bill Clinton Confronting the challenge of a Broader World" (Address to the UN General Assembly, 27.09.1993.) *Dispatch (U.S. Department of State)*, Vol. 4, No. 39.

Носов, М. Г. «Политика Вашингтона в отношении Китая». *США и Канада*, № 3-4.

Носов, М. Г. «Политика США в Восточной Азии». *США и Канада*, №3. 1997.

VASIL PERADZE

Associate Professor, Akaki Tsereteli State University

ABSTRACT

THE POLITICS OF BILL CLINTON ADMINISTRATION TOWARDS CHINA

Bill Clinton administration considered several possible variants of its policy towards China. The first variant implied China's full-scale involvement in international relations, economic, financial and trade partnership. Supporters of this plan assumed that China, being integrated into the world affairs on global scale, would play by the common rules and would not cause any insoluble problems. The second variant was in sharp contradiction with the first one. Its defenders asserted that only power politics and containment would prevent China from increasing its influence and check its expansion. The third variant was a kind of combination of the first two: on the one hand, it was necessary to involve China in international relations; on the other, USA was to be ready to prevent all kinds of aggressive or destructive actions on the part of China. This third variant was finally selected as the basis for Bill Clinton administration policy towards China. "The Chinese politics" of Clinton administration was stable, consistent and effective as Clinton's official visit to China in 1998 made it evident. His politics was based on pragmatism and national interests.

ბარიელ ჯიღვარია

აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

აზმ-თურქეთის ურთიერთობების დასაწყისი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ

ამერიკა-ოსმალეთის ურთიერთობა ოფიციალურ დონეზე დაიწყო მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში, როდესაც 1830 წლის 7 მაისის ხელშეკრულება დაიდო.

1862 წ. ხელი მოეწერა ახალ დოკუმენტს, რომელმაც მიუხედავად საბაჟო საკითხებში უთანხმოებისა ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობა კიდევ უფრო განავითარა.

მე-19ს. ბოლო მესამედში მსოფლიოში და რეგიონში მიმდინარე მოვლენებმა, მათ შორის სან-სტეფანოს ზავმა და ბერლინის კონგრესმა, ორი დაპირისპირებული ბანაკის - ანტანტისა და სამთა კავშირის - ჩამოყალიბების პროცესმა, 1908 წლის ახალგაზრდა თურქთა რევოლუციამ, მისმა თანამდევმა პროცესებმა შედარებით შეანელა აშშ-სა და ოსმალეთის დაახლოების პროცესი. ეს კარგად ჩანს თუნდაც მაშინდელი უცხოური კაპიტალდაბანდებებიდან: საფრანგეთისა შეადგენდა 2240 მილიონ ფრანკს, გერმანიისა 1280 მილიონ ფრანკს, ინგლისისა კი 750 მილიონ ფრანკს (სვანიძე 2007: 33). როგორც ვხედავთ, აქ ამერიკა საერთოდ არ ჩანს.

ამ მხრივ სიტუაცია კიდევ უფრო გართულდა პირველი მსოფლიო ომის წინ, 1914 წლის 2 აგვისტოს სტამბოლში გერმანიასა და ოსმალეთს შორის დაიდო საიდუმლო ხელშეკრულება, მას ხელი მოაწერა ელჩმა ვაჰენჰაიმმა და დიდმა ვეზირმა საიდ ჰალილმა, ოსმალეთი ვალდებული გახდა იღებდა რუსეთ გერმანიის ომის შემთხვევაში გერმანელთა მხარეზე ებრძოლა, თუმცა პირველ სექტემბერს ამ ომის დაწყებისას დროის მოგების მიზნით ნეიტრალიტეტი გამოაცხადა.

მიუხედავად სხვადასხვა ბლოკში ყოფნისა, იმ ფაქტმა, რომ პირველ მსოფლიო ომში აშშ და ოსმალეთი რომელიმე ფრონტზე არ დაპირისპირებია ერთმანეთს, ბევრი რამ განაპირობა, თუმცა დაძაბულობა მაინც შეიმჩნეოდა. ამის დასტურია ის, რომ თურქეთის ელჩი ვაშინგ-

ტონში თავის რეზიდენციაში დაცვის თანხლებით შევიდა (УСТЮН 1971: 11).

ცოტა ხანში მოვლენები სწრაფად და სხვა მიმართულებით წარიმართა. გამოჩნდა დიდი პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე მუსტაფა ქემალი. მან გააუქმა, ხალიფატი, შექმნა კონსტიტუცია, აირჩია პარლამენტი, რამაც ახალ ეპოქას და ახალ თურქულ სახელმწიფოს ჩაუყარა საფუძველი

ომის დამთავრების შემდეგ, როგორც ხშირად ხდება, გავლენის სფეროების განაწილების გამო მოკავშირეებს შორის უთანხმოება დაიწყო, ამასობაში ბერძნები, ფაქტობრივად, დამარცხდნენ, ამის დასტური ინენიუსთან და საქარიასთან გამართული ბრძოლები იყო (1921 წლის იანვარ-აგვისტო; დაწვრ. იხ. კინროსი 2011).

1922 წლის 11 ოქტომბერს მუდანიაში ხელმოწერილ იქნა დროებითი ზავი თურქეთსა და ანტანტის სახელმწიფოებს შორის, ამ ურთიერთობებში ამერიკის დიდი დაინტერესება არ ჩანს.

აუცილებელი გახდა სამშვიდობო-საზავო კონფერენციის მოწვევა, რომელიც საბოლოოდ დაადგენდა თურქეთის სახელმწიფო საზღვრებს და დაამყარებდა მშვიდობას, ასეთი კონფერენცია გაიმართა 1922 წლის 20 ნოემბერს ლოზანაში (სვანიძე 2007: 220). კონფერენციას ესწრებოდნენ თურქეთის, ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის, იაპონიის, საბერძნეთის, იუგოსლავიისა და რუმინეთის წარმომადგენლები, აშშ-მ კონფერენციაზე თავისი მეთვალყურე გაგზავნა.

1923 წლის 24 ივლისს ხელი მოაწერეს სამშვიდობო-საზავო ხელშეკრულებას, რაც მიუხედავად რიგი დათმობებისა, თურქეთის დიპლომატიის სერიოზული გამარჯვება იყო, რამაც დიდი ავტორიტეტი შესძინა მუსტაფა ქემალს, მალე მისი ნაოცნებარისა და ნააზრევის აღსრულების დროც დადგა. 1923 წლის 29 ოქტომბერს ზარბაზნების ხმამ მსოფლიოს ამცნო ახალი თურქული რესპუბლიკის დაარსება (პრეზ. ქემალი, პრემიერ-მინისტრი ისმეთ-ფაშა). ამ ფაქტის შემდეგ დაიწყო და წარმატებით დასრულდა უამრავი რეფორმა, რასაც ყველა მიმართულებით თურქეთის აღმასვლა მოჰყვა, მათ შორის საგარეო პოლიტიკაშიც. 1924-27 წლებში დიპლომატიური ურთიერთობა დამყარდა 14 ქვეყანასთან, 1925 წლის 17 დეკემბერს სსრკ-სთან დაიდო მეგობრობისა და თავდაუსხმელობის ხელშეკრულება, 1926 წლის 31

მარტს სსრკ-სთან დადგინდა საზღვრები. 1927 წლის ხელშეკრულება გაფორმდა გერმანიასთან, 1927 წლის 11 მარტს სსრკ-სთან კვლავ დაიდო ხელშეკრულება ვაჭრობისა და ზღვაოსნობის შესახებ.

მეორე მსოფლიო ომის წინ თურქეთი დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნებთან აგრძელებდა პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირების გაფართოებას, პარალელურად, თურქეთს დიდი ადგილი ეჭირა, როგორც გერმანიის, ისე ინგლის-საფრანგეთის გეგმებში.

1939 წლის აპრილში, დაგვიანებით ანკარაში ჩავიდა გერმანიის ელჩი ფონ პაპენი, რომლის ძირითადი მოვალეობა იყო ქვეყანა ლერძის სახელმწიფოების ბლოკში ჩათრია.

ომის დაწყების წინ თურქეთში ინგლის-საფრანგეთის ბლოკის მომხრეებმა გაიმარჯვეს, რასაც მოჰყვა 1938 წლის 19 ოქტომბერს ანკარის ხელშეკრულება, რომელსაც ხელს აწერდნენ თურქეთი, ინგლისი და საფრანგეთი. მიუხედავად ამისა ომის დასაწყისში გერმანიის ტრიუმფთან ერთად თურქები თანდათან მისკენ იხრებოდნენ.

1941 წლის 18 ივნისს დაიდო ფარული ხელშეკრულება გერმანია-თურქეთის მეგობრობისა და თავდაუსხმელობის შესახებ. 1942 წლის 31 დეკემბერს თურქეთს იარაღის შესაძენად დიდი კრედიტი მიეცა.

1943 წლის დეკემბერში თეირანის კონფერენციის შემდეგ თურქეთს შესთავაზეს ომში ჩაბმულიყო, რის საფასურადაც დიდძალ საომარ ტექნიკას მიიღებდა, მაგრამ ამაოდ. სხვათაშორის ის იყო პირველი ნეიტრალური სახელმწიფო აღმოსავლეთ ნახევარსფეროში, რომელზედაც 1941 წლის დეკემბრიდან ამერიკელებმა გაავრცელეს კანონი ლენდლიზის შესახებ (სვანიძე 2007: 469).

1944 წლის 2 აგვისტოს თურქეთის მთავრობამ ოფიციალურად, მაგრამ ყალბად, გერმანიასთან ურთიერთობის გაწყვეტის შესახებ განაცხადა და მხოლოდ 1945 წლის 23 თებერვალს გერმანიასა და იაპონიას ფორმალურად ომი გამოუცხადა. 1946 წლის ივლისში არჩევნებში კვლავ სახალხო-რესპუბლიკურმა პარტიამ გაიმარჯვა, პრეზიდენტი ისევ ისმეთ ინენიუ გახდა. პრემიერ-მინისტრი რეჯებ ფექერი, მეჯლისის თავმჯდომარე ქიაზიმ ყარაბექირი, მიუხედავად რეფორმებისა, საგარეო პოლიტიკა კვლავ რთული რჩებოდა, განსაკუთრებით საშიში სსრკ გახდა.

თურქეთის მიმართ საბჭოთა მხრიდან სამხედრო კონფლიქტი რომ მზადდებოდა მრავალი ფაქტი არსებობს. პოტსდამის კონფერენციაზე სტალინი მოითხოვდა საბჭოთა კავშირსა და თურქეთს ერთობლივად გაეკონტროლებინათ შავი ზღვის სანაპიროები და სრუტეები, ყველა კარგად მიხვდა რა „ერთობლივი გაკონტროლება“ იქნებოდა, ამიტომ მოკავშირეებისაგან უარი მიიღო, ამის შემდეგ მისი მოსაზრება ასეთი იყო: თურქეთის აღმოსავლეთ რაიონები უნდა მიერთებოდა სომხეთს, ხოლო ირანის აზერბაიჯანისა და ქურთებით დასახლებულ ტერიტორიებზე სსრკ-ს მხარდაჭერით შექმნილიყო ავტონომიები.

ამ მოსაზრებაზეც უარის მიღების შემდეგ 1945 წლის ბოლოდან სსრკ გადავიდა აქტიურ შეტევით პოლიტიკაზე, მანამდე კი, ჯერ კიდევ 1945 წლის 19 მარტს კრემლმა ცალმხრივად გააუქმა 1925 წლის 17 დეკემბრის ხელშეკრულება. მალე, 7 ივნისს, სსრკ-ს საგარეო საქმეთა სამინისტრომ წამოჭრა საკითხი 1921 წელს საბჭოთა რუსეთისა და ქართველი კომუნისტების მიერ თუ საბოლოოდ არა, დიდი ხნით მაინც გაჩუქებული ქართული ტერიტორიების დაბრუნებისა და შავი ზღვის სრუტეებში საბჭოთა სამხედრო ბაზების შექმნის თაობაზე. ეს უკანასკნელი საბჭოთა ხელმძღვანელობამ ულტიმატუმის დონეზე დააყენა 1946 წლის 7 აგვისტოს (ჭიღვარია 2011: 173).

ამ არგუმენტის პირველი აპრობაცია იყო 1945 წლის 14 დეკემბერს ჯერ გაზეთ „კომუნისტში“, ხოლო 20 დეკემბერს „პრავდასა“ და „იზვესტიაში“ ცნობილი მეცნიერ-ისტორიკოსების ნ. ბერძენიშვილისა და ს. ჯანაშიას მიერ გამოქვეყნებული ერთობლივი სტატია - „თურქეთისადმი ჩვენი კანონიერი პრეტენზიების შესახებ“, რომელიც თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე საქართველოს ისტორიულ ნაწილებს ეხებოდა.

თურქთა მიმართეული წრეები კარგად აცნობიერებდნენ სსრკ-ს პირისპირ მართო დარჩენის საშიშროებას, ამიტომ დახმარება სთხოვეს ამერიკას და დიდ ბრიტანეთს, ამერიკელებს თავიდან მიაჩნდათ, რომ თურქებს და რუსებს თვითონვე გაერკვიათ ყოველგვარი სადავო საკითხი, მაგრამ ბრიტანელთა ძალისხმევამ შედეგი გამოიღო და ვაშინგტონში დაიწყო ფიქრი საქმეში ისე ჩარეულიყვნენ, სსრკ არ გაენაწყენებინათ, ამის მომენტიც მალე დადგა. 1946 წლის მარტში ვაშინგტონში გარდაიცვალა თურქეთის რესპუბლიკის ელჩი მიუნერ

ერტეგიუ, იმავე წლის პირველ აპრილს ჯავშნოსანი „მისური“ გიბრალტარის გავლით შევიდა ხმელთაშუა ზღვაში, გემის კაპიტანის ჰილენკოტის კაიუტაში იმყოფებოდნენ პრეზიდენტ ტრუმენის წარმომადგენელი ალ. ვედდელი და სახელმწიფო კანცელარიის საოქმო განყოფილების უფროსის თანამემწე, ამ უძლიერესი ხომალდის ბორტზე კი ესვენა ერტეგიუს ნემსი. „მისურმა“, ისე რომ ხმელთაშუა ზღვის არც ერთ პორტში არ შესულა, გეზი ეგეოსის ზღვისკენ აიღო.

ერტეგიუ ისეთ ბოლო დიპლომატიურ მისიას ასრულებდა, რის გაკეთებაც სიცოცხლეში ვერ მოასწრო, თუ ვერ მოახერხა.

თურქეთი აქტიურად ემზადებოდა არა მარტო გარდაცვლილი ელჩის, არამედ საპატიო სტუმრების დასახვედრად, სტამბოლში შენობათა ფასადები ხელახლა შეიღება, ტრანსპორტის კომპანიებმა უფასო მგზავრობა გამოაცხადეს, გუბერნატორი ლუფტი კირდარი გრანდიოზული ბანკეტისათვის ემზადებოდა, ჩატარდა სპეციალური ინსტრუქტაჟი, რათა ამერიკელებთან ყოველგვარ კონფლიქტს მორიდებოდნენ, მოედნებზე დაიდგა ტაბლოები წარწერებით: „მისური“; „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება“ და სხვა.

1946 წ. 5 აპრილს უამრავმა სტამბოლელმა მოიყარა თავი დოლმაბახჩის სასახლესთან, რომლის პირდაპირ ღუზა ჩაუშვა „მისურმა“, სტამბოლის მრავალსაუკუნოვანი კულტურა ახალ ცივილიზაციას აღტაცებული ზვდებოდა.

ელჩის ნემსი ნაპირზე გადაასვენეს, მაგრამ გლოვის ნაცვლად ამკარად საზეიმო განწყობა სუფევდა, ცერემონიის ოფიციალური ნაწილი დამთავრებული არც იყო, რომ ტრუმენის წარმომადგენლები ანკარაში გაემგზავრნენ, რათა „მისურის“ ნამდვილი მისიის შესრულება დაეწყოთ.

ვედდელის ანკარაში გამგზავრების შემდეგ სტამბოლში ნამდვილი ზეიმი გაიმართა, „მისურს“ უძღვნიდნენ სიმღერებს, კატერებს გემზე უფასოდ გადაჰყავდათ მსურველები, კავშირგაბმულობის სამმართველომ „მისურის“ ვიზიტის აღსანიშნავად მარკების მთელი სერიაც კი დაბეჭდა.

ალ. ვედდელი ანკარაში დიდი პატივით მიიღეს, მან ისაუბრა თურქეთ-ამერიკის მეგობრობის მნიშვნელობაზე. პრეზიდენტის რეზი-

დენციაში გამართულ ბანკეტზე ისმეთ ინენიუ აღფრთოვანებას ვერ მალავდა და საუკუნო მეგობრობას ეფიცებოდა სტუმრებს.

შემდეგ ყოველივე თავის გზით წარიმართა, მუშაობაში სპეციალ-ისტთა მთელი არმია ჩაერთო, გაზეთები „ვატანი“ და „ჯუმჰურიეთი“ თურქეთის მომავალ დემოკრატიაზე ალაპარაკდნენ.

1946წ. 9 აპრილს ამერიკულმა გემმა, რომელმაც უდავოდ დიდი როლი შეასრულა ამერიკა-თურქეთის მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ურთიერთობაში, ქვეყანა დატოვა.

დამოწმებანი:

სვანიძე, მ. თურქეთის ისტორია. თბილისი, 2007.

ლორდი კინროსი. ათათურქი. ნ. ჯანაშიას თარგმანი. თბილისი, 2011.

ჭიღვარია, გ. თურქეთის გეოპოლიტიკა (1990-2010წწ.) ქუთაისი, 2011.

Устюн, Н. *Америка и Американцы в Турции*. Москва, 1971.

TARIEL CHIGVARIA

Associate Professor, Akaki Tsereteli State University

ABSTRACT

THE COMMENCEMENT OF US – TURKISH RELATIONS AFTER THE WORLD WAR II

U.S. - Turkish relations officially began in the 19th century. The first contract was signed in 1830. The next one signed on May 7 1862, was the significant step in the development of their further relations.

Nothing important and remarkable happens in the relations of these two states since then. The situation became more complicated before the World War I, 1914. On August 2, Germany and the Ottoman Empire signed a secret agreement in Istanbul.

Despite staying in a different block, the fact that in the First World War the U.S. and the Ottomans contradistinction have conditioned a lot of things.

Soon, the politician and statesman Mustafa Kemal appeared who established the new Turkish state.

Turkey was not actually engaged in World War II, but formally declared war to Germany and Japan on February 23 1945.

After the Second World War, Turk authorities were well aware of the danger of staying alone in front of the Soviet Union, so they applied for help to America and Great Britain.

In March 1946, Turkey's ambassador in the USA Münir Ertegün died in Washington. This fact was utilized by the Americans and on the first of April of the same year, armored "Missouri" swam into the Mediterranean Sea via Gibraltar that carried the remains of the Ambassador and the representatives of the President Truman Al. Veddel and the Head of the State Chancellery in the Captain's cabin.

Ertegün was caring out his last diplomatic mission, which he couldn't manage to accomplish in life.

Istanbul met the guests with celebration rather than mourning. After the official part of the ceremony was finished, the representatives went to Ankara to start a real mission of "Missouri".

გიორგი ზილვარია

აწსუ სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის
მეცნიერ-თანამშრომელი

ირანის ომი და პრობლემები თურქეთ-ამერიკის ურთიერთობებში

ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში თურქეთ-ამერიკის ურთიერთობებში პირველი სერიოზული ბზარები შეერთებულ შტატებში პრეზიდენტის ჯორჯ ბუშ უმცროსის მმართველობის დროს გაჩნდა. აღნიშნული პრობლემები ძირითადად ვაშინგტონის მიერ ერაყთან და, კერძოდ, მასში მცხოვრებ ქურთულ ეთნოსთან მიმართებაში წარმოებულ პოლიტიკასთან იყო დაკავშირებული.

2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტების შემდეგ, როცა დადგა საკითხი ავღანეთის შემდგომ სამხედრო მოქმედებები გავრცელებულიყო ერაყზეც, თურქეთის პრემიერ-მინისტრმა ბ. ეჯევიტმა გააკეთა განაცხადი, რომ თურქეთი ეწინააღმდეგებოდა ერაყში დასავლური კოალიციის შეჭრას. მან ასეთი ომი შეაფასა როგორც „აგრესია, რომელსაც შეეძლო რეგიონში წონასწორობა სრულ ქაოსამდე მიეყვანა“ (გაჩეჩილაძე 2008: 126).

სწორედ ამ წონასწორობის დარღვევის უკან ანკარას ხელმძღვანელობა პირველ რიგში ქურთული პრობლემების წამოწევას ვარაუდობდა. ამას ადასტურებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ერაყში ომის დაწყების რამდენჯერმე უარყოფითად შეფასების შემდეგ, უკვე 2002 წლის 25 სექტემბერს იგივე ბ. ეჯევიტმა განაცხადა: „იმის მიუხედავად, რომ ამბობენ ჩვენ ქურთულ სახელმწიფოს არ ვქმნით, დე-ფაქტო ასეთი სახელმწიფო ჩამოყალიბების გზაზეა. თუკი ეს ოფიციალურად გაცხადდება, ამას სერიოზული პრობლემები მოჰყვება“ (გაჩეჩილაძე 2008: 418). ეჯევიტის ასეთი მძაფრი რეაქცია იმ პერიოდში მთელი თურქეთის პოლიტიკური ელიტის აზრს გამოხატავდა.

მიუხედავად თურქეთის წინააღმდეგობისა, 2003 წელს ამერიკამ და მისმა მოკავშირეებმა ახლო აღმოსავლეთში ერაყის წინააღმდეგ ომი დაიწყეს, რამაც ახალი გეოპოლიტიკური სიტუაცია შექმნა როგორც შეერთებული შტატების, ისე თურქეთის რესპუბლიკისათვისაც. თუ

ამერიკელებმა გამოიყენეს ქურთები სადამის წინააღმდეგ, ხოლო ომის დასრულების შემდეგ ცდილობდნენ მათ გამოყენებას ისრაელ-პალესტინის კრიზისის ფორსირებულ დარეგულირებაში, განსაკუთრებით სირიის მიმართულებით, ანკარა აღმოჩნდა ისეთი დილემის წინაშე, როგორც იყო კონფლიქტის ახალი გართულება და ქურთულ მოძრაობასთან, თურქეთსა და ჩრდილოეთ ერაყში შეიარაღებული დაპირისპირება. ყოველივე ამან, როგორც მოსალოდნელი იყო, გამოიწვია ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროპის რიგ ქვეყნებთან თურქეთის ურთიერთობების დაძაბვა.

ერაყის სამხედრო კამპანიისადმი ანკარის უარყოფით დამოკიდებულებას რამდენიმე ობიექტური და სუბიექტური მიზეზი განსაზღვრავდა:

1) კოალიციის მიერ ჩატარებული სამხედრო ოპერაციის შემდეგ არსებობდა ერაყის დანაწევრებისა და დამოუკიდებელი ან ფართო ავტონომიური უფლებების მქონე ქურთისტანის შექმნის ალბათობა, რაც თურქეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონებში არსებულ ქურთულ სეპარატისტულ მოძრაობას კიდევ უფრო გაამწვავებდა. ამასთან დამოუკიდებელი ქურთისტანის შემადგენლობაში ნავთობით მდიდარი კირკუკისა და მოსულის რაიონების შესვლა ეწინააღმდეგება თურქეთის რესპუბლიკის გეოპოლიტიკურ და სტრატეგიულ ინტერესებს;

2) სამხედრო მოქმედებების შედეგად ერაყში წარმოიქმნებოდა ქაოზი, რაც თურქეთზე, როგორც მის უშუალო მეზობელ სახელმწიფოზე უარყოფით ასახვას ჰპოვებდა;

3) 1990 წლიდან სპარსეთის ყურის კრიზისის შედეგად ყველაზე დიდი ეკონომიკური ზარალი თურქეთმა განიცადა. ახალი სამხედრო კამპანია თურქეთში ტურისტული სეზონის ჩაშლას გამოიწვევდა, რაც მნიშვნელოვნად შეარყევდა იმ პერიოდისათვის ისედაც მძიმე მდგომარეობაში მყოფ თურქულ ეკონომიკას. სავარაუდო გავლებით, ერაყში, სადამ ჰუსეინის წინააღმდეგ სამხედრო კამპანიის დაწყების შემთხვევაში, თურქეთის რესპუბლიკა განიცდიდა ყველაზე მცირე, დაახლოებით 17 მლრდ. აშშ დოლარის ოდენობის ზარალს (* ორკმაზ 2007: 133).

ყოველივე ამის შედეგად, სამხედრო მოქმედებების დროში გაჭიანურების შემთხვევაში არსებობდა ერაყიდან ლტოლვილების დიდი

ნაკადის შემოსვლის ალბათობა, რასაც ეწინააღმდეგებოდა ანკარის ინტერესებს, რადგან მათი გათვლებით ლტოლვილთა უმეტესობა ქურთული წარმოშობის იქნებოდა.

საბოლოოდ, ომის საწყის პერიოდში, ორმაგი პოლიტიკური სტანდარტების პირობებში, მძიმე ვითარებაში აღმოჩნდა არა მხოლოდ ანკარა, არამედ ვაშინგტონიც, რადგან ერაყის კრიზისისა და მასთან მჭიდროდ დაკავშირებული ქურთთა პრობლემების გადაჭრის დროს ორივე რთულ პოლიტიკურ ვითარებაში ჩავარდა.

ერაყთან ომის მზადებისას ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ხელმძღვანელობა უდიდეს როლს ანიჭებდა ქურთთა შეიარაღებულ დაჯგუფებებს, რომელთა რიცხვი იმ დროისათვის, სახალხო რაზმელების ჩაუთვლელად, დაახლოებით 150 ათას კაცს აღწევდა (ქორქმაზ 2007: 157).

ვაშინგტონი ანკარისაგან დაჟინებით მოითხოვდა სამხედრო ტერიტორიები დაეთმო ოპერაციების ჩასატარებლად და იმავდროულად თურქეთს ჰპირდებოდა, რომ არ მიაღებინებდა მას უშუალო მონაწილეობას სამხედრო მოქმედებებში და თუკი თურქები 62-ათას კაციან ჯარს საზღვართან თავის ტერიტორიაზე განათავსებდნენ, მაშინ ისინი კომპენსაციის სახით მიიღებდნენ 6 მილიონი დოლარის არაპირდაპირ დახმარებებს და 26 მილიარდ დოლარს მიზნობრივი კრედიტის სახით, თუ ერაყში საომარი მოქმედებების დროს ქვეყნის ეკონომიკა დაზარალდებოდა რეალურად. ამერიკის შეერთებული შტატების ამ დაპირებების მთავარი მიზანი გახლდათ თურქეთის რესპუბლიკის გამოთიშვა ერაყის ომში პირდაპირი მონაწილეობის მიღებისაგან, რადგან ანკარა არასოდეს არ მალავდა თავის ძველ განზრახვას, კონტროლი აღედგინა მეზობელი სახელმწიფოს ნავთობით მდიდარ რაიონებზე: კირკუკსა და მოსულზე.

შემდეგში, რადგან თურქეთმა ამერიკელებს უარი განუცხადა თავისი ტერიტორიებით სარგებლობაზე, პენტაგონი იძულებული გახდა, კირკუკისა და მოსულის რაიონებზე კონტროლის დასაწესებლად, ქუვეითიდან დესანტის სახით გადმოესროლა თავისი სამხედრო ძალები, როგორც ამ მხრიდან მტერზე იერიშის მისატანად, ისე მოკავშირის ძალების რეგიონში მოსალოდნელი შეჭრის შესაჩერებლად. საბოლოოდ ამერიკელებმა პოლიტიკური და სამხედრო ზეწოლის შედე-

გად შეძლეს შეეჩერებინათ ანკარა, რომ თავისი მსხვილი სამხედრო კონტინგენტი ჩრდილოეთ ერაყში არ შეეყვანა, რათა იქიდან ქურთული სამხედრო ფორმირებები გამოედევნათ. ამერიკის შეერთებულ შტატებთან ერთად თურქთა ჯარების ერაყში შეყვანის წინააღმდეგ ნატოსა და ევროპული ქვეყნების უმეტესი ნაწილი გამოდიოდა.

ამერიკის მომდევნო პრეზიდენტი ბარაკ ობამა და მისი ადმინისტრაცია ორ ქვეყანას შორის ფარული დაძაბულობის მოხსნას შეეცადა. სწორედ ამ მიზნით თურქეთის რესპუბლიკას ეწვია ჯერ ამერიკის სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი და შემდეგ თავად პრეზიდენტი. ამ ვიზიტის დროს ბარაკ ობამამ ისაუბრა შეერთებული შტატებისა და თურქეთის განსაკუთრებული პარტნიორობის შესახებ და აღნიშნა, რომ ვაშინგტონსა და ანკარას ერთად დგომის პოლიტიკა უნდა გააჩნდეთ. ამერიკის პრეზიდენტმა ასევე ყურადღება გაამახვილა ანკარა-ერევნის ორმხრივი ურთიერთობების ნორმალიზაციასა და ამ ურთიერთობების კეთილმეზობლურ და ურთიერთპატივისცემის ჩარჩოებში გადაყვანის აუცილებლობაზე. თურქეთში ბარაკ ობამას ვიზიტი იმდენად წარმატებული ჩანდა, რომ ერევანსა და ანკარაში უკვე ღიად დაიწყეს საუბარი იმის შესახებ, რომ უახლოეს პერიოდში თურქეთსა და სომხეთს შორის საზღვრი გაიხსნებოდა და დიპლომატიური ურთიერთობები დაიწყებოდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, უკვე 2010 წლის დასაწყისიდან ძველ მოკავშირეებს შორის კიდევ უფრო დაიძაბა ურთიერთობა, რაც გამოწვეულ იქნა აშშ-ს კონგრესის საგარეო საქმეთა კომიტეტის მიერ 5 მარტს მიღებული რეზოლუციით, რომელიც ეხებოდა მე-20 საუკუნის დასაწყისში ოსმალთა მიერ სომეხთა გენოციდს. ობამას ადმინისტრაციამ კომიტეტის წევრებს მრავალგზის სთხოვა აღნიშნული რეზოლუცია არ განეხილათ და ამით თურქეთისათვის შეურაცყოფა არ მიეყენებინათ, მაგრამ უშედეგოდ.

გენოციდის აღიარებისთანავე კომიტეტის თავჯდომარეს ჰოვარდ ბერმანს აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა დაურეკა და სთხოვა, რეზოლუციისათვის უარის დადება სომხურ-თურქული ურთიერთობებში სტაბილიზაციის გამო, რის შედეგადაც ნათლად გამოჩნდა, რომ ამერიკა ოფიციალურად გენოციდის აღიარებისაგან კვლავ თავს შეიკავებს. საინტერესოა ასევე რეზოლუციასთან დაკავშირებით აშშ-ს სახელმწიფო მდივნის თანაშემწის, ფილიპ გორდონის,

აზრი: „აღნიშნული რეზოლუცია თურქულ-სომხური ურთიერთობების დაახლოებას ხელს არ შეუწყობს და ეს საკითხი ამავე ქვეყნების მიერ უნდა იქნას გადაწყვეტილი“ (ლირსიაშვილი 2010).

მიუხედავად ვაშინგტონის ასეთი განწყობისა, ანკარამ მკვეთრი საპასუხო ნაბიჯები მაინც გადადგა, რაც პირველ რიგში ქვეყნიდან საკონსულტაციოდ ელჩის, ნამიქ თანის გამოწვევით გამოხატა. ამის შემდეგ თურქეთმა შეწყვიტა აშშ-სთან თავდაცვითი, ენერგეტიკული და სავაჭრო კავშირების განმტკიცებისაკენ მიმართული ნაბიჯები.

შეერთებული შტატების მიმართულებით ახალი ეკონომიკური ინიციატივების შეჩერების ფონზე, ძალზე ცუდად ჩანს თურქეთის ურთიერთობების განვითარება მის ჩრდილოელ და აღმოსავლელ მეზობლებთან. რუსეთთან მოსალოდნელი ახალი კავშირების შესახებ თურქეთის ვაჭრობის მინისტრმა ზაფერ ჩაგლაიანმა აღნიშნა, რომ თურქეთი და რუსეთი ახლო სტრატეგიული პარტნიორები არიან და ორივე ქვეყანა მიისწრაფვის ეკონომიკური და კომერციული კავშირების განვითარებისაკენ.

თურქეთის რესპუბლიკის აღნიშნული მოქმედებებიდან ჩანს, რომ დღეისათვის შეერთებული შტატები მისთვის აღარ არის ისეთივე საიმედო პარტნიორი, როგორც იგი იყო 1950-2000 წლებში. აქედან გამომდინარე, ვაშინგტონი ვალდებულია ცოტა უფრო მეტი ყურადღება დაუთმოს ანკარასთან ურთიერთობებს და თურქი ერისათვის მტკივნეულ ქურთულ პრობლემებსა და სომხური გენოციდის აღიარება არაღიარების საკითხებთან დაკავშირებით თავისი პოლიტიკა ფრთხილად მართოს.

წინააღმდეგ შემთხვევაში ანკარა ახალი მოკავშირეების ძებნას დაიწყებს, რაც რეგიონში მდგომარეობას მეტად გაართულებს. ასე მაგალითად, თუ მოხდა და შეიქმნა რუსეთ-თურქეთის ალიანსი, ისინი ერთდროულად შეეცდებიან კავკასიის რეგიონიდან შეერთებული შტატების გამოდევნას. თუ მათ ეს მოახერხეს, მაშინ, სამწუხაროდ, არსებობს მოვლენების განვითარების შემდეგი ვარიანტები:

1. შესაძლებელია, რომ მას შემდეგ, რაც ისინი კავკასიაში სხვა დიდი მოთამაშეების გარეშე მართო დარჩებიან და ამ როლს თვითონ შეითვისებენ, შეიძლება მაშინვე დაუპირისპირდნენ ერთმანეთს, რათა საბოლოოდ გაარკვიონ კავკასიურ არენაზე გამარჯვებულის ვინაობა,

მითუმეტეს, რომ მათ შორის საბრძოლო მოქმედებები ამ საკითხთან დაკავშირებით არც თუ იშვიათად იმართებოდა;

2. შეიძლება ყველაფერი კონსერვსამდე მივიდეს და მოხდეს რუსეთსა და თურქეთს შორის ურთიერთობების საბოლოოდ მოგვარება, მოლაპარაკებების შედეგად კავკასიაში გავლენის სფეროების მკაფიო გადანაწილება და ახალი „გამყოფი ხაზების“ გავლება. გასათვალისწინებელია, რომ ყარსის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ამ უკანასკნელი ვარიანტის ისტორიული ანალოგიც არსებობს. აქვე დავძენთ, რომ რუსეთ-თურქეთის პოლიტიკური ალიანსის შედეგად, იმსხვრევა ევროპელების მომავალი იმედები ალტერნატიული ენერგომომარაგების გზების მოპოვების შესახებ.

მაშასადამე, ამერიკა-თურქეთის უთანხმოების საფუძველზე, შესაძლოა, ვითარება საკმაოდ არასახარბიელო სცენარებით განვითარდეს, საერთაშორისო საზოგადოებისათვის და განსაკუთრებით სამხრეთ კავკასიის რეგიონში მყოფი სამი პატარა სახელმწიფოსათვის, რომელთაგან მთელი რიგი მიზეზების გამო, ყველაზე რთულ დღეში ჩვენი ქვეყანა, საქართველო აღმოჩნდება.

დამოწმებანი:

გაჩეჩილაძე, რ. ახლო აღმოსავლეთი: სივრცე, ხალხი და პოლიტიკა. თბილისი, 2008.

„გენოციდზე“ კენჭისყრის შემდეგ თურქეთი ამერიკულ ბიზნესს დარტყმას აყენებს - www.internet.ge/index.php?action=news

ღირსიაშვილი, ლ. თურქეთის მიმართ შეერთებული შტატების პოლიტიკა. 2010 www.voanews.com/.../2010-03-18-voa13.cfm)

Korkmaz, T. *Ankara Washington hattı, Amerikan iktidarının sonu*, Istanbul, 2007.

GIORGI CHIGVARIA

Researcher, ATSU Scientific-Research Center

ABSTRACT

OBSTACLES IN TURKEY – US RELATIONS IN THE CONTEMPORARY STAGE

Nearly two years after the birth of a new post September 11th strategic era of revitalized cooperation, Turkish-American relations have taken an unanticipated turn. Disagreements over Iraq, have placed the much vaulted strategic partnership in jeopardy. Recent diplomatic exchanges aside, the strategic partnership continues to stand on precarious ground. The rift over Iraq and the future of the Iraqi Kurd population currently are the most important issues on the American-Turkish agenda. Prior to the outbreak of war, Ankara repeatedly stated that the Kurdish situation is a matter of Turkish national security, citing the potential for massive Kurdish refugee flows and a resurgence of PKK terrorism. By visiting turkey, U.S. new president Obama and his administration tried to tighten U.S.-Turkish ties. The visit was extremely successful but the Committee on Foreign Affairs decision to Armenian Genocide significantly hampered Washington's ability to cooperate with Ankara. Finally, with the great efforts of Hillary Clinton America refrained from voting it.

გამომცემლობის დირექტორი: მაღზახ დოზრაშვილი

ტექნიკური რედაქტორი: მაღვინა დავითულიანი

კორექტორი: ნინო კვიციანი

კომპიუტერული უზრუნველყოფა: შორენა ხუნდაძე

წიგნი დაიბეჭდა აკაკი წერეთლის
სახელმწიფო უნივერსიტეტის სტამბაში

ქალაქის ზომა 60X84 1/16
ნაბეჭდი ფორმა 30,75

LELA ABDUSHELISHVLI

Lecturer, Caucasus University

USING AMERICAN PRESS TO DEVELOP LANGUAGE SKILLS OF TRANSLATORS

According to the dictionary, translation is the communication of meaning of a source language text by means of an equivalent target-language text. It is the skill that requires a lot of time and work to be developed and enhanced. Furthermore, respective language background – both vocabulary and grammar is needed to be able to translate properly and professionally.

There are a lot of various ways of enhancing this skill. One of them is mass media, which as a teaching instrument in the classroom has increased considerably in the past years. The Journal of Reading even carries a regular series - "Use the News" - on integrating the reading of newspapers into classroom activities. This initiative encourages the use of newspapers as an educational tool both to complement and supplement traditional classroom texts and resource materials (Newton 1985: 26).

Teachers can use newspapers to teach comprehension and critical thinking and help students develop sensitivity and awareness of the self, the community, the nation, and the world. Besides, newspapers allow students to use the different sections to locate, categorize, and sequence details, and distinguish fact from opinion. Students are able to locate main ideas, form sentences, find facts, practice critical thinking skills, solve math problems, write creatively, and comprehend better.

All of the above-mentioned skills are extremely important and essential for translators as it develops their ability to translate well and deliver information to the receiver in the most effective way.

Translation is the process of transferring the text from one language to another. It is a complex skill and requires several abilities. Consequently, it is necessary to carefully train and let them master this skill as

